



4(10)
2014

საგურამო

ლიტერატურული ჟურნალი



4(10)

ივლისი-აგვისტო

2014

შინაარსი

თანამდები სულები

3. მიხეილ ჯავახიშვილი საქართველოს საზღვრები

ლიტერატურის ისტორია

7. ლალი ავალიანი ცისფერყანწელები

კრიტიკა

27. ჟაკლინ სირაძე უჩვეულო პოსტმოდერნიზმი

საიდუმლო გარათები

45. იოსებ გრიშაშვილის საყვარელი ქალები (მომზადა ნოდარ გრიგორაშვილმა)

გენეალოგია

63. მაია ცერცვაძე „ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს“

თვალსაზრისი

69. დიმიტრი შველიძე. გიორგი ყუყუნაშვილი ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი
პეტერბურგის გაზეთში

რეცენზია

80. მალხაზ ივანიძე თხრობა როგორც კულტურული პერსპექტივა

ახალი თარგმანები

82. ვასილი როზანოვი წიგნიდან „განმარტოებული“ (თარგმნა ზაჩანა ბრეგვაძემ)

90. ფრენსის ოტო მატისენი ოკეანე (თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა)

100. ბორის პასტერნაკი წერილები (თარგმნა სალომე ბედუკაძემ)

107. ანდრე მორუა დონ შუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა (თარგმნა დავით კახაბერმა)

მთავარი რედაქტორი
ანდრო ბედუკაძე

რედაქტორები
ივანე ამირხანაშვილი
ურა შერაზადიშვილი



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების
გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმე-
ბლად დაუშვებელია

ტელ.: 551 18 37 76
sagur anshvili@gmail.com



მიხეილ ჯავახიშვილი

საქართველოს საზღვრები

სანამ არსებობდნენ დამოუკიდებელი და ძლიერი სომხეთი, ბიზანტია და ტრაპეზუნდი (ძველი პონტი) საქართველო დამოუკიდებელი, ძლიერი იყო, რადგან მისი სომხეთის კარები დაკეტილი იყო. სომხეთისა, ბიზანტიისა და ტრაპეზუნდის დაშლის შემდეგ ეს კარებიც გაიღო, ზღუდენი მოიშალნენ და ოსმალთა ტალღებმა წალეკეს და ჩამოგვაცალეს ნახევარი საქართველო, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ საქართველოსი იმდენად გაივსო მრავალსაუკუნეთა განმავლობაში სამუსულმანო ქვეყნებიდან მომდინარე სომხებით, რომ მათ ფაქტიურად დაიმკვიდრეს დიდი ნაწილი აღმოსავლეთ საქართველოსი და მისი ერთი ნაწილი შეიერთეს კიდევაც.

ამ ახლო მომავალში, თუ მოულოდნელი არაფერი მოხდა, უნდა დამკვიდრდეს და შეიქმნეს მოკავშირეთა წყალობით, თითქმის ათასი წლის წინათ დაშლილი სომხეთი და თითქმის ხუთი საუკუნის წინათ დანგრეული ტრაპეზუნდი. ყოველი შეგნებულ ქართველისთვის სომხეთისა და ბერძნულ ტრაპეზუნდის აღდგენა უდრის საქართველოს აღდგენას და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება-დამკვიდრებას, რადგან: 1. საქართველოს საზღვრებს ჩამოეცლება და მეტად დასუსტდება ის ძალა — ოსმალეთი, რომელმაც დააქვეითა, დაასუსტა საქართველო და იქამდის მიიყვანა, რომ მან თვითონვე ხელი აიღო თავის სუვერენობაზე და თვისი თავი და ბედი უცხო სახელმწიფოს გადასცა. 2. იმ დრომდის, სანამ საქართველოს მოსაზღვრედ ოსმალეთი ეყოლება,

ჩვენი სამშობლო ვერ მოისვენებს, მთელ თავის ძალა-ქონებას სამხრეთის საზღვრების დაცვას მოანდომებს და მალე იმდენად დასუსტდება ძალაუნებური მილიტარული პოლიტიკით, რომ ბოლოს ან ოსმალეთის ლუკმა გახდება, ან თავის ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის ისევ რუსეთს ჩაუვარდება ხელში. 3. სომხეთისა და ტრაპეზუნდის აღდგენის შემდეგ წინა აზიაში და კავკასიონის სამხრეთით დამყარდება ძალთა დაახლოვებითი სწორ-წონობა და მშვიდობა.

ორასი წლის განმავლობაში ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გაუთავებელი ომი სწარმოებდა ჩვენისთანა სუსტ ერების ზურგზე რუსეთსა და ოსმალეთს შორის, რომელნიც ერთმანეთს ეცილებოდნენ ევროპა-აზიის კარებსა და ხიდს: ამიერკავკასიას და სომხეთის ზეგანს. თუ მოკავშირეებმა ორ სახელმწიფოს ხელი ააღებინეს ამ კარებ-ხიდზე, ძლიერნი და გამარჯვებულნი ფრიად დაინტერესებულნი იქნებიან, რომ წინა აზიაში მშვიდობიანობის დასამყარებლად შექმნან, განამტკიცონ და დაამკვიდრონ დამოუკიდებელი ან ნახევრად დამოუკიდებელი საქართველო, სომხეთი, ტრაპეზუნდი, აზერბეიჯანი, სირია, პალესტინა, ოსმალეთი, სპარსეთი და მესოპოტამია ისეთ საზღვრებში და ისეთი ძალისა, რომ აზიის ამ ნაწილში დამყარდეს ძალთა დაახლოვებით სწორ-წონობა.

ზემო აღნიშნულ და სხვა მიზეზთა გამო, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანდა, საქართველომ ყოველი საშუალება უნდა

იხმაროს და თვისი მცირე ძალა-ენერგია არ დაზოგოს, რათა ოსმალეთის ტერიტორიაზე შეიქმნეს საქართველოს მოსაზღვრე ორი სახელმწიფო: სომხეთი და ტრაპეზუნდია.

თუ ახალი რღვევა არ მოხდა ქვეყნისა, ეს გეგმა ადვილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები ინგლის-საფრანგეთისა, იტალიისა და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებისა. პირველ სამს სახელმწიფოს ჰყავს დიდძალი ქვეშევრდომი მუსულმანი, რომელთა დამორჩილება და მართვა-გამგებლობა მეტად გაადვილდება და უზრუნველი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყნები მისწვდებიან ტერიტორიულად ოსმალეთს, ე.ი. ამ ქვეყნებსა და ოსმალეთს შუა შეიქმნება ახალი ერთი, ორი და სამი საქრისტიანო სახელმწიფო — სომხეთი, ტრაპეზუნდი და სირია. მართალია, ეს სახელმწიფოები მხოლოდ ნომინალურად იქნებიან ქრისტიანული და დამოუკიდებელი, მაგრამ არსებითად ამას მნიშვნელობა არ ექნება. ფაქტურად სამივე სახელმწიფო იქნება რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს კოლონია, დასახლებული ისეთი ერებით, რომელნიც ერთი მხრით, წინააღმდეგნი იქნებიან ოსმალეთისა (სომხები, ბერძნები, ებრაელები, არაბები და სხვა), ხოლო მეორე მხრით, მუდმივი ქიშობით ურთიერთ შორის ამ ტერიტორიაზე მესამე სახელმწიფოს გავლენა-ბატონობას გაადვილებენ და დაამყარებენ. ეს მესამე სახელმწიფო სირია-სომხეთში, როგორცა ჩანს, საფრანგეთი იქნება.

საფრანგეთმა ორასი წლის მუშაობით დიდი საქმე გაიკეთა და ძლიერი გავლენის ძაფი გააბა სირიიდან მოყოლებული მოსული ვილაეტის გაყოლებაზე ურმიის ტბის ნაპირებამდის. ამ რაიონს იგი ხმამაღლა და ამკარად ედავებოდა ამ ომის დროსაც კი ინგლისსა და რუსეთსაც, ხოლო გამარჯვების შემდეგ აღნიშნული უფლება საფრანგეთისა უცილობელი შეიქნა.

გარდა ამისა, უკანასკნელ დროს ცხადად სჩანს სომხურ გაზეთებიდანაც კი, რომ სომხების იმედი უფრო საფრანგეთს ეყრდნობა, ვიდრე ინგლისს.

ეს მოსაზრებანი უფლებას გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ სომხეთისა და სირიის ბატონმფლობელობა შეიძლება დაეთმოს სა-

ფრანგეთს, რომელიც სირია-კილიკიიდან სომხეთის ზეგანზე ამოვა და აქედან ეცდება გავრცელდეს კავკასიასა და ჩრდილოეთ სპარსეთზე.

აქ, სომხეთის ზეგანზე, ერთმანეთს ხვდებიან და ეჯახებიან საფრანგეთი და ინგლისის ინტერესები. მომავლის ისტორია განმეორებაა წარსულისა და ხვალ სომხეთის ზეგანზე უცილობლად განმეორდება გუშინდელი ამბები: ნაცვლად რუსეთ-ოსმალეთისა და ოსმალეთ-გერმანიისა ერთმანეთს შეეკრებიან ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-ოსმალეთის ინტერესები.

ინგლისისთვის ამიერკავკასიას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სუეცის არხს. ბათუმ-ბაქოს გზა ინგლისს ხელთ უგდება მთელ ამიერკავკასიას, სპარსეთს და კასპიის გაღმა უშველებელ ტერიტორიას. ეს ადგილები და გზები, უკვე დაჭერილი ინგლისის მიერ, თავის პირდაპირი ფასისა და მნიშვნელობის გარდა, იფარავენ და იცავენ ინგლისის მთავარ საკვებ აუზს — ინდოეთს, ავღანისტანს, სპარსეთს და ახლად შექმნილ მესოპოტამიას, — რომელნიც მხოლოდ ვინრო ყელით — სუეცის არხით — არიან გადაბმულნი მესოპოტამიასთან. ეს გარემოება უდიდეს ხიფათს უქადის ინგლისს, რომელიც ვერას გზით ხელიდან ვერ გაუშვებს უმთავრეს ნაყოფს თავის გამარჯვებისას: ზემოაღნიშნულ ახალ ქვეყნებს და ახალს ბათუმ-ბაქოს მოკლე გზას, რომელნიც მრავალჯერ უადვილებს ინგლისს ზემოხსენებულ ქვეყნების მართვა-გამგებლობას და შენარჩუნებას. ამ ძირითად დებულებიდან ისტორიულის აუცილებლობით გამომდინარეობს ინგლისის მხრივ გაფართოვება და დაცვა სამხრეთის მხრით ბათუმ-ბაქოს გასავლელ კორიდორისა (ჩრდილოეთის ხიფათით, ჯერჯერობით მაინც, სათვალავში არ ჩაითვლება), რომელსაც ჰკეტავს ერთადერთი კარები — უძლიერესი ციხე ყარსი.

ეს სიმაგრე მარტო კავკასიის კარები კი არ არის, არამედ მთელი მცირე აზიისაც. იგი სტრატეგიული ღერძია შავი ზღვისა, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვის შორის მდებარე ქვეყნებისა. პირველად ისტორიიდან მოყოლებული ამ პატარა წერტილზე დაიწყო და დასრულდა ბედი მრავალ ხალხისა: სომხეთისა, საქართველოსი და ოსმალეთისა. სამხედრო მეცნიერებს უცილობელ

ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ ყარსის მფლობელს ერთი ფეხი კავკასიაში უდგას, მეორე კი ოსმალეთში და ბატონ-პატრონია ორივე ქვეყნისა. ინგლისმა, რა თქმა უნდა, კარგად იცის ფასი და მნიშვნელობა ყარსისა, ამიტომ იგი არც ერთს დიდ სახელმწიფოს არ დაუთმობს მას. ამ მოსაზრებათა გამო ყარსის რაიონში უნდა დაეჯახნენ ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთის ინტერესები, და საქართველომ ამ გარემოებით უნდა ისარგებლოს, გამოიყენოს იგი თავის სასარგებლოდ და სცადოს დამკვიდრება დიდი საქართველოს: მხოლოდ ამის შემდეგ მას შეერგება და გამოადგება სამუდამო ნეიტრალიტეტის ძებნა და მოპოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელ ფარგლებში მოქცეული საქართველო იძულებული იქნება უარი სთქვას თავის ნეიტრალიტეტზე, როგორც საბერძნეთი მოიქცა 1861 წელს.

სირიიდან ყარსისკენ მიმავალ საფრანგეთს ინგლისი წინ აღუდგება ყარსის სამხრეთით და ჭოროხის ხეობის სათავეში. რადგან საფრანგეთი სამხრეთიდან სომხეთის დროშის ქვეშ მიდის, ამიტომ ინგლისიც ძალაუვნებურად საქართველოს დროშას ამოეფარება და ყველანაირად ეცდება, რაც შეიძლება სამხრეთისკენ წასწიოს იგი და ფრანგულ სომხეთს წინ დაუხვედროს ინგლისური საქართველო. ეს მოსაზრება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს საზღვრების გაფართოვებას სამხრეთით და ეცდება ამ საზღვრებში მოაქციოს ყარსი, ისპირთორთუმი და ლაზისტანია.

ყარსისა, ლაზისტანისა და ისპირთორთუმის შექმნა, დაცვა და შენარჩუნება შეგვიძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოსა და ოსმალეთს შორის აშენდა ერთი და ორი ზღუდე. სომხეთი და ტრაპეზუნდი. ამ სახელმწიფოების აღდგენა, ვიმეორებ, საქართველოს აღდგენას უდრის, მაგრამ საქართველოსთვის სულ ერთი არ არის ძალა და რაოდენობა იმ ახალ ერთეულებისა, რომელნიც ჩვენი სამშობლოს გარშემო იზადებიან და მოქმედებენ. თუ განხორციელდა პარიზში შემუშავებული გეგმა ფრანგულ სომხეთის შექმნისა (რუსეთისა და ოსმალეთის სომხეთის გაერთიანების), იგი დიდ საქართველოზედაც კი მეტი იქნება სამხრეთკავკასიის (სომხეთი შე-

იცავს 372,000 კილომეტრს, ხოლო საქართველო 104,000 ვერსს, ანუ 110,000 კილომეტრს.), საშუალო საქართველოზე თითქმის ხუთჯერ მეტი, ხოლო დღევანდელ საქართველოზე ექვსჯერ მეტი. იგი არ დაუვარდება მთელ კავკასიას, თითქმის ორჯერ გადააჭარბებს ამიერკავკასიას და ერთნახევარჯერ — იტალიას. ასეთი დიდი სახელმწიფოს შექმნა დაარღვევს წინა აზიაში ძალთა სწორწონობას და დაემუქრება საქართველოს. ამის სანინააღმდეგოდ საქართველომ უნდა ამოიწიოს და მთელი თავისი ძალა-იმედი შეუერთოს დიდ ბრიტანეთს, რომლის ინტერესი სავსებით ეთანხმება საქართველოს ინტერესს, ესე იგი: წინააღმდეგ ფრანგული სომხეთ-ასურეთისა შეიმქნას ინგლისური დიდი საქართველო და ტრაპეზუნდი. ხოლო ამ მიზნის განხორციელებისათვის და ძალთა სწორწონობის დასამყარებლად საჭიროა, რომ 1. გადაეცეს მომავალ პონტის სახელმწიფოს ტრაპეზუნის ვილაიეთი გარდა ლაზისტანისა, რომელიც საქართველოს უნდა შეუერთდეს. 2. ჩამოეჭრას სომხეთს და გადაეცეს საქართველოს ნაწილი არზრუმის ვილაიეთისა (ისპირი და თორთუმი). 3. მთელი ყარსის ოლქიც უნდა შეუერთდეს საქართველოს. 4. რადგან ყარსის მართვა-გამგეობა და შენარჩუნება შეუძლებელია ბორჯომ-ახალციხე-არტაანის გზით, ამიტომ საქართველოსვე უნდა გადაეცეს თბილის-ყარსის გზა და ხიდი — გუმბრის მაზრა, — წინანდელი შულავერი, — რომელიც მრავალ საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეკუთვნოდა. 5. საქართველოსვე უნდა დაუბრუნდეს მისი ისტორიული კუთვნილება — ყაზახი და საინგილო.

ასეთ საზღვრებში მოქცეული საქართველო მაინც სამჯერ ნაკლები იქნება სივრცით სომხეთზე და თითქმის გაუთანასწორდება მას მცხოვრებთა რაოდენობით: სომხეთმა რომ მოახერხოს და გაფანტულ სომეხთა უმრავლესობა მოაგროვოს თავის ტერიტორიაზე, სომხები შეადგენენ იქ არაუმეტეს 30-35 პროც.-სა, ხოლო ქართველები დიდ საქართველოში მაინც შეადგენენ 60 პროც.-მდის, რაიც მალე ისეთ ძალას მისცემს საქართველოს, რომ იგი არაფრით ჩამორჩება სომხეთს, თუმცა სომხეთს ტერიტორია სამჯერ უფრო მეტი ექნება, ვიდრე საქართველოს.

ამ ისტორიულსა და უდიდეს საქმეს, — დიდ საქართველოს შექმნას, — რა თქმა უნდა, დიდი ძალა სჭირია. მოკლედ მოვჭრი: ამ გეგმას საქართველო თავის მცირე ძალებით ვერ განახორციელებს. არც სომხეთი, არც სირია და არც პონტო თავისი საკუთარი ძალებით ვერც შექმნიან და ვერც შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. თანახმად ბუნების კანონისა, სუსტნი ძლიერებლაუჭებიან და მათი დახმარებით არსებობენ, იზრდებიან და ვითარდებიან.

საქართველო მსოფლიო ძალთა გზა და ხიდია, რომლის ხელში ჩასაგდებად კიდევ მრავალი სისხლი დაიღვრება და მის ზურგზე მრავალჯერ დაეჯახებიან ერთმანეთს დიდი სახელმწიფონი.

ჩვენი დამოუკიდებლობა ნაყოფია ამ ძალთა კომბინაციისა, რონელიც ჩვენ თვალწინ იცვლება. ჩვენი ვალია ამ კომბინაციის მიმდინარეობას გავყვეთ და არსებული პირობები გამოვიყენოთ ჩვენი ხალხ-

ისა და სამშობლოს სასარგებლოდ.

დამყარება, დაცვა და განმტკიცება დიდი საქართველოსი ზემოხსენებულ საზღვრებში ისეთი განუზომელი და ისტორიული საქმეა, რომ მისი გულისთვის ჩვენ ვერაფერს დავზოგავთ. თუ უზრუნველყოფილი იქნება მშვიდობა და ეროვნულ ძალთა განვითარება, მრავალჯერ იმატებს პროცესი საქართველოს სულიერ-კულტურულ გაერთიანებისა, ეკონომიკურ განვითარებისა და საქართველო ნახევარი საუკუნის შემდეგ გადაიქცევა ცენტრად ევროპიულ კულტურისა წინა აზიაში.

საქართველოს თანამედროვე თაობას ბედმა დააკისრა უაღრესად დიდი ვალდებულება და პასუხისმგებლობა წინაშე მომავალ საქართველოსი. ამ თაობამ უნდა ისარგებლოს იშვიათი შემთხვევით, პირნათლად შეასრულოს თვისი ვალი და დაიმსახუროს სამარადო მადლობა მომავალ თაობათა.

(1919, 18-19 თებერვალი)





ლალი ავალიანი

ცისფერყანწილები

თითქმის ერთი საუკუნე გვაშორებს ცისფერყანწელთა, ე.წ. ქართველ სიმბოლისტთა ჯგუფის დაფუძნების (1915-16 წლების მიჯნა) დროს. ის, რომ ოცდამეერთე საუკუნეშიც არ განელბულა ინტერესი „ცისფერი ორდენის“ მიმართ (მარტო ჩვენში კი არა, — უცხოეთშიც), მიგვანიშნებს მის ჭეშმარიტად ნოვატორულ სულს და ცხოველმყოფელობას. შესაძლოა, ახლა, ინტერტექსტუალიზაციისა და გლობალური ეკლექტიკის ჟამს, უფრო მკაფიოდ წარმოჩნდეს, — როგორ გაუსწრო დროს „ცისფერმა ორდენმა“ და რაოდენ დიდია მისი წვლილი არა მხოლოდ ქართული ლექსის ფორმალური სრულყოფისა და გამრავალფეროვნების, არამედ, ზოგადად, ქართული პოეზიის განახლების საქმეში.

ლიტერატურული დაჯგუფებანი მთლად უცხო ხილი არ იყო ქართული მწერლობისათვის. XIX საუკუნეში პირველად „თერგდალეულებმა“, ე. წ. სამოციანელებმა გამოკვეთეს ნათლად თავიანთი მრწამსი. რუსეთში განათლებამიღებულ „თერგდალეულებს“, — მათ აღიარებულ მოთავეს ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს, გიორგი წერეთელს, კირილე ლორთქიფანიძეს და სხვათ, მოგვიანებით დაუახლოვდნენ პეტრე ნაკაშიძე, ალექსანდრე სავანელი, მიხეილ ყიფიანი, ივანე პოლტარაკცი, ილია წინამძღვრიშვილი... მაგრამ მათ არ უცდიათ ორგანიზაციული გამთლიანება, განსხვავებული ლიტერატურული სკოლის, დაჯგუფების შექმნა, თუმცა ზოგ საკითხში მკვეთრად გაემიჯნენ წინა თაობათა მწერლებს, ე. წ. „მამებს“.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა, რომ ეს არ

იყო სკოლა; ეს იყო ერთი მიზნისაკენ მიმსწრაფი ახალგაზრდობის კავშირი, ახალგაზრდობისა, რომელსაც, პროგრამაზე უწინარეს, განწყობილება და ტემპერამენტიც აკავშირებდა.

„თერგდალეულთა“ უპირველეს მიზანს იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა, ხალხში ეროვნული თვითშეგნების გაღვივება წარმოადგენდა; მწერლობა მათთვის ერთგვარი პლაცდარმიც იყო, რომლის დაუფლებითაც აპირებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას.

დემოკრატიულ იდეალებზე აღზრდილი სამოციანელები „მამებს“ — კონსერვატორული ბერალებს დაუპირისპირდნენ; ლიტერატურული თვალსაზრისით კი „მამათა და შვილთა ბრძოლა“ კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული მიმდინარეობისა და კრიტიკული რეალიზმის ურთიერთდაპირისპირებას გამოხატავდა. ლიტერატურის ისტორიკოსის თვალთახედვით, ეს მართლაც ასეა; თუმცა, ლიტერატურულ მიმართულებათა ამგვარ მკვეთრ შეჯახებას მაშინ ადგილი არ ჰქონია.

ორგანიზაციული გამთლიანებისაკენ სწრაფვა უფრო „მეორე დასელებს“ („მეორე დასი“, ფაქტობრივად, სამოციანელთა ერთ-ერთი განშტოება იყო) და, განსაკუთრებით, „მესამე დასელებს“ ეტყობოდათ, თუმცა მათი თავიდათავი მიზანი პოლიტიკური ხასიათისა გახლდათ, ლიტერატურას კი უფრო „მეორადი“ ფუნქცია ენიჭებოდა. „თერგდალეულები“ თავადაზნაურული ინტელიგენციის წრიდან იყვნენ; მოგვიანებით მათ ხალხოსნები, „დიაკვნის შვილები“, ე. წ. „ტეტიათა მოტრფიალენი“ დაუპირისპირდნენ.

ეს დაჯგუფებანი ხშირად სტიქიურად იქმნებოდა. მათ, უწინარესად, სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული მისწრაფებები ამოძრავებდათ და არა ლიტერატურული სკოლის შექმნის სურვილი.

„ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან“ — ილიას ამ სიტყვებს მეტ-ნაკლებად XIX საუკუნის ყველა ჯგუფი იზიარებდა. მათ უფრო „ძირი“ აინტერესებდათ და მისი რევოლუციური („მესამე დასი“) თუ არარევოლუციური (ხალხოსნების „ხალხში გასვლა“) გარდაქმნისთვის იღვწოდნენ. ზოგჯერ გადაჭარბებითაც კი აფასებდნენ მეცნიერებისა და ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში.

პირველი ქართული ლიტერატურული დაჯგუფება, რომელმაც სრულიად გაცნობიერებულად დაგმო გაკვალული გზა, უარყო სოციალურ-პოლიტიკური იდეალები (ეროვნული — არა!) და „წმინდა ხელოვნების“ მსახურება და ქართული მწერლობის „მსოფლიოს რადიუსით“ გამართვა მოინადინა, — „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი იყო.

საბჭოურ „ოფიციალურ“ კრიტიკაში გაბატონებული მოსაზრებით, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფი ოდენ ნეგატიური მოვლენა იყო, ანტიხალხური, იდეალისტური (ანუ „უიდეო“), ფრანგული და რუსული სიმბოლიზმის უსუსური მიბაძვა, მათი დაგვიანებული გამოძახილი. განსაკუთრებული სიმკვეთრით უნდა თქმულიყო, რომ ეს ჯგუფი „უნიადაგოდ“ აღმოცენდა!

არადა, „ცისფერი ორდენი“ დღეს გვესახება, როგორც სრულიად კანონზომიერი რეაქცია იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და 10-იანი წლების ჩიხში მომწყვედი ქართული ეპიგონური მწერლობის მიმართ.

მართლაც, საქართველოში, 1905-1907 წლების რევოლუციის მომდევნო წლებში რუსეთის დამსჯელი ექსპედიციები თარეშობდნენ. ილიას მკვლევლობამ გამოუსწორებელი ლახვარი ჩასცა ქართული საზოგადოების ეროვნულ ცნობიერებას და ერთიანობას, საქართველოს ინტელიგენცია გაუთავებელი პარტიული კინკლაობით დაქსაქსულიყო; ლიტერატურის სარბიელზე ძირითადად ეპიგონიზმი, მიმბაძველობა გამეფებულიყო; მალე უმაგალითო მასშტაბის სასაკლავო — პირველი მსოფლიო ომიც დაიწყო.

ასეთი ვითარება სწორედ რომ ნოყიერი ნიადაგი გახლდათ რაგინდარა მოდერნის-

ტული თუ ავანგარდისტული მიმართულებების აღმოცენებისათვის.

საგანგებო კვლევას საჭიროებს კიტა აბაშიძის, არჩილ ჯორჯაძის, გრიგოლ რობაქიძის ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრების უდიდესი ზეგავლენა ახალგაზრდა ქართველ პოეტებზე. მათ, გადაუჭარბებლად, გზა გაუკაფეს XX საუკუნის 10-იანი წლების შემოქმედებით ნოვაციებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრიგოლ რობაქიძის საჯარო ლექციები, რომელთაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრეს „ცისფერი ორდენის“ ჩამოყალიბება.

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის „ახალ პოეზიას“ ზიარებულ მომავალ „ცისფერყანწელებს“ აერთიანებდა ეპიგონური პოეზიის სიძულვილი, უწინარეს ყოვლისა კი, ბრწყინვალე პოეტური ნიჭი და ახლისმამძიებლის აზარტი, ახალი, აუთვისებელი თემებისა და ახლებური ფორმების კენ ლტოლვა.

ე. წ. „ქართული სიმბოლიზმი“ ანუ „ცისფერი ორდენი“ 1915-1916 წლების მიჯნაზე წარმოიშვა. ამ დროისთვის ფრანგული სიმბოლიზმი უკვე ისტორიის კუთვნილებად იყო ქცეული, რუსული სიმბოლიზმი კი თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ამ სკოლათა ვარსკვლავებს ელვარება დღემდეც არ დაუკარგავთ, მაშინ კი ვერლენის, მალარმეს, რემბოს, ვერჰარნისა და მეტერლინკის, ბალმონტის, ბრიუსოვის, ბელისა და ბლოკის სახელები სალოცავ კერპებად გაეხადათ. გარემოებაც ხომ ამასვე უწყობდა ხელს.

ისტორიამ დაგვანახა, რომ სიმბოლისტური მიმართულების დამკვიდრებას წინ უსწრებდა სოციალური თუ კულტურული კრიზისი. ფრანგულ ლიტერატურაში სიმბოლიზმი კომუნის დამარცხების შემდეგ ჩაისახა; XIX საუკუნის 80-იანი წლების რუსული ეპიგონური ლიტერატურა ნადსონის მეთაურობით რუსული სიმბოლიზმის პიონერს ვალერი ბრიუსოვს კლასიკური პოეზიის კრიზისად ესახებოდა. უეჭველია ისიც, რომ 10-იან წლებში დამდაბლებული და დაქვეითებული იყო ქართული კლასიკური ლექსი.

ძნელია ვილაპარაკოთ ე. წ. „ქართული სიმბოლიზმის“ მტკიცე და ერთიან იდეურ-ესთეტიკურ მრწამსზე, მწყობრ მსოფლმხედველობაზე. „ცისფერყანწელთა“ ჯგუფმა უფრო ნოვატორობისაკენ სწრაფვით, შინაური ინტიმით, უანგარო მეგობრობით, ორგანიზაციული მთლიანობით და ახალგაზრდობისათვის ნიშანდობლივი სითამამით გან-

იმტკიცა მდგომარეობა, ვიდრე სიმბოლიზმისადმი ერთგულებით, დასაბუთებული იდეურ-ესთეტიკური სისტემითა და შესაბამისი პოეტური პროდუქციით.

ზემოთქმული „ცისფერი ორდენის“, როგორც სრულყოფილი ლიტერატურული „სკოლის“ სისუსტეზე მეტყველებს მხოლოდ და საბჭოურ ლიტერატურათმცოდნეობაში ფეხმოკიდებულ აზრს მისი უნიადაგობის და ეპიგონიზმის შესახებ საფუძვლად ვერ გამოადგება. ობიექტური პირობები ქართული მოდერნიზტული, ავანგარდისტული თუ დეკადენტური ლიტერატურული ჯგუფის შექმნისათვის ნამდვილად არსებობდა: რევოლუციური მძვინვარების, რეაქციის პერიოდის რეპრესიებისა და პირველი მსოფლიო ომის დასაწყისი იყო სწორედ ის ნიადაგი, რომელზედაც შეეძლო აღმოცენება სწორედ დეკადენტურ-სიმბოლისტურ მიმართულებას. ამას დაერთო ის რეალური საფრთხეც, რასაც უქადდა ქართულ პოეზიას „საკუთარ წვენში დუღილი“, უფრო თანამედროვედ რომ ვთქვათ, — იზოლაციონიზმი და ეპიგონიზმი.

10-20-იანი წლების სხვა ქართული სალიტერატურო დაჯგუფებანი ექვსი, შვიდი, ანდა სულაც 13 წლის დაგვიანებით შეიქმნა. მიუხედავად „ცისფერი ორდენის“ მიმართ პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-ესთეტიკური „დიდი მტერობისა“, ისინი დიდად იყვნენ დავალებულნი „ცისფერი ორდენისაგან“.

„ცისფერყანწილთა“ ჯგუფი ანუ როგორც თვითონ მოიხსენიებდნენ თავს — „ცისფერი ორდენი“, 1915-1916 წლების მიჯნაზე ქუთაისში შეიქმნა. ჯგუფის სახელწოდება მათ პირველ ბეჭდურ ორგანოს ალმანახ „ცისფერ ყანწებს“ უკავშირდებოდა (I ნომერი გამოიცა ქუთაისში, 1916 წლის 28 თებერვალს, II — იქვე, ამავე წლის დეკემბერში, რედაქტორი — პაოლო იაშვილი).

სარბიელზე გამოსვლისთანავე ჯგუფი ავანგარდისტული სკოლებისათვის დამახასიათებელ თვითდამკვიდრებას ანუ თვითრეკლამას შეუდგა.

დასაწყისისთვის მათი მოქმედების არეალი საკმაოდ შეზღუდული იყო: „ცისფერ ყანწებში“ გამოქვეყნებულ დეკლარაციებსა (პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, ტიცციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“) და მხატვრული პროდუქციის ერთ ნაწილში, ფართო მკითხველმა საზოგადოებამ, არცთუ უსაფუძვლოდ, უწინარესად, გამოწვევა და ახალგაზრდული სითამამე დაინახა, წინაპარ-

თა ღვანლის დაუფასებლობა და უარყოფა — მკრეხელობად მიიჩნია. ალმანახის გამოსვლამ მთვლემარე ქუთაისში, როგორც ამბობდნენ, მეხის გავარდნის ეფექტი იქონია; თუ იმდროინდელი ქუთათური საზოგადოების „სტაგნაციას“ გავითვალისწინებთ, ეს არ იყო ურიგო საქმე!

უნდა ითქვას, რომ „ცისფერ ყანწებს“ იმთავითვე გამოუჩნდნენ მფარველნიც და დამფასებელნიც, რომელთაც განჭვრიტეს ჭაბუკ მემამბოხეთა შემოქმედებითი პოტენციალიც და „დაკანონებულ“ ლიტერატურულ ნორმათა „ხელყოფის“ მცდელობაც დადებით მოვლენად მიიჩნიეს. უწინარეს ყოვლისა, ესენი გახლდნენ ღვანწმოსილი და გავლენიანი კიტა აბაშიძე და „ცისფერყანწელთა“ უფროსი მეგობარი და მაცესტრო გრიგოლ რობაქიძე.

1916 წელსვე „ცისფერყანწელთა“ განზრახვა ყოველკვირეული სალიტერატურო გაზეთის „ცისფერი ყანწების“ გამოცემისა ვერ განხორციელდა, რადგან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ნება არ დართო ამ „გაურკვეველი მიმართულების“ ჯგუფს ესარგებლა მისი სტამბით.

„ცისფერყანწელებმა“ საჯარო გამოსვლებს მიმართეს; სწორედ საჯარო გამოსვლებმა თეატრსა თუ კაფეებში მოუტანა მათ უეცარი პოპულარობაც და საზოგადოების მოზრდილი ნაწილის მხარდაჭერაც. თუმცა, 1916 წელსვე, ახალგაზრდა პოეტთა მიერ დეკადანსისა საერთოდ და, კერძოდ, სიმბოლიზმის, აგრეთვე, „წმინდა ხელოვნებისადმი“ ხოტბის აღვლენამ, ბოჰემურმა განწყობილებებმა, ლიტერატურული „თამაშისა“ და პოზიორობისაკენ სწრაფვამ, ახალგაზრდულმა ეპატაჟმა, მკრეხელურმა გამონათქვამებმა ქართველ კლასიკოსთა მიმართ — ოდიოზური სახელი მოუხვეჭა ჯგუფს. ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი მხატვრული ღირსებანი: ნოვაციებისადმი ლტოლვა, ქართული ლექსის ფორმის სრულყოფისაკენ სწრაფვა, ახლებური, აუთვისებელი თემებისა თუ სახეების შემოტანა და დამკვიდრება. გართულებული მხატვრული აზროვნება, დეკადენტური განწყობილებანი თითქოს „ისტორიული აუცილებლობითაც“ იყო განპირობებული: უკვე ითქვა, რომ მიმბაძველებმა ჩიხში მოამწყვდიეს ქართული კლასიკური ლექსი.

1916 წლის დამლევს, როცა ქუთაისში „ცისფერი ყანწების“ მეორე და უკანასკნელი ნომერი გამოვიდა, მას უწინდებული ვნება-

თაღელვა და მძაფრი კრიტიკა აღარ გამოუწვევია.

„ცისფერყანწელთა“ აღიარებისა და აღმავლობის პერიოდი იწყება საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, 1918 წლიდან. მაშინ დასავლეთ საქართველოდან დედაქალაქს მოაშურა ქართულმა შემოქმედებებმა ინტელიგენციამ. დაიწყო, როგორც სერგო კლდიაშვილი იგონებდა, „დიდი გადმოსახლება“ ქუთაისიდან თბილისში. „ცისფერყანწელთა“ ძირითადმა ბირთვამაც თბილისში დაიდო საბოლოო ბინა.

დიდი წარმატებით ჩატარდა მათი პირველი სალამო თბილისში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ქუთაისშიც და თბილისშიც დაისტამბა მათი ჟურნალ-გაზეთები. 20-იანი წლების დასაწყისში მათი ლიტერატურული „მტრების“ აღიარებთაც კი, „ცისფერყანწელებს“ ხელთ ეპყრათ ჰეგემონობა ქართულ პოეზიაში.

„ცისფერყანწელთა“ ბეჭდვით ორგანოებს „ცისფერი ორდენის“ ძირითადი ბირთვი მეურვეობდა. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, პაოლო იაშვილის, — „ცისფერი ყანწების“ რედაქტორის, ჯგუფის აღიარებული მოთავის ორგანიზატორული ნიჭი და შემოქმედებითი სითამამეა აღსანიშნავი. ვალერიან გაფრინდაშვილი ხელმძღვანელობდა იმ დროისათვის ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებს“ (გამოდიოდა 1919-1924 წლებში, ქუთაისსა და თბილისში); გაზეთ „ბარრიკადს“ (თბილისი, 1920, 1922, 1924 წწ.) ტიცციან ტაბიძე რედაქტორობდა; გაზეთ „ბახტრიონს“ (თბილისი, 1922-1923 წწ.) — გიორგი ლეონიძე, გაზეთ „რუბიკონს“ (თბილისი, 1923 წ.) სარედაქციო კოლეგია განაგებდა. ქუთაისში დარჩენილმა სანდრო ცირეკიძემ დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც დააარსა „ცისფერყანწელთა“ გამომცემლობა „კირჩხიბი“, გამოსცა „ახალი მწერლობის ანთოლოგია“, ვალერიან გაფრინდაშვილისა და კოლაუ ნადირაძის პირველი პოეტური კრებულები, სტეფან მალარმეს ლექსთა ქართული თარგმანები, საკუთარი მინიატურების კრებული „მთვარეულები“, მისივე რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „შვილდოსანი“ (ქუთაისი, 1920 წ.).

„ცისფერყანწელთა“ ჟურნალ-გაზეთებში ბევრი ისეთი ავტორის გვარი გვხვდება, რომელიც „ცისფერ ორდენს“ ორგანიზაციულად არ განეკუთვნებოდა. პაოლო იაშვილი 1922 წელს გაზეთ „ბარრიკადში“ ათ „ცისფერყანწელს“ ჩამოთვლიდა: გრიგოლ რობა-

ქიძე, ტიცციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, სანდრო ცირეკიძე, ალი არსენიშვილი, ნიკოლო მინიშვილი, გიორგი ლეონიძე, შალვა აფხაიძე და პაოლო იაშვილი. ტიცციან ტაბიძის თქმით, „ცისფერ ორდენში“ 13 წევრი იყო („ბარრიკადი“, 1924 წ.); 1924 წელს პაოლოც ამ რიცხვს იმეორებდა. „ცისფერყანწელები“ იყვნენ აგრეთვე სერგო კლდიაშვილი, რაჭდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ივანე ყიფიანი, ლელი ჯაფარიძე, გიონ საგანელი და ზოგიერთი სხვაც, მაგრამ ჯგუფის მოთავის პაოლო იაშვილის მიერ 1922 წელს დასახელებული ათი პოეტი უთუოდ სული და გული იყო „ცისფერი ორდენის“.

მიუხედავად იმისა, რომ გრიგოლ რობაქიძეს, მის სალექციო, თეორიულ თუ მხატვრულ შემოქმედებას, — დიდი წვლილი მიუძღვის პოეტურ ნოვაციითა და ნერვოზსა და ახალგაზრდა პოეტთათვის გეზის მიცემასა და ნახალისებაში; მიუხედავად იმისა, რომ პაოლო იაშვილი ათი „ცისფერყანწელის“ ნუსხას გრიგოლ რობაქიძით იწყებდა, ხოლო ტიცციან ტაბიძე ცამეტ „მოციქულთა“ (ანუ ჯგუფის წევრთა) შორის უპირველესად „მოდერნიზმის ქადაგს“, მათ უფროს მეგობარს და იდეურ შთამაგონებელს ასახელებდა, დღევანდელი გაგებით, გრიგოლ რობაქიძე უფრო „საპატიო თავმჯდომარე“ გახლდათ „ცისფერი ორდენისა“ და არა ერთპიროვნული ლიდერი, ანდა, თუნდაც რიგითი წევრი!

რა თქმა უნდა, გრიგოლ რობაქიძის გარეშე, შეუძლებელია „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი „ჯგუფური პორტრეტის“ წარმოსახვა.

მას შემდეგ, რაც გრიგოლ რობაქიძის ტაბუდადებული სახელი მეცნიერულ „ბრუნვაში“ მოხვდა, (80-იანი წლების მეორე ნახევრიდან), ზოგმა კრიტიკოსმა, თავის დროზე სულ ბდღვირი რომ აღინა „ფაშისტ“ რობაქიძეს, ახლა, მედროვეთა წესისამებრ, „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მოთავედ აღიარა იგი. თუმცა, საბუთიანობის გარეშე ამგვარ განცხადებას უფრო დეკლარაციული ელფერი დაჰკრავდა და, ამდენად, ნაკლებად ღირსსაცნობი იყო.

საქმე ის გახლავთ, რომ გრიგოლ რობაქიძისა და „ცისფერი ორდენის“ ურთიერთმიმართება, თავად რობაქიძემ, 1916 წელსვე ამცნო საზოგადოებას.

აღმანახის პირველ ნომერში (გარდა მანიფესტებისა: პაოლო იაშვილის „პირველთქმა“, ტიცციან ტაბიძის „ცისფერი ყანწებით“)

დაბეჭდილი იყო გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ლელი ჯაფარიძის, ივანე ყიფიანის ლექსები. გალაკტიონის, იოსებ გრიშაშვილის და ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა „საეჭვო მიმართულების“ აღმანახში გამოქვეყნება საზოგადოების ერთმანაწილმა მტკივნეულად აღიქვა; საყვედურიც შეჰკადრეს მათ, თუმცა უსაფუძვლოდ: „ცისფერყანწელთა“ რიცხვს ისინი არ მიეკუთვნებოდნენ. საცნაურია, რომ ამ დროისათვის გალაკტიონი ოლია ოკუჯავას წერს: საბოლოოდ დავმორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილიო.

ახალგაზრდული ეპატაჟითა და, ნებისმიერი ხერხით, „მეხის გავარდნის“ ეფექტის მოხდენის სურვილით, ძირითადად, პაოლო და ტიცვიანი იყვნენ შეპყრობილნი. სწორედ ამიტომ, ქართული კრიტიკა უპირატესად პაოლოს „პირველთქმის“, მისივე ლექსების („პაოლო იაშვილს მომენყინა ყვითელი დანტე“ და „დარიანული“) და ტიცვიან ტაბიძის ვრცელი წერილის წრეგადასული ლანძღვით კმაყოფილდებოდა.

აღმანახის პოეტური განყოფილება გრიგოლ რობაქიძის ლექსით „სირენას სიმღერით“ იწყებოდა. დღეს ჩვენს ყურადღებას უფრო მიძღვნა — „თ-დ კიტა აბაშიძეს“ და წითელი საღებავით გამოყოფილი რითმა იპყრობს, ვიდრე ლექსის ღირსებანი.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ გრიგოლ რობაქიძეს ამ დროისათვის უდიდესი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული სალექციო მოღვაწეობით და ფილოსოფიურ-ესთეტიკური თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით (უფრო ნაკლებად — ლექსებით!). „ცისფერყანწელებს“, ცოტა გაუბრალოებით რომ ვთქვათ, სახელოვანი მანქანა უფრო ესაჭიროებოდათ, ვიდრე პოეტი — თანამოსაგრე.

ტიციან ტაბიძემ ასე წარმოაჩინა გრიგოლ რობაქიძე: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ელოდება გაუგებრობის გაღავანი. მას არაფრად დაჯდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება.

...გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავისი დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრიგოლ რობაქიძემდის“.

მიუხედავად გრიგოლ რობაქიძის ერთგული თანადგომისა და ჭაბუკ „ცისფერყანწელ-

თა“ დიდი თაყვანისცემისა მის მიმართ, მათ შორის გარკვეული დისტანცია სუფევდა.

თბილისის გაზეთ „სახალხო ფურცელში“ (1916 წ., 1 აპრილი) მივაკვლიე გრიგოლ რობაქიძის წერილს, რომელშიც სწორედ ეს დისტანციაა მონიშნული: „ამ დღეებში ქუთაისში გაიმართება ჩემი ლექცია „ცისფერი ყანწების“ შესახებ. ბევრსა ჰგონია, თითქოს მე მარტო „დამცველის“ როლში გამოვდიოდე. ეს მოკლებულია სიმართლეს. მართალია, მე პირადად „ცისფერი ყანწები“ მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ აღმანახის შედგენისათვის საერთო რედაქცია არ ყოფილა გამართული (ყოველი მათგანი იქ მხოლოდ თავის ნაწარმოების პასუხისმგებელია) — და ამისთვის იქ გამოთქმული პრინციპები ჩემთვის სავალდებულო არ არის და არც რომელიმე მხატვრული ნაწარმოებია იქ მოთავსებული ჩემთვის უთუოდ მოსაწონი: ზოგი პრინციპი მისაღებია, — ზოგი არა; ზოგი ნაწარმოები მოსაწონია, ზოგი არა. სწორედ ამის გასარკვევად ვაპირებ ლექციის წაკითხვას ქუთაისში, როცა „ცისფერი ყანწების“ გარშემო ასეთი საზარი ატმოსფერო შეიქნა. მოვალეცა ვარ, როგორც აღმანახის მონაწილე, საჯაროდ ვთქვა ჩემი სიტყვა...“

თანაც, გრიგოლ რობაქიძე ნამდვილად არ იყო ერთადერთი, ვინც მხარს უჭერდა „ცისფერყანწელებს“ და ცდილობდა იმ სასტიკი არეალის გაქარწყლებას, ჭაბუკი პოეტები რომ მოეცვა.

უზადო პიროვნული თუ ლიტერატურული რეპუტაციის მქონე კიტა აბაშიძემ, ჯერ ქუთაისის კაფე-საჩაიეში გამართული საჯარო გამოსვლისას იხსნა „ცისფერყანწელები“ ობსტრუქციისაგან, შემდგომში კი ცნობილი წერილი „გონს მოდით!“ გამოაქვეყნა.

„დაუძინებელი ჩემი მტრები ყვირიან: კიტა აბაშიძე „ფუტურისტია“, კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ მფარველობს და სხვ.

...კიტა აბაშიძე „ფუტურისტებს“ არ მფარველობს იმიტომ, რომ არ იცის, სად არიან ჩვენში „ფუტურისტები“ ამ აზრის ევროპული მნიშვნელობით. თუ „ცისფერი ყანწების“ მწერლებზე ბრძანებთ, ისინი თავისთავს სიმბოლისტებად თვლიან და არა „ფუტურისტებად“.

...ის მიმართულება, რომელსაც ეს მწერლები ემსახურებიან და გამოხატავენ, მიმაჩნია ჩვენი მომავალი ლიტერატურის ერთ ფრიად მნიშვნელოვან საძირკვლად.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ყველაფერი

მომწონდეს „ცისფერ ყანებში“! არა, არ მომწონს...

ჩემი მფარველობა მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ საზოგადოებას ვთხოვე იმ საბედისწერო საღამოზე: „ნუ ავიგდებთ ამ მწერლებს აბუჩად, რომელთაც „ცისფერ ყანებში“ მიუღიათ მონაწილეობა და რომელთაგან ზოგიერთს უკვე საპატიო სახელი აქვს მოხვეჭილი ჩვენში-მეთქი. ძველი და ახალი ყოველთვის იბრძვის, ახალი ძნელი შესათვისებელია, მაგრამ ცხოვრება კი მაინც ითვისებს მას; მხოლოდ ყველაფერი კი არ უნდა მოვიწონოთ ახალში, მოვიწონოთ ის, რაც მოსაწონია და დასაგმობი კი დავგმოთ-თქო“ (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916 წ., 15).

კიტა აბაშიძე ხუმრობით იმასაც შენიშნავდა, „ფუტურისტი“ არა ვარ თუნდაც იმის გამო, რომ ორმოცდახუთს გადავცილდიო.

გრიგოლ რობაქიძე ხომ მრავალი წლის მერე ემიგრაციაში შენიშნავდა, — „ცისფერი ორდენის“ მეთაური არასოდეს ვყოფილვარ, მათი უფროსი მეგობარი ვიყავიო.

მათი გულითადი, წრფელ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა გრიგოლ რობაქიძის საზღვარგარეთ წასვლამდე გაგრძელდა. იყო წვრილმანი გაუგებრობებიც, შემოქმედებითი თუ პირადული, იყო „მიმდინარე პოლიტიკური მომენტი“ ანუ ძალადობით განპირობებული საზარელი „საჯარო“ წერილიც, რომელიც „ფაშისტ“ რობაქიძისაგან გამიჯნავდა მის ყოფილ შეგირდებს.

ფაქტობრივად კი, „მოდერნიზმის ქადაგი“ გრიგოლ რობაქიძე „ცისფერყანელთა“ მარადიულ კერპად დარჩა; უცხოეთში გადახვენილი მაესტრო, რომელიც კარგად იცნობდა კომუნისტების ხრიკებს, მუდამ განსაკუთრებული ტკივილით, სითბოთი და სიყვარულით იხსენებდა პაოლოს, ტიცციანსა და ვალერიან გაფრინდაშვილს.

„ცისფერმა ორდენმა“ კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა ის უძველესი ჭეშმარიტება, რომ ძალა ერთობაშია. ჯგუფი თითქმის ათიოდე წლის მანძილზე „ჰეგემონი“ იყო (ამას პროლეტარული მწერლებიც კი აღიარებდნენ); მაგრამ 1924 წლიდან ჯგუფი ფაქტობრივად ინერციითა და წარსულის მოგონებებით ცოცხლობდა. ამაზე საჯაროდ არ საუბრობდნენ (არც შეიძლებოდა), მაგრამ უეჭველია, რომ ჯგუფის არსებობამ 1924 წლის ამბოხების უსასტიკესი ჩახშობის შემდეგ მართლაც დაკარგა საყრდენი, ის მართლაც „უნიადაგო“ და ხელმოცარული (გადატანი-

თი მნიშვნელობით) აღმოჩნდა.

ღირსსაცნობი იყო ისიც, რომ სისხლიანმა ტერორმა პაოლო იაშვილის 20 წლის ძმა შეინირა; პაოლოს უმწვავესი შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა. შემდეგში სერგო კლდიაშვილი და შალვა აფხაიძე იგონებდნენ, — 1924-25 წლებში პაოლო წინანდებურად აღარ იღვწოდა „ცისფერი ორდენის“ სიმტკიცისათვის, ჯგუფის ფაქტობრივი დაშლაც სწორედ ამან განაპირობაო.

30-იანი წლების დასაწყისში ჯგუფი იურიდიულადაც გაუქმდა; შინაგანმა უთანხმოებამ, დაბნეულობამ და ხიფათის მოლოდინმაც იჩინა თავი. „ცისფერი ორდენის“ წევრები ჯერ ჯგუფის სახელწოდების შეცვლასა და, მავანთ საამებლად, ლიტერატურული თუ ორგანიზაციული პრაქტიკის გადასინჯვას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ... ეს უკვე ჯგუფის სრული ლიკვიდაციის დასაწყისი იყო. 1931 წელს ალი არსენიშვილის მიერ დაწერილი დადგენილება „ცისფერი ორდენის“ თვითლიკვიდაციის შესახებ უჩვეულო სტილით გამოირჩა: „გაუქმებულ იქნას „ცისფერ ყანელების“ ლიტერატურული ჯგუფის არსებობა, რათა სრული საშუალება მიეცეს მის მონაწილეებს, მეტი ტემპებით განაგრძონ თავისი ფსიქოიდეოლოგიური გარდაქმნა დამკვერელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმისთვის“.

თუ როგორ დამთავრდა სამი „ცისფერყანელისთვის“ „დამკვერელი ეპოქის პროცესში უშუალოდ ჩაბმა“, — ყველას კარგად მოეხსენება: პაოლო იაშვილი, ტიცციან ტაბიძე და ნიკოლო მინიშვილი 1937 წელს ემსხვერპლნენ, „ცისფერი ორდენი“ კი გაქრა ლიტერატურის ისტორიიდან. მისი მოხსენიება მხოლოდ უარყოფით კონტექსტში თუ მოხერხდებოდა.

დღესდღეობით გაცხადებულია „ცისფერი ორდენის“ დადებითი როლი XX საუკუნის ქართული პოეზიის განვითარებაში. თავის დროზე სიახლეს მონყურებული „ცისფერყანელები“ ცდილობდნენ ქართული პოეზიის კუთვნილებად ექციათ მსოფლიოს ე. წ. „ახალ პოეზიაში“ გაბნეული სახეები; ზოგი მათგანი „გადმოქართულდა“ და ორგანულად შეერწყა ქართულ პოეზიას, ზოგი კი მივიწყებამ მოიცვა. მათი თანამედროვე კრიტიკა (კეთილმოსურნე და ობიექტური, ზოგჯერ კი მტრულად განწყობილიც კი) სათანადოდ აფასებდა ჯგუფის როლს იმდროინდელი „დულილისა და დანმენდის“, „ფორმისა და ქაოსის ბრძოლის“ პროცესში.

თავიანთი „მოვლენის“ პირველ წლებში

„ცისფერყანწლები“ სიმბოლიზმის ერთ-გულებას ფიცულობდნენ. შემდეგში, როცა მათ უკვე დაიპყრეს ქართული პოეზიის პარნასი, — საოცარი გულმავინყოფა დასჩემდათ: მათ მხატვრულ შემოქმედებაში (იგულისხმება ჯგუფის შემოქმედება მთლიანად და არა ზოგიერთი ცალკეული პოეტიკა) უფრო ხშირად უგულბებელყოფილია სიმბოლიზმის დოგმატი, ვიდრე დაცული; მათს თეორიულ წერილებში სიმბოლიზმის მეტრები თუმცა დიდი აღფრთოვანებით იხსენიებიან, თვით ლიტერატურული მიმდინარეობისადმი ერთგულება აღარ ჩანს.

ჯგუფის სკრუპულოზური კვლევა მიგვანიშნებს, რომ „ცისფერი ორდენის“ „ქართულ სიმბოლიზმთან“ გაიგივება არ არის მართებული. მისი ეკლექტიზმი (გადახრა ფუტურიზმისა თუ დადაიზმისაკენ), თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ზოგჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე გვაძლევს მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით ტერმინად მივიჩნიოთ.

„ქართული სიმბოლიზმის“ პირობით ტერმინად აღიარება ოდნავადაც არ ამცირებს „ცისფერყანწლათა“ ძალუმად გამორჩეულ, მკვიდრად შეკრულ და ძლიერ დაჯგუფებას. ეს იყო პრეცედენტი ქართულ ლიტერატურაში, როცა ახლისმადიებელმა პოეტურმა ნიჭმა, გაცნობიერებულმა ორიენტაციამ, ინტერესთა თანხვედრამ, შინაურმა ინტიმმა და მეგობრობამ შექმნა ჯგუფი და ასეთ სიმაღლეზე აზიდა კიდევც.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრით, ამ ჯგუფის, როგორც ლიტერატურული სკოლის სისუსტეს მოასწავებდა, მეორე მხრით კი, მისი თავიდათავი მიზნისათვის — ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. „ცისფერყანწლებმა“ სიმბოლიზმს მიმართეს, რამეთუ საქართველოში მშობლიური პოეზიის „მსოფლიო რადიუსით გამმართველი“ ძალა არ ეგულბოდათ; ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთავსდა სიმბოლიზმის არტახებში, არც სიმბოლისტური დოგმების რღვევას მორიდებიან.

ასეთი იყო „ცისფერი ორდენი“. წინააღმდეგობრივი, უცხოური მოდური „იზმების“ მიმდევარი, ერთი მხრივ, და, — მშობლიური მწერლობის წრფელი მოამაგე, მისი წინსვლის მოსურნე, ქართული პოეზიის განახ-

ლებისათვის ჯვაროსნული ლაშქრობის მენინავე.

მაინც რა ხიბლი ჰქონდა, ან რა „დანაშაული“ მიუძღვოდა „ცისფერ ორდენს“, აღმანახის პირველი ნომრის გამოსვლისთანავე უზომო პოპულარობა (პოზიტიურიც და ნეგატიურიც) რომ მოიპოვა და დღემდე ლეგენდის საბურველში რომ მოაღწია?

თავის დროზე, მთვლემარე ქუთაისი შეაზანზარა პაოლო იაშვილის „პირველთქმის“ სიტყვებმა: „ვცოცხლობთ სიმთვრალეში და გვნამს ყოველგვარი ორგია... ვადიდებთ დამსხვრევის მშვენიერებას... უარყოფთ წარსულს“...

„პირველთქმის“ ავტორი, ახალგაზრდა მგოსანთა სახელით, ქართველ ხალხს მიმართავდა: ქართულ პოეზიას დაეპატრონენ საცოდავი მომღერლები ავადყოფი ჩანგებით, ყვითელი მასწავლებლები ღმერთის ქადაგების და პატიოსნებისა, საქართველოს უსხივო ხალხმა სითამამის მშვენება დაკარგა და ხელოვნების მეუფებას განუდგა; მაგრამ ოცნებადაკარგულ ხალხს მოველინენ უკვდავი ძმები, ახალგაზრდა მგოსნები, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს უწმინდესი ხელოვნების მტრებს, დავიწყების ზღვაში გადაისროლეს წარსულის ოქროს გვირგვინების ძვირფასი მარგალიტები, ცეცხლს მისცეს ყველაფერი, რაც წარსულმა განადიდდა; სამაგიეროდ კი ქართველ ხალხს აღუთქვეს განახლება, ნათელი მომავალი: „საქართველოს ლანდურ არსებას მოვევლინეთ ჩვენ ახალი სხივმოსილებით და ოცნებადაკარგულ ხალხს ვასწავლით განმედილ გზას მომავლის ცისფერ ტაძრისკენ“.

პაოლო იაშვილი პირდაპირ მიუთითებდა „განახლების მგოსანთა“ ძმებზე — ფრანგ პოეტებზე: „საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი... სადაც გიჟური გატაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები — ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიტყვების მესაიდუმლე და არტურ რიმბო, სიამაყით მთვრალი, დაწყევლილი ჭაბუკი“.

„პირველთქმაში“ სიმბოლისტურ თეორიათა გამოძახილიც გვხვდება: სიმბოლიზმი შემეცნების ორ გზას აღიარებს: ლოგიკურს, რომელიც გარეგან მოვლენებს ანესრიგებს და ინტუიციურს, რომელიც სამყაროს არსს ნვდება. სიმბოლიზმი აღიარებს ინტუიციის პრიმატს ლოგიკაზე და პოეზიას ანუ ინტუიციური შემეცნების ერთ-ერთ სახეობას სამყაროს უმაღლეს, სინთეზურ შემეცნებად მიიჩნევს. ამიტომ ყველამ უნდა აღიაროს პოეზიის, ხელოვნების ქვემეგრდომობა:

„პირველთქმა ჩვენი არის შხამური, იგი ადულტული ფოლადივით დასწავს თქვენს გულს, უწმინდესი ხელოვნების მტერნო, თქვენ, ვისაც არა გნამთ ხელოვნების მეფობა და მისი მაღალი ტახტის წინაშე არ აღიარებთ სამუდამო ქვეშევრდომობას“. პაოლო იაშვილი იმასაც დასძენს, რომ განახლების მგოსანთა „პოეზია გამთბარია მახვილი ინტუიციის ალურობით“.

ვერლენმა საპროგრამო ლექსში „პოეტური ხელოვნება“ მოითხოვა „მუსიკალურ“, თუნდაც გაუგებარ სიტყვათა ხმარება პოეზიაში. ამის გამოძახილს ვხვდებით „პირველთქმაშიც“: „ჩვენ გვსურს შევქმნათ გაუგებარი და საოცარი სიტყვები...“

ჟან მორეასის „სიმბოლიზმის მანიფესტში“ ერთგან ვკითხულობთ: „სიმბოლიზმს ესაჭიროება ენა თამამი შემოქმედისა, რომელიც ისევე ზუსტად ისვრის მიზანში სიტყვას, ვითარცა თრაკიელი მშვილდოსნები ფრთოსან ისრებს“. შევადართოთ „პირველთქმის“ ფრაგმენტს: „ჩვენ ვადიდებთ სიტყვას ახალს, მკაცრს და ისეთ გაბედულს, როგორც მეფური ხელის გაფრენა გაგიჟებულ დირიჟორისა“.

ცხადია, პაოლო იაშვილი კარგად იცნობდა სიმბოლიზმის თეორიულ წანამძღვრებს, მაგრამ იგი, უწინარეს ყოვლისა, „ცისფერი ორდენის“ უპირველესი „მთავარსარდალი“ იყო, ხოლო „როგორც თეორიული, ისე შემოქმედებითი ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე ტიციან ტაბიძესა და ვალერიან გაფრინდაშვილს დაწვავს მხრებზე“ (შალვა აფხაიძე).

სწორედ ტიციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ („ცისფერი ყანწები“, 1, 2) ვხვდებით ცდას, — გაამართლოს სიმბოლიზმის მოვლენა საქართველოში, სადაც „ბატონი შაბლონი დღეს მაღაყიას გადადის ჩვენს ლიტერატურაში. იგი მრავალსახიანი, მრავალფეხიანი და კოსმაროვით აწევს ქართულ სინამდვილეს... თუმცა სიმბოლიზმი... კლასიკურ შკოლად იქცა და ერთი თვალთ უყურებს კიდევ თავის საფლავს, ...ჩვენში სიმბოლიზმს ღამეც არ გაუთევია, მხოლოდ ახლა იწყება ხაზების გახსნა, მხოლოდ დღეს ხდება ეს შეჯგუფება“ (ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ახალგაზრდა ავტორის ეს უკანასკნელი მოსაზრება ეწინააღმდეგება კიტა აბაშიძისა თუ გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისს ქართული სიმბოლიზმის გენეზისის თაობაზე).

სიმბოლიზმის ცნების განსაზღვრისას ტიციან ტაბიძე რემი დე გურმონის სიტყვებს იშველიებდა: „სიმბოლიზმს ახასიათებს: ინ-

დივიდუალიზმი, შემოქმედების თავისუფლება, დასწავლილი ფორმულების უარყოფა, ლტოლვა ყოველივე არაჩვეულებრივისადმი, უცნაურობისადმიც კი...“

შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალ „ცისფერ ყანწებს“ ორი მანიფესტი ჰქონდა: „პირველთქმა“ და „ცისფერი ყანწებით“. შემდეგში დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის ერთობ ღირსსაცნობი ლიტერატურულ-ესთეტიკური წერილები, რომელთაც „ცისფერი ორდენის“ გეზი განსაზღვრეს; მაგრამ შემოხსენებულ ორ მანიფესტს მაინც სხვა ეფექტი გააჩნდა.

ამ დროისათვის საზოგადოება კარგად იცნობდა რუსი ფუტურისტების შემოქმედებას: 1911 და 1914 წლებში საქართველოში გაიმართა ეგოფუტურისტი გორ სევერიანინის (ცნობილ სიმბოლისტ თეოდორ სოლოგუბთან ერთად), შემდეგ კი კუბოფუტურისტების მაიაკოვსკის, დავიდ ბურლიუკისა და ვასილი კამენსკის ლიტერატურული საღამოები. 1914 წელს რუსეთში გამოიცა წიგნი „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტები“, რომლის ფრაგმენტები ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

ამ მემამოხე პოეტებს არაფრად უღირდათ „საზოგადოების გემოვნებისათვის სილის განწა“. „ცისფერყანწელთა“ გამოსვლებშიც კრიტიკოსებმა, უწინარეს ყოვლისა, ეს ტენდენცია შენიშნეს და სასწრაფოდ ფუტურიზმის იარლიყით შეამკეს ახალი მიმართულება, თუმცა ტიციან ტაბიძემ წერილში „ცისფერი ყანწებით“ მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოაცხადა ქართული სიმბოლიზმის „მოვლენა“.

კრიტიკოსთა უმეტესი ნაწილის ამგვარ დაბნეულობას ხელი იმანაც შეუწყო, რომ პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“ აღმოჩნდა ბევრი რამ საერთო იტალიური ფუტურიზმის მანიფესტებთან. ერთმა კრიტიკოსმა, არცთუ უსაფუძვლოდ, „პირველთქმას“ „სიმბოლისტური მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი“ უწოდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ტიციან ტაბიძე შემოხსენებულ წერილში — „ცისფერი ყანწებით“ — სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის დაპირისპირებას არ ახდენდა და ზოგჯერ თავის მოსაზრებათა განსამტკიცებლად ფუტურიზმის ავტორიტეტსაც კი იშველიებდა. მაგ: „ახალი ფუტურისტების ტერმინოლოგიით თანამედროვე კულტურა წარმოადგენს უზარმაზარ ქალაქს...“ ან კიდევ: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთავე-

ლი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მაღარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმის და ფუტურ-იზმის“. ამ ფრაზაში ფუტურიზმი გააზრებულია როგორც „მომავლის ხელოვნება“, ე. ი. სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და არა როგორც ლიტერატურული მიმართულება, რომელიც მაშინ საქართველოში არ არსებობდა და ახლად ფეხადგმულ სიმბოლიზმს მეტოქედაც არ ესახებოდა.

„პირველთქმისა“ და ზემოხსენებული „იტალიური ფუტურიზმის მანიფესტების“ შეპირისპირებისას მართლაც შეინიშნება თანხვედნილობა, რომელიც შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

პაოლო იაშვილი, ცხადია, კარგად იცნობდა ფუტურიზმის მანიფესტებს; მარინეტის მანიფესტს, რომელიც 1909 წელს პარიზის გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა, ის პარიზშივე გაცნობოდა. „ცისფერი ორდენის“ მოთავეს პირადი ნაცნობობა ჰქონდა იგორ სევერიანინთან და ვლადიმერ მაიაკოვსკისთანაც.

უპირველესი, რაც განასხვავებს „პირველთქმას“ არამცთუ ფუტურიზმის, არამედ სიმბოლისტურ სკოლათა საპროგრამო მანიფესტებისაგან, — ესაა სამშობლოს სიყვარული, საქართველოს განახლებისა და წინსვლის დაუოკებელი სურვილი:

„საქართველოს ფირუზ ხელებს გადავცით ჩვენით აღსარება, ჩვენი წმინდა პირველთქმა.

...მოფრინდა სურვილი ოქროს ფრთებით და აიტაცა ჩვენი სიმღერა, რომელიც ამიერიდან იქნება მარადი, ისე როგორც ჩვენი ქვეყანა. საქართველოს ხალხო, დავინყებულო, მაგრამ დიდებით დაგვირგვინების ღირსო!

...უდიდესი თვისება არსებობისა არის სიამაყე — ამაღლდეს ერი ჩვენი და თვითშეყვარებით აოცებდეს ქვეყნიერებას“...

საპროგრამო ხასიათისაა „ცისფერი ყანების“ უსათაურო ლექსიც, რომელშიც კლასიკური ხელოვნების უარყოფი პოეტი საკმაოდ რეალისტურად გადმოგვცემდა „სიმბოლისტური კაბადონის“ ერთ-ერთ თეზისს:

პაოლო იაშვილს მომენყინა

ყვითელი დანტე,

ვაქებდი შექსპირს, მაგრამ ფარდა,

შექსპირს უარი,

რა ვქნა, რომ ჩემთვის ბეთხოვენი

მხოლოდ ყრუ არი

*და რომ წარსულმა ვერ გადმოცა
მე ანდამატი...*

პაოლომ ესეც არ იკმარა და, თავისი ეროტიკული ლექსებისათვის მეტი სიმძაფრე რომ მიეცა, ლიტერატურულ მისტიფიკაციას მიმართა: „ელენე დარიანის“ სახელს ამოეფარა. მაშინ ამ არარსებული პიროვნების არსებობაში ეჭვიც კი არავის შეჰპარვია. ცხადია, ქუთაისლები თანაბრად აღაშფოთა „პირველთქმამ“, ზემოხსენებულმა ლექსმა და, განსაკუთრებით, „ქართველი ქალის“ „ურცხვმა“ ლექსებმა. ამიტომ სწორედ პაოლომ იწვინა „ცისფერი ორდენის“ წინააღმდეგ მიმართული შემოტევების მთელი სიმძიმე, ტიცციან ტაბიძისა და ვალერიან გაფრინდაშვილის საპროგრამო წერილები თუ ლექსები კი შედარებით ჩრდილში აღმოჩნდა.

„ცისფერყანნელებმა“ სანადელს მიაღწიეს: აღმანახმა უმაღ მიიპყრო ქართული პრესის ყურადღება. გაზეთი „ჩვენი მეგობარი“ იუწყებოდა: „ეს ერთი ხანია, ქუთაისში „შუბებს ამტვრევენ“ „ცისფერი ყანნების“ გარშემო... მოხუცმა თუ ხანში შესულმა, ახალგაზრდამ თუ უსუსურმა, დაკარგეს სულის სიმშვიდე და ქუთაისში ომია, ქუჩაში გამართული ომი...“

გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ „ცისფერყანნელებს“ უჩვეულო პოპულარობა მოუხვეჭა სწორედ იმდროინდელი პრესის გაუთავებელმა და წრეგადასულმა გამოხდომებმა.

„ცისფერი ყანნების“ მეორე და უკანასკნელი ნომრის გამოსვლისას უკვე შერბილდა ის მტრული გარემოცვა, რომელიც სკანდალურ სახელს უხვეჭდა ჯგუფს; ამასთან, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ჯგუფის დადებითი როლი ქართული ლექსის განახლებისათვის. ევროპული ორიენტაცია პოეზიაში, შერწყმული მშობლიური მწერლობის წინსვლის დაუოკებელ ჟინთან — სრულიად მისაღები აღმოჩნდა. „ცისფერყანნელთა“ სხვა პერიოდული ორგანოები წინააღმდეგობას აღარ აწყდებოდნენ; მით უმეტეს, რომ მათი ეპატაჟური ტონიც მკვეთრად შერბილდა.

„ცისფერი ორდენი“ ის-ის იყო მკვიდრდებოდა, რომ ტიცციან ტაბიძემ წერილში — „ცისფერი ყანნებით“ უარყო იდეალიზმის გაფეტიშება: „ცისფერი“ ფერია რომანტიზმის... ფილოსოფიურმა იდეალიზმმა იმაში ნახა გამოსავალი. საქართველოში „ცისფერ ყვავილს“ ღერო წითელი ქონდა. ქართველებისათვის ცა და მიწა სამუდამოდ არასოდეს

არ გაყრილან... გულგრილად ვუცქერო ახლაც მატერიალიზმის და იდეალიზმის დუელს... ჩვენში უკვე შერიგდნენ სული და ხორცი“.

ტიციან ტაბიძემ იდეალიზმს „ჭეშმარიტი ქართული მსოფლმხედველობა“ ანუ იდეალიზმისა და მატერიალიზმის ნაზავი დაუპირისპირა.

ახლადმოვლენილმა ქართველმა სიმბოლისტებმა ფრანგულ სიმბოლიზმს მიაპყრეს მზერა; მათი მანერო გრიგოლ რობაქიძეც ხომ დიდად აფასებდა ახალი ფრანგული პოეზიის კორიფეებს. ტიციან ტაბიძე მოითხოვდა, „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმეო“ და ბოდლერის „ბოროტ ყვავილებს“ რგავდა ბესიკის ბალში („ქალდეას ქალაქები“):

*გაფიზის ვარდი მე პრუდომის
ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბალში ვრგავ ბოდლერის
ბოროტ ყვავილებს...*

*ან კიდევ:
...და მე ხანდახან მეჩვენება,
ვითომ სამყარო,
ბალია დიდი, დაწყველილი
და შხამიანი.
მძიმე მხედარნი, შუბლშეკრული
და უაბჯარო
მოჭქრიან: რემბო, ერედია,
ემილ ვერჰარნი...
(„უაბჯარონი“, 1916)*

პაოლო იაშვილი, რომელმაც ტრიპტიქი — სამი სონეტი უძღვნა ფრანგ პოეტებს („მალარმე“, „ვერლენ“, „ვერჰარნი“) აცხადებდა: „ვერლენი, ბოდლერ და მალარმე, ამ სამებაში მე ყველა მიყვარსო“...

ნიშანდობლივია ვალერიან გაფრინდაშვილის „*lit & iaur* — პირველი“ (1916 წ.):

*ავანთებ სანთელს ვრუბელის წინ
მოთენთილ ხელით,
გადავშლი ბოდლერს,
გადვიკითხავ მის „მარტოობას“,
მეტყვიან ლანდნი, უცხო ლანდნი:
„ისევ მოგელით,
შემოგვიერთდით ახლობელო,
გიცხადებთ ძმობას“.*
*...ავახელ თვალებს და
გაჭქრება ლანდთა ღრუბელი,
ჩემს წინ ბოდლერი,
გადაშლილი ვით სახარება;*

*გიჟურ თვალებით შემომხედავს
ჩემი ვრუბელი,
სინამდვილეში დაბრუნება დამეზარება...*

„ახლობლობა“, „ძმობა“ — გიორგი ლეონიძესთან კიდევ უფრო ღრმავდება: „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე“ („ავტოპორტრეტი“).

„ცისფერყანწელებს“ პოეზიაში ფრანგული ორიენტაცია მშობლიური მწერლობის ღალატად არ ესახებოდათ: „სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არი. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრი სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათვისაც გაუტანებია. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისათვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“. ...როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. ნაციონალური აპერციფციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს“, — წერდა ტიციან ტაბიძე.

შალვა აფხაიძის მოსაზრებით, „მართალია, სიმბოლიზმი როგორც შკოლა დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისათვის არსად არ არის ნიადაგი მზათ ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით; აღმოსავლეთის თვალუნვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები“ („მეოცნებე ნიამორები“, 1919 წ.).

ევროპული ორიენტაციის მიღებით „ცისფერყანწელები“ ფიქრობდნენ ბოლო მოვლეთ მშობლიური ლიტერატურის ჩამორჩენილობისათვის, მოესპოთ მისი „შინჩაკეტილობა და საკუთარ წვენი დუღილი“, მათი ფიქრი „პოეზიის მსოფლიოს არესაკენ“ იყო მიმართული. „ცისფერყანწელთა“ პატივმოყვარული, იმავდროულად, ღრმად პატრიოტული სწრაფვა — ქართული პოეზიის მსოფლიო სარბიელზე გაყვანისა — ქართული კულტურის გამარჯვებასაც მოასწავებდა უთუოდ: „პოეზია, — აყვანილი ეტნოგრაფიდან და ეროვნულ პროვინციალიზმიდან უნივერსალურ ფორმამდე უფრო ამაგრებს ეროვნულ ხერხემალს და ამართლებს ერსაც“, — ვკითხულობთ „ბარრიკადაში“ (1922 წ.).

ისიც უნდა ითქვას, რომ მომავალი „ცისფერყანწლები“ ახალ პოეზიას უმთავრესად რუსეთში (ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიცციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე...) და საფრანგეთში (პაოლო იაშვილი) ეზიარნენ, თუმცა იმ დროისათვის 10-იან წლების ევროპაში სიმბოლიზმმა უკვე დათმო პოზიცია და არის გარკვეული კანონზომიერება მასში, რომ ქართველ პოეტთა მნიშვნელოვანი ჯგუფი გაიტაცა არა ფუტურ-იზმმა, დადაიზმმა ან აკმეიზმმა თუ იმაციზმმა, არამედ სწორედ „დრომოჭმულმა“ სიმბოლისტურმა მიმართულებამ.

„ცისფერყანწელთა“ ქედმოხრა დასავლური ახალი პოეზიის მიმართ არ ნიშნავდა „მონურ მიბაძვას“ ყოველივე უცხოურისადმი, მშობლიური ქვეყნის საზიანოდ. პირიქით, — მათი საბოლოო მიზანი იყო ქართული მწერლობის წინსვლა ევროპული პოეზიის სიახლეთა ათვისების გზით, მისი გამართვა „მსოფლიო რადიუსით“.

„ამკარაა წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები“, — წერდა ტიცციან ტაბიძე 1916 წელს („ცისფერი ყანწები“, 2).

პაოლო იაშვილის აზრით კი, — „უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტის უნდა იყოს, რომ მან, სავსემ და დამძიმებულმა ერის ყველა ხმებით და ისტორიის რაინდული ეპოპეებით, გააგონოს მთელ ქვეყნიერებას ყურის მგლეჯელი ღრიალი“ („ბახტრიონი“, 1922 წ.) „ცისფერყანწლებმა“ თავისებურად გარდასახეს ნიცშეანური მესიანიზმი: „დღეს იწყება ძირიანად შეცვლა ქართული აზროვნების, ...დამონებული სული უბრუნდება თავის ძველ ბუდეს. რამდენადაც გაიზრდება ეროვნული შეგნება, იმდენად ჩვენ ვუახლოვდებით წარსულს და ინაკვებება ქართული იდეა. ...საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“ (ტიციან ტაბიძე, „ცისფერი ყანწებით“, 1916 წ.). მესიანური სულისკვეთებაა გამჟღავნებული გიორგი ლეონიძის „ქართულ მესიანიზმშიც“: „ჭანგიაწმა კავკასიამ აღარ გაგვიშვა და მიგვალურსმა ჩახეთქილ ქედებს, მაშინ ჩვენ დავირქვით ამირანი და რევანშისათვის შევქმენით ტიტანური ენერგია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ყველაზე ორთოდოქს სიმბოლისტად სახ-

ელდებული ვალერიან გაფრინდაშვილი იზიარებდა ნიცშეს ალოგიზმს; ქართულ მწერლობაში ეძიებდა ორ საწყისს — აპოლონურს და დიონისურს და ასკვნოდა: „კოსმოსის ზედაპირი ნათელია და მშვენიერია. არიან პოეტები, როგორც პუშკინი, რუსთაველი, რომელნიც გვიჩვენებენ ამ ზედაპირს, გვაბრმავებენ სხივებით და სიხარულით ათრთოლებენ ჩვენს ცქერას. ეს არის პოეზიის აპოლონური სახე. ...კოსმოსის ქვეშარიტი საფუძველი, მისი მარადი დასაწყისი არის უსახური და მახინჯი ქაოსი, რომელიც იმალება მსოფლიო ყოფნის სიღრმეში. ეს არის პოეზიის დიონისური სახე. — ...დღევანდელი პოეზია არის პოეზია ქაოსის, რადგან ქოტურია თვით საზოგადოებრივი ცხოვრება... პოეტის დანიშნულება იმაშია, რომ შეადულოს თავის პიროვნებაში ორი სტიქია. ...თანამედროვე ქართული პოეზია ყანწლების სახით აღრმავებს თავის შინაარსს და ფორმას, ის მიდის ქაოსის წყვიდადში, მაგრამ ზურგი გამაგრებული აქვს რუსთაველით“.

ჟან მორეასი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა სიტყვას პოეზიაში; იგი „ზუსტ სიტყვას“ მოითხოვდა. რუსი სიმბოლისტები, პოეტების კვალობაზე, აღიარებდნენ მჭიდრო კავშირს სიტყვის გარეგან გარსსა და მის მნიშვნელობას შორის და სიტყვის მაგიურობაზეც მიგვანიშნებდნენ.

პაოლო იაშვილის „პირველთქმაში“ „გაუგებარი და საოცარი სიტყვების“ შექმნის მოთხოვნა სწორედ სიტყვის მაგიური ძალის აღიარებას მოასწავებდა. გრიგოლ რობაქიძემ „სიტყვის მაგიას“ ამავე სახელწოდების სტატია მიუძღვნა: „ქურუმები ძველად ორი ენით მეტყველებდნენ: ჩვეულებით და უჩვეულოთი. უჩვეულო სიტყვა მხოლოდ შეწირულებმა იცოდნენ. ამ სიტყვას ჰქონდა მაგიური ძალა“ („მეოცნებე ნიამორები“, 1922 წ.).

„ცისფერყანწლები“ დასავლური ურბანიზმის აპოლოგეტებად და ქართულ სინამდვილეში მის ერთ-ერთ პიონერებადაც მოგვევლინენ: „პირველთქმის“ ავტორი მოითხოვდა: „ჩვენ გვინდა, რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად, სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვავილოვანი ველების ზურმუხტობას“ ...ტიციან ტაბიძეს სიმბოლიზმი „ქალაქის ღვიძლ შვილად“ მიაჩნდა.

„ცისფერი ყანწების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა პირველი ურბანისტული ლექსები — პაოლო იაშვილის „ფარშევანგები ქალაქ-

ში“ და კოლაუ ნადირაძის „ავზნიანი ქალაქი“.

სიმბოლისტებმა პოეზია ქურუმთა ქმედებას გაუთანაბრეს, მოგვის ქმედების სანაცვლოდ, ისინი გარემოების შესაფერ ნიღბებსაც ირგებდნენ: ფართო გასაქანი მიეცა „ცხოვრების თეატრალიზაციას“.

ამის გამოძახილია ტიცციან ტაბიძის „ნილაბის აპოლოგია“: „ქართველ ხალხში ცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების. ...ქართველ ხალხს უყვარს ნილაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია“.

სიმბოლიზმის დოგმატის ერთგულება „ცისფერყანწელებს“ კლასიკურისა საერთოდ, და, კერძოდ, წარსულის ქართული მწერლობის „უარყოფასაც“ ავალბებდა. მათ დამოკიდებულებას წინამორბედებისადმი შეიძლება ეპიგრაფად წარუძღვეს ტიცციან ტაბიძის სიტყვები:

*ძველ პოეზიას
კადნიერად ვახურავთ ჩალმას,
მაგრამ სავსეა სიყვარულით
თვალის უპები...*

„ცისფერყანწელთა“ მიერ წინაპართა ღვანწლის უარყოფაში უთუოდ არის არტიკული პოზიორობის, ნილაბის სიყვარულის მომენტი; თუმცა ნიცშეს „პაროლი“ — „სიკვდილი განახლებაა“ — მათთვის მისაღები იყო.

გავიხსენოთ გალაკტიონის სიტყვებიც „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მანიფესტიდან: „ამიერიდან ქართული ხელოვნების დევიზია: განახლება ან სიკვდილი“ (1922 წ.).

წარსულის მოღვანეთა უარყოფა პირველად ტიცციან ტაბიძის წერილში „ცისფერი ყანწებით“ გამოვლინდა.

60-იანი წლების თაობათა ბრძოლა ტიცციან ტაბიძეს წარმოუდგება როგორც „ძველი ქართულის და ახალი რუსეთის იდეოლოგიების“ პაექრობა, როცა „ქართული პოეზიის ყვაილს დაუწყეს შეცვლა რუსულ ხორბლად, ...მწერლობა გაიხადეს სამიტინგო ზალად და პოეზია გაზეთად...“ ავტორმა, თუმცა დაგმო ილიასა და აკაკის შეხედულება პოეზიის შესახებ, მახვილის მთელი სიძლიერე მათი ეპიგონებისადმი მიმართა: „აკაკის და ილიას ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მოქალაქეობრივ მოტივებში ხანდისხან ნახულობდნენ ნამდვილ პოეზიას, შემდეგ

მათმა შკოლამ მიიღო კარიკატურული სახე“.

„საქართველოს პანთეონში ახალი მართალი არშინით უნდა გაიზომოს ყველა პიედესტალი, გადაფასდეს ყველა ღირებულებაო“ — აცხადებდნენ „ცისფერყანწელები“ („ბარრიკადი“, 1924 წ.).

რუსთაველის „ამპარტავანი სახელი“ (ვალერიან გაფრინდაშვილის სიტყვებია), რა თქმა უნდა, შეუბღალავი დატოვებს: „რუსთაველმა გაიმარჯვა სამუდამოდ: წარსულში, აწმყოში და მომავალში. რა არის აქ მიზეზი გამარჯვების?... იდეალური ფორმა, ღრმა შინაარსი, პოემის უნივერსალობა და ამავე დროს ეროვნული ხასიათი... ან კიდევ: „პოეტიკა რუსთაველის ...ნინ უსწრებს ევროპის იდეას ხელოვნების თვითმიზნობის“ (იხ. „რუბიკონი“, 1923 წ. „ბარრიკადი“, 1922 წ.).

სოციალური საკითხით დაინტერესებას „წმინდა ხელოვნების“ მომხრე „ცისფერყანწელები“ „სამოციანელთა“ დიდ „ცოდვად“ თვლიდნენ: „ჭეშმარიტად შესაფლავე იყო მე-19 საუკუნე საქართველოში. პოლიტიკური ნერვების საბედისწერო დაჭიმვამ... ესთეტიკური კულტურა გააქრო“, — წერდა სანდრო ცირეკიძე („ბარრიკადი“, 1920 წ.). მათი აზრით, შეცდა ილია, რომელმაც „სამუდამოდ დაწყევლა „ფრინველი გარეგანი“ და „ტკბილი ხმები“, აკაკი, რომელმაც „გარემოების საყვირით“ ძალიან ბევრი იყვირა“ („ცისფერი ყანწები“, 2).

ეპიგონური პოეზიის ძირითადი წყარო აკაკის პოეზია იყო; ალბათ ამიტომაც, „ცისფერყანწელთა“ მეხიცი ძირითადად მას დაატყდა: „საიდუმლო ბარათს ჩვენი საუკუნე აღარ უპასუხებს და აღმართ-აღმართ სიარული ისე ნელი იყო, რომ მწერვალამდის ვერ მიაღწია“ („ბახტრიონი“, 1922 წ.); აკაკი ვითომცდა „ზერელე აღმაფრენით“ გადიოდა ფონს; „ილიას პოეზიას მაინც აქვს კულტურა, ...როცა აკაკი წერეთელი მოკლებულია ლიტერატურასაც კი“... („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ქედმოხრა აკაკის პოეზიის წინაშე და პროტესტი მისი ეპიგონების მიმართ ამჟამად გამოსჭვივის სანდრო ცირეკიძის სიტყვებში: „მისმა მოწაფეებმა ვერ გაიგეს მისი „აღმართ-აღმართი“ და „სულიკო“ და თმაგათეთრებულები დღემდის ლექსავენ მიმდინარე ცხოვრების ფილოსოფიას...“ („მეოცნებე ნიამორები“, 1921 წ.).

„ქართველის დედას“ ძუძუები დაუმრაო — ამ სიტყვების ავტორი ჰაოლო ილიას პიროვნების მიმართ მოწინებასაც ამჟღავ-

ნებდა: „ილიას უშველა დიდმა ჭკუამ და გრანდიოზულმა ნებამ, არა პოეტის სახელ-მამისცა მას ნახევარი საუკუნის დიქტატორობა საქართველოში“ („ბახტრიონი“, 1922 წ.). „ჩვენთვის უხერხულია ილიას ბრუნდე ლექსებით“ — ნერდა გიორგი ლეონიძე; ილია ასცდაო „ნამდვილი პოეზიის რკალს“ — კვერს უკრავდა ტიცვიანი.

პარადოქსულია ილიას პოეტობის „უარყოფი“ „ცისფერყანწელის“ აღტაცება ილიას პროზით: „პროზაში ილიას გააქვს XIX საუკუნის საქართველო“ (გიორგი ლეონიძე), „ქართული პროზა შექმნა ილიამ და დღემდის მისი პროზა არაა დაძლეული“ (ტიციან ტაბიძე).

„ცისფერყანწელთა“ მიერ წარსულის მწერლობის უარყოფას, ხელოვნურობისა და ლიტონი პოზის ელფერი რომ დაჰკრავს, იქიდანაც ცხადდება, რომ ამ საკითხში ისინი სრულიად არათანმიმდევრულნი იყვნენ.

მაგალითად, ტიცვიანი, რომელიც ილიას და სხვა „სამოციანელებს“ „ჭურში ჯდომას“ უსაყვედურებდა, თვითონვე სავსებით გამორიცხავდა ამ ბრალდებას: „ილია ჭავჭავაძემ თავისი დევის ხელით სრულიად გადატეხა ეს სტილი (იგულისხმება „მოკითხვის წერილების“ სტილი, რომელიც თითქოსდა მანამდე არსებობდა ქართულ ლიტერატურაში — ლ. ა.) და ჩვენ გვაქვს უკვე ანალოგია მწერლობის ევროპის მასშტაბით. ...ჩვენში რომ გაჩნდნენ დადაისტები, ისინიც ვერ უარყოფენ, ილია ჭავჭავაძის დიდი ფიგურა რომ გამოაკლდეს, მეცხრამეტე საუკუნე მაშინ იქნებოდა სამუდამოდ დაბნელებული“ („ბახტრიონი“, 1922 წ.).

ჯგუფმა მალევე „გადასინჯა“ თავისი დამოკიდებულება XIX საუკუნის მწერლობის მიმართ; ის ხომ მექანიკურად გაემიჯნა ქართული მწერლობის უწყვეტ მთლიანობას: ეს ჰგავდა იმ ტოტის მოტეხვას, რომელზეც თავად იჯდა... ერთადერთი გამონაკლისი ვაჟა-ფშაველა იყო, რომლის გენიის დაფასების პრიორიტეტი (იმჟამინდელი კრიტიკისაგან განსხვავებით) გრიგოლ რობაქიძეს და „ცისფერ ორდენს“ ეკუთვნის: „ვაჟა მოცემულია, როგორც მთა, როგორც მზე, როგორც პლანეტა, ...პოეტები მას გრძნობენ, როგორც ადამიანი მზესა და ღმერთს“ — ნერდა გაზეთი „ბახტრიონი“, რომელმაც, პაოლო იაშვილის თქმით, „ვაჟას დიდებული კამპანია“ წამოიწყო.

20-იანი წლების დასაწყისისათვის „ცისფერყანწელთა“ ძირითადად უარყვეს მკრეხელური გამოსხმომები ქართული მწერ-

ლობის მიმართ. ახალგაზრდული ეპატაჟი, ეფექტური ფრაზებით ჟონგლიორობა წარსულს ბარდებოდა.

„ცისფერყანწელთა“ გულისყური ჯგუფის არსებობის მთელ მანძილზე ნეგატიურად და პოზიტიურადაც მუდამ ქართული მწერლობისკენ იყო მიპყრობილი. დევიზით — „სიკვდილი განახლება“ — მათ მცირე ხნით უარყვეს ქართული მწერლობის მონაპოვარი, რათა ევროპული პოეზიის უახლეს მიღწევათა გამოხმაურების შემდეგ, კვლავ მისკენ მიემართათ თვალთახედვა. აკი წამოაძახეს კიდევ ქართველმა ფუტურისტებმა „ცისფერყანწელთა“ ამგვარი „ფერისცვალება“: „ხალხი, მოსული აბსოლუტური ნილილიზმით ლიტერატურაში, თანდათანობით იჩოქებენ ყოველი სახელის წინაშე ჩვენი ძველი მწერლობიდან და დღეს სულხან-საბა ორბელიანის, ილიას და ვაჟას ავტორიტეტს ებლაუჭებიანო“ — ნერდა ბესარიონ ჟღენტი (გაზ. „ტრიბუნა“, 1923 წ.).

„ცისფერყანწელთა“ დახასიათება არ იქნება სრული, თუ ორიოდე სიტყვით არ შევეხეთ მათ ბოჰემურ განწყობილებას. ისინი გატაცებულნი იყვნენ ინგლისური „დენდიზმით“, ფრანგი ე. წ. „დანყველილი პოეტების“ ზოგჯერ მართლაც დანყველილი ცხოვრებით, რუსი სიმბოლისტების დევიზით — „Творите жизнь“. იმ დროის სხვადასხვა ეროვნების პოეტთა ერთი საერთო ნიშანთვისებაც — საოცარი, უცნაურობებით აღსავსე მოუწყობელი ცხოვრება, მათი ბოჰემური მისწრაფებები იყო.

*სამარცხვინოა პოეტისთვის
სხვა კარიერა
გარდა თვითმკვლელობის.
არა მსურს ვიყო ვიკტორ ჰიუგო,
ან აკაკი,
მე მირჩევნია დავიღუპო,
როგორც ბოჰემა.
სამარცხვინოა პოეტისთვის
სხვა კარიერა გარდა სიგიჟის.
არა მსურს ვიყო ბედნიერი,
როგორც გოეთე,
მე მირჩევნია დავიღუპო
როგორც როლლინა.
სამარცხვინოა პოეტისთვის
სხვა კარიერა
გარდა ჭლექისა,
დღევრძელ მალარმეს მირჩევნია
ისევ ლაფორგი,
...მე მეჯავრება პოეტისთვის
რამე ხელობა:*

მისთვის ვინამე სამუდამოთ ეს კარიერა,
სიგიჟე, ჭლეტი, ალკოგოლი და
თვითმკვლელობა!..

— ვკითხულობთ ვალერიან გაფრინდაშვილის „ბოჰემის მონოლოგში“ (1922 წ.).

მე მესიზმრება კაფე „ონ არნასსე“ —
სენატი ბებერ პროსტიტუტკების.
შენზე ოცნებას ვერვინ მომპარავს
და დღესაც ღვინით დავითუთქები.
...არ მინდა მოვკვდე პატრიარქივით,
მინდა გავქეცე საქართველოს მზეს,
სადაც, მშობლებო, დაიშარხენით,
დღეს იქ ჯამბაზის სინა გააბეს...
(ტიციან ტაბიძე, „ოცდასამი აპრილი“,
1923 წ.).

ჰა! კინტოს პროფილი,
საეჭვო ტარნები
და დავიკუნტები
ქალაქის ქუჩებში მე — სალახანა,

— წერს ქალაქში დაკარგული „გახელე-
ბული“ შვილი დედას (პაოლო იაშვილი, „წერ-
ილი დედას“, 1916 წ.).

...გაგიჟდა... შემდეგ გარდაიცვალა
პოეტი პაოლო იაშვილი...
პოეზიისთვის ბევრი იწვალა,
მაგრამ არ იყო მისთვის საშველი
(პაოლო იაშვილი, უსათაურო, 1918 წ.).

ეს ის დროა, როცა პოეზია და ღვინო
დაახლოვდნენ; როცა ყველაფერი, რაც უც-
ნაურობის, სიახლის მიმზიდველობას იყო
მოკლებული, მოძველებულად მიაჩნდათ.
დრომოჭმულად ითვლებოდა ცხოვრების
მონესრიგებული, ჩვეულებრივი მდინარე-
ბაც.

„ცისფერყანწელთა“ ისტორია ეს არის
ისტორია ბოჰემის — წერდა ტიციან ტაბიძე
„მეოცნებე ნიამორებში“ 1923 წ.

პოეტებისა და ღვინის სიახლოვით
საქართველოში ალბათ ვერავის გააკვირვებ,
თუმცა თანამედროვეთ მაინც ეჩოთირობო-
დათ „ცისფერყანწელთა“ „ჯგუფური“ ბოჰე-
მური მისწრაფებანი. ენამწარე კრიტიკოსე-
ბი პაოლო იაშვილს „ცისფერი ყანწების“
თამადას უწოდებდნენ (გაზ. „კომუნისტი“,
1923 წ.).

1923 წელს დაიწყო ე. წ. „მინასთან დაბ-
რუნება“; ეს ლოზუნგი თავად ვალერიან გაფ-
რინდაშვილის განცხადებით და აღიარებუ-

ლი თვალსაზრისითაც, ყველაზე „ორთო-
დოქს-სიმბოლისტად“ სახელდებულ ავტორს
უკავშირდებოდა, თუმცა არანაკლებ მნიშ-
ვნელოვანია გრიგოლ რობაქიძის ვრცელი
კრიტიკული წერილი — „დაბრუნება მი-
ნასთან, როგორც კერძო ბარათი...“

„ცისფერი ორდენი“, რომლის აქტიური,
ჯგუფური ქმედება, ფაქტობრივად, 1924
წლიდანვე მინავლდა, — ველარ „დაუბრუნ-
და მინას“... „მინას დაუბრუნდნენ“ ცალკეუ-
ლი „ცისფერყანწელები“ — ტრადიციული
ლექსებით, რომელთა უმრავლესობა ტოლს
არ უდებდა „ძველ ლექსებს“, „ცარციით კი
არა, — სისხლით რომ წერდნენ“ (ტიციან
ტაბიძე).

ამაოა ვარაუდი, როგორი იქნებოდა „ცის-
ფერი ორდენი“, რომ არა სოციალისტური
რეალიზმის ადეპტთა გამუდმებული მორ-
ალური თუ ფიზიკური წნეხი: ისტორიას ვერ
„გადაწერ“. მრავლისმეტყველია თავად ის
ფაქტი, რომ ცხოველი ინტერესი პირველი
ნოვატორული ლიტერატურული დაჯგუფე-
ბის მიმართ, დღესაც კი ბევრ სიახლეს
შესძენს ქართველ პოეტთა ახალ თაობას.

დასასრულს, მინდა უფრო დანვრელებით
წარმოვაჩინო ერთი ინციდენტი, ჯგუფის ეკ-
ლექტიკისადმი მიდრეკილებას რომ ეხება:

XX საუკუნის 50-იანი წლების მიწურულს
ცისფერყანწელთა რეაბილიტაცია მათი თხ-
ზულეების გამოცემით დასრულდა (რა
თქმა უნდა, მკაცრი ცენზურული კუპიურე-
ბით), „ცისფერი ორდენის“ აღიარებული მაე-
სტროსა და უფროსი მეგობრის გრიგოლ
რობაქიძის სახელი 80-იანი წლების მეორე
ნახევრამდე კვლავ ტაბუდადებული იყო.
ასეთმა ვითარებამ განაპირობა ხარვეზი,
რაც ამჟამადაც საცნაურია. გრიგოლ რობა-
ქიძისა და ცისფერყანწელთა შემოქმედები-
თი და პიროვნული ურთიერთმიმართების
ამომწურავი, საფუძვლიანი და მრავალ-
მხრივი კვლევა დღემდე არ განხორციელე-
ბულა, თუმცა 10-20-იანი წლების პრესაშიც
და ახალ ნაშრომებშიც ბევრი რამ არის გაბ-
ნეული და მოსაძიებელი.

მონოგრაფიული ნარკვევი, რომელიც
ცისფერყანწელთა და გრიგოლ რობაქიძის
ურთიერთობის მრავალ ასპექტს წარ-
მოაჩენს, ასე მესახება: რობაქიძის სალექციო
მოღვაწეობის მენტალური ზეგავლენა ცის-
ფერყანწელებზე, — იმხანად, დამწყებ პოეტ-
ებსა და გიმნაზიელებზე; მისი თანამშრომ-
ლობა პაოლო იაშვილის „ოქროს ვერძსა“
(1913 წ.) და „ცისფერ ყანწებში“ (1916 წ.);
რეაქცია ცისფერყანწელთა გახმაურებულ,

ზოგჯერ სკანდალურ საჯარო გამოსვლებზე (1916 წლიდან) და მათ პოეტურ ინოვაციებზე; მიმართება საქართველოს ანექსიასა (1921 წ.) და 1924 წლის შეთქმულებასთან; „ცისფერი ორდენის“ პერიოდიკაში (1916-1924 წწ.) გამოქვეყნებული მხატვრული და თეორიული პროდუქცია; მონაწილეობა 1926 წელს ნიკოლოზ მინიშვილის „ქართულ მწერლობაში“ წამოწყებულ დისკუსიაში — „ფიქრები საქართველოზე“; ემიგრაციის დასაწყისი და „ფაშისტი“ რობაქიძის ძალდატანებითი შეჩვენება ჟურნალ „მნათობში“ (1935 წ.) ცისფერყანწელთა მიერ; ცისფერყანწელი პოეტების გახსენება მის ბოლოდროინდელ ნაწერებში (მემუარული, ესეისტური, ეპისტოლური მემკვიდრეობის გათვალისწინებით).

ის „თეთრი ლაქა“, რომელიც 10-20-იანი წლების ქართულ მწერლობას დღემდე ამოუვსებელ სიცარიელედ დამჩნევია, მნიშვნელოვანწილად უკავშირდება გრიგოლ რობაქიძის ხელოვნურად მოკვეთას, რასაც სათავე დაედო 1935 წელს, მწერალთა კავშირიდან გარიცხვით. მის გარეშე შეუძლებელია „ცისფერი ორდენის“ სრულყოფილი ჯგუფური პორტრეტის წარმოსახვა; მეორე მხრივ, მაესტროსადმი მიძღვნილი ცისფერყანწელ პოეტთა ლექსები, წერილები თუ ესეები, რომელთაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „გრიგოლ რობაქიძის აპოლოგია“, თუნდაც გაზვიადებულად, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს მის ადგილს XX საუკუნის დასაწყისის ქართულ კულტურულ არეალში.

ახლა მხოლოდ ფრთხილ ვარაუდს თუ გამოვთქვამთ იმის თაობაზე, — როდის დაახლოვდნენ გრიგოლ რობაქიძე და ცისფერყანწელები; ცხადია, მისი შემოქმედებითი გზის დასაწყისი (1901 წლიდან ქართულ პრესაში აქვეყნებდა არცთუ გამორჩეულ სტატიებსა და ლექსებს) მომავალი ცისფერყანწელებისათვის სრულიად შეუმჩნეველი დარჩებოდა თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პაოლო იაშვილი (დ. 1892 წ.), ტიცციან ტაბიძე (დ. 1895 წ.) და ვალერიან გაფრინდაშვილი (დ. 1888 წ.) მაშინ მცირეწლოვანი იყვნენ.

გრიგოლ რობაქიძემ მყისიერი პოპულარობა 1908 და, განსაკუთრებით, 1909-1911 წლებიდან მოიხვეჭა, — ინტენსიური სალექციო მოღვაწეობით. მისი პირველი და ძალზე ეფექტური გამოჩენა ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძეს დაუკავშირდა: 1908 წელს ევროპიდან დროებით დაბრუნებულმა, იმჟამად სტუდენტმა რობაქიძემ შეუფარა-

ვად განაცხადა, — ილიას ვერაგულმა მკვლელობამ მაიძულა მიმეტოვებინა პარიზი და სამშობლოში დავბრუნებულიყავიო.

ამ წლებში უნდა შემდგარიყო იმხანად ქუთაისელი გიმნაზიელების (რომელნიც, მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, ქანდარაზე მოკალათებულნი, ფარულად ესწრებოდნენ საჯარო საღამოებსა თუ სპექტაკლებს) თუნდაც შორეული ნაცნობობა გრიგოლ რობაქიძესთან.

XX საუკუნის ქართული მწერლობისათვის 10-იანი წლების დასაწყისი ერთგვარი ტიხარი აღმოჩნდა, რომელმაც ერთმანეთისაგან დააშორიშორა XIX და XX საუკუნე. საუკუნის დამდეგი, ზოგადად, პირობითი ცნებაა და მისგან არც უნდა მოველოდეთ მყისიერ თვისებრივ ცვლილებებს ლიტერატურაში; თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ სიახლის მოლოდინი თითქოს ატმოსფეროში თიმთიმებდა. მთელი მსოფლიოს ხელოვანებმა (და, ღვთის მადლით, ამ მხრივ არც ქართველები იყვნენ გამონაკლისნი), გუმანით „იგზნეს“ დიადი და შემადრწუნებელი, ჯერ არნახული კატაკლიზმებითა და ტოლუპოვარი მიღწევებით დაყურსული საუკუნის დადგომა, რაც შემოქმედებით სიახლეთა მძაფრ მოთხოვნილებას ბადებდა.

ყოველივე ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული დასავლური ორიენტაციის ისეთ დიდ მოაზროვნეებს, როგორებიც იყვნენ კიტა აბაშიძე და არჩილ ჯორჯაძე. სწორედ მათი თანამოსაგრე აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძე, ამ, ან უკვე დიდებული ტრიადის უმრწემესი წევრი. გრიგოლ რობაქიძე რომ უნიკალური მოვლენა გახლდათ ჩვენს სინამდვილეში, ამაზე ჯერ კიდევ 1909 წელს მიუთითა არჩილ ჯორჯაძემ: „...აღამიანი ნიჭით დაჯილდოებული, ... ამასთან იმგვარი ტიპისა, რომელიც დღემდე გამოუცნობელი რჩება ქართველ საზოგადოებისათვის, გამოუცნობელი მისტიკური ფილოსოფიის წყალობით, რომელსაც აღიარებს იგი და რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად ახალ და დღემდე თითქმის უცნობ იდეურ მოვლენად ჩაითვლება“.

სწორედ ლექციებში წარმოჩნდა პირველად მისი თავისთავადი, ღვთით ბოძებული ნიჭიერება, ფართო თვალსაწიერი და განსწავლულობა, იმპროვიზაციის შესაშური უნარი და პოლემისტის ალლო, მჭევრმეტყველება და ნოვატორული სულისკვეთება.

მისი აუდიტორია, თბილისშიც და ქუთაისშიც, რჩეული ქართული საზოგადოება იყო: აკაკი და დავით კლდიაშვილი, კიტა აბა-

შიძე და ნიკო ლორთქიფანიძე, ტელემაკ გურიელი, დიმიტრი უზნაძე, ივანე გომართელი... ახალგაზრდებს, უპირველესად, „მოდერნიზმის ქადაგება“ ხიბლავდა: „გრიგოლ რობაქიძის აქაფებული სიტყვა, აღმაფრენი ფანტაზია, თვალისმომჭრელი სახეები ძვირფასი მოგონებაა ჩვენი ახალგაზრდობისა, პირველად იმან შეგვახედა იოჰანანის მოჭრილ თავს, პირველად იმან მოგვასმენინა ნიცშეს მწვალბელი სიტყვა“, — წერდა მოგვიანებით ტიცვიან ტაბიძე. საცნაურია, რომ ლექციას ნიცშეზე ცხელ კვალზე, ანუ 1911 წელსვე აღტაცებით გამოეხმაურა აკაკი წერეთელიც.

ყველა თაობის პოეტს თანაბრად ეფონებოდა გულს გრიგოლ რობაქიძის მცდელობა — განეხილა ქართული მწერლობა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. იმთავითვე გამოიკვეთა მისი განუხრელი, მტკიცე ეროვნული მრწამსიც, რითაც აშკარად გაემიჯნა კოსმოპოლიტიზმსაც და ინტერნაციონალურ რადიკალიზმსაც.

აკაკი ბაქრაძის მართებული მოსაზრებით, მთავარი და არსებითი ის იყო, რომ ახალმა თაობამ იგი ლიტერატურულ რეფორმატორად აღიარა.

არაორდინალური და მიმზიდველი გახლდათ გრიგოლ რობაქიძის მიერ „საკუთარი თავის შექმნის“ მცდელობაც (შდრ. ევროპულ „დენდიზმს“ ან ამერიკულ ფენომენს — „Self made man“). სვირელი ხელმოკლე მედავითნის მრავალშვილიანი ოჯახის შვილმა, მიზანსწრაფულმა და მშრომელმა, უცხოეთში განსწავლის რთული და ნარეკლიანი გზა განვლო; უცხოეთში მრავალწლიანი ყარიბობის მერეც, სამშობლოსა თუ ემიგრაციაში, იგი „არა მარტო თავის მსოფლმხედველობასა და მსოფლხატს აყალიბებდა, არამედ თავის გარეგნობასაც“.

ერთადერთი, რასაც ვერ უმკლავდებოდა გრიგოლ რობაქიძე, მისი მარტოსულობა იყო. ალბათ ამიტომაც აქვს პიროვნული, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა მის მეგობრობას ცისფერყანწელებთან.

თუ ვერწმუნებით გრიგოლ რობაქიძის მარადიული კერპის ნიცშეს სიტყვებს — „საბოლოოდ, ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ადამიანი საკუთარი არსიდან ტოვებს, სხვა არა არის რა, თუ არა თავისივე ბიოგრაფია“, — უპირანი იქნება, საგანგებო ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ პიროვნულ ურთიერთმართებას ცისფერყანწელებთან, პირველ

რიგში კი — პაოლო იაშვილთან.

საფიქრებელია, რომ მათი დაახლოება „ოქროს ვერძში“ თანამშრომლობით დაიწყო. ჟურნალი იმ დროისათვის უდავოდ გამორჩეული იყო. ჯერ კიდევ გიმნაზიელმა, არასრულწლოვანმა პაოლომ (იგი ბესარიონ ჯაიანის სახელს ამოეფარა) მოახერხა მონინავე ჟურნალის გამოცემა, გააერთიანა საუკეთესო ავტორები (გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონი, ტიცვიან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი, სერგო კლდიაშვილი და სხვ.).

1913 წელს, ჟურნალის მზადების პერიოდში, პაოლო თბილისის გაზეთ „თემში“ აქვეყნებს „წერილს რედაქციის მიმართ“ და ქართველ მწერლებს თანამშრომლობას სთხოვს: „რედაქცია მიმართავს მონაწილეობის მისაღებად შემდეგ პირთ: ვაჟა-ფშაველას, კიტა აბაშიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, ი. ევდოშვილს, ია ეკალაძეს, ვ. გუნიას, შალვა დადიანს, კ. მაყაშვილს, ი. გრიშაშვილს, ა. აბაშელს, შიუკაშვილს, ლეო ქიაჩელს, ჭუმბაძეს, ნ. ლორთქიფანიძეს, დ. კასრაძეს, ბარნოვს, გ. ქუჩიშვილს, თურდოსპირელს, ახოსპირელს, ნ. ჩხიკვაძეს, ი. მჭედლიშვილს, ჯ. ჯორჯიკიას, გ. და ტ. ტაბიძეებს, კ. აბაშიძისპირელს, დია ჩიანელს და სხვა“. უაღრესად მეტყველი დოკუმენტია! ცნობილია აგრეთვე პაოლოს ორი პირადი წერილი ვაჟა-ფშაველასადმი, — ჟურნალში მონაწილეობის თხოვნით (ამ ნუსხაში თითქმის მთელი იმჟამინდელი ქართული მწერლობა თავსდება და ბუნებრივად ჩნდება რიტორიკული კითხვა — რატომ ვერ ვხვდებით აკაკი წერეთლის სახელს? პასუხი კი, სავარაუდოდ, ასეთია. პაოლომ ვერ შებედა საქართველოს უგვირგვინო მეფეს... ნიშანდობლივია, რომ ნუსხის პირველ სამეულში, ვაჟა-ფშაველასა და კიტა აბაშიძის შემდეგ, გრიგოლ რობაქიძის სახელი ჩნდება, რაც უეჭველად მოასწავებს ახალგაზრდა რედაქტორის განსაკუთრებულ პიეტეტს ამ უკანასკნელისადმი.

„ოქროს ვერძში“ გამოქვეყნებულ გრიგოლ რობაქიძის სტატიაში „ბარათები „ოქროს ვერძს“ ავტორი ჟურნალს გადაჭარბებულ შეფასებას არ აძლევდა, თუმცაღა, ქართული მწერლობის იმჟამინდელი სიდუხჭირის პირობებში მაინც ღირსსაცნობ მოვლენად მიიჩნევდა. სტატია იმითაც არის საინტერესო, რომ მასში პირველად გაიჟღერა საქართველოს რენესანსის იდეამ, რამაც შემდეგში საფუძვლიანი განვითარება პოვა

(ცნობილ წერილში „ქართული რენესანსი“ (რობაქიძე 1917).

„არც მგონია ასეთი ვერძისათვის იაზონ-მა მოაცუროს თავისი გემი კოლხეთის ნაპირს, მაგრამ მასში არის ისეთი რაღაც, ხელუხლებელი, გამოუთქმელი, რომელიც სიამოვნებას ჰგვრის ხელოვნების მოყვარულს: ეს არის ყვავილოვანი სიყმაწვილე, რომლის ლაღად ნაკვეთ შუბლზე ჯერ კიდევ არ გაურბენია ჭკნობის ფიქრის ფრთას“ — პირუთვნელად შენიშნავდა გრიგოლ რობაქიძე.

შეუძლებელია, გაუცნობიერებელი ყოფილიყო „ოქროს ვერძის“ სახელწოდების დამთხვევა მილიონერ რიაბუშინისკის დაფინანსებულ, რუსი სიმბოლისტების მდიდრულ ჟურნალთან „Золотое Руно“ (1906-1909 წწ.). მიბაძვის უწინარეს, ამაში უფრო კოლხიდის მკვიდრთა მიერ „სამართლიანობის აღდგენის“ თუ რაყიფობის ქვეშეცნეულ სურვილს ვხედავთ. ჟურნალში მოთავსებული ლეონიდ ანდრეევის, იგორ სევერიანინის, ვილიე დელილ ა'დანის თხზულებათა თარგმანები, ცნობები დ'ანუნციოს, ვალერი ბრიუსოვის, კონსტანტინე ბალმონტის, იურგის ბალტრუშაიტისის და ე. წ. ახალი პოეზიის სხვა წარმომადგენლებზე გვაფიქრებინებს, რომ „ოქროს ვერძი“ სულაც არ იყო პროვინციული თვითშემოქმედების ნიმუში. ცხადია, გრიგოლ რობაქიძე მხოლოდ ერთ-ერთი ავტორი იყო ჟურნალისა; ნაკლებსავარაუდოა, რომ სარედაქციო საქმიანობაში ჩარეულიყო: პაოლოს ორგანიზატორული ნიჭი ჯერ კიდევ 1911 წლიდან იყო ცნობილი, როცა გიმნაზიის ჟურნალი „Стрелы Колхиды“ გამოსცა.

შემდეგში გრიგოლ რობაქიძისა და მომავალი ცისფერყანწილების გზები დროებით გაიყარა: გრიგოლ რობაქიძე კვლავ საზღვარგარეთ გაემგზავრა, პაოლო იაშვილმა წელიწადნახევარი პარიზში დაჰყო (1913-1914 წწ.) ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში ხატვის შესასწავლად; პეტერბურგსა და მოსკოვში იყვნენ ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიცციან ტაბიძე, შალვა აფხაიძე, სანდრო ცირეკიძე... მათი ურთიერთთანამშრომლობის ახალ და უმნიშვნელოვანეს ეტაპს საფუძველი 1916 წელს, „ცისფერი ორდენის“ დაარსებისთანავე ჩაეყარა.

„ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე (1916 წლის 28 თებერვალი), როგორც ჩანს, საზოგადოების ერთმა ნაწილმა მტკივნეულად აღიქვა გალაკტიონ-

ნის, ნიკო ლორთქიფანიძის, იოსებ გრიშაშვილისა და გრიგოლ რობაქიძის მონაწილეობა ახალგაზრდული ეპატაჟით შეპყრობილ და „მეხის გავარდნის“ ეფექტის მოსურნე აღმანახში.

ტიციან ტაბიძემ ვრცელ წერილში „ცისფერი ყანწებით“ სრულიად არაორაზროვნად გამოაცხადა სიმბოლიზმის „მოვლენა“ საქართველოში და სიმბოლიზმის უპირველეს მესაძირკველედ გრიგოლ რობაქიძე დასახა: „სიმბოლიზმი ჩვენში შემოიტანა გრიგოლ რობაქიძემ. რობაქიძეზე არ გამართლდა საერთო დებულება, რომ ყოველ ნოვატორს წინ ელოება გაუგებრობის გალაკანი. მას არაფრად დაჯდომია ძველ ღირებულებათა გადაფასების კადნიერება, ახალ ძიებათა ფიქრვერკების გასროლა... საფიქრელი იყო, რადგან სხვაგან ასეთი აღლევა გამოიწვია სიმბოლიზმმა, ჩვენშიც მონახავდნენ ფიჩხებს ინკვიზიციის ცეცხლის დასანთებად, მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს უთხრეს თავის დასტური არჩილ ჯორჯაძემ და კიტა აბაშიძემ. ამ ორი პიროვნებით იწურება ქართული ესთეტიკური კულტურა გრიგოლ რობაქიძემდის“...

ტიციანის ამკარად გაზვიადებულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ „გაუგებრობის გალაკანი“ გრიგოლ რობაქიძის წინაშეც აღიმართა; თუმცა, ცხადია, მომეტებულ გულისწყრომას მისდამი არ ამჟღავნებდნენ, მისი სახელოვანი მოღვაწეობისა და თუნდაც ასაკის გამო. თავის მხრივ, გრიგოლიც ამკარად ერიდებოდა საზოგადოების გაღიზიანებას: არ მონაწილეობდა ჯგუფის სკანდალურ საჯარო გამოსვლებში 1916 წლის აპრილსა და მარტში; მან განზე განდგომა არჩია, თუმცა, რომ მოენადინებინა კიდევ, გაუჭირდებოდა ცისფერყანწელთა „გაფრენების“ მოთოკვა.

გრიგოლ რობაქიძეს არავითარი „ხენოლა“ არ მოუხდენია არც პაოლოზე (რომლის „პირველთქმა“ მაესტროსათვის ეგზომ საძულველი ფუტურიზმის მანიფესტებისაგან დიდად არის დავალებული), არც ტიცციანზე (მისი „ცისფერი ყანწებით“ ხომ რობაქიძის ამკარა აპოლოგიაა); იგი არ ჩარეულა რედაქტორის საქმიანობაშიც. იმდროინდელი გაავებული და წრეგადასული კრიტიკის სამიზნე პაოლო იაშვილი გახლდათ: „პირველთქმის“, საპროგრამო ლექსის („პაოლო იაშვილს მომენყინა ყვითელი დანტი“) და დარიანული ლექსების გამო.

გრიგოლ რობაქიძის ქუთაისში ნაკითხული ლექციის თაობაზე დაიბეჭდა ჯაფარფა-

შას (ნიკო ჯაფარიძის) საკმაოდ სუსხიანი სტატია „ბატონ გრიგოლ რობაქიძის ლექცია“: „ბ-ნი რობაქიძე ამ ბოლო დროს თავისივე ნებით აწვრილმანებს და ამდაბლებს თავის თავს.

რაში ვხედავთ ჩვენ გრიგოლ რობაქიძის თავის დამცირებას?... თუნდაც იმაში, რამაც აიძულა იგი წაეკითხა ლექცია „ცისფერი ყანნების“ შესახებ.

ამ აღმანახის გარშემო ატეხილი უსიამოვნო ატმოსფეროს შესამსუბუქებლად გრიგოლ რობაქიძე, როგორც ერთი მონაწილე კრებულისა, იძულებული გახდა საჯარო ლექციით თავდასაცველი სიტყვით მიემართა ქუთაისის საზოგადოებისათვის.

რას მიაღწია თავის ლექციაში გრიგოლ რობაქიძემ? „ცისფერი ყანნების“ ღირებულების შესახებ ჰოც ბრძანა და არაც.

... სუსტ მხარეს, სამწუხაროდ ბ-ნი რობაქიძის ნიჭიერმა ენამეტყველებამაც ვერაფერი შესძინა. საზოგადოდ ეს ადგილი ლექციისა მეტად ძნელი გამოდგა ავტორისათვის და ისე სუსტი, როგორც ამ ადგილზე იყო გრიგოლ რობაქიძე, თამამად შემძლია ვთქვა, რომ ჯერ იგი არავის ახსოვს.

...ლექტორი წინდახედულად ცდილობდა მსმენელთა შორის უკმაყოფილების ტემპერამენტი არ გამოეწვია.

...გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, როდესაც „ცისფერი ყანნები“ თავის მოვალეობას ველარ შეასრულებს, ჩვენ თვითონ დავამსხვრევთ მათო“...

„ცისფერი ორდენის“ წრეგადასული ეპატაჟი და რაგინდარა გზით თავის დამკვიდრება, პირდაპირ უნდა ითქვას, პაოლოს დაუოკებელი ტემპერამენტისა და პარიზიდან გამოყოლილი მემამბოხე სულის, როგორც შემდეგში კოლაუ ნადირაძე იტყოდა, „ესთეტუნტარობის“ გამოვლენა იყო; მას, რა თქმა უნდა, ჭაბუკი ცისფერყანნელებიც ამოუდგნენ მხარში.

გრიგოლ რობაქიძე სრულიადაც არ იზიარებდა წარსულის უარყოფის პათოსს, ზოგჯერ აშკარა მკრეხელობასთან რომ იყო წილნაყარი; იგი, როგორც ჩანს, მაინც სხვა ლიტერატურულ თაობას მიეკუთვნებოდა; ცხოვრებაშიც რობაქიძე უფრო განონასწორებული, თავშეკავებული, ძლიერი ინდივიდუალიზმით აღბეჭდილი, თუნდაც „წარცისული“ პიროვნება გახლდათ.

ამიტომაც გადგა განზე ანუ ერთგვარი დისტანცია მონიშნა, თორემ იდეური მრჩევლისა თუ კეთილმოსურნე კრიტიკოსის ფუნქციას ყოველთვის ასრულებდა.

დღევანდელი გაგებით, გრიგოლ რობაქიძე უფრო „საპატიო თავმჯდომარე“ გახლდათ „ცისფერი ორდენისა“ და არა ლიდერი, ან, მით უმეტეს, — რიგითი წევრი.

ზემოთქმულის მიუხედავად, როცა ჯგუფის „საკრალურ“ 13 წევრს შორის რობაქიძეს უპირველეს ადგილს მიუჩენდნენ ხოლმე, იგი პროტესტს არ გამოხატავდა.

ცხადია, ცისფერყანნელებს ეამაყებოდნენ მაესტროს თანადგომა; თავის მხრით, რობაქიძეც ტოლს არ უდებდა მათ მეგობრობასა და სიყვარულში: „ვიყავ ყანნელებთან მხოლოდ როგორც მეგობარი, უფროსი დამხმარე და წამხალისებელიო“, — დაწერს ხანდაზმული მწერალი მოგვიანებით.

„მოდერნიზმის ქადაგი“, „წინასწარმეტყველი“, „მთანმიდელი“, „უწმინდესი“, „უნეტარესი“ — ამგვარად ამკობდნენ მაესტროს ცისფერყანნელები, თუმცა უნდა ითქვას, რომ გალაკტიონის სარწმუნო მოსაზრებით, რობაქიძეს ჯგუფის სახელწოდების შერჩევაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა. გალაკტიონის სიტყვებს (მიუხედავად მისთვის ჩვეული ირონიისა) ნამდვილად დაეჯერება: იგი „ცისფერი ყანნების“ I ნომერშიც თანამშრომლობდა, თუმცა მალევე განუდგა მათ; საბოლოოდ დაგმორდით ერთმანეთს მე, გაფრინდაშვილი და იაშვილიო, — წერდა იგი ოლია ოკუჯავას.

„გალაკტიონის არქივში გამოვლენილი ეს უნიკალური ფრაგმენტი გამოქვეყნდა 1995 წელს: „ექებდნენ ისეთ სახელს, რომელიც უნდა ყოფილიყო 1) სრულიად ახალი მიმართულების გამომხატველი, 2) ეროვნული კოლორიტის მატარებელი და 3) რომელიც გამოდგებოდა ჯგუფის სახელწოდებისთვისაც. პაოლომ სთქვა „ცისფერი ყანნები“ და გაიტანა კიდეც, ვინაიდან მის მეტს ფული არავის ჰქონდა აღმანახის გამოსაცემად. ამგვარად დაიბადა ჯგუფი „ყანნების“ სახელწოდებით. როგორც მახსოვს, სხვა სახელწოდება არ ყოფილა წამოყენებული. „ცისფერი“ რომანტიულია, „ყანნები“ — ორმაგად. ჯერ როგორც თვით საგანი და ანბანთარიგით — ყ. წ. — ეროვნულიაო, ამბობდნენ“.

ოსტატ-შეგირდთა წესისამებრ, რობაქიძესა და ახალგაზრდა პოეტთა შორის არც წვრილმანი განხეთქილება იყო უცხო. მართლაც, პაოლოსათვის ბევრი რამ მხოლოდ „თამაში“ იყო, მას შეეძლო თვეობით არ მიჰკარებოდა სანერ მაგიდას, შეეძლო გადაჰყოლოდა ნაირგვარ მისტიფიკაციებს, გადახვენილიყო სამოგზაუროდ, სანადიროდ, სან-

ადიმოდ; არტისტული, ემოციური ტიციანი-სათვის სრულიადაც არ იყო სათაკილო და-დაიზმთან თუ ფუტურიზმთან კავშირი.

ყველაზე „ორთოდოქს-სიმბოლისტად“ აღიარებული ვალერიან გაფრინდაშვილის მრწამსი უფრო მისაღები იყო რობაქიძისათვის, სწორედ მას მიმართავდა მანესტრო „სამედიატოროდ“. ამის დასტურია მისი უაღრესად საინტერესო, 1919 წლით დათარიღებული კერძო წერილი ქუთაისში მყოფი ვალერიანისადმი; მაგრამ აქ მცირე რეტროექსკურსი დაგვჭირდება: 1917 წლიდან თბილისში რევოლუციასა და სამოქალაქო ომს განრიდებულმა ბევრმა რუსმა ავანგარდისტმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო ალექსეი კრუჩონიხი, უსაჩინოესი ფუტურისტი და „ზაუმური“ ენის ფუქემდებელთაგანი. იგი ჯერ „ფუტურისტების სინდიკატში“ შევიდა, ილია ზდანევიჩთან, კოლაუ ჩერნიავსკისთან, ლადო გუდიაშვილთან და კირილე ზდანევიჩთან ერთად, ხოლო 1918 წლის თებერვალში ილია ზდანევიჩთან და იგორ ტერენტიევთან ერთად ფუტურიზმის „ახალი“ სახეობა — ჯგუფი „41⁰⁰“-ის — შექმნა.

ქართველი და რუსი ავანგარდისტი პოეტები და მხატვრები მშვიდობიანად თანაარსებობდნენ, მონაწილეობდნენ ერთ-ერთის საღამოებსა და ბეჭდვით ორგანოებში, იკრიბებოდნენ ხან „ფანტასტიჩესკი კაბაჩოკში“, ხანაც ცისფერყანწელთა კაფე „ქიმერიონში“ (ორივე მათგანი რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა).

მათ ერთობლივ საღამოს ეხება რობაქიძის წერილი ვალერიან გაფრინდაშვილისადმი:

„ძვირფასო ვალერიან!

ივნისის შვიდს აქ საღამო გაიმართა შესახებ მხატვრობის. ილაპარაკეს: კაკაბაძემ, სუდეიკინმა, ტიციანმა, მე. ტიციანის სიტყვა ჩემთვის მოულოდნელი იყო: ჯერ ერთი, თითქოს მას დაასწრეს ფუტურიზმის დეკლარაცია (ასეთი იყო შთაბეჭდილება) — განაცხადა მან: ფუტურიზმის ნამდვილი დეკლარაცია ამ სცენიდან მალე მოხდება ჩვენი ჯგუფის მიერ. გარდა ამისა, იყო ასეთი ხაზი სახელების: პიკასსო და სკრიაბინი, მალლარმე და კრუჩონიხი... და სხვა...

მეავლელდი საშინლად: უმთავრესად იმის გამო, რომ თემა ჩემი იყო სასიცოცხლო (ჩემთვის მაინც), ვილაპარაკე კუბიზმის შესახებ: როგორც თანამედროვე რიტმი კოსმოსის დაშლის ათვისებისა. მივიღე იგი იმდენათ, რამდენათაც იგი გამართლებულია სულის ტრაგედიით და ესთეტიური კათარზ-

ისით. გარეშე ამისა: იგი მხოლოდ დემონოლოგიაა. კრუჩონიხი დავახასიათე როგორც „СКОМОРОХ ВШИВОГО БЕСЁНКА“ და ვამხილე მისი შემოქმედებითი არარაობა — (მალლარმეს გვერდით მას რა უნდა?!)... ჩემი სიტყვა ალბათ დაიბეჭდება.

შემდეგ: ტიციანი გამომელაპარაკა:

მან მითხრა: როგორც „ჩვენ“ გვეჩვენება „სიო“ და სხვა ამგვარი ბანალობად, ასე ეჩვენება ალბათ კრუჩონიხს ბანალობად ბალმონტი და სხვაო... და მეც ამას ვგრძნობ სწორადო.

მე შევეკითხე: იქნება ოდესმე ქვეყანაზე ისეთი რამ, რომელიც შემდეგ ბანალობად არავის მოეჩვენოს?

მან მომიგო: არა.

მე კიდევ: მამსოფლიოს მიღება შეუძლებელია?

ტიციანი: დიახ, შეუძლებელია...

მე: აქედან დასკვნა?

ტიციანი: თავის მოკვლა...

მან ისიც გადმომცა, რომ თქვენ უარი გითქვამთ სონეტის წერაზე და პაოლოს უტირია, რომ პოეზია უკანასკნელად დაეჭვებია...

მე არ მინდა აქ ყველაფერი ვთქვა...

მე მინდა მხოლოდ თქვენი და პაოლოს აზრი გავიგო.

თქვენ კარგად იცით ჩემი აზრი: პოეზია არარიტმული სიტყვაა და მსოფლიოს მეტაფიზიკური ამონურვა. ეს დასკვნა ბევრს რამეს თხოულობს წინასწარ. მე მწამს, რომ მსოფლიო ღვთის ქმნადა და ხელოვანი მისი თანაშემოქმედი. ეს არ არის ფიგურული თქმა. თუ ეს მიღებული იქნა, მთელი დემონოლოგია ტიციანის უარყოფილ უნდა იქნას...

თქვენ იცით, რომ მე თქვენთან ვარ როგორც ძმა და შემოქმედი. ძალზე ვგრძნობ თქვენი (სამის) სიყვარულს. ხოლო, შესაძლოა თქვენ (პაოლო და თქვენ) ისე ფიქრობდეთ, როგორც ტიციანი და მართლაც გადაწყვეტილი გქონდესთ ახალი „გამოსვლა“.

უნდა იცოდეთ, რომ ამ შემთხვევაში ვერ გამოგყვებით. სიყვარული ნამდვილი — სასტიკია. მე არ შემიძლია თავის თავის ღალატი. თქვენთვისაც უფრო კარგი იქნება: უფრო თავისუფლად იმოქმედებთ.

ნუ გაიკვირვებთ, რომ „ასე“ გწერთ: მიუხედავად ტიციანის „იმპრესსიონიზმისა“, მისმა სიტყვებმა დამაფიქრეს.

ეს ბარათი ნაუკითხეთ პაოლოს...

ველი პასუხს: ორივესაგან...

თქვენი ერთგული გრ. რობაქიძე.

მისამართი: თბილისი, ცხნეთის ქ. 4, ბინა 1.

P.S. აუცილებელია თქვენი და პაოლოს აქ ჩამოსვლა ერთი კვირით მაინც“.

ვერას ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რა შედეგი მოჰყვა გრიგოლ რობაქიძის თხოვნას: შეიძლება ვივარაუდო, რომ მაესტროს შემოთება უთუოდ ვალერიანსა და პაოლოსაც „გადაედო“ (გრიგოლის განაწყენება მათთვის ნარმოუდგენელი იყო), მათ სასწრაფოდ აცნობეს ამის თაობაზე ტიციან ტაბიძეს... ასე იყო თუ ისე, არავითარი ერთობლივი „ფუტურისტური დეკლარაცია“, როგორც მოსალოდნელი იყო, ცისფერყანწელებს არ გამოუქვეყნებიათ. ტიციან ტაბიძის მოულოდნელი გამოსვლა ფუტურიზმის დეკლარაციის „მუქარით“ ალბათ უფრო რუს ფუტურისტებთან მეტოქეობის გრძნობით თუ აიხსნება. ტიციან ტაბიძე დიდად აფასებდა (ლირებისამებრ) კრუჩინიხის. რუსი პოეტის მიმართ აზრი მას არც 1920 წელს (ანუ კონფლიქტიდან 1 წლის შემდეგ) შეუცვლია, რადგან სანდრო ცირეკიძის ჟურნალ „შვილდოსანში“ წერდა: ყველა პოლიტიკურ რევოლუციას წინ უსწრებდა რევოლუციური გარდატეხები პოეზიაში. ამის საუკეთესო მაგალითია კრუჩინიხი, რომლის ზაუმურმა თეზისმა „дыр-бул-цыл“-მა – გაუსწრო რევოლუციას რუსეთშიო.

პარადოქსული აზრებით და წინააღმდეგობებით აღსავსე წერილში „დადაიზმი და „ცისფერი ყანწები“ ტიციან ტაბიძე აღწერდა თბილისის კაფე „იმედში“ გამართულ რუსი ფუტურისტების საღამოს. ჩანს, სწორედ ამ საღამოზე 1919 წლის 7 ივნისს მომხდარმა ინციდენტმა გააგულისა გრიგოლ რობაქიძე.

„საღამო მოაწყვეს რუსმა ფუტურისტებმა ილია ზდანევიჩმა, ა.კრუჩინიხმა და ტერენტიევმა. ეს საღამო იყო ფუტურისტების მხატვრობის. უმთავრესად აქ წარმოდგენილი იყო მეორე ზდანევიჩი (იგულისხმება ილიას ძმა კირილე ზდანევიჩი — ლ. ა.) და ლადო გუდიაშვილი. მოხსენებას კითხულობდა „ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი“ კრუჩინიხი. როდესაც ტფილისის აკადემი-

ის ნურბელებმა იჯერეს გული (მახსოვს იყვნენ მათემატიკის დოქტორი ხარაზოვი და ს. გოროდეცკი), როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა. კრუჩინიხი ჩხაოდა, როგორც მოგდებული კატა, სიტყვა აიღო გრიგოლ რობაქიძემ. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ ეს ღამე დაამახსოვრდა ალ. კრუჩინიხს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა „специалист по апокалипсису и безумию“)...

...ამ აპოკალიპსისის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახსოვრე. აქ იყო ლაპარაკი ნიცმეს ინსტინქტების ანარქიაზე, ედგარ პოს მიწის ქვესკნელის გაჟრჟოლებაზე, გეოლოგიურ კატასტროფებზე... დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით. თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ: მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისთვისო.

...იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ გახსნა თავისი მასკა. ამ ღამეს ის არ იყო მთანმინდელი, ღვანლით შემოსილი, მასში დასძლია პოეტის უკიდურესობამ“...

უეჭველია, რომ სამიოდე წლის შემდეგ, ტიციან ტაბიძე სულ სხვაგვარად წარმოგვიჩენს კრუჩინიხისა და რობაქიძის „დეულს“: უპირატესობას იგი, რა თქმა უნდა, მაესტროს ანიჭებს.

ამ ინციდენტმა, როგორც ჩანს, ვერაფერი დააკლო მათ გულითად, წრფელ სიყვარულსა და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას... წინ კიდევ დიდი გზა იყო, მაგრამ „მოდერნიზმის ქადაგი“ გრიგოლ რობაქიძე ცისფერყანწელთა მარადიულ კერპად დარჩა.

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკური წიაღსვლები კი, დღევანდელი თვალსაწიერიდან, ჯგუფის „სისუსტედ“ სრულიადაც არ აღიქმება.



უაკლინ სირაძე

უჩვეულო კოსტუმოღარნიზმი

რომან „გიორგი ბრწყინვალეს“ წაკითხვის მცდელობა არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მიხედვით

„არისტოტელეს მიხედვით: «გონების აქტივობა არის სიცოცხლე»“.
უ. გათრი

6. ისტორია, როგორც მისტიციზმის საგანი

თანამედროვეების სული, თითქოსდა თავისი უსახური აზრების ტყვე შეიქმნა, როცა უპირობოდ აღიარა, რომ „ისტორია ინტელექტის ქიმიის გამომუშავებული ყველაზე მავნე პროდუქტია“ ან „ისტორია ამართლებს ყოველგვარ სურვილს, ის დაბეჯითებით არ გვანდის არაფერს, რადგან ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის ნიმუშს გვთავაზობს“ (პ. ვალერი, „ისტორიისათვის“, თარგმ. ბაჩანა ბრეგვაძემ).

ჭაბუა ამირეჯიბის რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ ამის საპირისპირო მცდელობაა — ისტორია მიჩნეულ იქნეს იმ უეჭველ ფაქტად, რომელიც იმ „შეუმსხვრევ“, გაუქრობ“, „დაუძლეველ“ ტექსტს ქმნის, რომლითაც შეიძლება წავიკითხოთ **წარსული, აწმყო, მომავალი** და ასე გადავიდეთ ქრონოსში.

მაგრამ იმთავითვე დაკვირვებულ მკითხველს თვალში მოხვდება, რომ რომანის ტექსტში ქრონოსი დასაზღვრულია, უფრო ზუსტად, რაც არ უნდა პარადოქსულად ყდერდეს, ის მარადიულობის მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი სახეთაგანია: „იმ დროისთვის აღარც მე ვიქნები, აღარც ჩემი ქსენონი (საავადმყოფი — ფ. ს.), ის სხვა, სხ-



ვაგვარად იქმს ჩემს საქმნელს“. რადგან როგორც თვით ქრონი განმარტავს:

„— სამყარო, რომელსაც ადამიანის გონება მისწვდა, ჩვენთვის იქამდე იარსებებს, სანამ ჯერ თავად ჩვენ და მერმე კაცთა მოდგმა პირისაგან მიწისა აღიგვება და ამას ვგულისხმობ მარადისობად. რაიც ზოგად მარადისობას შეეხება, მანდ სხვა მსაზღვრელი გამოიყენება“.

უნებურად აქ ჩვენ ფიოდორ დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“-დან ეშმაკის მიერ დახატული მარადისობის მარად-მოძრავი სურათი გაგვახსენდება:

*დასასრული. დასაწყისი „საგურამო“ □ 3(9)

<...> ახლანდელი დედამინა იქნებ თვითონ მილიონჯერ განმეორდა. მოკვდა, გაიყინა, დაიბზარა, გაიფანტა, შემადგენელ ნაწილებად დაიშალა, ისევ წყალი, წყალი, რომელი არის მყარს ზემოთ... ისევ კომეტა, ისევ მზე, მზის სხივისგან ისევ დედამინა — ეს განვითარება ხომ ალბათ უკვე უსასრულოდ მეორდება და თანაც ყველაფერი სრულიად ერთნაირად, განუსხვავებლად, საშინელი მოწყენილობაა <...>

მაგრამ სინამდვილეში ამ ორ პარალელს შორის არც არავითარი მსგავსება არ შეინიშნება, რადგან ფიოდორ დოსტოევსკის მარადიულობის ერთ-ერთი სახეთაგანი დაუსაზღვრავია და ის მარად განმეორებადი ნრე-ბრუნვის უსახეობაში იკარგება (აკი მასზე ივანე კარამაზოვის *აქაფი* — ეშმაკი საუბრობს). და ეს მაშინ, როცა ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალეში“ ქრონი — მარადისობის ერთ-ერთი სახე — დასაზღვრულია, და მას გარკვეული სახე აქვს, რაზედაც მიანიშნებს ქრონის სამოსი (რაც უკვე არაერთგზის აღვნიშნე), კერძოდ, ქართველი ეთნოსის შესამოსელი ჩოხა-ახალუხი, ფეხთ კი ქალამანი. რაც იმაზე კი არ მიანიშნებს, რომ აბსოლუტური დრო ადამიანური გონებისა და მისი შესაძლებლობებისათვის შესაბამისად შემეცნებისთვის მიუწვდომელი უფრო პირიქითაც კი ითქმის, მხოლოდ ამ დასაზღვრულობას, ეროვნული ეთნოსის „გასაგნებულობას“ შეუძლია იქცეს იმ გზის მანიშნად, რომელიც მარადისობის ჩაუნვდომელ სიღრმეში ჩაგვახედებს და გონების თვალს აგვიხელს.

მაშასადამე, ავტორის **განმარტებით ეროვნულობა დაბრკოლებას კი არ გვიქმნის აბსოლუტური დროის შეცნობის გზაზე, არამედ ის მისი შეცნობის ერთადერთი გზაა.**

რომანის მთავარი გმირი ისტორიაა, მაგრამ ეს არ არის რეალურად არსებული ფაქტების დალაგება-გაანალიზება, არამედ ის ისტორიის ფაქტებს მიღმა მიმდინარე პროცესების გარკვევას ისახავს მიზნად.

არსებობს უამრავი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც ქართველთა გამარჯვებულ ბრძოლას წინ მიუძღოდა წმიდა გიორგი, მაგრამ არავის უცდია დაენერა ისტორია, სადაც შეეცდებოდა მისტიკური „საფუძვლით“ აეხსნა რეალურად, ისტორიულად გარდამხდარი ფაქტები.

მაშასადამე, რომანის „გიორგი ბრწყინვალეს“ მთავარ გმირს წარმოადგენს მისტიკური ისტორიის საგანი. ამიტომაც კანონზომიერია, რომ მომავალი ისტორიის ფაქტ-

თა შესაძლებლობის სახელმძღვანელოს ტექსტს რკინის კარს მიღმა განთავსებული ქრონოსის სივრცეში სიკეთის, ბოროტებისა და სინანულის სასწორის ორ ბაკანში ჩაგდებული სანყაო-კენჭით მიღებული შედეგი განსაზღვრავს. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ისტორია ერთგვარი ზნეობრივი შენობაა, რომელიც არწყავს ერის წარსულ ნააზრევსა და ნამოქმედარს და უკვე მისი შეჯამება თავად დაწერს თავის მომავალ ისტორიას და ასე შემოხაზავს ისტორიის მომავლის ფაქტებს.

და ეხლა ასოციაციით მახსენდება, თუმცა ზუსტად ვერც კი ვიხსენებ ვისი სიტყვებია:

„— მსოფლიო ისტორია ის წმინდა წერილია, რომელსაც კითხულობს და წერს ყოველი ჩვენთაგანი, რადგან მასში თითოეული ჩვენთაგანია აღბეჭდილი“.

და რაც ერთგვარად აჯამებს ჩემს მიერ რომან „გიორგი ბრწყინვალის“ ამ პასაჟის ინტერპრეტირებას.

7. უმოკლესი გზა შექმნების საგნამდე — ენის ნიალი

საინტერესოა, რომ არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“ ფილოსოფიის წარმოშობას ადამიანის გაკვირვების, გაოცების უნარს მიანერს, რადგან გაოცება-გაკვირვება წინ უსწრებს გონების ყველაზე ჩვეულ მდგომარეობას — აზროვნებას.

საგანი რომ დავინახოთ *a priori* საჭიროა, რომ მას სინათლის ნაკადი ეცემოდეს. აი, დაახლოებით იგივე სინათლის როლს ასრულებს გაკვირვება-გაოცება. ის ხილული სამყაროს საგნებს გონების ნათელით გაანათებს.

როცა ვწერ, რომ გაკვირვება-გაოცება ის მოულოდნელი სინათლეა, რომელიც გონების სინათლით საგანს გაანათებს, იმასაც ვგულისხმობ, რომ ამ სინათლით — გაოცებით, გაკვირვებით — იბადება ადამიანში არსებული ღვთაებრივი ძალა, ძალისხმევა. ის ძალა, რომელიც ადამიანს შეაგრძნობინებს, რომ ის უფრო მეტია, ვიდრე მისი ბუნებითი მოცემულობა. მაშასადამე, გაოცება, გაკვირვება — ძალისხმევის მეშვეობით საგნის ჭვრეტაა, აღტაცებული სიხარული და თანაზიარებაა ღვთაებრივი ნიჭის შესაძლებლობისა.

საინტერესოა, რომ ჭაბუა ამირეჯიბი რომანის ტექსტში ჩანერს: არა გაკვირვებას, არამედ **ცნობისწადილს** — წადილი, სურვილი, რათა ვიცნო, შევიცნო. მაშასადამე, ეს

გასაოცარი სიტყვა **ცნობისნადილი** აერთიანებს ორ ურთიერთმოუხერხებელ უნარს: ერთი მხრივ, სურვილს, ნადილს, უნარს და მეორე მხრივ, გონების უნარს — აზროვნებას. მაშასადამე, ამ ცნობისნადილში ერთდროულად მოცემულია დილიკა (სურვილი, ნადილი, ცთომი) და გიორგი ბრწყინვალე (გონებით ცნობა, შემეცნება).

ავტორი იგივე მთხრობელი-გიორგი ბრწყინვალე პირველ პირობაში წერს რომანის ტექსტში:

„სიცოცხლის მადლიერი ვარ, თუმცა ჭირი არ დამაკლო მაღალმა ღმერთმა. მადლიერი ვარ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ **ცნობისნადილი დამყვა დაუოკებელი** და ამან ბევრი რამ გამაგებინა“.

უკვე არაერთგზის აღვნიშნე და ეხლაც გავიმეორებ, რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ უფრო პოსტმოდერნისტული ჟანრის გამოწვევაა, ვიდრე მისი მტკიცებულება. და თუ იასმინა მიჰაელოვიჩი ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ პოსტმოდერნიზმში, როგორც წესი დაპირისპირება შეინიშნება ლოგოცენტრიზმთან, ჭაბუა ამირეჯიბი კი ამ რომანში ქართულ სიტყვა — ლოგოსს, ისევე კლასიკურ თხრობაში ჩააბრუნებს.

როგორც საზოგადოდ ფილოსოფიურ ლექსიკონებსა თუ ფილოსოფიის სახელმძღვანელოებში იწერება, ლოგოსი (λογος ბერძ. — სიტყვა, აზრი, გონება, კანონი) თავდაპირველად საყოველთაო კანონს, სამყაროს საფუძველს, მის წესრიგსა და ჰარმონიას აღნიშნავდა.

ლოგოსი — ამ შემთხვევაში უფრო სიტყვას აღნიშნავს, რომელიც მისტიკურ აზრს შემოხაზავს. ჭაბუა ამირეჯიბი მოჩვენებითი თავის მოკატუნებითა და ხელოვნური გულუბრყვილობით პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელ, სიღრმისეულ გრამატიკას ისევე კლასიკური თხრობისთვის ნიშნეული მისტიკური პლასტით გადაათამაშებს. ავტორს რომანის ტექსტში, ზმანებისეულ ხილვაში შემოჰყავს სიტყვები და ისინი ენიგმური ნწყობით ერის ფარული, მისტიკური ორგანიზმის „მონახაზს“ გვთავაზობენ, რაც მის მიზანსა და მამოძრავებელ ძალაზე მიგვანიშნებს. ეს ენიგმური ნწყობა იმ სიბრძნეში ჩაგვახედებს, რაც დედის რძესთან ერთად შეინოვება. ეს სიბრძნე — ლოგოსი, ერის ენიგმურ ფესვშია, მის სისხლშია ჩასაიდუმლოებული, ჩაღვრილ-ჩაღეჭილი.

თავად ეს მისტიკური ლოგოსი - სიტყვები იმარხავენ სუბსტანციის — ქართველი ერის ყველა შესაძლო ზრახვას, თუ ქმედებას, ანუ მათში უკვე ძევს **ის, რაც იყო, რაც**

არის და რაც იქნება.

დაკვირვებული მკითხველი ერთგვარად შეცბუნდება, როცა რომანის ტექსტში თავის მიერ, მკითხველის მიერ წარმოთქმულ ფრაზასაც მოისმენს:

„— ...ვერ მოვისვენებდი, სანამ იგავს ფესვს არ მივუგნებდი“.

იგავის ფესვის ამოსახსნელად ავტორი შემეცნების ყველაზე სრულყოფილ გზას დაადგება. ერის მისტიკური ორგანიზმის წიაღს მიაშურებს და ენაში ჩასაიდუმლოებულ სიბრძნეში — სიტყვის ფარულ პლასტში ჩაგვახედებს.

ასე დალაგდება იგავის ფესვის ენიგმური ნწყობა.

„— მაგ სიტყვის ფესვი გიმირი, ანუ ქიმერიელია. მაგრამ მეორენაირად **გმირვა, განგმირვის** ქმნაა. მტერთა თუ უძნელეს საქმეთა ძლევითა და განგმირვით სახელმობვეჭილ კაცს **მგმირს** ეტყოდნენ. მერე ეგ ასო, მანი, თქმისა სიძნელის გამო დაინთქა, გმირილა დარჩა და დღეისჟამობით ბრძოლებსა და ომებში წარმატებულ კაცთა სახელად იქცა“.

მკითხველის გასაოცრად იგავის ფესვში მოძიებული სიტყვათა ენიგმური ნწყობა, არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ დასახელებული ოთხი მიზეზის იდეტურია და მის პოსტმოდერნისტულ გადათამაშებას წარმოადგენს. და ცხადია, იგი ერთგვარი ზემთაგონების ინსპირაციის ნყაროცაა.

მაგრამ ჯერ იგავის იგავი ნავიკითხოთ, სადაც ავტორს რომანის მთლიანი მონახაზი — „დედააზრი“ აქვს გადმოცემული:

„პირველითგან საკაცობრიო ბოროტების მბრძოლსა და მთრგუნველს ეთქმოდა **მგმირი**, მიუხედავად იმისა, რჯულისმდებლობით იღვწოდა ამისთვის, **მშვენიერებათა ქმნითა** თუ **მსხვერპლად მისვლით**. **მგმირი იმ კაცს ეწოდა, ვინც ურჩხული განგმირა და ერი მოშობისგან იხსნა. ზოგადი შემუსრა და არა კერძო, შედეგებს** კი არ მისდგომია, **პირველმიზეზს** მიაგნო და საქმნელი აღასრულა“.

აქ ავტორი არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ სუბსტანციის, სამყაროს არსის — ოთხ მიზეზთან დამოკიდებულებას გააიგივებს სუბიექტის, იგივე გიორგი ბრწყინვალისა (რომელიც რომანის ტექსტში ზოგჯერ **უფლისწულადაა** მოხსენიებული) და მონლოლთა (რომელიც **ურჩხულად** იწოდება) დამოკიდებულებასთან და მათი ამსახველი ოთხი მდგომარეობა, ოთხ სიტყვას — ლოგოსს გადაათამაშებს.

მაგრამ ჩვენ ვერაფრით დავაკავშირებთ

გმირისა და ურჩხულის ოთხ მდგომარეობას არისტოტელეს „მეტაფიზიკაში“ მოხმობილ ოთხ მიზეზთან (რომელიც უკვე ჩამოვთვა- ლეთ ჟ. ს.), თუ არ გავიაზრებთ იმ „შენობას“, რომლის აღსაშენებლად მიმდინარეობს ბრძოლა.

ასე მივადექით რომანის ერთ-ერთი პერ- სონაჟის, მისტიკური ისტორიის საგანს, რომელსაც ზნეობის შენობაც კი შეიძლება ვუნოდოთ.

„ზნეობის შენობაში“ მოიაზრება ქართვე- ლი ერის კრებითი სულის, გიორგი ბრწყინ- ვალის მიერ საკუთარი თავის შეცნობა, რაც ნიშნავს, რომ მან უნდა გაიხსენოს თავისი წარსული, ცოდვით დაცემული კაცობრიობა, ადამ და ევას შეცოდებანი, რათა სინანულის გზით ისევ დაუბრუნდეს ღვთის წიაღს.

რაც გარეგნულად გიორგი ბრწყინვალისა და დილიკას ხორციელი ურთიერთობით და სინამდვილეში კი, გიორგი ბრწყინვალის ცხ- ოვრების ხესთან ზიარებით გამოიხატება.

**8. არისტოტელეს „მეტაფიზიკის“
საკიბეალო საგანი — სუბსტანცია,
— უსია, ანუ რომანის მიხედვით
ქართველი ერი**

„მატერია რომ სინამდვილეში არსებობ- დეს, საჭიროა ფორმა, მაგრამ, მეორე მხრივ, ფორმაც მხოლოდ ნამდვილობა საგნისა და სინამდვილეში არ არსებობს მატერიის გარეშე“.

არისტოტელე, „მეტაფიზიკა“

ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ ჭაბუა ამირეჯიბი გვთავაზობს პოსტმოდერნის- ტულ თამაშს, რომელშიც სუბსტანციადა, უსიადაა წარმოდგენილი ქართველი ერის კრებითი სული - ქრონი.

და ამ პოსტმოდერნისტულ თამაშში ჩვენ ვიხილავთ სუბსტანციის სახეს, მის არსებას — რომანის ტექსტით გადათამაშებულს.

<...> დიდი სტაგირელი „ფორმისა“ და „მა- ტერიის“ ერთიანობას აღიარებს. მისი შეხედ- ულებით, „ერთს“ სწორედ მათი მთლიანობა ქმნის“.

გვ. კოპლატაძე, „ლიტერატურათმცოდ- ნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში“, გვ. 18.

მაგრამ რადგანაც <...> სუბსტანცია არც მატერიაა და არც ფორმა ცალ-ცალკე, არამედ ორივე ერთად, მათი ნარევი“ <...> (გვ. კოპლატაძე). ამიტომაც ჩვენ „გიორგი ბრწყინვალეში“ ვიხილავთ ამ „ნარევს“, საგნის მისტიკურ არსებას, რითაც ჭაბუა ამირეჯი- ბი ქართველი ერის ღვთის წიაღში დაბ-

რუნების პოსტმოდერნისტულ ინტერპრეტ- აციას, ინტელექტუალურ თამაშს შე- მოგვთავაზებს.

როგორც არაერთგზის აღვნიშნე, არის- ტოტელე თავის „მეტაფიზიკაში“ იკვლევს, თუ რა არის უსია, თუ რას წარმოადგენს არ- სებობის მიზეზი. უნდა ითქვას, რომ მიზეზი არ არის ცდაში. ცდა გვიჩვენებს იმას, თუ რა არის, მაგრამ არა იმას, თუ რატომ არის და როგორ არის ის ასე და არა სხვანაირად, ე. ი. ცდა არ გვიჩვენებს გარკვეული არ- სებობის მიზეზს. ამიტომ საკვლევიცა, თუ რაშია არსებობის მიზეზი და რამდენი მიზეზი არსებობს.

მოდით, ისევ გავიმეოროთ არისტოტე- ლეს სიტყვები: მიზეზი არ არის ცდაში. ცდა გვიჩვენებს იმას, თუ რა არის, მაგრამ არა იმას, თუ რატომ არის და როგორ არის ის ასე და არა სხვანაირად.

რომანის ტექსტში ცდაში მოცემული გვა- ქვს ის მოვლენა, რომელიც თავისი უჩვეუ- ლობითა და დაუჯერებლობით ჩვენს შეცბუნებას იწვევს. ეს არის ამბავი, ანუ უფრო სწორად კი, ეს არის ცდა, რომელიც ამბის მიზეზს ვერ გავგვიხელს, რადგან ამ- ბავ-ცდაში ის უბრალოდ არ მოსჩანს.

ამბავი (თუმც ამის შესახებ უკვე ვი- საუბრე, მაგრამ იგივე ამბავს აქ სხვა რაკურ- სიდან განვიხილავ — ჟ. ს.) უჩვეულოა თუნ- დაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შეხ- ვედრის ადგილი ნაოხარ ეკლესიაში მიმ- დინარეობს. ამაზრუნია წმინდა ადგილზე გუმბათ-მორღვეულ, ნანგრევებად ქცეული ეკლესიის წიაღში ქალის, სახელად დილიკას მიერ სარეცელის გაზიარების მიზნით მონ- ლოლთა მიპატიჟებაც, თუმცა ამ ამაზრუნე საქციელს უფრო უჩვეულოდ და დაუჯერე- ბლად მივიჩნევთ, როცა გავიგებთ, რომ ამ პიკანტური სტუმრობის შემდეგ ქალმა ოქროთი სავსე ქისაზე უარი განაცხადა.

ამის თვითმხილველია გიორგი ბრწყინ- ვალე, ჩვენი პოსტმოდერნისტული თამაშის მთავარი ფიგურა — იგივე „სუბსტანცია“, ქართველი ერის კრებითი სული. ის ამ უჩვეუ- ლო და ამავდროს უხამსი ამბისაგან აფორი- აქებული, ცნობისწადილით შეპყრობილი მი- ემართება წმინდა და შერყვნილ ადგილზე უცნობი ქალის მოსანახულებლად.

გიორგი ბრწყინვალე ავტორისა და მკითხველის როლს გაითავისებს და ამბობს:

<...> ვერ მოვისვენებდი, სანამ იგავს (ცდას) ფესვს (მიზეზს) არ მივუგნებდი“.

ამ იგავის, ამ საიდუმლოთი შებურვილი დილიკას ამბავზე ფიქრისას მასში გაიღვი- ძებს სანუთროს მარადღეამული ლტოლვა,

გზნება, ჟინი, სურვილი, წადილი, რომელსაც აღძრავს ზმანების სახით ხილული გოროთას სახე; გიორგი ბრწყინვალე, იგივე ავტორი წერს:

<...> ტანკენარია და მიმგზნები. შემოტმასნული, ოქროთი დანინკლული შავი კაბა აცვია, შავი ხელთათმანები აქვს, სვავის ნისკარტივით მოხრილ თითებს აფუთფუთებს, თავისი მიმზიდველი სხეულითა და ვნებიანი თვალებით კაცს საითლაც ეძახის... შევლიმებდი, ვეტაკებოდი, ნადირივით ვზუზნიდი... ნეტარებაზე მიტანებულს, მკლავებიდან როგორღაც დამისხლტებოდა, შორიახლოდან ნიშნისგებით გამიცინებდა და გაჰქრებოდა, ვითომც არც როდისა ყოფილა. საკვირველია, ...სულის უარყოფის სახედ დედაკაცი რამა და რატომ ამაკვიატა, ნეტაჲ!

ადვილი მისახვედრია, რომ აქ ეოსზე (ბერძ.) — განთიადის ქალღმერთზე მიმდინარეობს საუბარი, რომელიც ზოგი მითის მიხედვით, ჰელიოსისა (მზის) და ნიქტის (ღამის) ქალიშვილია. ამიტომაც გოროთას შავი (მამაზე, ანუ ღამეზე მიმანიშნებლად) და ოქროთი დანინკლული კაბა (დედაზე, ანუ მზეზე მიმანიშნებლად) აცვია (რაც უკვე აღვნიშნე წინა ესეიში) ავტორი მითის იმ ნაწილს ამუშავებს, სადაც მოთხრობილია, რომ ეოსს ლამაზი ყმანვილების მოტრფივალედ, მათ მიმტაცებლად ასახელებენ.

მაშასადამე, სიცოცხლის დიადი ძალა, მისი ძალმოსილება მეფეს ზმანების სახით ეცხადება, ეოსის — განთიადის ქალღმერთის სახით. რაც განასახიერებს მსოფლიო ხეს. ხოლო რაც შეეხება გიორგი ბრწყინვალეს ზმანებისეულ განცდას, ის განპირობებულია იმით, რომ თავად სიცოცხლის შეგრძნება არის არა ცხადი, და საღი გონებითა და განსჯით საწვდომი, არამედ ის, სიზმარ-ცხადის ზღვარზე გვევლინება. ადამიანი ხომ წუთისოფლის წყვილადს განიცდის, როგორც სიზმრის ტკბილ-მწარე შეგრძნებას. **გოროთას სვავის ნისკარტივით მოხრილი თითების ფუთფუთი** კი იმაზე მიანიშნებს, რომ ვნება, ცთომა, წადილი, ყოველი ხორციელი სურვილი — ადამიანის ღვთაებრივი ბუნებისთვის ისეთივე სახიფათოა და, მაშასადამე, დაუნდობელი, მტრული როგორც სვავის მოკაუჭებული ნისკარტი, რადგან ის ებრძვის ადამიანის მაღალ სულიერობას, ვნებითა და წადილით უბინდავს მას გონებას და ასე სიბნელეში (წუთისოფელში) ბრმად ამყოფებს.

მამ ასე, „გიორგი ბრწყინვალე გოროთას — სიცოცხლის შესაძლებლობას, მის პოტენ-

ციას მხოლოდ და მხოლოდ ზმანების სახით იხილავს (როგორც იმაზე ხაზგასასმელად, რომ ის **სიცოცხლის ძალმოსილების შესაძლებლობაა**, ხოლო როცა უკვე ნამყოში მომქმედ სიცოცხლეზე, მის ძალმოსილებაზე საუბარი სურს ავტორს, ის განთიადის ქალღმერთს ეოსს, ავრორას სახელს შეუცვლის და უწოდებს დილიკას (წარმოებულია ქართული სიტყვისაგან „დილა“).

როგორც უკვე არაერთგზის მომიხდა ამაზე საუბარი და ისევე განვმეორდები, გაუთვითცნობიერებელი მკითხველი, მსუბუქად რომ ვთქვათ, გაოცდება, როცა რომანში მეფე გიორგი ბრწყინვალესა და დილიკას ხორციელ ურთიერთობაზე წაიკითხავს, რომელიც ნაოხარ, დანგრეულ, გუმბათგვირგვინ მორღვეული ეკლესიის წიაღში შესდგა. გათვითცნობიერებული მკითხველი კი მიხვდება, რომ ეს ნამყო დროში მონღოლთა მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის იავარქმნილ მდგომარეობაზე მიანიშნება. ზოგი მკითხველი, რომელიც მართლმადიდებლურ კანონიკას ასე თუ ისე იცნობს, ხოლო პოსტმოდერნისტული ჟანრის თამაშში ნაკლებ ჩახედულია, შეიძლება შეძრწუნდეს, რომ ეს ურთიერთობა (გიორგი ბრწყინვალისა და დილიკას ხორციელ ურთიერთობაზეა საუბარი) კრეტსაბმელი გადანუული ფარდაგის იქით მიმდინარეობს.

„კრეტსაბმელი <...> ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი ცენტრალური სიმბოლოა, „ზეციური, ანუ წმინდა კარავი“, რომელიც ციურ სამლოცველოსა (ტაძარს) და ღვთის ციურ სამყოფელს (ბერძნ. სკენი, რუსულად СКАНИЯ) გამოხატავს. კარავი უფლის, ბიბლიური ღმერთის — იაჰვეს — სამყოფელია. სახარების თანახმად, მას შემდეგ, რაც ქრისტი „ზეცად ამაღლდა“, მან მამა ღმერთთან „მოიკარვა“ — მასთან დამკვიდრდა <...> „ზეციური კარვის“ ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტია კრეტსაბმელი, ე. ი. კარის ფარდა<...> ამავე დროს, იგი ცაზე გახსილ კარსაც ნიშნავს, როგორც ამას იოანე ღვთისმეტყველი მიიჩნევს. აღსავლის კარის გახსნა და დახურვა მანიშნებელია იმისა, რაც ცაში ხდება. ეს არის ფარდა, რომელმაც ახალი და ცოცხალი გზით, ე. ი. ქრისტიმ თავისი ხორციითა და სისხლით, კაცობრიობას გზა გაუხსნა“.

„ქართული ნაქარგობა“, რედ. ლეილა ბერიაშვილი, გვ. 162-163.

მაგრამ ჯერ ტექსტი წავიკითხოთ და დაეგემოვნოთ, თუ როგორ შესწევს მწერლის ვირტუოზულობას ჯადოქრის მსგავსად მუსიკის, ფერწერის, პოეზიისა და

ფილოსოფიის „ნაზავი“ ისე მოგვანოდოს, თითქოსდა ჩვენ უმარტივეს ამბავს ვესწრებოდეთ:

„ — ქალი კი არა, ვარდისწყლის შადრევანი იყო... ვეფერებოდი, ვეამბორებოდი, ცრემლი მდიოდა, როგორც უზენაეს ბედნიერებას ნეულ თუ სატრფონაგვრილ ყრმას და როცა დავშოშმინდი, სხეული სიამაყით ამევსო, რომ ის, მომავალი — ტანჯული თუ ბედნიერი, გონჯი თუ პირმშვენიერი, მონა თუ თვითმპყრობელი — უეჭველად და მხოლოდ ჩემგან იშვებოდა, მხოლოდ ჩემგან!“

ავტორი, ჭაბუა ამირეჯიბი ეოსის — განთიადის ქალღმერთზე არსებულ ბერძნული მითებიდან იყენებს „ჰომეროსისეულ ვერსიას, რომლის თანახმადაც ეოსი გრძელ და ოქროსფერ ტალღოვანი თმებით შემკულ, ვარდისფერტიანი და ვარდისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ, ახალგაზრდა ქალად წარმოგვიდგება. პოეტები კი მას ლამაზკულულას, ვარდისფერთითებას და სხვა ეპითეტებს მიაკუთვნებენ. ჭაბუა ამირეჯიბი კი უბრალოდ, მაგრამ მოქნილად იტყვის: **„ქალი კი არა, ვარდისწყლის შადრევანი იყო“**.

მითოლოგიური ლექსიკონების მიხედვით, თუ გოროთა მსოფლიო ხეა, და იგივე ეოსი, განთიადის ქალღმერთია, დილიკა მისი ერთ-ერთი ვარიანტი — ცხოვრების ხეა, — იგივე ეოსია, იგივე განთიადის ქალღმერთი.

როცა ავტორს სურს, მითის ის ვარიანტი წარმოგვიდგინოს, სადაც ცხოვრების ხის სიმბოლო განასახიერებს მცენარეულ საფარველს, ის ბუნების დამცველად და მფარველად გვევლინება, რის შესახებაც ავტორი დანერს:

„ — არა, რანაირად მოდიოდა დიაცო! წარმტაცი იყო და ჭეშმარიტად მდედრი! მძლავრი სხეული ჰქონდა, მაგრამ მოხდენილი და სხარტი, **პირდაპირ მიწიდან ამონახეთქი ჯეჯილივით...**“

ხოლო როცა მითის იმ ვარიანტზე მიდგება საქმე, სადაც საუბარია ცხოვრების ხეზე, რომელიც სიცოცხლის მომნიჭებელია, გამრავლების სიმბოლოა, ავტორი იხსენებს თუ როგორ განამზადა ბერმა იოანემ ჯერ კიდევ ბავშვობაში, რომელიც მას ფილოსოფიას ასწავლიდა, რომ დიაცის ყველა საქციელი მისი შვილიერებიდან წარმოდგებოდა, ხოლო დილიკაზე ასე იწერება:

„ — ეგეთი დიაცო არც ფეხმძიმობაში დაგონჯდება: **ნაყოფისთვის მოისხამს, მოიდოვლათებს, მომრგვალდება, მაგრამ მაინც მშვენიერი იქნება...**“

მაშ, ასე. ჩვენ მხოლოდ გარეგნულად ვადევნებთ თვალს გიორგი ბრწყინვალესა და დილიკას შეხვედრასა და მათ ხორციელ ურთიერთობას გუმბათმორღვეული, დანგრეული ეკლესიის ნიაღში, რადგან ჩვენ ვხედავთ მხოლოდ და მხოლოდ მოვლენას, სადაც სულაც არ მოსჩანს მიზეზი და რომელიც, როგორც აღვნიშნეთ ამბავში (ცდაში) არ გამჟღავნდება.

ეს ბუნებრივია, რადგან რომანის ტექსტი ხომ, არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ანალოგიით, ალუზიით შეიქმნა, რომელშიც ვკითხულობთ:

— **ცდა გვიჩვენებს იმას, თუ რა არის, მაგრამ არა იმას, თუ რატომ არის და როგორ არის ის ასე და არა სხვანაირად.**

ახლა გავარჩიოთ მიზეზი „როგორ არის ასე და არა სხვანაირად“, ანუ **რა მიზეზი იმალება ამ მოვლენის იქით.**

მოქმედება ზეცაში ხდება, ამიტომაც იწერება ავტორის, იგივე გიორგი ბრწყინვალეს მიერ: „...კრეტსაბმელი ოდნავ გადავნიე, შევიხედე“ — ზეცაში დაბრუნება, როგორც რელიგიაში გათვითცნობიერებულ მკითხველს მოეხსენება, შესაძლებელია მხოლოდ სინანულით, რადგან როგორც ბიბლიიდან ვიცით, კაცობრიობის უძველესმა მტერმა, გველმა აცდუნა ჯერ ევა, შემდგომ კი ევამ ადამი, რომელთაც ღვთის აკრძალული ხილი შეჭამეს და ამით ღმერთთან აღთქმული მარხვა დაარღვიეს. როგორც ნმიდა მამები წერენ, ეს იყო ნაყოფი ბრონეულისა — ნაყოფი სიკეთისა და ბოროტებისა, შემეცნების ხისა. რის შემდგომაც მათ თვალი აეხილათ, რომ შიშველნი იყვნენ და როგორც ბიბლიაშია გაცხადებული, რითაც მინიშნებულ იქნა, რომ მათ დაკარგეს უძვირფასესი საჩუქარი — ღვთის მსგავსება. ბიბლიაში ისიც ხაზგასმულია, რომ ღმერთი განარისხა არა ადამ, ევას და გველის შეცოდებამ, არამედ ამ შეცოდების მოუნანიებლობამ, რის შედეგადაც ღვთის რისხვამ არ დააყოვნა და ისინი გამოძევებულნი იქნენ სამოთხიდან, რომლის შესასვლელში ღმერთმა ცეცხლის მახვილოსანი ქერუბიმები (ანგელოზები) დააყენა.

ნმიდა მამები ასეთ კომენტარს აკეთებენ, რომ სამოთხის დაცვა საჭირო შეიქმნა იმ მიზნით, რათა ადამ და ევას, რომელთაც შესცოდეს და ღვთის მაღლი დაჰკარგეს, არ შეეჭამათ ცხოვრების ხის უკვდავების მომნიჭებელი ნაყოფი, რაც უკვე უაზრობა იქნებოდა.

ზეცაში დილიკასა და გიორგი ბრწყინვალეს ურთიერთობის პარალელურად ხდე-

ბა ქრონთან (მარადისობასთან შეხვედრა). ხოლო იმაზე მიმანიშნებლად, რომ ყოფიერებიდან, მიწიერი ცხოვრების ჩვეული გზიდან მიღებული სამყაროს მისტიკურ სივრცეში გადავიდა გმირი — გიორგი ბრწყინვალე, მიგვენიშნება ერთადერთი ფრაზებით:

„— უგზოზე მივდიოდი. წყვილი იყო.“
და იქვე:

„— ცხენის ალლოსა მივყვებოდი <...>“
და კანონზომიერია, რომ ქრონისთან

საუბარი სწორედ სიკეთისა და ბოროტების განყოფასა და შემეცნებაზე მიმდინარეობს და სინანულზე, რომელიც გამორჩეული ნიჭთაგანია. ქრონის განმარტებით ის დიდსულოვანთა ხვედრია და თანდაყოლილი გონიერებიდან მოდის. მაშასადამე, ქრონი იხსენებს კაცთა მოდგმის შეცოდებას, სიკეთისა და ბოროტების, შემეცნების ხის, ამ აკრძალული ნაყოფის შეჭმისა ადამ და ევას მიერ, და მათ გამოძევებას სამოთხიდან, მონანიებით ცოდვის არ აღიარების გამო.

აპოკალიფსისის მუხლობრივ განმარტებაში ვკითხულობთ:

„— ადამის დაცემით სამოთხე დაიკეტა და ის უკვე ქერუბიმის დაცვის ქვეშ რჩებოდა; ქრისტეს ვნებით, სიკვდილითა და აღდგომით გაიხსნა სამოთხის კარი და ყველას, ვინც სინანულის გზით მიდის, კვლავ შეუძლია შევიდეს შიგნით და იგემოს ცხოვრების ხის ნაყოფი.“

ამიტომაც, სულაც კანონზომიერია, როცა მიღმურ სამყაროში გადასული გიორგი ბრწყინვალესა და ქრონის საუბარი სინანულის თემის ირგვლივ ტრიალებს, აქვე განიმარტება, თუ რამდენი გვარის, სახეობის სინანული არსებობს და რომლის მეშვეობით არის შესაძლებელი ცხოვრების ხის ნაყოფის მიღება.

ქრონი ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, რომ მეშვიდე ინკარნაციით მოვლენილი გიორგი ბრწყინვალე მძლეა, და რომ მას დაბადებითგან, როგორც დიდბუნოვანთა გვარის წარმომადგენელს სინანულის თანდაყოლილი, გამორჩეული ნიჭი გააჩნია.

წმინდა მამების განმარტებით, სიტყვა „ძლევა“ დანერილია ჯვარზე და შეუძლებელია ვინმემ ცხოვრების ხის ნაყოფი ისე იგემოს, თუ წინასწარ ჯვრის გემო არ შეიცნო.

მაშასადამე, თუ მოვლენაში, ამბავში (ცდაში) ჩვენ დილიკასა და გიორგი ბრწყინვალეს ურთიერთობის მიზეზს ვერ ჩავნვდით, ახლა ცდის მიღმა ჩვენ უკვე განგვეცხადა მათი ურთიერთობის ფარული საზრისი და მაშასადამე, შევიცანით „**რატომ არის და როგორ არის ასე და არა სხვანაირ-**

ად“.

გიორგი ბრწყინვალემ დილიკასთან ურთიერთობით ცხოვრების ხის, უკვდავების ნაყოფი იგემა, სამოთხეში დაბრუნდა, ღვთის მადლი მიიღო, რითაც მისი მსგავსება დაიბრუნა და უკვდავებას ეზიარა.

რ. ცანავა წერს, „თუ ყველა ჩაკრა გაიხსნა, ადამიანი ხდება **გამტარი**, იგი ამყარებს კონტაქტს ყველა სკნელთან და ასეთი ადამიანი ხდება მსოფლიო ხის ანალოგი...“

გამტარი ადამიანი ძალაუფლების მფლობელია, ლიდერი. ძალის მოპოვება, ძალით ავსება შამანური პრაქტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია“.

როგორც რომანის ტექსტიდან ირკვევა, დილიკა თავად აპირებდა ურჩხულთან შეპაექრებას, რისთვისაც მონღოლებთან ხორციელი ურთიერთობა დაამყარა და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რათა მონღოლთა აღგვის გზებისთვის მიეგნო. „დრო ვიხელთო, შევება და ვძლიო“ (ჭ. ამირეჯიბი). მისი განსჯით, თუ მონღოლთან ურთიერთობით დაბადებული ბავშვი მონღოლს დაემსგავსებოდა, დედის (დილიკას ქართული ბუნება) სიყვარული ჩააცხრობდა, მოთოკავდა, შეარბილებდა მის მოძალადე ბუნებას, ხოლო თუ ქართველს დაემსგავსებოდა, — თავად თავისიანების, ქართველების მხარდამხარ იბრძოლებდა.

მაგრამ მოვლენაში (ცდაში) უკვე გიორგი ბრწყინვალე ამყარებს დილიკასთან — ცხოვრების ხესთან — სიცოცხლის დიად ძალასთან ურთიერთობას.

მაგრამ ეს ძალა სიცოცხლის ძალმოსილება თავად გიორგი ბრწყინვალის შინაგანი ეგზისტენციის ნაწილიცაა, ამიტომაც ასეთი უჩვეულო ტექსტი იწერება რომანში:

„— დილიკა მქვია, შენა? — **ყურში კი არა, გონებაში მომესმა**, ვითომ ბავშვობაში, ვისიმე ნათქვამი სიტყვების ჟღერა აღსდგამეხსიერებაში.“

გიორგი — მივუგე და ესეც ის ხმა იყო, ბალღობაში როგორცა მქონდა, მაგრამ მე უკვე ვიცოდი, **განწირული მშვენიერების სახელი** — დილიკა!“

სიტყვები: **განწირული მშვენიერება**. მიგვანიშნებს, რომ აქ ისევ ვარირდება ზღაპრის ყველაზე ცნობილი თემა: ურჩხული — მზეთუნახავი. ტექსტის მიხედვით, ურჩხულს — მონღოლნი განასახიერებენ, ხოლო მზეთუნახავი — დილიკა-გოროთაა, სიცოცხლის ყოვლადობა და მშვენიერება. ეს უკვე სხვა საუბრის თემაა, მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს, რომ სწორედ გიორგი ბრწყინვალეს მივიწყებულ მეხსიერებაში, მის გონებაში

9. აპოკალიფსის ნიშნი კითხულობს საქართველოს ისტორიას

ჭაბუა ამირეჯიბის „გიორგი ბრწყინვალის“ დაკვირვებით ნაკითხვა მიგვახვედრებს, რომ ტექსტი უაღრესად რთულია და მასში ცნობიერების ნაკადის ტექნიკისთვის ნიშნეული, კარგად ნაცნობი ხერხია გამოყენებული, ნამდვილისა და წარმოსახულ-გამონაგონის ერთიმეორეში აღრევა.

ჩვენ თითქოსდა ზმანებისეულ სამყაროში მოვხვდით, სადაც ვერც კი გავრკვეულვართ, სად გადის ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის, სად არის მიწიერი და სად მისტიკური საგნები, რადგან ავტორმა იმთავითვე მათ შორის ყოველგვარი ზღვარი წაშალა.

უფრო მეტიც, ჩვენ იმასაც კი აღმოვაჩინეთ, რომ ისტორიის ფაქტებმა სახე იცვალეს, რადგან ისტორიაში კარგად ნაცნობი ფაქტების შეცნობისა და გააზრების ნაცვლად ხან ზმანებისეული სურათებით, ხან აპოკალიფსური ხილვებით ისტორიის მიღმა ვმოგზაურობთ და მასში მოქმედ ღმერთებსა და არამიწიერ არსებებს, რომან „გიორგი ბრწყინვალის“ პერსონაჟების სახით ვეცნობით.

მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუა ამირეჯიბისთვის წმინდა „იოანეს გამოცხადება“, ცნობილი მეორე სათაურითაც — „აპოკალიფსი“, უპირობოდ საიდუმლოთი დაფარული ტექსტია, ავტორი მკითხველისდა მოულოდნელად, ამ ნაწარმოებში, აპოკალიფსში აღწერილი მეორედ მოსვლის ჟამის მოდერნისტულ ინტერპრეტაციას შემოგვთავაზებს. ალბათ ამით **ავტორს, ჭაბუა ამირეჯიბს იმის თქმა სურდა, რომ აპოკალიფსის ტექსტი იმდენჯერ დაინერება „ხელახლა“, ანუ ის იმდენჯერ აღსრულდება კაცობრიობის ისტორიაში, რამდენჯერაც მოხდება ბოროტების მომძლავრება და ანტიქრისტეს აღზევა.**

მირჩა ელიადე წერს:

„— მითი ეს არის ის, რაც არასოდეს ყოფილა და მუდამ არის“.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ დავადგენდეთ, რომელ დროს, ანუ რა ვითარება-ამბავზე ხდება ავტორის მიერ აპოკალიფსის მოდერნიზებული თხრობა, ჯერ გავიაზროთ, თუ რა საზრისი, რა მნიშვნელობა იმალება ამის იქით.

მაშ ასე, რას ნიშნავს, რომ აპოკალიფსის ტექსტი „ხელახლა დაინერა“? ან, რომ მისი ტექსტი „ამუშავდა“?

ტექსტი ამუშავდება „**იმ დროს და იმ ვითარებაში**“, როცა ისევ მოხდება საგანთა განყოფა — სიკეთედ და ბოროტებად, ანუ ამით მიგვენიშნება, რომ საქართველო, ვით კაცობრიობის ერთ-ერთი სახე ისევ გამოძევებულ იქნება სამოთხიდან (სამოთხეა გამოთლიანებული სახელმწიფო თავისი მაღალი ზნეობითა და ღვთის რწმენით ცხადია, რომან „გიორგი ბრწყინვალის“ ტექსტის მიხედვით). რადგან ცთუნებულ იქმნენ ქართველნი გველისაგან, რომელიც საზოგადოდ იწოდებოდა, „უძველესი ეშმაკი“. მათ დაიგემოვნეს რა შემეცნების ხე, განჰყვეს სიკეთე ბოროტებისაგან და ცთუნებულებმა ცოდვა არ მოინანიეს, რის გამოც მოხდა აპოკალიფსი — მომხვედურთა ბატონობა, ანუ ურჩხულის აღზევა.

ამით ისიც ითქმის, რომ ისტორია (რაზედაც უკვე ვისაუბრე და ისევ განვმეორდები) განიხილება არა მარტო როგორც მოცემული ფაქტების ერთობლიობა, არამედ ისტორიაში მოცემული ფაქტები თავისთავად იმ ერის, იმ მისტიკური ორგანიზმის შემოქმედებაა, რომელი ერის ისტორიასაც ვეცნობით, ანუ ვისაც ეს ისტორია გარდახდება.

მაშასადამე, გამოდის, რომ ისტორია კანონზომიერი მოვლენაა და მოცემული ისტორიული ფაქტი ერთდროულად მიზეზ-შედეგია იმ თავგადასავლისა, რაც ერს, როგორც მისტიკურ სუბიექტს გარდახდება.

ამით ისიც ითქმის, რომ ყველა ომი, ყველა განსაცდელი, ყველა სისასტიკე თუ ღალატი არ წარმოადგენს რაღაც შემთხვევითს, გარედან თავს მოხვეულ, გაუგებარ ამბავს, რაღაც უაზრობას. უფრო პირიქითაც ითქმის, ისტორიაში მიმდინარე უკლებლივ ყველა ამბავი, ყველაზე მოულოდნელი და დაუჯერებელი ომი თავად ერის მისტიკური სუბიექტის — მარადისობის (ქრონის) მიერ იწერება. როცა ქრონოსი ქართველი ეთნოსის სამოსით გვეცხადება, ეს იმაზედაც მინიშნებს, რომ ის გარდაუვალი კანონზომიერების გამოისობით, ქართველი ერის „საზღვრებიდან,“ მისი წიაღიდან ნამდვილდება. ის იმ დასაზღვრულობის, კონკრეტულობის მსახურია, რაც მის მიერვე ცოდვა-მადლის სასწორით აირწყვება და რაც ქართველი ერის ისტორიის მიზეზ-შედეგობრივი ფურცლებიცაა.

ჩვენ კარგად ვიცნობთ აღმოსავლურ რელიგიებში წინარე ცხოვრების „მეჯამებას“, რომელსაც კარმად მოიაზრებენ, ანუ ღვთი-

ური სამსჯავროს მიერ აირწყვება ცოდვამადლი, რომელიც პიროვნების შემდგომი, მომავალი ცხოვრების წინაპირობაცაა.

მაგრამ ჭაბუა ამირეჯიბი ხაზგასმას აკეთებს იმაზე, რომ ის მართლმადიდებლური რელიგიის ნიალიდან მოგვითხრობს ისტორიის „ამბებს“ და ამ განზრახვით ის წინდანინვე რომანის პირველივე გვერდებიდანვე მიგვანიშნებს აპოკალიფსის ტექსტზე. და თუ იოანეს გამოცხადებაში იწერება:

„— მოვალს ღამე, ოდეს ვერვის ხელნიფების საქმედ“.

სხვაგვარად: მარადიულ ყოფიერებასთან შედარებით ეს წუთისოფელი მოკლეა და მოვალს ჟამი და აქვე ახლო არს, როდესაც თითოეულსაც მიეგება „საქმეთაებრ მათთა“ (ანდრია კესარიელი).

რომანში კი ამ ტექსტს ასე ვკითხულობთ:

„— მალე უნდა გათენებულიყო. ღრუბელი გაიფანტებოდა, მზიან, კაშკაშა დღეს დაიჭერდა, ვიცოდი, **მაგრამ მაინც იმ ღამეზე ვფიქრობდი**, სვალინდელ მზიანს რომ უნდა მოჰყოლოდა“.<...>

იმ ღამეზე — ამით ავტორი მიგვანიშნებს აპოკალიფსზე, რომელიც უკვე არაერთგზის იყო აღსრულებული და ისევ აღსრულდა, კერძოდ აქ იკითხება მაჰმადიანური სამყაროს დაპირისპირება ქრისტიანულ სამყაროსთან.

მაგრამ საკითხავია, რატომ იყო შესაძლებელი საქართველოს გამოყვანა ამ სამსჯავროზე ქრისტეს სახით?

როგორც ვიცით, ჩვენი ქართველი მეფეები თავის ღვთაებრივ წარმომავლობას იმთავითვე ხაზგასმას უკეთებდნენ.

ყველა ქართულ წყაროში, როგორც წესი დავით მეფე მოიხსენიება „მესიის მახვილად“, ხოლო თავის მიერ მოჭრილ მონეტაზე აღბეჭდილი იყო სიტყვები: „მეფეთა მეფე დავით, ძე გიორგისი, მესიის მახვილი“ და რაც მთავარია, ეს სიტყვები არაბულ ენაზე ეწერა. რითაც ის მთელ აღმოსავლურ სამყაროს მაჰმადიანების წინაშე განაცხადს აკეთებდა, რომ ის საქრისტიანოს დამცველია და „მესიის მახვილია.“ ამის საფუძველს კი მას აძლევდა მისი ღვთაებრივი წარმომავლობა. აქი ბაგრატიონები იწოდებოდნენ:

„იესიან-დავითიან-სოლომონიანებად და ამით ოფიციალურად ცხადდებოდა მათი საგვარეულოს ღვთაებრივი წარმომავლობა და უფლება მეფობაზე“.

თვით ფრანგულ ქრონიკებში საქართველო გამოდიოდა როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროს დამცველი და ქომაგი. მაგალ-

თად, ანტიოქიის სამთავროს ფრანგი კანცლერის, გოტიეს ქრონიკაში ჩაინერა დიდგორის ბრძოლის ამბები და ცალკე მოყვანილი აქვს დავით მეფის სიტყვები:

„— <...> მეომარო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. <...> ჩვენ, ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მიცვეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო დავიხოცებით, ვიდრე გავიქცევით <...>“

უამრავი საისტორიო წყარო გვიდასტურებს იმ ფაქტს, რომ მთელ იმ დროინდელ დასავლეთ ევროპაში საქართველოს ძლევა-მოსილი ქრისტიანული სახელმწიფოს იმიჯი ჰქონდა.

ამიტომაც სულაც არ იწვევს გაკვირვებას ის ფაქტი, რომ ჯერ ერთი დიდგორის ომში თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში, ქართველებთან ერთად მხარდამხარ ევროპელი რაინდებიც იბრძოდნენ, (ზუსტ რიცხვსაც ასახელებენ — 200 ევროპელი რაინდი), ხოლო მეორეს მხრივ, რომ იერუსალიმიდან დავითის ჯვარი დიდხანს ინახებოდა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში.

მოიპოვება ასევე უცყუარი ცნობა, იმის შესახებ, (კერძოდ, ლათინურენოვანი ქრონიკა გვაუწყებს), რომ დავით IV იერუსალიმის ჯვაროსანთა მეფე ბალდუინს ხშირად ასაჩუქრებდა გამორჩეული ნივთებით.

საქართველო უპირველესად ქრისტიანული სამყაროს ძლევა-მოსილებას რომ განასახიერებდა, ამანაც გამოიწვია თურქების ერთსულოვანი გამოლაშქრება საქართველოს წინააღმდეგ (დავით აღმაშენებლის დროს). ისტორიკოსების განმარტებით საქართველოს განადგურების გარეშე ისინი მთელ ძალებს ვერ მიმართავდნენ სირია-პალესტინაში მყოფი ჯვაროსნების წინააღმდეგ, რათა ისევ და ისევ გოტიეს განმარტებით მთელი ძალები მიემართა იერუსალიმისა და ანტიოქიის დაპყრობისა და იქ მცხოვრები ქრისტიანების გასანადგურებლად. საქართველოს არა მარტო დავით აღმაშენებლის დროს, არამედ, საზოგადოდ, ასეთი დიდი მისია საუკუნეების განმავლობაში გააჩნდა.

ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასებთ და ვერ გავიაზრებთ აპოკალიფსის მოდერნიზებულ ტექსტს, თუ არ განვწონით იმ მისტიკური კავშირის სიღრმეს, რომელიც არსებობს თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალეს ეპოქებს შორის, (ცხადია ავტორის ინტერპრე-

ტაციით) ანუ თუ არ გვეცოდინება, რატომ, რა მიზეზით მიმართავს ცოტნე დადიანი თამარ მეფის ხანაში მცხოვრებ ანანია ლარგველს, იგივე ქართველი ერის კრებით სულს, ფრაზით:

<...> **შენ ის ლარგველი ანანია არა ხარ, დანიშმენდი ვირში რომ გაცვალე?**

რადგან უკვე დავადგინეთ, რომ რომანის ტექსტში და ასევე „მოდერნიზებული აპოკალიფსის“ ტექსტში საქართველოს ისტორიის ორი მონაკვეთი მისტიკურად უკავშირდება ერთმანეთს თამარ მეფისა (რომელშიც ანანია ლარგველის თავგადასავალი ფიგურირებს და წარმოადგენს გიორგი ბრწყინვალეს მეექვსე ინკარნაციას) და გიორგი V-ის ხანისა.

„აპოკალიფსისის მუხლობრივ განმარტებაში“ ვკითხულობთ (თავი 5:7-8-9): „**სულეები, რომლებიც მინიერი მიჯაჭვულობისგან გათავისუფლდნენ და ზეციურს მიენებნენ, მეფეები ხდებიან, რამეთუ ისინი ჭეშმარიტად უფლებენ თავის თავზე და ყველა არსებებზე.** ისინი გახდებიან მღვდლები, რომლებიც განუწყვეტლივ სწირავენ მსხვერპლად ქებას. **ასეთები არა მხოლოდ ზეცაში მეფობენ — მათი მეფობა ჯერ კიდევ დედამიწაზე ცხოვრებისას იწყება.**“

მაშასადამე, ანანია ლარგველის მიერ მინიერი სამყაროსაგან განთავისუფლებამ განაპირობა ზეცის მიერ მისი მეფედ კურთხევა დედამიწაზე, რაც უკავშირდება ანანია ლარგველის მიერ დანიშმენდის ვირში გადაცვლას.

მაგრამ ანანია ლარგველის მიერ მინიერი სამყაროსაგან თავდახსნა, გიორგი ბრწყინვალეს მეფედ და მძლედ მოვლინება უკავშირდება სწორედ იმ ამბავს, — იმ სამსჯავროს, რომლის დედააზრი ჩაგმანულ-ჩასაიდუმლოებულია ფრაზაში: „ისინი (მძლენი — უ. ს.) თავად ნადირობენ დროსა და ვითარებაზე, მძლენი არიან და ამაღ მოინადირებენ კიდევ“.

მაგრამ ვიდრე ამ ფრაზას აღვიქვამდეთ საჭიროა ჯერ გაირკვეს, ვინ არის **დანიშმენდი**. ავტორი აქაც, როგორც ტექსტის სხვა ნაწილში, ახდენს სახელმწიფოთა პერსონიფიცირებას და სუბიექტი — დანიშმენდი სხვა არავინ არის თუ არა **დანიშმენდის დინასტია**.

დანიშმენდის დინასტია იყო თურქომანების დინასტია, რომელიც მართავდა ჩრდილო და აღმოსავლეთ ანატოლიას XI-XII საუკუნეებში. და რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, XII საუკუნეში დანიშმენ-

დების დინასტია მეტოქეობდა რუმის სასულთნოს სელჯუკებს. ახლა კი ჯერი დადება, დავადგინოთ **დრო და ვითარება**, რომელშიც მიმდინარეობს **დანიშმენდის ვირში გადაცვლა**.

როგორც რომან „გიორგი ბრწყინვალედან“ ირკვევა, ეს მოხდა ანანია ლარგველის მიერ, მაშასადამე, მის დროს. ეს კი, როგორც ვიცით, თამარ მეფის ხანაა, უფრო ზუსტად კი ავტორი თუმცა თამამობრივად და მაინც აკეთებს უფრო ზუსტ მინიშნებას:

„— ჯერ დვინი სადიყო, ტრაპიზონი, კარი და ბასიანი <...> ანუ (ავტორი დანვრილებით მოგვითხრობს, თურით იწყება იგავში ჩასაიდუმლოებული ამბავი — უ. ს.) **შამქორის ომის წელსვე მომიყვანეს ანანია.** <...> არა, ის სიტყვა მომწონს იმთავითვე, ელჩმა როქნადინის (ზოგი ისტორიკოსი წერს — რუქნადინი — უ. ს.) წიგნი რომ მოიტანა და ამირეჯიბმა ბელემ უთარგმნა თამარს, — **თუ დამნებდები, ყოველივეს მოგიტევენ**, ხასად მეყოლებიო და ამის გამგონე ზაქარია მხარგრძელმა, ღმერთო, ნათელში ამყოფე სული მისი, ყბაში მუშტი უხეთქა, უგონოდ პირქვე დასცა ელჩი, ოდეს აღადგინეს და გონს მოეგო, ზაქარიამ უთხრა, — შენ რომ ელჩი არა იყო, ჯერეთ ენისა აღმოკვეთა იქნებოდა ხვედრი შენი და მერმეთლა თავისაო!..“

მაშ ასე, დაკონკრეტდა დრო, როცა **დანიშმენდის ვირში გადაცვლა მოხდა** და ეს XII საუკუნეა, რადგან ანანია ლარგველი თამარ მეფის ხანაში ცხოვრობდა. და ჩვენ ისევ მოვიხიბლებით ავტორის ვირტუოზული, საშემსრულებლო დახელოვნებით, რადგან ის ახერხებს ფანტასტიკურ-მისტიკური ისტორიოგრაფიიდან მოულოდნელად გადაგვიყვანოს ისტორიის უკლებლივ ყველა სახელმძღვანელოში აღნუსხული ფაქტების გარემოცვაში. მოდით, ჯერ იმ ფაქტ-დოკუმენტის ზოგად მონახაზს დავჯერდეთ, რომელშიც აღმოვჩნდით. მაშ ასე, გავიხსენოთ კარგად ნაცნობი ისტორიული ფაქტი, რომ საქართველოს გაზრდილ საერთაშორისო ავტორიტეტს ვერ შეეგუენ **თურქნი** და გადაწყვიტეს მძლავრი კოალიციური ლაშრობის მოწყობა თამარ მეფის წინააღმდეგ“. და როცა აქვე წავიკითხავთ, რომ **ბაღდადის ხალიფამ მაჰმადიანური მსოფლიოს სულიერმა მეთაურმა** ნააქეზა ისინი და ძლევამოსილების სიმბოლოდ თავისი დროშა გამოუგზავნა. ჩვენ გუმანი გვიკარნახებს, რომ ისევ და ისევ იმ იგავს მივადექით, რომლის „ამოხსნა“, ინტერპრეტაცია დავისახეთ მიზნად და თანაც არისტოტელეს

„მეტაფიზიკის“ პოსტმოდერნისტული გადათამაშებით. და კანონზომიერია ვიფიქროთ, რომ აპოკალიფსის წიგნით ისტორიის ნაკითხვა, ანუ აპოკალიფსური სამსჯავრო სწორედ იმ ამბავ-იგავშია ჩასაიდუმლოებული, რომლის ციტირება უკვე მოვახდინე.

მაშ ასე, გავიხსენოთ ეს იგავი:

„**ბაღდადის ბაზარზე** ანანია არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ ძველთაძველი ხელნაწერი ნახა, სული აუკანკანდა. საკმარისი ფული არ ჰქონდა. ქალაქგარეთ საბალახოდ მიშვებულ მშვენიერ ულაცს დაადგა თვალი. პალვანდი ახსნა. იმ დღეს ულაციც გაიყიდა და არისტოტელეც ანანიასი შეიქნა. ის ფოლიანტი ჩვენს სასწავლებელში იყო, სანამ ყველაფერს ქარი წაიღებდა. ეგ არის, ცხენი ანანიას მასპინძლისა აღმოჩნდა, ერთობ შენუხებული დახვდა. ლარგველმა ათი დღის თავზე ულაცი მასპინძელს მოჰგვარა, სიმართლე უთხრა და მას მერე ანანიას ბაღდადელ მასპინძელზე უკეთესი მეგობარი დუნიაზე სხვა აღარავინ ჰყოლია“.

თავად არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ (რაც არაერთგზის აღვნიშნე, საძიებელი საგანია სამყაროს პირველმიზევი, სუბსტანცია, მამასადაძვე, ღვთაებრივი საგნები. უფრო ზუსტად კი, წიგნის მთავარი საკვლევი ობიექტია — ღმერთი და ღვთაებრივი ბუნება) შესყიდვაში კი მოიაზრება ქრისტიანული სარწმუნოების ხელახალი აღორძინება და მისი სინწინდეების დაბრუნება საქართველოში (რაზედაც დანვრილებით ვისაუბრებთ).

მაგრამ ისიც დასადგენია, რა იგულისხმება **ბაღდადის ბაზრობაში?** უფრო ზუსტად კი, საინტერესოა ვიკითხოთ, თუ რატომ ხდება ანანია ლარგველის მიერ არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ შესყიდვა მაინცდამაინც **ბაღდადის ბაზრობაზე?**

როცა ტექსტში ხაზგასმით იწერება არა უბრალოდ ბაღდადი, არამედ **ბაღდადის ბაზრობა**, ამით მიგვენიშნება, რომ **ბაზარი აქ მსოფლიო ღირებულებათა, ფასეულობათა გაცვლა-გამოცვლის ადგილის აღმნიშვნელია**.

და მისახვედრია, რომ ბაღდადი არამარტო კონკრეტული გეოგრაფიული სახელწოდებაა, არამედ მას პოსტმოდერნისტული ჟანრისთვის ნიშნეული რამოდენიმე კოდი გააჩნია.

საინტერესოა, რომ ინტეგრალურად გადათამაშებული საქართველოს ისტორიის ორივე მონაკვეთში თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ხანაში ფიგურირებს სიტყვა **ბაღდადი**. ის, ერთდროულად

გეოგრაფიული ადგილიცაა და პიროვნების აღმნიშვნელი სახელწოდებაც.

თუ XII საუკუნის საქართველოს იგივე თამარ მეფის, იგივე რომანის ტექსტის მიხედვით ქართველი ერის კრებითი სულის — ანანია ლარგველის ისტორიას ვკითხულობთ, მაშინ ბაღდადში უდაოდ მოიაზრება **ბაღდადის ხალიფა — მაჰმადიანური მსოფლიოს სულიერი მეთაური**.

(ხოლო თუ გიორგი ბრწყინვალეს დრო XIV საუკუნეა, მაშინ გაგვახსენდება, რომ სწორედ ბაღდადში მოხდა მაჰმადიანური მსოფლიოს მეთაურთან, ეგვიპტის სულთანთან გიორგი ბრწყინვალეს შეხვედრა, რაც ცხადია, სულ სხვა საუბრის თემაა.)

მაშ ასე, შევეცადოთ, **„დანიშმენდის ვირში გადაცვლა“** ნავიკითხოთ თამარ მეფის ხანაში.

რომანის მესამე კარში ხდება არამარტო ამბის ახსნა-განმარტებითი მოყოლა, ანუ ავტორი გადმოსცემს არა მარტო **რა მოხდა**, არამედ იმასაც, თუ **რატომ მოხდა** ეს ამბავი, ანუ ამბის არსს აპოკალიფსის მოდერნიზებულ ინტერპრეტაციაში, მეტაფიზიკურ პლანში წარმოგვიდგენს.

აქ ცხადია, ერთი მხრივ, ავტორი არისტოტელეს აზრის ინტერპრეტირებასა და ილუსტირებას ახდენს, (რადგან მკითხველს ისევ შევახსენებ, რომ რომანის ტექსტი წარმოადგენს არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ პოსტმოდერნისტულ გადათამაშებას) კერძოდ, არისტოტელეს მიხედვით:

„**მიზევი არ არის ცდაში. ცდა გვიჩვენებს იმას, თუ რა არის, მაგრამ არა იმას, თუ რატომ არის და როგორ არის ის ასე და არა სხვანაირად**“.

მამასადაძვე, თუ მიზევი არ არის ცდაში გამოდის, რომ ისტორიის მოცემულობა, ფაქტი-ცდა ვერ გადმოგვცემს იმას, თუ რა მიზევი იმალება მის მიღმა. ჭაბუა ამირეჯიბი ვიზიონერული ხილვითა და აპოკალიფსური სურათებით სწორედ ისტორიის არსს გვიმჟღავნებს, ანუ ისტორიული ფაქტის მიღმა მდგომ მიზეზს განმარტავს.

მაშ, ასე: ისტორიის არსის დასადგენად ერთმანეთს წაეფინება და ასე ერთ კონტექსტში წაიკითხება ორი კითხვა:

— რას ნიშნავს კონკრეტულ სიტუაციაში ანანია ლარგველის მიერ არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ შესყიდვა-მოპოვება ბაღდადის ბაზრობაზე?

ანუ რას ნიშნავს დანიშმენდის, „სულთნის ტოლი“ დანიშმენდის — ვირში გადაცვლა ანანია ლარგველის მიერ.

მაშ ასე, შევეთანხმდეთ, რომ აპოკალიფსის

ნიგნი „ხელახლა ინერება“ ხოლო ქრისტესა და ანტიქრისტეს შესახებ ტექსტში უბრალოდ ითქმის:

„ანანია ლარგველი (იგივე ქართველი ერის კრებითი სული) საითლაც აპირებს, არ ვიცი, **იერუსალიმში თუ მექაში**“.

და ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია, რადგან ანტიქრისტეს შესახებ სწავლებაში ასეა ჩანერილი:

<...> ანტიქრისტენი შეიძლება ეწოდოთ... ძველი და ახალი დროის ყველა მწვალებელს, რომლებიც რყვნიდნენ და ამახინჯებდნენ ქრისტიანულ სწავლებას; და ყველა ძველ და ახალ უღმერთოებს“.

ანუ, ორი რელიგია: ქრისტიანული - იერუსალიმში და მაჰმადიანური - მექაში განასახიერებს ქრისტესა და ანტიქრისტეს, წმინდა გიორგისა და ურჩხულის დაპირისპირებასა და ბრძოლას.

რომან „გიორგი ბრწყინვალის“ ტექსტში ვკითხულობთ:

<...> ამ დროს ისნის ხიდის მხრიდან მოდარდე იაკოფას საყვირის ხმა მოისმა.

<...> წამით მინელეულ ჟრიამულში საყვირმა კვლავ და მეტის ჟინით, მეტის ვნებით გამოსცა ხმა. ეს არც რაიმე ჰანგის ნაწყვეტი იყო, არც გაბმული, როყო ღრიალი — სამი სრულიად განსხვავებული, მძაფრი და საზარელი დაბგერება მოსდევდა ერთმანეთს, თითქოს წარსულის ცოდვების, წუთისოფლის ამაოების და მომავალ განსაცდელთა გამო მოსთქვამდა ერთმანეთისგან ცხრა-ცხრა მთით დაშორებული მოზარეების სამი გუნდი <...>

<...> (იონათამს — ჟ. ს.) მოდარდე იაკოფას საყვირის კვილი გულზე ორთავ ქვეყნიდან მონაქროლ მუქარად ხვდებოდა, აფორიაქებდა, წონასწორობას აკარგვინებდა“.

და გათვითცნობიერებული მკითხველი უმალ ჩასწვდება რომ ავტორი აპოკალიფსის ნიგნის სრულიად თავისუფალ ინტერპრეტაციას გვთავაზობს:

— იტყვის უფალი წინასწარმეტყველის მიერ: ჩაბერეთ საყვირს სიონზე, დაეცი თეოჟინი ჩემს წმინდა მთაზე! დაე, შეძრწუნდნენ ქვეყნის მკვიდრნი, რადგან უფლის დღე მოდის, ახლოვდება!“

— ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მოფენად მშვიდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშვიდობისა, არამედ მახვილისა“ (მათე, 10/34).

აპოკალიფსის მუხლობრივის ზოგიერთი განმმარტებლის აზრით, დიდი მთა აქ ხატოვნად აღნიშნავს დიდ დევნას, რომელიც რომის მთელ გიგანტურ იმპერიაში

ქრისტეს მიმდევრების წინააღმდეგ იყო გაჩაღებული. ამ დროს ქრისტიანთა სისხლი დაუჯერებელი რაოდენობით დაიღვარა, რომელიც აქ ზღვის მესამედ ნაწილთან არის შედარებული.

თუმცა რომანში რომაელთა — წარმართულ ღმერთებსა და ქრისტიანებს შორის დაპირისპირების ნაცვლად მუსლიმანურ და ქრისტიანულ სამყაროთა შორის ბრძოლასა და წინააღმდეგობაზე მიმდინარეობს საუბარი.

ავტორის აპოკალიფსური ხილვა ერთგვარი თეატრალური სანახაობაა და ისე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ბუფონადა და გროტესკი, რომ ეს გათამამებული სისადავე თავისი დამაჯერებლობით გაბრმავებს კიდეც. ჭაბუა ამირეჯიბი წერს:

„კადონებისკენ მხედარი თუ ქვეითი **მანდატურებით** გარშემორტყმული მოზრდილი მსვლელობა მოემართებოდა. წინ სასულიერო წვრილფეხობით თანხლებული **სიონის დეკანოსი** ჯავარდნის ბაკუნით მოტუსტუსებდა. **სუნიტების ყადი** ტახტრეევანით მოჰქონდათ ყულიებს; ტახტრეევანს აქეთიქიდან **რამდენიმე მოლა** უმშვენებდა მხარს; **აბულასანი, დიდი ბასრის მსაჯული** და **ლარგველი ანანია** ცხენებზე ისხდნენ, **მელიქი** — ჯორზე; მსვლელობას ვეება ქოლგებითა და რბილი, ფოჩიანი ჯორკოებით ახონხლილი მხლებლების გუნდი ასრულებდა, ხოლო მსვლელობისგან ოციოდე ნაბიჯით წინ ბრბოს მოდარდე იაკოფა მოარღვევდა, ხელთ თავისი განუყრელი საყვირი ეპყრა, თავზე წონოლა ჩაჩი ეხურა, წელზე ერთი შულო თოკი ეხვია, გავას გრძელი, ფუმფულა კუდი უმშვენებდა“.

მთელი ეს თეატრალიზებული სანახაობა მიგვანიშნებს, რომ ავტორისთვის, როგორც ეს არაერთ ნიგნში არის დანერგილი, სამყარო სცენაა, ხოლო თითოეული ადამიანი მსახიობი, რომელიც ღმერთის კოსმიურ დრამაში მონაწილეობს. ალბათ, ამის გამოა რომ რომანის კითხვისას სიზმარ-ცხადის შთაბეჭდილება არ გვმორდება, ბოროტი ძალა, ანტიქრისტეს მსახური — მოდარდე იაკოფა ურცხვად სარგებლობს ანგელოზის უფლებით და საყვირებს ჩაჰყვირებს, ხოლო მისი ემპაკის დამადასტურებელი ნიშანი კუდი, მხოლოდენ თეატრალურ თოკზე მობმული ფუმფულა კუდის იმიტაციას დასჯერდება.

იონანეს გამოცხადებაში, აპოკალიფსის მუხლობრივ განმარტებაში წერია: „საყვირები აღნიშნავს ღმერთისაგან მისი მსახურებისათვის მიცემულ ხელმწიფებას, რომ გაავრცელონ ჭეშმარიტება, იწინასწარ-

მეტყველონ, ასწავლონ, გამოასწორონ, დასაჯონ და ასე შემდეგ, და ეს მაცხოვრებელი ხმები ყველა მოკვდავის როგორც ხორციელ, ისევე სულიერ სმენამდე აღწევს“ (თავი 8. 1:2).

როცა ტექსტში ვკითხულობთ, რომ მაჰმადიანური სამყაროს წარმომადგენელი, ქრისტიანული მსოფლალქმით სატანა, ჩაჰყვირებს საყვირებს, ანუ როცა წარმოვიდგინებთ, რომ ის ანგელოზის, ღვთის ხმას განასახიერებს, ჩვენ უნებურად სიცილი აგვივარდება და იმასაც გავისიგრძეგანებთ, (რაც უკვე აღვნიშნე და ისევ განვმეორდები), რომ ამ სანახაობის ჟანრი ხან ბუფონადაა, ხან კი გროტესკი. ამ თამაშით ავტორი მიგვანიშნებს, რომ აქერთგვარი სასამართლო უნდა გაიმართოს, ანუ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ სამყაროებს შორის ურთიერთობა („შემაჯამებელი საუბარი“ — ჟ. ს.) უნდა შესდგეს.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, აპოკალიფსური სასამართლოს განსჯის საგანია ვინმე **დანაშაულებელი — სულთნის ტოლი კაცი — თურქთა დინასტია.**

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, სწორედ ისინი იყვნენ, ვინც საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს ვერ შეეგუენ და ვინც გაილაშქრა არა მარტო საქართველოს, როგორც ქვეყნის წინააღმდეგ, არამედ ქრისტიანობის დამცველისა და მისი განმასახიერებელი საქრისტიანო სამყაროს წინააღმდეგაც.

როგორც ცნობილია, თურქებმა დიდი ხნის განზრახვა აღასრულეს და კოალიციური ლაშქრობა წამოიწყეს საქართველოს წინააღმდეგ, რადგან იმ დროინდელ მსოფლიოში თამარ მეფის საქართველოს ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა, რასაც მაჰმადიანური სამყარო ვერაფრით ვერ დაუშვებდა.

ისტორიული წყაროებიდან ისიც ირკვევა, რომ თურქთა დინასტია (რომანის სიმბოლოურ ტექსტში პერსონიფიცირებულია როგორც ვინმე დანიშმენდი) ნაქეზებული იქნა ბაღდადის ხალიფისაგან, რომელმაც თავისი უძლეველობის სიმბოლოდ თამარ მეფეს თავისი დროშა გამოუგზავნა.

მაგრამ ომი მხოლოდ მაშინ დაიწყო როცა, ირანის ადარბაგანის ამირა აბუ-ბექრიმ დაიპყრო თამარ მეფის ყმადნაფიცი ქვეყანა შარვანი და ცხადია, შარვანის შაჰმა შემწეობა თავის მფარველს თამარ მეფეს შესთხოვა. ისტორიული წყაროებიდან გვეცნობა, რომ 1195 წელს შამქორთან ბრძოლაში ქართველებმა თამარ მეფის ქმრის დავით

სოსლანის მეთაურობით დაამარცხეს ასე უზომოდ აღზევებული აბუ-ბექარი და დაიბრუნეს ოშკი, ხახული და ბანა. 1203 წელს უკვე შაჰ-არმენტა სამფლობელო დალაშქრეს ქართველებმა და თურქებს წაართვეს მთელი რიგი ქალაქები: არჯეში, ფანასკერტი, და ატ-ტინი.

ისტორიული წყაროები გვიდასტურებენ ფრიად სკანდალურ ამბავს, რომ ბიზანტიის კეისარმა ქართველ ბერებს, რომელთაც ხელთ ჰქონდათ თამარ მეფის მიერ გაღებული ქონებრივი შეწირულობა, ეს ფული ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მათ უნებართვოდ ჩამოართვეს და მისაკუთრეს.

ცხადია, ისეთი თავმოყვარე და ძლიერი სახელმწიფო, როგორც მაშინდელი თამარ მეფის საქართველო იყო, ასეთ შეურაცხყოფას ვერ აიტანდა და თამარ მეფის რეაქციამაც არ დააყოვნა. მან საქართველოს მხედრობა შეგნებულად ბიზანტიის იმ სანაპიროს შეუსია, რომელშიც ქართველი ტომები სახლობდნენ. ესენი იყვნენ: ჭანები ანუ ლაზები. საქართველომ ბრძოლის შედეგად მოიპოვა: ტრაპიზონი, ლახისტანი (იგივე ჰერაკლეა), სამსონი, სინოპი, კერასუნტი, აილო კოტიორა და არაკლიამდე მიაღწია. უფრო მეტიც, საქართველომ ამ დაპყრობილი მიწებისაგან შექმნა „ტრაპიზონის სამეფო“ და ის ბიზანტიას ჩამოართვა, რომელშიც თამარმა ბერძენი უფლისწული, დედის მხრივ მისი ნათესავი და საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნინოსი გაამეფა. ტრაპიზონის სამეფოს ჩამოყალიბება თამარ მეფის მიერ, ჯერ ერთი ქართველი დინასტიით და უმრავლეს შემთხვევაში ქართული მოსახლეობით მუსულმანური სამყაროსთვის ის გზავნილი იყო, რომ კონსტანტინოპოლში დამარცხებული ბიზანტია აგრძელებს არსებობას და რომ მართმადიდებლურმა ეკლესიამ და ბერძნულმა ენამ აქ ჰპოვა სამკვიდრო.

ტრაპიზონის სამეფოს მხოლოდ არსებობა უკვე ორი მიმართულებით აწარმოებდა „ბრძოლას“ თუ, ერთის მხრივ, ეს იყო ბრძოლა კონსტანტინოპოლში უკვე კარგად ფეხმოკიდებული „ლათინ“ დამპყრობლის მისამართით, მეორეს მხრივ, ეს იყო, რუმის (იკონის) სასულთნოს მისამართით (რომელც დღითიდღე ძლიერდებოდა).

და მუსულმანურმა სამყარომ რეაქცია არ დააყოვნა. რუმის სულთანმა ომით უპასუხა საქართველოს (ბასიანის ომი).

მე შეგნებულად ვიხსენებ ისტორიულ ფაქტებს, რათა მკითხველმა კარგად გააც-

ნობიეროს, რომ რომანში ზოგიერთი ისტორიული ფაქტი შეცვლილია. კერძოდ, ბიზანტიის კეისრის მიერ ქართველი ბერების გაძარცვის ფაქტი ავტორის მიერ მოთხრობილია, როგორც თამარ მეფის მიერ ჩაფიქრებული ემპაკობა — პროვოკაცია, რომელსაც აღასრულებს მის მიერ ინსპირირებული ანანია ლარგველი და ცოტნე დადიანი, და მამასადაამე, ავტორის არანაყოფიერებით, ისტორიული ფაქტი — ბერების გაძარცვა მოხდება მათი დავალებითა და ნაქეზებით.

და ისევ რომანის ტექსტს თუ მივყვებით ეს ემპაკობა-ხრიკი საბაბად „გამოიყენა“ თამარ მეფემ, რომელმაც უფლებამოსილება მოიპოვა აღესრულებინა დიდი ხნის განზრახვა და შეექმნა ბიზანტიაში თავისი სამეფო — ტრაპიზონის სამეფო.

და ანანია ლარგველის (საქართველოს) ერთ-ერთი დიდი წარმატება — სწორედ ამ ამბავს უკავშირდება, კერძოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას, რაც თავისი შინაარსით ქრისტიანული სამყაროს გამარჯვებას წარმოადგენდა მაჰმადიანურ სამყაროზე.

რომანის ტექსტიდან გამომდინარე რომ თუ აპოკალიფსურ სასამართლოზე მუსლიმანური სამყარო — დანიშნენდი საქართველოს ბრალს სდებს, რომ ის სასტიკი დამპყრობელი იყო, ქართული საქრისტიანო სამყარო პირიქით, თავს იმართლებს, რომ მის მიერ წარმოებული ომები თავდაცვით ხასიათს ატარებს.

და ეს არც არის გასაკვირი, რადგან საქმე შეეხება აპოკალიფსის სამსჯავროს, რომლის დროსაც მოხდება განსჯა-გასამართლება მართალთა და ცრუთა, მონანულთა და ცოდვილთა შორის.

ავტორი დიდოსტატის სიმსუბუქით, ვირტუოზული მონასმით ახერხებს ირონიულ-ორაზროვანი ტექსტი შემოგვთავაზოს:

„ტყვე თურქმა, იმდენი დიდკაცობა რომ დაინახა, მხრებში გაიშალა, გაიფხორა და იქაურობას ისეთი რიხით დაუნყო ყურება, ვითომ ესენი მოდავეები იყვნენ, სხვები — მოწმეები და თავად კი საცაა ამათი დავის განსჯას უნდა შესდგომოდა“.

მაგრამ აპოკალიფსური სამსჯავროს საიდუმლო შიფრს, იგავს „დანიშნენდის ვირში გადაცვლასა“ და „ანანია ლარგველის მიერ არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ შესყიდვას“, ვერც ვერაფერს გაუფიქრებთ, თუ მინიმუმ ორ კითხვაზე პასუხს არ მივიღებთ.

პირველი კითხვა: ვინ არის დანიშნენდი? და ჩვენ ამაზე პასუხი უკვე გაგვაჩნია. დანიშნენდი თურქთა დინასტიაა, ხოლო მეორე

კითხვა ასეთია: რა სიმბოლური დატვირთვა აქვს ვირს?

როგორც ასეთ ტექსტებში, კერძოდ, პოსტმოდერნისტულ ტექსტებში ხდება, ერთდაგივე სიმბოლოს სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხველი მნიშვნელობა, დატვირთვა აქვს. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ასე მოიაზრება ვირის სიმბოლოც.

როცა ანანიას მიერ წარმოითქმის ფრაზა, რომ დანიშნენდი ვირში უნდა გადაიკვალოსო, დანიშნენდი, როგორც ტექსტში იწერება: „მუხლებზე დაენარცხა, ლომებრ აბრდღვინდა...“

დანიშნენდი ვირში მაინც გაიცვლებოდა. მოდარდე იაკოფამ ეს ალბათ ტანით იგრძნო და დაიძახა:

„— წერილ არს — არა განსცადო უფალი შენი! — დაიძახა და თავის საზარელ საყვირს მისდგა“.

და იქვე:

დანიშნენდი კი თავის ტაკიმასხარაობაში იყო გართული, მაგრამ ახლა ყოველივეს — ანანიას (საქართველოს სიმბოლოს მისამართით აკეთებდა — *ჟ. ს.*) — ქამანდით დაიჭერდა, ხანგრძლივად, დაბეჯითებით ახრჩობდა, **მერე მკლავს სჭრიდა, ჭრილობას პეშვს უშვერდა და ჩამონადენ სისხლს სიამოვნებით, განცხრომით თქვლეფ-თქვლეფით მიირთმევდა.** დაეცლებოდა პეშვი და იმავს იმეორებდა ბოლმისგან გონდაკარგული ტყვე“.

ავტორის მიერ არანაყოფიერებული ტექსტით დანიშნენდი განასახიერებს მუსლიმანური სამყაროს ცილისნამებას ქართველი საქრისტიანოს მისამართით. მუსლიმანური სამყაროს ცილისნამებაზე, მის ცრუ ამბიციაზე მიანიშნებს ის „ფაქტი“, რომ ქართულ საქრისტიანოს ისინი განსჯიან ვით ანგელოზნი, თუმცა სინამდვილეში ანგელოზის ნაცვლად მოდარდე იაკოფა დგას **მოსამართლისა და მოქადაგის როლში**, რომელსაც ბუფონადის პერსონაჟის დარად, თეატრალურ თოკზე მიმაგრებული ფუმფულა კუდი ამშვენებს და ვირს იმ თვისებას მიანერს, რაც უცხოა ამ უწყინარი ცხოველისთვის. დანიშნენდის თეატრალური წარმოდგენა შეესაბამება ძველევგოპტურ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც ვირი რალაც დემონურ, უცნაურ ინტერპრეტაციას იძენს. მას სახედარს უკავშირებდნენ და მიანერდნენ ოსირისის (მოკვდავ და კვლავ გაცოცხლებად ბუნებას) მკვლევლობას, აიგივებდნენ სიკვდილის ღვთაება რეტთან, ამიტომაც ვირის აღმნიშვნელი იეროგლიფი წარმოადგენდა — **მხარში ჩაცემულ დანას.**

ოსირისი სიკვდილისა და კვლავ გაცოცხლების შემდეგ მიწისქვეშა სამყაროს მბრძანებელი გახდა. ოსირისის კულტი კარგა ხანს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობას.

მას ასე, დანიშნულების სურვილია, ასე იქნას აღქმული ვირის სიმბოლო, ანუ რაშიც ის უნდა გადაიცვალოს, ანუ რის საფასურად უნდა გამოიხსნან იგი, ავტორი იგავის ენით გვიყვება, რომ დანიშნულები თამარ მეფესა და მის სამეფოში მცხოვრებ ქართველ საქრისტიანოს მიაწერს მკვლელის სახეს ვირის ასეთი ინტერპრეტაციით. სინამდვილეში კი, ვირი რა მოსაზრებით იქნა გადაცვლილი სულ სხვა შინაარსისაა.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ვიცით, წაყენებული ბრალი თამარ მეფისადმი მუსლიმანთა ამოხოცვისა ცილისწამებაა და ქართველთა მხრიდან ის მხოლოდ საპასუხო რეაქცია იყო აღდგომის დღესასწაულზე 12 ათასი ქრისტიანის ამოჟლეტაზე.

მეორე მნიშვნელობით, ანუ წმინდა ქრისტიანულ ტრადიციაში მაგალითად, ირონიზირებით, თამაშობრივად ითქმის ვირის მეორე, ნამდვილ მნიშვნელობაზე:

„— კასო, სამასი დრაჰკანი! ...ვირია, უფლის სული ხომ არ არის?!“

დიახ, ტექსტში ინერება: — **უფლის სული.**

ავტორი მოგვითხრობს იგავის ენაზე, თუ როგორ შესძლო თამარ მეფემ ქრისტიანული დათმენით, შემწყნარებლობითა და თავმდაბლობით მოეპოვებინა მეგობრული ურთიერთობა თვით აიუბიელთა ეგვიპტის სახელმწიფოსთან. რის გამოც ამიერიდან მუსულმანებს აეკრძალათ ქრისტიანთა დევნა-წვალება. ხოლო ქართველებს უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით ყოველგვარი გადასახადების გარეშე შესულიყვნენ იერუსალიმში. თამარმა 200 ათას დინარად გამოიხსნა ქრისტეს ჯვარი, რომელზედაც ქრისტეს ჯვარცმა იყო გამოსახული.

აპოკალიფსური სამსჯავრო იაკოფა მოდარდის შეგონებით მთავრდება:

„ქრისტიანებო! მოვა თქვენს თავს დათხრაი ორთავ თვალთა, თქვენგან მოთხრილის ერთისა თვალის ნაცვალგებად! — და საყვირს მისდგა“.

„— ეკრძალენით, ქრისტიანებო, გეზინებას შურისა და მიზღვას ბოროტებისა ბოროტებითვე!“

მანდატურებმა ხელახლა მთელი ძალით გასწიეს. ამ დროს მანდატურმა კადონზე დაკვანძულ იაკოფას თოქს ხანჯალი დაჰკრა,

მანდატურებმა თავი ვეღარ შეიმაგრეს, ყადის ტახტრევანს მიანყდნენ, გადააბრუნეს. შვიდი თუ რვა კაცი ზედახორაში ჩაიგორგლა.

ვინც ჭაბუა ამირეჯიბის ამ წიგნს დაიგემოვნებს, იმ გასაოცარი ტექსტის ტყვეობაში აღმოჩნდება, სადაც აზროვნება და ვიზიონერული ჭვრეტა ერთმანეთს კი არ ენაცვლებიან, არამედ მუდამ ერთდროულად წარმოქმნიან სურათ-ხატებს. აქაც ანტიქრისტეს, ეშმაკის სიმბოლო ჩნდება მოდარდე იაკოფას ფუმფულა თოქ-კუდის განყვეტის შემდგომ, და ჩვენს წინაშე უცნაური გველის ვიზიონი წარმოჩნდება შვიდი-რვა ჩაგორგლილი კაცის სახით. და სწორედ ამ დროს მოხდება დანიშნულების მიერ ვირის კისერში ხანჯლის ჩაცემა. და ვიდრე საცოდავი ცხოველი ნაიქცეოდა, მისთვის თავის მოჭრა.

აპოკალიფსური სამსჯავრო ამ ქმედებით აღსრულდა, ვირის ჭეშმარიტი სახე — უფლის სული დანიშნულები დაუნდობლად მოკლა, რითაც ერთის მხრივ გაამჟღავნა თავისი თავი და მეორეს მხრივ, აღიარა თავისი დანაშაული მთელი საქრისტიანო სამყაროს წინაშე. ასე თავდება აპოკალიფსური სამსჯავრო — რომელზედაც განიხილება მაჰმადიანური სამყარო და საქრისტიანო ქართველების ურთიერთბრძოლა.

იმის ნაცვლად, რომ შიშისმომგვრელი და თავზარდამცემი თხის რქებითა და ეშმაკის კუდით შემოგვთავაზოს ბოროტების განმასახიერებელი პერსონაჟი — ვინმე მოდარდე იაკოფა — დარდის (ღვთაებრივის შემცნობი სიტყვის ირონიზირებით ავტორი სატანის გროტესკულ სახეს გვთავაზობს, რადგან აპოკალიფსური ხილვების თხრობა აშკარად გროტესკულ-ირონიულში გადადის, და ამ თეატრალურ ბუფონადაში უარსებითესი საკითხის სამსჯავრო უნდა შესდგეს.

იგავურად კი ეს ასე ლაკონიურად და სხარტად გამოითქმის:

— **ვინმე დანიშნულების ვირში გადაცვლა.**

დანიშნულების ვირში გადაცვლის სიმბოლო უფრო მეტად „გაიშიფრება“, როცა თამარ მეფე ანანიას (საქართველოს სიმბოლოს) პირდაპირ გადასცემს თავის ჯვარს.

და ავტორი თავის ჩვეულ ხელწერას არც აქ ლალატობს და ასე აღწერს თამარ მეფის მიმართვას ანანია ლარგველისადმი:

„— ქსნელო ანანიავ, მსმენია ტახტის წინაშე შენს დამსახურებათა და პირუთვნელ მსახურებათა გამო. სამეფოს სახელით მოგახსენებ მადლობას, გარნა არ იყო დან-

იშმენდის მიმართ შენი წარსული საქციელი სწორი, რამეთუ ჩვენის რწმენით — რომელმან აღიმაღლოს თავი, დამდაბლდება იგი და ამა ცოდვის მონანიება გმართებს. მომიახლოვდი!

და მიუხედავად ავტორის ჩვეული ირონიულ-სარკასტული პოსტმოდერნისტული სტილისა, მჯერა, მკითხველი ატირდება, როცა რომანის ამ ტექსტს გაეცნობა და „თვალნათლივ“ იხილავს საქართველოს დიდებას:

„...ვიდექ, ჯვარს ჩავცქეროდი. სიგრძივ ლალებით, სიგანივ იაგუნდებით, შუაზე მსხვილი ლალებით იყო განწყობილი. ჩავცქეროდი და ერთადერთი ფიქრი მქონდა, — ეს რას მოვესწარი-მეთქი!“

იმის დასტურად, რომ აპოკალიფსურ სამსჯავროზე საქართველო ქრისტიანული სამყაროს წარმომადგენელი, კერძოდ კი ამ შემთხვევაში ანანია ლარგველი იმარჯვებს მაჰმადიანურ სამყაროსთან მიმართებაში, ავტორი აკეთებს ალეგორიულ — სიმბოლურ მინიშნებას ქართველი ერის კრებითი სულის „წიაღში“ - ქრისტეს ხელახალ მოვლინებაზე. ეს მინიშნება მინიშნება ტექსტში რამდენჯერმე ხდება:

„ეკვდერში ვიყავ. სანამ იღუმენიას მომიყვანდნენ, წამთვლიმა და სიზმარი ვნახე: ცაზე წითელი, ნაცრისფერი და შავი ღრუბლები ერთმანეთში ჩახვეულიყვნენ, ხან რომელი წამოვიდოდა ზემოთ, ხან რომელი.“

კარგად მახსოვს, წითელმა გადაფარა ყველა და შუაგულიდან თეთრი ნაბდის ნაჭერში გახვეული რამ წამოვიდა ჩემკენ. წამოვიდა, მეტაკა და გამაღვიძა...“

ამ (ღრუბლის) სიმბოლიკით განსაკუთრებით გაჯერებულია საღვთო წერილი: ღრუბელი აქ ხან „ცეცხლოვანი სვეტია“, ხან „ღიდების ღრუბელი“, ხან კი უბრალოდ „ღვთის ღრუბელი“ — თავად უფლისაგან შექმნილი, ღვთაებრივი სიბრძნისა თუ ძლიერების გამომსახველი „ციური ჭურჭელი“.

ხოლო ღრუბელი რომ წითელი ფერისაა, კიდევ ერთხელ ხაზს გაუსვამს იმას, გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს, რომ ყრმა დავითი, იესო ქრისტეს სიმბოლურ მოვლინებაზე, ანუ ქრისტიანობის აღორძინებაზე მიანიშნებს.

შეჯამების სახით ვიტყვი, რომ გიორგი ბრწყინვალის სიზმარი თუ განცხადებაა ყრმა დავითის მოვლინებისა, ის ამავე დროს ერთგვარი დადასტურებაა აპოკალიფსურ სამსჯავროზე გამარჯვებული საქრისტიანოს აღზევებისა. (აკი დავითის შტოდან მოველინა კაცობრიობას იესო ქრისტე, რაც

არაერთგზის აღვნიშნე).

10. უჩვეულო პოსტმოდერნიზმი

ჭაბუა ამირეჯიბი რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ თხრობას იწყებს პოსტმოდერნისტული თამაშის „ლალი ფორმით“ ფანტასტიკურ-მისტიკური ისტორიოგრაფიიდან, რომელიც ხან იგავის, ხან მედიტაციური საუბრის, ხან ესეისტურ-ფილოსოფიური თხრობის ფორმას იღებს, ხან კი ჩვენთვის კარგად ნაცნობ ისტორიულ ფაქტად, დოკუმენტური თხრობის ნიმუშად გარდაიხსება, რითაც საგრძნობსა და საცნობს ხდის უკვე ცნობილი ფაქტებისა და დოკუმენტების იქით ერის ისტორიის სრულიად განსხვავებულ ვერსიას, უფრო ზუსტად კი ამ ისტორიის აქამდე დაფარულ არსს.

ასეთია, მაგალითად, ლეონტი მროველის მიერ მოთხრობილი „ქართლის ცხოვრება“, რომლის კერძო სათაურია: „ცხოვრებასა ქართუელთა მეფეთასა, და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. თავდაპირველად, ავტორი ქართველთა ბიბლიად წოდებულ ამ წიგნის ტექსტს მხოლოდ და მხოლოდ თავის-უფალი ინტერპრეტაციით ყვება, ოღონდაც (როგორც უკვე აღვნიშნე) მას შეკვეცილ-არანჭირებულ სახეს აძლევს, რომელშიც მოულოდნელად მისი, ავტორის (ჭ. ამირეჯიბის) ტექსტი ჩნდება, რომელიც საბოლოოდ ერწყმის ისე ორგანულად „ქართლის ცხოვრების“ არანჭირებულ ტექსტს, რომ გაუთვითცნობიერებელი მკითხველი მას ერთ მთლიანობად აღიქვამს (რაზედაც უკვე დანვრილებით ვისაუბრე პირველ ესეში „დაფაზე ცარცით დანერილი ტექსტის წაშლის დახელოვნება“, გვ. 5-6).

საინტერესოა ავტორის პოსტმოდერნიზმის ჟანრისთვის ნიშნეული ორანზროვანი სტილი, მისი წერის მანერა. ამისთვის განვიხილოთ თუნდაც პირველ გვერდზე განთავსებული ეს ფრაგმენტი:

„თავხედნი და ურცხვნი შეიქნენ მონლონი საკუთარი ძლევა მოსილების რწმენით იყო ესა. ირწმუნებდნენ, მაშ როგორ იქნებოდა — მთელი აზია მამულად და საძოვრად ისე დაიპყრეს, დამარცხებისა არა იცოდნენ რა“.

მონლოლთა სისასტიკე და ურჩხულისებრი ბუნება რომ დაგვანახოს, ავტორი მათ წარმოგვიდგენს ისე, თითქოსდა კასრის ბნელ ფსკერზე ბრძოლით გართულ ვირთაგვებს ჩაჰყურებდეს, რომელთაგან ყველაზე მხდალი, სიკვდილის შიშისგან გონდაკარგული ვირთაგვა-მონლოლი — თავ-

ვისი სითავხედითა და ურცხვობით აკეთებს სასიკვდილო ნახტომს და თავის გადასარჩენად სხვა ვირთავგას კლავს.

ავტორი ხაზგასმით ერთდაიგივე ეპითეტს გამოიყენებს, როგორც მონღოლების, ასევე ვირთავგა-კაციჭამიის მისამართით „თავხედნი და უცხენი“, რითაც გვიმჟღავნებს, რომ ტექსტში შესამუსრი ურჩხულ-ვითარგვას მონღოლნი განასახიერებენ.

მათი უსულობის, მოშვებულობისა და ცხოველთან იდენტურობის აღსანიშნავად ავტორი მეორე ეპითეტსაც გამოიყენებს:

<...> მთელი აზია მამულად და საძოვრად ისე დაიპყრეს, დამარცხებისა არა იცოდნენ რა“.

მოდით, ჯერ ისტორიული წყაროებით ავხსნათ მოცემული ტექსტი:

„მონღოლები ორ მთავარ ჯგუფად იყოფოდნენ: მონღოლებად და თათრებად. საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც მონღოლებს ჩვეულებრივად თათრებს ეძახდნენ. ისინი შთამომავლობითა და ენით თურქებს ენათესავებოდნენ. მათი სამშობლო ცენტრალური აზია იყო“.

მეორე ამონარიდით:

„ველად მოსახლე მონღოლები მესაქონლეობას მისდევდნენ, რომელიც მომთაბარეობის პრინციპზე იყო დამყარებული: ზაფხულად ისინი მთაში ადიოდნენ, ზამთრად კი ბარად ჩამოდიოდნენ. მინათმოქმედება მათ არ ჰქონდათ, ხვნა-თესვას არ მისდევდნენ. მესაქონლეობის მთავარ დარგად მეცხენეობა ითვლებოდა, რადგან ცხენი მათთვის ძვირფასი იყო, როგორც სანველი ცხოველიც: ისინი ცხენის რძესა სვამდნენ და ამას გარდა, სხვა ხორცზე მეტად, უმთავრესად ცხენის ხორცით იკვებებოდნენ“.

ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია“, გვ. 206. მაშასადამე, პირდაპირი მნიშვნელობითაც მონღოლთა მომთაბარე ტომისთვის **საძოვარი** საარსებოდ აუცილებელი იყო.

როცა ავტორი წერს: „მთელი აზია მამულად და საძოვრად ისე დაიპყრეს, დამარცხებისა არა იცოდნენ რა“, აქ, როგორც რომანის სხვა ნაწილში ავტორი ირონიზებას უკეთებს აზრს, ანუ ორგვარი მნიშვნელობით დანერს. მაგალითად, „მთელი აზია დაიპყრეს მამულად“.

ერთის მხრივ, თუ ირონიზირება სამშობლოდ, მამულად მიიკუთვნოს ვინმემ სხვისი ტერიტორია, მეორე მხრივ, ამ სათუთი, უძვირფასესი სიტყვის **მამულის** ჩასმით ტექსტში გროტესკს ვიღებთ.

ხოლო რაც შეეხება მეორე სიტყვას **სა-**

ძოვრად, იმაზე მიმანიშნებლად ინერება, რომ მონღოლნი მეტისმეტად განუვითარებელნი, ცხოველური ბუნებისანი იყვნენ. რადგან **საძოვრად დაიპყრეს**, შეიძლება გვეთქვა ცხოველის შესახებ, ან ცხენთა რემაზე, ან ცხვრის ფარაზე, ან ძროხის ნახირზე. აქ ირონიზირებაა, მწარე დაცინვა და ნიშნისგებაა უღირსი მტრისა.

რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ პოსტ-მოდერნისტული თამაშის უჩვეულობა იმაში მდგომარეობს, რომ პოსტმოდერნისტისთვის საფრთხობელად და ქიმერად აღიარებული ცნებები და ღირებულებები ისევ აზრს იძენენ. თუ გიუნთერ გრასის უაღრესად კრიტიკული მოსაზრება ჰეგელის სახელმწიფოს შესახებ, რომელიც შესაბამისობაშია პოსტმოდერნისტულ თამაშთან, მაგ. ის წერს: „ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია, <...> ისტორიას ერთგვარ ავტორიტეტულობას — ერთგვარ უზენაესს აზრს ანიჭებს“.

და მიუხედავად იმისა, რომ რომანის ყველა ამბავი უჩვეულო პოსტმოდერნისტულ თამაშში ხდება, ამ გადათამაშებისას სახელმწიფოს ჰეგელისეული კლასიკური დასაზღვრა, ისევ და ისევ აღსდგება და შეიძლება ისევ ჰეგელის ფილოსოფიის შესაბამისად გვეთქვა:

„— სახელმწიფო, ამტკიცებდა ჰეგელი, აბსოლუტურად ზნეობრივი მთლიანობაა“.

ზ. სმითი, „ფრანც კაფკა რომანის ნინააღმდეგ“.

ამ პოსტმოდერნისტულად გადათამაშებულ რომან „გიორგი ბრწყინვალეში“ არისტოტელეს „მეტაფიზიკის“ მეოთხე მიზეზი — ღმერთი, იგივე სიკეთე, არა მარტო არამართო რომანის ტექსტში, არამედ ამ რომანის საზღვრებიდანაც გასული, ისევ და ისევ თანამედროვე კაცობრიობას უბრუნდება.

და რაც ტექსტში ხანდახან კითხვის ფორმითაც ინერება:

<...> ღმერთო, ღმერთო, საიდან აღიძვრის ამდენი შეცდომა, სად არის ამის **სათავე, რასა და როგორ** უნდა მოეცლოს, რომ ადამიანებმა თავი დააღწიონ **გულისა და გონების ამ გაუტანელ ნისლსა და არმურს...**

ჯერ ერთი, ავტორი ღმერთს კითხვით მიმართავს: „ღმერთო, ღმერთო, (რადგან ღმერთია სამყაროს დაფარული არსი — მისი მიზეზთა მიზეზი, შენიშვ. — ჟ. ს.) საიდან აღიძვრის ამდენი შეცდომა?“ ავტორის განმარტებით: შეცდომაა ომები, წაგებული ბრძოლები, დაკარგული ტერიტორიები და მართლმადიდებლური სინმინდეების შემბლაღავი ვითარება ქვეყანაში.

— **სად არის სათავე**, — ანუ სად არის პირველმიზეზი ბოროტებისა (შეცდომისა — იგივე ცოდვის სათავესა), **რას და როგორ უნდა მოეველოს**, რატომ მოქმედებს ის ასე და არა ისე; **როგორ უნდა მოეველოს** — ცხადია, ამაში იგულისხმება ქართველი ერის კრებითი სული, ანუ რა შინაარსი და ხასიათი უნდა მიეცეს მას.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ პოსტმოდერნისტული თამაშით სუბსტანციის, უსიის, ანუ, ქართველი ერის მიზანი თავისი თავის შემეცნებაა, ანუ საკუთარი თავის აღდგინება.

არისტოტელეს „მეტაფიზიკა“ უილიამ გათრის ენაზე ასე ჟღერს:

„— არისტოტელე იმ დასკვნამდე მიდის, რომ **ღმერთის მარადიული აზროვნების ერთადერთი შესაძლო ობიექტი თავისი თავია, ერთადერთი სრულყოფილი და უნაკლო არსი**“.

და რაც რომან გიორგი ბრწყინვალის ტექსტის მიხედვით ასე ჟღერს: ქართველი ერის მარადიული აზროვნების ერთადერთი შესაძლო ობიექტი ისევე და ისევე ქართველი ერია, **ერთადერთი სრულყოფილი** (რადგან ღვთაებრივი თავის თავში აქვს მოცემული) და **უნაკლო არსი** (რადგან ის ღვთაებრივი საიდუმლოების ფარდია — ის ერთია).

რითაც თანამედროვე კაცობრიობის მიერ უარჰყოფილი ერის ღვთაებრივი წარმომავლობა და ძველი კაცობრიობის საფუძველთა საფუძველი — უანგარობა, ერთგულება, სიყვარულის სინძინდე, სულის სისავსე ისე მოგვეწოდება, როგორც სამყაროს კანონზომიერების, ადამიანის არსების განუყოფელი და არსებითი ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟ.-პ. სარტრი, დრო ფოლკნერის რომანში „ხმაური და მძვინვარება“, „ნაკადული“, თბილისი, 1984, გვ. 3-4, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა.

2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, „მერანი“, თბილისი, 1991, გვ. 166.

3. ჭ. ამირჯვები, გიორგი ბრწყინვალე, „ბაკმი“, 2005, გვ. 56.

4. არისტოტელე, მეტაფიზიკა, „საბჭოთა

საქართველო“, თბილისი, 1964, ბერძნულიდან თარგმნა თამარ კუკავამ.

5. საველე წერეთელი, ანტიკური ფილოსოფია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1973, გვ. 382.

6. გვანცა კოპლატაძე, ლიტერატურათმცოდნეობა არისტოტელეს მოძღვრებაში, ლოგოსი, თბილისი, 2007, გვ. 18.

7. უ. გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1983, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნოდია.

8. ზაზა აბზიანიძე და ქეთევან ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, „ბაკმი“, 2007.

9. რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიული ლიტერატურული აზროვნების საკითხები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1975, გვ. 225.

10. ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი. ქუთაისი, 2011, გვ. 219, თარგმნეს ანზორ სახვაძემ და ვლადიმერ ჩხიკვაძემ.

11. აპოკალიფსისის მუხლობრივი განმარტება, საზ. „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2011, თარგმნეს ანზორ სახვაძემ და ვლადიმერ ჩხიკვაძემ.

12. პოლ ვალერი, რჩეული პროზა ისტორიისათვის, ნაკადული, თბილისი, 1983, გვ. 287, ფანგულიდან თარგმნა ზაჩანა ბრეგვაძემ.

13. ფ. დოსტოვესკი, ძმები კარამაზოვები, პალიტრა-L, 2011, გვ. 358, რუსულიდან თარგმნეს მზია გელაშვილმა და ანა აბულაშვილმა.

14. ციტატები წიგნიდან „ესსეები“, თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა.

15. ქართული ნაქარგობა, ქარჩხაძის გამომცემლობა, 2011, გვ. 162-163.

16. რ. ცანავა, მითორიტუალური მოდელები. სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელეები, „ლოგოსი“, თბილისი, 2005, გვ. 250.

17. მ. ელიადე, ციტირებულია ჟურნ „აფრა“ 3

18. წმინდა წერილის სწავლება ანტიქრისტეს შესახებ (ქრისტესა და ანტიქრისტეს შესახებ), საზ. „ფერისცვალების“ ბიბლიოთეკა, ქუთაისი, 2011, თარგმნეს ანზორ სახვაძემ და ვლადიმერ ჩხიკვაძემ.

19. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე, „თბილისი“, 1943.

20. ნ. გაფრინდაშვილი, მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 228.





იოსებ გრიშაშვილის საყვარელი ქალები

იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის ფონდებში დაცული პოეტის მოგონებები, დღიურები, უბის წიგნაკები და სხვადასხვა ჩანაწერი ბევრ საინტერესო მნიშვნელოვან, ლიტერატურულ-ისტორიული ხასიათის ცნობებს მოიცავს.

იოსებ გრიშაშვილი დიდი, მრავალმხრივი შემოქმედებითი დიაპაზონის მოღვაწე იყო. მისი მელოდიური, მუსიკალური ლექსების ერთ-ერთი მთავარი თემა იყო სატრფიალო მოტივი, სიყვარული და ქალი. რაფინირებულ, კეთილხმოვან ლექსებში, ნატიფი რითმებით შეზავებულ სტრიქონებში იგი უმღეროდა ჭეშმარიტ სილამაზეს, სიყვარულის ძალას, მის მარადიულობას. პოეტის ბევრი ლირიკული ლექსი ხალხში გავრცელდა სიმღერებად.

ოღლა ლეჟავა, სოფიო ჩიჯავაძე, მარიჯანი, ქეთი ჯაფარიძე. ამ მანდილოსნებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. მრავალი ლექსი, წერილი, დღიურია მიძღვნილი მათდამი. მაგრამ იყვნენ ქალბატონებიც, რომლებიც მოკრძალებულად გამოიყურებიან მათთან შედარებით, თუმცა არც თუ უმნიშვნელო როლი შეასრულეს პოეტის ბიოგრაფიაში. ისინიც იყვნენ პოეტის მუზეები და ბევრი კლასიკური ლექსის ადრესატები.

პოეტს ბევრ მანდილოსანთან ჰქონდა მიმოწერა. ქალთა წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი კარგად არის დაცული. სამწუხაროდ, იოსებ გრიშაშვილის მიერ გაგზავნილი წერილების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

*„რომანტიკოსი“ (მიწოდეთ, რაც გსურთ)
მე გავიარე იმ სახლის ახლოს,
სადაც ცხოვრობდა ჩემი ტრფიალი,
მე მომაგონდა, რომ ის იქ იდგა
და მოვუხადე შენობას ქუდი.*

*მე მხოლოდ მსურხარ!
ვნებიან N-ს!
მე არ მომწონხარ! მე არ მიყვარხარ,
მე მხოლოდ მსურხარ, ჩემო ლამაზო,
შენსკენ ვისწრაფი, ვინც გულის ფსკერში
ვნების ისარი მაგრად დამასო!*

*N-ს
დღეს კი, დე მითხრან, რომ ის კაცი შენი ქმარია,
რომ ჩემს მაგივრად ის განასკვავს მაგ მკერდის ღილებს.
მე გულს დავიბნევ შენს მოცემულ „ჭია-მარიამს“
და ზემო ტუჩი უცნაურად გაიღიმებ.*

ბუკინისტ ალექსანდრე შახბარათოვს, რომელსაც მეტსახელად „შიბრიას“ ეძახდნენ, გაეგო რომ ძველ თბილისის ყაიდაზე დანერგილი ლექსები მე მეკუთვნოდა. გამომართვა ეს ლექსები და ცალკე წიგნად დაბეჭდა. ერთს ერქვა „ვარდის კონა“, (1906წ.), მეორეს „ფანტა-

ზია“, (1907წ.) პირველი ნიგნის სათაურზე მიმახვედრა დიმიტრი ნადიროვის (ნადირაძის) ნიგნმა, სათაურით „სიყვარულის კონა“, გამოც. 1881წ. მე გავიფიქრე „სიყვარულს“ რა „კონა“ უნდა, კონა ვარდისა უნდა იყოს მეთქი და დავარქვი „ვარდის კონა“.

მე ჩემს ლექსებში ჩავაქსოვე სიყვარულის მუდმივობა, მისი ძალა და სილამაზე. ლექსებს ვწერდი, ვუკითხავდი მონონებულ ქალიშვილებს. გაუყრიდი ნაცნობ ქალიშვილს ხელკავს, გავატარებდი და ლექსებს ვუკითხავდი დაქანცვამდე. ბოლოს ჩურჩულით ვეტყვი:

„დაგათრობ ლექსით

დაგწვავ ალერსით“.

და მივაცილებდი სახლამდე. ეს სიხარული მთელ კვირას მყოფნიდა. ერთი სიტყვით, ვცხოვრობდი უდარდელად და ბედნიერადაც კი.

პატარა რომ ვიყავი და ჩვენს უბნელებს ვინმე გარდაეცვლებოდათ, მანერინებდნენ ლექსებს საფლავის ქვებზე. დღეს იმასაც მოვესწარ, რომ ჩემთვისაც გავამზადე ეპიტაფია:

1949წ. 23 აპრილი

(სამოცი წელი შემისრულდა)

ბედმა იცის ზეთარეში,
ბედმა იცის დაბრიყვება,
კვდები, მაგრამ სამარეში
ქალის დარდი არ მიმყვება.

ავგისტოს მშვენიერი სალამო იყო. ბორჯომის სასტუმროს აივნიდან გავცქეროდი თვალწარმტაც არემარეს, ამწვანებულ-აყვავილებულ ხეივნებს. ლამაზ ხედებს. ამ საოცარმა გარემომ პოეტზე იმოქმედა. წარსულის ხილვები მოეძალა და სასაუბროდ განაწყობდა. გაიხსენა სიჭაბუკე, შეხვედრა აკაკი წერეთელთან, სიახლოვე ვალერიან გუნიასთან. ვ. გუნიას ყოველთვის სიყვარულით იგონებდა, ძალიან ემადლიერებოდა. ხშირად ამბობდა, რომ მის მიმართ დიდი მზრუნველობა გამოიჩინა. ობოლი იყო და მამობა გაუნია, უპატრონა, ცხოვრებაში გზა გაუკვალა. მცირე ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო: „ვ. გუნია ავადმყოფობდა და სანახვად მივედი. ფერმკრთალი, დაღონებული, მონყენილი იყო. სევდა მოერია და წამოიძახა: ეჰ, რა თამადა ვიყავი“. მართლაც ყველას ყმანვილკაცობაში რალაც აქვს ღირსახსოვარი გასახსენებლად. ამბობენ, პირველი სიყვარული სულ სხვა რამ არისო. ძლიერი, შეუცვლელი, დაუვიწყარი. მე კი ცხოვრებაში ბევრჯერ ვიყავი შეყვარებული და ყოველთვის ძლიერ ვიყავი შეყვარებულიო.

ხარფუხელი მაშუა

16-17 წლის ჭაბუკი იყო, როცა შეუყვარდა თავის უბნელი სირუნანთ მაშო. „ლამაზი იყო და რატომ არ შემეყვარებოდა“, ამბობდა პოეტი. აშუღური პოეზიის გავლენით ი. გრიშაშვილმა უძღვნა მას მუხამაზი ოთხ ენაზე, სათაურით „კინტოს სიყვარული“, რომლის აკროსტიხიც (ზმა-კიდური) ასე იკითხება „იოსებ გრიშაშვილს უყვარს მაშუა“ ლექსი დაწერილია 1906 წელს და დაბეჭდილია 1908 წ. გამოცემულ პოეტის ლექსების კრებულში „ზურნა“. ეს ლექსი გააკრიტიკა გაზ. „დროების“, 1910 წლის 49-ში გრ. რცხილაძემ. ამის გამო ი. გრიშაშვილი წერდა: „ჩემი ახალგაზრდული სისულელეა. ლექსი გაარჩია გრ. რცხილაძემ და სამართლიანად გამლანძღა. ამ ლანძღვამ დადებითად იმოქმედა ჩემზე და ჩემი პირველი ქუჩური ლექსები ამ მუხამაზით დავამთავრე. ეს ჟანრი მივატოვე. აი, რას ნიშნავს კარგი კრიტიკა: საინტერესოა ერთი რამ. გრ. რცხილაძე სხვათა შორის სწერდა ამ „ოთხ ენაზე დაწერილ მუხამაზზე“, რომ ვერც ერთი ფილოლოგი ვერ გამოარკვევს რა ენაზე სწერს გრიშაშვილიო“.

„ლაიფციგში 1928 წელს გერმანულ ენაზე გამოცემულ კრებულში „კავკასია“, გამოქვეყნდა პროფ. ა. დირის წერილი, რომელიც შეეხო დაბეჭდვიდან 20 წლის შემდეგ ამ ლექსს ფილოლოგიური თვალსაზრისით.

ნიმუშად მოგვაქვს ოთხ ენაზე დაწერილი მუხამაზის ერთი სტროფი:

„სლადკი და სლოვო მენე, პარდონ, ნიხტო გავარიტ,

ესტელ იმ სირტინ დღე-ნიადაგ სულ აგონ გარიტ,
ბენამუს ხანუმ, ნა ისტირსან, მოგრთავ სულ ზარით
გიყურო ერთხელ, გინდ მომკალი სირუნიანო.

მარუსია ყანდინოვი

ერთი გულის ძგერა. (მარუსია ყანდინოვის უკანასკნელი დღე).

47

„ჩემი პირველი სიყვარული, ჩემი პირველი სატროფო. (პ. ფრანგიშვილის და) შესანიშნავი გულის პატრონი, ახალგაზრდა, შავხუჭუჭთმიანი, ლამაზი ნყალჩამდგარი, გიშრის თვალებიანი, ტანადი. იგი იყო ჩემი ყრმობის მეგობარი, ჩემი პირველი ლექსების საგანი, ჩემი პოეზიის ძვირფასი შთამავონებელი. სადაც „ხუჭუჭი თმა“ მაქვს სულ იმას ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის ერთი ჩემი ყარაჩოლული, გახალხურებული ლექსი „სად შენა და სად მარუსას თვალები“. ვუყვარდი და მიყვარდა 19 წლის ჭაბუკს, მაგრამ მშობლებმა და ნათესაებმა არ მათხოვეს. ირჩიეს ბებერი იუზბაშევი და ადრე დააქვრივეს. გარდაიცვალა უბედურად“.

ადგილები მ. ყანდინოვის წერილიდან ი. გრიშაშვილისადმი 1910 წ. 5 ივნისს: „იოსებ, მე შენ არ გაცვლი სხვაზე სანამ ცოცხალი ვარ და როცა მოკვდები, მაშინ კი გაცვლი ცივი სამარეზედ... სიცოცხლეში და სიკვდილამდის, საფლავის კარამდე შენი ერთგული მ.“

თინათინ ლოლაძის წერილი ი. გრიშაშვილისადმი გორიდან: „პატივცემულო სოსო. საპატიო მიზეზთა გამო ძლიერ გვიან მიხდება ერთი დავალების შესრულება... არ მინდოდა ერთი გულის სათუთი ძგერა (უკანასკნელი) ყველას მოესმინა. მეც შემთხვევით მოვისმინე იგი განსვენებულ მარუსიას სურვილით (უდაოა: მიხვდებით, ვინ მარუსია).“

მე ვცხოვრობდი ფრანგიშვილის ბინაზე, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წუთები გაატარა მან.

ერთ დღეს საქმეში გართული თქვენს რომელიღაც ლექსს ვლილინებდი. მიმიხმო და მთხოვა წამეკითხა მისთვის რომელიმე თქვენი ლექსი. ჩემს შეკითხვაზე თუ რომელს მოისურვებდა, დამისახელა: „სიყვარულის ნეკროლოგი“... ნაუკითხე და ვინანე, რადგან წანაკითხმა ბევრი ცრემლები გამოიწვია. უხერხულობა ვიგრძენი და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ვერ გავეჩეცე მის ცრემლიან თხოვნას. დავრჩენილიყავ და მეკითხა დაუსრულებლად. შეკვეთას თითონ მაძღვედა რა წამეკითხა. რალაც განსაკუთრებულ გულის ტკივილით მოისმინა: „რა ფერმკრთალი ხარ მეგობარო“ და ამოიკვნესა, სამწუხაროდ მე არ მეკუთვნისო იგი, მაგრამ სიამით ვისმენ, რადგან ჩემს ახლანდელ ყოფას შეეფერებაო... ცოტა ხანს იფიქრა და მთხოვა, რომ ოდესმე მისი სიკვდილის შემდეგ გადმომეცა რაიმე გზით ეს ამბავი... ამის შემდეგ აღარავის აღარ მოუსმენო, რადგანაც მსურს უკანასკნელ სიტყვად მიმყვებოდეს მისი რითმა. ეს იყო და ეს... ამის შემდეგ ერთი კვირაც არ უცოცხლია. ვასრულებ მის სურვილს, პატივისცემით თ. ლოლაძე. 15/VII, 43წ. ქ. გორი“.

მარუსია ყანდინოვისადმი მიძღვნილი ი. გრიშაშვილის, როგორც თავად უწოდებს ახალგაზრდობის დროინდელი შემდეგი დაბეჭდილი ლექსები: „ჩემი ლალატი ნეტა რა ჰპოვე“, „გიყურებ, ვტკბები“, „ნანყვეტი №-ს“ „მოგონება (მ.ი.კ.)“, „რომანსი“, „ნუ თვალთმაქცობ“, „საგალობელი სტრიქონები“, „სიზმარი“, „იალბუზის მთავ“, „ნიავე“, „საგაზაფხულო“, „ისევ ვუყვარვარ“, „რისთვის მიყვარხარ“, „ალბომში (მარუსას)“, „რად შეგიყვარე“, „ლამაზო“ და ა.შ.

მოგვაქვს მ. ყანდინოვისადმი მიძღვნილი, სიმღერად ქცეული ლექსი

„ჩემი სიმღერა

(გუძღვნი „მა-ს“)

ნუ, ნუ სტირი, რისთვის ჰგოდებ გენაცვა,
შენც მიყვარხარ, განა არ მებრალეები?
მაგრამ ეხლა ავირჩიე მე სულ სხვა, —
სად შენა და სად „მარუსას თვალები?!

თუმცე ეგ ტანი გრძელი ალვისა ხეა,
მის ფოთლებში ვიცი დავიმალები,
მაგრამ ის კი ჯერ ქორფაა, მკვახეა,
სად შენა და სად „მარუსას თვალები?!

შენ ია ხარ, ის კი სოსან ვარდია,
მტლად დაგედონ ყველა უბნის ქალები,
მაგრამ მაინც ის გჯობია, კარგია, —
სად შენა და სად „მარუსას თვალები!“

მართალია, შენა გშვენიის ხუჭუჭ თმა,
მას თვალნარბი, ლოყის ნაკვთზე ხალები
მაინც ვიტყვი, ჩამინყვიტონ თუ გინდ ხმა:
სად შენა და სად „მარუსას თვალები?“

მსურს მის ტუჩებს დავაკედე — დავენებო,
მოვიკრიფო სუსტმა მდევის ძალები, —
სულის კლიტევე, სამოთხის გასაღებო,
სად შენა და სად „მარუსას თვალები?“

მარუსია წერეთელი

თითქმის ყოველ წელს საჩხერის სტუმარი ვიყავი. ხშირად მიწვევდნენ ტრადიციულ, საქველმოქმედო საღამოებზე, რომელსაც მართავდა ელისაბედ წერეთელი და რომლის მთელ შემოსავალს ნ.კ. საზ-ბას უგზავნიდა, ეხმარებოდა ლარიბ სტუდენტებს და ა.შ. აქვე გავიცანი ამ ღონისძიებების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე მარუსია (მარიამ) წერეთლისა. იგი იყო მაჭუტაძის ასული, გათხოვილი საჩხერის თავად ფრიდონ წერეთელზე. მ. წერეთელი ულამაზესი ქალი იყო მთელ საჩხერეში. უყვარდა პოეზია და ჩემი ლექსების მოტრფილ იყო. მეც მომწონდა მარუსია წერეთელი. მას ალბომიც ჰქონდა, სადაც პოეტები პლატონ ლეჟავა (სევდიანი), პ. იაშვილი, რუს-იმერელი (ვ. იურკევიჩი) მისდამი მიძღვნილ ლექსებს უწერდნენ ალბომში. შიგ ჩემი ლექსებიცაა. ეს ალბომი ამჟამად ლიტერატურის მუზეუმშია. აქ სხვათა შორის რუსული ლექსიცაა მოთავსებული. მართალია ლექსს ქვეშ გვარი არა აქვს მონერილი, მაგრამ მე ვიცი, რომ ამ ლექსის ავტორი შორაპნის მაზრის უფროსი იყო, გვარად ოლხოვსკი. ეს ოლხოვსკი დიდი დონ-ჟუანი ვინმე იყო. მას მოსწონდა მარუსია წერეთელი და სულ კუდში დასდევდა, ლექსებს უწერდა, ქათინაურებს სთავაზობდა. თუ ცეკვაც იყო, უეჭველად მარუსია წერეთელს გაიწვევდა სათამაშოდ. მარუსია ცდილობდა აეცდინა მისი „არშიყობა“, მაგრამ ამას ვერ ახერხებდა, რადგან მაშინდელი ეტიკეტის მიხედვით სამხედრო კაცის და ისიც მაზრის უფროსის გაზიარება ასე ადვილი არ იყო. თავი შორს ეჭირა. ერთხელ, ეს იყო 1915 წელს, საღამოს დასასრულს დიდი ბანკეტი გაიმართა. ოლხოვსკი ცდილობდა სუფრაზე მარუსიას გვერდით დამჯდარიყო. მარუსიამ, კი არც აცინვა, არც აცხელა და მე მომიჯდა გვერდით. უარყოფილი მოტრფილად ოლხოვსკი თითქოს ბედს დასჯერდა, ჩვენს პირდაპირ მოთავსდა და ლექსის წერას შეუდგა.

ჩვენ მოგვაქვს ამ ლექსის ბოლო სტროფი ი. გრიშაშვილის კომენტარით:

Княгине Марии Церетели
И так: от всей души желаю,
Здоровья, счастья, рай земной,
Но петь тебя предостовляю
Поэту с заячьей губой.

Тифлис, 15.V.1915г.

ამ ლექსის დამწერს მოსწონდა მარუსია წერეთელი, ის კი ახალგაზრდა პოეტის ლექსებით იყო გატაცებული. „შენთვის დამილოცნია კურდღლის ტუჩება პოეტით“ ჩემზეა ნათქვამი. ი. გრ. 1956 წ. 12/Х.

ი. გრიშაშვილის წერილი მარუსია წერეთლისადმი

„... ხომ იცი რომ თუ მოვდივარ, თქვენთვის მოვდივარ. ვიცი, ვიცი არ დაიჯერებ ჩემო კარგო. იცი რაღაც იდუმალ ჰანგათ, არა ამქვეყნიურ არსებად ჩამეჭერი გულში. მინდა ვწყველო ჩემი პირველი ნახვა და მინდა ვადიდო ჩვენი პირველი შეხვედრა. არ გეგონოს თუ მე

ამას ტყვილათ ვნერ ან მსურდეს რომ მე ჩემი თავი შეგაყვარო და ოჯახური მყუდროება შეგიწყვილო! არა, არა ღმერთმანი. მე მხოლოდ მომწონხარ, მომწონხარ გიჟურის სიმთვრალით და ამიტომაც შენ ნება არა გაქვს შემეყვარო. შენ ნება არა გაქვს დამივიწყო. მხოლოდ გული იცი რაზედ მიკვდება, იმაზედ რომ შენ ჩემი არაფერი გჯერა. იცი მე გაგიჟებული ვარ და წერილი მოგწერე და მისი პასუხი არ მომივიდა. გეფიცები ჩემს უმანკო სიყვარულს, მთელი საღამო ცრემლში გავატარე. მომწონხარ, მომწონხარ, ღმერთმანი მომწონხარ! ახ, ღმერთო ჩემო მომწონხარ და რა ვქნა? შენი სული ჰანგია მსოფლიოსი. შენ რომ ლაპარაკობ, ასე მგონია უღრან ტყეში საღამურს ანკრიალებენ მეთქი. შენი ხავერდის ხმები შეგების ცრემლებით ეპკურებიან ჩემს მოღლილ და ბავშვურ სიყვარულს. მომაკვდინებელ ცოდვას ჩაიდენს ის, ვინც იტყვის რომ ყვავილს უფრო კარგი სურნელება აქვს, ვიდრე შენს თმებსა! მე თვით მინას არც კი ვაპატიებ, რომ შენ ფეხებს ჰკოცნის სიარულის დროს. როგორ გაბედა და ლერწამმა შენს ატყორცნილ ტანს შურით შეხედა? შენი ყარყარა კისერი ჯეირანისას მაგონებს ნამიან ღამეს მთის ქეჩაზე ჩამომდგარს. შენს თვალებში ჩემო კარგო ზღვა სდგას, ზღვა არა მელღვარე, ზღვა არა ბობოქარი, არამედ ზღვა წყნარი, ზღვა გედის ნანით მიძინებული! თვით ნიავიც კი დამემონებდა, რომ მთვარემ შენგან ისესხა ღიმილი! შენი ტუჩები! — ეს ხომ ორი ყაყაროა ერთ შტოზე მობმული. რა ვქნა ჩემო კარგო, რა ვქნა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ვისლა შეგადარო. ნუთუ შენ თვითონ არა გრძნობ შენს ღირსებასილამაზეს? შენ უნდა პარნასის მთებზე იყვე მუზათა ღმერთებისთვის სამუსიკოდა და არა ამ ცოდვიან მინაზე. დიახ, ჩემო კარგო, შენ გრძნობ შენ სილამაზეს და იმიტომაც ასე მაჯადოვებ.

მეც მომწონხარ, რა ვქნა რა ვქნა მეც მომწონხარ და რა გიყო, რომელ წყალში გადავარდე, რომელ ზღვაზე გავირიყო. მომწონხარ მხოლოდ და რომ შეგიყვარო ისე, როგორც ვიცი და როგორც შენს სულს შეეფერება, ოოო მაშინ არც ერთ კაცს ნებას არ მივცემ რომ შენთან ერთად ოთახში ერთის ჰაერით ისუნთქოს.

1912წ.10/XI

ადგილები მარუსია წერეთლის წერილებიდან ი. გრიშაშვილისადმი

„...თუ მოისურვო და წერილი მომწერო, ანეტას (იურკევიჩი. ნ.გ.) სახელით მომწერე გადასაცემად. მხოლოდ ეს სიტყვა. სახელი ჩემი არ უნდა. ეს წერილი და სხვა ჩემი წერილები დახიე იცოდე თორემ წერილებს არ მოგწერ. თუ იქნეს ჩემზე ლექსი, გამომიგზავნე, გაკოცებ შუბლზე. საძაგელი მარუსია. დახიე. 14/II — 1915წ.

„...ჩემი ლექსი მაქვს შენს წერილებში „ლერწამი ხარ“ მეორედ დავათვალიერე შენი წერილები და ვთქვი რარიგათ უყვარდი და ეხლა წერილებსაც აღარ მწერს თქო“... 25/III — 1915წ.

„...სოსო, გენაცვალე რა ვქნა. ისეთი მინდა შენი ნახვა და მერე კიდევ ამ ლექსის გაგონება შენი საძაგელი ტუჩებიდან. დატანჯოს ჩემი მტერი, მე ეხლა დატანჯული ვიქნე. იცი სოსო რაც მოვედი აქ სულ ლოგინში ვწევარ. ავათ ვარ. შეიძლება მოვახერხო და მოვიდე. ექიმი უნდა ვნახო. ის ექიმი შენ ხარ. ხომ იცი შენს მეტი არავინ მომარჩენს თუ გულწრფელად იქნები. დაანებე თავი იმ ოხრებს, სოფიო, ვილაც ნიჟარაძის ქალს, სახეს, ნულუკიძის ცოლს. არ მინდა რომ ვინმე გყავდეს ჩემს მეტი. იცი საშინელი ხარბი ვარ ამ შემთხვევაში. მე მინდა მხოლოდ ჩემი იყო და ლექსებიც არავის უძღვნა ჩემს მეტს“ 27/III, 1915წ.

„...იმ ლექსში (იგულისხმება მ. წერეთლისადმი მიძღვნილი ლექსი „მე მივდივარ“, იხ. ი. გრიშაშვილი. ლექსები ტ. 1. 1914, გვ. 192) ერთი შეცდომა მოგივიდა

„ან თუ სიომ მიმზიდველი

მკერდის ხალი გაგიგრილა“,

ყელის ხალის მაგიერ მკერდის ხალი წერია. ცოტა არ იყოს მენყინა. მეტს არა გწერ. ნახვამდის, კნ. მარუსია წერეთელი 3/IV, 15წ.

„წერილი თუ მოიწერო, მოიწერე ანეტას (იურკევიჩის) სახელზე, როგორც აგზავნიდი. ლექსებიც თუ იქნა, მეტი ხელნაწერი ცალკე მე გამომიგზავნე და ცალკე დააბეჭდვინე, ასეთი წარწერით: „მ-ს“. სოსო ლექსებში ჩემს ალერსს შენებურად ნუ წერ. მე არ მინდა, რომ იცოდნენ ჩვენი დამოკიდებულება. იცოდნენ რომ შენი თაყვანისმცემელი ვარ მხოლოდ. ალბომში ბევრმა დამინერა ლექსი, მაგრამ შენი ლექსები სულ სხვა არი. იყავი კარგად. მალე მოდი. კნ. მარუსია. 15/VI, 1915წ.“

მარუსია წერეთელი არის ი. გრიშაშვილის შემდეგი ლექსების ადრესატი: „დარჩი, ნუ მიხვალ“, „დარჩი, დარჩი“, „ღამე ტყეში“, „მე მივდივარ“, „მა-ს“, „ლერწამი ხარ“ და ა.შ.

მარუსია წერეთელი 1931 წელს გარდაიცვალა.
მიძღვნა ნიგნზე

ყელს გაგიციებს ეგ მანიაკი,
ნება მიბოძე გავწყვიტო კბილით,
მძივების ნაცვლად ყელს შემოგავლო
პოეტის კოცნა ნაზი და თბილი.

წელზედ გარტყია მქისე ქამარი,
შენს წერწეტ სხეულს ეგ ეკადრება?
მითხარი, ქამრად ვაჟკაცის მკლავი
მაგ ტანზე როდის შემოგაკვდება?

მარგო! საჩხერის მზის დიადემავ!
მარგო! ოცნებით გელერსები,
შენი ღიმილი შოთას რითმაა
და შენი ტანი-ჩემი ლექსები!

თამარა ელიაძე

1915 წელს ქველმოქმედ სტეფანე ელიაძის დახმარებით, დაფინანსებით ი. გრიშაშვილი იყო დონის როსტოვში. დასასვენებლად კი სტეფანე ელიაძის ოჯახთან ერთად კისლოვოდ-სკში. სტ. ელიაძე ყოველმხრივ ზრუნავდა ახალგაზრდა, ხელმოკლე, ნიჭიერ პოეტზე, რომ სათანადო ცოდნა-განათლება მიეღო. დაუქირავა მასწავლებელი ფრანგული ენის შესასწავლად. ამ პერიოდს ეხება ი. გრიშაშვილის დღიურები და წერილები სტეფანე ელიაძის ქალიშვილზე თამარა ელიაძეზე.

კისლოვოდსკი, 1915 წ. დღიური მგონი. ი. გრ.

26 ივნისი 1915

გუშინ სტეფანე სვიმონის-ძე ელიაძე გაემგზავრა თავის ორი ვაჟით კავკავს... გავაც-ილე, ჩემთან იყო მისი ორი ქალი თამარ და ანანო... მოვდიოდით სახლში. თამარმა მითხრა აღმართზე მე შენ ძალიან მიყვარხარო... მერე ველერსეთ. მერე კოცნა დავაკარი ტუჩებზე. 12 საათამდე ვჯღურტულვდით. მე სხვისთვის მაქვს პირობა მიცემულიო მითხრა. გვარიც დამისახელა... და მეც რომ შემეყვარდა? როგორ უნდა მოხდეს ეს? მაგრამ არა! მე ჩემს სიყვარულს საზოგადოთ პატივს ვცემ! პეტრონიუსი (ვიდრე ხვალ უფალო!) ამბობს: ლამაზი ქალი მთელი ქვეყნის ოქროდ ღირს და თუ იგი შეყვარებულია — ფასდაუდებელია!... აბა განა შემოდლია სიყვარულის წინააღმდეგ წასვლა, როგორ შემოდლიან ვუთხრა: არა ის მიატოვე და მე შემეყვარე მეთქი, ან როგორ შეიძლება, რომ შეყვარებული ქალი, სხვის საკუთრება, შენ გადმოიბირო! ეს ხომ შეურაცხყოფაა მსოფლიოს დამამშვენებელის — სიყვარულის? ოლონდ ის იყოს ბედნიერი და მე კი... სულერთია... მე მხოლოდ ვგრძნობ თამარისადმი კარგ გრძნობას წმინდას და ეს ასეც უნდა დარჩეს! „არ იქნება სიყვარული ძალათა“.

27 ივნისი

თამარ! ნუ ხარ მსახიობი... ვიცი, რომ შენ ჩემდამი გრძნობ რალაცას, მაშ გახსენ გული! შენ ისეთი კარგი ხარ, რომ შენი არშეყვარება შეუძლებელია! და სწორედ ღირსი ვარ, რომ შენ მე შეკუთვნოდე... ჩემსავით ვინ შეგიყვარებს, ვინ? არავინ! მაშ გააღე გული თამარ, თამარ და მოგივლინებ აჩრდილს სიყვარულისას, რომ მომავალი ერთის გრძნობით ავაყვავოთ!... გესმის გესმის, შენ მთხოვე „წითელ ქვასთან“ წასვლა, მაგრამ მე არ გამოგყევი თამარ, რათა? მე თვით არ ვიცი. აბა დააკვირდი შენს სიტყვებს და ყველაფერს გაიგებ... გესმის? რათა ხარ გულ-ჩახვეული? ეს იმის ბრალია, როცა შენ გინდა წასვლა, მეც მინდა, მაგრამ უცბად ჩემდა გასაჯავრებლად აღარ მოგესურვება წამოსვლა. და ამას სამაგიეროს გადახდა უნდა თუ არა? მეც გიხდი სამაგიეროს, მხოლოდ იმიტომ, რომ დააკვირდე შენს საქციელს. სხვებიც არ გაახვიო ამ ქსელში. ერთი მსხვერპლი გეყოფა!

28 ივნისი

მე ვიცი, რომ არ გიყვარვარ თამარ და ან ჩემი სიყვარული განა შეგიძლიან? შენ წასწავ-

ლი ხარ, განვითარებული კარგი დედ-მამის შვილი, მე კი ერთი ხელმოკლე და ობოლი ბიჭი, მაგრამ სიყვარულმა თურმე არ იცის განსხვავება და ამიტომაც პირველ ნახვაზედ შემიყვარდი თამარ! თამარ! შემიყვარდი და შენ კი არ გიყვარვარ, არ გიყვარვარ, არა! ეს ოხერი რატომ ადრევე არ განვჭვრიტე ჩემი ზღვარი. აბა სად მე და სად შენ? ისევ დეე, გულში ჩამჭკვდომოდა ეს გრძნობა და არ კი გამომემჟღავნა, მაგრამ ჯაშუში ამ შემთხვევაშია ჩემი ლექსები „მესამეს“ და მრავალი სხვა...

29 ივნისი

მთელი ღამე არ დამიძინია. მე და თამარი ერთად ვიყავით. ამჟამად კი უფრო კარგი იყო! მელერსებოდა, მაგრამ არვიცი კი რა აზრი აქვს. მე ამ ალერსით, მე ამ სიყვარულით დავდენი, დავილიე! ტყუილად ანერს სტეფან სვიმონის-ძე ჩემი გახდომის მიზეზს ჭამას! ჩემი მტანჯველი თამარია: ნეტავ, რატომ არ ძალმიძს ამოვფხვრა ამ გულიდან? რატომ? რატომ?

30 ივნისი

„წითელ ქვასთან“ ვიყავით ყველანი. ნინო სტეფანეს-ასულმა დაგვპატიჟა. მაგრამ რა — გული არა მქონდა. ვიცი რომ არ ვუყვარვარ თამარას. ხან კი ამბობს მიყვარხარო. მაშ რა უშლის ხელს? არ ვიცი, არ ვიცი!

2 ივლისი!

გავიბუტენით! მთელი დღე ჩემს ოთახში იყო. სურათი მომიძღვნა. ზედ წაანერა ინგლისურად რაღაცა მგონი. მერე ალერსი და მერე განშორება. მე კი გადავწყვიტე დღეიდან, რომ როგორმე ამოვიგლიჯო ამ საზიზღარ გულიდან ეს საზიზღარი სიყვარული!

4 ივლისი

სულ ერთია! სულ ერთია! მე თამარს არ ვუყვარვარ. განა რომ ვუყვარდე, ასე მომექცევა. ეს შეუძლებელია! მე კი თითქოს მოჯადოებული ვიყო, სულ იმისკენ ვილტვი და ვილტვი. მაგრამ არა! ეს ასე არ შეიძლება. აბა სად მე და სად თამარა? ის განათლებულია, კარგი დედ-მამის შვილი, მე კი. არა, არა, ეს შეუძლებელია! მერე სტეფან სვიმონიძეს რა პასუხი გავცე? არა! — გადანყდა! ისევ გულში ჩავიმარხავ ჩემს გრძნობას, როგორც პირველ ხანში, როცა თამარა ვნახე, — მხოლოდ გულში ჩავიმარხავ ჩემს გრძნობას და ასე მივალ სამარის კარამდე. გადანყდა. სიყვარული გაუმჟღავნებელი სჯობია!

8 ივლისი

მთელი ღამე ვალერსობდით. პირობა მომცა, მითხრა მიყვარხარო, მაგრამ ხანდახან ეჭვი მეპარებოდა. არ ვიცი რა ვქნა, თუ მატყუებს დავიღუპები! ჩემს სახლში, ჩემს ლოგინზე ინვა და მე ვყავდი ჩახუტებული. აი პირველი საათი და მე კიდევ არ მძინავს.

9 ივლისი

დღეს არ ვისწავლე. ე.ი. Madam არ ვიმეცადინე. ძალიან გავხდი და მსურდა, რომ დამეძინა. ამას გარდა თუ დამივინყებს თამარი — დაე იცოდეს, რომ ის ერთ ღამეს გაშმაგებით მკოცნიდა. თითქმის გავათენეთ და მეორე დღეს აღარ მიმეცადინია!

მტანჯავს! დღეს კოცნა ვთხოვე და არაო! მაშ გუშინ ისე მსურვალედ რომ მკოცნიდა იქნება ღამე რომ იყო, იმიტომ?

ვიტანჯები!

10 ივლისი

გადავწყვიტე დღეიდან აღარ გავეკარო და მივცე დავინყებას ყოველივე.

11 ივლისი

ეხლა კი მე და თამარი მეგობრები ვართ! მთელი დღე ჩემთან იყო. ღმერთო რა კარგად ვგრძნობდი თავს! — გარედ შხაპუნა ნვიმა იყო და ჩემს ფანჯარაზე ნვიმის მარცვლები ისე კრიალობდნენ, თითქოს სატრფო სატრფოს ფანჯარას აკაკუნებდეს და შესთხოვდეს შემომვიო! ჩვენ კი არაფერს არა ვგრძნობდით! ვიყავით ჩახვეულ ჩახუტებულნი და ცა ქუდათ არ მიგვაჩნდა, დედამინა ქალამნადა! რა კარგი იყო ღმერთო!

12 ივლისი

დღეიდან აღარ გამებუტება ჩემი თამარი და ყოველთვის ალერსით მომეპყრობა, ასე

გადავწყვიტეთ გუშინ, როცა უნდა მაშინ შემოვ ჩემს ოთახში. თავის სახლივით იქნება ჩემი ოთახი. მე ფანჯარაზე ვიყავ გადაყუდებული, ის ბაღში იყო. მე უპიჯაკოთ ვიყავი და ამ დროს მოსამსახურემ ვერამ დაგვინახა. რა ვქნათ მერე. თამარი ხომ ჩემია და!

13 ივლისი

გუშინ თამარ სასეირნოთ იყო. წასვლისას შემოგოგდა ჩემთან და მაკოცა! ღმერთო რა კარგად ვგრძნობ თავს! აი ეხლა ვარ ნამდვილი პოეტი, აი ეხლა ვარ ნამდვილი ზე-კაცი! ეხლა აღარ ვწუხვარ და უფრო ხალისით ვმეცადინეობ. თამარა აღარ მეთამაშება და თამარა აღარ კეკლუცობს — ჯან, რა კარგია და! ანდა მე ხომ მისი მოარშიყე არა ვარ? რად უნდა მათამაშოს, მე თამარა მიყვარს! — ღმერთმანი მიყვარს, ღმერთო ჩემო მიყვარს და რა ვქნა!

15 ივლისი

ეს საღამო არასოდეს არ დამავიწყდება. უცნაური იყო უცნაური, ვით თვითონ სიყვარულია უცნაური. ეს საღამო, ეს სასაცილო საღამო არასოდეს არ დამავიწყდება. და თამარ, თამარ, შენც ხომ არ დაივიწყებ ამ საღამოს, „ნადით“ მე თქვენ აღარ გელაპარაკებით!“ ჩემს სიცოცხლეში ასე უხეშად ქალისაგან ასეთი არაფერი მსმენია. ცოტაოდენი სიყვარული რომ ჰქონდეს, ასე მოიქცეოდა?

16 ივლისი

სისულელეა?

17 ივლისი

გუშინ სთქვა დამნაშავე ვარო. არც ის არის დამნაშავე და არც მე. აქ დამნაშავეა გულ-ჩახვეულობა.

18 ივლისი

ღმერთო! რა კარგადა ვგრძნობ თავს ღმერთო.

19 ივლისი

და ყოველივე ეს რად? რისთვის?

20 ივლისი

მომბეზრდა!

22 ივლისი

ბედნიერებს „დღიური“ არ სჭირდებათ. შორს! შორს!

24 ივლისი

რა ბედნიერი ვარ ღმერთო, მითხრა: *β ἀμὲν-ἀμὲν!* მაგრამ რა უბედური ვარ ღმერთო რათ მითხრა *β ἀμὲν-ἀμὲν!*

25 ივლისი

კიდევ... ახ, ღმერთო ჩემო, კიდევ მომნახა სევდამ და არ ვიცი, როგორ ავხსნა ეს საიდუმლო? თამარამ რაც მოიქმედა ჩემთან, ეს გამოცანაა! გამოცანაა თამარის საქციელი და კვლავ გამოცანათ დარჩება. თუ ავხსნი, აი მიზეზი, სულო ჩემო, აი მიზეზი ჩემი ჭმუნვისა! მე კი მგონი, რომ ადრე და მალე ყველაფერს უნდა გამოვეყო! აი, ერთადერთი ხსნა სიკვდილისაგან. აბა სად მე და სად თამარი? ის კარგი რამ არი და მე კი... ეჰ, სისულელეა.

ი. გრიშაშვილის წერილები ილია ზურაბიშვილისადმი კისლოვოდსკიდან თბილისში

1915წ. 22 ივნისი

Mon cher ami!

ვნვალობ რაღა! ვნვალობ! ხან მეტისმეტი ფრაასხმულია ჩემი ხალისი, ხან კი ფრთებ-დაშვებულ ძენნას მაგონებს. ეს ადამე-ი კი ხანდახან მალეღვებს ხოლმე. მკერდამოჭრილ დარაიის ხალათი აცვია და უბის ორი სეფისკვერი მაცდურად ინვევენ ჩემს საალერსოდ

აცრილ ტუჩებს, მაგრამ შენ წერილს გავიხსენებ ხოლმე და... ცივ ვანებს ვიღებ! ხუმრობა იქით იყოს და მართლა მეარშიყება. იცი? მე კი ელიაძის ერთი ქალიშვილი მიყვარს მგონი. ისე კარგად მეპყრობა, რომ ის თვალეში შემციცავებს და მეც თუმცა ქართული ნაკლებად ესმის — ლექსებს შევყეფ! მანდ როგორი ამინდებია? A Kislovodsk il pleur toujours... ხომ წარმოგიდგენია ჩემი ფრანგულის მტვრევა?.. ნათქვამია, სიბერემდის სიქაჩლო. ნახვამდის, შენი Sasso.

1915წ. 2 აგვისტო

საყვარელო ილია!

„...გული მაქვს განყალბებული... შუათანა ქალი ხომ რაღა! სულ ჩემთანა გდია-მეალერსება. ყველაფრის ნებას მრთავს, მხოლოდ „ციხის აღებაზე არ არის თანახმა“ და მეც ვიღვევი. რასაკვირველია ეს მანყენს... ქალიც მალეღვებს. ოცნებას მიგიჟებს, რომ ალბათ ხელი ვთხოვო! მე კი ვსდუმ. თუ რამ სწადიან, თვითონ მითხრას! ერთი სიტყვით ობლადა ვარ, არა ვარ თავისუფალი და ლამის გავგიჟდე. ამას ზედ დაუმატე დილის ექვს საათიდან ცხრა საათამდე ფრანგულის სწავლა. დავილიე და! ხანდახან მეუბნებიან რამ გაგახდუნა აგრეო? არაფერს სჭამო? ალბათ უნდათ, რომ ვუპასუხო „არა შეყვარებული ვარ“, მაგრამ არ ვეტყვი, არა! ერთი სიტყვით ტყვეთა ვარ ამ დიდებულ ადგილს!

„და რა პატივს ჰყრის ნაზი ბუღბუღი

გალიაშია დატყვევებული“

შენი სოსო

ი. გრიშაშვილის წერილი თამარ ელიაძისადმი
კისლოვოდსკი, 17 აგვისტო 15წ.

ქალბატონო თამარ! რაც მოხდა ალბად თქვენც იცით. ამჟამად მე მაინტერესებს ერთი რამე და გეთაყვა ეს ამიხსენი. რა საჭირო იყო ასე შეურაცჰყოფა? მე ხომ არაფერი დამიშავებია, რომ ასე საზიზღრად შეურაცჰყავი ჩემი წმინდა გრძნობა. ვფიქრობ და ვერ მომიგონია, იქნება ჩემდა უნებურად ვანყენინე-მეთქი? მაგრამ მე და წყენა? მე ხომ პეპელასავით თავს დაგცივლივბდი და ყოველივე შენს სურვილს დაუყოვნებლად ვასრულებდი? არ ვიცი, არ ვიცი, იქნებ ეს ჩემი სიყვარულია დამნაშავე? არ ვიცი, არ ვიცი! ნუ თუ ყოველივე თვალთმაქცობა იყო რასაც მეუბნებოდი? ნუ თუ შენშია ც მოვსტყუვდი? ნუ თუ შენც სხვების მსგავსი ხარ? ო, ეს სიტყვებიც კი ჭკუიდანა მშლის... მაგრამ არა! არა! არა! შენ ისეთი ნაზი ხარ, რომ არასოდეს არ ეტყოდი თაყაიშვილს! ასე ტლანქად: „გრიშაშვილში რა უნდა მომწონდეს? მე არც კი მიფიქრია მისი სიყვარული, ნუთუ სარკეში მაინც არ იყურება?.. ამას გარდა ის (ე. ი. მე) უსწავლელი, რუსულის არ მცოდნეა, მე კი უმაღლესი სასწავლებელი მომივლია, ის ღარიბი — მე მდიდარი, აბა სად ის და სად მე? სასაცილოა ღმერთმანი, დიახ, ჩემო კარგო, სასაცილოცაა და სატირალიც. არ მესმის რა საჭირო იყო ასეთი შეურაცჰყოფა ჩემი? ნუ თუ არ შეიძლებოდა სხვანაირად, უფრო ნაზად და რბილად გეპასუხნა? მე ხომ არასოდეს ძალა არ დამიტანებია შენთვის? მე ხომ მიყვარდი? შენ ხომ ვერ უარყოფ ჩვენს წარსულს და ამ სიტყვას შენს ბაგეთაგან წარმოთქმულს „მე შენ მიყვარხარ!“ ეჰ, განა მართოკა ეს? რასაკვირველია შენი ნებაა თამარ, მე არ გისაყვედურებ. შეგიძლიან სთქვა: მიყვარდა და აღარ მიყვარსო — ეს დასაჯერებელი იქნებოდა, მაგრამ ჩვენი წარსულის უარყოფა ხომ არ შეიძლება თამარ? ჰაა, ხომ არ შეიძლება თამარ?.. მაშ რად გამომიყვანე თაყაიშვილთან მაინც ცრუდ? რად ჩამაგდე უხერხულ მდგომარეობაში? სიმართლე, რომ გეთქვა, განა დასაძრახია? რომ გეთქვა: „მართალია მიყვარს, მაგრამ მისი წაყოლა კი არ შემიძლია“. აი ამ შემთხვევაში დავრწმუნდებოდი შენს წინანდელ სიყვარულში. ო, თამარ, თამარ, დამარწმუნე, რომ ის ტლანქი და უხეში სიტყვები შენ არ გეკუთვნის. იცრუე, ითაღლითე, ოლონდ მითხარ, რომ კვლავ გიყვარვარ. რა ვქნათ, არ იქნება ჩემი — ნუ იქნები! მე კი სულ სხვა მომავალზე ვოცნებობდი, მაგრამ სჩანს, რომ ჩემი ობოლი სული არასოდეს არ იქნება ბედნიერი. თამარ, თამარ მე არა მჯერა, რომ შენ ის სიტყვები გულწრფელად გეთქვას. უეჭველად რისამე შეგეშინდა. აი ამიტომაც გთხოვ შემატყობინე, მომწერე მხოლოდ ორიოდ სიტყვა: ის რაც შენ წარმოსთქვი ჩემზედ თაყაიშვილისა და მამითქვენის წინაშე — მართალია თუ არა? მე მხოლოდ სიმართლე მინდა, სიმართლე. აკი ერთხელ გითხარი: დიდს სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევს და ნუ მოიქცევი ისე რომ სამუდამოდ შეგიზიზღო მეთქი. თამარ, იმედი მაქვს ამ ჩემს პირველ და უკანასკნელ თხოვნას ამისრულებ. მომწერე სიმართლე.

მართლა ისე ტლანქად რომ წარმოსთქვი, ბუნებით ნაზმა, ის ჩემი თავმოყვარეობის შემლახველი სიტყვები, გულწრფელადა სთქვი თუ ვინმემ დაგატანა ძალა გეცრუნა? ეს კი იცოდე, რომ მე შევეასრულე შენი პირობა და მამაშენს არაფერი არ უთხარი. გარდა ძალად წარმოთქმულ ამ სიტყვისა შენ რომ მითხარ ერთხელ „მე ვისურვებდი!“ თუ მამაშენმა ძალა დაგატანოს და გათქმევინოს ყოველივე, იცოდე მე აქ არაფერ შუაში ვარ. ახ, როგორ ჩვეულებრივად მოხდა ყოველივე ეს? ახ, ნეტა რა ცოდვა მიმიძლოდა რომ ასე სასტიკად დამსაჯე თამარ! მე ხომ მიყვარდი თამარ, მე ხომ მიყვარხარ? მე ხომ მეყვარები?

1. ადგილი დიდი მეცნიერის ექვთიმე თაყაიშვილის წერილიდან სტეფანე ელიაძეზე, რომელიც ი. გრიშაშვილს ეხება: „გასულ ზაფხულში ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტი ყავდა მიპატიჟებული კისლოვოდსკი სააგარაკოდ. ჩემთან მოვიდა ესენტუკში, დამპატიჟა კისლოვოდსკი და რჩევა მკითხა თუ სად გაეგზავნა თავის ხარჯით ახალგაზრდა პოეტი. მეტის ცოდნის შესაძენად. მეც რასაკვირველია ჩემი აზრი გაუზიარე. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ. 585, 28 მარტი“.

თამარ ელიაძე არის ი. გრიშაშვილის შემდეგი ლექსების ადრესატი: „მესამეს“, „ლოცვა ჟამსა წყევისასა“, „ლამის ფიქრები“ და ა.შ.

ლამის ფიქრები

ო, ეს ლოდინი! ეს ლოდინი! კუბოა სწორედ
სად არის, სადა ის ცბიერი, ის საძაგელი?
აკი გუშინდამ, როს ერთმანეთს ნავეამბოროეთ,
მითხრა: „ხვალ ამ დროს, ამავე ადგილს, მოდიო, გელი!

ო, ფიქრო! ფიქრო! სატრფოს ნაცვლად, სატრფოსვე ჟინით
შენ რად მენვიე სასიკვდილო მუქი საცმელით?
ჩაიქცა გული — ფიქრო! ფიქრო! ამდენ ლოდინით,
ჩაიქცა გული ამდენ ფიქრით, ამდენ სათქმელით.

ის აღარ მოვა! — ეჰ, ამაოდ დაეძებს თვალი,
ის აღარ მოდის! — ეჰ, ამაოდ უყივის გრძნობა,
ო, როგორ უღვთოდ დამილუპეს მე მომავალი,
ო, როგორ უღვთოდ მომინამლეს ახალგაზრდობა.

კისლოვოდსკი, 1915 წ. 1 ივნისი.

ოლია ნემსაძე

ოლია ნემსაძისა და ი. გრიშაშვილის ერთად გადაღებულ სურათთან მიწერილია: „ოლია ნემსაძე. ჩემი ქუთათური დანიშნული 1917 წ. კარგი ბავშვი იყო. გათხოვდა სიკო გივიშვილზე.

ი. გრიშაშვილის ბარათი ლექსით ოლია ნემსაძისადმი და ადრესატის კომენტარებით.

„არ ვიცი რა უნოდო შენს საქციელს. აქა ხარ — არა გსურს ჩემი ხილვა, ნახვალ და საყვედურს მითვლი ხოლმე! შენ გგონია არ ვგრძნობ, რომ მეთამაშები და მოგწყინდა ყოველივე?.. ალბად ჯერ კიდევ ვერ იცნობ გრიშაშვილს; ნუთუ არ იცი, რომ მე შენთან ყოფნა მსურს?! შენ კი ყოველთვის თანაშემწეებით დაიარები! ეხ, იცი, მაგრამ მაინც ისე იქცევი, თითქოს „შეყვარებული ასული“ იყო. მე კი მართლაც რომ სიყვარული მშთან, მაგრამ სად არის იგი? შენშიაც შევცდი! რა გაენყობა და კვლავ ავიღებ ხელში ყავარჯენს, გაუდგები გზას და მოვძებნი ახალ მეგობარს.“

რაც იყო... იყო!..
მენდე და შესცდი! გენდო შევცდები
ვეცდები ჩქარა გადაგივინყო
გადაგივინყო ჩქარა ვეცდები

ვაი შენ, თორემ —
 აბა, მე ამით რა მედარდება!?
 ერთ ლექსს დაგინერ გამოსათხოვარს
 და უფრო კარგი შემეყვარდება.
 1918წ. 5 დეკემბერი.

ნუ შეეღვევი, კარგათ შეინახე ეგ ბარათი თავის ლექსით. კიდევ კარგი, რომ თვითონ აღიარებ, წარმოდგენილი მაქვს, როგორ გაგიძნელდება ჩემი დავინწყება! გულს მიკლავს ეგ სიტყვები, კიდევ ვაის მიგზავნი!? მე კი ვერც ეხლა გაგიმეტებ, ვაის ვერ გამოგიგზავნი. მეც ვიცი რომ ფეხებზე გეკიდვ. მძულს მაგ სიტყვების ხმარება, მაგრამ რა ვქნა, რომ ეგ აზრი მეორე სიტყვებით ვერ გამოვთქვი. რაღას დამცინი!? თუ გლახა ვარ — ჩემთვის.

„17/XII-1918წ... რა დაგიშავე, რაზე დამცინი, რისთვის მლანძღავ? ამაებს კიდევ რაღას მერჩი? ო, რა ლექსი დამინერე, რარიგათ დამატკებე!? მისდღემში ვერ წარმოვიდგენდი თუ შენში ასე მწარედ შევცდებოდი“.

„28/XII-1918წ. სოსო! ვერ გამიგია შენი რა. გუშინ სხვა იყავი და დღეს კი სხვა ხარ. ხან მანამებ და ხან ნეტარ წუთებს მაცდევინებ. შენ ჩემო კარგო სჭრი და თან კურნავ, მაგრამ მოქნეული და მოზომილი ცდება ხოლმე ხშირათ მიზანს. შეიძლება ისე დასჭრა, რომ ველარ გაჰკურნო.“

შენმა პირველმა ლექსმა სასონარკვეთილებაში მომიყვანა. ეჰ, რაც არ უნდა ვწერო, სულ რომ ვწერო და გელაპარაკო, მაინც ვერ აგინერ თუ რა გადამწყდა და დღეს კი, აი ეხლა. ამ მეორე ლექსის შემდეგ იცი რას განვიცდი? ვამბობ, რომ **О, если даже сто веков дано мне было, желала бы только я, что завтра был как сегодня.**

როგორია ეს ცხოვრება?

რა ვქნა რომ არ ვიცი?! როგორ მოგექცე, ვით შეგიცნო შენ გენაცვალოს ჩემი თავი. ოლიკო“.

გაგაცნობთ მეორე ლექსს

უსახელო თითი

*ჰო-და, მეც დავეძებდი... რა არ ვნახე! რა ზღვები!
 და, რომ ვერსად ვიშოვე, გადავიჭერ ძარღვები
 და რაც სისხლში აღმოჩნდა რკინა წმინდა, სპეკალი,
 გადავადნე, შევექმენი ეს ბეჭედი, ეს რკალი,
 შევისწავლე ნახნაგვა, დავაყურსე და ბოლოს
 რკინის რგოლი მოგიძღვენ შენ ჩემ სატროფო-საცოლოს.*

*შეიძლება ეგ ხელი ბევრი შრომით დაშავდეს:
 შეეპაროს სიხმელე, დაიჭმუჭნოს, გაშავდეს, —
 მაგრამ ბეჭდის ნაკვლევი, არათითზე მზირალი,
 მუდამ ობლად იქნება, ვით გაჭრილი ფირალი,
 თეთრი ზოლი, ძვირფასო, თეთრი ბროლის-ნაკვთება,
 არასოდეს გვიმტყუნებს! არასოდეს ჩაკვდება!*

*მაგრამ მუდამ სიმღერა ხომ ბულბულსაც სწყინდება!
 და ჩვენც: თუ მზის მაგივრად მთვარე გაგვიბრწყინდება;
 თუ გადამცვლი! თუ გნახავ ჩემზე შენ ხელ-აღებულს
 და მე კიდევ სხვა ქალთან კობტას, ცელქს შელაღებულს,
 გნამდეს: ბეჭდის ნაკვლევი, თითზე შემოგარსული,
 მუდამ თეთრად იქნება, ვით ძვირფასი წარსული.*

ოლია ნემსაძის წერილებიდან ი. გრიშაშვილისადმი:

„16/V, 1917წ.

მეგობარო! იცი რა? ეგებ გგონია რადგან შენთან გადავიღე, სხვასთანაც წარამართ ვიღებდი სურათს? თუ ასეთი ვყოფილვარ, მაშ ღმერთმა ნუ მაღირსოს შენი სიყვარული. გული მტკივა ეგრე გლახათ რომ გიცვნივარ. სოსოს ჭირიმე, მერწმუნე მე სულ სხვანაირ ატმოსფეროს ვსუნთქავდი. ასეთი აღზრდილი არა ვარ და მეც თვითონ მიკვირს თუ როგორ მომიხდა ყოველივე ის, რაც შენთან ჩავიღინე“...

19/VIII, 1917წ.

„...ბეჭდისთვის რისთვის დაიხარჯე სოსო? რადგან გიყივდა, გამომიგზავნე ფოსტით. ო, შენ გენაცვალე. რა მიხარია რომ იცოდე. სულ თან ვატარებ მაღულად და დავკოცნი ერთიანად“

23/XII, 1917წ.

„...იცოდე რომ რამდენადაც მე გულღია და ნრფელი ვიყო, არამც თუ შენთან, საზოგადოთ ყველასთან ეგეთი ვარ, იმის ნახევარი ყოფილიყავი შენ ჩემთან, მე კმაყოფილი ვიქნები სოსო ჩემო! მე გგონია დაგეჯერება, რომ ერთგული ვარ შენი და გაგიჟებამდე მიყვარხარ, ჩემს სიცოცხლეს მიჩვენებ“.

ლოლა წერეთელი

ლოლა წერეთელი სწავლობდა კონსერვატორიაში. კარგი ვოკალური მონაცემები ჰქონდა. წერილები ი. გრიშაშვილისადმი მიწერილია 1919-20 წლებში. გათხოვდა მომლერალ ჯანაშიაზე.

ლოლა წერეთელს:

*ლოლავ არ გსურდა ჩემი გაცნობა,
მე ეს გავიგე, მე ეს ვიცოდი.
და როს შენ ჩუმად გტანჯავდა ტრფობა
მეც იმ დროს გულში ჩუმად ვინოდ.*

*როს გავეცანით ერთი მეორეს.
როს გავიგონე შენი სიმღერა
თვალეზმა კოცნა გაიმეორეს
გულმა ძალუმად დაიწყო ძვერა.*

*და გაძლევ სიტყვას, თუ გნამს ეს სიტყვა,
ჩემო ოლიკო, ჩემო გოგონი
ნუ მკითხავ იმას, რაც უკვე ითქვა
იყავ პოეტის კარგი გამგონი!*

მიყვარხარ. ი. გრიშაშვილი 1920წ.

ლოლა წერეთელის წერილებიდან:

19/IX, 19წ.

სალამი სოსოს სოხუმიდან. სულ მახსოვარ. სულ მოწყენილი ლოლა.

29/VIII, 20წ. ბათუმიდან

შენი ღია ბარათი მივიღე, სადაც იწერები შეიძლება ჩამოვიდეო, თუ მარტო ხარ და გსურსო. ამდენი ხანია მიცნობ და ვერ მიმხვდარხარ რომ მარტო ვარ...სოსო გენაცვალე, დიდი სიამოვნებით მოგელი... სჯობს ფოსტაში გამოგზავნო ხოლმე წერილი, დახურული და დაზღვეული. აქ როგორღაც ჩემი „ინტიმნი“ ცხოვრება ზოგს აინტერესებს. გაკოცებ ჭკვი-

ან შუბლში და ლამაზ ტუჩებში. ლოლა.

20/IX, 206. ბათუმიდან

„...რომ იცოდე როგორ მინდა შენი ნახვა. რას წარმოვიდგენდი რომ მომწყინებოდა უშენობა... გამოგზავნე შენი ლექსები ან კრებულები. მწყურია შენი ლამაზი ტუჩების კოც-
ნა და შენი წმინდა სახის ნახვა. ლოლა.

57

ნინო თარიშვილი

1921-24 წლებში ი. გრიშაშვილისადმი მიწერილი ნინო თარიშვილის წერილების გაცნო-
ბისას, ვრწმუნდებით რომ პოეტს მთელი გატაცებით, თავდავინყებით უყვარდა პოეტი და
ეს სიყვარული ჩააქსოვა ლექსებსა და წერილებში. 1926 წელს სათაურით „მზეში“
გამოცემულ ნინო თარიშვილის კრებულში, ლექსების უმრავლესობა, მაგ. „გრიშაშვილს“,
„ცისფერი თვალი“, „იმის ხელებს“, „ლექსის ფალავანი“, „შენს მდიდარ ღიმილს“, „ფერ-
მკრთალი სახე“, „ტრაჟიკული ცისფერ თვალზე“, „შენი წიგნი“, „როდემდის“ და ა.შ ეძღვნება
იოსებ გრიშაშვილს.

ნინო თარიშვილის წერილებიდან

12/I-1924წ.

„...შენ ლალატს მნამებ კიდეც... ჩემისთანა ქალთან ნაცნობობაც კი არ გინდა. გეფიცები
ყველაფერს მთელი ჩემი ლექსები შენ გეკუთვნიან და ეს ლექსიც (ბარიკადში)! სულ თავიდან
ბოლომდე შენია, შენთვის დაინერა. მხოლოდ ოთხი სიტყვა² არის, ნუ თუ ეს ლალატია?!
ლალატი ქალადზე დაწერილ ოთხი სიტყვით, რომელნიც მე მხოლოდ საილუსტრაციოთ
ვიხმარე. ო, მაპატიე, მაპატიე ჩემი ასეთი დაუდევრობა. ვწყევლი იმ საათს, იმ წუთს, როცა
ეგ ოთხი სიტყვა დავწერე. რამდენი მწუხარება გამოიწვიეს! რატომ არ მოვკვდი, ან რათ არ
გამიდუნდა ხელი, ვიდრე მაგ სიტყვებს დავწერდი. მაპატიე, სოსო, მაპატიე შენ გენაცვალე,
გეხვეწები, თორემ არ ვიცი რას ვიზამ. მითხარი ოღონდ და მე ერთ ლექსსაც აღარ დავბეჭ-
დავ. ისე მძულს ჩემი თავი, როგორც არავინ ქვეყანაზე, მძულს იმიტომ რომ ესე განწყენინე.
გეფიცები ეს სიტყვები უბრალოთ ვიხმარე. მაპატიე ოთხი სიტყვა. მასწავლე, რით გავას-
ნორო დანაშაული და მე მზად ვარ ყველაფრისთვის. შენ გეწყინა ვიცი, მაგრამ მეორეს მხრივ
ვფიქრობ შენ ძალიან ხშირად მეუბნები ისეთ საშინელ რამეებს, რომელიც მე აზრადაც არ
მომსვლია. და შენი უმიზეზო ეჭვიანობა შენ გინდა, მე ესე მგონია, გახადო ჩვენი დაშორებ-
ის საბაბათ... მე ვერც კი მომიძებნია შესაფერი სიტყვები, რომ ჩემი სინმინდე და სიმართლე
დაგიმტკიცო... მეყვარები ყოველთვის ჩემი პირველი სინმინდით და სიფაქიზით. ჩემს გულ-
ში მხოლოდ შენი სიყვარულია მომწყვედიული.

1. ნ. თარიშვილის უსათაურო ლექსი დაიბეჭდა გაზ. „ბარიკადის“ 1924 წ. 1, გვ.3.

2. ამ ლექსში ერთი სტრიქონი ასე იკითხება „როგორც შეყვარება ტიცციანის ხელებზე“. ამ სტრიქონის გარშემოა საუბარი.

7/II-1924წ.

„...არასოდეს არ მეგონა, რომ ასე ძლიერ მიყვარხარ... არ შემიძლია უშენოთ. ვნერ სრუ-
ლი შეგნებით. მომწერე შენი პასუხი. არ შემიძლიან ამდენი ლოდინი, გავგიჟდები... მომწ-
ერე, გამაგებინე, წინააღმდეგ შემთხვევაში მე ვიფიქრებ, რომ შენ არასოდეს არ გიყვარდი,
მხოლოდ განშორების მიზეზს ეძებდი. ნ. თ.“

ნ. თარიშვილის წერილებთან დევს პატარა ბარათი: „ნინო თარიშვილს. ჩამოსულხარ. ინტუიციით ვგრძნობ, რომ დღეს მოხვალ ჩემთან. მე კი ადრე უნდა წავიდე. სტამბაში მნახე,
კარგი? „ილიონი“ იბეჭდება. კანტორა „განათლების“ პირდაპირ. მე-5 სტამბა. მელიქ-აზ-
არიანის დიდ სახლში მიკითხე. ი. გრ. 13/X-226.

ნინო თარიშვილია ი. გრიშაშვილის ლექსების „ტრიოლეტი. ნ. თ.“ „ჩემი აღმართი“ და
სხვ. ადრესატი.

ჩემი აღმართი

ეხლა შენ ჩემთან აღარ დადიხარ!
 ამბობ: „შორს ცხოვრობ, აღმართი მლაღავს!“
 შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა,
 და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას!

როცა გიყვარდი ვგავდი ია-ვარდს,
 მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი!
 ლექსად ვფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
 როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი.

როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი
 შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა
 და სუბსარქისის მკაცრი ქარბუქი
 უნაზეს სიოთ გვეჩვენებოდა.

როცა გიყვარდი, ბევრჯერ შევაქეთ
 ჩვენი ტუჩების შირაზის ვარდი;
 ჩემი აღმართი მიგაჩნდა ვაკედ,
 როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი.
 1928 წ.

ნორა აბაშიძე

ნორა აბაშიძე 1930 წელს დაახლოებული იყო პოეტთან. ი. გრიშაშვილის დახმარებით და ხელშეწყობით კოტე მარჯანიშვილმა მიიღო თეატრში. გათხოვდა ნიკოლოზ (კოლია) გოდიაშვილზე 1931 წელს.

წერილები ნორა აბაშიძისადმი
 1930.10/XI

ის წერილიც, რომელიც დედაშენმა დაიჭირა და მე არაფერი მითხარი, ამნაირ ქალაღდზე იყო დანერილი. კარგო გოგონი! — რა ბედნიერი ვიყავი, 7-ს ნოემბერს. ამ დროს, ამ დღეს შენ სამჯერ მითხარი „გენაცვალე!“ მართალია, ჩურჩულით იყო წარმოთქმული, მაგრამ გულწრფელად, ნუთუ ასე უბრალოდ და უშიზეზოდ უნდა გაეშორდეთ ერთმანეთს? რა ვიცოდი, თურმე უკანასკნელი საღამო იყო, ამას მეც ვგრძნობდი და ლექსებს ლექსებზე გეუბნებოდი. მოიგონე ეს საღამო და რენსკის „თეა-ჯაზ“, სადაც ჩემს მხარზე დაყრდნობილი ისმენდი მის თამაშს. რა ბედნიერი ვიყავი მაშინ. ნორა ჩემთან იყო შინაურულად. რატომ უნდა დამშორდე? ერთის მხრივ მეხარიან, რომ დედაშენი ასე გიფრთხილდება; მეც არ გწერდი „სახელს გაუფრთხილდი!“ თუ ეს წერილი ახსოვს, სადაც რამდენიმე გულწრფელი გამოთქმაა რომანტიულ ექტაზით დამარცვლული, რატომ ის ჩემი სხვა წერილები არ ახსოვს, სადაც მეც გიფრთხილდებოდი. რად ვარ ასეთი. რატომ ამბობს დედაშენი, რომ მე სახელგატეხილი პოეტი ვარ. ვის რა დაეუშავე. ნუთუ შენ ვერ დაარწმუნე, რომ მე ისეთი არა ვარ, როგორსაც მტრები მსახავენ? ამის გამო გაიხსენე მე თვით გერიდებოდი და როცა ხშირად სხვებთან ოფიციალურად გელაპარაკები ხოლმე, შენ ეს გწყინდა კიდევ. მამ როდის იყო, მე შენს სახელს არ უფრთხილდებოდი?

1930.14/XI

ნორა! როგორ ცუდ გუნებაზე ვარ. ბედი ყოველთვის ასეა! ცოტათი გავიხარე შენის სიახლოვით და ეხლა ისევ წიხლსა მცემს ბედი. რა იქნებოდა, რომ როცა ჩემთან ხარ, — სხვა არ ახსენო? არამც თუ „ახსენო!“ ხუთშაბათს 13/XI, თეატრში ვიყავი დაბარებული. რეპეტიციას დავესწარი. მერე ნოტებზე სიტყვები იყო საჭირო და თეატრში 2-საათამდე დავრჩი. მე აშკარად გავიგონე, ჩემდა გასაგონად სთქვეს, რომ შენ ერთ მსახიობთან ფლირტი გაქვს. იმ მსახიობს თითქოს უკოცნია კიდევ. ეს თითქოს იმ მსახიობს დაუტრიაბახნია. რას ნიშნავს

ეს? ნუთუ არ შეიძლება, რომ იმ დროს, როცა მე „ჩემდა“ გთვლი, სხვა ჩამოიშორო? ეს ხომ ჩემი სახელის შეურაცხყოფაა, ერთსა და იმავე დროს ორის მოტრფიალე. რატომ? რაში გჭირია? შენ ბუნებით არა ხარ ფეხმსუბუქა გოგონა და რატომ იქცევი ასე? გთხოვ, ნორა დაუფიქრდე ამას.

შენ ასეთი ხასიათი გაქვს. თუ ვისმეს არ უყვარხარ, გიყვარს, თუ უყვარხარ, გაბეზრებს ეს გრძნობა. ახ, რატომ არა ვარ შენსავით ახალგაზრდა, რომ მიაშიტად და ცეცხლეულად შეგიყვარო. ახ, რატომ არა ვარ ხნიერი, რომ ყოველი ნაბიჯი გამოზომილი მქონდეს და შენს ხასიათებთან შეფარდებულად ვიმოქმედო, რათა ვარ ი. გრიშაშვილი.

P.S. თითქოს თეატრში იმიტომ მოენწყე, რომ მე დავიტანჯო. რატომ? რა დავიშავე? თუ ასეა, მაშინ აღარ ვიფიქრებ შენზე და მოისვენებ შენც. ჩემგან მაინც აილე მაგალითი. როცა შენთანა ვარ — შენი ვარ. როცა აღარ მომეწონები — გეტყვი და სხვაგან გადავინაცვლებ. ერთსა და იმავე დროს კი ორივეგან ყოფნა. ეს, ეს არ ვიცი რა სახელი ვუწოდო ამას.

იყავ ამაყი, ვით მთის ჯიხური
შენთან ვარ, სადაც გაიხიზნები
გულის კარები მაგრად მიხურე
და დაამწყვდიე ოქროს მიზნები.

ი. გრიშაშვილის უბის წიგნაკში ჩანერილი აქვს: „ნორამ მითხრა სხვა მიყვარსო, ლიხს იქითა მცხოვრები დაასახელა, ივლიანე ნ-ძე, რადგან აგრეა, მეც გაგებუტები და სხვასთან გადავინაცვლებ მეტიქი:

„ვინაიდან შეგიყვარდა ივლიან
ჩემს ბინაზე ეხლა სხვები ივლიან“.

იოსებ გრიშაშვილის წერილი
ნათელა N-ს
22/IX, 306.

ნათელიანო!

აი, რამდენი ხანია — მე შენი არაფერი არ ვიცი? იმ ღია ბარათის შემდეგ. რა მოხდა, რატომ არაფერი შემატყობინე?.. რომელი ღია ბარათი? რომელი და „მოკითხვამდე!“ რომ ეწერა და ფოსტალიონმა, პატივისცემის ნიშნად სახლში რომ მოგართვა?.. აქა ხარ? ტფილისში? თუ ისევ ბორჯომში. როგორ ვლელავ! ვინ იცის თქვენმა ოჯახმა ეგ ღია ბარათი ინტიმურ წერილად ჩასთვალა, და რა არ იფიქრა მგოსან გრიშაშვილზე!! ან იქნება გაიძულეს ამხანაგებმა, დედამ, მამამ, რომ აღარ მინახულო? ნუ თუ „გრიშაშვილი“ მართლაც, რაღაც საფრთხობელაა მამებისთვის, ძმებისთვის და ქმრებისთვის, რომ ჩემს წმინდა სახელს ჩირქსა სცხებენ დაუმსახურებლად, მხოლოდ იმიტომ რომ მათმა ქალებმა, დებმა და ცოლებმა მიმატოვონ და ჩემთან აღარ გაიარონ სხვადასხვა მიზეზისა გამო?.. ნუ თუ ეს ღვარძლი და ნაცილი შენამდეც მოვიდა, ჩემო ერთადერთო ბაბლო, უზენაესო და უნაზესო? ან იქნება დამივიწყე შენ თითონ? შენ თითონ, სხვების დაუხმარებლივ? დამივიწყე ისე როგორც ივინყებენ აგარაკზე გაცნობის შემდეგ? თუ ასეა, რა გაეწყობა?.. მაინც გმადლობ, იმ ორიოდ კარგ ნუთისთვის, იმ გემრიელ და ნერვიულ ტანჯვისთვის, რომელიც შენ მე მარგუნე იმ მოკლე ხნის განმავლობაში ჩემი ბორჯომში ყოფნის დროს... ვნანობ, რომ მე ასე მოგეახლე, ასე შეგეჩვიე, თუ შეიძლება ასე ითქვას...

ნათელა N-ის წერილებიდან ი. გრიშაშვილისადმი

„...მივიღე შენი მართლაც რომ ორიგინალური ბარათი-სალამით არყის ხის ქერქზედ. რისთვისაც მინდა ათჯერ, ათასჯერ გაკოცო. არა, მარტო მაგისთვის კი არა, ყველაფრისთვის, ალერსისათვის, ზრუნვისათვის, შენი სიახლოვისთვის და იმ სულიერ სიმშვიდისათვის, რომელსაც მხოლოდ შენს ახლოს ვგრძნობ. გაკოცებ ბევრს, ბევრს, შენი ნათელა.

7/IX, 306.

„...შენ, რომ მწერ ერთი კარგი ლექსის თემა ხარო, ვეჭვობ სოსო მეტისმეტი ყოველდღიური ვარ მე ჩემი განცდებით პოეტის მუზისათვის. შენ ნურასოდეს ნუ იფიქრებ, რომ მე ჩემი შენთან დამოკიდებულებით გაიძულელებდე ლექსის დანერას, არასოდეს ძვირფასო! მომწერე წერილი სოსო, ნუ დაიზარებ. გააკოცებ. შენი ნათელა.

9/IX, 306.

„...რა ვარ? ერთი ვიცი მხოლოდ, რომ მთლად გრძნობა ვარ და იცი, ხანდახან მენატრება უგრძნობი და ტლანქი ვიყო და შენც ხომ ასე ხარ სოსო, ასე კი არა მეტად. მეტად იმიტომ რომ პოეტი ხარ და უფრო ნაზი ხარ, ოღონდ შენ ბედნიერი ხარ იმით, რომ ოდნავ შვეებას, სიამოვნებას მაინც გრძნობ შენის ლექსებით. მე ეს მაშინ ვიგრძენი, როცა ლექსის თქმის დროს გნახე პირველად, იმდენი სიყვარული გაქვს ყოველ შენს სიტყვისადმი... — კარგად, კარგად იყავი ძვირფასო, უძვირფასესო და ყველაფერო!

შენი ნათელა.

16-17/IX-306.

ნათელიანო

სადაც გინდ ვიყო, ძვირფასო, შენსკენ ჰქრის ლექსის პნკარები,
საითაც ქარი ამოვა, მეც იქით მოგეფერები!
ნეტავ აქ ვიყო, გიხილო, ცოტახნით ერთი წამითა,
დილის საარზე გაკოცო და გაგებულო ღამითა.

ნეტავ შენს სულთან უმანკოვ, მამყოფა, დამაზიარა,
მთავრეს მნიკვლი აქვს, ნყალს-ზადი, და შენს წმინდა სულს კი არა!
ნათელიანო! მაგ შუბლით, აშუქებ დაბებს, ქალაქებს
და ცა გოროზად რომ გხედავს, ღრუბელს ღრუბელზე ალაგებს.

კარმენის ვარდი გესროლე, შეგატყე, ბავშვო, გიამა, —
შენ მიპასუხე: „მაგ გრძნობამ ოცი წლით დაიგვიანა!“
ნამუსიც ვარდიანი გაქვს, სიტყვა, — პასუხი ღმერთული,
ნუ მიწყენ, თუ რამ წამომცდა, უხეში, უკულმართული.

ბევრს არასა გთხოვ, მენვიე, ცოტახნით, ერთი წამითა,
დილის საარზე გაკოცო, და გაგებუტო ღამითა!

19306.

თამარა სულაქველიძე

გათხოვილი მანდილოსნის დღიურიდან ი. გრიშაშვილზე

თამარა სულაქველიძე ავტორია წიგნების: „დიასახლისის ცნობარი“ თბ. 1956წ. „პროგრამა და მეთოდური მითითებანი კულტ. საგან. დან. არსებული კულინარიის წრებისათვის“, თბ., 1951წ., „სამზარეულო დიასახლისებისათვის“, თბ., 1949წ. ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის საჭმელი“, თბ., 1954 წ. და ა.შ.

დღიურთან მიწერილია: „თ. ს. ერთი შეყვარებული ქალის დღიურიდან. ამოვწერე ზოგიერთი ადგილი. ი. გრიშაშვილი. 1947წ.

„...დღე და ღამე სულ თვალწინ მიდგას. ერთ წუთს არ მშორდება, ღამე თუ კი დამეძინა, მასთან ვარ. ერთ დღეს რომ არ ვნახო, ჩემზე უკვე მოქმედებს — ვერ ვძლებ. ცხადია მე ის მიყვარს...“ 1947წ. 2/IX.

„...იგი თბილისიდან წასული იყო სამი დღით. მე სამი დღე არ მენახა, სუმთლად გავგიჟდი, ეს სამი დღე მომეჩვენა სამ თვედ“. 17/IX, 47წ.

„...მთელი დღეები სახლში ვიყავი. თურმე რა ბედნიერი ვიყავი და არ ვაფასებდი. რა საშინელება ყოფილა სიყვარული. ვიტანჯები. რა ვქნა, როგორ მოვიქცე არ ვიცი. ის კი ვიცი,

რომ გაგიჟებით მიყვარს. ჩემი პირველი სიყვარულია. 19/IX, 476.

„მე ის გაგიჟებით მიყვარს და სწორედ ამისათვის მარტო არ უნდა წავყოლოდი. ეხლა ჩემი მისი დავინწყება ყოვლად შეუძლებელია. 20/IX.

„განა მას შეუძლია ჩემი უმანკო, წმინდა სიყვარულის გაგება? ძალიან, ძალიან მიყვარს. სულ მთელი დღეები მასზე ვფიქრობ. ნუთუ აუცილებელია, რომ მასაც ვუყვარდე. 21/IX.

„...გაგიჟებით მიყვარს იგი. ცხადია ჩემთვის ძნელია. მე არავინ მყვარებია. ჩემთვის პირველი სიყვარულია. მასთან როცა ვარ, ვერაფერს ვერ ვეუბნები. მინდა უფრო მეტად მოვეფერო. 30/IX.

„...რუსეთში აღარ მივდივარ. მართალია სანყენია, მაგრამ რა ვქნა, ამასაც ავიტან. ეს არაფერია. მაინც იგი არ მოდიოდა. მე გამიჭირდებოდა უიმისოთ ყოფნა... მას ერიდება ერთი პიროვნების. 2/X.

„...წუხელ მთელი ღამე ტირილში გავატარე. ძალიან მენყინა, რომ დაბეჯითებით იგი უარზეა ჩემთან წამოსვლაზე, როგორ კი იძახდა: „ნეტავი ორნი წავიდეთ სადმეო“. მაშ ეს ისე ზერელედ ნათქვამია ყველაფერი. ასე ზერელედ არის და, აი სწორედ ამას ვგრძნობდი და ვგრძნობ მე და ეს მტანჯავს. ეგებ ეშინია, არ ავეკიდო იქიდან რომ დავბრუნდებით. არ ვუთხრა, არ ვუთხრა შენთან წამოვალო?... ჩემს თავს: შეურიგდი იმ აზრს, რომ ასე უნდა ჩაკლა ეს გრძნობა და ჩემი მასთან სიარული აღარ შეიძლება. მე მას მარტო სახლში აღარ შევხვდები. მთელი დღეები მარტო ვტირი. მისი მოსვლის დროს პირს ვიბან და ვაჩვენებ თავს ვითომც არაფერია. 2/X

„...მე ხომ მტკიცე ნებისყოფისა ვარ. უნდა მოვერიო ჩემს გრძნობას, უნდა ჩავკლა იმის სიყვარული. მე ხომ არა ვარ მისი პირველი და უკანასკნელი. ჩემს გარდა ხომ სხვებსაც ჰყვარებიათ, მაგრამ გადაუტანიათ და შემდეგ კიდევ სხვა შეჰყვარებიათ. 4/X.

„...რა იქნებოდა ტყუილი მაინც ეთქვა, წამოვალო, მე ხომ მას არ შევანუხებდი. მე ხომ არ წავიყვანდი თავის დღეში. თვითონ რომ იძახდა წამოვალო, მე გული მინუხდა, არ მიხდოდა, მეშინოდა გზაში არ გაციებულყო, არ შენუხებულყო. ძალიან მწყინს ის, რომ მაგასაც არ ესმის ჩემი. მე ხომ ის სულ სხვანაირად მიყვარს. ვერ წარმოუდგენია თუ ვინმეს ოდესმე ასე ჰყვარებია ვინმე, ან უყვარს, როგორც მე. მე ხომ ის სხვანაირად მიყვარს, არა როგორც მამაკაცი, ყოველი მისი ნივთი, ყოველი მისი ნიგნი, ყოველი მისი ნაგლეჯი ქალაქი მირჩევნია მთელ ქვეყანას... როცა ვინმე მასზე კარგს არ მეტყვის, გული მტკივა, ვერ ვისვენებ, სულს მინუხებს. განა მე შევძლებ იმას, რომ იგი არ მიყვარდეს? ეს ჩემთვის წარმოუდგენელია. როგორ უნდა გავძლო ერთი თვე, როცა ერთი დღეც მიჭირს. როგორ უნდა ვიყო ისე, რომ მისი ხმაც ვერ გავიგო, აქ ხომ ტელეფონითაც ვკმაყოფილდებოდი ხანდახან... 5/X

გუშინ არ მინახავს. ისე მენატრება თითქოს ერთი წელია არ მინახავს. როგორ უნდა გავძლო მე საცოდავმა ერთი თვე და თანაც უნდა ვებრძოლო ჩემს თავს, რომ ეს გრძნობები ჩავკლა. ცხადია ამაში ოდნავადაც ეჭვი არ მეპარება, რომ მე მას არ ვუყვარვარ. განა მას რომ ვუყვარდე, ის მე ასე მარტო გამიშვებდა? — ცხადია ის მე გაგიჟებით მიყვარს. სულ მინდა, რომ მთელი დღე და ღამე მას უყურო. მის მაგიერ მთელი დღე სურათს ვუყურებ. ეკოცნი, ვეაღერები. მის სურათს თან არ წავილებ. ეგრე აჯობებს, ცოდვა არ ვარ. იქ უფრო შევწუხდები, რატომ უნდა ვგიჟდებოდე და მიყვარდეს გაგიჟებით ისეთი ადამიანი, რომელსაც მე არ ვუყვარვარ? დღეს ვიცი, რომ სალამოს ვნახავ, მოხსენებას აკეთებს. უკვე იმის ფიქრით, რომ ვნახავ, რალაცა მიხარია. ნუ თუ მე შევძლებ ამ ჩემს გრძნობების ჩაკვლას? ნუ თუ შესაძლებელია, რომ მე სიყვარული მისდამი აღარა მქონდეს. ეს ჩემთვის რალაც წარმოუდგენელია. მაშ რამდენი ბრძოლა უნდა დამჭირდეს, რამდენი რამ, რომ ეს გავაკეთო. ნუ თუ ჩემი აგებულება ამას აიტანს? 6/X.

„...როგორც ჩვეულებრივ იგი შესანიშნავი იყო ამ სალამოს. იქ რომ იჯდა პრეზიდენტში

და აქედან ვუყურებდი, ვწვალობდი, მინდოდა მივსულიყავ და მეკოცნა. მაგრამ განა რამდენჯერმე, არამედ მთელი საათები. მე შემიძლია 24 საათი ვკოცნო, არ მომწყინდება. საკვირველია, კოცნა როგორ მეჯავრებოდა. ნუ თუ ასეთ სიძულვილს შეიძლებოდა რომ ასეთი კოცნის სიყვარული მოჰყოლოდა. მას როცა ვხედავ, მაშინათვე მინდა რომ ვაკოცო. ჩემს სიცოცხლეში ეს გრძნობა არ მექონია, თავის დღეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ მე ასე კოცნა შემეყვარებოდა! მინდა სულ მთლიანად გადავყლაპო. სახლში როცა ვიყავით მასთან, ძლივს ვიკავებდი თავს, მინდოდა მეკოცნა ჩემს საყვარელ ქვედა ტუჩისათვის. ეხლა კი ეს ყველაფერი უნდა გაჰქრეს. მე 10-ს ან 11-ს წავალ. ვინ იცის გზაში რა მომივა. ჩამოვალ ცოცხალი თუ არა. ეს კიდევ საკითხია. უცხო ქალაქში მარტო ასეთი მძიმე დარღი. რა მომივა ვინ იცის. მას კი ჰგონია, რომ მე გასართობად მივდივარ. მას ჩემი არ ესმის. რა საშინელებაა როცა შენი არ ესმით. მას ალბად ისიც არ ესმის, რომ მე არასოდეს არავინ მეყვარებია და ეს ჩემთვის პირველია. წარმოდგენილი მაქვს ჩემი თავი მარტო მოსკოვში. ასეთი დარღი განა მე შემიძლია გავერთო, განა მე შემიძლია მისი დავინწყება? არ ვიცი რა მემართება, არ ვიცი "... 7/X.

„წუხელ პირველ საათამდე მასთან ვიყავი. არ უნდა მექნა მე ეს. მე ხომ ჩემს თავს პირობა მივეცი, მაგრამ ვერ ვერევი ჩემს გრძნობებს. მე ის ძალიან მიყვარს და ამიტომ მინდა სულ მასთან ყოფნა და ცხადია ვერ ვიკავებ თავს. ეს ყველაფერი თითქოს ჩემდა უნებლიეთ ხდება“ ... 8/X.

„...წუხელი ჩვენსას იყო. ვეთამაშე კარტი. წავაგე ექვსჯერ. თამაში ისწავლა. ძალიან მიხარია. ეხლა ყოველთვის მომიგებს. როცა ჩვენთან არის ძალიან ძალიან ბედნიერთა ვთვლი თავს. ასე მგონია მთელი ქვეყანა ჩემია. ყველაფერი მისი მიყვარს და მახარებს. მისი მოტანილი ბრონეული ისე უნახავივით შევჭამე და ისეთი სიამოვნებით, მე თვითონ მიკვირდა. როცა ჩვენთან არის სადილად მაშინ მადა მაქვს არაჩვეულებრივი. ყველაფერს გემოზე ვჭამ და ბევრს. ჩვენებმა არ შემატყონ, მერიდება. ამ წუთს ამას რომ ვწერდი, დარეკა, კიდევ მოსკოვში წასვლაზე მელაპარაკა. შენს ქმარს დაუცადეო 15-მდე. ნუ თუ მას ჰგონია, რომ ვისთანაც არ უნდა იყოს, მეხალისება წასვლა? მე მასთან მიხაროდა წასვლა, სხვა არაფერი... ჩემი წასვლის მთავარი მიზეზი თვითონ არის. მინდა ამ წასვლით ჩემს გრძნობებს ვებრძოლო. განა მისი დატოვება აქ ჩემთვის ძნელი არ არის? სიკვდილია ჩემი წასვლა. განა ჩემთვის ბედნიერებაა უიმისოთ წასვლა. ეს ჯოჯოხეთია, მაგრამ უნდა წავიდე. მას სჯერა, რომ 15-ში ჩემი ქმარი წამიყვანს... მოკლეთ: — ერთი ცხადია, 11-ში დილის 6 საათზე წავალ. დღეს მას ვერ ვნახავ. ხვალ ალბათ მოვა ერთი-ორი საათით და ამით გათავდება ჩემი სიყვარული. როცა ჩამოვალ ჩვენ ერთმანეთისათვის უცხონი ვიქნებით. შევხვდებით ისე, როგორც შარშან და შარშანწინ ვხვდებოდით. ძალიან ცუდათ მაქვს გული. წუხელის ცუდათ მეძინა. 9/X.

„... მას რომ ტყვილად ერთი მაინც ეთქვა არ ნახვიდეთ, მე არ წავიდოდი. ის ამას არ მეუბნება. მაშასადამე ჩემი თავიდან მოცილება უნდა... როცა მეუბნება დარჩიო, თანაც იმას ატანს შენი ქმარი წავიყვანსო, ის არ ესმის რომ მე ჩემს ქმართან ჩასვლა არ მინდა... ვრჩები. არ მივდივარ. მითხრა ნუ წახვალ, დავუჯერე, არ წავალ. მე მას სიამოვნებით შევუსრულებ ყველაფერს, ოღონდ მას ესიამოვნოს... ერთხელ კიდევ ვცდი, ვუყვარვარ თუ არა? წუხელის შემპირდა მოვალ, ვუცადე 1 საათამდე, არ მოვიდა... ერთი ბენჯა რამეზე ხელად ტელეფონში მეუბნება მშრალად: „ნახვამდის“ — რალაც საზარლად. ღმერთო ჩემო რატომ მეუბნება ამას, რა დავუშავე, იმიტომ რომ მიყვარს, გრძნობს, ამისათვის მექცევა ასე? გინდათ თავიდან ჩამოგეხსნათ, იცით რა? ესეც ალბათ თავისით მოვა, როგორც სიყვარული. 10/X.

დღიური აქ თავდება.

მოამზადა ნოდარ ბრიტორაშვილმა



მაია ცერცვაძე

„ბიჭიც კარგია და ოჯახიც კარგი აქვს“

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნათესავეების კვალდაკვალ

ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საახლოზლო წრის შესწავლისათვის მნიშვნელოვნად გვესახება მისი დის ეკატერინეს (1821-1853) მეუღლის რევაზ ლუარსაბის ძე ქსნის ერისთავის (1812-1881) ოჯახის შესახებ ახალი ბიოგრაფიული ცნობების მოპოვება და არსებულის დაზუსტება. ამასთან, ვინაიდან ამ ოჯახის ზოგიერთი წევრი და ნათესავი (ლევან ერისთავი, დავით ჯორჯაძე, ბარძიმ ამილახვარი...) 1832 წლის შეთქმულების მონაწილეცაა, კვლევა ამ თვალსაზრისითაც უნდა იყოს საყურადღებო.

ნიკოლოზ ბარათაშვილის უფროსი და ეკატერინე მელიტონის ასული ბარათაშვილი 1821 წელს დაიბადა. საეკლესიო ჩანაწერების წიგნი გვაუწყებს: „დედათა სქესი? 10. რიცხვი დაბადების დღისა? 21. ვინ ვის დაებადა?, ვინ განათლა სახლი და მონათლა, რა სახელი დაერქვა ახალშობილსა? თვესა სექტემბერსა დაებადა თავადს მელიტონ ბარათოვს ქალი. სახლი გაუნათლა მღვდელმა ეფრემ ფანოვმა, სახელი ეწოდა ეკატერინე და განათლულსა ზედა მისსა იმღვდელმოქმედა დეკანოზმა დიმიტრი ალექსიევმა. რიცხვი მონათვლის დღისა? ნოემბრის 1. ვინ იყვნენ მიმქმელად ანუ ნათლიად? მიმქმელად იყო ლუბერნატორის სვიმონიჩის მეუღლე ბარბარე“. (ი. ბალახაშვილი. „ბარათაშვილის ცხოვრება“. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი. 1967წ., გვ.74).

ეკატერინე 1944 წლის 6 აპრილს დაუნუშნავთ გორის მაზრის მემამულეზე, პრაპორ-

შჩიკ რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავზე. ჯვრისწერა ამავე წლის ივნისში მომხდარა. საეკლესიო ჩანაწერში ვკითხულობთ: „1844 წელი. ივნისის 29-სა. პრაპორშჩიკმა თავად რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავმა ქართველთა სარწმუნოებისა და მაიორის თავადის მელიტონ ბარათოვის ასულ ეკატერინემ ქართველ სარწმუნოებისა, იქორწინეს პირველთა ქორწინებითა. იყვნენ თავდებნი: სასიძოს მხრით თავადი გივი ბარამის ძე ამილახვარი, თავადი ალექსანდრე ჩოლოყოვი და სასიძოს მხრით თავადი ლუარსაბ ბიძინას ძე ქსნის ერისთავი, თავადი დავით ერისთავი“. (ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. გვ. 75-76).

სიძესა და მის ნათესავეებს — რევაზ ერისთავის ძმებს — ლევანს და დავითს და მათ მეუღლეებს, რევაზის დებს, დედას და დედის ძმას — ნიკოლოზ ბარათაშვილი ახსენებს ოთხ პირად წერილში (1844 წლის 15 აპრილის, 10 მაისის, აგვისტოს წერილები ზაქარია ორბელიანისადმი და 1844 წლის 23 მაისის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი).

დასახელებულ ბარათებში სხვა ამბებთან ერთად პოეტი დის ნიშნობასა დაქორწილზეც მოუთხრობს თავის ბიძებს. იგი აღფრთოვანებულია სიძითა და სიძის სახლეულით და წერილის ადრესატებს თავის სიხარულს უზიარებს: „კატო დავნიშნეთ წარსულს კვირას რევაზ ერისთავზე და ქორწილსაც საამაღლებოდ ვაპირებთ. დიდად მიხარიან. ბიჭიც კარგია და ოჯახიც

კარგი აქვს. ათასი რომ ვიჩანხალოთ, ისევ საქართველოში უნდა დავაბოლოოთ ჩვენი ცხოვრება და ამისთვის ჩემი ჰაზრი ეს არის, რომ, რაც უნდა ვიფრანცუცოთ, მაინც ძველი ოჯახი და კარგი დამოკიდებულება რაც უნდა ნახდეს, ახალთან კიდევ მოვა!“ (ნ. ბარათაშვილის 1844 წლის 15 აპრილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი).

რევაზ ერისთავი თავისი დროისათვის შეძლებულ თავადად ითვლებოდა, რაც განსაკუთრებით უხარებდა გულს მატერიალურად შეჭირვებულ ბარათაშვილებს. ამავე წლის აგვისტოში ნიკოლოზი ბიძამისს სწერდა: „ზაქარია, სწორეს გულით გეტყვი, რომ კატო თავის მოსაწონს, ეხლანდელს დროში სანატრელს ოჯახშია. ძმების უმაგალითო თანხმობა, სიმდიდრე სახლისა და უვალობა!“

მიუხედავად ოჯახის უსახსრობისა, ეკატერინესთვის ქორწილიც კარგი გადაუხდიათ და მზითვეიც მდიდრული გაუტანებიათ, რასაც იმავე წერილიდან ვიგებთ: „კარგი ქორწილი გარდვიხადეთ“, „მზითვეი გაშინჯეს... მრთელს ქართლში გაითქვა“. მზითვეის განყოფილებაში დიდი მონაწილეობა მიუღიათ პატარძლის ბიძებს ზაქარიას, რომლის ბავშვობის მეგობარიც ყოფილა სასიძო, და გრიგოლს. შემორჩენილია ნ. ბარათაშვილის მშობლების ეფემიასა და მელიტონის 1844 წლის 15 აპრილის წერილები ზაქარია ორბელიანისადმი, რომელიც იმხანად სამხრეთ დაღესტანში მსახურობდა. აღნიშნულ წერილებში ისინი ოჯახის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ყოფნის გამო ფულად შემწეობას სთხოვენ მას ამ საქმეში. ეფემია წერდა ზაქარიას: „ჩემი ქალი კატო გავათხოვე, შენი დისწული მივეცი რევაზ ერისთავის შვილს, აპრილის ექვს დავნიდეროგორც რიგი არის, თუმცა ქორწილიც უნდოდათ, მაგრამ მე მზათ არ ვიყავ და ამისათვის დარჩა, რომელიც უნდა მივცე ასი თუმანი ფულად და ასი თუმნის მზითვეი. ს[ა]ქამაღლებოთ მაშურებენ ჯვარის წერას, როგორც ღმერთი შეგვეწვევა ისე უნდა მოვახერხოთ ჩვენი საქმე ... ძმაო, ჩემი დაბრკოლება მოუშაადებლობა არის, რასადროს მზათ ვიქნები ჯვარს დაინერს. ეხლა შენ იცი, ძმაო, რაღა ჩემი მოწერა გინდა, უნდა შეეწიო. ეგების გრიგოლს მანდედამ შეატყობინო ეს ამბავი... შენმა გაზდამ, ზაქარია, დიახ კარგი საქმე მოხდა. ყველას უკვირს. მაინც მიზეზი შენა ხარ ამ საქმისა და თუ ღმერთიც შემენია და ჩქარა დავაბოლოვე. ამ წიგნის პასუხს ჩქარა მოველი შენგან. შენი და

ეფემია კნენა ბარათოვისა“. იგივეს სთხოვდა ცოლისძმას მისი სიძე მელიტონიც: „ძმაო, კატუა გავათხოვეთ და ჯვარსაც საამაღლებოდ ვნერთ... აბა, ხომ ჰპირდებოდი, დროც ეს არის თუ მოგვაშველებ რასმეს. ხომ იცი ჩემი მდგომარეობა როგორც არის, შენმა გაზდამ დიდად გაჭირვებაში ვარ ეხლა ამ შემთხვევისთვის, შენგან ტყუილი არ მნამდა და ეხლა ჩემზედ ალასრულე... თუ დროზე მომეშველები კატუას მზითვისთვის შენი იცი, თუ არა და გაჭირდება საქმე. შენი მელიტონ ბარათოვი“ (ი. გრიშაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. „ლიტერატურული ნარკვევები“. „სახელგამი“. თბილისი. 1957. გვ. 491-492). ზაქარია ორბელიანი მართლაც დახმარებია დის ოჯახს: „ზ[აქარ]იას და გ[იორგ]ის (იგულისხმება მელიტონის დისშვილი გიორგი საგინაშვილი (1792 ან 1800-1844) — მ.ც.) კარგი საქორწილო გამოვეზავნათ. ზაქარია ინერება, რომ გ[რიგო]ლმა სულ ბლუჯეულად იცისო. — კ[ატო]მ შემოგიტვალა: ახლა შენ იციო, ეგეც დიდ-კაცობა, ესეც შემთხვევა გამოდგომისაო, თუმცა კი სულ ერთია: თუნდ შენსა ჯიბეში და თუნდ ჩემს ჯიბეშიო“ — ნ. ბარათაშვილი იმავე წლის 23 მაისის წერილიდან გრ. ორბელიანისადმი. „დიდი ამბები გადამხდა ჩემის ქალის გათხოვებაზედ, ღვთის მოწყალებით კარგი მზითვეი მივეციო, რაც ჩემისთანას თავადის შვილს შეეფერებოდა, ასი თუმნის თამასუქი გამოვართვი ერთი წლის ვადით, მაგრამ, ძმაო, თუ ეს თამასუქი არ ყოფილიყო, საქმე ავათ მიდოდა. ძმაო ჩემო სიცოცხლე. ასეთ დროს მომივიდა შენგან ფული, შენმა სიცოცხლემ, ის ოცი თუმანი ასი თუმნის ალაგას მოვიხმარე. იმდენი სიცოცხლე მქონდეს, ზაქარია, რამდენი კატოს წაყვანაზე შენა განატრობდა, მალ-მალ მეტყოდა ჩემი კატო — ნეტავის ერთი ზაქარიას ნახვა მღირსებოდა“ (ციტირებულია წიგნიდან: „ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. 1967. გვ. 77).

ეკატერინეს მეუღლე რევაზ ერისთავი შვილია კაპიტან ლუარსაბ გიორგის ძე ქსნის ერისთავისა (ჩანს 1771-1812) და მარიამ ფარნაოზის (ფარნას) ასულ ნულუკიძისა (ჩანს 1817-1852 წლებში). ნ. ბარათაშვილის 1844 წლის აგვისტოს წერილში იხსენიება „არქიერი ნულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა“; „არქიერი ეზოში იდგა, კარავში, ჭანდრებს ქვეშ. იმ დღეს ამობანდა კატოს სანახავად, დალოცა და ერთი ოქროთ მოჭედ-

ილი ლეთისმშობლის ხატი აჩუქა...“ ვფიქრობთ ეს უნდა იყოს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სოფრომ წულუკიძე, რომელსაც 1821 წლის 19 ნოემბრის ბრძანებით შექმნილი იმერეთის ეპარქიის მმართველობა ჩააბარეს იმპერატორის ნებასურვილით და რომელსაც რუსეთის სინოდმა არქიეპისკოპოსის წოდება მიანიჭა. სოფრომი იმერეთის ეპარქიას 1845 წლამდე განაგებდა.

რევაზ ერისთავს ჰყავდა ორი ძმა: ლევანი და დავითი.

ნ. ბარათაშვილის წერილებიდან ჩანს, რა დიდ პატივს სცემდნენ და ანებივრებდნენ ისინი მის უფროს დას, პატარძალ ეკატერინეს:

„ლევანისა ხომ სულია კატო და დავით ხომ იმის ნებავრობაშია! მე ეს მიამა, რომ მტერი ვერ გაიხარებ[ბ]ს“ (ნ. ბარათაშვილის 1844 წლის აგვისტოს წერილი ზაქარია ობელიანისადმი).

რევაზის უფროსი ძმა **ლევან ერისთავი** (1805-?) პრაპორშჩიკია, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. პირველად ის 1822 წელს ქეთევან ბაგრატიის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1807-?), მეორედ 1838 წელს თამარ გრიგოლის ასულ ჩოლოყაშვილზე დაქორწინდა.

1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალებში ვხვდებით საგულისხმო ცნობებს ლევან ერისთავის შესახებ. კერძოდ, მის ჩვენებაში ვკითხულობთ: „მქვიან ლევან, მამი ჩემისა სახელი არის ლუარსაბ, ჩინი მაქვს პრაპორშჩიკობა. მე ვარ ოცდა ხუთის წლისა. ცოლიანი ვარ ჯვარდანიერილი მუხრან ბატონის ბაგრატიის ქალზე სამი ვაჟი მყავს პატარები, დედა მყავს და ორი უასაკო ძმები. მე მყავს ყმა და მამული გორის უეზდში და დუშეთის უეზდში ას ოთხმოცი კომლი დამრჩა და ას სამოცი კომლი ჩამომართვეს, წლის შემოსავალი რაც დამჭირდებოდა და ფულათ არ ჰქონდა გადაჭრილი ჩემის ყმიდამ და მამულიდამ ვცხოვრობდი. მე აღვიზარდე ჩემს მშობლებთან. მე ვიყავ წინაპირველათ რომ ყიზილბაშში ომი იყო მაშინ ლენარალ მაიორ დავიდოვთან და ვიმსახურე ოთხი თვე, მასუკან ვიყავ გრაფ პასკევიჩთან ოსმალის ომში, ყარსისათვის მომეცა პრაპორშჩიკობა და ახალციხისათვის ჩეთვერთი სტეპენი ანა ზახრაბროსტი. მასუკან ოსებში ვიყავ პახოდში ლენარალ რეინკაფთან და ვიმსახურე და არ დავჭრილვარ. არა ვყოფილვარ არც პეტერბურხს და არც მოსკოვს. ქრისტიანობრივის მოვალეო-

ბით დავიარები მე ეკლესიაში და ყოველწლივ მიმიღია წმინდა საიდუმლო.“ (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტომი I. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი. 1935 წ. გვ. 350).

ლევან ერისთავი მკაცრად არ დაუხვიათ. „სამსახურის გარეშე მყოფი თავადი ლევან ერისთავი, დაჭერილ იქნას ციხეში ექვსი თვის განმავლობაში და მერე დარჩეს საქართველოში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ“. — სწერდა სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი მთავარმართებელ როზენს (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტომი III. „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1976 წ. გვ. 429).

ლევან ერისთავს იმერეთში ჰყოლია ბიძები დედის მხრიდან: „მე აქ ქართლში არავისგან გამიგონია თუ იმერეთში იცოდა ვინმე ეს საქმე. მე მყავს ორი ბიძა იმერეთში ბაჭა და ყარამან, მაგრამ ამ საქმეზე არც კაცი გამიგზავნია, არა იცოდნენ რა იმათ ჩემგან“ პრაპორშჩიკი თავადი ლეონ ერისთავი. (გ. გოზალიშვილი. 1832 წლის შეთქმულება. ტომი II სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ტფილისი. 1935 წ. გვ. 375-376).

რევაზ ერისთავის უმცროსი ძმაა **დავით ერისთავი** (1814-1889), პოდპორუჩიკი, სახელმწიფო მრჩეველი. პირველად მან 1845 წელს სალომე შალვას ასულ ერისთავზე (1826-1854), მეორედ კი 1858 წელს ანა გრიგოლის ასულ ბებუთოვაზე (1839-1918) იქორწინა. დავით ერისთავის შვილია ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი (1866-1929), პრაპორშჩიკი, ცნობილი დეკლამატორი, ილია ჭავჭავაძის მეგობარი.

დავითის ქალიშვილი, თავად ქაიხოსრო გიორგის ძე ჯავახიშვილის (1869-1928) მეუღლე დარია (1873-1962) თავის მოგონებაში იხსენებს:

„მამაჩემის, დავით ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახი ცხოვრობდა დუშეთის მაზრაში, სოფელ ახალგორში (ეხლანდელი ლენინგორი). მამაჩემს ჰყავდა ხუთი შვილი. მათში უფროს ვაჟს ერქვა ნიკოლოზი ანუ კოლა, როგორც მას იცნობდა ქართველი საზოგადოება. კოლას ბავშვობიდანვე უყვარდა სცენა და გატაცებული იყო ხელოვნებით. იგი 8 წლისა იყო მხოლოდ, როდესაც პირველად მიიღო მონაწილეობა მოლიერის პიესაში, რომელშიც ასრულებდა ბავშვის როლს. როდესაც კოლა წამოიზარდა, მან მოინდომა მსახიობად გახდომა, მაგრამ მამამ ამის ნება არ მისცა და კოლაც ძალაუწებურად დაემორჩილა მამის სურვილს. მან თავი

განება სცენას და ხელი მიჰყო მხატვრულ კითხვას. ამ ნიადაგზე იგი დაუახლოვდა ცნობილ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს და მიუხედავად იმისა, რომ ილია ბევრად უფროსი იყო მასზე, მისი გულითადი მეგობარი გახდა. როდესაც ჩემს ძმას შეეძინა უფროსი ვაჟიშვილი (იგულისხმება გიორგი ერისთავი (1890-1897), გარდაიცვალა ქუნთრუშით — მ. ც.), მან გადასწყვიტა რომ იგი ილიას მოენათლა, მართლაც ზაფხულში მოაწყო ნათლობა და ნათლიად ილია ჭავჭავაძე მოიწვია. ილია სიამოვნებით დათანხმდა და ნათლობის დღე დანიშნეს. ეს მოხდა დაახლოებით 1890 წელს.“

„ჩვენი სასახლე წარმოადგენდა სამსართულიან შენობას, რომლის ფართო აივანი ეყრდნობოდა მშალალ სვეტს. აივნიდან თვალწინ იშლებოდა დიდი ბაღი და ქსნის მთელი ხეობა. თვალწინმდებარე ბუნებაში მოხიბლა ილია, რომელმაც გამოსთქვა თავისი აღტაცება. ბაღში ილიამ დაინახა უშველებელი, მაღალი ჭადრის ხეები და მათ ქვეშ დიდი ქვის მაგიდა. ილია მიუბრუნდა კოლასა და ჰკითხა: „ეს ქვებია, რომელზედაც სწერდა ნიკოლოზ ბარათაშვილი“-?“ (იხ. დარია ერისთავი-ჯავახიშვილისა. „ორი დღე ერისთავის მამასთან“ კრებულში „ილია ჭავჭავაძე თანამედროვეთა მოგონებებში“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1987წ. გვ. 157-158).

კოლა ერისთავს და მის მეუღლეს ანასტასია გიორგის ასულ ციციშვილს (1864-?) გიორგის გარდა კიდევ სამი შვილი ჰყავდათ: თამარი (1893-1980), ნინო (1895-1928), (გათხოვილი იყო სიმონ მიხეილის ძე აშხაცავაზე (1886-1937), გარდაიცვალა ახალგაზრდა ტუბერკულოზით) და შალვა (1897-1921), იუნკერი, ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი, კოჯორთან ბრძოლებში გმირულად დაღუპული. მამა სამი შვილის სიკვდილს შესწრებია.

რევაზ ერისთავს ჰყვდა ორი და: ანასტასია და მარიამი.

რევაზის უფროსი და **ანასტასია ერისთავი** (1809-1886) 1827 წელს ცოლად გაჰყვა 1832 წლის შეთქმულების მონაწილის ბარდიმ ამილახვრის (1781-1861) ვაჟს გივი ამილახვარს (1810-1877), შემდეგ კი — დავით ეგნატეს ძე თუმანიშვილს (1783-1827). ანასტასია ერისთავისა და გივი ამილახვრის ვაჟია ცნობილი გენერალი ივანე (ნიკო) გივის ძე ამილახვარი (1829-1905), გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი. ივანე ამილახვარი 1850-იდან მსახურობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ნიჟეგოროდის დრაგუნთა

პოლკში. 1853-იდან იბრძოდა შამილის წინააღმდეგ. ყირიმის ომის (1853-1856) დროს კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის წინააღმდეგ მონაწილეობდა სოფელ ბაინდურის, ბაშკადიკლარის და ყარსის ბრძოლებში. ამილახვარმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი რუსეთ-ოსმალეთის ომში (1877-1878). მისმა ცხენოსანმა დივიზიამ აიღო ბაიაზეთი, დიადინი, ალაშკერტი, ჰასან-კალე, არზრუმი და სხვა. 1893 წლიდან მეთაურობდა კავკასიის საარმიო კორპუსს. დაჯილდოებული იყო ოქროს ხმლით „მამაცობისათვის“ და მრავალი საბრძოლო ორდენითა და მედლით. გამოქვეყნებული აქვს დღიურები და მოგონებები (ჟურნალი „*Éclair*“, 1908-1909, ბ.26-29). ეს ჩანაწერები საინტერესო ცნობებს შეიცავს ეპოქისა და იმ ბრძოლების ირგვლივ, რომლებშიც მის ავტორს მიუღია მონაწილეობა. ივანე ამილახვარი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ქართულ სიძველეთა რესტავრატორი. 1898 წელს მან თანხა გაიღო სათავადაზნაურო სკოლისათვის ადგილის შესაძენად და შენობის ასაშენებლად. თანამედროვენი ახასიათებენ, როგორც დიდ პატრიოტს, კეთილ, ლმობიერ, უბრალო და თავმდაბალ ადამიანს, ღარიბ-ღატაკთა ქომაგსა და გამკითხავს. ცოლად ჰყავდა ანა (ანეტა) ალექსანდრეს ასული ერისთავი (1848-1934), გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის ალექსანდრე ერისთავის (1812-1883) ქალიშვილი. დაკრძალულია ქაშუეთის ეკლესიაში. (მის შესახებ იხ. მ. ცერცვაძე. *მასალები ქართული არისტოკრატის ისტორიისათვის — ელისაბედ ერისთავის მოგონებანი მანანა ორბელიანზე, ეკატერინე ჭავჭავაძის შთამომავლებზე, ანეტა და ივანე ამილახვრებზე. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 5-6 (2012), გვ. 40-71).*

რევაზის უმცროსი დაა **მარიამ ერისთავი** (1816-?). 1831 წელს ის ცოლად გაჰყვა ენისელელ თავადს, 1832 წლის შეთქმულების მონაწილეს, შტაბს-კაპიტან დავით ივანეს ძე ჯორჯაძეს (1810-1866). დავით ჯორჯაძე სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1825 წელს, მე-4 კლასში სწავლისას გააგზავნეს სასწავლებლად პეტერბურგის მეორე კადეტთა კორპუსში. პეტერბურგში ის ლუარსაბ (1789-1850) და დიმიტრი (1803-1845) ბატონიშვილებთან ცხოვრობდა. 1830 წელს საქართველოში დაბრუნდა და სასწავლო ბატალიონში პრაპორ-

შჩიკად დაიწყო სამსახური. შეთქმულების საგამოძიო კომისიამ მიიჩნია მე-6 კატეგორიის დამნაშავედ და მეთვალყურეობის დაწესებით კავკასიის ხაზზე მე-5 ფეხოსანთა პოლკში სამსახურისთვის გაგზავნა. დავით ჯორჯაძის რამდენიმე ნაწარმოები დაბეჭდილია აქვს მე-19 საუკუნს 60-იანი წლების ქართულ პრესაში. მკვლევარი ი. ბალახაშვილი მას განჯის „გოროდნიჩად“ მოიხსენიებს ბარათაშვილის იქ ყოფნის პერიოდში. (იხ. ი. ბალახაშვილი. „ნიკოლოზ ბარათაშვილი“. „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი. გვ. 317).

ეკატერინე ბარათაშვილსა და რევაზ ერისთავს ეყოლათ შვილები: ელენე (1845-1892), ნადეჟდა (1847-?), ეფემია (1849-?) და ნიკოლოზი (კოლა) (1850-1915). ნიკოლოზ ერისთავი, რომელსაც სახელი უდროოდ დაღუპული პოეტი ბიძის პატივსაცემდ დაარქვეს, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. მის შესახებ საგულისხმო ცნობებს გვანავდის იოსებ გრიშაშვილი: „მეტად საინტერესო მოღვაწე იყო ბარათაშვილის... დისწული ნიკოლოზ ერისთავი, ან როგორც მისმა მეგობრებმა ხუმრობით შეარქვეს: „ცუნცულაძე“. იგი არ იყო მწერალი, მაგრამ თავისებურ საზოგადო მოღვაწედ ითვლებოდა, იცოდა გატაცებული ბაასი, ეხმაურებოდა ყოველგვარ ქართულ საქმეს, კამათობდა, ბობოქრობდა, პატრიოტობდა. მან სომხის მდიდარი ქალი შეირთო (ნიკოლოზ რევაზის ძე ერისთავი დაქორწინებული იყო პოეტსა და ქველმოქმედზე ეკატერინე მიხეილის ასულ თამამშვევაზე (1857-1937) — მ.ც.), (შვილი არა ჰყავდა) და ფულითაც ეხმარებოდა ქართულ კულტურულ საქმიანობას. მან 1909 წელს კარგი ნაწარმოებისთვის პრემიაც დანიშნა და მეთვალყურეობა სიტყვაკაზმულ საზოგადოებას მიანდო. იგი, სხვათა შორის, გავლენიანი პირი იყო მაშინდელი მაღალი მოხელეების წრეში და ძალიან დიდი მეგობარი — დავით ერისთავისა (იგულისხმება დრამატურგი დავით გიორგის ძე ერისთავი (1847-1890) — მ.ც.) და განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძისა. ამას ნათლად ამტკიცებს დავით ერისთავის გამოუქვეყნებელი ბარათები და ილიას კერძო წერილები... აი ეს კოლა ერისთავი... იყო ინიციატორი ბარათაშვილის ლექსების გამოცემისა. მისი მოულოდნელი სიკვდილის გამო, ეს საქმე მისმა მეუღლემ განაგრძო საკუთარი საფასით. ამ მუშაობის შედეგი იყო 1916 წელს დაბეჭდილი „ბედი

ქართლისა“ (მთელი წიგნი პოეტის ავტოგრაფისაგან შესდგებოდა, დაურვიდა მხოლოდ ხელისმომწერლებს, გასასყიდად არ გამოსულა) და ბარათაშვილის ნაწერების პირველი აკადემიური გამოცემა, რომელსაც ექვსი წლის ბეჭდვის შემდეგ მხოლოდ 1922 წელს ელირსა გამოსულა“. (ი. გრიშაშვილი. ნიკოლოზ ბარათაშვილის მშობლების წერილები. „ლიტერატურული ნარკვევები“. „სახელგამი“. თბილისი. 1957. გვ. 495-496.)

ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა 1853 წლის 20 მარტს გარდაიცვალა.

დაქვრივების შემდეგ რევაზ ერისთავმა 1856 წლის 12 თებერვალს მეორედ იქორწინა მართა ნიკოლოზის ასულ ბაგრატიონ-მუხრანელზე (1836-?). „ყაფლან (იგულისხმება თავადი ყაფლან ასლანის ძე ორბელიანი (1813-1878) — მ. ც.) დაბრუნდა რევაზის ქორწილიდამ, თუ ისეც იქ არის?“ — ეკითხება თავის რძალს ქეთევან ორბელიანს გრიგოლ ორბელიანი 1856 წლის 1 მარტს თემირხანშურადან გამოგზავნილ წერილში (იხ. გრ. ორბელიანი. წერილები. ტ. 2. 1851-1859. აკაკი განერელიას რედაქციით და შენიშვნებით. „სახელმწიფო გამომცემლობა“ თბილისი, 1937წ. გვ. 161). ნიკო ბური (1868-1933), რომლის ალალი მამიდაც იყო მართა ბაგრატიონ-მუხრანელი, თავის მემუარებში იხსენებს: „14 წლის ლამაზი მართა განსაკუთრებით მოეწონა ვორონცოვის მეუღლეს და ერთხელ წაიყვანა თავის ნადიმზე. ნადიმზე ყველაზე უკეთესი შთაბეჭდილება მართამ მოახდინა. მისმა შესანიშნავმა სილამაზემ მიიპყრო იქ მყოფი მთელი ახალგაზრდობის ყურადღება. მაგრამ მართას ასეთმა მოწონებამ მამამისი საგონებელში ჩააგდო, — პაპაჩემს სიძედ გარდა ქართველისა, არავინ უნდოდა, ამიტომ მან მართას გათხოვება დააჩქარა და ცოტა ხნის წინათ დაქვრივებულ თავად რევაზ ერისთავს გაატანა ცოლად. რევაზი ძალიან მდიდარი, მაგრამ საცოლეზე თითქმის 40 წლით უფროსი (რევაზ ერისთავი 24 წლით უფროსი იყო მეუღლეზე. — მ.ც.), მეტისმეტად ეჭვიანი კაცი გამოდგა. რევაზმა ახალგაზრდა ცოლი ჩაკეტა თავის თეთრ სასახლეში; ეს სასახლეც ისეთივე ლამაზი და სვეტებიანი იყო, როგორც თბილისში არჩილ მუხრანელის (იგულისხმება არჩილ თეიმურაზის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1824-1862-მდე), მართას სიძე, მისი უფროსი დის, სალომეს (1825-?) ქმარი — მ.ც.) სახლი; ის მდინარე ქსნის ნაპირზე მდებარეობდა, საცხოვრებელი ადგილებიდან სრულიად

განცალკევებულად. რევაზის პირველი ცოლი ეკატერინე პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის მკვიდრი და იყო, რომელთანაც ხშირად და დიდხნობით სტუმრობდა ხოლმე პოეტი“. (ნიკო ბაგრატიონი. „ბურებთან“. მოგონება. თარგმნა და შენიშვნები დაურთო რაჟდენ გვეტაძემ. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1951. გვ. 18).

მეორე ქორწინებიდან რევაზ ერისთავს შეეძენა შვილები: თამარი (1859-?), არჩილი (1860-?), ანასტასია (1862-1880წ.-ის შემდეგ), სოფიო (სონია) (1865-?) (აზნაურ გიორგი ანდრეას ძე კობიაშვილის (1860-?) მეუღლე) და ივანე (1868-?).

რევაზ ერისთავი და მისი პირველი მეუღლე ეკატერინე ბარათაშვილი-ერისთავისა და კრძალულნი არიან გვერდიგვერდ სოფელ ოძისის ეკლესიაში. ეკატერინეს საფლავის „ქვაზე შემდეგი წარწერაა: „ქუეშე ლოდისა ამის მდებარე არს თავადი რევაზ ლუარსაბის ძის ერისთავის მეუღლე ეკატერ-

ინე ასული თავადის მელიტონ ბარათოვისა, შობილამ კ□-სა (28) წლისა, გარდაცვალებული ამიერ სოფლით ჩყნგ (1853) წელსა მარტის კ-სა დღესა“. შემდეგ იგივე რუსულად. (იხ. „ქართველ მოღვაწეთა ნეკროპოლი“. შეადგინა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო სოლომონ ხუციშვილმა. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის გამოცემა. თბილისი. 1961წ. გვ.25).

ასეთია ბიოგრაფიული ცნობები რევაზ ლუარსაბის ძე ერისთავის ოჯახის წევრთა — ნ. ბარათაშვილის ახლობელთა ერთ წრისა და მისი კერძო წერილების პერსონაჟებისა. ისინი ბოლოდროინდელი ისტორიულ-ლიტერატურული კვლევების გათვალისწინებითაა წარმოდგენილი.

აქვე გვსურს გულითადი მადლობა მოვახსენოთ საქართველოში გენეალოგიური კვლევების ფუძემდებელს ბატონ იური ჩიქოვანს, რომლის ნამუშავევი სხვა წყაროებთან ერთად ყოველთვის დიდ დახმარებას გვინ-ევს.



დიმიტრი შველიძე
გიორგი ყუყუნაშვილი

ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი პეტერბურგის გაზეთში

1906 წლის 11 აპრილს პეტერბურგის გაზეთში „სტრანა“, გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ამიერკავკასიის სატრაპიებში“. მასში მწვავედ იყო გაკრიტიკებული რუსეთის იმპერიის ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკა ამიერკავკასიის ქვეყნებში და განსაკუთრებით საქართველოში. წერილს ხელს აწერდა უცნობი ავტორი ფსევდონიმით „ძველი კავკასიელი“. არსებობს არაერთი მნიშვნელოვანი გარემოება, მინიშნება თუ არგუმენტი, რომლებიც ნათლად ცხადყოფენ, რომ აღნიშნული სტატიის ავტორი იყო ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.

უპირველეს ყოვლისა ვაქვეყნებთ პეტერბურგულ გაზეთში 1906 წელს დაბეჭდილი წერილის ქართულ თარგმანს.

„ამიერკავკასიის სატრაპიებში

დღესდღეობით მთელს რუსეთში მძიმე, დამთრგუნველი ვითარება სუფევს. რეაქციის შავბნელმა, შეუწყალებელმა ძალებმა ყველას და ყველაფერს დაატყვევეს დაუნდობელი ხელი, მაგრამ, ჩემი აზრით, ძნელია წარმოიდგინო ჩვენი სამშობლოს რომელიმე სხვა კუთხე ისე იტანჯებოდეს, როგორც ამიერკავკასია.

ის ძალმომრეობა, რომელიც თავაშვებულად ბატონობს მთელს მხარეში, აღწერას არ ექვემდებარება.

მოგიზგიზე ხანძრები, სისხლის ნაკადულები, გაუბედურებული მოსახლეობის გმინვა - აი, ამგვარი საშინელი სურათის მონ-

მენი ვართ ყოველდღე უკვე მეოთხე თვეა...

რაც მთავარია, ყოველივე ამას ბოლო არ უჩანს. ერთიმეორეზე სამწუხარო ამბებს გვატყობინებენ ამიერკავკასიის ნებისმიერი კუთხიდან.

რითაა ყოველივე ეს გამოწვეული?

რუსეთში საყოველთაო განმათავისუფლებელი მოძრაობის ამაღლებულ დღეებში, როგორც ცნობილია, საქართველო ღიად და თამამად ჩადგა რუსეთის განახლებისათვის მებრძოლი თავისი ჩრდილოელი ძმების რიგებში და საუკეთესო შვილების მკერდით შეეცადა დაეცვა ახალი იდეები. მაგრამ ქვეყანაში რეაქციის ზეიმმა მოცელა ნათელი მომავლის შესახებ მისი იმედებიც. მან დააწყო იარაღი და დამსჯელებისადმი ნებისმიერ წინააღმდეგობაზე თქვა უარი, რადგან ამგვარ წინააღმდეგობას, რომელსაც შეეძლებოდა მხოლოდ გარკვეული ხნით მაინც წარმატების მოტანა, უმიზნო იქნებოდა საერთო-სარუსეთო საქმისათვის და მასში სეპარატისტული მოძრაობის აჩრდილს დაინახავდნენ შოვინისტები, რაც მათ აქ ყველგან ისედაც ელანდებათ.

მოსახლების მიერ სრული მორჩილების გამოცხადების, დიდძალი რაოდენობის იარაღისა და საბრძოლო მასალების ჩაბარების, ფულადი ჯარიმისა და მოთხოვნილი ვალდებულებების გადახდის სურვილის მიუხედავად - ალიხანოვის, ბაუერის, კრილოვის, გავრილოვისა და სხვათა მეთაურობით მოქმედმა სადამსჯელო ექსპედიციებმა ზუსტად შეასრულეს კავკასიის მთავარ სამ-

ხედრო შტაბში, ტფილისში მუშა ჯორჯიაშვილის ნასროლი ყუმბარით დაღუპული გრიგოლის თავმჯდომარეობით შემუშავებული გეგმა.

სიგრძე-სიგანეზე გადაიარეს მთელი საქართველო ცეცხლითა და მახვილით ამ დამსჯელმა ექსპედიციებმა. მათ დაწვეს 50-ზე მეტი ქალაქი, დასახლებული პუნქტი და სოფელი, დაარბიეს ყველაფერი, რისი დარბევაც შეიძლებოდა, გაძარცვეს და დაიტაცეს გლეხების დოვლათი, ბილნად ძალადობდნენ ქალებზე, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებს გზაში ხვრეტდნენ, მოსახლეობას წარმოუდგენლად ამცირებდნენ და საშინელი, სულისათვის შემადრწუნებელი სისასტიკით დევნიდნენ „ამბოხს“.

ასე იყო ამ ექსპედიციების დასაწყისშიც, ასე გრძელდება დღესაც. გადახედეთ ჯერ კიდევ გადარჩენილ ქართულ გაზეთებს და თქვენ დარწმუნდებით, რომ დამსჯელთა მოქმედება აღსავსეა მოსახლეობის საუკეთესო გრძობების შეურაცხყოფით, უკიდურესი ცინიზმით, რომლის იქითაც აღარ შეიძლება. ქუთაისის გუბერნია მთლიანად და თბილისის გუბერნიის თითქმის ნახევარი კაზაკებს მიუგდეს, რომლებმაც უკვე დიდი ხანია გადააჭარბეს თავის ქმედებებში თურქ ბაშიბუზუკებს.

ქართველებს ახლა უკვე სჯიან არა მხოლოდ რუსული რევოლუციის თანაგრძნობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ — ისინი ქართველები არიან და თითქოს „საკუთარი მეფის ყოლა სურთ“.

რუსეთის რევოლუციამ მჭიდროდ დააკავშირა რუსეთის ცენტრი განაპირა მხარეებთან. მანამდე არასოდეს არ სცემდა განაპირა მხარეების მაჯისცემა ცენტრალური რუსეთის გულისცემასთან ასე ერთნაირად როგორც ეს ხდება რუსეთში სახალხო სულის ამალღების ბოლო წელს.

ახლა კი სხვა რამეს ვხედავთ. რაც მეტად დაძიძგნის რეაქცია საქართველოს, მით მეტად გაღვივდება მოსახლეობაში რუსებისადმი ანტაგონიზმი, ბუნებრივია, გაჩნდება ასევე სეპარატიზმის გრძნობა, რომელიც, რეაქციული ელემენტების მიერ გულმოდგინე გაზვიადების შემთხვევაში, საშინელ შედეგებამდე მიგვიყვანს.

კავკასიის დღევანდელი ადმინისტრაცია, თავად გაჟღენთილი ვიწრო შოვინიზმით, მიმართავს ყველა ზომას იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს შოვინიზმის გაღვივებას ქართველ ხალხში, რომლისთვისაც აქამდე უცხო იყო ეს გრძნობა.

თუ აქამდე ჯარების მიერ ორთვიანი ძარცვა-რბევისას თითქმის არავის არ გაუნვია მათთვის წინააღმდეგობა, ახლა ხალხი კარგავს მოთმინებას. აქა-იქ უკვე შეიქმნა შეარაღებული რაზმები (მაგ. მერკვილადის, გვენცადის და ა.შ.) რომელთაც უკვე ჰქონდათ შეტაკება სამხედრო ნაწილებთან. ბუნებრივია, ასეთი რაზმები გენერალ ალიხანოვისა და მისი დამქაშების ერთობლივი ძალისხმევის წყალობით გაჩნდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშიც. ჩვენს ადმინისტრაციასაც სწორედ ეს უნდა. ეს მისცემს მას უფლებას უდაბნოდ აქციოს ჩვენი აყვავებული მხარე.

განწყობა ყველგან დაძაბულია. საგანგაშო სიმპტომები სახეზეა. აქაურ მოსახლეობასა და ჩვენი მხარის დღევანდელ მესვეურებს შორის არაფერია საერთო: ისინი მოსისხლე მტრები არიან. ეს მტრობა დღითიდღე კიდევ უფრო ძლიერდება. ყველგან სამხედრო მდგომარეობაა, ყველგან სამხედრო ბანაკია, მაგრამ ტერორისტული აქტები, ძარცვა და რბევა მაინც ხშირია.

ამგვარი რეჟიმის პირობებში არ შეიძლება იყოს მშვიდობა, ფიქრიც კი არ შეიძლება შემოქმედებით საქმიანობაზე. ვერაფერი დამამშვიდებელია სახელმწიფო სათათბიროც, რომლის მიმართაც მოსახლეობას ჯერჯერობით გულგრილი და ინდიფერენტული დამოკიდებულება აქვს.

ამგვარ უნუგემო მდგომარეობაში მყოფი საქართველო ელოდება და, სრული უფლებაც აქვს მოელოდეს, დახმარებას რუსეთის საზოგადოებისაგან.

არაფრით უკეთესად არ არის მდგომარეობა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ, მუსლიმებითა და სომხებით დასახლებულ ნაწილში. დასახლებული პუნქტების დარბევისა და განადგურების და მოსახლეობის გაჟლეტის სურათი აქაც თითქმის იგივეა, რაც საქართველოში. გოლომჩაპოვის, ლევიციის, ვევერნის, ფრელიხისა და სხვათა რაზმები ამ პროვინციებში იგივეს სჩადიან, რასაც ალიხანოვი და კომპანია საქართველოში. თუ საქართველოს დარბევის საბაბად გამოიყენეს აქარსებული რევოლუციური მოძრაობა და მისი ჩახშობისადმი მისწრაფება, სომეხ-თათრების პროვინციებში ამ საქციელს სხვაგვარად ხსნიან. აქ ხელისუფლება „მშვიდობიანი მიზნების“ დაცვას ესწრაფვის. იგი ამ ხერხით ცდილობს სომხების და თათრების შერიგებას, რომელთაც თავადვე

უბიძგა ძმათამკვლელი ომისაკენ.

ერთი წლის წინ, პლევეს რეჟიმის ბატონობის შავბნელ ეპოქაში, სამთავრობო აგენტების დახვეწილი პროვოკატორული მაქინაციების გზით გამოიწვიეს ბაქოში სომხებისა და მუსლიმების ბნელ მასებს შორის შეტაკებები. განხეთქილების თესლი მსუყე ნიადაგში მოხვდა. ხელისუფალთა აშკარა ხელშეწყობით ეკონომიკურმა ურთიერთობებმა, ეროვნულმა და რელიგიურმა განსხვავებულობამ, მასების სიბნელემ და მგრძობელობამ, სისხლის ალების წესმა და სხვა ადგილობრივმა პირობებმა ხელი შეუწყო იმას, რომ ძმათამკვლელი ომის ხანძარი სწრაფად გადაედო ერთი ქალაქიდან მეორეს და დაუოკებელმა ალმა მთლიანად მოიცვა ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნახევარი. მთელი წელი გაგრძელდა ძმათაკვლის ველური ვაკხანალია, მაგრამ მთავრობას არც კი უფიქრია გადამჭრელი ზომების მიღება. გულში, ალბათ, ძალიან კმაყოფილნიც კი იყვნენ იმით, რომ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილი არა თუ ვერ იქცეოდა საერთო რუსული რევოლუციური მოძრაობის არენად, არამედ, პირიქით, ქართულ პროვინციებში ამ მოძრაობის განვითარებას ამუხრუჭებდა და დაბრკოლებას უქმნიდა.

მძიმე წელი გადაიტანეს სომხებმა და მუსლიმებმა. უამრავი დაიღუპა სისხლისმღვრელ შეტაკებებში, ათასობით გაკოტრდა და გაღატაკდა. ბოლოსდაბოლოს ორივე ეროვნების მშრომელი მასები მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ ბოლო მოეღოთ ორივე მხარისათვის ერთნაირად დამღუპველ სისხლის ღვრისათვის. ბევრგან გადაიდგა გულწრფელი ნაბიჯები შერიგებისაკენ. ამავე სულისკვეთებით განმსჭვალული განცხადებებით გამოვიდნენ სხვადასხვა ოფიციალური და არაოფიციალური კომისიები. ახლა, როდესაც მყარი მშვიდობის დამყარების იმედი გაუჩნდათ მხარეებს, შერიგების საქმე გადანყვეტილია, ხელისუფლებას ჭკუაში მოუვიდა სომხებისა და მუსლიმების მიმართ „გამოიყენოს გადამწყვეტი ზომები“.

მან მოისურვა მხარეების განიარაღება. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ადრე, ამიერკავკასიაში რევოლუციური დუღილის ეპოქაში, ხელისუფლება თავად უწყობდა ხელს მხარეების შეიარაღებას, მაგრამ ახლა ამის აუცილებლობა აღარ დგას.

რევოლუციური მოძრაობა ყველგან განადგურებულია, ხოლო შეტაკებებში გამონვრთნილი შეიარაღებული მასების ყოლა სახიფათოა, თანაც იმ დროს, როცა

ამიერკავკასიაში სულ უფრო იმკვიდრებს ფეხს სხვადასხვა ეროვნებების ავტონომიური მოწყობისა და მათ შორის აუცილებელი მეგობრული კავშირისა და ერთიანობის იდეა.

მაშ ასე, მხარეთა განიარაღება იწყება. ისევე, როგორც საქართველოში დამსჯელმა ექსპედიციებმა მოქმედება დაიწყეს მას შემდეგ, რაც ხალხმა თავად ჩააბარა იარაღი, აქაც ხელისფლებამ ენერგიული ზომების მიღება დაიწყო მას შემდეგ, რაც შერიგება ფაქტობრივად შედგა და გატარდა ცხოვრებაში.

რაში მდგომარეობს ამ პროვინციებში რაზმების საქმიანობა?

გენერლები გოლოშჩაპოვი, ვევერნი ან სხვა ვინმე უფრო დაბალი ჩინის მოხელე ცხადდება თათრულ ან სომხურ დასახლებაში და წამოაყენებს მოთხოვნას, ჩააბარონ დასახლებული რაოდენობის იარაღი. დაგვიანების ან იარაღის ოდენობის დაკლების შემთხვევაში, დათქმულ დროს იწყება აღნიშნული დასახლების ქვემეხებით დაბომბვა.

ასე წარმოჩინდება რუსული იარაღის ძალა და ამგვარად სრულდება ხანგრძლივი არეულობებით ისედაც გაპარტახებული მხარის გაჩანაგება და გაუდაბურება.

ყველაფერი ეს კეთდება კანონის საფუძველზე და ნაწილის მეთაური საზეიმოდ ატყობინებს ტფილისს, რომ „დაბომბვის შედეგად ამა და ამ მოსახლეობისათვის მოხერხდა ამა და ამ რაოდენობის იარაღის ჩამორთმევა“.

რევოლუციურად განწყობილი საქართველო და არარევოლუციურად განწყობილი სომხურ-მუსლიმური პროვინციები ხელისუფლების მიერ ერთნაირად ისჯებიან, ოღონდ მოტივებია განსხვავებული.

უმანკო სისხლი იღვრება, მხარე იმ თავიდან ამ თავამდე იტანჯება და ოხრდება.

და რას აკეთებს ამ დროს მხარის უმაღლესი მმართველობა, ნუთუ ამის შესახებ არაფერი არ იცის? - იკითხავთ თქვენ.

მხარის უმაღლესი ხელისუფლება?!.. სათქმელად იოლია, პოვნა კი ძალიან ძნელი. გრავი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვის კავკასიაში ჩამოსვლის დღიდან მხარეში უმაღლესი ხელისუფლება ჩვენ ფაქტიურად არ გვყავს. მხარე დაყოფილია წვრილ-წვრილ სატრაპიებად, რომელშიც რომელიმე გენერალი, ან თუნდაც პორუჩიკი თავის ხელში იკრებს სა-

კანონმდებლო და აღმასრულებელ ძალაუფლებას. იგი თავის სატრაპიაში შეუზღუდველი მბრძანებელია, რომელიც არავის არ აძლევს თავისი მოქმედებების გაკრიტიკების საშუალებას და, რომელიც თვითნებობას და მოსახლეობაზე ძალადობას ზრდის წარმოუდგენელ ზომებამდე.

თუ კავკასიაში გამოჩენის პირველ დღეებში გრაფმა ვორონცოვმა დაიახლოვა ისეთი ნათელი პიროვნებები, როგორებიც არიან კრიმ გირეი, სტაროსელსკი და სხვები და ყველას არწმუნებდა კავკასიისადმი სიყვარულში, საუბრობდა ერობებზე, სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების შემოღებაზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე, პრესის თავისუფლებაზე და სხვა მისთანანი, ახლა საქმე სულ სხვაგვარად შეტრიალდა.

სტაროსელსკი უკვე განდევნილია, კრიმ გირეი ფაქტობრივად ჩამოაცილეს საქმეებს და დაინიშნა სენატორად.

იგი (მეფისნაცვალს) თავის ხელში სამხედრო კამარლიამ ჩაიგდო და იმას აკეთებინებს, რაც თავად სურს.

„ხელის ბიჭები“ მართავენ დღეს კავკასიას. თავად მეფისნაცვალს კი ყველას გულლიად იღებს, სიტყვით ყველას ეთანხმება, მაგრამ იქცევა ისე, როგორც ურჩევს მას ის, ვინც ბოლოს ესაუბრება. რადგანაც ეს „ბოლოს“ ყოველთვის „შტაბის“ ან „კომენდანტურის“ მოხელეა, შესაბამისად ყველაფერი სრულდება ისე, როგორც მათ უნდათ. ისიც უნდა ითქვას, რომ მეფისნაცვალს ძალზედ მოხუცია იმისათვის, რომ თავად მართოს კავკასიის ახლანდელი ცხოვრების რთული მექანიზმი. ყველაფერი ეს ბედსაა მინდობილი, თავად გრაფი ვორონცოვი კი ხვდება სხვადასხვა ფენებიდან ყოველწინა დეპუტაციას და ცალკეულ პიროვნებებს, რომელთაც ერთსა და იმავე, სტერეოტიპულ ფრაზებს უმეორებს: მე ძალიან მიყვარს მხარე, მაგრამ ვერაფერს ვიღონებ, ვიდრე კავკასია არ დაწყნარდება. ჯერ დაწყნარდით, შემდგომ ამისა გებოძებათ ყოველგვარი სიკეთე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსი მოხელეების მიერ კავკასიის მმართველობის მთელი ასი წლის განმავლობაში არ დაღვრილა იმდენი სისხლი, რამდენიც კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის 1 წელიწადში.

რომელიღაც ფატიმ სდევს მას.

კავკასიაში დანიშვნის პირველსავე დღეებში დაიწყო თავისი შედეგებით საშინელი სომეხ-თათართა ყლევთა. ამას მოჰყვა ტფილისისა და სხვა ადგილებში მოქალაქეთა მა-

სობრივი ცემა-ტყეპა. მისი მმართველობის ერთი წელი დასრულდა დამსჯელი რაზმების მძვინვარებით, რომლებმაც რამდენიმე თვეში მოახერხეს იმდენი სისხლის დაღვრა, რომ ამ სისხლის ზღვაში ჩაიძირებოდა თავად მეფისნაცვლის სასახლე.

ავადსახსენებელი თავადი გოლიცინი უფრო მარტივად იქცეოდა. იგი პირდაპირ აცხადებდა იმ საზიზღრობების შესახებ, რასაც კავკასიაში სჩადიოდა და თავის შავნელ განზრახვას არ ნიღბავდა „მხარისადმი სიყვარულითა და კეთილგანწყობით“.

* * *

ჩვენი სატრაპების დასახასიათებლად შევჩერდებით ერთ-ერთ მათგანზე, რომელიც თავისი მდგომარეობით და ქმედებებით ყველაზე უფრო ტიპიურია.

მე ვსაუბრობ ტფილისის გენერალ-გუბერნატორზე გენერალ-მაიორ ტიმოფეევზე.

მას დიდი ხნის განმავლობაში ეკავა ჰოსპიტალის უფროსის თანამდებობა და თავისი მოღვაწეობის მრავალი წელი მიუძღვნა სავადმყოფოს თეთრეულის თვლას და ქალაქში უცნაური და ახირებული კაცის სახელი დაიმკვიდრა.

„ხელის ბიჭების“ რჩევით იგი დაინიშნა ტფილისის გენერალ-გუბერნატორად და თავგამოდებით შეუდგა ქალაქში წესრიგის დამყარებას. გენერალ-გუბერნატორობამ პირველივე დღეებში დაახვია თავბრუ, მან დაიწყო თვითნებობა და მალე სულ დაკარგა თავი.

სამხედრო ნაწილები აქ კვლავინდებურად თვითნებობენ, ქალაქში ძარცვა და რბევა იმდენად ხშირია, როგორც არასდროს, ტერორისტული აქტები ყველას თვალწინ ხდება, განწყობა საშინლად საგანგაშო და ალგზნებულია. სამხედრო მდგომარეობა ამას მხოლოდ ხელს უწყობს. ტიმოფეევი დაიბნა და მთელი ბოლმა პერიოდულ გამოცემებზე გადმონათხია. იგი შეპყრობილია გაზეთოფობიით. დაე, დაიქცეს მთელი სამყარო, მაგრამ ამის შესახებ არაფერი დაწერონ.

მდგომარეობის ამსახველი ფაქტების განხილვის ცდაც, ან ჩადენილ უგვანობათა შესახებ რაიმეს გამოქვეყნება მისი მხრიდან სასტიკად ისჯება. „მავნე მიმართულებების“ გამო უკანასკნელი თვის განმავლობაში დაიხურა რამდენიმე ქართულენოვანი გაზეთი: „პატარა გაზეთი“ და „განთიადი“, ასევე რუსულენოვანი «Возрождение», «Кавказское утро», «Современник», «На

повороте», «Вестник возрождения» и «Новое обозрение» .

გაზეთის «На повороте» რედაქტორს გენერალ-გუბერნატორმა მიუთითა „ეხლავე მეცვალეთ გაზეთის ტონი და მიმართულებაო“. როგორც ჩანს, ტიმოფეევი ფიქრობდა, რომ გაზეთის „ტონი და მიმართულება“ - ავადმყოფის პერანგია, რომელიც შეიძლება გამოცვალო ახირებული გენერლის ბრძანებით.

გაზეთოფობიამ იგი მიიყვანა მსხვილ სკანდალამდე. იგი გადაეკიდა ქართულ გაზეთს „ცნობის ფურცელი“ და მოითხოვა შვიდი დღის ვადაში ჯარის მხრიდან ქართული მოსახლეობისათვის გადაწვის, ძარცვის და ძალადობის ფაქტების მტკიცებულებების წარმოდგენა.

ტიმოფეევი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ გაზეთის რედაქტორი წარუდგენდა მობოდიშების წერილს, მაგრამ მწარედ მოტყუვდა. „ცნობის ფურცელის“ ერთი ნომერი მთლიანად მიეძღვნა გენერალ-გუბერნატორისადმი პასუხს და ოფიციალურ დოკუმენტებს, თანამდებობის პირთა წერილებს დამადასტურებელი ოფიციალური საკანცელარიო ნომრებით, რომლებმაც ნათლად წარმოადგინეს ქუთაისის გუბერნიაში დამსჯელი რაზმების მოქმედებების საშინელი სურათი.

გენერალ-გუბერნატორმა ტიმოფეევმა, რომელიც არ ელოდა ასეთ პასუხს, გასცა საგანგებო განკარგულება, რომ სხვა გაზეთებს არ გადაებეჭდათ აღნიშნული პასუხი. მაგრამ შეცდა. ვერც კი მოასწრო აღნიშნული განკარგულებების დაგზავნა, რომ გაზეთმა «Вестник Возрождения» განსაკუთრებული დამატების სახით რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ზუსტი თარგმანი.

ამგვარად, გენერალ-გუბერნატორმა ვერ შეძლო დაემალა რუსული საზოგადოებრიობისათვის ის უმსგავსოებები, რაც აღმოაჩინა ქართულმა გაზეთმა. ამიტომაც მთელი თავის ბოღმა გადმოანთხია გაზეთზე «Вестник Возрождения», რომელიც თარგმანის დაბეჭდვისათვის დახურა, ტფილისში სამხედრო მდგომარეობის მოქმედების განმავლობაში. მოხდა კურიოზი - გაზეთის, რომელმაც დაბეჭდა ორიგინალი, მუშაობა არც შეფერხებულა, ხოლო გაზეთი, რომელმაც თარგმანი გამოაქვეყნა, დაიხურა. აი, ესაა მაგალითი იმ ძალმომრეობისა, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ ყოველდღიურად.

არავინ იცის, რა მოჰყვება „ცნობის ფურცელის“ მხილებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით

გადანყვიტეს გამოძიების წარმოება იმ ფაქტზე, თუ როგორ მოახერხა გაზეთმა და რა ნყარობზე დაყრდნობით მოიპოვა ეს ოფიციალური დოკუმენტები. სულ ეს არის!

ამგვარ ადმინისტრატორებს, რა თქმა უნდა, არაფრის დამშვიდება არ ძალუძთ და თავიანთი უტაქტო საქციელით მხოლოდ ართულებენ საქმეს.

* * *

სად არის დღევანდელი რთული მდგომარეობიდან გამოსავალი?

1. რა თქმა უნდა მხარეში ყველგან დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას სამხედრო მდგომარეობა და დამსჯელი ექსპედიციების ხელმძღვანელები უნდა გადაეცენ სასამართლოს.

2. კავკასიაში მთავრობის დღევანდელი ხელმძღვანელები, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი თავისი კამარილით, როგორც მხარისათვის შეუსაბამონი და საქმისათვის უუნარონი, დაუყოვნებლივ უნდა გადააყენონ.

3. მხარეს დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა საშინაო საქმეებში საკანონმდებლო უფლებებით.

4. ეს ღონისძიებები დგას დღის წესრიგში, რომელთა შესრულების გარეშე, ჩვენი აზრით, შეუძლებელია კავკასიის დამშვიდება და აქ ნორმალური სამართლებრივი ცხოვრების დამკვიდრება“.

როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, წინამდებარე სტატია მნიშვნელოვანი პუბლიკაციაა, რომლითაც რუსეთის დედაქალაქის საზოგადოებამ ნათელი წარმოდგენა შეიქმნა, იმპერიის ხელისუფლების მიერ ჩადენილ უამრავ ბოროტმოქმედებაზე. იმდროინდელ საქართველოში ამას სჩადიოდნენ ხელისუფლების დიდმოხელეები, დამსჯელი ექსპედიციები, ჯარი და პოლიცია. სტატიის მნიშვნელობა ბევრმა გადგა იზრდება, თუ დასაბუთდება, რომ მისი ავტორი — „ძველი კავკასიელი“, სხვა არავინ შეიძლება ყოფილიყო, თუ არა ილია ჭავჭავაძე. ქვემოთ მოყვანილი არგუმენტებით სწორედ ამის დასაბუთებას შევეცდებით.

პირველი გარემოება შესაძლოა შედარებით ზედაპირული იყოს, მაგრამ არც თუ უმნიშვნელო და იმაში მდგომარეობს, რომ გაზეთ „სტრანაში“ აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების წინა დღემდე, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა. 1906 წლის 30 მარტს, როგორც რუსეთის სახელმ-

ნიფო საბჭოს წევრთა ამომრჩეველები, ილია, მიხეილ გედევანიშვილი და ვლადიმერ მიქელაძე თბილისიდან მატარებლით პეტერბურგს გაემგზავრნენ. 7 აპრილს ილია ჭავჭავაძე რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრად აირჩიეს. 10 აპრილს იგი პეტერბურგიდან თბილისს გამოემგზავრა. 11 აპრილს „ძველი კავკასიელის“ ფსევდონიმით მისი სტატია გამოქვეყნდა. რა თქმა უნდა, მეორე დღეს გამოსაქვეყნებელი სტატია მას ადრე თუ არა, 10 აპრილს მაინც ექნებოდა მიტანილი ან გაგზავნილი რედაქციაში.

ეს კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ სახელმწიფო საბჭოს ახალ წევრს, სწრაფად დაეტოვებინა იმპერიის დედაქალაქი. ილიას არ უყვარდა რუსეთის ცივი ქალაქები და როგორც კი იქ აუცილებელ საქმეებს მოამთავრებდა, მაშინვე ტოვებდა ხოლმე იქაურობას. ილიას ეს თვისება მის ბიოგრაფებსაც შეუნიშნავთ. მაგ., ნოდარ გრიგალაშვილი წერს: 1874 წელს როცა ილიამ დიდი დავიდარაბის შემდეგ წარმატებით დაასრულა სათავადაზნაურო ბანკის დაარსების ნებართვის საქმე, „ამიტომ დამტკიცებას აღარ დაელოდა, რაკი თავი ქუდში ჰქონდა, დაჰკრა ფეხი და წამოვიდაო“ (ნოდარ გრიგალაშვილი. თანამდევნი სული. ილია და მისი ეპოქა. ტომი I. თბილისი. 2011. გვ. 238).

ეტყობა ახლაც ასე მოიქცა ილია. მისი თანამგზავრი და ამომრჩეველი მიხეილ გედევანიშვილი წერს რომელიღაც ადრესატს: „...ილია ამოვირჩიეთ და დღესვე მოდის ქალაქში. ვრჩები მარტო“ (ი. გორგაძე. ნ. გურგენიძე. ილია ჭავჭავაძე - ცხოვრებისა და შემოქმედების მატყიანე. თბ., 1987. გვ. 344). ოდნავ განაწყენებული ტონი დაჰკრავს გედევანიშვილის ნაწერს, ეტყობა არ მოელოდა, რომ სახელმწიფო საბჭოს ახალარჩეული დეპუტატი ილია, ასე მალე მიატოვებდა პეტერბურგსაც და მასაც.

ასეა თუ ისე, 1906 წლის 2-დან 10 აპრილამდე პეტერბურგში მყოფ ილია ჭავჭავაძეს თავისუფლად შეეძლო და ან თავისი სურვილით, ან რედაქციის თხოვნით, დაენერა ღრმად გააზრებული და ძლიერი საპროტესტო წერილი ამიერკავკასიასა და საქართველოში რუსული ხელისუფლების მიერ დატრიალებული საშინელებების შესახებ და მიეტანა ან გაეგზავნა „სტრანას“ რედაქციაში.

მეორე არგუმენტი - გაზეთ „სტრანას“ რედაქტორმა მაქსიმე კოვალევსკიმ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა და

სხვა ახალარჩეული დეპუტატებისაგან განსხვავებით, ყველაზე მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრის ილია ჭავჭავაძის დემოკრატიულ პოზიციას.

დიდი ქართველი მოღვაწის სახელმწიფო საბჭოში არჩევას პეტერბურგის თითქმის ყველა გაზეთი გამოეხმაურა. გაზეთებმა „როსსიამ“, „სლოვომ“, „რეჩმა“, „ბირჟევიე ვედომოსტმა“, „პეტერბურგსკი ლისტოკმა“, „პეტერბურგსკი ვედომოსტმა“, „პეტერბურგსკაია გაზეტამ“, „სტრანამ“ და სხვებმა საყურადღებო ინფორმაციები გამოაქვეყნეს, რომლებშიც სახელმწიფო საბჭოში ილიას არჩევის პერიპეტეები იყო აღწერილი. ეს მასალები ჩვენს ადრინდელ მონოგრაფიაში გვაქვს შესწავლილი და აქ აღარ გავიმეორებთ (იხ: დიმიტრი შველიძე. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში. ფედერალისტები. თბილისი. 1993. გვ. 179-195). ამჯერად ჩვენ მხოლოდ „სტრანაში“ გამოქვეყნებული „ძველი კავკასიელის“ იდენტიფიცირების საკითხი გვაინტერესებს, რასაც მაშინ ჩვენს მონოგრაფიაში არ შევხებივართ.

ყველაზე მეტად ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური პოზიციით, მსოფლმხედველობით თუ პროგრამით დაინტერესდა ცნობილი რუსი მეცნიერი, სოციოლოგი, ისტორიკოსი, აკადემიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე მაქსიმე კოვალევსკი. 1906 წლის 19 თებერვლიდან მაქსიმე კოვალევსკი პეტერბურგში სცემდა ყოველდღიურ გაზეთ „სტრანას“. სწორედ თავის გაზეთში, 11 აპრილის საკვირაო ნომერში კოვალევსკიმ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „მომავალი სახელმწიფო საბჭო“.

მ. კოვალევსკი ევროპული პარლამენტარიზმის დიდი მომხრე და ლიბერალურად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე გახლდათ. მან მშვენივრად იცოდა, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობა მონარქისტებისაგან შედგებოდა. 1810 წლიდან 1906 წლამდე სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობას იმპერატორი აკომპლექტებდა. 1906 წელს ვითარება შეიცვალა. საბჭოს წევრთა ნახევარს კვლავ იმპერატორი ნიშნავდა, მაგრამ საბჭოს ნახევარი არჩეული წევრებისაგან შედგებოდა. არჩეული წევრების უმრავლესობასაც მონარქისტულად განწყობილი პიროვნებები შეადგენდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ საბჭოში რამდენიმე პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაც მოხვდა.

მ. კოვალევსკი მემარცხენე პოლიტიკური პარტიების შეცდომად თვლიდა, რომ მათ მონაწილეობა არ მიიღეს სახელმწიფო საბჭოს არჩევნებში და ბოიკოტი გამოუცხადეს მას. მისი აზრით, დემოკრატიულ პარტიებს რომ არჩევნებში მონაწილეობა მიეღოთ ისინი შეძლებდნენ მასში პროგრესული წევრების გაყვანას. ამგვარი შესაძლებლობის რეალობას რუსი მოღვაწე ილია ჭავჭავაძის მაგალითით ასაბუთებდა: „ამგვარი შედეგის მიღწევა, როგორც ამას ადასტურებს ცნობილი ქართველი მწერლის და პოეტის თავ. ჭავჭავაძის წარმატება, არც ისე ძნელი აღმოჩნდა, - წერდა მ. კოვალევსკი და განაგრძობდა — იგი (ე. ი. ი. ჭავჭავაძე - ავტორები), მომხრეა მრავალი იმ იდეალისა, რომელთა მიმდევარიცაა კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტია და მზადაა ჩემს მსგავსად დაუინებოთ მოითხოვოს განაპირა მხარეებისათვის ფართო თვითმმართველობა, მათი საერობო პალატების მიერ ადგილობრივი კანონების გამოცემის უფლებით“ (გაზეთი „სტრანა“. 1906. 11 აპრილი. მ. კოვალევსკი. „მომავალი სახელმწიფო საბჭო“).

„სწორედ ამგვარად გადმოგვცემენ ქართველი დეპუტატის პროგრამას მასთან მოსაუბრე რეპორტიორები, - წერს მ. კოვალევსკი და განაგრძობს: კერძოდ, ამგვარად ახასიათებს მას „რეჩ“-ის 44-ე ნომერში ავტორი სტატიისა „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები“. („სტრანა“. იქვე). რუსი მოღვაწე აღფრთოვანებულია ილია ჭავჭავაძის დემოკრატიული და ეროვნული მსოფლმხედველობით და პოზიციით: „დასანანი, წერს ის, - რომ ჩვენი მემარცხენე პარტიები არ შეეცადნენ, მათთვის მიუვალნი სახელმწიფო საბჭოს ციტადელის აღებას თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, მის შემადგენლობაში მემარცხენე პარტიების პროგრამების ისეთი ბრწყინვალე მომხრეების შეყვანას, როგორიცაა თავ. ჭავჭავაძე“ („სტრანა“. იქვე).

კოვალევსკიმ სხვა რეფორმისტულად განწყობილი საბჭოს რამდენიმე წევრიც გამოარჩია, მაგ., ტრუბეცკოი, გოლიცინი... მაგრამ ისინი რამდენიმე სპეციფიკური დემოკრატიული რეფორმის გატარებას მოითხოვდნენ, მაშინ როცა ილია ჭავჭავაძის საერთო პლატფორმა იყო მთლიანად დემოკრატიული. ამ მხრივ, კოვალევსკი განსაკუთრებულად გამოყოფდა მაგ. აგრარულ საკითხში, ზემოაღნიშნული პიროვნებებისაგან, „მათი ამხანაგის თავ. ჭავჭავაძის თვალსაზრისს, რომელიც სამართლიანად მიიჩნე-

და, რომ მიწების ჩამოშორების საკითხში აუცილებელია ყველაზე ფართო დათმობები მშრომელი მასების ინტერესებისათვის“.

წერილის დასასრულს, კოვალევსკი კვლავ ეხებოდა ილიას პიროვნებას და მას, საბჭოს სხვა რამდენიმე დემოკრატიული წევრისაგან იმითაც გამოარჩევდა, რომ „თავ. ჭავჭავაძე“ განსაკუთრებით კარგად იცნობდა თავის ქვეყანას და იცავდა მის ინტერესებს. ამ მხრივ, დაასკვნოდა კოვალევსკი, „საბჭოს არჩეულ წევრთა შორის, ისინიც კი, რომელთაც არ უმსახურიათ ერობებში, რადგან მათ მხარეებში ერობები არ არსებობს, კარგად იცნობენ ადგილობრივ პირობებს, მაგ., თავ. ჭავჭავაძე ან ოსკარ რეინგოლდის ზე ეკვესპარრე, ერთი საქართველოსი, მეორე კი — ბალტიისპირეთის მხარეს და კუნძულ ეზელს“ („სტრანა“. მ. კოვალევსკის დასახ. სტატია).

ერთი სიტყვით, ჩვენ ვხედავთ, რომ გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ და რაც მთავარია, ამჯერად ჩვენთვის ესაა საინტერესო, - გაზეთ „სტრანას“ დამაარსებელმა და რედაქტორმა მაქსიმე კოვალევსკიმ, განსაკუთრებული ყურადღებით გამოყო, საბჭოს სხვა პროგრესული წევრებისაგან, ილია ჭავჭავაძე და მაღალი შეფასება მისცა მის დემოკრატიულ, ეროვნულ და სოციალურ პოზიციას. ამის შემდეგ, რაღა გასაკვირია, რომ კოვალევსკიმ, იმისათვის, რომ თვალნათლივ და ვრცლად დაესაბუთებინა თავისი შეხედულებები საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, თავისი გაზეთის ფურცლები დაუთმო ილია ჭავჭავაძეს. სწორედ ამიტომ გამოქვეყნდა ილიას სტატია გაზეთ „სტრანაში“ და არა სხვაგან.

მესამე გარემოება — რა თქმა უნდა, მ. კოვალევსკის ილიასადმი დიდი სიმპატიის და ინტერესის გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო მისი და ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობების სიახლოვე. კოვალევსკი თავდაპირველად კონსტიტუციონალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახლდათ, რომლის მიმართაც ილია ჭავჭავაძის ლოიალობა ცნობილია.

გავიხსენოთ ორიოდე ფაქტი, ილია ჭავჭავაძის კონსტიტუციონალ-დემოკრატიულობის სიახლოვის დასადასტურებლად. ცნობილია, რომ ილიას არასოდეს უცდია 1905 წლამდე, პოლიტიკური პარტიის შექმნა, მაგრამ სწორედ 1905 წლის განმათავისუფლე-

ბელი მოძრაობის პერიოდში, იგი აქტიურად ჩაება ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზების პროცესში. თავდაპირველად იგი ცდილობდა რომ ქართული ეროვნული პარტიის სახელწოდებაში ასახულიყო რუსეთის მთავარ ლიბერალურ პარტიასთან, კონსტიტუციონალ-დემოკრატებთან სიახლოვე. ის ფრთხილი და ბრძენი მოღვაწე გახლდათ და მიიჩნევდა, რომ რუსულ კონსტიტუციონალ-დემოკრატებთან სიახლოვე ქართულ პარტიას ბევრი გაუგებრობისაგან დაიცავდა. სწორედ ამიტომ, პარტიის ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე, ილია იმის მომხრე იყო, რომ ქართულ ეროვნულ პარტიას დარქმეოდა „ქართული კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია“. არჩილ ჯორჯაძეც წერდა: 1905-1906 წლების მიჯნაზე „ქართულ პოლიტიკურ პარტიებს მიემატა ერთი ახალი პარტია, რომელმაც „ქართველ დემოკრატთა პარტიის“ ანუ „ქართველ ავტონომისტთა კონსტიტუციონალ-დემოკრატიულ პარტიის სახელი დაირქვა“. (არჩილ ჯორჯაძე. თხზულებანი. წიგნი პირველი. თბილისი. 1911. გვ. 230.

შემდგომში ქართულ პარტიას ეროვნულ-დემოკრატიული ეწოდა. კოვალევსკიმაც კონსტიტუციონალ-დემოკრატებისაგან გამოყოფის შემდეგ, საკუთარი თანამოაზრეებისაგან დემოკრატიული რეფორმების პარტია შექმნა. სწორედ ამ პარტიის მთავარი ორგანო იყო გაზეთი „სტრანა“. მიუხედავად ამისა, ამ ორი მოღვაწის პოლიტიკური პოზიციები ურთიერთსოლიდარული დარჩა. აკი თვით კოვალევსკიც წერდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ჭავჭავაძე „ჩემს მსგავსად“ მზადაა განაპირა მხარეების თვითმმართველობისაო.

ამასთან დაკავშირებით მოვიტანთ ამონარიდს „ცნობის ფურცელის“ 1906 წლის 16 თებერვლის ნომრიდან: „კონ.-დემოკრატებს გამოეყო ერთი ჯგუფი, რომელიც აარსებს ახალს პოლიტიკურს პარტიას, რომელსაც დემოკრატიული რეფორმების პარტია ერქმევა. მიზეზი განყოფისა ისაა, რომ ჯგუფს არა სურს დაემორჩილოს კონ.-დემოკ. პარტიის დისციპლინას, პროგრამული განსხვავება შემდეგია: 1. ორ პალატიანი სისტემა; 2. ცალკე ოლქების ავტონომია, როგორც გამოწაკლისი; 3. დანამდილებით გადაჭრა აგრარული საკითხისა“. მ. კოვალევსკის მიერ შექმნილი ახალი ორგანიზაციის - დემოკრატიული რეფორმების პარტიის აღნიშნული პროგრა-

მული ტრიადა, თითქმის ზუსტად ემთხვევა, ილიას პეტერბურგულ პრესაში ჩამოყალიბებულ-გახმაურებულ პლატფორმას. აი, ამ გარემოებამ გამოიწვია ის, რომ ილია ჭავჭავაძის სტატია გამოქვეყნდა, არა ძველ კონსტიტუციონალ-დემოკრატების რომელიმე გაზეთში, არამედ კოვალევსკის მიერ შექმნილი ახალი, დემოკრატიული რეფორმების პარტიის გაზეთ „სტრანაში“.

მეოთხე არგუმენტი - ილია ჭავჭავაძის მთავარი საპროგრამო მოთხოვნა - საქართველო-კავკასიის ადგილობრივი თვითმმართველობა, და „სტრანაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორის „ძველი კავკასიელის“ მთავარი მოთხოვნა - ანალოგიურია. 1906 წლის 9 აპრილს გაზეთ „პეტერბურგსკი ლისტოკში“ გამოქვეყნდა ილია ჭავჭავაძესთან ინტერვიუ. მასში ჩვენი დიდი მოღვაწე ჟურნალისტს უპასუხებდა: „მე ვარ საერთოდ კავკასიის და კერძოდ, საქართველოს ფართო თვითმმართველობის მომხრე, ადგილობრივი საკანონმდებლო ხელისუფლებით...“ („პეტერბურგსკი ლისტოკ“. 1906. 9 აპრილი. „სახელმწიფო საბჭოს ახალი წევრები“). ილიას ამ მოთხოვნას სხვა პეტერბურგული გაზეთებიც იმეორებდნენ, ხაზს უსვამდნენ და გამოყოფდნენ. იგი საყოველთაო მსჯელობის საგანი გახდა სახელმწიფო საბჭოში ილიას არჩევის დღეებში.

ზუსტად იმავეს წერდა და მოითხოვდა „სტრანაში“ გამოქვეყნებული სტატიის ავტორი „ძველი კავკასიელი“: „მხარეს უნდა მიეცეს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა საკანონმდებლო ფუნქციებით საშინაო საქმეებში“.

მეხუთე არგუმენტი - კიდევ ვინ აყენებდა მაშინდელ საქართველოში მსგავს პოლიტიკურ მოთხოვნას? თავიდანვე უნდა აღინიშნოს რომ თვითმმართველობას იმ პერიოდში, ამ ფორმით, მცირერიცხოვანი პოლიტიკური ჯგუფები მოითხოვდნენ. საქართველოში მოქმედი ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია განსხვავებულ პოლიტიკურ ლოზუნგს აყენებდა ეროვნულ საკითხში.

ყველაზე მძლავრი პოლიტიკური ძალა - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მისი ქართველი წევრები, ანუ აქაური ქართველი მენშევიკები და ბოლშევიკები, საოლქო თვითმმართველობის მორიდებულ მოთხოვნასაც კი არ აყენებდნენ გადაჭრით. პირიქით, ისინი 1910-იან

წლებამდე, საქართველოს ნებისმიერი თვითმმართველობის მოთხოვნის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდნენ.

სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის მოთხოვნა საყოველთაოდ იყო ცნობილი - საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია. ამავე ლოზუნგს იზიარებდნენ ქართველი ანარქისტები. ავტონომიას მოითხოვდნენ აგრეთვე 1905-1907 წლებში გააქტიურებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის მსურველი ინტელიგენტური ჯგუფები. არც ერთი მეტ-ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური ორგანიზაცია არ მოითხოვდა ეროვნულ თავისუფლებას ისეთი ფორმით, როგორც ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები.

კერძოდ, ჩვენ ვგულისხმობთ - ეროვნული თვითმმართველობის ლოზუნგს. იმ პერიოდში, თვითმმართველობა ფაქტიურად ავტონომიას ნიშნავდა და ამ ორ ტერმინს შორის განსხვავების პოვნა ძნელი იყო. უბრალოდ, თვითმმართველობა უფრო არა-პოლიტიკურ და ნაკლებად რადიკალურად აღსაქმელ ტერმინს წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე ტერმინოლოგიური სიფრთხილის მომხრე იყო. იგი ცდილობდა ნაკლებად ეხმარა ტერმინი „ავტონომია“.

1905-1907 წლების პერიოდში ეროვნული თვითმმართველობის მოთხოვნის პოზიციაზე უფრო თავადაზნაურული ფენების წარმომადგენლები იდგნენ, ისიც, ილია ჭავჭავაძის გავლენით. ქართველი პატრიოტული თავადაზნაურობის ეროვნული მსოფლმხედველობის შემუშავებაში და ფორმულირების პროცესში ილია ჭავჭავაძეს გადამწყვეტი ხმა ჰქონდა. **ყოველ შემთხვევაში, „ძველ კავკასიელში“ არარეალურია, ვეძებოთ, რომელიმე სხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი, გარდა იმ ჯგუფისა, რომელსაც ილია ჭავჭავაძე წარმოადგენდა.**

მეექვსე გარემოება - ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ „ძველ კავკასიელში“, ლოგიკური იქნება, ვინმე ძველი თაობის ცნობილი მოღვაწე ვეძებოთ და არა ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი. ამ პრინციპითაც თუ გავაგრძელებთ ძიებას, საეჭვოა, რომ ილია ჭავჭავაძის გარდა რომელიმე მოღვაწის კანდიდატურას მივადგეთ.

მაგ., ნაკლებად სავარაუდოა აკაკი წერეთელი, რომელიც მწვავე პოლიტიკურ პრობლემათკაზზე არ წერდა;

არც იაკობ გოგებაშვილი, რომელიც ილიასთან ერთად მონაწილეობდა ეროვნულ-

დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ ნაკლებად აქტიურობდა პოლიტიკურ დებატებში;

ნიკო ნიკოლაძე იმ დროს საერთოდ წინააღმდეგი ყოფილა სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თვითმმართველობის პოლიტიკური ლოზუნგის წამოყენებისა. საამისო პირდაპირი ცნობაც არსებობს. ილიასთან პეტერბურგში ერთად წასული მიხეილ გედევანიშვილი იგონებდა: პეტერბურგში შემდგარ ქართველების ერთ-ერთ კრებაზე ილიას განუცხადებია, რომ სახელმწიფო საბჭოში საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის დაყენებას აპირებდა. ამის წინააღმდეგ წასულა ნიკო ნიკოლაძე. მას თურმე ეთქვა: „ბევრს საბჭოს წევრს ველაპარაკე. ვიცნობ კარგად, რაც არიანო და არავინ არ დაგიჭერს იქ მხარსაო, და მაგ გამოსვლით კი საქართველოს მხოლოდ ზიანს მიაყენებო“ (გ. ხვედელიძე. მიხეილ გედევანიშვილი. 1960. გვ. 151). ამ მოგონების მიხედვით, ისეთი დიდი ქართველიც უნდა გამოვრიცხოთ განსახილველი წერილის შესაძლებელი ავტორობის სიიდან, როგორც ნიკო ნიკოლაძე გახლდათ და რომელიც იმჟამად პეტერბურგში იმყოფებოდა.

სხვა აქტიური და დიდი პატრიოტი თანამოაზრეებიცა ჰყავდა ილიას, ეროვნულ სარბიელზე: ალექსანდრე ყიფშიძე, დათა მიქელაძე თუ სხვანი, მაგრამ მათი გამოჩენა იმპერიის დედაქალაქების ცენტრალურ პრესაში ნაკლებად სავარაუდოა, მით უმეტეს კი „სტრანას“ რედაქტორ მაქსიმე კოვალევსკისთან სიახლოვე.

სხვათა შორის, აქვე აღვნიშნავთ, ერთ ტექსტურალურ-ტერმინოლოგიურ დამთხვევას, რომელიც მეშვიდე მიმანიშნებელ გარემოებად გამოდგება იმისა, რომ ჩვენთვის საინტერესო სტატიის ავტორი სწორედ ილია ჭავჭავაძე გახლდათ ალბათ. სტატიის ავტორმა ფსევდონიმად „ძველი კავკასიელი“ აირჩია და ამით ხაზი გაუსვა, რომ ის ძველი თაობის წარმომადგენელი იყო. ამ გარემოებაზე ხაზგასმა იმასაც მეტყველებდა, რომ იგი თავისი პოლიტიკური პროგრამის ჩამოყალიბებისას, თავისი თაობის თვალსაზრისს გამოხატავდა. საინტერესო ისაა, რომ თავის ინტერვიუშიც, ილია ჭავჭავაძე სწორედ ამავე გარემოებას საგანგებოდ უსვამს ხაზს. „პეტერბურგსკი ლისტოკისადმი“ მიცემულ ინტერვიუში იგი განუმარტავს გაზეთის კორესპონდენტს, რომ მომხრე იყო აგრარულ საკითხში დიდი დათმობებისა, მომხრე იყო

საქართველოს და კავკასიის თვითმმართველობისა. მაგრამ, მისსა და „ძველი კავკასიელი აზნაურების“ ამ აზრს თურმე ბევრი მონინააღმდეგე აღმოსჩენია.

ილიას სიტყვებს მოვუსმინოთ: „მაგრამ ბევრნი წინაღუდგნენ ძველი კავკასიელი აზნაურების ამ პატიოსან აზრს“ - განმარტავდა ქართველი თავადაზნაურობის მიერ არჩეული სახელმწიფო საბჭოს დეპუტატი. მან „სტრანაში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე ხელმოწერილი ფსევდონიმითაც ორ გარემოებას გაუსვა ხაზი: პირველ რიგში იმას, რომ კავკასიელი იყო და მეორე რიგში კი იმას, რომ „ძველი“ კავკასიელი იყო. („პეტერბურგსკი ლისტოკ“. 1906. 9 აპრილი). ეს ორ შემთხვევაში, ორ დღეში, ორგანვე „ძველი კავკასიელობის“ გამოკვეთა, თავისთავად მიგვანიშნებს, რომ ინტერვიუერიც და სტატიის ავტორიც ერთი და იგივე პიროვნება უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთ, რიგით მერვე გარემოება, - დროის მიხედვით გვიანდელია, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს, „სტრანაში“ გამოქვეყნებული სტატიის ილიასეულ ავტორობაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ილია სახელმწიფო საბჭოში მიეკუთვნებოდა მცირერიცხოვან მემარცხენე ე. წ. აკადემიურ ჯგუფს. მასში შედიოდნენ მაშინდელი რუსეთის ცნობილი და ლიბერალურად განწყობილი პიროვნებები, უმთავრესად მეცნიერები. ესენი იყვნენ: ვ. ი. ვერნადსკი - მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორის თანაშემწე; ა. ა. მანუილოვი - მოსკოვის უნივერსიტეტის რექტორი, ცნობილი ეკონომისტი; ა. ს. ლაპო-დანილევსკი - ცნობილი ისტორიკოსი; ვ. ი. სერგეევიჩი - პეტერბურგის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი... და რაც მთავარია, თვით მაქსიმე კოვალევსკი, რომელიც 1906 წლიდან იყო რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ამავე - აკადემიური ფრაქციის წევრი. მართალია, ამ ჯგუფს უკვე საბჭოში ჩაეყარა საფუძველი და ჩვენთვის ცნობილი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ მოხდა, მაგრამ როგორც ჩანს, ილიას და კოვალევსკის პოლიტიკურ თანასოლიდარობას და თანაფრაქციელობას, ადვილი წარმოსადგენი და დასაშვებია, რომ სწორედ ამ დროს უნდა ჩაყროდა საფუძველი, როცა ჩვენი დიდი მოღვაწე სახელმწიფო საბჭოში აირჩიეს. ილიას სტატია გაზეთ „სტრანაში“ ამ თანამშრომლობის პირველი გამოხატულება იყო.

თვით სტატიის შინაარსი და ზოგიერთი აქცენტებიც მიგვითითებს, ჩვენი ჰიპოთეზის

რეალობაზე.

მეცხრე გარემოება - კარგადაა ცნობილი, რომ ილია ჭავჭავაძე მწვავედ დაუპირისპირდა საქართველოში და კერძოდ, გურიაში სამხედრო ექსპედიციის გაგზავნას. შეიძლება ითქვას, რომ 1905-1907 წლების განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში, ილია ჭავჭავაძეს არც ერთ სხვა საკითხზე ისე არ გამოუდვია თავი, როგორც საქართველოში მიმდინარე რბევა-ანიოკებაზე, რასაც სჩადიოდნენ გურიაში და ქვეყნის სხვა კუთხეებში მოქმედი მეფის სამხედრო ექსპედიციები. ეს ის შემთხვევა იყო, როცა ჩვენი დიდი მოღვაწე მწვავედ დაუპირისპირდა რუსეთის ოფიციალურ ხელისუფლებას, განსაკუთრებით კავკასიის ადმინისტრაციას და მის მეთაურს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს.

გრაფი ილარიონ ილარიონის ძე ვორონცოვ-დაშკოვი 1905 წლის დასაწყისში დაინიშნა კავკასიის მეფისნაცვლად. მანამდე მეფისნაცვლის მოვალეობას ასრულებდა გენერალი იაკობ დიმიტრის ძე მალამა. სწორედ მისი მმართველობის პერიოდში დაეგალა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის სათავეში ჩადგომოდა სამხედრო ექსპედიციის და ჩაეხშო გურიაში მიმდინარე რევოლუციური მოძრაობა. 1905 წლის თებერვალში ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი გურიაში შევიდა და სოფელ ნატანებში დაბანაკდა. სწორედ ამავე დღეებში თბილისში შედგა ქართველი თავადაზნაურობის შეკრება, რომელმაც სპეციალური დეპუტაცია აირჩია. დეპუტაცია გენერალ მალამას წარუდგა და ექსპედიციის შეჩერება სთხოვა.

როგორც ჩანს, ქართველმა ინტელიგენციამ და ეროვნულმა ძალებმა კიდევ ერთხელ ჩაშალეს სამხედრო ექსპედიციის შეჭრა გურიაში, ახლა უკვე ვორონცოვ-დაშკოვის მეფისნაცვლობის პერიოდში. სწორედ ამ დროს უნდა უკავშირდებოდეს ილია ჭავჭავაძის მწვავე გამოსვლა კავკასიის ადმინისტრაციის წინააღმდეგ. როგორც ერთ-ერთი მოგონება გვიამბობს: „მაშინ განაცხადა ილიამ ამავე დარბაზში: ალიხანოვის გაგზავნაზე ხელი უნდა ავალებინოთო, თუ არა და - ყველამ თავი უნდა დავდოთო. ვარანცოვ-დაშკოვს ეთქვა, თუ ჭავჭავაძეც კი აჯანყებას გვემუქრება, ჩანს მართლა საერთო აჯანყება მოგველისო, და დასარბევად გასული ჯარი უკანვე დააბრუნა“ (მ. ჯავახიშვილი. რჩეული თხზულებანი. ტ. V, 1962, გვ. 298).

საბოლოოდ ქართველი მოღვაწეების ჩარევამ მაინც ვერ შეუშალა გურიაში ალიხანოვ-ავარსკის ექსპედიციის გაგზავნას.

ილია ჭავჭავაძის პროტესტანტული პოზიცია ძალიან კარგად ეხამება გაზეთ „სტრანაში“ გამოქვეყნებული სტატიის პათოსს. ილიას საერთო პოლიტიკურ პოზიციაში და გაზეთის სტატიაში არ ან იშვიათად იყო დაფიქსირებული იმდროინდელი რევოლუციური და პოლიტიკური მოძრაობის ძირითადი მოთხოვნები და ლოზუნგები. ილია და „ძველი კავკასიელი“ არ ითხოვდნენ:

სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მონაწილას, რაც დემოკრატიული ძალების პოპულარული ლოზუნგი იყო;

არ მოითხოვდნენ რუსეთის მონარქიის დამხობას, როგორც ყველა რევოლუციური პარტია;

ილიასა და „ძველი კავკასიელისათვის“ მიუღებელი იყო სოციალიზმის იდეა, რომელსაც რუსეთის ყველაზე გავლენიანი პარტიები სოციალ-დემოკრატები და ესერები ესწრაფოდნენ;

მათთვის ჯერჯერობით მაინც, უარსაყოფი იყო სეპარატიზმის ლოზუნგი;

მეტიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ილია და „ძველი კავკასიელი“ უფრთხოდნენ-პოლიტიკური ტერმინის - „ავტონომიის“ გამოყენებას და როგორც წესი, სამუშაო ტერმინად ხმარობდნენ „თვითმმართველო-

ბას“. ეს ილიასეული შორსმჭვრეტელი და ფრთხილი ტაქტიკა გახლდათ და ეს ნიუანსიც მიანიშნებს, ილიასა და „ძველი კავკასიელის“ იდენტურობას.

დავასკვნით, რომ ილია ჭავჭავაძისთვის, 1905 წლისა და 1906 წლის დასაწყისისათვის, მთავარი პროტესტის თემას წარმოადგენდა, რუსული ჯარების მიერ საქართველოში მიმდინარე რეპრესიები და სწორედ ამ ნიადაგზე დაუპირისპირდა ღიად იგი რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებას. იგივე თემა ყველაზე წამყვანი პრობლემაა ჩვენთვის საინტერესო წერილშიც - რეპრესიების თემას სტატიის ორი მესამედი უკავია. ქართველი თავადაზნაურობის რჩეული დეპუტატი ღიად დაუპირისპირდა კავკასიის ადმინისტრაციას, როგორც ერთ დროს დიმიტრი ყიფიანი. ამ ორი პიროვნების საპროტესტო პოლიტიკური აქტი ანალოგიური აღმოჩნდა, ისევე როგორც მათი სიცოცხლის დასასრული.

ზემოაღნიშნული არგუმენტების საფუძველზე დავასკვნით, რომ 1906 წლის 11 აპრილს, პეტერბურგის გაზეთ „სტრანაში“ გამოქვეყნებული „ძველი კავკასიელის“ სტატიის „ამიერკავკასიის სატრაპიებში“, ავტორი არის დიდი ქართველი საზოგადო და ეროვნული მოღვაწე ილია ჭავჭავაძე.



მალხაზ ივანიძე

თხრობა როგორც კულტურული პერსპექტივა

„ჰაგიოგრაფიული თხრობა“. საინტერესო სათაურია, მით უმეტეს, ნიგნისთვის და უფრო უმეტეს, დღევანდელობისთვის, როდესაც „ჰაე-მეტი“ ტერმინები – ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ჰერმენევტიკა – სირთულესთან არის გაიგივებული თვით ლიტერატორთა წრეებშიც კი.

ნიგნის ავტორია გიორგი ალიბეგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი... სახელმწიფო მოღვაწე.

ვიციტ, რას ნიშნავს „ჰაგიოგრაფია“ — წმინდანთა ცხოვრების აღწერა.

რას ნიშნავს „თხრობა“?

ეს ნიგნის შესავალშივეა განმარტებული. კერძოდ, გიორგი ალიბეგაშვილის აზრით, თხრობა არის: 1. კონკრეტული ამბის, რეალური პიროვნების თავგადასავლის გადმოცემა, რომელიც გულისხმობს როგორც აღწერას, ისე მსჯელობას; 2. წმინდანთა „შინა-სახის“, იკონოგრაფიული გამოხატვა; 3. შესაქმის მშვენიერებისა და სამყაროული წესრიგის ჩვენება; 4. სათნოების, სიყვარულის, აზრის სილამაზის გადმოცემა; 5. ადამიანური სულის სიდიადისა და ღირსების სიმალის დამტკიცება.

გამომცემლობა „უნივერსალის“ მიერ დასტამბული ნიგნი სამეცნიერო-პოპულარული ჟანრის თარგზეა მოჭრილი. რედაქტორები არიან ვასილ მაღლაფერიძე და მერაბ ბუჩუკური; რეცენზენტები: ეკა დულაშვილი და ლია კარიჭაშვილი.

ედღვნება რევაზ სირაძის ხსოვნას.

მოსწავლეს ევალება და ივალებს კიდევ დიდი მასწავლებლის ხსოვნის დაფასებას. რევაზ სირაძემ ბევრი კარგი ფილოლოგი აღზარდა, ერთ-ერთი მათგანი გიორგი ალიბეგაშვილიც არის.

არის ამ მიძღვნაში რაღაც ამაღლელებული და პათეტიკურიც კი, მაგრამ უფრო მეტად არის ღირსების გრძნობა და ტრადიციის პატივისცემა, რის გარეშეც არ



არსებობს არც კულტურა და არც საზოგადოება.

ნიგნს ეტყობა იმ სკოლის სტილი, რომელიც რევაზ სირაძემ შექმნა. მაგრამ ეს დამლა არ არის, ნიშანია.

გიორგი ალიბეგაშვილს აქვს კვლევის სტილი, გნებავთ, დავარქვათ მიმართულება, წესი, თუნდაც არჩევანი: თეორია ტექსტის პრიმატი. ბოლომდე უღრმავდება წყაროს და ინდუქციურ დასკვნას მაშინ აკეთებს, როდესაც ტექსტის სტრუქტურას ბოლომდე ამოიცნობს.

სიღრმე და სანდოობა — სტილის ნიშანი.

შინაარსობრივად ნიგნი საკმაოდ მრავალფეროვანია. პოეტიკურ-ესთეტიკურ-ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განხილულია ისეთი თემები, როგორებიცაა ქართლის მოქცევა, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული

პარალელები, კულტურული ურთიერთობანი, ბიბლიური პარადიგმები, ჰიმნოგრაფია და ასკეტიკა, ავტორი და პერსონაჟი, ენა და ტექსტი, კულტუროლოგიური პარალელები და ტიპოლოგიური შეხვედრები.

რეცეფციული ხასიათის ჟესტი ანუ რევერანსი მკითხველის წინაშე! — წიგნს ერთვის სპეციალურ ტერმინთა და სიტყვათა განმარტებანი. ასზე მეტი სიტყვა და ტერმინი სიღრმისეულად, სწავლულის პატიოსნებით არის განმარტებული.

შინაარსობრივ მრავალფეროვნებას თემატური მრავალფეროვნება განაპირობებს. საკითხების რკალი ფართოა:

კონსტანტინე დიდი და ქართლის მოქცევა.

უცხოური წყაროები საქართველოს მოქცევის შესახებ;

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საკუთარი მოღვაწე;

„შუშანიკის წამება“ და წმიდა სოფიასა და მისი ასულების მარტვილობა“;

იაკობ ხუცესი – ავტორი და პერსონაჟი; გამოცხადების ენა და ახალმოციქული წმიდა ნინო;

იოანე ოქროპირის, გრიგოლ ხანცთელისა და ფრანჩესკო ასიზელის „ცხოვრებანი“;

წმიდა ათონელი მამების — იოანეს, ეფთვიმესა და გიორგის „ცხოვრების“ ბერძნული ვერსია;

დაუჯდომელი წმიდისა და მოციქულისა ნინოსი.

ჰაგიოგრაფიული თხრობა, როგორც საეკლესიო ლიტურგურის დისკურსი, გიორგი ალიბეგაშვილის აზრით, რელიგიური შინაარსის გარდა, ეროვნულ-კულტუროლოგიურ მნიშვნელობასაც იძენს.

აღმსარებლობა და კაზმული სიტყვა — ფუნქცია და მიზანი.

მართლაც, ქრისტიანობა საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსთვის მხოლოდ რელიგია კი არ იყო, არამედ ეროვნული ღირსებისა და კულტურული თვითმყოფადობის სანინდარი.

ჰაგიოგრაფია თავიდანვე მჭიდროდ უკავშირდება ეროვნულ პრობლემატიკას. წმინდანთა ცხოვრება კულტურული ტრადიციის ნაწილი ხდება.

ქართული სიტყვიერების წიაღში ჰაგიოგრაფიის დაბადება ტრადიციის დაბადებას ნიშნავდა.

მონამის ბელეტრიზებული ამბავი ამაღლებული გრძნობით აღავსებს ადამიანებს და ხელს უწყობს მასობრივ მობილიზებას, რადგან ჰაგიოგრაფია პასუხია არა მარტო სარწმუნოებრივ, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზეც.

ჰაგიოგრაფიული ტექსტი არის მარადი ანმყო, რომელიც მიმდინარეობს მაშინ, როცა ვეხებით, ვკითხულობთ ან ვისმენთ. გაგებისა და წარმოსახვის ძალით ხორციელდება კვლავშექმნის, კვლავგანცდის პროცესი.

ჰაგიოგრაფიის სტილი სოციო-კულტურული მოვლენაც არის. იმ დროის, იმ გარემოს ხელწერაა, საიდანაც ამოიზრდება.

წმინდანის ცხოვრების აღწერა ანუ ჰაგიოგრაფიული თხრობა არის კულტურული მოდელი თავისი კონცეპტუალური შინაარსით. ნაწარმოების შექმნის პროცესში შთაგონება და ჟანრული ტექნიკა რელიგიური იდეას ექვემდებარება; რელიგია არის ცენტრი, საიდანაც იმართება ჰაგიოგრაფიული იდეოლოგია. როგორც კულტურული პერიფერია.

ყოველგვარი კულტურა რელიგიაზეა აღმოცენებული და მის გარეშე არ არსებობს.


ყოველი კულტურული პერიოდი ქმნის თავის ტექსტს, რომელსაც აქვს წარმოშობის შინა და გარე მიზეზები. შინა მიზეზი არის სწრაფვა ჭეშმარიტების გამოხატვისაკენ, გარე მიზეზი — ეროვნულ-საზოგადოებრივი ფუნქცია. ჰაგიოგრაფიამ შეიმუშავა ეროვნულ-საზოგადოებრივი გმირის იდეალი, რომელიც იცავს ჭეშმარიტებას, სარწმუნოებას.

„სარწმუნოების მტკიცედ დაცვა ნიშნავდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას. ამაზე მაღალი ესთეტიკური იდეალი მაშინდელ მწერლობას არა ჰქონდა“, — წერდა რევაზ სირაძე.

ეს თვალსაზრისი იკვეთება გიორგი ალიბეგაშვილის წიგნის თითქმის ყველა თავში, უფრო სწორად, ეს არის ლაიტმოტივი, რომელიც ზოგჯერ არ ჩანს, მაგრამ მუდმივად გეხმის, როგორც პერსევერაცია, როგორც სასიამოვნოდ აკვიატებული მელოდია.

ჩავთვალთ ამ მელოდიის ერთ-ერთ ბგერად ეს წიგნიც: ჰაგიოგრაფიული თხრობა — Hagiographic Narrative.





ვასილი როზანოვი

ნიგნიდან „ბანმარტოეხული“

*
ყოველდღე იცოცხლე ისე, თითქოს მთელი შენი სიცოცხლე სწორედ ამ დღისთვის ცოცხლობდი.

*
მთელი ლიტერატურა ფუჭსიტყვაობაა, თითქმის მთელი...
გამონაკლისი მომაკვდინებლად ცოტაა.

*
ორი ანგელოზი მიზის მხრებზე: სიცილის ანგელოზი და ცრემლების ანგელოზი. და მათი მუდმივი დავისგან ითხზვის ჩემი სიცოცხლე.

*
სიცილი ვერავის ვერ მოკლავს. მას შეუძლია მხოლოდ გასრისოს.

*
მე ვიხუთები აზრში, და რა სიამოვნებას ვგრძნობ ამ ხუთვაში. აი, რატომაა მთელი ჩემი სიცოცხლე, ეკლებსა და ცრემლებს შორის, მაინც ხალისი და ტკბობა.

*
აბრაამი იხმო ღმერთმა; მე კი თვითონვე ვიხმე ღმერთი. აი, მთელი სხვაობა.

*
მე ვგავარ ჩვილს დედის საშოში; მაგრამ მას სულაც არა სურს დაბადება; „აქაც თბილად ვარ“.

*
მე საჭირო არა ვარ: არაფერში არა ვარ ისე დარწმუნებული, რომ საჭირო არა ვარ.

*
რამდენ მშვენიერს ჰპოვებ ადამიანში, სადაც არც კი ელი.
და რამდენ ბიწიერს, — სწორედ იქ, სადაც არ ელი.

*
ღმერთო, ღმერთო, რაისათვის დამივიწყე მე? ნუთუ არ იცი, რომ ყოველთვის, როცა მივიწყებ, მე ვიკარგები.

*
ო, ჩემი სევდიანი „ცდები“. რისთვის ვარჩიე ყველაფერი მცოდნოდა. ახლა კი ველარ მოკვდები მშვიდად, რისი იმედიც მქონდა.

*
მინდა კია, რომ ფართოდ განივრცოს ჩემი მოძღვრება?
არა.
დიდი მღელვარება იჩენდა თავს; მე კი ისე მიყვარს სიმშვიდეც, დაისიც და საღამოს ზარის წყნარი რეკვაც.

დედათქვენი

ბავშვებს

და ჩვენ ვიცხოვრეთ წყნარად, დღიდან დღემდე, მრავალი წელი; და ეს იყო ჩემი ცხოვრების უკეთესი ჟამი.

*
აი, მე ვასრულებ იმით, რომ ყოველივე რუსული მძულს. რა სამნუხაროა და საშინელი.

სამნუხაროა, განსაკუთრებით, სიცოცხლის ბოლოს.

*
დიდება გველია. ნურც შემეხება ნურასდროს მე მისი გესლი.

*
რად გინდა „მეგობარი მკითხველი?“ განა „მკითხველისთვის“ ვნერ? არა, ვნერ შენთვის.

რატომღა ბეჭდავ?

ფულს იძლევიან.

სუბიექტური თანხვდა გარეგან ვითარებას.

ასე იქმნება ლიტერატურა. და მხოლოდ.

*
ყოველგვარი სიყვარული მშვენიერია. და მხოლოდ ის ერთია მშვენიერი.

რადგანაც დედამინაზე ერთადერთი „თავის თავშივე ჭეშმარიტი“ სიყვარულია.

*
ვინ ჩადის მინაში სუფთა სულით? ო, როგორ გვჭირდება განმენდა.

*
ბედი იფარავს მათ, ვისაც ის ართმევს დიდებას.

*
რა მიედინება სულში? მუდამ, ყოველთვის; რა? რისთვის, ვინ იცის? — ყველაზე ნაკლებ — ავტორმა.

*
ნუ ჩახვალ კიბით შენი სახლიდან, — იქ ბოროტებაა.

სახლს იქით ბოროტებაა თუნდაც იმიტომ, რომ იქ გულგრილობა სუფევს.

*
სტილი საგანთა სულია.

*
სიცივე გულზე. თუ იცნობთ მას?

*
მე არა ვარ მოდავე ღვთისა, და არ ვულალატებ მას, როცა ლოცვისას არ მაღირსებს „მონყალებას“. მე მიყვარს იგი, მისი ერთგული ვარ, და რასაც არ უნდა იქმოდეს, არასდიდებით არ ვიტყვი მის აუგს, არამედ მხოლოდ ვიტყვებ ჩემზე.

*
შიშვლები ვიზადებით და შიშვლები ჩავდივართ მინაში.

რა არის ჩვენი ტანსაცმელი?

ჯილდოები, გვარიშვილობა, მდგომარეობა.

სასეირნოდ.

*
ეს ადგილი ჭიებით და ხრწნილებით სავსეც რომ იყოს, აქ მაინც დავრჩები.

ბრიყვებთან დავრჩები; გაიძვერებთანაც დავრჩები.

აქ ლაპარაკობენ სულის უკვდავებაზე, ღმერთზე, მარადიულ სიცოცხლეზე, ჯილდოსა და სასჯელზე.

აქაა საკურთხეველი. ჭეშმარიტი საკურთხეველი; ერთადერთი დედამინაზე. და ყველანი ნავალთ აქედან.

*
წარმართობა დილაა, ქრისტიანობა — საღამო.

ყოველი ერთეული საგნის და მთელი სამყაროსი.

*
ტექნიკამ, სულს რომ შეუერთდა, ყოველისშემძლეობა მიანიჭა მას. მაგრამ მანვე გასრისა იგი. მოგვევლინა „ტექნიკური სული“ — ცონტრადიქციო ინ ადჯექტო (წინააღმდეგობა განსაზღვრებაში).

და შთაგონება მოკვდა.

*
სატანამ ძალაუფლებით აცთუნა პაპი, ლიტერატურა კი აცთუნა დიდებით.

*
ღმერთო ჩემო! მარადისობავ ჩემო!

როგორ ხტის ჩემი სული, როცა შენზე ვფიქრობ.

და ყველაფერი უჭირავს შენს ხელს; მე რომ ვუპყრივარ, ამას გამუდმებით ვგრძნობ.

*

მიმაქვს ლიტერატურა როგორც ჩემი კუბო; მიმაქვს ლიტერატურა როგორც ჩემი წუხილი, მიმაქვს ლიტერატურა როგორც ჩემი ზიზღი.

*

დიდება არა მარტო სიდიადეა. დიდება სწორედ სიდიადის დაცემის დასაწყისია. უყურეთ ეკლესიებს და მეფეთა სამეფოს.

*

რატომაა ადამიანებში ამდენი თუჯი? ნაჭარბი მეტალი?

რატომ არ შეიქმნენ ოქროსაგან? „ოქრო ანგელოზებს ეკუთვნის“.

*

იქნებ ჩვენი ხალხი ცუდიცაა, მაგრამ ის ჩვენია, და ეს წყვეტს ყველაფერს.

*

სიკვდილი ისაა, რის შემდეგაც აღარაფერი აღარაა საინტერესო.

მაგრამ ის ყველასათვის დადგება.

*

ნამდვილ სერიოზულობას ადამიანი აღწევს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ.

*

გაზაფხულის ყვავილივით გადის სიცოცხლე. რა საშინელია ეს „გადის“. საშინელია სწორედ კატეგორია: საშინელია დროსთან ეს კავშირი.

ადამიანი დროებითია. ვის ძალუძს ამ აზრის ატანა?

*

არადა, არსებითად, ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! ჩემს სულში ყოველთვის იდგა მონასტერი.

*

რა მხოლოდ შენზე ფიქრობ? ხალხზე გეფიქრა. არ მინდა.

*

ჩემი თავი ღრუბლებს ქვემოთ ქანაობს. მაგრამ რა სუსტია ფეხები.

*

მტკივა სული, მტკივა სული, მტკივა სული...

და რა ვუყო ამ ტკივილს — არ ვიცი.

მაგრამ მხოლოდ ამ ტკივილით ვარ თანახმა ვიცოცხლო.

ესაა ყველაზე ძვირფასი ჩემთვის და ჩემში.

*

1910 წლის 26 აგვისტო. ხელად დავებრდი.

20 წელიწადს ვიდექი „შუადღისას“. და უცებ — საღამოს 9 საათი.

ახლა აღარაფერი აღარ მჭირდება. აღარაფერი აღარ მინდა. მხოლოდ საფლავი მიტრიალებს თავში.

*

არცერთი ადამიანი არ არის ქების ღირსი. ყველა მხოლოდ სიბრაღეულის ღირსია.

*

მე მეგონა ყველაფერი უკვდავია; მეგონა და ვმღეროდი.

ახლა კი ვიცი, რომ ყველაფერი მთავრდება, და სიმღერა მიწყდა.

*

მე დავასრულე... რისთვის ვცხოვრობდი?

*

მივდივარ. მივდივარ. მივდივარ. მივდივარ.

და არ ვიცი, სად დასრულდება ჩემი გზა.

*

მკვდარი ქვეყანა. მკვდარი ქვეყანა. მკვდარი ქვეყანა. ყველაფერი უძრავია, და არაფერი არ ჭაჭანებს.

*
რევოლუციას ორი განზომილება აქვს — სიგრძე და სიგანე. მაგრამ არა აქვს მესამე — სიღრმე. და ასე, ამგვარად, მას არასოდეს არ ექნება მწიფე და გემრიელი ხილი. არასოდეს არ დასრულდება.

*
ამ ქვეყნად ყოველთვის დამკვირვებელი ვიყავი და არა მონაწილე. აქედან — მთელი ტანჯვა.

*
მწერლის ტალანტი უნებურად ნთქავს მის სიცოცხლეს. ნთქავს ბედნიერებას, ნთქავს ყველაფერს. ტალანტი ბედისწერაა. ერთგვარი მათრობელი ბედისწერა.

*
ხომ არაა სამყარო სავსე საშინელებებით, რომლებიც ჩვენ სრულიად არ ვიცით? იმიტომ არ ვიცით მთლიანად, იმიტომ, რომ ვერ აიტანდა გონი და, მით უმეტეს, ვერ გაუძლებდა ადამიანის გული. რა უბადრუკი ჩიტუნები ვართ... ბუჩქიდან ბუჩქზე და ხიდან ხემდე.

*
სამყაროს ტკივილმა სძლია სამყაროს სიხარულს. და ოცნებობენ დაუბრუნდნენ სიხარულს. აი, წარმართობის შფოთი.

*
სიმღერები იქიდანვეა, საიდანაც ყვა-ვილები.

*
ეცადე ეძიო განმარტოება, ეცადე ეძიო განმარტოება; ეცადე ეძიო განმარტოება. განმარტოება სულის უკეთესი მცველია; მე მინდა ვთქვა, — მისი მფარველი ანგელოზი. განმარტოებიდანაა ყველაფერი; განმარტოებიდანაა ძალა; განმარტოებიდანაა სიწმინდე.

*
რალა შჩედრინი — გოგოლისა და რალა

მეჯინიბე ალექსანდრე მაკედონელის გვერდით.

*
რუსული კვებნა, სიქველედ გადაქცეული, და რუსული მცონარება, „სამყაროს გადასატრიალებლად შეკრული“, — აი, რა არის რევოლუცია.

*
ღმერთო მარადიულო, იდექი ჩემს გვერდით. ნურასოდეს ნუ გამეცლები.

*
წარმატება სიკეთეშია, და სიკეთე — წარმატებაში.

*
ობობა ერთია, ათი ბუზი კი ქსელში ჰყავს გაბმული. ფრთები რომ ჰქონოდათ, გაფრინდებოდნენ. ობობა კი მხოლოდ დაცოცავს. მზერაც უფრო ფართო აქვთ, ჰორიზონტამდე. მაგრამ ისინი მკვდრები არიან; ობობა კი — ცოცხალი. აი, რუსები და ებრაელები. 100 მილიონი რუსი და 7 მილიონი ებრაელი.

*
მთელი ლიტერატურა (ახლა) ებრაელებს უპყრიათ ხელთ. მათთვის მცირეა ქისა: ისინი მოვიდნენ რუსული სულისთვის.

*
„იმ ქვეყნად“ ჩვენ მუნჯები ვიქნებით. და აღტაცება აღავსებს ჩვენს სულებს. აღტაცება ყოველთვის მუნჯია.

*
ნუთუ აღარ დადგება დილა? ნუთუ ესაა უკანასკნელი საღამო?

*
რუსული ცხოვრება ტალახიანიცაა და სუსტიც. მაგრამ, ასე თუ ისე, საყვარელიც.

*
ჩემს აზროვნებაში ყოველთვის იყო ერთგვარი გაშეშება.

*
მხოლოდ მწუხარება გვივლენს დიადსა და წმინდას.

*
ცხოვრება მოითხოვს ზუსტ თვალსა და მტკიცე ხელს. ცხოვრება არც ცრემლებია და არც გმინვა, არამედ ბრძოლა; დიახ, საშინელი ბრძოლა. ცრემლები „შინ“, „შიგნით“. გარეთ კი — რკინა. და მხოლოდ ის სახლია მტკიცე, რომელსაც გარს ავლია რკინა.

ჩემში ცოტა იყო რკინა. და, აი, რატომაც უჭირდა დედას. ის მიაგორებდა ურიკას და იცავდა მას. იბრძოდა ჩემთვის. და მძლოლი წაიქცა. მე კი მხოლოდ დავტირი მას.

*
მღვდლები — ბრინჯაოს ლაშქარი ქრისტეს გვერდით.

*
მე არ მინდა ჭეშმარიტება. მე მინდა სიმშვიდე.

*
მწერლობის საიდუმლო თითების წვერზეა, ორატორისა — ენის წვერზე.

*
რაც არის, მე წარმოუდგენელი მეჩვენება, რაც არა — ნამდვილი.

*
ღმერთო ჩემო, მარადისობაე ჩემო; რატომ მიხოძე ამდენი მწუხარება მე?

*
უნივერსიტეტებს კი არ აღუზრდიათ ნამდვილი რუსი ადამიანი, არამედ წერაკითხვის უცოდინარ ძიძებს.

*
ჩვენ არსებობის ზოოლოგიურ ფაზას კი არ გავდივართ, არამედ — ქვის ხანისას.

*
ბრიყვია ჩემი სიცოცხლე? ყოველ შემთხვევაში, არც ისე ჭკვიანი.

*
ტოლსტოი გვაცვიფრებს, დოსტოევს კი გვალეღვებს.

*
უყურეთ, ბოროტმოქმედება სიმღერასავით ჟღერს, ქველმოქმედება კი პანაშვიდით ინელება.

*
ადამიანი გულწრფელია ბინში და უგულწრფელო — სიქველში.

*
ბინი ფერწერულია, სიქველე კი მქრქალი. აი, საშინელება.

*
გაულანუნეს მკვებარას სიფათში; აი, სოციალიზმის მთელი ისტორია რუსეთში. და დავინახე შორს სასიკვდილო სარეცელი. დავინახე როგორ კვდებიან გამარჯვებულნი, ძლეულნი კი როგორც მძლეველნი.

და რომ თოვს, და დავინახე მიწა. მაშინ მე ვთქვი: ღმერთო, აგვარიდე ეს, ღმერთო, შეაჩერე.

და გამარჯვება გაფერმკრთალდა ჩემს სულში; იმიტომ, რომ გაფერმკრთალდა სული. იმიტომ, რომ სადაც კვდებიან, არ იბრძვიან იქ. არ იმარჯვებენ და არც გარბიან.

მაგრამ რჩებიან უძრავი ძვლები, რომლებსაც ათოვს.

*
რევოლუციები დაფუძნებულნი არიან ენთუზიაზმზე; სამეფონი — მოთმინებაზე.

*
კეთილ დასაწყისს მშვენიერი დასასრული მოსდევს, რის სიმართლესაც თვით საქმის შედეგი გვიჩვენებს.

აი, დასაწყისი, ადამიანებისთვის კეთილი დასასრული რომ მოაქვს: წმინდად იღვანე სიცოცხლის განმნდისათვის მოძღვრებით ფრთაშესხმული ნუ იფრენ ნამდვილი ფრთების გარეშე, რადგან ფრინველები უფრთებოდ არ დაფრინავენ.

*
ადამიანის სიცოცხლეში ყველაზე დიდი დიდება ცოდნაა, მაგრამ ისიც კი ვნებს იმას, ვინც ბოროტად იყენებს მას.

*
ფრთხილად, არ მოგატყუოს ფუჭმა დიდებამ; ესაა მახე ჭკუათხელთათვის.

*
სიკეთის ქმნისას ეცადე მტკიცედ იდგე ამ მხრივ, რადგანაც სწრაფია სიკეთიდან უკეთურებაზე გადასვლა

*
მოთოკე სიცილი და ზღვარი დაუდერისხვას; მთელი ძალით ეცადე განდევნო ფუჭი სიტყვა.

*
უნინარეს ყოვლისა, გეშინოდეს ღვთისა; პატივი მიაგე მშობლებს და მოხუცთ.

*
შვილმა არასოდეს დაუნყოს დავა მამას, ბრძანებს კანონი, კანონზე უმაღ კი — ბუნება.

*
რაც არ გინდა სხვებისგან დაითმონო, ნურც სხვას უზამ ამას.

*
მძიმე დანაშაულის ჩამდენს რისხვა არ ესმის, რადგანაც მსჯავრი თანაბრად მიაგებს მას.

*
ბრძნული ბაგეებიდან წვეთენ უტკბილესი სიტყვები, მწარე ხორხი კი ამოანთხევს ლანძღვა-გინებას.

*
ღარიბი მეგობრებისთვის დახშულია მდიდართა კარი, მდიდრებისთვის კი ღიაა ბრწყინვალე სრა-სასახლენი.

*
წყალი საამო სასმელია, ის არ არღვევს აზრის სიცხადეს, ერთი ჯამი ღვინო კი გონებას ამღვრევს.

*
სჯობს მცირედი ჭამო, ვიდრე მდიდრული ვახშამი.

*
ბრიყვი სიზმარში ფულით სავსე ტომრის პატრონზე მდიდარი ხდება.

*
მკვდრისთვის მთელი მინაა კუბო, რადგან ყველაფერი, რაც მინისგანაა, მინასვე მიუბრუნდება.

*
ბრიყვი შვილის ყოლას უშვილობა სჯობს.

საკუთარ სულს

I
საქმე გაქვს, სულო ჩემო, და არცთუ უმნიშვნელო საქმე. გამოიკვლიე შენი თავი, ვინა ხარ შენ, საით ისწრაფვი, საიდან მოველინე ქვეყნიერებას და სად უნდა შედგე. ნამდვილია თუ არა სიცოცხლე, რომლითაც ახლა ცოცხლობ? ან, იქნებ, სხვაცაა მის გარდა?

საქმე გაქვს, სულო ჩემო! შემდეგნაირად განმინდე შენი სიცოცხლე: იფიქრე ღმერთზე და მის იდუმალებაზე; იფიქრე, რა იყავი, სამყაროზე უნინარეს და რას ნიშნავს შენთვის ეს სამყარო? საიდან გაჩნდა და სანამდე ილტვის?

საქმე გაქვს, სულო ჩემო! შემდეგნაირად განმინდე შენი სიცოცხლე: იფიქრე როგორ მართავს ღმერთი სამყაროს თავისი საჭით, და მხნედ მიაქცევს მას: რატომაა ზოგი რამ წარუვალნი, ზოგი კი მსწრაფლ-წარმავალნი; ან მეტადრე ჩვენი სული რად ექვემდებარება გზის კლაკნილობას?

საქმე მაქვს, სულო ჩემო! მიაპყარ თვალი ერთადერთ ღმერთს. რა დიადი იყავი უწინ და რარიგ შებღალულხარ დღეს. რა ბორგავს ჩემში და რა დასას-რული აქვს ჩემს სიცოცხლეს? იფიქრე ყოველივე ამაზე და შეაჩერებ შენი გონების რყევას.

საქმე მაქვს, სულო ჩემო! მთელი ძალღონის გამოცდის მიუხედავად, ნუ დაეცემი.

II
ზეცად აღაპყრე სულო, თვალი, და

დავიწყე ყოველივე ამქვეყნიური, რათა არ დაემორჩილო ცოდვას! დღემოკლეა ეს სიცოცხლე; ბედნიერი თითქოს სიზმარში ტკბება. სხვადასხვაა ყველა ჩვენგანის ბედი. მხოლოდ წმინდა სიცოცხლეა მუდმივი და დღეგრძელი. ამიტომ ყველაფერს ჩრდილავს ამნაირი ყოფა. ზოგისთვის სანუკვარია ოქრო-ვერცხლი, ან უწყვეტი დროსტარება: ეს ბალღური გართობანი სინამდვილეში.

*

წიგნი ძვირი უნდა იყოს. წიგნი არც დუქანია, არც არაყი და არც ქუჩაში მოსეირნე ქალიშვილი.

წიგნი საუბრობს, წიგნი გვმოძღვრავს, წიგნი მოგვითხრობს.

წიგნი ძვირი უნდა იყოს.

ის არ უნდა იყოს აბეზარი. ის უნდა იყოს უმნიკვლო.

ის არავის არ უნდა დასდევდეს კუდში; არავის არ უნდა სთავაზობდეს თავის თავს. ის დევს და „არც ელის მყიდველს“, არამედ მხოლოდ დევს.

წიგნის მოძებნა უნდა შეგეძლოს. ის უნდა ეძიო, და როცა მიაკვლევ, — გაუფრთხილდე და მოუარო.

წიგნი არ უნდა მისცე „წასაკითხად“. წიგნი, რომელსაც წასაკითხად აძლევენ, გარყვნილია. მან რალაც დაკარგა თავისი სულისგან, უმანკოებისა და სისუფთავისგან.

*

ნუთუ პუშკინი დამნაშავეა, რომ ის პისარევს არ წაუკითხავს, და ეკლესიაც დამნაშავეა, რომ ბიუხნერი და მოლეშოტიც „მას ვერ უგებდნენ; და ქრისტიანობა დამნაშავეა, რომ ჩვენ „ვცბედობთ“.

*

მთელი ეს ადგილი ჭიებით და ხრწნილებით რომ იყოს სავსე, მაინც დავრჩები აქ.

ბრიყვებთან დავრჩები, გაიძვერებთან დავრჩები;

რატომ?

აქ ლაპარაკობენ სულის უკვდავებაზე, ღმერთზე და მარადიულ სიცოცხლეზე, ჯილდოსა და სასჯელზე.

აქაა საკურთხეველი, ჭეშმარიტად

საკურთხეველი, ერთი მთელ დედამიწაზე. და სადაც ყველანი წავალთ აქედან.

*

რა არის მწერალი?

მიტოვებული ბავშვები, დავიწყებული ცოლი, და პატივმოყვარეობა, პატივმოყვარეობა.

საინტერესო ფიგურა.

*

რა არის ლიტერატურული სული?

ესაა ჰამლეტი, ესაა სიცივე და სიცარიელე.

*

ჭიაყელამ შვა ჭიაყელა.

ჭიაყელა გასრიალდა.

შემდეგ კი მოკვდა.

*

მთელი ჩემი ცხოვრება მძიმე იყო. შიგნიდან ცოდვები. გარედან უბედურება. ერთადერთი ნუგეში იყო მწერლობაში. აი, რატომაა გამუდმებით რომ ვწერდი.

*

ყველა ჩემი ბინი სველია. ცეცხლოვანი — არცერთი.

არც პატივმოყვარეობა, არც ძალაუფლების სიყვარული, არც შური არ დაგავდა ჩემს სულს.

როგორღა განვსაჯო ის, ვისაც არ ძალუძს სძლიოს ცეცხლოვანი ბინი, როცა არ შემეძლო მეძლია სველი.

*

ყველა დიდ ადამიანს მე თავს მოვაჭამდი. ჩემთვის ნაპოლეონზე მაღლა დგას ჩვენი მოსამსახურე ნადია; ისეთი თვინიერი, საყვარელი და ყოველთვის მოღიმა-რე.

ნაპოლეონი არავის არ აინტერესებს; ნაპოლეონი საინტერესოა მხოლოდ უკეთურთათვის (ბაზარი, ბრბო).

*

ზოგჯერ მეჩვენება რომ მე გადავლახავ მთელ ლიტერატურას.

იმიტომ კი არა, რომ ძლიერი ვარ. მაგრამ უფალია ჩემთან. ასეა ეს. ასე.

*
ნათელი დღე, და ყველანი გამოვეფინეთ ნევის პროსპექტზე. მაგრამ არის საათი, როცა ყველანი წავალთ „შინ“, და ეს „შინ“ — მინაა.

*
საშინელია, როცა დგება ციება სულის. სული იყინება.

*
იქნებ სხვებს არა აქვს უფლება თვითონვე მოკვდნენ; მე კი მაქვს უფლება მოკვდე თვითონვე.

*
ღმერთმა წარმომგზავნა სიტყვის ნიჭით, და სხვა არაფერი არ მოუცია. აი, რატომ ვარ ასე უბედური.

*
ყველაფერი დაიღუპა. ყველაფერი დაიღუპა. ყველაფერი დაიღუპა.
დაიღუპა სიცოცხლე. დაიღუპა თვით მისი აზრი.
თვალი ვერ მივაღვენე.

*
იტანჯება სული. იტანჯება საშინელი წამებით.
ჩემი დილა — უსინათლოდ, ჩემი ღამე — უძილოდ.

*
ყველაფრისგან წავედი და არსად მივედი.

*
მალე დასრულდება ჩემი დღენი. ო, რა ფუჭია ისინი ჩემთვის. „მძიმე როდია ეს დრო, მაგრამ მძიმეა ყველა საათი“.

*
მივუტევეთ მათ ცოდვა, რათა მათაც მოგვიტევეთ ჩვენი ცოდვები.

*
სიჩუმე კურნავს სულს.

*
სამყარო სვლაა.

და როცა მიჩუმდებიან ნაბიჯები, სამყარო დამთავრდება.

*
ყველაფრის ბოლოს ღმერთია. და ყველაფრის დასაწყისიც. ღმერთი. ის ყველაფერია; ყველაფრის ფესვი.

*
ცოტაა მზე, — აი, ახსნა რუსეთის ისტორიის.

და გრძელი ღამეები; აი, ახსნა რუსული ფსიქოლოგიურობის.

*
ბებერო, საყვარელო ბებიებო, გაუფრთხილდით რუსულ სიმართლეს; სხვა ველარავინ გაუფრთხილდება.

*
ეკლესია საზოგადოებისა და ხალხის სულია.

განა შეიძლება ხელი აღმართო სულზე? ბინიერიც რომ იყოს.

*
მოკვდა! მოკვდა! — ყმუის მხეცი ადამიანი.

ეკლესია მივიდა და ჩუმად თქვა:
— არა, გარდაიცვალა.
მხეცს სახეზე მოუსვა ხელი, და მხეცი ადამიანად იქცა.

*
მაღლი მიაგე არსებობის ყველა წამს და ყველა წამი უკვდაყვავი.

*
აზრი მარადისში კი არ არის, არამედ წამებში.

*
სიცოცხლის საშინელი სიცარიელე. ო, რა საზარელია ის.

*
ვისაც არ განუცდია მწუხარება, მან არც რელიგია იცის.

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძე




ფრენსის ოტო მატისენი

ოკეანე

(წიგნიდან: „ამერიკული რენესანსი“)

უიტმენისეული ფორმის ანალოგია მუსიკასთან მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნურ იდეად იმიტომ არ დარჩა, რომ ოკეანამ შთააგონა და რიტმის ხელშესახები საფუძველი შეასწავლა. აშკარაა, როგორც მერი ოსტინი ამტკიცებდა¹, რომ ჩვენს ტრადიციულ პოეტებს სწამდათ, პოეზიის წყარო ინგლისშიაო და ისე იქცეოდნენ, თითქოს რიტმი მხოლოდ ნასწავლის იმიტაცია ყოფილიყოს. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებმა ბაირონისა და კიტსის მიმდევრებმა იმაზე მეტი წვდომის უნარი ვერ გამოამჟღავნეს, ვიდრე წინა საუკუნეში პოპის მიმდევრებმა, რომ პოეტური რიტმი იყო გამოცდილების ექო — ექო სხეულის შინაგანი გულისცემისა, მისი გარეგნული მოძრაობისა შრომისა თუ სიყვარულისას, ექო ისეთი ბგერებისა, ქარი და ზღვა რომ შობს. ემერსონი ჩასწვდა ნაკლოვანებას, ხოლო მძიმედ ტანჯულმა პომ რეალური ტრაგედიის ხშირი გამოკრთომით გარდაქმნა დაჭიმული რომანტიკული მოდულაციები ზღაპრულ სამყაროდ. უიტმენის სურვილი კი, უკუეგდო ნასესხები რიტმები პოეზიის პირველყოფილი ევოლუციის გამოსაცოცხლებლად, მის მიერ განეული შრომით გამოჟღავნდა.

თუკი პოეზიის სანყისი ცეკვაში უნდა ვეძიოთ, უნდა ვეძიოთ „შენყობილ ფეხთა“ (გუმერის ფრაზა რომ მოვიშველიოთ) ხმის აწევასა და დადაბლებაში, ხოლო მერე მისი განვითარების ფაზები მკაცრ წესრიგში უნდა გავიაზროთ: პირველია მოძრაობა; შემდეგ — ბგერა (ანუ მელოდია); შემდეგ — აზრი (ანუ სიტყვები). როგორც ნახევრადგანათლებული ჟურნალისტი, უიტმენი ყველაზე შორს იდგა ცხოვრების სანყის მიზეზ-



თავან და ამიტომაც თავის პირველ ნაწერებში მხოლოდ და მხოლოდ აზრით ხელმძღვანელობდა. შემდგომ, მუსიკითა და ორატორობით მოხიბლულმა, დაინყო შერწყმა ბგერისა და მოძრაობის უფრო მდიდრული იმპულსებისა. ამან მიაგნებინა საკუთარ გზას, რადგან აქ იყო ჩადებული (მისი სიყვანვილისა და მოწიფულობის დროინდელ ინტერესთა მიღმა) ცოდნა ბუნებრივი რიტმისა, რამაც იგი ბავშვობის უადრეს ცნობიერებამდე დააბრუნა. წინაპრების შესახებ მოწვედილ ცნობებში აღნიშნავდა, რომ მისი ოჯახის ორივე შტო თაობათა მანძილზე ახლოს ცხოვრობდა ზღვასთან, „ესმოდათ მშვიდ საათებში ზვირთცემის ღრიალი“. იმასაც აღნიშნავდა, რომ მისი პირველი თავ-

გადასავალი იყო სანაპიროზე სეირნობა და თვალყურისდევნება კაცებისა, როცა ისინი მარილის ბორცვებს ჭრიდნენ ან მოლუსკებს აგროვებდნენ და თევზაობდნენ. და სულაც არ არის საოცარი მისი შემდგომი სიტყვები, „პირველად რაიმე მარადიულის გაკეთება მაშინ მომინდა, როცა აფრებგაშლილი ხომალდი დავინახე, მსურდა აღმენერა სწორედ ისე, როგორც ვხედავდი“. ეს სიმბოლო მოძრაობის მშვენიერებისა, რაც გრინაუმ ეპოქის შესატყვისად მიიჩნია, პირადად უიტმენს ეკუთვნოდა.

როცა უიტმენი ახსენებდა „თხევად-დენად მარცვლებს“, იმედოვნებდა ისეთი ეფექტისათვის მიეღწია, გაკვრით რომ აღნიშნავს, როგორც შესაძლო გენეზისს ლექსისათვის: „ზღვის პირას, წყალში კოჭამდე ჩაფლული შიშველი ფეხის ხმა“. იგი კვლავ და კვლავ ცდილობდა აღენერა, თუ რა სურდა პირველყოფილი ძალისაგან და სხარტად გადმოსცა ეს, როცა განაცხადა, თუ არჩევანი მექნა, გავუთანასწორდე უდიდეს პოეტებს თემით, საზომითა თუ სრულყოფილი რიტმით,

*ამას, ამას, ო ზღვაო, ყველაფერ ამას
სიამოვნებით გაცვლიდი
ერთ ტალღის რწევაში,
მისი მოქნილობა რომ შემეძინა,
ან სუნთქვა, შენი ერთი სუნთქვა,
ჩემს ლექსში რომ გადმოსულიყო,
და თავისი სურნელი დაეტოვა.*

აქ იგი ახლოა ტოროსთან, რომელმაც ასევე უარყო მუსიკალური ტექნიკა და თავისი განცდების საუკეთესო შთაგონება ბუნების ჰარმონიაში ჰპოვა. უიტმენის სრული ცოდნა რიტმის ორგანული საფუძვლისა, რაც მან განავითარა თორმეტზე მეტი ლექსის ჩანანერში, თავმოყრილია, რამდენადაც მას თავმოყრა შეეძლო, მისი „რჩეულნი დღენის“ ერთ-ერთ თავში:

„ყმანვილობისას ვოცნებობდი, მსურდა დამენერა თხზულება, ალბათ ლექსი, ზღვის ნაპირის შესახებ — იმ დამაფიქრებელ, გამყოფ ზოლზე, კონტაქტზე, შემაერთებელ ადგილზე, სადაც მკვრივი ეულლება თხევადს — იმ რაღაც უცნაურ, საიდუმლო თავშესაფარზე (რადგან, უეჭველია, ყოველი ობიექტური ფორმა, ბოლოს და ბოლოს, სუბიექტურ სულად იქცევა), რაც უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ის, რასაც პირველი დანახვისას აღვიქვამთ, ისეთივე დიადზე, თვითონ რომ არის — ერთმანეთს რომ უერთებდა რეალურსა და იდეალურს და

თვითეული მეორის ნაწილი ხდებოდა. საათების, დღეების განმავლობაში, ჩემს ლონგ აილენდზე, სიყმანვილობისა და დაცუებისას, დავდიოდი როკფელისა და კონი აილენდის სანაპიროებზე, ან აღმოსავლეთით ჰემპტონსა თუ მონტაუკში. ერთხელ, სწორედ აქ, მონტაუკში (ძველი შუქურის გვერდით, როცა ირგვლივ ზღვის მეტი არაფერი ჩანდა, სადამდეც კი თვალი განვვებოდა), კარგად მახსოვს, ვიგრძენი, რომ ერთ დღეს უნდა დამენერა წიგნი, სადაც გამოვხატავდი ამ თხევად მისტიკურ თემას. შემდგომ, მახსოვს, როგორ შემოიჭრა ჩემში ის აზრი, რომ საგანგებო ლირიკული, ეპიკური თუ ლიტერატურული ცდების ნაცვლად ზღვის სანაპირო უნდა ქცეულიყო უხილავ გავლენად, ყოველსმომცველ კრიტიკრიუმად და ნიშნად ჩემს თხზულებებში“.

უიტმენი აქ გრძნობს და ჭვრეტს კიდევ უშუალო განცდათა მონაცვლეობისა და საიდუმლოს შერწყმას. ზღვისა და მიწის შეერთების აღწერაში „მკვრივი ეულლება თხევადს“. იგი ინსტინქტურად ითავისებს სქესობრივ სიმბოლიზმს, რაც მუდამ გვხვდება მის ყველაზე უფრო ცოცხალ გამოთქმათა საფუძველში. გაცნობიერებული აქვს თუ არა ეს სიმბოლიზმი — როგორც ლორენსს ან სხვა პოეტს, ვინც ფროიდის გავლენა განიცადა — (მას მერე, რაც ყურადღება გაამახვილა ლონგ აილენდის ინდიურ სახელზე, „თევზის ფორმის პომანოკიდან მოყოლებული, სადაც დავიბადე“), იგი ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას, გადმოსცეს „ტალღების შმაგი ზვირთცემა მიწაზე“. ეს აძლიერებს უიტმენის მრავალი ლექსის ეფექტს, მის „ელექტრულ არსს“ რომ შეეხება, რადგან ამით იქმნება ნახევარტონი ჩიტის სიმღერისათვის ლექსში „ნარად მრწეველი აკვნიდან“, რამაც გამოაღვიძა და სიყვარულის აზრი შეაძენინა ბიჭს სანაპიროზე. ხშირად უიტმენის წარმოსახვა უფრო პირდაპირაც არის მიმართული, როცა ამბობს:

*ჩემი საყვარელი ზღვის მარილი მაყრია,
ვნეწარ შიშველი
და სურვილით აღვსილი.*

სხვა განწყობილებისას იგი ფიქრობს იმ მიუწვდომელ ძალაზე, რაც ამ ქაფის თხელი ფენის ქვეშაა და რადგან უიტმენის სიმბოლო იცვლება, გვახსენდება ის მრავალი ძირეული რამ, რასაც მეღვიღმა მიაგნო და რაც ზღვით იყო გამოხატული, როცა იგი

უპირისპირებდა ზღვის „უნაპირო, უნავსად-გურო უსაზღვრობას“ მიწის მშვიდობიანი თავშესაფრის ზოლს, ან შიშით ფიქრობდა იმ სისასტიკესა და სიკვდილზე, რასაც ზღვის ზედაპირის მოჩვენებითი სიმშვიდე მალავდა. თავისი მედიტაციები მეღვილმა უიტმენზე გაცილებით ღრმად განავითარა, მაგრამ მისთვის სანყისი თვალსაზრისი ყოფის ჯერ ჩაუნვდომელი ადგილები იყო, რაც სიმშვიდის მომგვრელი რიტმებით გაიხსნა. მეღვილმა ეს პროცესი ანძის წვერზე დგომის მრავალ აღწერაში მიაწინა, როცა ამბობდა, „აქეთ-იქით ვირნეოდი უსაქმოდ მდგარი, თითქოს მოჯადოებულ ჰაერში ვყოფილიყავი... ამ მიძინებულ განწყობილებაში ვკარგავდი მთელ ცნობიერებას, ბოლოს და ბოლოს ჩემი სული გათავისუფლდა სხეულისაგან“. ასეთი ოცნება ძალზე ახლობელი იყო უიტმენისათვის.

კოლრიჯის პრინციპი, რომ დაპირისპირებულთა გაერთიანება არსებითია ყველა დიადი ხელოვნების ნიმუშის შექმნისას, მეღვილის რწმენის მიღმა დაიძებნება, რწმენისა, რომ მშვენიერება უნდა შეკავშირდეს ძალის შემნობით, და, აგრეთვე, უიტმენის სურვილის მიღმაც, რომ ზღვამ „კოსმიური სანყისი ვნებით“ უნდა მიანიჭოს მას ზუსტად იმდენი, რამდენიც დახვეწილობითა და მოჩურჩულე „სიმშვიდით“. უიტმენმა საკმაოდ მკაფიოდ განაცხადა თავისი პრინციპები სხვა შემთხვევაში, როცა განავითარა ის, რასაც ზემოთ ხაზგასმულ სიტყვაში გულისხმობდა, არაპირდაპირ გავლენაში, რასაც მის თხზულებებზე ახდენს აზვირთებული უხილავი ტალღები: „ამის ანალოგი არის ოკეანე. ოკეანის ლექსები თხევადი, აზვირთებული ტალღებია, სულ რომ ყალყზე დგებიან და ეცემიან. თუნდ მზიანი და მშვიდნი იყვნენ, თუნდ ქარიშხლისაგან გადარეულნი მუდამ მოძრაობენ, მუდამ ერთმანეთს ჰგვანან, საკუთარი, აგორებული ტალღის ბუნებით, მაგრამ ძნელად თუ მოიძებნება ორი, სიდიდითა და ზომით (სალექსო მეტრით) ზუსტად ერთმანეთის მსგავსი ტალღა, მათ არასოდეს აქვთ რაღაც დამთავრებულის, გაყინულის განწყობა, მუდამ რაღაც მიღმა მყოფზე მიანიშნებენ“. უიტმენი აქ ეხება ზღვის მეტად კონტრასტულ ასპექტებს, სიმშვიდესა და ქარიშხალს და ეს ორივე მის გულისთქმას გამოხატავს, მაგრამ თავისი კონცეფციის ნიშანდობლივ განსხვავებასაც ამჟღავნებს, თუ როგორ უნდა გადმოიცეს ეს ყოველივე მის ლექსებში. კოლრიჯი, საზომის

სანყისებს რომ ეძიებდა, რათა გაეწონას-ნორებინა სპონტანური მცდელობით შთაბეჭდილებამიღებული გონება ვნებისაგან შექმნილ თხზულებათა განხილვისას, ლექსს მიიჩნევდა ემოციისა და მისი კონტროლის ნაყოფად, ჰარმონიად, ამ ანტაგონისტთა მტკიცე კავშირით რომ იქმნება. უიტმენმა ეს დაძაბულობა თითქოს ხელოვნების საფუძველში შეიგრძნო, როცა საუბრობდა დანოლაზე „ზღვის დინების მთელი დუღილისა, იმ გამოუთქმელ რაღაცაზე ჩემს სულში, რაც მაგებიანებს, ისე, რომ ვერც კი გამოითქვამს, საიდან ვიცი“. მაგრამ უიტმენი არ ცდილა, ლექსში ამ დაძაბულობის დაძლევა ეჩვენებინა. მან ამ პრობლემას გვერდი იმით აუარა, რომ მთლიანად უარყო მოძღვრება საზომის შესახებ, რათა სურვილისამებრ „აელაპარაკებინა ბუნება, შეუმომებლად, პირველყოფილი ენერგიით“. ზღვა უიტმენს იმას კი არ უბიძგებდა, რომ თავისი საკუთარი რიტმი შეექმნა. მას სურდა შეეთვისებინა ზღვის სტიქიური ძალა ზღვასთან საკუთარი თავის გაიგივების მეშვეობით.

ადამიანსა და ბუნებას შორის არსებული განსხვავების ამ გაქრობით შეიძლება, აგრეთვე, ამოვიკითხოთ მიზეზი მის შემოქმედებაში ტრადიციული პოეტური მიმართულების გათქვეფისა და დანანევრებისა. როგორც მერი ოსტინმა დაასკვნა, მისი რიტმების ანალიზის შედეგად, „უიტმენი მგრძნობიარე გახლდათ დიდი საგნებისადმი, რაც მას უნივერსალობაში ეძლეოდა, ამგვარი წარმოდგენა დიდ როლს ასრულებდა მის შემოქმედებაში, იოლად განსჯიდა და არცთუ ნათლად აყალიბებდა დასკვნებში ამერიკული ტიპის შესახებ“. მაგრამ მერი ოსტინს ასევე უნდა სცოდნოდა, რომ უიტმენის არეულ-დარეულმა ამბოხმა უზარმაზარ გამარჯვებას მიაღწია. ორატორობას რომ მიუბრუნდა, მან გუმანით აღიარა, რომ მისი ხელოვნება მუდამ უფრო ახლოს იყო ამერიკელ ხალხთან, ვიდრე ნებისმიერი მანამდელი ლექსი. მან არც კი იცოდა, რომ ახლა აღმოვაჩინეთ მრავალი რამ, წარმოჩენილი მისდროინდელ შრომისა და ზღვის სიმღერებში, რომ ამ სიმღერების რიტმი, რაც აღძრულია უშუალოდ „კონსტრუქციული ძალის წვასა და დუღილისაგან“ უფრო სანდოა, ვიდრე ის, რასაც ლონგფელო წიგნში კითხულობდა და გადმოწერას ცდილობდა. რაც არ უნდა იყოს, მრავალი უიტმენისეული აღწერილობა კაცთა თუ ქალთა ყოველდღიური საქმიანობისა, არის ნაყოფი რიტმის ხელშესახები საფუძვლის აღმოჩენისა, რაც

მას პირველად ეწვია ტალღების ყალყზე შედგომისა და დაშვების ხილვისას:

**მენავენი და მოლუსკების შემგროვებელნი
ადრე ამდგარიყვნენ
და მიცდიდნენ,
ჩექმებში ჩავიტანე შარვლის ბოლოები,
ნავედი და ჩინებული
დრო გავატარე;
ნეტა ჩვენთან ყოფილიყავ იმ დღეს, თევზის
წვნიანით სავსე
ქვებს რომ ვუსხედით.**

მაგრამ უიტმენის რიტმები აქ, უპირველესად, მიზანსწრაფულ აქტივობას კი არ გადმოსცემს, არამედ თავისუფალი, სიცოცხლით სავსე არსებობის სიხარულს.

ეს დასკვნა, როგორც ჩანს, საერთოდ აღიძვრის მისი ეული ზმნების, მოძრაობის გამომხატველი ზმნების წყალობით. არავინ კითხულობდა, ნეტა სხვა რომელიმე ლექსში თუ მოიძებნება ამდენი ზმნა და მიმღეობაო. მაგრამ როცა იგი დაიჟინებს, „ტივტივი“ და „დინება“ ნაკლებ ნიშანდობლივია უიტმენისათვის, ვიდრე „ამოსვლა“ და „გაბიჯება“, იგი პოეტის აქტიურ ბგერას გაცხილებით უფრო ენერგიულად მიიჩნევს, ვიდრე თვით ლექსთა ქსოვილი იძლევა ამის საფუძველს. ბოლოს და ბოლოს, ეს არ არის უარყოფა უიტმენის გულწრფელი აღიარებისა, რომ „სამყაროს მთელი ძალები... ძგერენ, წინ მიიწევენ“, ან რომ ისეთი ლექსი, როგორცაა „დიდი გზის სიმღერა“, ქადაგებს დინამიკურ ფილოსოფიას წინსვლის შესახებ, ფილოსოფიას ბრძოლისა და გამარჯვებისა. ეს გასაღები უფროა იმის გასარკვევად, თუ რამ აქცია უიტმენი ლირიკოსად, ნაცვლად ორატორისა, რაც აიძულებდა აერჩია ისეთი თემა, როგორცაა ბრუკლინის ბორანზე დაწერილ ლექსში, და შეჩერება უფრო ეზეიმო, ვიდრე ადგილამდე მიღწევა. მან გაამჟღავნა, თუ რით ხიბლავდა ჯადო თავისი ქალაქის პირველი სახელწოდებისა, როცა თქვა: „მანაჰატა ნიშნავს ადგილს, რომლის გარშემოც ჩქარი (ან მშფოთვარე) წლები მოემართება ან სადღაც მიედინება“ მისი ლექსი ბორანზე შესაძლოა ჩაფიქრებული იყო, როგორც კოლრიჯის რწმენის ილუსტრაცია, რომ პოეზიის მკითხველი პოეზიამ „უნდა გაიტაცოს წინ, არა უბრალოდ ან უმეტესად უცნაური მექანიკური იმპულსით, ან საბოლოო მიზნისაკენ დაუოკებელი ლტოლვით, არამედ გონების დამატებობელი აქტივობით, რასაც თვით მოგზაურობით აღძრული სიამოვნება

ინვეს“. მართლაც უიტმენმა სიტყვა-სიტყვით გაიგო ის, რაც კოლრიჯთან უბრალო მეტაფორა გახლდათ და ისე მოიხიბლა მოგზაურობით, მკითხველში ასეთივე გრძნობის გამოწვევით, რომ ხშირად თავს არც კი იწუხებდა ლექსების წერით და მხოლოდ დახვავებულ მასალას ტოვებდა.

თვით უიტმენი იცნობდა მოძრაობის იმ სახეობას, რაც წინ სწევდა მის პოეზიას. როცა იმ გავლენებს ჩამოთვლის, რამაც „ფოთლების მომწიფება“ განაპირობა, ჩანს, რომ ეს იყო არა უბრალოდ „მშვიდი სიამოვნება“, როცა იგი მთელ ნაშუადღევებსა და საღამოებს მდინარეზე გადასვლა-გადმოსვლაში ატარებდა, არამედ „მრავალი მხიარული მოგზაურობა“ ბროდვეის ომნიბუსით მეეტლის გვერდზე ჯდომისას. მეტიც, პირველი ექსპერიმენტებისას უიტმენის თავისუფალი მედიუმი (1848) წააწყდა საყურნალო სტატის ინდური ეპიკური პოეზიის შესახებ, საიდანაც მან ამოიწერა სტილის დახასიათება, რაც უნდა ეცადა და რისთვისაც უნდა მიეღწია თავის შემოქმედებაში: „დიადი პოემა უნდა მიედინებოდეს „შეუჩერებლივ და შეუყოვნებლივ“. თუ რარიგ ბუნებრივი იყო ეს მისთვის, ჩანს ასევე გამოთქმულ თვალსაზრისში ორატორობის პარალელური იდეალის შესახებ „მტკიცე, აუჩქარებლად ამოფრქვეული სტილი ვოკალიზმისა, ოღონდ სულჩადგმული, სერიოზული ცხოვრების ცოცხალი, სრული მჭევრმეტყველებით“. მტკიცე გადანყვებით, ვნება შერბილებულია მის ყველაზე მომწიფებულ ქმნილებებში, რაც წარმოშობილია არა გარდაქმნის სურვილით, არამედ განხორციელებისაგან, არა საპროტესტო ჭიდილით საზოგადოების გაუმჯობესებისათვის, არამედ უბრალო ამერიკული ყოფის მანამდე გამოუხატველი მრავალი მხარის აღმოჩენისაგან. ამგვარი განწყობილებით აღსავსე გრძნობდა, რომ „უბრალო მოძრაობა ყოფილა ბედნიერება, ტკობა — სუნთქვაც და ხედვაც“; და მხოლოდ ის სურდა, რომ მთლიანად მისცემოდა ამ წამს, ნება მიეცა მისთვის „გაეგრძელებინა დინება, ნავეყოლიებინე თავის მშვიდ ექსტაზში“.

უიტმენის რიტმისა და ენის გულდასმით გამოკვლევის მერე ჯინ ქეთელი შენიშნავდა, უიტმენისეული მოძრაობის გამომხატველი ეპითეტები წარმოაჩენს, ცოტა არ იყოს, დამყოლ სიზნანტეს, რაც ასე ნიშანდობლივი გახლდათ მისი სხეულისათვის. თუ რამდენად ახასიათებდა სიზნანტე მის

სხეულს, ჩანს „ბრუკლინ იგელში“. როცა უიტმენი ამ გაზეთიდან დაითხოვეს 1848 წელს ლიბერალური, მინის თავისუფლების პოლიტიკური რწმენის გამო, გაზეთმა უიტმენის დათხოვნის საფუძვლად მიიჩნია ის, რომ იგი იყო ზანტი, „მძიმე, უზრდელი და უპრინციპო... ჩვენი წარმატების დამაბრკოლებელი“. და იმით აბათილებდნენ მონინალმდევე გაზეთის თავდასხმას — უიტმენი იმიტომ გაათავისუფლეს, რომ ცნობილ პოლიტიკურ პირებს გაუსწორდაო — ავტორიტეტულად რომ დაასკვნდნენ, „იგი ძალზე ზანტია, რათა ვინმეს გაუსწორდესო“.

აქ წარმოდგენილი კარიკატურისაგან დამოუკიდებლად, მსგავსი მინიშნება მისი პლასტიკური უნარისა გადმოცემულია ლექსის, „სიმღერა ჩემს შესახებ“, დამაგვირგვინებელ ნაწილში:

ჩემს ხორცს მორევივით გავფენ და მივარწევ დახლართულ კონებად. ამგვარი ამოფრქვევა განაპირობებს ნელი ნაბიჯით მოძრაობას, რაც ჩინებულად ესადაგება მის დარღვეულ რიტმს:

ვეყრდნობი რაფებს დახვეწილ და დამყოლ კარებათ.

აქ იგი იმდენად არც კი გულისხმობს მოძრაობას, რამდენადაც კუნთების კმაყოფილებას მოძრაობის შეწყვეტისას და ამას მხიარულად უპირისპირებს, ვთქვათ, ასეთ რაიმეს:

პომანოკიდან დავიძრები და მიფვრინავ ჩიტვივით, თავს დავტრიალებ და ვუმღერი ყველა იდეას.

ეს, შესაძლოა, არასწორად იყოს შერჩეული, რადგან საკუთარ სხეულზე ყურადღების გამახვილება აზვიადებდა გროტესკულ მარცხს ცოცხალი სახის შექმნისას. და მაინც, ყოველთვის მარცხდება, როცა მისი სიტყვიერი წარმოსახვა ძალზე აქტიურია და მხოლოდ მაშინ, როცა უფრო დამყოლია, წარმატებას აღწევს იმით, რომ აღავსებს პოეზიას იმ მგრძნობელობით, რაც კოლრიჯს აუცილებლად მიაჩნდა „ობიექტური სტრუქტურის“ განსახორციელებლად. ამგვარი სტრუქტურა, თავის მხრივ, არსებითია „იმ განსაზღვრულისა და სახის გადმოცემისათვის, თვით სახელების გადასხვაფერებისათვის, ურომლისოდაც პოეზია უბრალო,

მოსაწყენ დიდაქტიკად გადაიქცევა, ან ქრება ბუნდოვან, გაუაზრებელ ოცნებებში“. პოეტი ამგვარ სტრუქტურას ქმნის მხოლოდ იმ მასალისაგან, რაც მის საკუთარ გრძნობებს შეესატყვისება და უიტმენის ფრაგმენტულ ძალას ყველაზე მეტად აღძრავს სამოძრაოდ იმგვარი სიტუაცია, როცა ქალი ესაუბრება „საროსტანა კაცს ბალის მარგილებთან“:

გვერდით დამიდექი, ვიდრე ისე მოგეტოლები, როგორც შემიძლია. ამავესე მოთეთრო თავლით, დაიხარე ჩემკენ, გამიხახუნე შენი ყრუანტელისმომგვრელი ნვერი, გამიხახუნე მკერდსა და მხრებზე.

მეორე მხრივ, სიტუაციები, სადაც ყველაზე მოსაწყენ აზრებს გამოთქვამს, თავაზიანი თუ დახვეწილი განცდებით შებოროკილ დასკვნებს, ისეთია, რომ მისი ხმა მკვეთრად ეშვება დეკლამატორულ დაღმართზე და ბორძიკით მიინვეს:

გამარჯვება, შეკავშირება, რწმენა, ერთგვარობა, დრო, დარღვეული კავშირნი, სიმდიდრე, საიდუმლო, მარადიული პროგრესი, კოსმოსი და თანამედროვე ამბები.

სია, რომელშიც შეუძლია გაიაზროს საკუთარი მოძრაობა და არა, უბრალოდ, განაცხადოს მისი არსებობა, ყველაზე დამარწმუნებლად კინეტიკური მიმიკითაა მინიშნებული ორ სტრიქონში ლექსისა „სიმღერა ჩემს შესახებ“.

ცხოვრებისადმი მოფერების გრძნობა ტრიალებს ჩემში, თანაბრად მოძრაობს წინ და უკან,

და

ვრწყავ ფესვებს ყველაფრისა, რაც კი გაზრდილა.

თვით კაცური ენერგიაც კი „ადამის შვილებში“, როცა კარგა ხნით ყოვნდება მას შემდეგ, რაც ბოდვასავით ჩამოთვლის ადამიანის სხეულის ნაწილებს, რათა მათი აღწერა განავითაროს, უპირველესად თავაზიან ზმნებს არჩევს:

**უცნაურად დახეტილობს ხელი სხეულზე,
მორცხვად გაშიშვლებულ სხეულზე;
თითები ნაზად ჩერდებიან და
ნელა ერთდებიან.**

მისი ყველაზე მეტად დასამახსოვრებელი ეპითეტები მოძრაობისა ამგვარ ალერსად იქცევა, ვთქვათ, როცა საუბრობს „დატალღულ თვლემაზე“ ზღვისა, „ელასტიურ ჰაერზე“, „მშვიდად მოძრავ ცხოველებზე, მოთმინებას რომ გვასწავლიან“; ან როცა ავითარებს ერთ-ერთს თავის მრავალრიცხოვან გამარჯვების სიმღერათაგან. რომელსაც უძღვნის „ვაშლისმაგვარ“ დედამინას, კოსმოსში რომ მიგორავს, სტრიქონებში, რომელშიც ღამეული ჰაერის უმცირეს მოძრაობას დაიჭერს ხოლმე:

**დედამინა მთვლემარე და
წყლიანი ხეებისა!
დედამინა გადანვერილი მზის ჩასვლისა —
დედამინა ნისლოვან-მწვერვალიანი მთებისა,²
დედამინა ღირსებით აღვსილ სავსე
მთვარისა, ოდნავ ლურჯად
შეფერილისა!**

რაც უფრო ყურადღებით გასინჯავ, თუ როგორ გამოხატავს ცხოვრებისეულ აღქმას, შეგრძნებას, რომ მაშინ შეძლებს ობიექტის შესაფერის გადმოცემას, თუ მასში გაითქვიფება, მით უფრო გოცნებს, გაუთავებლად რომ იმეორებს ერთსა და იმავე ფრაზას:

**განფენილი და თხევადი, უცნაურად
მცურავი აჩრდილი, ახლა აქა
ვარ გათქვეფილი და დატყვევებული.**

განონასნორებისა და იმის მიწვდომის — რაშიც ითქვიფება — სურვილისაგან წარმოიშობა სტრიქონთა სწორედ ის ტიპური ჯგუფები, გრძელი აბზაცები მთავარი ზმნის გარეშე, მაინც რომ შერჩენიათ მკაფიო სტრუქტურული მთლიანობა. მან თითქოს შეიგრძნო, რომ საკუთარი თავის გაიგივება ობიექტთან უსარგებლოს ხდის ზმნას, და რომ ანმყოს მიმღებები თუ ინფინიტივები, ნოდებით მიმართვასთან ერთად, ჩინებულად გადმოსცემს უშუალო რეალობას — გაგრძელებულ ანმყოს, წარსულსა და მომავალსაც რომ მოიცავს. ამგვარად შეიძინა მისმა დეკლამაციამ მოქნილობა ან, მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი სიტყვა რომ გამოვიყენოთ, უზრუნველობა გამოთქმისა, რაც სურდა და რაც შემდგომ ლექსშია

წარმოდგენილი, მთელ ლექსში, სადაც დაწნეხვით გამოწვეული განუწყვეტელი მოძრაობა უმაღლესი წერტილისაკენ მიისწრაფის:

**მშვიდად, თავისუფლად ვდგავარ ბუნებაში,
ბატონი თუ ქალბატონი ყოველივესი,
რიხით ვდგავარ ირაციონალურ
საგნებს შორის,
მათსავით აღვსილი, გარინდული,
შემგრძნობი, ჩუმი,
ჩემი საქმიანობა, გაჭირვება,
პოპულარობა, სისუსტენი,
დანაშაულებანი
ნაკლებ მნიშვნელოვანი მეჩვენება,
ვიდრე მეგონა.
მექსიკის ზღვასთან ვდგავარ,
ან მანაჰატაში, ან ტენესიში, ან
შორეული ჩრდილოეთის თუ
შიგნითა ქვეყნებში.
მდინარის კაცი, ან ტყეთა კაცი,
ან რომელიმე ფერმის მცხოვრები
ამ შტატებისა თუ სანაპიროსი,
თუ კანადის ტბებისა,
ყველგან, სადაც ჩემი ცხოვრება ჩაივლის,
ო, უნდა ვიყო
მზადმყოფი მოულოდნელობათათვის,
რათა წინ აღვუდგე ღამეს, გრივალებს,
შიმშილს, დაციწვას,
ხიფათს, უარს, ხეების თუ
ცხოველებით.**

ამ შემთხვევაში, რათა დავასრულოთ მსჯელობა უიტმენის ლექსის ფორმის წარმომობაზე, შეგვიძლია წარმოვაჩინოთ ის გზა, რითაც ამგვარი სალექსო მონაკვეთი ფორმის სიმკვრივეს იძენდა და რაც უიტმენს წიგნაკში პირვანდელი სახით არ შეჰქონდა. აშკარა ფაქტორი უიტმენის რწმენისა, ზუსტ მიმართებას მივაგენი სათქმელის გადმოსაცემად, ნათლად ჩნდება მის ნაკლებად ცნობილ ლექსში, „მძინარენი“, რაც „ფოთლების“ პირველი გამოცემის თორმეტ ლექსთაგანი გახლდათ. ამ ლექსში არ არის ძალზე დამაჯერებელი ეფექტი, რასაც შეიძლება დასაწყისიდან მოველოდეთ:

**მე ყოველ ღამე მიყვები სულს
ნელი ნაბიჯით, უხმოდ, უჩუმრად,
და მძინარეთა დახუჭულ თვალებს
მივაშტერდები ღია თვალებით,
დახეტილობ, გზადაკარგული,
მთვარეული, მგ ზავრი უსაზმნო.
(თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიანი-სი)**

შემდეგ იწყება ჩამოთვლა ყველა იმ მძინარისა, ვისაც ხედავს, „მიცვალებულთა

თეთრი, სულ თეთრი, ფერმიღებული სახეები ლოთებისა და ონანისტების... შეპყრობილები და გიჟები საგიჟეთებში, წმინდარეგვენნი, ახლად შობილნი (რკალს გადალმიდან რომ ისწრაფიან), და მომაკვდავნი (რკალს გადალმა რომ ისწრაფიან) და ყველას ღამე დაუფლებია“.

პოეტი მათ შორის დადის და სჯერა, რომ თუკი ნაზად, ორიოდ ციდაზე გადაატარებს ზემოდან ხელს ყველაზე ტანჯულსა და მოუსვენარს, მათ სიმშვიდეს მოუტანს; ან კიდევ, შეუძლია რიგრიგობით თვითეულის გვერდით დაიძინოს და სიზმრად გადაიქცეს. ამგვარად, ღამეში გათქვეფილი მის მოციმციმე სიზმართა სერიები რამდენიმე სიზმარში გადადის და მთელ სტრიქონებს იკავებს; ეს არის სიზმარი დამხრჩვალნი მოცურავისა; დამსხვრეული გემისა — ხომალდ „მექსიკოს“ სახე, ჰემპსტიდის ნაპირთან რომ დაიმსხვრა 1840 წელს, შემორჩა მის მესხიერებას; სიზმარი ვაშინგტონისა, ბრუკლინთან დამარცხებას რომ მიუსავათებია; ან ის, რაც დედამ უამბო ინდიელ სკვოზე, ერთ დღეს რომ გამოცხადდა მათ სახლში და ლერწმის ტოტებს ყიდდა სკამების დასანწავად. იგი თითქოს ვერ გრძნობს, რომ მიძინარეებს აღარ ხატავს და გაუცნობიერებლად წარმოადგენს ამ სცენებს, როგორც სიზმრებს. ბოლოს აერთებს ამ სურათებს და იფიცება, რომ დიადი და სუსტი „ახლა გათანაბრებულან“, რომ ერთი არ არის მეორეზე უკეთესი, რადგან „ღამემ და ძილმა მოიწონა ისინი და აალორძინა“ და ისეთნაირ ფრაზას უმატებს, ადვილად რომ შეიძლება დრახიზერისა ყოფილიყო.

მათ გამოიარეს ხალისისმომგვრელი ღამე, განმკურნავი ღამე და გამოიღვიძეს.

იმის მიუხედავად, შეგნებულად ცდილობდა თუ არა უიტმენი ლექსში სიზმრისეული ცხოვრების არსს ჩანვდომოდა, ღამის საიდუმლოებით ტკბობა აღუძრავდა სურვილს, „საარშიყოფ ნასულიყო“ ზაფხულის ღამეში და აიძულებდა განეცხადებინა: „მე ცეკვა ვარო“. ამ ფრაზაში აყალიბებს მთლიანობას, რაც მასში განხორციელდა: ამის მერე მისი სიტყვები აღარაა ფრაგმენტული, როგორც ჩანანერების რვეულში იყო, არამედ, განცდით პირველყოფილი რიტუალის მომღერლის სიტყვებს დაემსგავსა, მისი გაერთიანებული სხეულისა და სულის გამოსატყულებად იქცა. მისმა „ცეკვამ“ შორს წაიყვანა, გააცილა თავისი ცნობიერების

საზღვრებს და იმ ასოციაციათა ჯგუფთან მიიყვანა, ყველაზე უკეთ სიზმარში რომ ხორციელდება. ამ აზრის სისწორე კარგად ჩანს ერთ ნაწყვეტში ლექსის დასაწყისისა, მის უკანასკნელ გამოცემებში ამოღებული რომ არის, აქ არეულ-დარეული, მაგრამ მძლავრი სქესობრივი სიმბოლიზმი იკითხება, ძალზე მსგავსი ღამიდან ნახევრად-შემორჩენილი მოგონებისა, გაღვიძებისას რომ გახსოვს:

*ვაი სირცხვილო და განითლებავ!
ო, სულელურო ავადმყოფურო სინითლევ!
შემიცოდეთ, ნურვინ შემომხედავთ!
ტანსაცმელი მოუპარავთ,
ვიდრე მეძინა,
ახლა ხელს მკრავენ, საით გავიქცე?
ბურჯო, ნუხელ ფანჯრიდან
ბუნდოვნად რომ დაგინახე!
ზღვაში განცალკევებულო ბურჯო,
ნება მიბოძე, ჩაგეჭიდო და
შენთან დავრჩე — არ შეგანუხებ;
მრცხვენია ქვეყნად შიშვლად გამოსვლა.
მაინტერესებს სადა დგას ჩემი ფესვები —
რა ნიაღვარია ეს,
ბავშვობაა თუ მონიფულობა —
და მაინტერესებს შიმშილი,
ხიდს რომ შუაზე ჰკვეთს.
სამოსი მალავს პირველ ტკბილ ჭამა-სმას.
ფარავს სიცოცხლისგამჩენ
კვერცხისგულს — ფარავს ვარდის გულს,
რძიანსა და მომწიფებულს;
თეთრი კბილები რჩება და ღრჯოლი
გამოვარდება სიბნელეში,
და სასმელი ენებება ტურჩებს და იფარება
ჭიქის შეხებისას,
და ეს საუკეთესო სასმელია.*

ნამლეკავი სიმდიდრისა და ნაყოფიერების ეს შეგრძნება შეიძლება შევადაროთ მეღვილის აღქმას, „მარდის“ იმ თავში — „სიზმრები“, შინაგანი ძალების ბრუნვას, სულაც რომ არ აეჭვებდა თავისი გონების ყოველდღიური ყოფა — შეიძლება შევადაროთ წიგნის იმ თავს, რომლის მიხედვითაც აღვნიშნავთ მისი, როგორც მხატვრის, ჭეშმარიტ დაბადებას. უიტმენი მოგვიანებით ცდილობდა აღენერა მასში აღძრული განცდა, როცა პირველად წერდა ლექსს, „სიმღერა ჩემ შესახებ“, თუ როგორ მოეჩვენა მას შემდგომ, რომ ლექსი თითქოს ერთგვარი ტრანსიდან წარმოიშვა, თუ როგორ „გრძნობდა თავს, ლექსზე ჩაფიქრებული, ჩაფიქრებული თავის როლზე ამ ლექსში, სომნაბულისტად, ვისაც ღვიძილის დროს აჩვენებენ თავბრუდამხვევ სიმაღლებს და

გამოუვალ სიტუაციებს, რაც მშვიდად გამოსცადა ძილში“. აღწერა იმისა, თუ როგორ ეჩვენებოდა, რომ მისი შემოქმედების ნამუბი მისი ნების სფეროს საზღვართა მიღმა იყო, შეიძლება გაცილებით ზუსტად შეესაბამებოდეს ახლახან მოტანილ სტრიქონებს, თითქმის უნებლიედ რომ არის დანერგილი.

თუ შევადარებთ ბოდლერის მოთხოვნას, რომ პოეტი ერთდროულად უნდა იყოს ჰიპნოზისტიცა და სომნაბულისტიც, უიტმენი ძალზე ხშირად მხოლოდ სომნაბულისტი გახლდათ. მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის ერთი უდიდესი დილემათაგანი გახლავთ განხეთქილება პოეზიის როლის ამ ორ ნახევარს შორის. ერთი უკიდურესობაა სუინბერნი, დანმენდილი, ჰიპნოტური ბგერების ოსტატი, რასაც მხარს უმაგრებს ფსიქოლოგიური თუ სულიერი სიღრმე. მის ახლოს დგას ტენისონი, „ვის უმშვენიერეს მრავალსიტყვაობაში“ უიტმენს შეეძლო დაენახა გაფრთხილება, რაც მან უკუაგდო, თუმცა საერთოდ აფასებდა ლაურეატს, როგორც „პოეტური ნაღების მდღვებავს ჩვენი დროის მელოდიისა, აპათიურსა და განკრიალუბულს“. მაგრამ სანინაალმდეგო პოლუსზე რომ მოთავსდა, უიტმენმა მოხერხებულად ამოაგდო თავისი ნაწერებიდან ის, რაც იეიტსმა მოგვიანებით კვლავ მოითხოვა — სიტყვათა მონესრიგებული მხარე და საზომი „იმდენად ზუსტი, რომ დახვეწილი ყური დაეპყრო“.

და მაინც, მისი სომნაბულიზმი დიდი განძი გახლდათ, რადგან ნებას აძლევდა შეჭრილიყო არაცნობიერი გონების ნაკადებში და შეაძლებინებდა გაეზომა ემოციური ძალების უაღრესად დიდი სიღრმე, რაც მისი დროის მწერალთა უმეტესობას არ შეეძლო. მისმა პირველმა, მთელი ძალით განხორციელებულმა მცდელობამ, ეს ძალები სიტყვებში გადაეტანა, როგორც „მძინარეებშია“, იმის შეცნობამდე მიიყვანა, რომ „მხოლოდ ახირებული არაპირდაპირობით შეიძლება მივალწიოთ სულიერი მსოფლიოს რომელიმე გამოვლენას“. უიტმენი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მის ჩანაწერთა რვეულის ცარიელი რიტორიკა არ შეესაბამებოდა იმას, რომ მთელი გამოცდილება მოეცვა. მან უფრო ნათლად გამოხატა, თუ როგორ მიწვდა სხვა მნიშვნელობებს, უბრალო აზრის მიღმა მდებარე მნიშვნელობებს:

„უბრალო მასწავლებლები ან კრიტიკოსები მუდამ კითხულობენ: „რას ნიშნავს ეს?“ ჩინებული მუსიკოსის სიმფონია, მზის ჩასვლა ან ტალღების ტყლაშუნი ნაპირზე — რა

იგულისხმება? უეჭველია, ყველაზე უფრო დახვეწილ-მიუნვდომელი აზრით, ისინი რალაცას გამოხატავენ — ისევე, როგორც სიყვარული, რელიგია და საუკეთესო ლექსი; მაგრამ ვის შეუძლია ჩასწვდეს და განსაზღვროს, რისი თქმა სურთ? (მე არც ველურობის გამართლებას ვცდილობ ამით და არც შმაგი სიცელქისას — არამედ სულის ხშირი სიხარულის გამართლება მსურს, სადაც ვერც ინტელექტუალურ ნაწილს გამოარჩევ და ვერც ანგარიშს)“.

რალაც ამ გრძობისმაგვარი იყო მუდმივი ნაყოფი ტრანსცენდენტური კონცეფციისა, რომ იდეა ყოველთვის უფრო დიადია, ვიდრე მისი გამოხატულება. ამგვარი ტკბობა შეიძლება გაიფანტოს მხოლოდ ატმოსფეროსა და შთაგონების სიყვარულით, რადგან როცა უიტმენი შენიშნავდა „უდიდესი პოეტური ქმნილებანი მხოლოდ თავისუფალ საფეხურებად უნდა მივიჩნიოთ; როცა ღამით ვარსკვლავებს შევყურებთ, პირდაპირ კი არ ვიცქირებით, არამედ რომელიმე კუთხიდან ვუმზერთო“, რაც არ უნდა იყოს, თავისი თავის შემომწება ამ ჩართული გამოთქმით გვიჩვენებს, თუ რა კარგად ესმის მდარე რომანტიკულის ზედმეტობა და ეხმარება განავითაროს მრავალჯერ განმეორებული დებულება, რომ ლექსებით სურდა გამოეხატა ისეთი „დახვეწილი არაპირდაპირობა“, რასაც ზღვის მოძრაობა შთაგონებდა. ეს არაპირდაპირობა არის გამოცდილების ერთგვარი განვლვა, რაც სიმბოლოს დანიშნულებას; და უიტმენის საუკეთესო ლექსებში ამგვარი ლექსები სამი ანალოგიის შერწყმას ახდენს. მისი დეკლამირებული სიმღერა, მუსიკისაკენ რომ ილტვის, ისეთი ხდება, ტყლაშუნში ეჯიბრება ტალღებს „შეუსვენებლივ რომ დაგორავენ, რიგრიგობით აღიმართებიან და ეშვებიან“. ამგვარ შერწყმას აღწევს მრავალი სხვადასხვა თემის დამუშავებისას, მაგრამ ერთი ნიმუში მთლიანად წარმოაჩენს მთელს ჩემს მცდელობას, ვაჩვენო უიტმენისეული ლექსის ნორმატიული აღწერა. ესაა — ერთ-ერთი იმ ლექსთაგანი, განწყობილების შესაქმნელად სანაპიროს რომ იყენებს, თუმცა სიუჟეტი ზღვას არ ეხება:

**ღამით, ნაპირზე
დგას გოგონა მამასთან ერთად
და შემოდგომის ზეცას შესცქერის.
ზევით, უკუნში
ბნელი ღრუბლები ცას
ზვიადად შემოსწოლიან**

და ახლა მძიმედ მიცურავენ
 აღმოსავლეთით,
 იქ, სადაც კიდევ დარჩენილა
 ნათელი ზოლი,
 სადაც ბრწყინვალეებს ვარსკვლავი-მეფე —
 მშვიდი მუშთარი,
 და ხომლის ძმანი ცურავენ სათნოდ.

გოგონას შიშით ჩაუვლია მამისთვის ხელი,
 შესცქერის ღრუბლებს,
 მთელ ქვეყანას რომ ბნელში
 ჩანთქმით ემუქრებიან,
 შესცქერის ჩუმად და
 ასევე ჩუმად ქვითინებს.

ნუ სტირი, კარგო,
 ნუ ქვითინებ, ჩემო გოგონი,
 მოდი, ამბორით შეგიშრობ ცრემლებს.
 ბნელი ღრუბლები იმეფებენ
 მცირე უამს მხოლოდ,
 და ვარსკვლავების ჩასვენებაც
 მოჩვენებაა.

და იგი მხოლოდ ჩვენ გვეზმანება.
 აღმობრწყინდება კვლავ მუშთარი —
 ელოდე ოღონდ
 და მშვიდი ხომლიც უსათუოდ
 აღმობრწყინდება.
 უკვდავ არიან ეს ოქროს და
 ვერცხლის მთიებნი,
 ისინი ისევ იელვარებენ.

დიდი მთიებნი და პატარები,
 ისინი ისევ იელვარებენ,
 გასძლებენ მაინც,
 დაუსაბამო უკვდავი მზენი და
 ეს მთვარენი, ფიქრიანნი,
 უსასრულონი.
 ისინი ისევ იელვარებენ.

და ჩემო კარგო, ჩემო გოგონი,
 განა შენ სტირი მუშთარზე მხოლოდ
 და სწუხხარ მარტო ვარსკვლავების
 დასამარებას?

არის ერთი რამ —
 მე განუგეშებ ბაგეთ ალერსით და
 გიჩურჩულებ
 და ქარაგმებით გახვედრებ მხოლოდ,
 არის ერთი რამ — ვარსკვლავებზე

მეტად უკვდავი,
 გაივლის უამი და მას გაყვება
 კიდევ ბევრი დასამარება.
 და ის ერთი რამ დარჩება ქვეყნად
 უფრო ხანგრძლივად, ვიდრე მუშთარი,
 უფრო ხანგრძლივად ვიდრე დიდი მზე
 და ხომლის ძმებზე უფრო ხანგრძლივად.
 (თარგმანი ლანა ლოლობერიძისა)

აქ უიტმენისეული განსხვავება რეჩიტატივისა და არიას შორის ადგილს უთმობს ბუნებრივ განსხვავებას ღია აღწერასა და მამის სიტყვებს შორის, ბავშვს რომ ეუბნე-

ბა, რითაც მეოთხე სტროფი იწყება. რეჩიტატივი შემოსაზღვრულია იმ „ჩარჩოს“ სტრუქტურით, რაც ასე ძლიერ უყვარდა უიტმენს, უკანასკნელი სამი სტრიქონი სხვადასხვა ვარიაციითა და გაგრძელებით იმეორებს პირველი სამის შინაარსს და, ამგვარად, მთელის შეკვრას ემსახურება. შუა, ცენტრალური ნაწყვეტი („ზევით, უკუნში“ და სხვა) ნიშანდობლივი მაგალითია იმისა, რომ უიტმენს სწამდა, ოკეანის ეფექტისათვის მიბაძვა შემოიძლიაო. ამ შვიდ სტრიქონს აქვს „ორივე, გაგრძელებულობაც და დამოუკიდებლობაც“, დე სელინქორთის სიტყვები რომ მოვიშველიოთ; და იოლად შეგვიძლია ეს სტრიქონები ტალღის ქოჩორთა მიყოლებად წარმოვიდგინოთ, ზოგი დიდად, ზოგიც მცირედ, ბოლოს უეცრად რომ მთავრდებიან უკანასკნელი ტალღის ტყლაშუნთან ერთად. სიტყვა P I etates (ხომლი) თხევადი ბგერა მოხერხებულად მაღლდება იმ მსგავს ხმოვანთა და თანხმოვანთა მემკვიბით, რომელნიც წინ უსწრებენ ამ სიტყვას; როცა მუშთარის მბრძანებლურ ელფერს, მთელ პოემაში ბრწყინვალეების სიმბოლოს რომ წარმოადგენს, ნელი რიტმი ანიჭებს სიმკვეთრეს.

არსებობს მკაფიო ნიმუში იმისა, თუ როგორ ეძლევა პოეტს შთაგონება და მერე სახეს როგორ უცვლის. ეს ნიმუში არის უიტმენის ერთ-ერთ პროზაულ ჩანაწერში, ოქტომბრის ღამეს რომ ეძღვნება, როცა იგი გააოგნა მუშთარის ბრწყინვალეობამ და ძველინდური პოემის ეს სტრიქონები გაახსენა:

თეთრ სამოსში გამონყოფილი,
 მრგვალ და სუფთა არენაზე
 ნელა შემოვიდა ბრამინი,
 ხელში პატარა ბავშვი ეჭირა,
 მთვარეს ჰგავდა მუშთართან ერთად,
 უღრუბლო, ღამეულ ცაზე.

ის რომ „რჩეულნი დღენის“ ეს ნაწილი 1876 წელს დაინერა, ლექსის, „ღამით, ნაპირზე“, დანერიდან ხუთი წლის შემდეგ, ნაკლებ საფიქრებელს ხდის, რომ უიტმენს ეს ინდური სტრიქონები გაცილებით ადრე სცოდნოდა, ან იმას, რომ ეს სტრიქონები ყოფილიყო ბიძგი უიტმენისათვის, ასოციაციური კავშირისა ამომავალ პლანეტებსა და ბავშვიან კაცს შორის.

არია წარმოიშობა აშკარად თეატრალური სიტუაციიდან, ამდენად, ბნელი ღრუბლების გამო ბავშვის ტირილის მს-

გავსება არიასთან საკმაოდ გაზვიადებულია. მაგრამ როგორც ეს ხშირად ხდება ოპერაში, რადგან აქ პირობითობა ნებადართულია, ამ სტრიქონებიდან აღძრული ემოცია ჭეშმარიტია და შთამბეჭდავი. საფლავისფერი (*ეპითეტი ამ სახით ქართულ თარგმანში არ არის — მთარგმ.*) ღრუბლებისა და სინათლის სიმბოლოში, ზეიმით რომ ამალღდება ღრუბლებს ზემოთ, საკმაოდ გამოკვეთილადაა ნარმოჩენილი ადამიანის კავშირი უსაზღვრობასთან, რაც წვდომის მიღმა დგას, მაგრამ პატარა გოგონა შეიგრძნობს. ამგვარი გაღვივება ელემენტარული ცნობიერებისა, ის მდგომარეობაა, რისი დახატვაც უიტმენს ყველაზე დამაჯერებლად შეეძლო, რადგან ის ენათესავება მარტივ, ნახევრადმონიფულ გრძნობებს, რაც მისთვის ჩვეული გახლდათ. მისი ნიჭი ამ ცნობიერების ხატვისას ეყრდნობა უფრო ვრცელსა და უხვ ეფექტს, ვიდრე რაიმე დამხმარე ოსტატობას. მან, შესაძლოა, ზედაპირულად აღწეროს ვარსკვლავები, „როგორც ოქროსფერი და ვერცხლისფერი“, მაგრამ იქვე განიცდის დიდებულ აღმაფრენას, „დიადი უკვდავი მზეებითა და მარადიული, სევდიანი მთვარეებით“. გარდა ამისა, მისი უხეში შეცდომა, ისეთი არქაული პოეტიზმის გამოყენებისას, როგორიცაა *considerest thou* (ნუთუ გგონია) (*ამ სახით არც ეს გამოთქმაა ქართულ თარგმანში — მთარგმ.*), გამოსყიდულია დახვეწილი გამჭრიახობით, როცა ისე, რომ ზღვას არ ახსენებ, შეგიძლია გადმოსცე მისი დამამშვიდებელი, მოჩურჩულე ხმა, მამის ხმასთან ერთად. ამგვარად, იგი უფრო მეტად

ააშკარავებს ბუნების მუდმივ კანონებს, ზღვისა და ვარსკვლავების გამძლეობას. მუდმივობაც, აგრეთვე, ის უძლიერესი ნიშანია, რომლითაც მამა — და იგი არა მარტო ბავშვისა, არამედ კაცობრიობის მამაც არის — ირწმუნება, რომ სული ბუნების ფენომენზე დიდხანს გაძლებს. გზა, რომლითაც უიტმენის სტრიქონები განაგრძობს ტალღათა მონაცვლეობის მინიშნებას და ასრულებს თემატურ განმეორებას, რაც უკავშირდება არიასა და რეჩიტატივს, ისეთივე მელოდიურობით, რასაც საზომი გადმოსცემდა, პოეტური კონცეფციის მთლიანობის აღმნიშვნელია, სადამდეც იგი თავისმა ანალოგიებმა მიიყვანა.

შენიშვნები:

1. „ამერიკული რიტმი“.
2. „რომეო და ჯულიეტას“ სტრიქონთა ეს რემინისცენცია — „ლამის ლამპრები ჩაიფერფლენ და განთიადი ნისლიან მწვერვალს ფეხაკრეფით უახლოვდება“ (*თარგმანი ვახტანგ ჭელიძისა*) — ერთ-ერთი დასტურია იმისა, რომ უიტმენი შექსპირს კითხულობდა. შესაძლოა, *multitudinous* (რიცხვმრავალი) და სხვა მჟღერი არქაული სიტყვები „ბალახის ფოთლებში“ — *overt* (ქადილი), *vagrant* (თავშესაქცევი), *alacrimum* (საგანგაშო), *ronde* (ნრე) — მას შექსპირის პიესებმა შთააგონა. იხ. რებეკა კოი, „უიტმენის სტილი“ (ტეხასის უნივერსიტეტის შრომები, ტ. XVI, გვ. 125-137).

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა



რედაქცია იწყებს ბორის პასტერნაკის მიერ ქართველი ადრესატებისადმი მიწერილი წერილების სრულ თარგმანებს.



ბორის პასტერნაკი

წერილები

ტ. ტაბიძეს (676)
12 ოქტომბერი, 1933. მოსკოვი
12.X. 33
დვირფასო ტიცვიან!

მადლობელი ვარ თქვენი გამოსხაურებისათვის. მან ჩემამდე პაოლოსა და ელფთერის¹ მეშვეობით მოაღწია. ვგონებ, ვხვდები, ამას ასე შემოვლითი გზებით რატომაც სჩადიხართ და მზად ვარ, დელიკატურობისათვის მადლობა გადაგიხადოთ.

ჩემი მდგომარეობა გაცილებით მარტივი იქნებოდა, ზინაიდა და ევგენია ერთმანეთს რომ იცნობდნენ. ერთადერთი, რაც ცხოვრებას მირთულებს, მათ მიერ ერთმანეთის სრული უგულვებლყოფაა. ამჟამად მე და ზინა მშვენივრად ვცხოვრობთ მისი დაუღალავი შრომის ხარჯზე. მივედით იმ დასკვნამდე, რომ მოსამსახურის გარეშე სახლში მეტი სიმშვიდე და ჰარმონია იქნებოდა. არავითარი დრამა, არავითარი მერყეობა. და ალბათ, ის უკანასკნელი წინააღმდეგობანიც, რომლებიც ჩემს უმთავრეს საზრუნავს მაშორებს, დროთა განმავლობაში მოგვარდება. ზინამ თავის დროზე იმდენი რამ გადაიტანა, რომ სავსებით მესმის მისი სიფრთხილე და ვამართლებ. აქაც, ისევე, როგორც ყველაფერში, დრო სასწაულმოქმედი აღმოჩნდება.

1. ელფთერ ანდრონიკაშვილი, ფიზიკოსი, ძმა ირაკლი ანდრონიკაშვილისა (Борис Пастернак – Полное собрание сочинений с приложениями, В одиннадцать томах - წერილებიც და კომენტარებიც ნათარგმნია ამ კრებულიდან (VIII-IX ტომები)).

როგორც უნდა შეიცვალოს ევგენიას ცხოვრება, ყოველთვის გულთან ახლოს მივითან იმას, რაც მის თავს ხდება. ამას თქვენ, ალბათ, ჩემი წერილის გარეშეც მიხვდებოდით. თუმცა არ ღირს აქედან მცდარი დასკვნების გამოტანა. არავითარი საიდუმლო არ მექნებოდა ზინასგან დამალული, იგი თავად რომ არ აქცევდეს მათ ზურგს. ამასთანავე, შეუძლებელია ევგენიასთან ზინაზე საუბარი.

კარგს იზამდით, ტიცვიან, თუკი ისე მომწერდით, რომ ე. ვ. -ს მოგზაურობას² არ ახსენებდით.

ნუთუ მართლა მოგწონთ ჩემი თარგმანები? ნება მიბოძეთ, ეჭვი შევიტანო ამაში: ნებისმიერი თარგმანი, კარგიც და ცუდიც, ერთგვარი ძალადობაა დედანზე, უპირველეს ყოვლისა კი — ჩემი თარგმანები. ალბათ, სავსებით ვაუგვანოებ თქვენს შემოქმედებას, ვინაიდან ნებისმიერ ხელოვანს შემოქმედების პროცესში უყალიბდება მყარი სიტყვათშეთანხმების საკუთარი იდეა, რომელიც ჩემს შემთხვევაში განსაკუთრებით უხეშია: მასში ბევრია დილეტანტური, ცხოვრებასთან ცუდად შერწყმული. ბანალურობის გამო იგი ვერ გასცდა იმას, რასაც ჰქვია ნაღსონოვშიჩინა, აპუხტინოვშიჩინა, ესენინოვშიჩინა, როდესაც ამ პოეტებისგან იღებენ ყველაზე სუსტს სხვათა ნაკლის აღსანიშნად. ეს ყოველივე მშვენივრად ვიცი, თუმცა ამით მხოლოდ თქვენი და პაოლოს შემოქმედების ჩემეული თარგმანები როდი გამოირჩევა,

2. ივლისსმება ე. პასტერნაკის საშემოდგომო მოგზაურობა კავკასიაში.

ასეთია მთელი ჩემი ერთგომეული.

ხოლო რაც შეეხება ჩემს ნაშრომებში დაშვებულ უზუსტობას, აქ ჩემი დანაშაული რამდენადმე შემსუბუქდება, თუკი კრებულს დავარქმევ „ქართველი პოეტებიდან“³ (Из грузинских поэтов), ე. ი. სათაურში გაკეთებული აქცენტი სრულყოფილად გადმოცემის პრეტენზიიდან გადაინაცვლებს წყაროზე, საიდანაც მომდინარეობს ეს მცდელობანი. სათაურის წყალობით ჩემი სინდისიც დამშვიდებული იქნება.

არსებობს ჰაინეს „Ich gelte dich“⁴ ან-ენსკისეული თარგმანი. შესაძლოა, უფრო ზუსტადაც უთარგმნიათ ჰაინე, მაგრამ ჩემს სმენაში მხოლოდ ეს თარგმანი ცოცხლობს და იგი მეჩვენება ყველაზე უფრო ზუსტად, იმიტომ, რომ იგი მიყვარს. იგი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირია, ისევე, როგორც ჰაინეს ორიგინალი და სწორედ ამასია მათი უმთავრესი მსგავსება.

ასეა თუ ისე, აქ თქვენ საოცარი მოწონება დაიმსახურეთ და აღმნახ «Год XVI»-ის მე-3 ნომერში დაიბეჭდება თქვენი ლექსები. პაოლოს ლექსები ჯერ არ მიმიცია გამომცემლობისთვის. ხვალ გადავცემ, აღარ დაველოდები პაოლოს ახსნა-განმარტებებს იმ ორ-სამ ადგილთან დაკავშირებით, რომლებიც კარგად ვერ გავიგე. მაგრამ ვერც გუშინ და ვერც დღეს ტელეფონთან ვერ დავიჭირე და ალბათ, ჟღერებს გავუზავნი და ადგილობრივ რედაქციას ჩავაბარებ იმ აღნიშნული, გაუგებარი ადგილებიანად, რომლებიც შეიძლება გასწორდეს ანაწყობებში. ჟღერებს თუ ნახავთ, გადაეცით, რომ შეიძლება კორექტურა დამჭირდეს.

ნუ გაგიკვირდებათ, ტიციან, ერთგვარი გაორება ჩემს წინანდელსა და ამ წერილს შორის: არავითარი წინააღმდეგობრიობა არ არსებობს მათ შორის. მაღლიერების მოზღვავება, რომელიც ჩემში გამოიწვიეთ, გაგრძელების გარეშე არ დარჩენილა. ცხოვრების სასწაული ძალაში რჩება, არც ერთი წუთით არ წყვეტს არსებობას და მაკავშირებს თქვენთან და წინასთან ჩემი არსებობის ყველა ასპექტით. მომწერეთ ვალხონკა-

3. პასტერნაკის თარგმანების ეს კრებული გამოვიდა სახელწოდებით „ქართველი ლირიკოსები“.

4. იგულისხმება ჰაინეს ანენსკისეული თარგმანი «Я всё простил: простить достало сил./ Ты больше не моя, но я простил./ Он для других, алмазный этот свет./ В твоей душе ни точки светлой нет».

ზე, სადაც თარგმნას „გავექეცი“. მე და პაოლომ მოვილაპარაკეთ, ერთად ჩამოვსულიყავით თვის ბოლოს, თუმცა სიცივე მაშინებს, ამიტომ, ალბათ არ წამოვალ.

ზინა ხშირად საუბრობს თქვენზე და ძალიან უყვარხართ თქვენც და ნინაც. თარგმანთა ნაკითხვამ ხელახლა აგვიშალა მოგონებანი. მოიკითხე თუ არა ჩემს მაგივრად, როდესაც თარგმანებს უგზავნიდიო — მკითხა. თუ ეს არ გამიკეთებია, მამ, ნება მიბოძეთ, ახლა გამოვასწორო შეცდომა.

გკოცნით.
თქვენი ბ.პ.

677. ბ. ჟღერებს

16 ოქტომბერი, 1933, მოსკოვი
16.X.33

ძვირფასო ამხანაგო ჟღერტი!

შევუდექი თანამედრვე ქართველ პოეტთა თარგმნას. თუკი თქვენი ჟურნალისთვის „ამიერკავკასიის ლიტერატურა და ხელოვნება“ გამოდგება თანდართული ეს ოთხი თარგმანი (სამი ტ. ტაბიძიდან და ერთი პ.იაშვილიდან⁵), მაშინ ინებეთ. თუ ამ თარგმანებისთვის რაიმე ჰონორარი მერგება, დაე, იგი მთლიანად მოხმარდეს იმ მრავალათასიანი ვალის დაფარვას, რომლის ტიციანი-სათვის დაბრუნებაც ვერ მოვახერხე ამ ორ წელში. უფრო მეტი პაოლოსი მმართველს, თუმცა იმას შემდგომი პუბლიკაციებით გავისტუმრებ.

ამხანაგო ბესო! თუ ჩიქოვანის ლექსები სვანეთზე (მათ შორის ერთი პოემა⁶) არ არის ნათარგმნი, სთხოვეთ მომიზადონ სათარგმნელად. ტიციანი აუხსნის, როგორი პწკარედი მჭირდება (მახვილებიანად, რომლებიც თქვენს ენას არ აქვს). მასალის მომზადების თხოვნა მხოლოდ ჩიქოვანს როდი ეხება, არამედ — ყველა პოეტს, რომელთა სიას შეადგენთ ტიციანთან და ჩიქოვანთან ერთად. კრებულში შევა 2000 სტრიქონი და ვაჟა ფშაველას ერთი პოემა. წიგნი დაიწყება ამ პოემით და იგი 1000 სტრიქონს დაიკავებს⁷. თუმცა ამას მხოლოდ ახლა შევუდექი და ჩემი

5. წერილს ერთვოდა პაოლო იაშვილის ლექსის „ლენინი“ თარგმანი და ტ. ტაბიძის „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს...“, „თუ ჩემი ძმა ხარ...“, «Иду со стороны черкесской».

6. საუბარია პოემაზე „კომკავშირი უშგულში“, რომელიც მალევე ითარგმნა და გამოქვეყნდა «Молодая гвардия»-ს მე-2 ნომერში, 1934 წელს.

7. ვაჟა - ფშაველას პოემა „გველისმჭამელი“ ცალკე წიგნად გამოვიდა თბილისში 1934 წელს, შემდეგ შევიდა ვაჟა ფშაველას კრებულში „პოემები“, 1935.

პროზის პარალელურად ვიმუშავებ. აქ ამ კრებულით ძალიან არიან დაინტერესებული. ტიცციანმა ძალზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აღმანახ «Год XVI»-ის გორკისეულ რედაქციაში, სადაც დაიბეჭდება მისი ლექსები. „ეს რა პოეტი აღმოგვიჩინეთ!“ -მეუბნებოდნენ⁸. შესანიშნავია პაოლოს ეს ლექსი, ამაზე უფრო ცოცხალი და დიდებული ლენინის სიკვდილზე არაფერი ნამიკითხავს.

გინვდით მეგობრობის ხელს. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. მოკითხვა მეგობრებს. იჩქარეთ პასუხის მოწერა.

თქვენი ბ. პასტერნაკი

679. ტ. ტაბიძეს
23 ოქტომბერი, 1933, მოსკოვი
23.X.33

ძვირფასო ტიცციან.

როგორც ვაპირებდი, ისე ვერ მოხერხდება, პაოლოსთან ერთად ვერ წამოვალ. შესაძლოა, იმ ბრიგადას შევუერთდე, რომელიც ნოემბრის დასაწყისში აპირებს თბილისში წამოსვლას⁹. თუმცა ესეც საეჭვოა. ამასობაში, ხელი მოვანერე ხელშეკრულებას თარგმანების კრებულზე, რის შესახებაც, მგონი მოგწერეთ კიდეც¹⁰. სერიოზულად მაფიქრებს ამ წიგნის ბედი. იგი იანვრის ბოლოსთვის უნდა ჩავაბარო. სამუშაოს ადვილად გავართმევდი თავს, ენა რომ ვიცოდე და თავად თარგმანთა მოშველიება არ მჭირდებოდა.

პაოლო აქ ძალიან დაკავებული იყო და მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის მოცემა შეძლო იქიდან, რაც მე ვთხოვე¹¹. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ პროზაული თარგმნა დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. იმის გარდა, რაც ჟღენტს გავუგზავნე, პაოლოსგან მეტი ვერაფერი მივიღე. არც ვადანაშაულებ, აქამდე რიონჰესთან დაკავ-

8. მიუხედავად ამ დიდი შთაბეჭდილებისა, აღნიშნულ აღმანახში ტიცციანის ლექსების გამოქვეყნება ვერ მოხერხდა.

9. პასტერნაკი საქართველოში ჩამოვიდა მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ბრიგადასთან ერთად 1933 წლის 17 ნოემბერს.

10. ხელშეკრულება გამომცემლობასთან „მოსკოვის მწერალთა ამხანაგობა“ თანამედროვე ქართველ პოეტთა თარგმანების კრებულზე ხელმოწერილ იქნა 1933 წელს. წიგნი გამოვიდა სახელწოდებით „ქართველი ლირიკოსები“ 1935 წელს.

11. საუბარია პნკარედებზე, რომელთა გარეშეც პასტერნაკი ვერ თარგმნიდა.

შირებული საქმეებით იყო დაკავებული¹². ამასთან, ჩემმა სამუშაომ ჩემთვის ისეთი მნიშვნელოვანი ადამიანის წინაშე, როგორცაა პაოლო, ჩამაყენა ჩემთვის უჩვეულო და აუტანელ მდგომარეობაში და აბეზარ მთხოვნელად მაქცია. ვშიშობ, მომავალში ვითარება გართულდება და გაუარესდება, რამდენადაც საქმე დამაკავშირებს სავსებით უცხო ადამიანებთან: თქვენთვის და პაოლოსთვის, ადამიანებისათვის, რომლებიც ასეთი ძვირფასნი ხართ ჩემთვის, შემძლია თავი ჩავიგდო დროებით უხერხულ ან თუნდაც გაურკვეველ მდგომარეობაში იმ იმედით, რომ მომავალში ამ გაურკვეველობას ნათელი მოეფინება. სხვებისთვის კი ამას ვერ ვიზამ.

მინდოდა მეთარგმნა ვაჟა-ფშაველა, პაოლო, თქვენ, გრიშაშვილი, ლეონიძე, ნადირაძე (მინიშვილი, თუკი წერს ლექსებს), ჩიქოვანი, ასევე გალაკტიონ ტაბიძე და გრიშაშვილი. ამათთან ერთად, პაოლო მირჩევდა, შანშიაშვილის, აბაშელის, ლორთქიფანიძის, კალაძისა და მაშაშვილის თარგმნას. მათგან პნკარედების მიღება დამჭირდება, თანაც სასწრაფოდ. ამ ყველაფერმა ჩემამდე ნოემბრის თვეში უნდა მოაღწიოს. ხელშეკრულებიდან გამომდინარე, იმის თარგმნას, რაც დაგვიანებით იქნება გამოგზავნილი, ვერ შევძლებ. არ მინდა ვინმეს თავი მოვაბეზრო და არ ვიცი, რამდენად გამართლებულია ჩემი საქციელი, მაგრამ სწორედ თქვენ მოგანდობთ ამ საქმეს, ე.ი. გთხოვთ, დამეხმაროთ პნკარედების მოპოვებაში ჩამოთვლილთაგან მხოლოდ იმ პოეტებისგან, რომლებთანაც ეს უფრო მარტივად მოხერხდება. ტიცციან, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორი პნკარედები მჭირდება. მართალია ქართულ ენაში მახვილი არ არის, მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, აღმინიშნოთ, თუნდაც პირობითად, როგორ იკითხება ლექსი. მაგალითად, მე არასდროს გამიგია ეთქვათ ტა'ბიძე ან ტაბიძე', ყოველთვის ამბობენ ტაბი'ძე. ასევე, თქვენ კითხულობთ: ლე'ქსები და არა ლექსე'ბი ან ლექსები'. მაგალითად, მახვილი არ არის ძველ ბერძნულშიც. მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება გრძელი და მოკლე ხმოვნები, რის შედეგადაც ვიღებთ სრულ შესაბამისობას იმასთან, რასაც ახალ ენებში მახვილი ეწოდება. მაგალითად, ოდისეას პირველი სტრიქონი

12. ელექტროსადგურის მშენებლობა მდინარე რიონზე.

შემდეგნაირად იკითხება: ა'ნდრა მოი ო'პპერე მუ'ზა პოლუ'ტროპონ პო'ს მალა პო'ლლა¹³ — გამოდის ჰეგზამეტრი. მახვილი არ იყო არც ლათინურში. გნერთ, გნერთ და უცბად მახსენდება, რომ მახვილი არა მართო იყო ლათინურ და ბერძნულ ენებში, არამედ ამ უკანასკნელში მახვილთა 3 გრადაცია იყო და ამდენად, მთავარი იყო, რომ ლექსთწყობა ხელმძღვანელობდა არა მახვილებით, არამედ მარცვალთა სიგრძე-სიმოკლით. სხვაგვარად გეტყვით. უბრალოდ თავი წარმოიდგინეთ რუსი მთარგმნელის ადგილას და რუსული ენისა და ლექსის თქვენული ცოდნის დახმარებით მიეცით მას ნათელი მითითებანი საზომის საწარმოებლად. სხვაგვარად ჩემი თარგმანები იქცევა თვითნებობის სფეროდ, როგორც ეს მოხდა თქვენსა და პაოლოს შემთხვევაში, რაც არ უნდა სანინალმდეგო მიმტკიცოს პაოლომ, ე.ი. მარწმუნოს, რომ საზომი პირწმინდადაა შენარჩუნებული. მე მხოლოდ საზომის იდეა შევქმენი მოსმენილის მიხედვით, ისიც იმიტომ, რომ თქვენ და პაოლომ ერთხელ წამოკითხეთ ეს ლექსები და მე მქონდა ამოსავალი წერტილი, რაც სხვა შემთხვევებში ვერ მექნება.

ძვირფასო ტიცციან, ეს თხოვნა თქვენც გეხებათ. კიდევ მომეცით თქვენი რამდენიმე ლექსი. ნათარგმნი ძალზედ ცოტაა. სხვა პოეტების შემთხვევაში მათთვის უშუალოდ მიმართვის შესაძლებლობას მოკლებული ვარ (გარდა გრიშაშვილისა, ნადირაძისა და ლეონიძისა) — დამეხმარეთ ამ საქმეში ან უშუალოდ, ან ჟღენცის მეშვეობით.

საყვარელო ტიცციან, ამ თხოვნას მეტჯერ აღარ გაგიმეორებთ, არც თქვენ, არც პაოლოს, არც ჟღენცს. თუ ნოემბრის შუა რიცხვებისათვის, ან ჩემი ჩამოსვლისათვის ეს საქმე არ დაიძვრება, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ამ მიმართლებით ჩემი მუშაობა არასასურველია.

გკოცნით. მოკითხვა თქვენს ოჯახს.

ბ.პ.

688. ტ. ტაბიძეს

6 დეკემბერი, 1933. მოსკოვი

6.XI.33 (დათარიღებაში ავტორისეული შეცდომაა, უნდა იყოს XII)

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ნინა და ტიცციან! არ ვიცი, რა ჰქვია იმ მალლობს, რომელზეც გადიან თბილისის მატარებლები.

13. ჰომეროსის „ილიადას“ დასაწყისის სტრიქონი.

იგი მოჩანდა ჩვენი ფანჯრებიდან, როდესაც „ორიანტი“ ვცხოვრობდით. ხშირად ვუყურებდი მას, როდესაც თვალს ვადევნებდი ნელა მოცურავე კვამლს, რომელიც ხან მოეფარებოდა ქვის შვერილებს, ხან ისევ გამოჩნდებოდა. ამ კვამლის მსგავსი მანიპულაციები დავინყე, როდესაც თქვენ და კორნეევი¹⁴ შესახვევს იქით დარჩით, ნიკოლაის და გოლცევის შეეძლოთ, დაენიშნათ დრო, თუ რამდენ ხანს ვემშვიდობებოდი მისაღები ოთახის ფანჯრიდან საოცარ ქალაქს. რამდენი მოვლენა რჩებოდა სამუდამოდ კლდეთა მიღმა, თუმცა შემდგომ ისევ ჩნდებოდა, ამოიზრდებოდა უკვე შეუძლებლობიდან, სრულიად მოულოდნელად. და ყოველივე ამის გამო როგორ მიძნელებოდა ცრემლების შეკავება. ბედნიერები ხართ! ბედნიერები! რა დიდი სიხარულით გაგიცვლიდით ჩემს ხვედრს, ასე რომ არ მიყვარდეთ.

კრიჭაშეკრულმა ვიმგზავრე სხვა თანამგზავრებთან ერთად. გულით უდიდესი სიმიდრე მომქონდა, თუმცა გამზიარებელი არავინ მყავდა: იქ მყოფნი ხომ თქვენ არ გიცნობდნენ, ისინი ხომ არ ყოფილან იმ საღამოს ლეონიძესთან, არ დაუცავთ ლადო შანშიაშვილის თავდასხმებისაგან, არ უძებნიათ ყაზბეგის მთა ნისლიან-ბურუსიან პანორამაში, რომელიც ე. ბედიას¹⁵ ტერასიდან იშლებოდა. საცოდავი უბირნი, რომელთაც არავითარი მიზანი და მოწოდება არ გააჩნიათ ცხოვრებაში, ვინაიდან იმ სუფრასთან არ მსხდარან, რომელიც მატარებლის გამოსვლამდე ერთი საათით ადრე გაიშალა.

ჩემო ძვირფასებო, ადვილად წარმოიდგინეთ, რამდენჯერ მექნებოდა დრო და შემთხვევა, ხელახლა განმეცადა უკვე ნანახი და განცდილი. ამისათვის საკმარისი დრო მქონდა მით უფრო, რომ მოსკოვში ჩასვლა 30 საათით დავაგვიანეთ. ჯერ ბაქოსთან 9 საათით შეგვაყოვნა თოვლიანმა ქარბუქმა, შემდეგ მაჰაჩყალასთან ვიდექით მთელი ღამე მომდევნო გადასარბენზე განცდილი მარცხის გამო. შემდგომ ისე გვეპყრობდნენ, როგორც განრიგიდან ამოვარდნილებს ეკადრებოდათ: სემაფორები მოწყვეტით ეშვებოდა ჩვენ წინ, მცირე სადგურებზე. და ჩემთვის სრულიად ცხადი ხდებოდა, რომ განრიგიდან ამოვვარდი მე და არა მატარე-

14. ბორის კორნეევი — გამომცემლობა «Закннига»-ს დირექტორი და მისი ცოლი სერაფიმა.

15. პარტიული მოღვაწე.

ბელი, იმიტომ რომ მთელი ჩემი ფიქრებით ვიყავი არა გზაში, არამედ იმ დღეთა შორის, რომლებიც თქვენთან გავატარე.

და ვინაიდან იმდენი სისულელე გითხარით, რომ მათი რაოდენობა ხარისხში გადადის და იქცევა უფლებად, ამგვარადვე განვავარდო, იმაშილა გამოგიტყდებით, რომ შინ დაბრუნებისთანავე მელოდა თავიდან ბოლომდე ხელახლა, მთელი თავისი დრამატიზმით, განცდა იმისა, რაც ზინასთან ერთად განვიცადე. თუმცა ამჯერად ეს ხდებოდა მხოლოდ ორს შორის, მშვიდობიან თავშესაფარში, სადაც არავინ და არაფერი გვიმლიდა ხელს. ისე რომ, დროდადრო ეჭვი მიპყრობდა, უადგილო ხომ არ იყო ახალი გაცნობის ეს სულელური ქარცეცხლი, ვინაიდან იგი უკვე დიდი ხანია ნალიარებია.

და აი, სრულიად სხვა თემა, წმინდა წყლის სისულელეების სფეროდან, „იდიოტიზმის, როგორც ასეთის“ ნიმუშები.

ინგლისურ და სკანდინავიურ პრესაში დაბეჭდილი დეპეშების საფუძველზე მამა წერილში სიხარულს გამოთქვამს ჩემი მოგზაურობის გამო და.... მილოცავს (!). ნაუკითხავს, რომ მე ვემეთაურობდი (!!) მწერალთა ექსპედიციას, რომელიც იმავე მატარებლით შემდეგ ყირიმში გაემგზავრა (!!!). მამას ძალიან მოსწონებია ჩემი სიტყვა (!!!!), რომელიც თბილისში წარმოვთქვი (!!!!).

ჩემო ძვირფასებო, ღირს კი ამის შემდეგ ცხოვრება და მუშაობა, როდესაც თითოეული ჩვენგანი, ისე, რომ ამის არავითარი საბაზი არ მიგვიცია, უცბად აღმოჩნდეს გაუგონარი სპეკულაციის მსხვერპლი, სპეკულაციისა, რომელიც არარეალურია არა მხოლოდ ჩვენთან მიმართებით, არამედ ზოგადად მთელი თავისი არსით, სპეკულაციისა, რომელიც თავად ვერ გარკვეულა, სად დაჯდეს და დადოს თავისი გუგულის კვერცხი! ალაღბედზე, სრულიად შემთხვევით (ალბთ, ასე ყრიან აეროპლანებიდან თესლს მინდვრებზე) ხდება აჟიოტაჟისათვის ობიექტების შერჩევა და ადამიანი, რომელსაც სურს იცხოვროს თავისთვის, საბირჟო ზღაპარში ამოყოფს თავს. ჩემს შემთხვევაში ეს კიდევ უფრო გულისამრევია იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემ მიერ ნამდვილად გაკეთებული სანახევროდ არის დამძიმებულიყალბი ლეგენდით: „თბილისში წარმოთქმულ სიტყვებად“ და „ყირიმულ მოგზაურობად“ ხომ არ იყოფა ის ნახევარი, რაც ნამდვილად იყო?

ეხ, ტიცციან, როგორ მინდა ვიცოდე, მთელი სიცხადით, ვინ ვარ და რას წარმოვადგენ, რათა სასამართლო პროცესზე ნივთმტკიცებულებებით შეიარაღებული წარვსდგე! ზი-

ნას ამ კითხვაზე თავისი პასუხი აქვს. იგი, როგორც დაინტერესებული პირი, ფიქრობს, რომ უსაქმური ვარ და ეჭვქვეშ აყენებს ჩვენს მომავალ თანაცხოვრებას იმ შემთხვევაში, თუ, ბოლოს და ბოლოს, კვლავ არ შევუდგები მუშაობას.

თუმცა მთლად მართალიც არ არის ზინა, რადგან მოსიყვარულე ბუნება, ის ერთადერთი, რაც ნამდვილად ვიცი, რომ მახასიათებს, იმდენად დიდია ჩემში, რომ საქმის და მგონი პროფესის შემცვლელიც ხდება.

მიჩვევა ადგილებზე, დღის რომელიმე მონაკვეთზე, ხეებზე, ადამიანებზე, სულთა ისტორიებზე, რომელთა გადმოცემაც არ მჭირდება, ვინაიდან მათ შესახებ დუმილიც კი ძალზედ სიმბოლური, თუმცა მზად ვარ ხოლმე მათი სათქმელი გადმოვცე — როგორღაც არა მამაკაცურად, სულელურად მიჩვევა ის ერთადერთია, რაც ვიცი და შემძლია.

მოკითხვებს შორის, რომელთაც ახლა გაბარებთ, არის ერთი — თქვენ იცით — რომლის გაფორმებაც არ ძალმიძს, იმდენად ცოცხალი და ნამდვილია იგი: გულმხურვალე სალამს ვუძღვნი პოეტ ლეონიძეს და მის პოეზიას, მის ცოლს, მის ბედს, მის სახლს¹⁶. თავს ვაიძულებ ვიყო კიდევ უფრო ზუსტი: სალამს ვუძღვნი ბავშვურ ნაპერწკალს, რომელიც გამოკრთის მისი ხელიდან და ხელნაწერიდან, მისი სულიდან და მის შეილებაზე გადმოედინება. მე ვსაუბრობ არა ბავშვობის იმ ყალბ, რაფაელიზებულ და გადამლაშებულ წარმოდგენებზე, რომლებიც კანფეტის ყუთებზეა გამოსახული მხოლოდ და სინამდვილეში არ არსებობს, არამედ ბავშვურ გულბრწყვილობაზე, ჭირვეულობასა და უსუსურობაზე, მის ელექტროგამტარობაზე. ბავშვობის უნარზე, ააგოს სამყარო სათამაშოებით და დაილუპოს ქუჩის გადაკვეთისას. ბავშვის სანახაობაზე შორს ნასული ცხოვრების შუაგულში, ცხოვრებისა, რომელსაც იგი უმკლავდება ბავშვურად, მარტივად, უთავბოლოდ, მარდად და დაუცველად. ეს მოკითხვა იმდენად ძნელად გასაგებია, რომ ამაზე უკეთ გადმოცემა შეუძლებელია.

ზაიცევისგან შევიტყვე, რომ ბორისის¹⁷

16. ლეონიძესთან და მის მეუღლესთან 1933 წელს შეხვედრით მიღებული შთაბეჭდილებები აისახა პასტერნაკის ლექსში «Как-то в сумерки Тифлиса...», რომელსაც თავდაპირველად გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნა ჰქონდა.

17. ანდრეი ბელი ავად გახდა 1933 წლის ივლისში, დეკემბრის დასაწყისში საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც 1934 წლის 9 იანვარს გარდაიცვალა. ზაიცევი - მისი უახლოესი მეგობარი და მდივანი.

მდგომარეობა გაუარესდა, ლოგინადაა, თუმცა საშიში არაფერია. გამოვიდა «Рубеж»-ის გაგრძელება, მისი მოგონებების¹⁸ მეორე ტომი. მალე ვინახულებ. თქვენი მოკითხვა ზაიცევის მემკვიდრეობით გადავცეცი.

აკოცეთ ჩემს მაგივრად ნიტას, თავს გაუფრთხილდით და რაც შეიძლება მალე გვესტუმრეთ. მოუთმენლად ველი ტიხონოვს და პავლენკოს, რათა გავიგო, მერე რა მოხდა. მათი მონათხრობის საშუალებით თვალნინ წარმომიდგებით და კვლავ თქვენთან ვიქნები. როგორც სამხრეთიდან მოაქვთ ხოლმე ნამზუური, ისე ნამოვილე თქვენგან ნუთიერი ანარეკლი ყოველივე იმისა, რაც მოხდა და გაიელვა ჩემ თვალნინ და თითქოს იგი უნდა გამქრალიყო და დავინწყებას მისცემოდა, მაგრამ იაშვილის თქმისა არ იყოს, იქცა მხატვარსა და მის საყვარელ ფერს შორის არსებულ მეგობრობად და აღარ მტოვებს. გკოცნით, ტიციაან.

მუშაობით თუ მუშაობთ, ტიციაან? როგორც კი თქვენგან და ლეონიძისგან მივიღებ პნკარედებს, ხელს აღარ მოვკიდებ იმათ, რომლებიც უკვე მივიღე სხვებისგან — მოსანყენია.

701. ვ. გაფრინდაშვილს
2 ივლისი, 1934, ოდოვეი
2.VII.34

ძვირფასო ვალერიან! გკოცნი და გეხვევი ამჯერად ოდოვეადან, სადაც დიდი გაჭირვების შემდეგ გუშინ ძლივს ჩამოვალნიეთ. დღეს მივიღე თქვენი წერილი, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოგახსენებთ. დიდად მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ არ დამიმაღლეთ თქვენი ვაკვირება ვაჟა — ფშაველას ერთ-ერთ პირველ სტრიქონთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ბექდვითი შეცდომაა და მიკვირს, როგორ გამეპარა. უნდა იყოს: **внимая из каждой строки**¹⁹ და არა «ИХ», როგორც თქვენ მწერთ, დათუ ეს მე მართლაც გამომჩნა, უმორჩილესად გთხ-

18. 1933 წლის ნოემბერში გამოვიდა ა. ბელის მოგონებები „საუკუნის დასაწყისი“. პირველი ტომი „ორი საუკუნის მიჯნაზე“ გამოიცა 1930 წ.

19. ვ. გაფრინდაშვილი აკეთებდა ვაჟა - ფშაველას პოემის პნკარედებს. საუბარია პოემა „გველისმჭამელის“ გამოცემაზე «Ослитиздат»-ში (1935). სტრ.: 9-12: «Внимая из каждой строки/ О чём-нибудь имени чтимом, / Покуривали старики, / Как облаком – скрытые дымом». პასტერნაკი ბექდვიური შეცდომების შესახებ წერდა ასევე ნიგნის რედაქტორს, ვ. გოლცევის 1934 წლის 5 ივლისს: „წარმომდგინე, გაფრინდაშვილის წერილმა მომისწრო აქ. აღფრთოვანებას გამოთქვამს. თუმცა ეს არ არის მთავარი. მის მიერ გამოთქმული გაურკვევლობიდან ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ჩემი რემინგტონი მოშლილი იყო, ეს ალბათ

ოვთ ეს შესწორება შეიტანოთ ორივე ეგზემპლარში. ალბათ არის კიდევ სხვა გაპარული ბექდვიური შეცდომები. კარგი იქნებოდა, თუკი ფოლიანი გამომიგზავნიდა ჩემამდე ვინმეს მიერ შესწორებულ სულ ბოლო კორექტურას. აქ საოცრად თვალწარმტაცი გარემოა, დასასვენებელი სახლის გამგეები და ხელმძღვანელები არაჩვეულებრივი ხალხია, მაგრამ, რასაკვირველია, სახლი ვერ იქნება გეოგრაფიული გამონაკლისი ქვეყნის საერთო ცხოვრებიდან და ამგვარად ყველაფერი აწყობილი არ არის. გეხვევით. მოკითხვა ყველას.

ბ.პ.

716. ნ. და ტ. ტაბიძეებს
8 დეკემბერი, 1934, მოსკოვი
ჩემო ძვირფასებო, ნინა და ტიციაან!

როდესაც მივიღე ის სალამოს მაგიდა კონვერტში, წერილს წერილზე გწერდით. ოხ, ისეთი ძვირფასები ხართ ორივე! მაგრამ ჩვენ ხომ კიდევ ძალიან ბევრ საერთოს გამოვნახავთ ცხოვრებაში და კიდევ დიდხანს და უფრო ძალუმად ვიცხოვრებთ ერთმანეთით, არა? მაშ, რა საჭიროა ერთმანეთისათვის წერილების წერა.

ოლონდაც ამ ჩემს კაბალას, ამ პროზას დავალწევდე თავს. გრძელი ამბავია, რატომ ვაჩქარებ მას ასე.

როდესაც მე თქვენ ახლობლებს, ძვირფასებს, სულთ მონათესავეებს გინოდებთ, ეს ფუჭი სიტყვები როდია. როცა ჩამოხვალთ, კლავდიას²⁰ ჰკითხეთ.

გამოუგზავნელ წერილებში ჩემს თავზე გწერდით. გწერდით, სულში თითქოს ნებოთი სავსე ბოთლი მაქვს-მეთქი, რომლის ერთინაწილიც მხოლოდ საუკეთესოს იკრავს იმათგან, რაც განმიცდია. იმ წერილებში ჩამოგიტვალეთ ყოველივე ის, რასთანაც თქვენ ხართ დაკავშირებული: როლანთან, ჩემს უფროს დასთან, ახლანდელ რევოლუციურ გერმანიასთან, რომელიც რილკეს ნამდვილი გაგრძელებაა და ა.შ. და უცბად თავში დამკრა, რომ თქვენთვის, ნინა, ამგვარი ფიქრთა მდინარება, გაუგებარი იქნება, ვინაიდან ასეთი ცოცხალი ბოთლი — ტიციაანი

იმის ბრალია, რომ ლეონიძის სალამოს არცთუ ფხიზელი ვიყავი. შეცდომა „გველისმჭამელის“ პირველივე გვერდზეა. ადვილი წარმოსადგენია, შემდეგ რამ შეიძლება იჩინოს თავი! ამდენად, როცა აქეთ წამოსვლას დააპირებ, აუცილებლად წამომიყოლე თუნდაც შენი ეგზემპლარი, ჩემი მინდავითვე, - მაპატიე ეს ჩემი გაუთავებელი თხოვნები. ან იქნებ იმ დროისათვის კორექტურა უკვე იყოს?“ (პასტერნაკი „ლეონიძის სალამოს“ უწოდებს თარგმანის ნაჩქარევ სწორებას ლეონიძის თბილისში გამგზავრების წინა დღეს).

20. კ. ბუგაევა - ანდრეი ბელის მეუღლე.

— გყავთ გვერდით. ტიცინი, რომელიც ყველაზე ძლიერი ლირიკოსია. ეს მე ადრეც ვიცოდი. მაგრამ იგი ჩემთვის იმდენად ახლობელია, რომ ვერ ვბედავდი ამის ბოლომდე გაცნობიერებას, როგორც ამას საკუთარი თავის მიმართ ვერ გავბედავდი. ზოგჯერ მას სრულიად ვწირავდი, როგორც საკუთარ თავს, შეძლებთ ამის გაგებას? უნდა გენახათ, რა მოხდა დარბაზში, მე მასთან მივედი! ნინა, თქვენი ძაღლებით²¹ ტიცინი იქნება მოსკოვური ნიგნის გული, იგი გადაარჩენს მას²².

თუმცა საკმარისია, საკმარისია. თორემ ასე თუ გავაგრძელებ, ამ წერილს გამოგზავნა არ უნერია.

როდესაც „გველისმჭამელი“ ნიგნის სახით ვიხილე, სუნთქვა შემეკრა იმის გამო, რომ არ მქონდა შესაძლებლობა, მეტყვა თუ ვის ვუმაძღვროდი ამ ნიგნს. ეს ეფემიასათვის²³ უნდა მეტყვა.

როდესაც დავბრუნდი, მთელი თვე თვალწინ მედგა ყველა ადგილი, თბილისში გატარებული ყველა წუთი და ისინი ჩემ მაგივრად მუშაობდნენ. ეფემია კი ამ მოგონებათა თანმდევი ხატება იყო.

მისთვის ამის თქმა არ არის საჭირო, ჩვენ გარეშეც იცის ეს ყოველივე. უბრალოდ იცის, ისევე, როგორც ზინამ, რომელსაც არასდროს არაფერი ესმის.

გესმოდეს, ეს სულ სხვა რამაა, სულ სხვა სამყარო, სხვა სტილი და ცხოვრების სულ სხვა სახე. ეს არც ადგილია, არც წამი, არც თვით თბილისი და შესაძლოა დედამინაც კი არა. ეს არის შემთხვევითობის მიერ ნაჩუქარი ისტორიასთან მიახლოების შესაძლებლობა, ეს მის მომავალში მონაწილეობის შესაძლებლობაა, ეს არის ვრცელი რომანი რამდენიმე განსაკუთრებით ბედნიერი, ერთი აზრით გაერთიანებული, საძღვრებდაკარგული თარიღისა. ეს არის წებო, რომლის შესახებ ზემოთაც იყო საუბარი, ეს მე და თქვენ ვართ, ეს ჩვენი ჩაჭიდებული ხელებია. გიგზავნი ჩემს ზაფხულის ფოტოს, რომელიც უბრალო ოდოველმა მასწავლებელმა გადაიღო, მისი არ მერიდებოდა და ამიტომ სურათი კარგი გამოვიდა.

გეხვევით, ტიცინ. თქვენი ბ.

717. 6. ტაბიძეს

14 დეკემბერი, 1934, მოსკოვი

14.XII.34

ძვირფასო ნინა!

ჩემამდე აღწევს ხმები, რომ ტიცინი სა-

21. ტ. ტაბიძის ლექსი «сельская ночь» - «Дворянские малыя «тяв-тяв» на месяц в небе...»

22. ბ. პასტერნაკის მიერ თარგმნილი «Грузинские лирики», 1935 წ.

23. ეფემია ლეონიძე. მას ეძღვნება სტრიქონები ლექსიდან «Как-то в сумерки Тифлиса...»: «Нас отбрасывала в детство/ Белокурая копна / В чёрном котике кокетства / и почти полусна...» (1936)

ერთოდ არ უფრთხილდება ჯანმრთელობას, რაც ძალზე მაშფოთებს.

ჟანგოს²⁴ მეუღლე მიყვებოდა, რომ კვირაში ერთი ღამე თუ სძინავს და სმამი არ ჩამორჩება ამხანაგებსო. სადამდე მიიყვანს ეს ყოველივე?

ენით აუნერულ ტკივილს მაყენებს ყოველივე ეს. ტიცინაზე, როგორც პიროვნებაზე და როგორც პოეტზე, მეც და სხვებზეც აქ ძალიან დიდ იმედებს ვამყარებთ. დაე, სხვებმა სვან და ათენონ ღამეები. ტიცინს ჩვენ ვერ დავთმობთ. თუკი მაგალითები გადამდებია, მაშინ ჩვენთან გამოემგზავრეთ.

ამ სხვებში მინიშნებებს ნუ დაუნყებთ ძებნას. ეს პერსონალურად არავის მიემართება (მით უფრო გოგლას და პაოლოს), ვგულისხმობ ახალ წრეს მთლიანად.

არც ისე დიდი ხნის წინ, როდესაც ჩემს ახლო მომავალს გაეყურებდი და ვფიქრობდი იმის შესახებ, თუ ვისთან ერთად მინდოდა ამ მომავლის გაზიარება, ყველაზე მეტად ტიცინაზე მეფიქრებოდა.

რომელ იმედის დამყარებაზე შეიძლება ლაპარაკი მაშინ, როცა მე განსაკუთრებული ინტერესით ვეკიდები საკუთარ ჯანმრთელობას, ვზრუნავ ძილზე და ვცდილობ მოწევას თავი დავანებო, ამ დროს იგი შეუწყნარებელი ბავშვურობით უღებს ბოლოს საკუთარ თავს.

იქნებ დროებით დრამით ან პროზით დაკავდეს. ეს კატორღაზე უარესი და საშინლად მოსაწყენია. ამისათვის მას დასჭირდება სულ სხვა ძაღლები, ვიდრე ლირიკისათვის.

ალბათ ჩემსავით, აქ კარგს ვერ ტიცინი დანერს რამეს და ამ ძაღვებსაც ვერ მონახავს, მაგრამ მათ ძიებაში იმას მაინც შეეცდება, რომ სუფთა ჰაერით ისუნთქოს, თავის დროზე დანვეს და ზოგჯერ, კურიოზისთვის მაინც, ფხიზლად დარჩეს.

აბა, სხვა რა უნდა მოვუხერხოთ? მომწერეთ, გთხოვთ, რა ხდება მის თავს. როგორ შეიძლება იყო ასეთი ნაყოფიერი და დამთმობი. სვამენ, იცინიან მის იჭვენეულობაზე — ნუთუ მას ასეთი ცოტა ძალა და ნებისყოფა აქვს? ნუთუ ვერ ხვდება, რომ ისინი უთანასწორო მდგომარეობაში არიან? პროლეტარიატს ჯაჭვის მეტი არაფერი აქვს დასაკარგი, მას კი საათიც მოეპოვება.

მომწერეთ, გთხოვთ, რამდენად შორს წავიდა მისი დაცემა და გთხოვთ ნუ გამიჯავრდებით ნინა წერილის გამო. ტიცინს ვეხვევი, აკოცეთ ნიტას.

თქვენი ბ.

თარგმნა სალომე ბედუკაძემ

24. ჟანგო ლოლობერიძე - ქართველი პოეტი-ფუტურისტი



ანდრე მორუა

დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა რომანი



XVIII

ოგასტა

ის მუდამ მონა იყო წამიერი გაელევებისა...

გადაწყვიტა, ლედი და ლორდი ოქსფორდები გაეცილებინა ნავსადგურამდე, მაგრამ ბოლო წუთს უარი თქვა, რადგან დამ, ოგასტამ მოსწერა, ლონდონში ჩამოვდივარო. ქალი იძულებული გახდა სახლიდან გაეცეულიყო, რადგან დიდი უსიამოვნებები ჰქონდა ქმრის ფინანსებთან დაკავშირებით. „ჩემო ძვირფასო ოგასტა, რომ იცოდეთ, თქვენი გულისთვის რაზე ვთქვი უარი, მოგზაურობა იქით იყოს, აუცილებლად იფიქრებდით, რომ უჩვეულო დამძურმა გრძნობამ შემიპყრო...“.

რაც ინგლისში დაბრუნდა, ოგასტა არ უნახავს. ქალი სიქს-მაილ-ბოტომში ცხოვრობდა, ქალაქკარეთ, ნიუ-მარკეტის იზოდრომთან, სამ ბავშვზე და ფულად

გაჭირვებაზე ფიქრით გადაღლილი. მისი ქმარი, პოლკოვნიკი ლი, თავით ფეხამდე ეგოისტი კაცი, ცხოვრებას დოღზე თამაშში ატარებდა, ვალებში ჩაფლული, პატარ-პატარა გამარჯვებებს თავის მეგობარ ლორდ დარლინგტონთან ერთად ადვილად აღწევდა; ცოლს თითქმის არ ხვდებოდა, რადგან სახლში მხოლოდ მაშინ ჩადიოდა, როცა ნიუ-მარკეტში დიდი იმართებოდა. ოგასტას ერთგული ცოლის სახელი ჰქონდა დავარდნილი. ღვთისმოსავი ბების აღზრდილმა, მისგან მორწმუნის თავშესაქცევი ჟარგონი აითვისა და მასში მორალის ადგილი დაიკავა. ოჯახში ყველამ იცოდა, რომ ოგასტას საჩუქარი ბიბლია იქნებოდა ან ლოცვანი. მოკლედ, დედისა და დიასახლისის მოვალეობები დროს არ უტოვებდა ეფიქრა თავის გრძნობებზე. სამი ბავშვის მოვლა, აქედან ერთი მაინც ავად იყო ხოლმე, აბეზარი კრედიტორებისა და ბუკმეკერების¹¹⁷ გაძღება, ქმრის მაგივრად მიმონერის წარმოება, რადგან თავად ქმარს წერილის წერის უნარი არ ჰქონდა — მთელი ეს ყოველდღიური წვრილმანი საზრუნავი მის ცხოვრებას ავსებდა. საეჭვოა, მეორე ადამიანი არსებობდეს კიდევ, როგორც ოგასტა არსებობდა.

ბაირონი მას 1813 წლის 27 ივნისს, კვირა დღეს შეხვდა თავის სახლში, ბენეტსტრიტზე, და მოიხიბლა კიდევ მისით. ერთი შეხედვით, განსაკუთრებით კარგ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, ეს უფრო მისი დაუდევარი ჩაცმულობით იყო გამოწვეული, ნაკვთები კი მშვენიერი ჰქონდა. ჰქონდა ბაირონების პროფილი, მათივე სასაცილო

117. დოღში სანაძღოს მოთავე /აგროვებს და ინერს სანაძღოდ დადებულ თანხას/.

ჩვევა ასო „რ“-ს ჩაყლაპვისა, კაპრიზული, ოდნავ ბავშვური სახის გამომეტყველება და წარბების შეჭმუხნის იგივე მანერა. ბაირონი, რომელიც საკუთარი თავით იყო მუდამ დაინტერესებული, სასიამოვნოდ გაოცებული დარჩა, როცა ამ მშვენიერ ქალში ახალი საკუთარი თავი შეიცნო.

მსგავსება ხასიათების ზოგიერთ თვისებაშიც გამოვლავლდა. ბაირონების მორცხვობა ჰქონდა და ველური ცხოველის გაუბედაობაც. ბაირონმა და ოგასტამ, საზოგადოებაში სიჩუმით გამორჩეულებმა უცბადვე იგრძნეს, რომ საუცხოოდ ეთვისებოდნენ ერთმანეთს. ნუთუ ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ოგასტა მისი და იყო, რომ მათ საერთო მოგონებები აკავშირებდათ, უდარდელი და ფუქსავატი მამით დაწყებული, სეუსუელელი ქვრივ-რეგენტიც და მათავრებული? პირველ დღესვე მკვირცხლი და სასიამოვნო ტონით საუბარი გამოუვიდათ. რა სამწუხაროა, რომ ოგასტას ქმარი ჰყავს; ასე რომ არ იყოს, მის სახლში დარჩებოდა და დიასახლისი გახდებოდა მისი. ეს უკეთესია, ვიდრე ვილაც უცნობი ქალის ცოლად მოყვანა. უცხოებს ვერ იტანდა, რადგან მათ არაფერი იციან მის ცხოვრებაზე, მის მგრძობიარე სიმებზე, მის საბრალო ფეხზე, მკაცრ ბავშვობაზე. ოგასტასთან კი ყველაფერი ძალიან ადვილია. შეგიძლია მთლიანად მიენდო. ის თავის „B aby ბაირონს“ შემწყნარებლური სინაზით ექცეოდა. როგორც კი ოგასტა გაემგზავრა, იმავე კვირას წერილი მისწერა:

„ჩემო ძვირფასო ოგასტა, თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ დღეს საღამოს ჩემთან ერთად წამოხვიდეთ ლედი დევისთან, თქვენთვის მოსაწვევი მაქვს; იქ ნახავთ ქალბატონ სტალს; ადამიანებს, რომლებსაც იცნობთ, და მე, რომელსაც არ იცნობთ; ვისთანაც გნებავთ, იმასთან ისაუბრებთ, მე კი დაგაკვირდებით, როგორც შინაბერას, რომელსაც საერთოდ შინაბერად დარჩენის საფრთხე ემუქრება. მოიქეცით ისე, როგორც მოგესურვებათ. თუ თერთმეტის ნახევარზე მზად იქნებით, გამოგივლით. ვფიქრობ, ერთად რომ ვიქნებით მესამე პირთა შორის, ეს ორივესთვის ახალი შეგრძნებები იქნება“.

შეგრძნებებს ხაზი გაუსვა. ცხადია, თავისი საყვარელი თეორია უკვე გაუზიარა ოგასტას: „მხოლოდ ძლიერი შეგრძნებები გვაძლევს საშუალებას, რომ საკუთარი თავი ვაღიაროთ“. ოღონდ, ოგასტასთვის რამე რომ აგეხსნა ყველაზე ამაო საქმე იყო ამ ქვეყანაზე. მის ქაოტურსა და არამდგრად გონებაში აზრები მაშინვე განუსაზღვრელობის საზღვრებისკენ ისწრაფოდა.

თავიდან, თავაზიანობის გამო, სთხოვა ახალი ლექსები მაჩვენეო; ვერაფერს გაიგებო, უპასუხა ბაირონმა, ოგასტამ თურმე კმაყოფილმა გაიცინა. უყვარდა, ბავშვივით რომ ერთობოდა. ყველა ბაირონივით, ისეც კომიკურობის ძლიერი გრძობით იყო დაჯილდოებული, ყველას წარმატებით ბაძავდა, რაც ბაირონს ალაფრთოვანებდა. ლაპარაკის სასაცილო სტილი ჰქონდა — ფაქტები, რომლებზეც ლაპარაკობდა, ისე იყო ბურუსით მოცული, სავსე გადაკრული სიტყვებით, არათანამიმდევრობით, ხუთი ნუთიც რომ გესმინა, უკვე ვეღარ მიხვდებოდი, რაზე ლაპარაკობდა. აქ იყო — oh dear ! oh dear !-ის¹¹⁸ ძახილი, ბავშვების ავადმყოფობებზე ლაპარაკი, ამას მოჰყვებოდა ანეკდოტი დედოფალ შარლოტაზე, რომლის სეფექალიც იყო; უცბად გადაუხდელი ვალი გაახსენდებოდა და ისევე oh dear ! oh dear ! და სიცილით ჩაბყირდებოდა. ბაირონი ამ არათანამიმდევრობით აღფრთოვანებული იყო. ის ამას ოგასტას „საშინლად Gr i nkumcr ankunf“¹¹⁹ საიდუმლოს ეძახდა. ბაირონმა მასთან მეგობრული ხუმრობის ტონით ლაპარაკი სწრაფად აითვისა, რომელიც მიჯნურისთვის უფროა დამახასიათებელი, ვიდრე ძმისთვის. ოგასტამ ლონდონში ივლისის თითქმის მთელი პირველი ნახევარი გაატარა. ბაირონთან არ ცხოვრობდა, მაგრამ მასთან ერთად დადიოდა თეატრებში, მეჯლისებზე, სტუმრობდა ბენეტ-სტრიტზე. ბაირონის სახლში მეურნეობას მისის მიული უძღვებოდა. ბებერ ჯადოქარს ჰგავდა, ყველას აშინებდა, ბაირონს აღმერთებდა, რომელიც ძალიან კეთილად ექცეოდა. მსახური სხვაგან ცხოვრობდა, ცალკე სახლში, მაგრამ ვილაც, თითქმის უცნობი, ქალის ყოველდღიური სტუმრობა — თვალში არ მოსდიოდა. და ეს ყველაფერი ტრადიციულ ვარაუდებს ქმნიდა სატრფიალო კავშირის შესახებ; და პირველსავე დღეს ამ „უჩვეულო დაძმურ“ ურთიერთობაში შეიპარა გრძობის ელემენტები, უფრო საამო, რადგან დასაწყისში ეს გაუაზრებელი იყო.

ბაირონის საცდუნებლად ყველაფერი ერთმანეთს დაუკავშირდა. ამ ახალგაზრდა, მისთვის სასიამოვნო ქალს, თავისუფლად შეეძლო მოსვლა. სიყვარულისგან მათ არ იცავდა, როგორც ჩვეულებრივ ნორმალურ და-ძმებს შორის ხდება ხოლმე, ჩვეული გრძობა. „ისინი ერთ ჭერქვეშ არ იზრდებოდნენ, ბავშვურ გაუაზრებელ უმნიკვლობაში. ერთმანეთს იშვიათად ხვდებოდნენ“.

118. ო, ძვირფასო, ო ძვირფასო! /ინგლ./

119. ხვეული, ძალზე დახლართული; ახირება.../ინგლ./

არც საერთო დედა ჰყავდათ და არც საერთო ოჯახი ჰქონდათ. ოგასტამ, ბაირონის თვალში, მოულოდნელი აღმოჩენის მთელი მომხიბვლელობა შეინახა. ბაირონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარმოშობას. მას უნდა მოსწონებოდა ჰერცოგ ლიდელის დასთან, სეფექალთან ურთიერთობა, რომელსაც მთელი ლონდონი იცნობდა და სენ-ჯეიმის სასახლეში ცხოვრობდა, მასთან სიახლოვეთ შეეძლო სიამოვნებით ეტრაბახა. გარდა ამისა, ქალი შეიძლება მოსწონებოდა, როგორც ყველა მეგობარი ქალი, მაგრამ ძლიერადაც უნდა მიეზიდა. ბაირონმა ოდესღაც ჩაინერა, რომ სიამოვნებდა, როცა ქალები ისე ექცეოდნენ, „როგორც საყვარელ, ოდნავ ჟინიან დას“. ის სიყვარულში ეძებდა მხიარული, მეგობრული სიახლოვის შერწყმას მგრძობიარე სიამოვნებებთან და თითქმის დედობრივ სინაზესთან. როგორც ოდნავ ჟინიან დას... გაახსენდა ეს სიტყვები და ინცესტზე¹²⁰ ფიქრმა მოსვენება აღარ მისცა. განა საკმარისი იყო წარმოედგინა დანაშაულებრივი ვნება, რომ დაეჯერებინა — ეს ქალი მისთვის ბედისწერა იყო? განა ბაირონები, გორდონების შთამომავალი არ იყო, რომელთა თავგადასავლები არანაკლებ საშინელი იყო, ვიდრე ბორჯებისა?¹²¹ ბავშვობიდანვე გრძნობდა, რომ რალაციკენ ჰქონდა მისწრაფება, ზელიუკოს მსგავსად, რალაც საზარელი დანაშაულისკენ, რაც მას ყველა ადამიანური კანონის ზევით დააყენებდა და კანონ გარეშეც. ამ თავგადასავლებში თავს დამნაშავედ გრძნობდა და სიამოვნებას პოულობდა იმაში, რომ უფრო მეტად ეგრძნო თავი დამნაშავედ, ვიდრე სინამდვილეში იყო. არსებითად კი, შეიძლება ითქვას, მხოლოდ მან, მან ერთმა, უწოდა ბუნებრივ სიყვარულს უცნობ ნახევარდასთან სისხლის აღრევა, შეცდომა აქცია დანაშაულად. ის უუნარობა საკუთარ თავს რომ ვერ შორდებოდა, რაც ასე სახიფათოდ აუცხოებდა სხვა ადამიანებთან, მის დასახმარებლად მოვიდა, ვინაიდან ამ თავის მსგავს ქალში ისევ საკუთარ თავს ეძებდა. ამ ქალისადმი სწრაფვაში თითქოს შეეყარა კიდეც მოუხელთებელი ნარცისიზმი.

ორი წლის წინ, გამოუცდელი მამლის სიმორცხვეს შეიძლება შეეჩერებინა კიდეც იგი. მაგრამ კაროლინა ლემის წყალობით, ასევე ლედი ოქსფორდისაც, დაპყრობის ცერემონიალი დიდებულად აითვისა, რითაც ამოუხსნელი ძალაუფლებით ბატონობდა

120. სისხლის აღრევა.

121. ბორჯა — ესპანური წარმოშობის არისტოკრატთა გვარი. დიდ როლს თამაშობდნენ XV-XVI ს.ს. იტალიის ისტორიაში.

გამოუცდელ ქალებზე. ოგასტას კი სხვაზე ნაკლებ შეეძლო წინააღმდეგობა გაენია მისთვის. არც სიამაყე ჰქონდა, არც ნებისყოფა, და ბაირონმა უცბადვე შეითვისა. ბაირონი მას გუსს თუ გოოსე-სს ეძახდა, ჩემს პატარა ბატის ჭუჭულს; სულულის ხარო, ეუბნებოდა; ქალი იცინოდა. მისის ლის ძალზე ზედაპირული ღვთისმოსაობა, ნაკლებ გავლენას ახდენდა მის საქციელზე. ყველაზე ცხოველი გრძნობა მასში სიკეთე იყო, მაგრამ სიკეთე ისე ნაკლებ იყო მოწესრიგებული მორალური თუ სოციალური წესებით, რომ დაუფიქრებლად ჩაიდენდა ყველაზე საძაგელ ქმედებას, ოღონდ კი მისთვის, საყვარელი არსებისთვის, სიამოვნება მიენიჭებინა. ბუნებით უმნიშვლოს შეეძლო ყველანაირი სიგიჟის ჩადენა, რომელსაც მაშინვე ივინყებდა.

მერე, გვიან, ბაირონი თავის მესაიდუმლეს, ლედი მელბურნს ყველაფერს მოუყვება და ხაზგასმით აღნიშნავს კიდეც, ოგასტამ სინაზის გრძნობის გამო უფრო დათმო, ვიდრე ვნებისაო. „ღმერთს გეფიცებით, რომელმაც ჩემდა საუბედუროდ შემქმნა და, ცხადია, არც სხვათა სიკეთისთვის, არ შეიძლება მისი დადანაშაულება ჩემთან შედარებით. არც კი ესმოდა, რომ დაილუპებოდა; მერე უკვე გვიანი აღმოჩნდა; სხვანაირად მისი დათმობა ვერ ამიხსნია, გარდა იმისა, რომელიც საკმაოდ მართალი მგონია: ეს არის ის, რასაც ქალები უფრო ძლიერად ეთვისებიან, ვიდრე მამაკაცები, როცა მათ თუნდაც ოდნავ აღერსიანად ექცევიან“.

ამ სიყვარულიდან იმდენად დიდი და მძაფრი სიამოვნება მიიღო, რომ თავადაც გაუჩნდა ცოდვის შეგრძნება. ყველა ადრინდელი თავგადასავალი ამ ბედნიერებასთან შედარებით არაფრად მოეჩვენა; ბედნიერება, იმავე დროს,

სინდისის ქენჯნასთან შერეული. სისხლის აღრევა, ძალმომრეობის ერთი ყველაზე ძველი ადამიანური მეთოდი, თითქოს ხორცის სიამოვნებას შეამბოხური შარავანდელით მოსავდა. ოგასტა დაუფიქრებლად დანებდა. oh! dear .o h! dear ; აბა, ეს რა საქციელია ოჯახის დედისა, და რა ნაკლებად იყო ის შექმნილი ამ ტრაგედიისთვის! ყველაზე გასაოცარი კი ის იყო, მას როგორღაც თავისებურად უყვარდა „ის არაჩვეულებრივი ჯენტლმენი, თავისი ბიძაშვილი და მეუღლე“, მაგრამ განა შეეძლო თავისი B aby ბაირონისთვის რამეზე ეთქვა უარი, თანაც როცა ევედრებოდა? ეს ქალი ერთი იმ ქალთაგანი იყო, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უსიამოვნო წარსული მთლიანად ქრება, როგორც კი შეწყვეტ მასზე ფიქრს. ბელურასავით საკუთარი აზრების თავზე დახტოდა და რალაც-რალაც სასაცილო ამბებს

კრებდა. მოგვიანებით, როცა ბაირონმა სინდისის ქენჯნის სიმწარე იგემა, იგი ეცადა ქალი იძულებული გაეხადა ზოგჯერ მასთან ერთად ჩაეხედა მათსავე დანაშაულში, მაგრამ ოგასტა მოხერხებულად, ადვილად აღწევდა თავს და მის გამხიარულებას ცდილობდა.

ივლისის ბოლოს ბაირონი ნიუ-მარკეტში წაიყვანა, თავისი შვილები რომ ეჩვენებინა. ბაირონმა ძალიან მხიარულად გაატარა დრო. ბავშვებმა ახალგაზრდა ბიძა შეიყვარეს. როცა ბაირონი გამოჩნდებოდა, ისინი მხიარული ყიჟინით ეგებებოდნენ: „ბაირონი! ბაირონი!“ მერე ოგასტა მასთან ერთად ისევ ლონდონში გაემგზავრა. პოლკოვნიკის ფინანსური მდგომარეობა ისეთი იყო, ფიქრობდა, ამ სახლში ცხოვრებას, ყველაფერი სჯობსო. ძმა დასთან ერთად მოგზაურობის გეგმებს ადგენდა. ბაირონს ინგლისი ყელში ამოუვიდა. პრინც-რეგენტი ლიბერალი რომ ეგონა, დღითი დღე დესპოტი ხდებოდა. ლიტერატორი ლი ჰანტი ციხეში ჩასვა იმისთვის, რომ გაბედა და გააკრიტიკა რომელიღაც დითირამბი პრინცზე. ბაირონს, ჩაილდ ჰაროლდისთვის, სამშობლო ეზიზღებოდა, „რა იდიოტი ვარ, რომ დავბრუნდი“, — ამბობდა ის. იხსენებდა ურცისა და ლავანდის სურნელს, ცისფრად მოელვარე ზღვაზე ასახულ მთების მოხაზულობას, ქვეყნებს, სადაც შენთვის არავის სცხელა და არც შენ გცხელა ვინმესთვის. რატომ არ წაიყვანოს ოგასტა სიცილიაში ან საბერძნეთში?

დუმილი აღარ შეეძლო, მეგობრებს აგრძობინებდა კიდეც, მინიშნებებით, ოღონდ საიდუმლოს გამჭვირვალე საბურველი ფარავდა, ვინ იყო და რას წარმოადგენდა მისი ახალი გატაცება. „საქმე ეხება, არა მშვენიერი სქესის ბრწყინვალე წარმომადგენელს, — სწერდა მურს, — საქმე იმაშია, რომ ახლა სრულიად შთანთქმული ვარ ახალ ამბავში და ეს გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ამ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში მქონდა, — ეს კი ბევრს ნიშნავს. უბედურებაა, რომ არ შეგვიძლია უქალოდ გაძლება და არც მათთან ცხოვრება“.

ლედი მელბურნსაც გამოუტყდა, თუმცა გაბედული ქალი იყო, მასაც კი თავზარი დაეცა:

„უფსკრულის პირას დგახართ, თუ არ შეჩერდებით, სამუდამოდ დაიღუპებით — ეს დანაშაულია, რომლის მიტევებაც ამ ქვეყანაზე შეუძლებელია, თუმცა იმ ქვეყანაზე მიუტევებიათ“.

ბაირონი, თუმცა იდუმალად, თვითონაც ასე ფიქრობდა, მაგრამ, მაინც ძალიან ამაყოფობდა, რომ მისი შეძრწუნება შეძლო.

„ბოლოს და ბოლოს, ის მაინც სათნო ქალია, — თქვა ბაირონმა ირონიულად, — რადგან არსებობს ისეთი რალაცეები, რომელთა წინაშეც შეჩერდება“. მაინც დაუჯერა და სიცილიურ პროექტზე უარი თქვა. „ძვირფასო ლედი მელბურნ, თქვენს თავაზიან წერილზე ვერაფერს გიპასუხებთ; თქვენს გარდა ვერავინ მომცემდა ასეთ რჩევას, ჩემს გარდა არავინ ჩათვლიდა აუცილებლობად ეთხოვა ეს რჩევა. ისევ ლონდონში ვარ, ასე რომ, თქვენმა რჩევამ ისე გასჭრა, როგორც ელოდით“.

ის მართლაც ლონდონში იყო ოგასტასთან ერთად, ზაფხულის ამ დაცარიელებულ ქალაქში და თავს ბედნიერად გრძობდა. „რას ვაკეთებთ? ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რას არ ვაკეთებთ. ქალაქი ცარიელია, მით უკეთესი: საუცხოო ადგილი ხდება, როცა არავინ არის. არაფერს ვლაპარაკობ; არაფერს ვაკეთებ; არაფერი მინდა“. ეს იყო სიყვარულის მომთენთავი უზრუნველი ბედნიერება.

გაზაფხულზე, ამ სატრფიალო ურთიერთობამდე, აღმოსავლური ზღაპარი „გიაური“ გამოაქვეყნა, „ჩაილდ ჰაროლდის“ შემდეგ შექმნილი ერთადერთი ნაწარმოები. „გიაურის“ პირველი ვერსია საშუალო პოემა იყო, — ათენიდან გამოყოლილი მოგონებები: ერთი ქალის ისტორია, რომელიც თურქებს ქმრის ლალატისთვის ზღვაში უნდა ჩაეგდოთ. შემოდგომით, რამდენიმე დღეში, ხუთასი სტროფი მიუმატა.

მან იცოდა, რომ ეს სიგიჟე დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ლედი მელბურნი, ამჯერად ნამდვილად იყო შემფოთებული, დარწმუნებულიც, რომ ბაირონი დალუპვისკენ ისწრაფოდა, დაც დალუპვისკენ მიჰყავდა; ეხვეწებოდა, შეწყვიტე ეს ურთიერთობაო. ბაირონს ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა. ოგასტამ მთელი აგვისტო მასთან გაატარა. სექტემბრის დასაწყისში, როცა ბაირონს დაშორდა, ის უკვე ორსულად იყო.

XIX

უახლოესი ქანდარა

ჩემი გული მუდამ უახლოეს ქანდარაზე ჯდება.

ბაირონი

ლედი მელბურნთან მიმონერაში თავის გმირ ქალებს ბაირონი ასოებით აღნიშნავდა. კაროლინა იყო კ., ანაბელა „თქვენი ა“, ოგასტა — „ჩემი ო“, ზოგჯერ, როცა გან-

საკუთრებული საიდუმლოს დაცვა იყო საჭირო, უბრალოდ ჯვარს სვამდა. ლედი მელბურნის ერთადერთი სურვილი, მას შემდეგ, რაც ინცესტი აღსრულდა, ის იყო, რომ ამ სახიფათო ასოებს მომნანიებელი წერილიც მოჰყოლოდა. მაგრამ, განა შესაძლებელი იყო ეს?

ბაირონი — ლედი მელბურნს: „როგორც შემედლო ვცდილობდი, ემმაკისთვის მეჯობნა; შედეგი უმნიშვნელოა, რადგან საშუალება, რომელიც ადრე არცთუ იშვიათად მშველოდა, ამჯერად უშუდეგო აღმოჩნდა. ჩემი გრძნობების სხვაზე გადატანაზე ვლაპარაკობ... სულ ახლახან მშვენიერი შემთხვევა მომეცა და იმედიც არ დამიკარგავს. კეთილი განზრახვებით ვიყავი სავსე, მაგრამ შეგრძნებამ, რომ ამისთვის ძალა იყო საჭირო, ყველაფერი ნაახდინა, და ახლა ისეთივე ვარ, როგორიც თქვენ იცით. რადგან მიჩვეული არა ვარ თქვენთან ცრემლის ფრქვევით ჩემი აზრებით კოპნიაობას, დღესაც არ გავაკეთებ ამას“.

ოგასტა გაემგზავრა თუ არა, ბაირონმა მაშინვე ჯეიმს უედერბერნ უებსტერისგან მიიღო მიწვევა, სტუმრად ეპატიჟებოდა. ის ერთი უფერულთმიანი, ბანალური სუბიექტი იყო, რომელსაც კემბრიჯიდან იცნობდა, უფრო გვიან ათენშიც შეხვდა. ყბედი იყო ეს უებსტერი, მკვებარა და ჩხუბისთავი, მაგრამ ბაირონი, რომელსაც ძლიერ განვითარებული იუმორის გრძნობა ჰქონდა, გულგრილად ექცეოდა ცხოველთა ამგვარ ჯიშს. ერთი წლის წინ ფრენსის ანსლეიზე რომ იქორწინა, ბაირონს სთხოვა მისი პირველი შვილის ნათლია ყოფილიყო. ამ თხოვნამ ჩაილდ ჰაროლდი აღაფრთოვანა. „თუ ბიჭი იქნება“, — სწერდა უებსტერი. „გოგო რატომ არა?“ — უპასუხა ნანყენმა ბაირონმა. დაიბადა ბიჭი.

ლედი ფრენსისი მშვენიერი ქალი იყო, მაგრამ ავადმყოფი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბაირონი უყურებდა მის ფერმკრთალ სახეს, ციებცხელებიანივით აბრწყინებულ თვალებს და საკუთარ თავს ეკითხებოდა, ნეტავ დიდხანს თუ იცოცხლებსო. მისი და, ლედი კეტრინ ანსლეი არანაკლებ სუსტი ქალი იყო; ორივეს კი — ქერათმიანი, გრძელი აპრეხილი წამწამები და ჩალურჯებული, ნალვლიანი თვალები ჰქონდათ. უებსტერი, მხიარული და ძლიერი კაცი, როგორღაც შეუსაბამო ჩანდა ამ ანემიურ გრაციებს შორის. სადილობისას მისმა უხეშმა ხუმრობამ რამდენჯერმე ცოლისა და ცოლისდის ოდნავ შესამჩნევი უკმაყოფილო გამომეტყველება დაიმსახურა. ბაირონი ჩუ-

მად და იდუმალად ერთობოდა, ერთ ამოსუნთქვასაც არ ტოვებდა შეუმჩნეველს, და როგორც მოყვარული, მათით ტკბებოდა. მამაკაცები სადილის შემდეგ ისევ მაგიდასთან დარჩნენ და ბოთლი ღვინო დაიდგეს. ბაირონმა ცამდე აიყვანა ლედი ფრენსისი. უებსტერი გაიბადრა; ძალიან ამაყობდა ცოლით; გარდა ამისა, ძალიან ეჭვიანიც იყო. მაგრამ ბაირონი უკვე ხვდებოდა ქმრების ამ ჯიშის ჩვევებსა და უცნაურობებს და კარგადაც იცოდა ამ ცხოველების მოთვინიერება. სადილობისას გაურბოდა სახლის პატრონის ცოლისადმი რაიმე ყურადღების გამოჩენას; მისი უყურადღებობა თითქმის უზრდელობამდეც კი მივიდა. უებსტერმა აღმოაჩინა, რომ ეს დონ ჟუანი, რომელზეც ამდენ საზიზღრობას ლაპარაკობდნენ, დიდი ტაქტიანი ადამიანი იყო; სინამდვილეში, სინამდვილეში კი, ბაირონი ძალიან დაღლილი ბრძანდებოდა, უდარდელად იქცეოდა და უმცირესი სურვილიც არ ჰქონდა ეტანჯა ქმარი.

მალე ძალზე მოხერხებული შემთხვევაც მიეცა, უებსტერმა ბაირონს სთხოვა ნიუსტედში მიმიპატიჟეო; ამ ერთი თვის წინ რამდენიმე დღე გაეტარებინა იქ და სააბატოს ერთ-ერთი ნიშნა გულში ჩავარდნოდა. საღამოს ბაირონმა ლედი მელბურნს მისწერა:

„ცუდი განზრახვა რომ მქონდეს, საქმეს მშვენივრად მოვაგვარებდი და ჩემს სასარგებლოდ შემოვაბრუნებდი; მაგრამ ისეთი სათნო გავხდი, ანდა თუ გნებავთ, ზანტი, რომ ხელსაყრელ შესაძლებლობასაც კი არ გამოვიყენებ... მან მთხოვა, დიდი სერიოზულობით, ნიუსტედში წამიყვანეო, მეც გულლიად ვუპასუხე, როცა გენებოს, მაშინ წაბრძანდი, მე კი აქ დავრჩები და შენს არყოფნაში სახლს მივხედავ-მეთქი, — როგორც მგონია, ფრიად გონივრული წინადადებაა, მაგრამ მას რატომღაც არ მოეწონა. და თავისი ცოლის სათნოებაზე მთელი ქადაგება წამიკითხა; იმით დაამთავრა, რომ თქვა: ჩემი ცოლი თავისი ზნეობითა და ფიზიკური მონაცემებით ძალიან ჰგავს ქრისტესო! ასე მგონია, უფრო მართებული იქნებოდა ღვთისმშობლისთვის შეედარებინა!“.

როცა მეორე დღეს ბაირონი ესტონ-ჰოლიდან გაემგზავრა, ქმარმა გულმხურვალედ დაჰპატიჟა — კიდევ ჩამოდიო. ცოლმა არაფერი თქვა, მაგრამ მიბნედილი კი იყურებოდა. ჩავიდოდა კი? „ახლა ვერავიზე იეჭვიანებს ვიკარიუსსა და მაჟორდომის გარდა, მე კი უმცირესი სურვილიც არა მაქვს ამისი. ისე კი ვერ გამიგია, იმ ქალს რა სურდა... თითქოს შეტევას ელისო და ეტყო-

ანდრე მორუა. დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა

ბოდა მოგერიებისთვის ემზადებოდა. გარყვნილი ადამიანის რეპუტაციამ წინ გამისწრო, მაგრამ ჩემმა მშვიდმა და გულგრილმა ქცევამ იმდენად გააოცა, ალბათ საკუთარ თავს მახინჯად მიიჩნევს უკვე, მე კი ბრმა ვგონივარ ან უფრო უარესი...“.

ასეთ სანაქებო თავშეკავებას, ალბათ, მეგობრების სახლში ბაირონის მშვიდად ყოფნა უნდა უზრუნველყო. მაგრამ ადამიანები ხშირად ვერ ხვდებიან ასეთი ქცევის ნამდვილ აზრს. ცოცხალი ადამიანის მაგივრად ისინი ფიქტიურ პერსონაჟს, ზღაპრებში შექმნილ გმირს ხედავენ. თუ დონ ჟუანი ქალს გაურბის, მას უკეთურ განზრახვას აწერენ. ამ დროს, საცოდავმა ბაირონმა მოისურვა და ცოლქმრული წყვილის სიმშვიდე არ დაარღვია, დაინდო სუსტი ქალის ჯანმრთელობა, — ქმარმა ნერვიულობა დაინყო, გალიზიანდა, იეჭვიანა — ამ ალუშოვოთებლობის იქით რამე საზარელი ჩანაფიქრი იფარებო.

ბაირონი — ლედი მელბურნს: „უებსტერი აუტანელი ხდება. ჩემი იტალიური წიგნები /დანტე და ალფიერი/ აშფოთებს; მეხვეწება, ჩემს ცოლს არ აჩვენოო. რადგან, ემმაკ-მა წაიღოს!!! ამ სატანის ენას შეიძლება საშინელი ვნება მოჰყვესო!! ვკითხე, თქვენი საერთო მეგობრები, სტენჰეპები, როგორ არიან-მეთქი. მან მიპასუხა: „მითხარით ერთი, გეთაყვა, ასეთივე ტონით ეკითხებით სხვებს, როგორ არის ჩემი ცოლი?“ ხომ ხედავთ, ჩემმა გულკეთილობამ თვითონვე იპოვა ჯილდო, — რადგან არც სიტყვით, არც საქმით უმცირესი ინტერესიც არ გამომიჩენია მისი ცოლისადმი. ქალი კი კარგია, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი აქვს, ძალიან გამხდარია, ხასიათები კი კარგი აქვს, რაღაც თავისებური მანერები და ქცევები. მასზე არც ვიფიქრებდი, არც სხვაზე, რადგან არც მოთმინება მყოფნის და არც იმდენად თავდაჯერებული ვარ, წინ წავიწიო, თუ შუა გზაზე არ დამხვდებიან“.

ბაირონი მართლა არასდროს დგამდა ნაბიჯს წინ, თუ დარწმუნებული არ იყო, რომ შეხვდებოდნენ. „შემიძლია დავამტკიცო, — ამბობდა სრულიად გულწრფელად, — რომ არც ერთი ქალი არ მიცდუნებია“. ისეთივე გაოცებული უყურებდა თავის სატრფიალო წარმატებებს, როგორც თავის წარმატებებს ლიტერატურაში. ქალის ხელმისაწვდომობა განუწყვეტელი გაოცების საგანი იყო მისთვის და სულის სიღრმეში სამარცხვინოდ მიაჩნდა. ესტონ-ჰოლში ჩასვლის დღიდანვე დარწმუნებული იყო, რომ სულაც არ აინტერესებდა ეს ქერათმიანი, თავშეკავებული

ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავისი გრძელი წამწამების ქვემოდაც ცივი თვალებით იყურებოდა. მაგრამ ელვირათა¹²² უმრავლესობის მსგავსად, ლედი ფრენსისიც მზად იყო უფრო მეტი გაეგლო, ვიდრე ნახევარი გზა; საქმეც ისე მოაწყო, რომ საბილიარდოში ბაირონთან მარტო დარჩა.

„აქამდე მეგობრულად ვიყავით ერთმანეთთან; მახსენდება, ერთხელ უცნაური კითხვა დამისვა: „რა უნდა ქნას ქალმა, რომელსაც კაცი მოსწონს; როგორ მიახვედროს, თუ ეს კაცი ამას ვერ ამჩნევს?“ აღმოვაჩინე, რომ წესების გარეშე ვთამაშობდით, რამაც მაფიქრებინა, თუ მაინცადამაინც დიდად არ ვიქნებოდით ჩვენს საქმიანობაში ჩაფლული, წარმატება მოვიდოდა. ამით ფრიად კმაყოფილი დავარჩი, მაგრამ უფრო მეტის მსურველმა, ქალაღლითა და კალმით გაბედული ცდა წამოვიწყე, ძალიან ნაზი და არცთუ ცუდად დანერგილი პროზით... ეს ძალიან სახიფათო იყო, ცხადია. როგორ უნდა გადამეცა? ან როგორ მიიღებდა? კარგად მიიღეს და გულთანაც ჩამალეს. იმ წუთს დავინახე, რომ ერთი პიროვნება შემოვიდა, რომელიც, სატანას რომ უმცირესი თავაზიანობა ჰქონოდა, სადღაც წითელ ზღვასთან უნდა ყოფილიყო. ქალმა სიმშვიდე შეინარჩუნა და წერილიც ჩემმა წერილმა წარმატებას მიღწია, უფრო მეტიც /ახლა *Marito*¹²³. მანყვეტინებს, რაღაც პოლიტიკური პამფლეტი მომიტანა, უნდა რომ წავიკითხო და მოვუნონო. მხოლოდ მოწონებით შემოვიფარგლე. უჰ! — წავიდა), პასუხიც კი მივიღე, ფრიად არაორაზროვანი, სავსე მსჯელობებით სათნობაზე და ამალღებულ სიყვარულზე, რაც ძირითადად, სულს ეხება, რაც კარგად არ მესმის, რადგან ცუდი მეტაფიზიკოსი ვარ; იწყებენ და ამთავრებენ პლატონიზმით; მაგრამ რადგან ჩემი პროზელიტიზმი¹²⁴ მხოლოდ ოცი წლისაა, ვფიქრობ, მოვასწრებ და მყარ ნიადამდე მივალწევ. მოკლედ, იმედი მაქვს, უნაყოფო პერიოდი დიდხანს არ გაგრძელდება; ყოველ შემთხვევაში, გასინჯვად ღირს. მახსენდება, ჩემი ბოლო თავგადასავალი ამის სრულიად საპირისპირო იყო. ჩვენ, როგორც მაიორი ო'ფლაერტი გვიჩვენებს, „ჯერ ვიბრძოლოთ, მერე მოვილაპარაკოთ“.

122. მოლიერის კომედიის „ტარტიუფის“ პერსონაჟი.

123. ქმარი /იტალ./

124. ვისაც სარწმუნოება ახლად აქვს მიღებული. მხურვალე დამცველი ახლად მიღებული სარწმუნოებისა.

ახლა ასეთი მდგომარეობაა: განუწყვეტელი ურთიერთგამოტყდომა, ბევრი მელანქოლია, რაც ჩემდა სამწუხაროდ, მავრმაც¹²⁵ შეამჩნია, და სიყვარულის იმდენი მტკიცებები, რამდენის შესაძლებლობასაც იძლევა დრო, ადგილი და მდგომარეობა. ნახვამდის. მივედივარ საბილიარდოში“.

მაშ ასე, სხვაზე გულანთებული ბაირონი, აქ ჩამოსვლის შემდეგ, ერთ გასაოცარ დღეს, სრულიად მოულოდნელ ისტორიაში აღმოჩნდა ჩათრეული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პლატონურ ისტორიაში. ლედი ფრენსისმა განუცხადა, მართალია სუსტი გული მაქვს, მაგრამ სხვა დამამტკიცებელს ამ სისუსტისა ვერაფერს მიიღებთ, გარდა ამ აღიარებისაო. მან უპასუხა, ყველა პირობას ვლგებულობ და არასოდეს თქვენი თანხმობის გარეშე უმცირეს ნაბიჯსაც არ გადავდგამ, რათა გაიძულოთ, უარი თქვათ თქვენს აღთქმაზეო. ნუთუ გულწრფელი იყო? ნუთუ ასე მალე დაივინყა ოგასტა? თვითონაც გაოცებული იყო. მაგრამ ეს ასე იყო და რა ექნა? შემჩნევის უნარი სხვაზე მეტად ჰქონდა განვითარებული. ეს პატარა, სუსტი ქალი, თითქმის გოგონა აღელვებდა მას. ეს უმანკო გული, ერთი მამაკაციც რომ არ იცოდა, გარდა ამ უხეში marito-სი, ბაირონის სულში, ჯერ კიდევ გაუნელებელ, მერი ჩავორსის ხატებას ინვევდა. „ტკბილი, როგორც ხსოვნა მიძინებული სიყვარულისა“. ერთხელ ამაზე ლექსიც დანერა. მიძინებული სიყვარულის საფლავები, რომელთა შორისაც დაბორილობდა, უძვირფასესი იყო მისთვის. ბუნებით მგრძობიარე, რასაც ოსტატურად ნიღბავდა ზიზლით, ბოლომდე იმედისგან ვერ განიკურნა. სძულდა მოჩვენებითი უმნიკვლობა, რომელიც იმიტომ გარბის, რომ გამოედევნონ, გულის მორცხვი მღელვარება კი მასში პატივისცემას ინვევდა, თუკი დარწმუნდებოდა მის ჭეშმარიტებაში. შეცბუნებული სახე, სიჩუმე, სიფითრე უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენდა მასზე, ვიდრე კაროლინა ლემის ვნებიანი გულის გადაშლა.

ბაირონი ყოველთვის ანგარიშს უწევდა ფაქტებს. ეს იყო ფაქტი, რადგან, პირველად ამ ხნის განმავლობაში, გარდა ოგასტასი, სხვა ქალითაც დაინტერესდა. თავის მესაიდუმლეს მისწერა:

„გუშინდელმა დღემ აზრები, სურვილები, იმედები შემიცვალა, მეც შევიცვალე მთლიანად, — და ეს იქნება თქვენთვის ახალი

საბუთი ჩემი სისუსტის დასამტკიცებლად... თქვენთვის ცნობილ მიზეზთა გამო, უსიამოვნო არ იქნება გაიგოთ, რომ ახლა ის აღარ ვარ, რაც ვიყავი... თქვენ იტყვიან, რომ ეს უკეთესია, ვიდრე ის ბოლო თავგადასავალი. არ შემიძლია არსებობა სიყვარულის ობიექტის გარეშე. სასაცილოდ მოგეჩვენებათ ჩემი ასეთი გარდაქმნა, მაგრამ მდგომარეობა გაიხსენეთ, რამაც ჩემი ბოლო გატაცება შეწყვიტა. დამეთანხმებით, ის განხეთქილება მთლად ჩემს კაპრიზებზე არ იყო დამოკიდებული“.

უებსტერმა ბაირონისგან ათასი ფუნტი სტერლინგი ისესხა, რომელიცაც გრაფინიარომ მოეხიბლა. ბაირონმა ორმაგი დიდსულოვნება გამოიჩინა, ათასი ფუნტიც ასესხა და ლედი ფრენსისის დაპყრობით არ ისარგებლა. ჯერ ასე არასოდეს უცხოვრია. გრძელნამწამიანი, ფერმკრთალი ახალგაზრდა ქალი მოდიოდა, მის გვერდით ჯდებოდა და ჩუმად უყურებდა ვნებიანად. ესეც დუმდა. თავშეკავებულად იქცეოდნენ, ხანდახან ხელზე ხელს თუ მოუჭერდნენ და იშვიათად თუ ჰკოცნიდნენ, ლამლამობით არ ეძინათ და უსასრულო წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. დილით ორივე უძინარი, მოჩვენებას ჰგავდა. ბაირონს თავის წერილებს წიგნში ან ნოტების რვეულში ჩადებულს გადასცემდა, ქმარს კი თვინიერი და ფიქრიანი თვალთ შეჰყურებდა.

ბაირონის გრძნობას კარგა დიდი ბურუსი ფარავდა, თუმცა ამ უმანკო სანტიმენტალიზმით უფრო და უფრო იხიბლებოდა. ბაირონს ქალმა თმის კულული თხოვა; მან მოიჭრა და მისცა. ოდესღაც კაროლინა ლემისთვის ამ მსხვერპლის გაღება არ ისურვა და თავისი კამერდინერის თმა აჩუქა. ამან ძალიანაც გაამხიარულა. მაგრამ ასეთი ხუმრობისთვის ნაზი ლედი ფრენსისი ვერ განირა.

სადამდე მიიყვანდა ეს ყველაფერი? დულამდე? მოტაცებამდე? ის მზად იყო ერთისთვისაც და მეორესთვისაც. ეს თამაში იმდენად იტაცებდა, რომ საკმარისი იყო იმისთვის, რათა თავისი როლის თამაში ბოლომდე მიეყვანა. მაგრამ ვინ იცის, იყო კი ეს მხოლოდ როლი? სიყვარული იმის მიხედვით მოდის, როგორც გიყვარს. „თუ ჩაიფიქრებს, ყელი გამოჭრას, დაუსჯელად შეუძლია ეს გააკეთოს. ცხადია, წინააღმდეგობას არ გაუწევ ადამიანს, რომელსაც შეურაცხყოფა მივაყენე. თუ მოისურვებს და ტყვიის სამიზნედ ამომირჩევს, ვერ შევძლებ უარი ვუთხრა ამ სიამოვნებაზე...“. „ათი დღე. ათი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც აქ

125. იგულისხმება ოტელო.

პირველად გამოვჩნდი, და აი, როგორ შეიცვალა ჩემი ცხოვრება! რატომ? ის ლამაზია, ძალიან ლამაზი... მშვენივრად უჭირავს თავი... უჩვეულოდ რომანტიკულია და ემოციურიც. ტემპერამენტი? ძნელი სათქმელია... ძალიან ჭკვიანია... მშვენიერ წერილებს წერს, თუმცა ოდნავ გერმანული სტილი აქვს. ხმაც, ნაზი. სისულელეებს არ ლაპარაკობს, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებაში მაინც. დუეტში, ცხადია, გულის აჩვილება შეუძლია, მაგრამ, აბა, ორ პლატონელს შორის სხვანაირად როგორ იქნება?“.

ყველაფერში გულგატეხილი ბაირონი ამ პასტორალში ცუდად როდი გრძნობდა თავს. პატარ-პატარა ცოლქმრული შეტაკებების საფრთხე, სასიამოვნო შეგრძნება, რომ მოკავშირედ ნატიფი, მგრძობიარე ქალი გყავს, — ყველაფერი ეს იზიდავდა მას.

ოლონდ დონ ჟუანი ის კაცი არ ბრძანდებოდა, რომელსაც შეეძლო მუდამ პასტორალურ მდგომარეობაში დარჩენილიყო. მის ტემპერამენტსაც რომ გაეძლო, მისი სიამაყე ვერ აიტანდა ამას. ამ თავგადასავალს ფლობის ბეჭედი აკლდა. უნდა გაემარჯვა, თუნდაც ლედი მელბურნისთვის. მაგრამ ესტონ-ჰოლის ციხე-დარბაზი ინგლისის ციხე-დარბაზთა შორის გამარჯვების ფინალისთვის ყველაზე ნაკლებ შესაფერისი ადგილი იყო. დიდი-დიდი, რისი უფლებაც შეიძლებოდა აქ თავისთვის მიეცათ, ხანმოკლე შეხვედრები იყო, ნაჩქარევი კოცნისთვის ხელსაყრელი. რჩებოდა ღამე, ღამით სარგებლობა, მაგრამ ოთახების განლაგება ღამის ვიზიტებს ხელს უშლიდა.

უკვე დიდი ხანია ესტონ-ჰოლის ბინადარნი ორი-სამი დღით ნიუსტედში გამგზავრებაზე ლაპარაკობდნენ. ბაირონმა ქალების დახმარებით ისევ განაახლა ამაზე საუბარი. უებსტერს უარი არ უთქვამს. სახელგანთქმული ნიმფა ისევ იზიდავდა.

ნიუსტედში ბაირონი უკვე თავის ამპლუაში გრძნობდა თავს. საბატოს პრესტიჟი მის პრესტიჟსაც ზრდიდა. სტუმრებს თავის გოთურ ციხე-დარბაზს აჩვენებდა, თავის ტბას, ბერთა ხეივანს, მონასტრის მშვენიერ შადრევანს. აღტაცებული ლედი ფრენსისის თვალწინ თავის ქალას ღვინით ავსებდა. მასთან ერთად პარკში დასეირნობდა, სადაც ირმები და ხარირმები კვალდაკვალ დაჰყვებოდნენ მაღალ მუხნარში. ბაირონი ქალის კრძალვასა და მორჩილებას გრძნობდა. ძნელი არ იყო საკუთარ სახლში ღამის პაემნები მოეწყო. შუალამისას უმანკო შეყვარებულები სხვათა თვალისგან ფარულად შეხ-

ვდნენ ერთმანეთს.

„დღისით, ერთმანეთთან პირისპირ შეხვედრა, კინალამ საბედისწერო აღმოჩნდა — ერთი ასეთი გამარჯვება კიდევ და დავიღუპებით. აი, რითი დამთავრდა ყველაფერი. „თქვენს განკარგულებაში ვარ. ამას ვალიარებ. სრულიად მოგენდეთ. მაგრამ ამას რაც მოჰყვება, მე ვერ გადავიტან. ნუ იფიქრებთ, რომ ეს მხოლოდ სიტყვებია. სიმართლეს გეუბნებით, — ახლა ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ“. მართალი ვიყავი თუ არა? დავინდე. რალაც უჩვეულო იყო მის ქცევაში, რალაც უწყინარი გამბედაობა, — არც პრანჭვა, — არც ბრძოლა, — რალაც ისეთი მოუხელთებელი, რამაც დამარწმუნა, რომ სერიოზულად ლაპარაკობდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი „არა“, რომელიც უამრავჯერ გესმის და მუდამ ერთი და იმავე ინტონაციით, მაგრამ ეს ტონი, მანერა... დიდი მსხვერპლი გავიღე: ღამის ორი საათი — სულიერი არ ჭაჭანებს — ეშმაკი ჩამჩურჩულებს — ცარიელი სიტყვები... არ ვიცი, ვინანო თუ არა; მგონი, ჩემი დიდსულოვნების მადლიერი. ეს კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთია, რომ თავმდაბლობით თავის დაძვრენა არ გაუთამაშებია, რაც ასეთ შემთხვევებში ზოგჯერ აუტანელია ხოლმე. მე-კითხებით, მზად ვარ თუ არა „ბოლომდე“ მივიდე? გიპასუხებთ „დიახ“. მე ის მიყვარს“.

რამდენიმე დღის განმავლობაში მტანჯველი შინაგანი ბრძოლით ეწამა. ქალი მთლიანად მიენდო: „ოლონდ, თქვენი უკმაყოფილება არ დავიმსახურო... ოლონდ სხვა არ შეიყვაროთ და ყველაფერს გავაკეთებ, რაც გნებავთ“. ბაირონი განიარაღებული იყო; ქალი ისეთი სუსტი ჩანდა, ისეთი გაფითრებული. ისიც შეამჩნია, რომ მზად იყო ასატირებლად. რა ექნა?

შეეცოდა და დაინდო იგი. „ქალს ძალიან ეშინოდა ეშმაკის, მე კი არც ისე მწყალობს, რომ საკუთარი ვნება ამ საცოდავი ქალის უბედურებით დავიკმაყოფილო“. იქნებ ეს შეცდომა იყო? ოდესღაც განცდილი საუკეთესო გრძნობებით ხომ არ იყო მოტყუებული? შეიძლება; უეჭველია, ლედი მელბურნი კიდევ ერთხელ იტყოდა, ქალებს არ იცნობსო. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, არც ჰქონდა პრეტენზია, ვიცნობო. პირველად, დიდი ხნის შემდეგ, კმაყოფილი იყო საკუთარი თავით. სისუსტის წუთებში კეთილ გრძნობებს დაუთმო, რომლის ჩახშობასაც პატივმოყვარეობა უბრძანებდა. ეს კეთილი გრძნობა მისი საკუთარი ჯილდო იყო. „საბედნიეროდ, უნდა ითქვას, რომ სხვა არაფერი ყოფილა“. ერთ დილას შეყვარე-

ბულები ერთმანეთს დაემშვიდობნენ. ბაირონი ძალიან გულაჩუყებული ჩანდა, ლედი ფრენსისი — გამოუცნობი. რაც შეეხება ჯვიმს უედერბერნ უებსტერს, მან ბაირონს, ამ ორი კვირის აღსანიშნავად, სათუთუნე აჩუქა, ფრიად მგზნებარე წარწერით დამშვენებული.

XX კორსარი

ძნელია არ დაინახო ის, რასაც XIX საუკუნე ეძებს; უფრო და უფრო მზარდი ძლიერი შეგრძნების წყურვილი — აი, მისი ჭეშმარიტი ხასიათი.

სტენდალი

სიმართლე რომ ითქვას, ეშმაკი მეტისმეტი მონდომებით ისროდა სატყუარიან ანკესს სულთა დასაჭერად, რომელიც ისედაც მას ეკუთვნოდა, იქნებ დაბადებამდეც კი. ბაირონს უნდოდა ინცესტს გაჰქცეოდა, თავისი გრძნობა სხვა ობიექტზე გადაეტანა, ეჩვენებოდა კიდეც, რომ უკვე მიზანთანაც იყო. მაგრამ ბოლო წუთებში კეთილმა გრძნობებმა სძლია და მშრალზე დარჩა. სინანული დღედაღამ აწამებდა. სინანული, რომ ოგასტა დაკარგა; სინანული, რომ ფრენსის უებსტერი დაინდო; ამაო ფიქრები იმაზე, რომ შეიძლება, ამაო ყოფილიყო იმაზე სინანულიც, რაც უკვე მოხდა. „პოეზია, — ამბობდა იგი, — წარმოსახვის ლავაა, რომლის ამოფრქვევაც მინისძვრის მომასწავებელია“. წუთებში, როცა მინისძვრა ძალიან მოახლოებული ჩანდა, ძალდაუტანებლად და ბევრს მუშაობდა. ჯერ კიდევ ზაფხულში ჩაიფიქრა ახალი აღმოსავლური ზღაპარი „აზიდოსელი საცოლე“. ზუღეკა, რომელმაც თავისი ძმა სელიმი შეიყვარა. ინცესტის ისტორია — გაუფრთხილებელი თემაა, მაგრამ ვერ შეძლო თავისი გენისთვის ხელი შეეშალა, რადგან განუწყვეტლივ ამ თემის ირგვლივ ტრიალებდა. როგორც კი ლონდონში ჩავიდა, ეცადა აფორიაქებული გონება დაემშვიდებინა, ოთხ ღამეში დაწერა პოემის ათას ორასი სტროფი; მუდამ თანმდევი ორი სახე შეაერთა — ოგასტასი და ლედი ფრენსისისა. „იმ დროს რომ რამე არ გამეკეთებინა, შევიშლებოდი, რადგან მეტისმეტად შემომეჭამა საკუთარი გული — მწვავე დიეტა“.

სისხლის აღმრევ სიყვარულზე პოემის დაბეჭდვა ძალზე სახიფათო იყო. ხოლო იმის აღიარება, რომ ეს პოემა დაკავშირებულია

მის საკუთარ ცხოვრებასთან, უფრო მეტად სახიფათო. ოღონდ ჰელტს კი მისწერა: „პირველი ნაწილი — საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვება“, ლედი მელბურნს კი: „მაღლე გამოვა ჩემი ახალი თურქული ზღაპარი... თქვენთვის ცნობილი მიზეზებით, უფრო მეტად დაგაინტერესებთ, ვიდრე სხვას. მინდა გავიგო, რას ფიქრობთ ჩემს ნაწარმოებზე — ეს მე ვარ თუ არა?“ რაში სჭირდება ამის აღიარება? რატომ არ გაჩუმდება? რატომ? შეეძლო სხვანაირად მოქცეულიყო? მას შეეძლო, ოგასტასავით, ადვილად და ბუნებრივად დაევიწყებინა თავისი საქციელი. მაგრამ დაუსრულებლად განიცდიდა თავის შეცდომებს, ამონებდა თავის აზრებს. „ნიგნებს ვიღებ და ისევ ვაგდებ. კომედიის წერა დავიწყე და დავწვი, რადგან სიუჟეტი ისევ და ისევ სინამდვილეს უბრუნდებოდა; რომანიც იმავე მიზეზით ვაგანადგურე. ლექსებში შემოძლია ფაქტებისგან შორს დავდგი, მაგრამ ეს აზრები მაინც ყველაფერში შეიმჩნევა... ყველაფერში...“.

უებსტერებიდან დაბრუნების შემდეგ, სული რომ მოებრუნებინა, დღიურის წერა დაიწყო, ბაირონის აზრების გასაოცარმა თანხვედრამ სინამდვილესთან, ძლიერმა პოეტურმა რაკურსებმა ეს დღიური ნამდვილ შედეგად აქცია; მის ყოველ სტრიქონში ასახა ის, რაც „ჩაილდ ჰაროლდის“ ცალკეული სტროფების საოცრება იყო. მისი ეგოიზმი, „მისი დაწყვეტილი ეგოიზმი ხელს უწყობდა, რომ აზრთა ბიძგი ისეთივე სიძლიერით გაგრძელებულიყო ქალაქზე, ისეთივე სინამდვილით, როგორც გონებაში“. ბაირონს ცხოვრება უსასრულო დიალოგად ექცა საკუთარ თავთან. საღამოს, როცა დღიურს გადაშლიდა, ბაირონი ბაირონს სწერდა: „ახლა ვამთქნარებ, — მაშ ასე, ღამე მშვიდობისა, ბაირონი!“ მაყურებელი გარეგნულ მოვლენებს კი აღნიშნავს, ოღონდ, როგორც მთის მწვერვალიდან, ვეფხვისა და სპილოს უშფოთველ გულგრილობა შერეული, სადღაც სამხეცეთში რომ ენახა; როგორც შექსპირის კლეოპატრა, რომელმაც განაცვიფრა „როგორც დასრულებულმა ხორცშესხმამ მთელი მისი სქესისა — მოსიყვარულე, მკვირცხლი, ნაღველიანი, ნაზი, მგზნებარე, თვინიერი, ქედმაღალი, მშვენიერი, აი, ალქაჯი! — ბოლომდე კეკლუცი ასპიტთანაც და ანტონიუსთანაც“.

არასოდეს, არც ერთ საბუთს არ უმხვლია უკეთესად ამ სულის უძრაობა. თხუთმეტი წლის შემდეგაც პატარა მერი დაფთან თავის სიყვარულზე ფიქრობდა. „ახლა რომ მენახა, ძალიან ნალვლიან გუნებაზე დავდგებოდი:

როგორი ლამაზიც უნდა ყოფილიყო, სინამდვილე გაუნადგურებდა ან, ყოველ შემთხვევაში, შეუცვლიდა მშვენიერ ნაკვებებს; იმ მშვენიერებას, რომელიც მაშინ ჰქონდა და აქამდე კიდევ ცოცხლობს ჩემს წარმოსახვაში“. გარეგნულად მხიარულ ცხოვრებას ეწეოდა, მურთან, შერიდანთან ვახშობდა, ჯეკსონთან კრივში ვარჯიშობდა, მაღამ დე სტალს¹²⁶ გაუბოდა, რომელმაც თავი მოაბეზრა. მაგრამ ვნებათა გარეგნული ნიშნების მოხელთება ძნელია. ის იტანჯებოდა. აზრებით ყველაფერს ედებოდა... რა ქნას, როგორ დაივიწყოს? იმოქმედოს? იქნებ ამაშია ხსნა? მუდამ ეგონა, რომ მოქმედებისთვის იყო შექმნილი და არა პოეზიისთვის. „ვინ დაინყებდა წერას, თუკი ეცოდინებოდა, რა გააკეთოს? „მოქმედება — მოქმედება — მოქმედება“, — ამბობს დემოსთენე. მოქმედება — მოქმედება, — ვამბობ მეც, და არ უნდა ვწერო, ყველაზე ნაკლებად კი — ლექსები“. ამთქნარებდა, როგორც უზარმაზარი ცხოველი, სადილიდან მეჯლისზე მიდიოდა და მშვიდ აღმოსავლეთზე ოცნებობდა. „აქ რას ვუზივარ? არ ვსარგებლობ, არც არასოდეს მისარგებელია და არც შემძლია ვისარგებლო პოპულარობით. საზოგადოება ვერ დავიკყარი. ყველაფერი, რაც საზოგადოებამ მომცა, მომცა მხოლოდ კაპრიზთა გამო. აქ უმიზნოდ ვარ. იქ მუდამ ვმოქმედებ, ყოველ შემთხვევაში, ვმოდრაობ მაინც. გონება მიჩლუნგდება ამ ლოკოკინასებური ცხოვრებით; მძულს ცივილიზაცია“.

პირველად ლედი ფრენსისის აჩრდილი გააძევა. ქალი წერილებს სწერდა, სადაც მეტისმეტად ბევრს ლაპარაკობდა სულზე, გულს უშლიდა, — კაროლინასებური სტილი, — მას ეს მობეზრდა. „ბოლოს და ბოლოს, თუ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც სურთ ზმნა „სიყვარულის“ განუსაზღვრელ ფორმაზე შეჩერება, აღარ უნდა გაოცდნენ, უღლებას თუ სხვები დაამთავრებენ“.

„— რა სწრაფად ივინყებთ! — ეუბნებოდა ლედი მელბურნი.

— მაგრამ წმინდა ფრანცისკოსა და მისი თოვლის ქალწულის სახელით, პიგმალიონისა და მისი ქანდაკების სახელით, რა იყო აქ დასავინყარი? რამდენიმე კოცნა, რასაც მისთვის დიდი ზიანი არ მოუტანია, ჩემთვის

126. მაღამ დე სტალი /1766-1817/ — ქმრის გვარი სტალ-ჰოლშტაინი, ლუიზ ჟერმენ დე - ფრანგი მწერალი ქალი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, პუბლიცისტი.

კი — დიდი სიკეთე“. უაზრო თავგადასავალი იყო, ეს უბესტერული ეპიზოდი, მაგრამ ამან ქალებზე შექმნილი აზრი განუმტკიცა. ცხადია, ლედი ფრენსისი ისე დაამთავრებს, რომ უფრო გულად საყვარელს აირჩევს. „შეუძლებელია, შეძლოს და ისევ შეიყვაროს მამაკაცი, რომელიც ისეთ სისუსტეს გამოიჩენს, როგორც მე გამმოვიჩინე“.

სხვისი გრძნობისგან დაცლილს, ისევ ოგასტასკენ გაუწია გულმა, რომ უცბად მოულოდნელი წერილი მიიღო ენსლის „ცისკრის ვარსკვლავისგან“, მისი მ.ე.ჩ.-სგან; სულ პატარა წერილი: „ძვირფასო ლორდო, თუ ნოტინგემში მოხვდებით, ჩამოდით და ედუოლტონში მინახულეთ, სადაც დაგხვდებათ ძალიან დიდი ხნის და ძალიან ერთგული მეგობარი, რომელსაც ძალიან უნდა თქვენი ნახვა. თქვენი ერთგული მერი“. ამ ოთხი სტრიქონის წყალობით, წარსულის ყველა მშვენიერი ნალველი აეშალა. იცოდა, რომ ქალი უბედური იყო. ჯეკ მასტერსი ადვილი გასაძლები ქმარი როდი გახლდათ. მისი ფერმერები ამბობდნენ, საუკეთესო მეურნეა, უფრო მეტად გვეყვარებოდა, ჩვენს ქალიშვილებს ასე უნამუსოდ რომ არ დასდევდეს კუდშიო. მონადირე ამორძალები მექალთანის სიმსუნაგეს გლეხის გოგოებთან იყოფდნენ. დანალვლიანებულმა, დამცირებულმა ცოლმა ენსლი მიატოვა და მეგობარ ქალთან, ნიუსტედის ახლოს, პატარა სახლში დასახლდა. ბაირონს ებრალებოდა თავისი მერი, რომელსაც ცხოვრება ასე მკაცრად მოექცა. გათამამებულ მემკვიდრე ქალს, დედის, მსახურების მიერ გაღმერთებულსა და ბაირონის სათაყვანოს, ალბათ, ახლა ძალიან უჭირდა.

პასუხის მინერა ღირდა კი? ის უკვე აღარ იყო მისთვის, როგორც ოდესღაც სიჭაბუკეში, ბუნების ღვთაებრივი ქმნილება, მაგრამ მასთან მრავალი მოგონება აკავშირებდა. კიდევ იხილოს მისი უწინდელი ღიმილი?.. მაგრამ ბრძნული ინსტინქტი აფრთხილებდა, რომ ჭეშმარიტი მერი ჩავორსი, ის მერი იყო, რომელიც მის წარმოსახვაში ცხოვრობდა. იმ სხვას რაღა უნდოდა? მზად იყო ბაირონის შესაყვარებლად? ნაკლებ სარწმუნოა, — სათნო ქალის სახელი ჰქონდა დავარდნილი. თანაც, მეორე წერილში მოსწერა, მინდა „ვნახო შენში ნაზად მოყვარული ძმა“-ო, და უმატებდა: „ჩემში ძლივსლა იცნობთ იმ მხიარულ არსებას, ადრე რომ იცნობდით. ძალიან გავხდი, გავფითრდი და ნალველი მომეძალა. ცხოვრებაში თქვენ ბევრი ნახეთ, მე — ცოტა;

ის ცოტაც, რაც მასში ვნახე, ზიზღსა მგერის. საკუთარი გულის მიხედვით ვნსჯიდი და აღამიანები უკეთესები მეგონა“. ამ სიტყვებში ნალვლიანი და ნაზი ნოტი იგრძნობოდა, რასაც შეეძლო ბაირონის გული შეეძრა. „ცხოვრებაში თქვენ ბევრი ნახეთ, მე — ცოტა“. მაგრამ რა ქნას, რა გაუკეთოს? ჩავიდეს სოფელში და „უსუსური მეგობრობა“ გააბას? რისთვის?

მაინც მოიხიბლა, მუდამ ასე ემართებოდა, როცა ქალი, თუნდაც მცირედიტაც კი, პირველი გადადგამდა მისკენ ნაბიჯს. გული, რომელიც მუდამ მზად იყო უახლოეს ქანდარაზე ჩამომჯდარიყო, უკვე ფრთებს ისწორებდა. დაუთმობდა კი ქალი? ნაკლებ დამაჯერებელია. მასთან მეგობარი ქალიც ცხოვრობდა, რომელიც, ალბათ, საშინელი ურჩხულია, ზნეობის დამცველი. მერიმ თავის წერილებში ბაირონის საშინელი რეპუტაცია ახსენა. და მაინც, მიუხედავად ასეთი საშინელი რეპუტაციისა, წერილი მაინც მოსწერა. ესეც ხომ არ გარბოდა, როგორც ლედი ფრენსისი, როგორც ყველა სხვა, მხოლოდ იმიტომ, რომ უკან გამოსდევნებოდა? თავს ხიფათში ხომ არ იგდებდა, თუ ამ თამაშში ჩაებმებოდა, და თავისი ძველი ჭრილობები გაახსენდებოდა. ლედი მელბურნმა, რომელსაც რჩევისთვის მიმართა, განუცხადა, აღარაფერი გამეგებო: „ჩემგან აღარ უნდა ელოდოთ, რომ გავიგო და ავხსნა მთელი ის გაუგებრობები, რომლებიც ამ სხვადასხვა ქალშია, რომელთა შესახებაც მიაბობთ. თქვენ ამას მიეჩვიეთ და ეჭვი არ არის, უფრო ნათლად უნდა ხედავდეთ ყველაფერს“.

ნათლად? არა, მისთვის ყველაფერი სრულიად ბუნდოვანი იყო. სუსტი კაცი იყო. მას შემდეგ, რაც ლედი ფრენსისზე მოგონებებმა გაფერმკრთალა დაიწყო, მთელ მის არსებას ისევ ოგასტა დაეპატრონა. ესტონ-პოლში ყოფნისას თითქმის დაავინწყდა იგი. ისე იშვიათად სწერდა მას წერილებს, რომ ოგასტამ ჩათვალა ჩემზე გულმოსულიაო. ოღონდ, აი, ნოემბერში კი, ბაირონმა თავისი პორტრეტი გაუგზავნა. ოგასტამ, რომელსაც იმისიც ეშინოდა საყვარელი ყოფილიყო და იმისაც — გადაიყვარებდნენ, პაკეტიტ თავისი თმა და ფრანგულად დაწერილი წერილი გამოუგზავნა:

„ყველა თქვენი გრძნობა გავიზიარო; ყველაფერი თქვენი თვალთ დავინახო; მხოლოდ თქვენი რჩევებით ვიმოქმედო; მხოლოდ თქვენი ცხოვრო, ეს არის ჩემი სურვილი და ჩემი ოცნება. ერთადერთი ხვედრი, რამაც შეიძლება ბედნიერი გამხა-

დოს“.

თმის კულულის ქვემოთ მიანერა: ოგასტა.

ბაირონმა მიუმატა: „თმა იმისა, ვინც ყველაზე მეტად მიყვარს“.

ის აღარ ცდილობდა ბრძოლას. „გრძნობას, რომელიც ერთი ხანია მიპყრობს, შიშის შეგრძნება ერევა და სხვა გრძნობებს ამტკნარებს. მოკლედ, მისი მოქმედების ერთ-ერთი შედეგი მითრიდატეს ამბავს ჰგავს, რომელმაც ორგანიზმი თანდათან მიაჩვია ყველაზე ძლიერ სანამლავს, მაგრამ, როცა მისი დახმარება დასჭირდა, რათა უბედურებებს გაქცეოდა და ცხოვრება დაემთავრებინა, სანამლავმა აღარ იმოქმედა“.

ის ახალ პოემაზე — „კორსარზე“ მუშაობდა, რომელიც „ცონ ამორე¹²⁷ დავწერე და ცხოვრებიდან არის აღებული“. თუმცა პოემა „ცხოვრებიდან“ იყო აღებული, მაგრამ კონრადი, კორსარი, ბაირონი არა, მაგრამ ბაირონისებური გმირის ტიპი იყო, ისეთი, როგორიც ჰოჯსონს აღუწერა ჯერ კიდევ 1811 წელს და როგორიც „გიაურში“ გამოიყვანა — მძვინვარე, პირქუში, ველური, ბედისწერის მიერ მართული, სამყაროზე თავდატეხილი ქარიშხალი, „სამუშის მსგავსი“. არ იცინან, საიდან მოვიდა ან საით მიდის. იდუმალებით არის მოსილი. მის წარსულში მუდამ დანაშაული იფარება, რომელიც ჩვენთვის უცნობი რჩება. „მისთვის არც სინანული არსებობს, არც უარყოფა, არც მონანიება; ის, რაც სრულყოფილია, არ შეიძლება განადგურდეს. არ შეიძლება ნაშალო ნაუშლელი. იგი მხოლოდ საფლავში პოულობს სიმშვიდეს. უფრო რჯულგანდგომილია ან ათეისტი. მოსვენებას ეძებს. საკუთარ თავს რომ გაექცეს, მოქმედებაში ებმება, ბრძოლაში; კორსარი თუ მეკობრე საზოგადოებას უცხადებს ომს: ძლიერ შეგრძნებებს ესწრაფის. დალუპვა ელის — მზად არის, ყოველგვარი საფასურის გაღებით, იყიდოს მონყენილობისგან თავის დახსნის საშუალება“.

ბაირონსა და ბაირონულ გმირთა შორის ამკარა მსგავსებაა: მაღალი წარმოშობა, სიჭაბუკეში მგზნებარე და თანამგრძნობი გული, იმედის გაცრუება, ღვარძლი და სასონარკვეთა. მაგრამ ბაირონულ გმირს ის დრამები აქვს ცხოვრებაში, რაზეც ბაირონი მხოლოდ ოცნებობდა. კონრადი მოქმედების კაცი იყო, მეკობრეთა ბელადი; ბაირონი, რომელსაც სიზანტე ტანჯავდა, უმოქმედოდ

127. სიყვარულით /იტალ./

იყო. კონრადი ძლიერი იყო, ბაირონი — კოჭ-ლი; კონრადი — შავგვრემანია, ბაირონი — ფერმკრთალი. კონრადის სიცილი გესლიანი დაცივნა იყო, „რომელიც ადამიანებს აშმაგებდა და აძრწოლებდა“; ბაირონს მხიარული და მიმზიდველი სიცილი ჰქონდა. ბაირონში ბევრი რამ იყო ბავშვური; ჯანსაღი აზროვნებაც ჰქონდა და იუმორიც. მრისხანების შეტევისას, ერთი წამით, კონრადად იქცეოდა ხოლმე, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში ბაირონი და ბაირონული გმირი ნაკლებად ჰგავდნენ ერთმანეთს და ორივე ერთად ერთმანეთისთვის სახიფათოც იყო. ბაირონი, თავისდაუნებურად, იმ ადამიანებს, რომელთა ძლიერებად დახატვაც უნდოდა, თავის საკუთარ სისუსტეებს მიაჩნდა; ბაირონული გმირი არაბუნებრივი თეატრალური ფიგურა ხდება, რომლის მიბაძვაც ბაირონს თავის მოვალეობად მიაჩნდა. კონრადის დაცვით, საკუთარ თავს იცავდა.

ის მაინც ბაირონი იყო, მიამიტი ჭაბუკი. ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა, აიძულეს, იმედგაცრუების სკოლა გაეკლო. მას შემდეგ, საკუთარ თავს კორსარად ხედავდა, კანონგარეშე მდგარს, დამნაშავე ადამიანად, სიყვარულის ადამიანად, თავისებურ რაინდად, მაგრამ ადამიანთა მოდგმის მტრად, ერთი არსების გარდა; ის ქალი იყო, რომელიც კონრადს უყვარდა და რომელსაც ბაირონმა ჯერ ფრანჩესკა დაარქვა, ლედი ფრენსისის სახსოვრად, მერე კი მედორა.

ბაირონის პოემის გმირი ქალებიც საინტერესო მასალაა ანალიზისთვის. იმ მშვენიერი იდეალის ნაზი, არამინიერი ანარეკლნი, რომელთა პოვნის იმედიც ამ ცხოვრებაში გადაუწყდა. „სიამოვნებათა ნამდვილი შემფასებელი, — ამბობდა ბაირონი, — თავის წარმოსახვაში არასოდეს დაუშვებს სინამდვილის უხეშობას. სიყვარული ვერ იტანს ვერაფერს მინიერს, მატერიალურს, მისთვის უცხოა ფიზიკური სიამოვნება. მხოლოდ დაბინდულ მოგონებებს, რომლებიც თითქმის დაგვაკინწყდა, უნარი აქვთ ზიზღი არ ჩაგვინერგონ“. საოცარი ფილოსოფიაა ლედი მელბურნის მოწაფისთვის. მაგრამ სიამოვნებების ეს დიდი მაძიებლები მუდამ ბევრს ლაპარაკობენ მგზნებარე სიყვარულზე, დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ შიშველი სიყვარული უძლურია, ჩაახშოს მათი მოწყენილობა. სიყვარულში მართო ქალები რჩებიან რეალისტებად, მაგრამ კონრადს, თავის შემქმნელის მსგავსად, რაინდული სიყვარულით უყვარდა მედორა,

თავისი წარმოსახვის ნაყოფი.

ბაირონმა თავისი „კორსარის“ ხელნაწერი მარის გადასცა, თვითონ კი, 17 იანვარს, დასთან ერთად ნიუსტედში გაემგზავრა. ბილიკები, სერები — ყველაფერი, თოვლს დაეფარა და სააბატო გასაოცრად ლამაზი იყო ამ ზამთრის ფონზე. ჯერ მერი ჩავორსის მონახულება უნდოდა, რომელიც იქვე ახლოს ცხოვრობდა. მაგრამ მდნარ თოვლს გზები ჩაერეცხა, თანაც ნიუსტედი, როცა იქ ოგასტა იყო, ისეთი საამური თავშესაფარი ჩანდა, სულაც არ იყო საჭირო, როგორც ლედი კაროლინასთან მოითხოვდნენ, ყოველ სიტყვას გონებასმახვილობით ებრწყინა. „არ ვამთქნარებთ, მუდამ ყველაფერზე თანხმობა გვაქვს; იმაზე მეტს ვიცინით, ვიდრე ასეთ დარბაისლურ სახლს შეჰფერის. გარდა ამისა, ჩვენი საგვარეულო მორცხვობა ნებას გვაძლევს, ერთმანეთის საზოგადოებაში უფრო მხიარული ვიყოთ, ვიდრე უცხო ადამიანებთან ვართ“.

უზარმაზარი, თალიანი დარბაზები მათი სიცილით იყო აკლებული. ბაირონი ოგასტას იტალიურს ასწავლიდა. სამყარო მათთვის არ არსებობდა; მხოლოდ ლედი მულბურნი ინერებოდა შორიდან, ფრთხილად იყავითო; დრო ხომ არ არის, ბაირონი, დასთან ერთად, გონივრულ ცხოვრებას დაუბრუნდესო?.. ბაირონი, როგორც ყოველთვის, ოგასტას იცავდა:

„X — ყველაზე არაეგოისტური არსებაა ამ სამყაროში. თქვენ, ალბათ, არც დაიჯერებთ, რომ რომელიმეს, ჩვენ ორთაგან, შეიძლება კეთილი გრძნობები გვექონდეს. მე რაც შემეხება, არ უარყვოვ, მაგრამ ის — არ იცით, როგორი არსებაა; მისი ერთადერთი ცოდვა — ეს ჩემი დანაშაულია; მე კი არანაირი გამართლება არა მაქვს, გარდა ვნებების, რომელიც გამართლების მიზეზად არ ჩაითვლება. სიკეთითა და ხასიათით შეუდარებელ ადამიანად მიმაჩნია. დამეთანხმებით, რომ ის მართლაც სიყვარულისთვის განგანყოფილ; ვეცდები გადავიყვარო. თუ ჩემი არ გჯერათ, ჰკითხეთ მათ, ვინც უკეთ იცნობს. ვამბობ, უკეთმეთქი, რადგან შეყვარებული ადამიანი ისევე ბრმაა, როგორც სიყვარული... თანაც, ისეთი ფიზიკური და მორალური აღზრდის შედეგად, რომელიც მე მივიღე, სხვა უკეთესს, რას უნდა ელოდეს კაცი. უცნაურია, მაგრამ წინათგრძნობა ყოველთვის მქონდა. მახსოვს, ბავშვობაში, რომაულ ისტორიებში ნავიკითხე, ერთ ქორწინებაზე, როცა ერთმანეთს ვნახავთ, გიამბობთ. მაშინ დე-

დაჩემს ვკითხე, რატომ არ დავკორწინდე X-ზე-მეთქი“.

ოგასტა პირველად ცხოვრობდა საკუთარ ძმასთან ერთ ჭერქვეშ და გაოცებული ხედავდა, რა ადამიანიც იყო. ხედავდა დატენილ დაძაბულს, ლამით რომ სანოლის გვერდით იწყობდა; მისი ლამის კოშმარების შესახებაც ჰქონდა გაგებული, ზოგჯერ ისეთი საშინელი რომ იყო, ფლეტჩერს ეძახდა, ისიც შედიოდა ბატონთან და ამშვიდებდა. ძილში ძლიერ აკრაჭუნებდა და აკანკანებდა კბილებს, პირში ხელსახოცს უდებდნენ, ენა რომ არ მოეკვნიტა. როცა არ ეძინა, მთელი ღამე გაზიან წყალს სვამდა, თორმეტ ბოთლამდე ათავებდა, მაგრამ მაინც სწყუროდა, ზოგჯერ ისეთი წყურვილი ანამებდა, ბოთლს ყელს ატყებდა, სწრაფად რომ დარწყულებულიყო. დილით მაგნეზიის დაუჯერებელ დოზას იღებდა. ეს უაზრო რეჟიმი მის საქმლის მონელებაზე ცუდად მოქმედებდა. მრისხანება, ზოგჯერ რომ ეუფლებოდა რაღაც წვრილმანის გამო, აუნერვლი იყო. ოგასტა მასში კეტრინ გორდონის ხასიათს სცნობდა და ფიქრობდა, თუ ბაირონი ცოლს მოიყვანდა, მის ცოლს არცთუ იოლი ცხოვრება ექნებოდა.

იანვრის ბოლოს, მისის ლი, რომლის ორსულობაც კარგა შესამჩნევი გახდა, იძულებული შეიქნა სახლში დაბრუნებულიყო.

ბუნებაში, საყვარელი არსების გვერდით ადამიანი იშვიათად გრძნობს თავს უბედურად. ნიუსტედში ყოფნა მხიარული სატრფიალო ინტერმედია გახლდათ. მაგრამ ბაირონი ლონდონში დაბრუნდა თუ არა, ისევ ქარიშხალში მოხვდა, რომელმაც ყოველი მხრიდან შემოუტია. ოგასტასთან მისი ურთიერთობა ქალაქში ჭორაობის საგნად იქცა. საკუთარ საქმეებზე ლაპარაკის მანერაში, სხვების წერილების ჩვენებაში უკიდურეს თავშეუკავებლობას იჩენდა. ის გულლიად ელაპარაკებოდა ასობით ადამიანს და არცთუ იშვიათად, ყველაზე შეუფერებლებსაც კი. კაროლინა ლემი ჭორებს ყრიდა. იტონის სკოლის მოწაფეები „აზიდოსელი საცოლის“ კითხვისას, მისის ლის ძმისშვილს ეკითხებოდნენ, ხომ არ არისო ზელიუკო მამიდაშენი? ბაირონი, რომელსაც დუმილის უნარი არ შესწევდა, მისის ჰოლანდის სალონში ძალზე გაბედულ აზრებს აფრქვევდა ძმებისა და დების ურთიერთობებზე. „ერთი ქალი, რომელიც ძალიან მიყვარს, — განუცხადებია მას, — ჩემგან ბავშვს ელის. თუ გოგონა გაჩნდება, მედორას დავარქმევ“. სალონიდან გამოსვლისას, სტუმრებს თავე-

ბი გადაუქნევიათ და ამ მეტისმეტად აშკარა მინიშნებაზე ალაპარაკებულან. ამ დანაშაულის აღმოჩენა, ლედი მელბურნის აზრით, შენდობა რომ არ შეიძლება, მით უფრო სასიამოვნო იყო, რადგან ბაირონი გულით სძულდათ. მან ლორდთა პალატაში რადიკალური ვიგის პოზიცია დაიჭირა, რაც მოსაწონი არ იყო. არც ნაპოლეონით აღფრთოვანება დაუმაღავს; თუმცა მოკავშირეები უკვე შევიდნენ საფრანგეთში, ის მაინც იმედს არ ჰკარგავდა, რომ მისი ბონაპარტი, „მისი გმირი“, მათ დაამარცხებდა. საშინელებად მიაჩნდა უკან დაბრუნება „ძველ, უაზრო, მოსაწყენ ევროპული განონასწორების სისტემაში, სადაც ყველაფერი იქამდე მიდიოდა, რომ მეფის ცხვირის წვერზე, როგორმე, ჩალის ღეროს წონასწორობა შეენარჩუნებინა“. ასე ხმამაღლა მსჯელობდა ქვეყანაში, რომელიც საომარ მდგომარეობაში იყო, ქვეყანაში, სადაც ნიჭმა და სატრფიალო თავგადასავლებმა არცთუ ცოტა მტერი შესძინა. ლონდონმა პოეტის წინააღმდეგ იმდენი ბოღმა დააგროვა, პოეტისა, რომელმაც თავს ნება მისცა და გენიალური იყო, უმშვენიერესი გარეგნობა ჰქონდა, თავი დამოუკიდებლად ეჭირა, რომ უმცირესი ბიძგი კმაროდა, ეს ბოღმა ჯოჯოხეთურ სიძულვილად ქცეულიყო. ეს ბიძგი რვა ხაზიანი ლექსი აღმოჩნდა, რომელიც პრინც-რეგენტის საწინააღმდეგოდ, ერთი წლის წინ დაწერა. ამბობდნენ, როცა პრინცმა თავისი მეგობარი ვიგები მიატოვა, მისი ქალიშვილი, პრინცესა შარლოტა ატირდა, და ბაირონმა პრინცესას ანონიმური ლექსი გაუგზავნაო:

„მოთქმით იტირე, დიდო ასულო,
მამის სირცხვილი, ქვეყნის დაცემა;
ცოდებები მშობლის, მისი წარსული
აგდევენებია ვით ანათემა!

ბედმა სამშობლო სხვა სიმძიმით, —
იტირე! - მეტად რომ არ დანაცროს;
შენივე ხალხის წრფელი ღიმილი
მჯერა, დაგხვდება ცრემლის სანაცვლოდ“!¹²⁸

მაშინ კაცს არ მიუქცევია ამისთვის ყურადღება, მაგრამ როცა კორსარი იბეჭდებოდა, ბაირონმა სურვილი გამოთქვა, მისთვის პრინცესასადმი მიძღვნილი ლექსიც მიემატებინათ და მისი ავტორობა ელიარებიანათ. მარიმ გააფრთხილა, შეიძლება სახიფათო იყოსო. „განა ჩემთვის სულერთი არ

128. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

არის, რაც ამას მოჰყვება, — შეეპასუხა ბაირონი, — ჩემი პოლიტიკური შეხედულება ისეთივეა, როგორც ახალგაზრდა საყვარელია მოხუცისთვის; რაც უფრო უიმედოა, მით უფრო ვუფროთხილდები“. ორმა ოთხმა ხაზმა პრესაში საშინელი აღშფოთების ქარიშხალი გამოიწვია. ლანძღავდნენ არა მარტო ბაირონის პოლიტიკურ შეხედულებებს, არამედ მის ხასიათსაც, ნაწარმოებებსაც, ფიზიკურ ნაკლსაც კი. რამდენიმე პასკვილი იმდენად თავშეუკავებელი აღმოჩნდა, რომ ბაირონს მეგობრები ურჩევდნენ ცილისმწამებლებს ჭკუა ასწავლო. მან უპასუხა, მხოლოდ თანასწორი ადამიანებისადმი შეიძლება მქონდეს სიძულვილი, მაგრამ უმცირეს სიამოვნებასაც არ მანიჭებს ამ ყურბლების დახრჩობა, როგორი საძულველიც უნდა იყვნენო.

როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ამჯერადაც, საგაზეთო წერილების ქარიშხალმა „ნიგნი წარმატების მწვერვალზე აიყვანა“. გამოსვლის დღესვე ცამეტი ათასი გაიყიდა, — პოეტური ნაწარმოებისთვის აქამდე გაუგონარი ციფრია.

წარმატება არა მარტო სკანდალმა უზრუნველყო; ამ პოემაში ბევრმა დაინახა, მიუხედავად უცნაური სიუჟეტისა /რამაც მაშინ არავინ გააოცა/, უშუალო და სრული გულწრფელობა, რაც მათ სურვილებს პასუხობდა. „ამაღლებული სტილი, ყოველგვარი ბანალურობისადმი, სიმდაბლისადმი ზიზი, გაბედულება, — საფუძველი ყველა გმირობისათვის, — რომელიც არაფრის წინაშე არ ჩერდება, ბოლომდე მიდის, სიყვარული თვალწინდელი სივრცეებისა, თავისუფლებისა, და ეს რიტმი, ნაპირებზე მიმსხვრეული ტალღის რიტმს რომ გვაგონებს, — ყველაფერი ეს მკითხველს ხიბლავდა. იმ თაობისთვის, რომელთაც მძლავრი განცდები ენატრებოდათ, კონრადი ვაჟკაცობის განსახიერება იყო, ადამიანი, რომელიც თავის ინსტინქტებს მიჰყვებოდა და ბოლომდე მიდიოდა. „ბაირონის გავლენა განსაკუთრებული იყო. მას ყველგან კითხულობდნენ. პოეზიით არასოდეს რომ არ დაინტერესებულან, ისინიც კი მის ლექსებს კითხულობდნენ. ძველმა მეზღვაურებმა, მედუქნეებმა, ჩინოვნიკებმა, თერძებმა, მოდისტებმა, ხელოვნების დიდმა შემფასებლებმა, ყველამ, მისი პოემიდან მთელი გვერდები იცოდა ზეპირად“. „კორსარში“ უფრო მეტად, ვიდრე „ჩაილდ ჰაროლდში“, ბაირონი მეთამბოხეთა პოეტი იყო, ყველა იმათი, ვინც ევროპაში პოლიტიკური და გრძნობათა თავისუფლების იმედი დაკარგა.

ლონდონი. მარტოობა ამდენ ხალხში. ცხოვრების სიცარიელის შეგრძნება. „საკუთარ თავს ვეკითხები, ვილაცას რა ეშმაკად მოუნდა ასეთი სამყაროს შექმნა: რა მიზნით შეიქმნა, მაგალითად, დენდები და მეფეები, კოლეჯების ასპირანტები და ქალები „განსაზღვრული ასაკისა“ — და ბევრი სხვა ადამიანი, რა ასაკისაც უნდა იყოს, — და რაც მთავარია, მე თვითონ!.. ყველაფერ ამის ზღვარს მიღმა არსებობს რამე? ვინ იცის? იმან, ვისაც ამის თქმა არ შეუძლია. და ვინ ლაპარაკობს ამაზე? ის, ვინც ეს არ იცის“. 22 იანვარს ოცდაექვსი წელი შეუსრულდა. „ექვსასი გულით, — ამბობდა ის, — ექვსი კი ჯანსაღი აზრით“. ოცდაექვსი წლისას უკვე მოეთხოვებოდა რაღაც ყოფილიყო. რას წარმოადგენდა? ვის უყვარდა? თუმც სეზონის ლომი აღარ იყო, მაინც ყველგან ინვედნენ, მაგრამ თვითონ არ უნდოდა არავისი ნახვა. „ჰობჰაუზი ამბობს, რომ მიუკარებელი გავხდი — ნამდვილი შინმჯდომი კაცი. მართალია... ამ ბოლო კვირაში — ვკითხულობდი, თეატრშიც ვიყავი, იშვიათად, მაგრამ ვილაცებმა მაინც შემოიარეს; ვამთქნარებდი, ვხვნიშობდი, არაფერს ვწერდი, გარდა წერილებისა. მუდმივად რომ შემედლოს კითხვა, არანაირი საზოგადოება არ დამჭირდებოდა. განა ვნანობ? ჰმ! მამაკაცები ჩემში არანაირ აღფრთოვანებას არ ინვევენ, რაც შეეხება ქალებს — ერთი სენია ყველა. ქალების საზოგადოებაში ჩემთვის არის რაღაც დამამშვიდებელი, ამის ახსნაც კი არ შემიძლია, რადგან ამ სქესზე მაინცდამაინც მაღალი აზრისა არა ვარ, მაგრამ ფაქტია, — მუდამ უკეთესი განწყობილება მაქვს, საკუთარი თავისადმიც და სხვებისადმიც, როცა ჩემს ჰორიზონტზე ქალია. ჩემი სახლის პატრონსაც კი, მისის მიულს, რომელიც მის ჯიშში ყველაზე ბებერია და ჩაჩანაკი, შეუძლია გამაცინოს, ძნელი ამოცანა არ არის, როცა განწყობილი ვარ. ე-ეჰ! როგორ მინდა ჩემს კუნძულზე ვიყო!“.

მეფე ლირი, ჰამლეტი, მაკბეტი... ყოველ საღამოს დადიოდა შექსპირის სანახავად. უკვე ზეპირად იცოდა. მათით ცხოვრობდა. თავის დღიურში დანიელი პრინცის დამახასიათებელ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სტილს უკვე ხშირად იყენებდა. 1814 წლის ზამთარში ცხოვრებაც კი შექსპირული იყო. იმპერიის დრამა დასასრულს უახლოვდებოდა. ვახშმობისას, ჰობჰაუზმა რესტორანში სანაძლე-ოც კი დადო ერთ სადილზე — მოკავშირე-

ბი, თებერვლის ბოლოს, პარიზს აიღებენო. თავისი გმირის ერთგულმა ბაირონმა, სანაძლეო მიიღო. 28-ში ბლიუხერი მოსთან იყო და ბაირონმა სადილი მოიგო. მარტში ბრძოლები ფერ-შამპენუაში მიმდინარეობდა. და რამდენიმე კვირის განმავლობაში იმედს არ კარგავდნენ ინგლისის მოკავშირეები — ბლიუხერი და შვარცენბერგი — დამარცხდებოდნენ. მერე ყველაფერი პირიქით მოხდა. ორ აპრილს, ოგასტასგან დაბრუნებულმა, რომელსაც მალე უნდა ემშობიარა, გაიგო, რომ მისი ტანმორჩილი გმირი, ნაპოლეონი კვარცხლბეკიდან ჩამოეგდოთ. „ეს ყაჩაღები პარიზში შევიდნენ“, — თქვა მან. ათში ცნობილი გახდა მისი გადადგომისა და კუნძულ ელბაზე გადასახლების ამბავიც. ჰობჰაუზი და ბაირონი ილუშინაციის საყურებლად გავიდნენ ლონდონში. პრინც-რეგენტის სასახლეზე უზარმაზარი ასოები ბრწყინავდა: „გაუმარჯოს ბურბონებს და დიდება შროშნებს“.

ბაირონის დღიური: „ამ დღეს მოვინიშნავ: ნაპოლეონ ბონაპარტემ დიდ იმპერიაზე ხელი აიღო. ძალიან კარგი. ასე მგონია, სულა¹²⁹ უკეთესად მოიქცა... როგორ? დაელოდა, ვიდრე დედაქალაქს აიღებდნენ და მერე უარი თქვა იმაზე, რაც უკვე დაკარგა. კუნძული ელბა, სიმშვიდის ნავსაყუდელი... განცვიფრებული ვარ და არაფერი გამეგება. არ ვიცი, მაგრამ ასე მგონია, რომ მე, მეც კი /მუშლი ამ ადამიანთან შედარებით/, მზად ვიყავი სიცოცხლეს გამოვთხოვებოდი იმისთვის, რაც ამ დარტყმის შემთხვევაში ნაწილადაც არ ღირს. ბოლოს და ბოლოს, იქნებ, გვირგვინი არც ღირს იმად, რომ მის გამო მოკვდე? მაგრამ ამდენი გააკეთო და მხოლოდ ამისთვის?!“.

დამცინავი ოდა დაუნერა თავის გმირს, რომელმაც ასე „მოატყუა“.

ჰობჰაუზი შთაბეჭდილებების მაძიებელი კაცი იყო, ამიტომ საფრანგეთში წასვლა გადაწყვიტა, რათა თავისი თვალთ ენახა ურჩხულის უკანასკნელი ნაკვალევი. ბაირონთან ერთად უნდოდა გამგზავრება, მაგრამ ბაირონს ოგასტას მშობიარობა აკავებდა. თხუთმეტ აპრილს ოგასტას გოგო შეეძინა, რომელსაც მედორა /გაუფრთხილებლობის მწვერვალი/ დაარქვეს. თავისი მამობით გაამაყებული ბაირონი მაშინვე მათთან გაჩნდა. ლედი მელბურნს, რომელმაც, რასაკვირველია, უწინასწარმეტყველა

— სისხლის აღრევით შობილი ბავშვი ურჩხული იქნებაო, მისწერა: „ოო, ეს ამაღ ღირდა. არ შემოძლია ვთქვა რატომ, მაგრამ ის ურჩხული არ არის, და თუ ურჩხული გამოვა, ესეც ჩემი დანაშაულის გამო. საბოლოოდ გადავწყვიტე, გამოვსწორდე. მაგრამ უნდა დამეთანხმოთ, რომ სრულიად შეუძლებელია, ვინმეს კიდევ ვუყვარდე ისე, თუნდაც სანახევროდ, როგორც მას ვუყვარვარ, მე კი მთელი ცხოვრება ვისწრაფოდი ვინმე დამერწმუნებინა შევეყვარებინე, მაგრამ დღემდე ერთსაც არ ვყვარებივარ ჩემნაირ ტიპს. დიახ, ახლა ზნეკეთილი ადამიანები გავხდებით. თუმცა, უკვე ვართ ზნეკეთილები და ასე გავაგრძელებთ სამ კვირას და მეტს“. ბავშვის დაბადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ოგასტას, რომლის ქმარიც ძველებურად ვალებში იყო ჩაფლული, სამი ათასი ფუნტი აჩუქა.

უფრო მეტად უყვარდა ახლა, სასონარკვეთილი და თავშეუკავებელი სიყვარულით; ლექსებიც უძღვნა, რომლებიც შეიძლება, აქამდე დანერგულ შორის საუკეთესოც იყო.

„როცა ჩამოწვა ირგვლივ წყვილია,
როცა დამეხმო თითქოს გონება,
როცა იმედი და განთიადი
იქცა წარსულად და მოგონებად.

იყო სიბნელი, იყო ტკივილი
ჩემს თანადგომას ელოდა რისხვა,
მტრობის ნაცადი ჟივილ-ხივილი,
შური, ლალატი და ავი სიტყვა.

ბედმა მიმტყუნა, გრძნობა გაფრინდა,
ლახვარი ჩამცეს მე სიძულვილის,
სიცოცხლის ყველა ფერი გაფითრდა,
მხოლოდ ნუგეშის იყო წყურვილი.

შენ ერთს გხედავდი ცაზე ვარსკვლავად,
ღმერთმა დალოცოს ყველა ნათელი,
მეც მივყვებოდი ამ სხივს კვალდაკვალ,
ის შენი სულით იყო ნაფერი.

ვით სერაფიმის თვალის ნათება,
ჩემსა და ღამეს შუა იდექი —
შავი ღრუბელი, ვით ანათემა,
დაგვტრიალებდა ერთი იმედით,

რომ დაახშობდა შენს ელვარებას,
თუმცა იბრძოდნენ ცეცხლის ენები,
აღსდექი სუფთა, როგორც ზმანება,
და შენი ძალით სძლიე ბნელეთი.

129. ლუციუს კორნელიუს სულა /ძვ. წ. 138 — ძვ.წ. 78/ ძველი რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე.

მარად ჩემს სულში მინდა სახლობდე,
იცი, დამდალავს მძიმე ბრალდება,
მინდა ვუსმენდე შენს ხმას ახლობელს,
შენ ერთს ღალატი ვერ დაგბრალდება.

იდექი, ვითარც ხე მოშრიალე,
გაუტეხელი, ოდნავ მოხრილი,
თვალცრემლიანი მწმენდდი იარებს,
დიდ ქარტეხილში გზაგამოვლილი.

ვიცი, დაგინდობს შენ განსაცდელი,
რაგინდ მიმუხთლოს ბრმა ბედისწერამ,
კეთილს, სიყვარულს ღვთისგან
ვინც ელის,
შენ, უპირველესს, დაგლოცავს ზენა.

დაიმსხვრეს უნდა ყველა კავშირი,
თუ სიყვარულის არ შესწევს ძალა,
სული უდრეკი და თან ფაქიზი,
ეს შენი უნდა ცოცხლობდეს მარად.

შენ შთამაგონე ძალა ულევნი,
როცა ცხოვრება მექცა უაზროდ,
როცა ამქვეყნად შენ მეგულები,
სოფელს აღარ ვთვლი უკვე უდაბნოდ¹³⁰.

რა უნდა ეფიქრა, ასეთი მგზნებარე
სტრიქონების ნაკითხვისას, მოკრძალებულ
ოგასტას? ცხადია, მოეწონებოდა. მას
თავისებურად უყვარდა ბაირონი. რასა-
კვირველია, მშვენივრად შეეძლო გაეძლო,
რომ ის მისი საყვარელი არ ყოფილიყო. მას
უნდოდა დაექორწინებინა იგი და ამ ყვე-
ლაფრისთვის ბოლო მოეღო, მაგრამ მის
წინაშე ძალა არ ჰყოფნიდა და ნებისყოფა.
იგი ხომ მისი ძმა იყო, სახელგანთქმული და
მდიდარი. და მის გაჭირვებულ, შევიწროე-
ბულ ცხოვრებას მხსნელივით მოევიწინა.
ქალი დაემორჩილა მას.

ოთხი ათასი კაცი, რომლებიც „ფხიზ-
ლობენ, როცა სხვა ყველას სძინავს“, და
რომლებიც ინგლისს მართავენ, ისე მხიარუ-
ლობდნენ, როგორც არასდროს. მშვიდობის
სადიდებლად ისევე ცეკვავდნენ, როგორც
ომისა. მეჯლისებს მართავდნენ რუსეთის
იმპერატორისა და პრუსიის მეფის პატივ-
საცემად. კლუბში, რომლის წევრიც ბაირო-
ნი იყო, ჰერცოგ ველინგტონის პატივისაცე-
მად ბალ-მასკარადი მოაწყვეს. ჰობზაუზი
ალბანურად გამოეწყო, ბაირონმა ბერის სუ-
ტანი მოირგო. „Isn't he beautiful?“¹³¹ — ამ-
ბობდნენ ქალები. კაროლინა ლემი, ეტყობა,

130. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

131. „განა ლამაზი მამაკაცი არ არის?“ /ინგ./

თავს ინუგეშებდა და ათას სისულელეს ჩა-
დიოდა, გვარდიის ერთი ოფიცერიც კი აიძუ-
ლა ნითელი მუნდირი გაეხადა.

როცა ბაირონი, გამთენიისას, სახლში
ბრუნდებოდა, დასაძინებლად მაშინვე არ
წვებოდა და სამუშაოდ ჯდებოდა. ის
„ლარას“ წერდა. ამჯერად, მოქმედების აღ-
მოსავლეთში გადატანაზე აღარ უზრუნია.
ლარას სამშობლო არა ჰქონდა, არც რომე-
ლიმე ეპოქას მიეკუთვნებოდა. ნამდვილი
ბაირონული გმირი იყო: დიდსულოვანი ხას-
იათი, გული, რომელიც სიყვარულისთვის
იყო შექმნილი, მაგრამ ბავშვობიდანვე დამ-
ახინჯებული, ჭაბუკური ოცნებებისა და
აღტკინებებისკენ ღრმა სწრაფვა, მაგრამ ამ
უგუნურებას მეტისმეტად ნათელად ხედავ-
და, — ასეთი იყო ლარა, კონრადის მსგავსი,
ჩაილდ ჰაროლდის მსგავსი და მსგავსი
ბაირონისა. ზოგიერთ სტროფში თვით ავ-
ტორი ისე აშკარად ჩანდა, ისეთი გასაოცარი
მსგავსება იყო, რომ ოგასტაც კი განცვი-
ფრებული დარჩა.

ის მოხეტიალე სული იყო, სხვა ცხოვრე-
ბისთვის დაბადებული და ბედისგან დამნა-
შავებობისთვის განწირული. ეს იყო მისი
აკვიატებული იდეა, ასე ფიქრობდა საკუთარ
თავზე. რაც მეტია ხასიათში სიღიადე, მით
მეტად სახიფათოა იმედგაცრუება. როცა
დანაშაულისთვის განწირული, ცხოვრებაში
კეთილი ზრახვებით შედის, მის მრისხ-
ანებას, რომელიც შემდეგ იპყრობს, ერევა
არა მარტო მტანჯავი ქენჯნა სულისა,
არამედ შურიც. იმ ბედნიერებისადმი შური,
რომელთაც შეძლეს, სასარგებლოდ გამ-
ოიყენეს ძალები და ადამიანებთან ომში არ
ჩაებნენ; განსაკუთრებით შური იმისადმი,
რაც შეეძლო ყოფილიყო და წამის ერთ
გაელვებაში რაც იყო. როგორც დემონ ლუ-
ციფერს შურს მთავარანგელოზ ლუციფერ-
ისა, ისე ბაირონს შურდა ბაირონისა. ბავშ-
ვობაში ცოტა თუ აჰყოლია ისეთ ამალღე-
ბულ ოცნებებს, როგორც იდას სერებზე
მდგარი ახალგაზრდა ღმერთი აჰყვა. ბენეტ-
სტრიტის განწირულმა ცოდვილმა, ვერც
დავინწყება შეძლო და ვერც დამშვიდება. აპ-
ატიებს კი ოდესმე ბაირონს, რომ იგი მგ-
ზნებარე და ნაზი იყო?

გავიდა ზაფხული. ბაირონმა ოგასტა
ჰასტინგსში წაიყვანა ზღვაზე; იქ ორივემ
ივლისი და აგვისტო გაატარა. მერე მარტო
დაბრუნდა ნიუსტედში. ბაირონი და ოგასტა
წერილებს სწერდნენ ერთმანეთს და ამ წერ-
ილებს, ბავშვებივით, ურიცხვი ჯვრებით
ავსებდნენ, რაც კოცნას ნიშნავდა.

ნიუსტედი. რამდენიმე თვის განმავლობაში მყიდველის ადვოკატები ჰანსონს ედავებოდნენ, მაგრამ ჰანსონი თავისაზე მტკიცედ იდგა და კონტრაქტი ყველა წესის დაცვით შეადგინეს. ახალგაზრდა კლაუტონს დათმობამ მოუწია და ბაირონს მისი სააბატო დაუბრუნა, დამატებით, პირობის შეუსრულებლობისთვის, ოცდახუთი ათასი ფუნტიც გადაუხადა. ამან საშუალება მისცა, რაღაც-რაღაც ვალები დაეფარა. ნიუსტედში ორი კვირა ცხოვრობდა მარტო. მერე ტომას მური მიიწვია: „ადგილი კარგი სახილველია. გარწმუნებთ, აქ მხიარულად ცხოვრობდნენ ჩემს დროსაც კი. ახლა ამან უკვე გაიარა. მაგრამ მაინც, მოჩვენება, გოთიკა, უკაცრიელი მიდამო, ტბა — ბევრ რამეს სიცოცხლეს ანიჭებს“. მაგრამ გოთიკამ და უკაცრიელმა მიდამომ ტომას მური ვერ მოხიბლა. მხოლოდ ერთმა სტუმარმა დააფასა — შავი ბერის აჩრდილმა, რომელმაც დერეფანში გვერდით ჩაუარა, არ შეჩერებულა, ისე შეხედა ანთებული თვალებით.

როგორც კი მარტო დარჩა ნიუსტედში, ცოლის მოყვანაზე დაიწყო ფიქრი. რატომ არ უნდა მოიყვანოს? ამ სააბატოში მეტისმეტად ბევრი სევდაა. კარგი იქნებოდა ვინმეს გაჩენა, „ვისთანაც დროდადრო ერთად დავამთქნარებდი“. მას „განმარტოება არც ისე იზიდავდა, როგორც ის სიამოვნება, როცა სატრფოს უყვებოდა, როგორ უყვარს განმარტოება“. ყველა სახის სიყვარული გამოსცადა, გარდა ქორწინებისა. ყველაფერი უჩვეულო, სახიფათო მოსწონდა. მისი რეპუტაციის კაცის დაქორწინება, განა უჩვეულო არ იყო? ახლო მრჩევლები ყოველმხრივ აგულიანებდნენ. ლედი მელბურნი სწერდა, რომ მისი ხსნა კანონიერი ცოლი იყო. ოგასტა ცოლად რომელიღაც თავის მეგობარს სთავაზობდა.

ბაირონი — ლედი მელბურნს: „ვფიქრობ, ცოლის მოყვანა ყველაზე გონივრული გადაწყვეტილება იქნება, მაგრამ ვისზე დავქორწინდე? არ შემეძლია საკუთარი გული შევთავაზო და სამაგიეროსაც არ ველი; მაგრამ, როგორც მური ამბობს: „ლამაზი ცოლი — გვარიანი რეტირადაა¹³² გარყვნილის გამაძლარი პატივმოყვარეობისთვის“. ჩემს ცოლს შეუძლია ის გააკეთოს, რასაც

132. უკანდახევა.

მოისურვებს, მაგრამ კარგი ხასიათი უნდა ჰქონდეს, მშვიდად მოიქცეს და სინდისის თავისუფლება მომცეს. უფრო ცოლი-მეგობარი მჭირდება, ვიდრე სანტიმენტალური ცოლი. ბევრი მინახავს სიყვარულით დაქორწინებული და ბედნიერი. ცოლქმრულ ცხოვრებაში ჩემი წილის მისაღებად თავს ვერ გავწირავ. ერთადერთი უსიამოვნება ის იქნება, თუ საკუთარი ცოლი შემეყვარდება, რაც ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან ჩვეულება უცნაურ გავლენას ახდენს ჩემს გრძნობებზე. აი, მაშინ კი, ეჭვიანი გავხდები და თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, რა ურჩხულად შეიძლება მაქციოს ცუდმა ვნებებმა!“.

ვისზე შეაჩეროს არჩევანი? იყო ვინმე ლედი კეტრინ ანსლეი, ლედი ფრენსის უედსტერის უმცროსი და, მშვენიერი, სრულიად ახალგაზრდა, „და ვფიქრობ, სულელიც, მაგრამ განსჯის უფლება არა მაქვს, რადგან იშვიათად მინახავს. თუმცა კაზიანი გონება ზიზღს მგვრის“. იყო კიდევ ადელიდ ფორბსი, რომელიც აპოლონ ბელვედერელს¹³³ ჰგავდა. იყო ოგასტას მეგობარიც, ქურციკის თვალება, ლედი შარლოტა ლუსენ გოუერი. კიდევ მშვენიერი მის ელფინსტონი, რომელთანაც ბაირონი გამუდმებით თავს ინონებდა და რომელიც ეუბნებოდა, კაპრიზული კაცი ბრძანდებითო. და, რაც მთავარია, იყო ანაბელა. უცნაურია, მაგრამ ამ ორმა სრულიად განსხვავებულმა ადამიანმა, ორი წლის განმავლობაში, ვერ მოახერხა საბოლოოდ დაშორებოდა ერთმანეთს. „პარალელოგრამების პრინციპსას“ უარის შემდეგ, ბაირონი თავს მოვალედ თვლიდა უკმაყოფილება არ გაემჟღავნებინა. „არ ვიცი, იმ ცრურწმენებზე მაღლა ვდგავარ თუ არა, რომელიც ასეთ შემთხვევაში ადამიან-ცხოველს ახასიათებს, მაგრამ იმაზე მაღლა კი ვდგავარ, რომ ისინი აღმოვაჩინო“. თან დაუმატა: „უნდა გამოვტყდე, ვერასოდეს დავივიწყებ გასული ზაფხულის იმ უარს — იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი ხვალ „დიახად“ იქცევა“. ოდნავ გაოცებული პატივისცემის გრძნობა შემორჩა ერთადერთი ქალისა, რომელმაც გაბედა და უარი უთხრა, და კიდევ გაურკვეველი გრძნობა სინანულისა

133. ბელვედერი — ზოგიერთი სასახლის სახელწოდება. იტალიურად „მშვენიერ გადასახედს“ ნიშნავს. ასე ეწოდება ამაღლებულ ადგილზე აშენებულ ლამაზ ნაგებობას. ცნობილია პრადის, ვენის, ვაიმარის სასახლეები. განსაკუთრებით კი ვატიკანის ერთი სასახლე ჰქვია, სადაც ინახება აპოლონის განთქმული ქანდაკება, რომელსაც „აპოლონ ბელვედერელს“ უწოდებენ.

და ცნობისმოყვარეობის. შეეძლო კი ქალს ეს მეტაფიზიკოსი ჰყვარებოდა? ისე კი თავშესაქცევი იყო, ამ ასე მკაცრი გონების შემოფოთება.

ანაბელასთვის ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ ამ სახიფათო გამარჯვებით მეტისმეტად დაინტერესდა. ცხადია, სიამოვნებდა ისეთი თავყვანისმცემელის მიზიდვა, რომლის დაუფლებასაც ამაოდ ცდილობდა მისი შეშლილი ბიძაშვილი, გარდა ამისა, დარწმუნებულიც იყო, რომ მხოლოდ მას და მხოლოდ მას შეეძლო გადაერჩინა ეს მშვენიერი ცოდვილი. როცა კარგად დაცულ გულში იპარები, ზოგჯერ სიყვარული უცნაურ სახეს იღებს. ანაბელას თავისი მსხვერპლის წყურვილი კლავდა. მას შემდეგ, რაც ბაირონმა ხელი სთხოვა, — რაც მის უშფოთველ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო, რომლის მთელ მნიშვნელობაშიც ბაირონმა, მღელვარების დემონმა, ჩანვდომა ვერ შეძლო, — ქალს ისევ ისე აინტერესებდა მისი ქცევები. სულელური და ბოროტი ქორები ბაირონზე, ლონდონში რომ ავრცელებდნენ, აშფოთებდა. ამბობდნენ, ბაირონს ლედი ოქსფორდის უფროსი ქალიშვილის წაყვანა უნდა რომელიღაც კუნძულზე, რომ აღზარდოს და მერე ცოლად შეირთოსო. იმასაც ამბობდნენ, ცუდად მოექცა ჭაბუკ კლაუტონს, რომელსაც ნიუსტედის ყიდვა უნდოდა; რომ კლაუტონი გაუფრთხილებლად მოიქცა, როცა აუქციონზე ძალზე დიდი ფასი გადაიხადა და ბაირონმა სრულიად გააკოტრაო. ყველა ეს ნაამბობი ანაბელას გულს სტკენდა. თავის მამიდის, ლედი მელბურნის მეშვეობით ბაირონს მოკითხვასა და კეთილ სურვილებს უთვლიდა: „რადგან მისი ნახვის შემთხვევა არ მომეცა, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო იქნება, თუ ეტყვი, რომ მუდამ მიხარია, როცა ვიგებ, რომ ბედნიერია. და თუ ჩემი პატივისცემა ოდნავ კმაყოფილებას მიანიჭებს, შეუძლია მშვიდად იყოს, არასოდეს დავუჯერებ იმ ადამიანებს, რომლებიც მასზე ცუდს ამბობენ“. მას იმედი ჰქონდა, რომ ბაირონს ნახავდა: „მისი საზოგადოება იმდენად საამურად მიმჩნია, სიამოვნებით ჩავიგდებ თავს ისეთ საფრთხეში, კეკლუცი ქალის რეპუტაციას რომ შემიქმნის, ოღონდ იმ პირობით, თუ მას რაიმე ვნება არ მიადგება“.

ბოლოს, 1813 წლის აგვისტოში, თვითონ, — ახალგაზრდა ქალისთვის გასაოცარი გაბედულებათა, — პირველმა მისწერა წერილი. ატყობინებდა, სხვითა ვარო გატაცებული / ცხადია, გამოგონილი იყო, მაგრამ საცოდავ გოგონას ეგონა, ძალზე ნატიფად ვიქცევიო/

; მეგობრობას სთავაზობდა და რჩევებს აძლევდა: „წუთიერი გატაცების მონა ნუ იქნებით; ამაოდ ნუ ღუპავთ თქვენს კეთილშობილურ გულისნადილს... სიკეთე აკეთეთ... მაგრამ სიკეთე რომ გაუკეთოთ ადამიანებს, ჯერ ისინი უნდა გიყვარდეთ და სისუსტეები მიუტევოთ“. ჰმ... კორსარი, ალბათ, ჩაიცინებდა, მან უზადო წერილით უპასუხა, საეჭვოა, რომ ეს წერილი ზარზე-იმური სტილით იყო დაწერილი: ის იყო პირველი ქალი, რომელთანაც ოცნებობდა ქორწინებას, და ალბათ, უკანასკნელიც. ლედი მელბურნი მართალი იყო, როცა ამბობდა, სხვებს ეს ურჩევნიაო. ასე იყო, ასეც დარჩა სიმართლედ. „თქვენი უარი ჩემთვის ახალი იმედგაცრუება მხოლოდ იმიტომ არ იყო, რომ შეუძლებელია იმ ფინჯანს დაუმატო ერთი წვეთი სიმწარისაც კი, რომელიც უკვე ისედაც ბოლომდეა სავსე“. რაც შეეხება მეგობრობას: „მეეჭვება, რომ როდისმე შევძლებ გული ავიყარო თქვენზე... მაგრამ ჩემი გრძნობები, როგორც უნდა იყოს, მათგან არ გემუქრებათ რამე დევნა და შევიწროება“. რა მოკრძალებულია და სერიოზული; ალბათ, ლედი მელბურნისთვის ძნელი იქნებოდა თავისი მეგობარი ეცნო ამ წერილში! მაგრამ თვითონ კი იცოდა რა იყო ეს? თამაში თუ გულწრფელობა? ყველა ადამიანივით, რომელნიც დიდი წარმოსახვის უნარით არიან დაჯილდოებულნი, ესეც, ბუნებით ქამელეონი, რა ნუთსაც წერილს სწერდა, იმ ნუთში იქმნიდა თავისთვის ამ ახალგაზრდა ქალის სახეს. ახსენებოდა საკმაოდ მრგვალი, მაგრამ სწორნაკვეთებიანი სახე, მშვენიერი ტანი. მას უნდოდა მოსწონებოდათ. ისეთ სახეს იღებდა, მის მიზნებს ყველაზე უკეთ რომ გამოადგებოდა.

სუსტი, პარადოქსული მეგობრობა იყო, მაგრამ იგი გაგრძელდა. ბაირონი მასში უცნაურ სიამოვნებას გრძნობდა. პიკანტური ეგონა, როცა ლედი მელბურნს მისი ძმისშვილის, ანაბელას, „მაღალფარდოვანი“ წერილი აჩვენა, დაბნეული საკუთარ თავს რომ საყვედურობდა, უარი რად გითხარიო, ახლა ანგარიშს აღარაფერს უწევდა და ცდილობდა იძულებული გაეხადა ბაირონი, კიდევ ერთხელ ეთხოვა მისი ხელი. აჰ, როგორ ნანობდა ახლა, როცა მაშინ უარი უთხრა იმ მიზეზით, თითქოსდა სხვა უყვარდა!

რასაკვირველია, ქალმა მიზნად მისი გამოსწორება დაისახა: „მისთვის ცნობილია ბაირონის ზოგიერთი კეთილი საქციელი; ისიც იცის, რომ იგი იმაზე უკეთესია, რასაც მასზე ლაპარაკობენ. მისი სიცილი გულწრ-

ფელად არ უღერს, იგი უბედურია და ანაბელა ამას გრძნობს. ნუთუ მართალია, რომ მორწმუნე არა ხართ?“ აქ კი ბაირონმა ნამდვილად დიდი გულწრფელობა გამოიჩინა: „ახლა იმ საკითხთან მივედი, რომელსაც, როგორც თქვენ შეამჩნიეთ, აქამდე გაფურბოდი — საშინელი საკითხია — რელიგია. ჩემი ცხოვრების პირველ ნახევარში შოტლანდიაში ვიზრდებოდი, კალვინისტებთან, რამაც ღრმა სიძულვილი ჩამინერგა ამ სექტისადმი. მას შემდეგ ვენვიე ყველაზე მორწმუნე და ყველაზე ნაკლებ მორწმუნე ქვეყნებს — ესპანეთს, საბერძნეთს, თურქეთს. ამ საკითხზე საბოლოო აზრი ჩამოყალიბებული არა მაქვს. ცხადია, ღმერთი მნამს და მოხარული ვიქნებოდი თუ უკეთ დამარწმუნებდნენ და გამარკვევდნენ ამაში. თუ ახლა მტკიცე რწმენა არ გამაჩნია ტრადიციაში, არ ვაღიარებ ამა თუ იმ დოგმას, ეს როდი ნიშნავს, რომ პატივს არ ვცემ შემოქმედს, თუმცა მისი ქმნილებებისადმი არ გამაჩნია პატივისცემა“.

ანაბელამ ლოკის¹³⁴ ნაკითხვა ურჩია და „მტკიცებებს ასეთ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ“-ო. მაგრამ ბაირონმა ლოკი არ ნაიკითხა, სამაგიეროდ, ნაიკითხა უფრო მკაცრი წინასწარმეტყველები. ის არც უარყოფდა, მაგრამ არც სწამდა: „საბოლოო აზრამდე ვერ მივედი, მაგრამ სკეპტიციზმის ფარისევლობა არანაკლებ დამლუპველად მიმაჩნია, ვიდრე ღვთისმოსავური შეუწყნარებლობა... რატომ ვარ აქ? არაფერი ვიცი. საით მივდივარ? ამაო კითხვაა. უამრავ ცოცხალ თუ მკვდარ სამყაროს შორის, ვარსკვლავების, სისტემების, უსაზღვროებას შორის, განა ღირს ატომის ბედზე ვიღელვო?“ შემდეგ წერილში ანაბელა პასუხობდა: „მართალია ატომები ვართ, მაგრამ განა ატომი არაფერს ნიშნავს ამ უსაზღვროებაში? უარყო მისი შესაძლებლობები, რომ ჩასწვდე უსაზღვროდ მცირეს უსაზღვროდ დიდს თანაბრად — ეს ნიშნავს უარყო მისი ღვთაებრივი თვისება“. თავის სულიერ ძალაში, თავისი გონების სიძლიერეში დარწმუნებული, ბაირონს სულის მხსნელ რჩევებს აძლევდა: „გამოიჩინეთ გულმონყალება და მისით შთაგონებას მიიღებთ. სიკეთე ჰქმენით. თუმც მე არა ვარ სრულყოფილება, მაინც სიხარული შევიგრძენი, როცა ადამიანებს ნუგეში მივუტანე და ღმობიერება გაფუღვიძე“.

ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ავად-

134. ჯონ ლოკი /1632-1704/ — ინგლისელი ფილოსოფოსი და განმანათლებელი.

მყოფთან მიდიოდა და უვლიდა. საცოდავი ანაბელა! რაც უფრო მეტად გაურბოდა ბაირონი, მით მეტად უნდოდა ქალს წერილები ეწერა მისთვის. ვერ შეძლო ამ გასაოცარი სახის მოშორება; მის პოემებს კითხულობდა: „კორსარი“, „გიაური“. ხვდებოდა, რომ გრძნობათა გამოხატვაში ხელოვნებოდა ბაირონი: „სიყვარულის მისეული აღწერა ისე კარგია, რომ ცოტას დარჩა, თვითონაც შეყვარებული არ გახდეს“. ყველა მეგობარს ამას ეუბნებოდა, მამიდა ლედი მელბურნსაც მისწერა. არსებითად, მთლიანად მისით იყო შთაგონებული, თვითონ კი არ აღიარებდა ამას. ეგონა, საკუთარ თავს კარგად იცნობდა, სერიოზული იყო და განსწავლული. ლორდი ბაირონი კი საცოდავი არსება გახლდათ, რომელსაც სათნოების ნიაღში დააბრუნებდა. იმდენი გაბედა, რომ მშობლები აიძულა და სიჭეშმით მიიწვიეს იგი. „უნდა გაუნყოთ, — სწერდა ანაბელა ლედი მელბურნს, — რომ ჩემმა მშობლებმა გაიგეს, ლორდი ბაირონი ჩრდილოეთში დასაბრუნებლად ემზადებაო, ამიტომ ხელსაყრელად მიიჩნიეს მისი ჩვენთან მოწვევა. ძალიან გამიხარდება, თუ მოწვევას მიიღებს, რომელსაც მამა ამავე ფოსტით უგზავნის... ჩემთვის სულიერია, რას ილაპარაკებენ; ვიცი, თქვენ ასეთ ქცევას გონივრულად მიიჩნევთ“.

მიუხედავად ასეთი სათუთი ნათესაური ურთიერთობისა, მამიდა და ძმისშვილი ისე ნაკლებად ჰგავდნენ ერთმანეთს, საეჭვოა, რომ მორიგებულები იყვნენ. ანაბელას თავისი მამიდა ქარაფშუტა და უზნეო ქალად მიაჩნდა; ლედი მელბურნს არ მოსწონდა, რომ ახალგაზრდა ქალი ხან მათემატიკით იყო გატაცებული და ხან მეტაფიზიკით. თავგზაებნოდა, როცა ეუბნებოდა ჩემი საყვარელი მწერლები შოტლანდიელი ფილოსოფოსები-აო, თან უმატებდა: „ბევრის აზრს არ ვიზიარებ და მიმაჩნია, ამ წიგნებს შეუძლიათ დიდი პრაქტიკული სარგებელი მოიტანონ, ცხოვრების ყველაზე უბრალო შემთხვევებშიც კი“. მოხუცმა მამიდამ სთხოვა, აღმინერე, რა თვისებები გინდა დაინახო შენს ქმარშიო. მან აი ასეთი ფორმით მიიღო დაწვრილებითი ანგარიში:

„ქმარი

მას უნდა ჰქონდეს მოვალეობის მტკიცე პრინციპები, რაც ძლიერი და ამაღლებული გრძნობებით უნდა მართოს და დაუმორჩილოს გონების ხმას.

ჩემი აზრით, გენიალურობა აუცილებელი არ არის, თუმცა, სასურველი კია, თუკი იგი იმას დაერთვება, რაზეც ახლა გელაპარა-

კეთ.

ხასიათს მოვითხოვ, რომლისთვისაც უცხო იქნება ექვნიანობა და მიდრეკილი არ იქნება განუწყვეტელი ცუდი განწყობილებისკენ; ასევე ჩემდამი სიყვარულში დიდ წონასწორობას მოვითხოვ, და არა იმ მძაფრ გრძნობას, რომელიც ყოველგვარი უმნიშვნელო მიზეზის გამო, შეიძლება გაიზარდოს ანდა შემცირდეს.

მინდა, რომ ჩემი ქმარი ჭკვიან მრჩევლად მიმიჩნევდეს და არა დამრიგებლად, რომ შეძლოს და ბრმად მომენდოს.

წარმოშობას ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ კარგი წარმოშობა მნიშვნელოვან უპირატესობად მიმაჩნია.

სილამაზე არ მაინტერესებს, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელობა აქვს ჯენტლმენურ მანერებს, ურომლისოდაც, მჯერა, ვერ მიმიზიდავს.

იმ ოჯახში არ შევალ, რომლის ჯიშსაც შეშლილობისკენ ძლიერი მიდრეკილებები აქვს“.

ლედი მელბურნი ამ საბუთის კითხვისას, ალბათ, მხრებს იჩენდა. მოითხოვო იმ ადამიანისგან, რომლის შეყვარებაც გინდა „მშრალი წინდახედულება და ცივი პრინციპულობა“ და არ მოითხოვო „არც ნიჭი, არც მხიარულება, არც გულწრფელობა, არც სიკეთე“ — სისულელედ ეჩვენა. ძმისშვილს უსაყვედურა, ოჩოფეხებით დადიხარ და არა ფეხებით, როგორც ყველა ადამიანიო. ანაბელა კი მშვიდად ედავებოდა: „ცდებით, როცა გგონიათ, რომ გრძნობებს გვერდს ვუვლი. მიმაჩნია, რომ გრძნობები ერთიანდება სიტყვა „ამაღლებულში“. სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემი მოხიბლვა მშრალი წინდახედულობითა და ცივი პრინციპულობით შესაძლებელია, პირიქით, მუდამ მძულდა ასეთი ადამიანები. ასეთი ამომწურავი ახსნა-განმარტებების შემდეგ, იქნებ გადაყაროთ ჩემი ოჩოფეხები და დამეთანხმოთ, რომ თითისწვერებზე დავდივარ მხოლოდ“.

ანაბელა, ალბათ, ძალიან გაცოცდებოდა, რომ შეძლებოდა, სცენის იქით შეეხედა, და წაეკითხა ის, რაც ბაირონმა მიაწერა მის წერილს, რომელიც ლედი მელბურნმა აჩვენა: „ის, ეტყობა, ისე არ იყო განებივრებული, როგორც ჩვეულებრივ ანებივრებენ ბავშვებს, არამედ გაანებივრეს სისტემატურად. ერთგვარი კლარისა ჰარლოუა“¹³⁵ უბ-

135. კლარისა ჰარლოუ — ინგლისელი მწერლის სამიუელ რიჩარდსონის /1689-1761/ ამავე სახელწოდების რომანი. ამ რომანის გმირი — მეტად სათნო ქალი.

ეირო შესწორებებით — დარწმუნებულია საკუთარ უცოდველობაში, რაც მიიყვანს, ან შეიძლება მიიყვანოს, რაღაც მნიშვნელოვან შეცდომასთან... მსჯელობს და კამათობს ჩემთან მეტაფიზიკურ თემებზე. და თუ მას სერიოზულად წარმოუდგენია სიამოვნებას მომანიჭებს წმინდა ათანასის ჩრედო-ს შესწავლა, ვფიქრობ, ცდება. ახლა ის არ მიყვარს, მაგრამ წინასწარ არ შემიძლია განვჭვრიტო, რა მოხდება, თუ /როგორც ფალსტაფი ამბობს/ „ივნისი ოდნავ ცხელი იქნება“, მაგრამ მისით, როგორც გამორჩეული ქალით, სერიოზულად ვარ აღფრთოვანებული, ოღონდ მეტისმეტად არის გაჯერებული ლმობიერებით და სათნოებით“.

ანაბელა უფრო მეტად გაცოცდებოდა, რომ გაეგო, იმ დროს, როცა ეს მიმოწერა გაიმართა, ბაირონს ყველაზე მეტად ის აინტერესებდა, ლედი ფრენსის უებსტერი გადანყვეტდა თუ არა ქმრის ღალატს.

როცა 1814 წლის აგვისტოს დასაწყისში, ბაირონი, ნიუსტედში, სერიოზულად ფიქრობდა, მართლაც სჯობს დაეკორწინდეთ, მან მის მილბენკს მისწერა: „ყოველთვის მიყვარდით — მიყვარხართ — შეყვარებით — და რადგან ეს გრძნობა ნებისყოფის აქტს არ წარმოადგენს, ამიტომ საკუთარ თავს ვერაფრით ვეხმარები. როცა შეგხვდით, ვიფიქრე: აი, ქალი, რომელსაც შეუძლია ბედნიერება მიანიჭოს ყველა ადამიანს, თუ ცხადია, შეშლილი ან გამოუსწორებელი ავაზაკი არ არის. მაგრამ მაშინ მითხარით, რომ სხვა გიყვარდათ და იქნებ, დანიშნულიც ხართ უკვე. დიდი დანაშაული იქნება ქალისგან მოითხოვო ასეთი ცუდი დამოკიდებულების მიზეზის ახსნა. ალბათ, შემიყვარებდით, რომ შეგეძლოთ. მაგრამ, როგორც ეტყობა, არ შეგიძლიათ, სრულიად ბუნებრივი მიზეზების გამო, ეს არც მაოცებს“.

ეს იყო ყველაზე მორიდებული, ყველაზე ენამჭვრი წერილი, რომელიც კი მას ოდესმე შეუთხზავს. მაგრამ ანაბელას უნარი არ ჰქონდა თავისი გრძნობები თავისი მრწამსისგან გამოეყო, როგორც ამას ბევრი ადამიანი აკეთებს გაუაზრებლად. ბაირონის წერილზე, რომელშიც ხელს სთხოვდა და ამას ქალი რამდენიმე თვე ელოდა, ერთ-ერთი თავისი მეტაფიზიკური უსტარით უპასუხა. ანაბელა საკუთარ თავს ეკითხებოდა, მართლა იყო ის, „ის დამრიგებელი, რომელიც უნდა აერჩია მაგალითად, ამ მიწიერი ცხოვრებიდან მარადისობისკენ მიმავალ გზაზე?“ ბაირონს გული აერია, დას სთხოვა, ოგასტას, რომელიც იმ დროს მასთან იყო

სტუმრად, სხვასთან /ლედი შარლოტა ლუსენ გოუერი/ მიმაჭანკლეო, მაგრამ ანაბელაზე უარის თქმა დაენანა. როგორც კი ლედი შარლოტას მშობლების უარი მიიღო, გამოცოცხლდა და თქვა, ახლა თვითონვე ვეცდები ბედნიერების პოვნას და 3 სექტემბერს ანაბელას მეორედ სთხოვა ხელი.

ბაირონი — მის მილბენკს: „რალაც მინდა გითხრა, რადგან შეიძლება ერთხანს, ანდა, იქნებ, ძალიან დიდხანსაც ვერ გნახოთ, ამიტომ ახლა ვეცდები გითხრა. ის „წინააღმდეგობები“, რომლებზეც ლაპარაკობდით, მართლა ასე დაუძლეველია? ან, იქნებ, ჩემი ქცევის უკვე ცნობილი მანერის ზოგიერთი ცვლილებით შეიძლება მათი გადალახვა? კიდევ ერთხელ, ძალდაუტანებლად, გთავაზობთ ამ საკითხს. ჩემს გრძნობებს იცნობთ — და თუ აღარ გიმეორებთ მათ, ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მეშინია, აღვავზნო, ან სულ ცოტა, გავაძლიერო თქვენი უკმაყოფილება“.

გაგზავნა ეს წერილი და მოუთმენლად ელოდა პასუხს. ოგასტა ამ დროს ნიუსტედში იყო. მან შეამჩნია, რომ იმ საათებში, როცა ფოსტა მოჰქონდათ, ბაირონი კიბის საფეხურებზე ჯდებოდა და ფოსტალიონს ელოდა. ერთ დილას, როცა ბაირონი ოგასტასთან ერთად მაგიდასთან იჯდა, ოთახში მებაღე შევიდა და მისის ბაირონის ბეჭედი შეუტანა, რომელიც დედამისმა დიდი ხნის წინ დაკარგა: მებაღემ იგი განსვენებული „ქვრივ-რეგენტის“ საწოლი ოთახის ფანჯრის ქვეშ, მინის ბარჯის დროს იპოვა. ბაირონმა გადანყვიტა, რომ ეს რალაცის მომასწავებელი ნიშანი იყო. თითქმის მაშინვე წერილიც მოუტანეს. „თუ თანახმაა, — განაცხადა ბაირონმა, — ეს ჩემი საქორწინო ბეჭედი იქნება“.

წერილი ანაბელასგან იყო:

„დიდი ხნის წინ საკუთარ თავს აღთქმა მივეცი, რომ თქვენი ბედნიერება ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი იქნებოდა. თუ შევძლებ და ბედნიერს ვაგხდით, სხვა აღარაფერზე ვიფიქრებ. ყველაფერს თქვენზე ვადმოვიტანდი, რისკენაც ვისწრაფვი და რაც მეყვარება. ერთადერთი, რაც მაღელვებს, შიშია, ვაითუ, თქვენი მოლოდინი ვერ გავამართლო. ამ ხნის განმავლობაში ჩემი გრძნობები თქვენდამი სინამდვილეში არც შეცვლილა“.

იმის შიშით, ვაითუ, ბაირონი ლონდონშია და მალე ვერ მიიღებს წერილსო, მაშინვე მეორეც მისწერა:

„ლოდინის ზედმეტი ნუთებისგან რომ გაგათავისუფლოთ, ნიუსტედშიც გწერთ წერილს, — იმედი მაქვს, ჩემს პირველ წერ-

ილში იპოვით ყველაფერს, რაც თქვენ გაინტერესებთ“.

ბაირონმა ზარზემით გადაანოდა ოგასტას წერილი. ოგასტამ გასაოცარი ვერაფერი დაინახა წერილში, მაგრამ მაინც განაცხადა: „ყველაზე შესანიშნავი, ყველაზე მშვენიერი წერილია მათ შორის, რაც მინახავს“-ო და მაშინვე დააყოლა, სამაგალითო მული ვიქნებო. გახარებული იყო, ბოლოს და ბოლოს, ბაირონი „მოეწყობა“ და მის დაბინდულ გონებაში სისხლის აღრევაზე ფიქრები გაქრებო.

უეცრად გამოცოცხლებული ბაირონი, სიჰემში, ერთიმეორის მიყოლებით სამ წერილს აგზავნის, სამი დღის განმავლობაში. „თქვენმა წერილმა ახალი ცხოვრების კარი გამიღო... შეგიძლიათ ბედნიერი გამხადოთ? თქვენ ეს უკვე გააკეთეთ“. სწერდა, თქვენი ნახვის წყურვილით ვკვდებით და რაც შეიძლება მალე უნდა შევხვდეთო: „ამ შეხვედრაზე ისეთი გულის თრთოლვით ვფიქრობ, რომ საკუთარ თავსაც არ მინდა გამოვუტყდე. როცა თქვენი წერილი შემომიტანეს, ჩემი და გვერდით მეჯდა, და ჩემმა გამომეტყველებამ შეამჩნია, რადგან შთაბეჭდილება პირველ ნუთებში ძალზე მტანჯველი იყო...“. „თქვენ იქნებით ჩემი ბრძენი გზამკვლევი, ჩემი მეგობარი. მთელი ჩემი გული თქვენ გეკუთვნით... ამ სამ დღეში, ეს ჩემი მესამე წერილია...“. და ასე ამთავრებდა: „მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა — გავბედო და ერთი სიტყვაც მივუმატო? — სიყვარული“.

დონ ჟუანი საქმროა. თავგადასავლის სიახლეს აღფრთოვანებაში მოჰყავდა, მაგრამ მართლა იმედი ჰქონდა, რომ ბედნიერი იქნებოდა? განა მუდამ არ ოცნებობდა, ჯერ კიდევ მერი ჩავორსის დროიდან, ოჯახურ ცხოვრებაზე? განა სიმყუდროვისკენ არ ისწრაფოდა? განა არ შეეძლო უფრო ღირსეული ცოლი ეპოვა, ვიდრე ეს ახალგაზრდა გოგონა იყო, რომელიც მართლაც სათნო ადამიანია? უყვარს, კი? მაგრამ ეს ორი დღის საქმეა — ადვილად შეუყვარდება. ლედი მელბურნისთვის ამ ამბის შეტყობინება აუცილებელი იყო: „ძვირფასო მამიდა...“ /რა საუცხოო რამ იყო, თავისი ძველი მეგობრის ძმისშვილად რომ იქცა/. მისწერა, ძალიან ვწუხვარ, თქვენი ძმისშვილი ამ გადანყვიტილებამდე უფრო ადრე რომ არ მივიდა; რამდენი უბედურებებისა და ცოდვისგან გადაარჩენდა ახლობლებსო. მაგრამ, როგორც იქნა, ყველაფერი კარგად დამთავრდაო: „სიმართლე რომ ითქვას, ეს ქორწინება თქვენ მოაწყეთ... ჩემი სიამაყე /

რომელსაც ჩემი მოხუცი მასწავლებელი ჩემზე მბრძანებელ ვნებად მიიჩნევდა/ საბოლოოდ დაამებულა. ის ერთადერთი ქალი ბრძანდება, რომელსაც ხელი ასეთნაირად ვთხოვე და რაღაცას ნიშნავდა მისგან თანხმობის მიღებას. ძალიან მენდომებოდა, რომელიმე ჩემს ღმერთქალთაგანს, მის ადგილზე აღმოჩენილს, უარი ეთქვა. მაგრამ ახლა ყველაფერი დამთავრებულია. როგორ ფიქრობთ, ცოლიან კაცს სხვა ქალი არ შეიძლება ჰყავდეს? ამას მხოლოდ ცნობისთვის ვკითხულობ“.

მეგობრებისთვისაც საჭირო იყო ეცნობებინა: „ძვირფასო მურ, ცოლს ვირთავ — ეს ნიშნავს, რომ ჩემი წინადადება მიიღეს, დანარჩენი კი, ალბათ, როგორც იმედი აქვთ ხოლმე, ამას მოჰყვება. ჩემი „გრაკქუსების“¹³⁶ დედა“ /მომავალი გრაკქუსებისა/ გახლავთ პიროვნება, რომელიც ჩემთვის მეტისმეტად სერიოზული მოგვიჩვენებთ, თუმცა იგი მარგალიტია ქალწულთა შორის და სამკაული კეთილად მოაზროვნე მამაკაცთა სქესის ზოგიერთი წარმომადგენლისთვის.„ გასაოცარია. ეს ცოდვილი ძალიან ამაყობდა თავისი საცოლის უზადო რეპუტაციით. მისწერა ჰობსაუსს, დევისს. კიდევ რა უნდა გაეკეთებინა? კიდევ ანაბელა ოგასტასადმი კეთილად განაწყო. „ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ოგასტამ წერილი მოგწერათ. ის ყველაზე უწყინარი, ყველაზე არაეგოისტური არსებაა ამ ქვეყანაზე, რომელიც ისე შემეთვისა, როგორც არავინ შემთვისებია. ძალიან უნდა დაეჭორნინდე, მხოლოდ იმასლა წუხს, რომ შესაძლებლობა არ მიეცა, ადრე გაგცნობოდათ...“ . „მეკითხებით, ოგასტა მართლა მორცხვია? უცნობ ადამიანებთან კურდღელივით მშიშარაა. და ვფიქრობ, მოცემულ შემთხვევაში, თავს დიდი ძალა დაატანა, რომ სიმორცხვე დაეძლია. ახლა ბავშვს ძუძუს აწოვებს, და მეშინია, რომ ეს ხელს შეუშლის მიიღოს მამათქვენის თავაზიანი მიპატიჟება. მთელი გულით ვისურვებდი, რომ შეძლოს და მიიღოს მიწვევა“. ყველაფერი საუკეთესოდ აეწყო. დისა და ცოლის საზოგადოებაში საუცხოოდ გაატარებს ნიუსტედში ზამთარს.

თავის მხრივ, ანაბელამაც ეს უდიდესი მოვლენა ყველა ახლობელს გააგებინა. ანაბელას მშობლები განსაკუთრებული პათოსით ლაპარაკობდნენ თავიანთი მომავალი

136. იგულისხმება ძმები გრაკქუსები — ძველი რომის სახალხო ტრიბუნები გაიუსი /ძვ.წ. 153-121/ და ტიბერიუსი /ძვ.წ. 162-133/.

სიძის დიდ ნიჭზე და მოუთმენლად ელოდნენ სიჭმში, რომ გაეცნოთ და მასზე საკუთარი აზრი ჩამოეყალიბებინათ. მათი ქალიშვილი კი მეგობარ ქალს წერდა: „ლორდ ბაირონის ჭეშმარიტ ხასიათს მაღალ საზოგადოებაში ვერ მიხვდებით: ჰკითხეთ მას, ვინც მის სიახლოვეს ცხოვრობდა — უბედურებს, რომელთაც ის ნუგეშს აძლევდა; ღარიბებს, რომელთაც სიკეთეს უკეთებდა; მსახურთ, რომელთათვისაც საუკეთესო პატრონია. რაც შეეხება მის ნაღვლიან განწყობილებას, ამისი მიზეზი, მეშინია ვთქვა, მაგრამ ამ ბოლო ორ წელს მე ვიყავი“. თავისი საქმროს ხასიათსა და ცხოვრების აბსოლუტურ უცოდინრობაში რაღაც გულისშემძვრელი იყო. ბაირონი გასაოცარი დიაგნოსტიკოსი აღმოჩნდა, როცა ანაბელაზე თქვა: „საკუთარი უცოდველობის შესახებ მისი რწმენა, ოდესმე დიდ შეცდომამდე მიიყვანს...“. ნიშნობის პირველ დღეებში ანაბელა წერდა: „ჯანსაღი განსჯის შედეგად, ყველაზე უფრო შესაფერი თანამგზავრი ავირჩიე, რომელსაც შეუძლია დამეხმაროს მარადისობისკენ მიმავალ გზაზე“. ეჰ, ახალგაზრდა ქალებისთვის, ვნებაგანუცდელთათვის, სრულიად ბუნებრივია, საკუთარი სურვილი გადაწყვეტილებად რომ მიიღონ.

ლონდონსა და სიჭმის შორის მიმონერა გაგრძელდა. ბაირონი ცდილობდა დაემშვიდებინა მის მილბენკი, რომელიც მის რელიგიურ გრძნობებზე ლაპარაკობდა, და ეუბნებოდა, თუმც მორწმუნე არა ვარ, მაგრამ მზად ვარ, ყველა ის მოსაზრება გავიზიარო, რომელთაც თქვენ მეტყვეით. ქალმა უპასუხა, ამას არ ვჩქარობ, რადგან ყველაფერი თავისით მოვა, თუ გეყვარებით. „ცოტა უსიამოვნო იყო ჩემთვის, როცა ამას წინათ ვილაცამ თქვა, რომ მე თქვენი მოქცევა ქორწინებამდე მინდა“. როგორც ყველა ადამიანი, ანაბელაც უკმაყოფილო იყო, რომ რაღაცებს მიანერდნენ. იცოდა და ძალიან კარგადაც იცოდა, რომ თავისი საქმრო პროზელიტიზმისთვის როდი უყვარდა. მან იცოდა, რომ ქალი იყო და ძალიან ქალურიც და რომ უყვარდა მისი ძალიან ლამაზი, მშვენიერი სახე. ყველას რატომ ჰგონია, რომ ცივი ქალია? რამდენჯერმე გადაიკითხა ბაირონის წერილი, სადაც იმაზე იყო ლაპარაკი, თუ როგორ გაუჩნდა ბაირონს მისდამი გრძნობები.

ბაირონი — მის მილბენკს: „შეიძლება ის დღე არც გახსოვთ, როცა ერთმანეთს პირველად შევხვდით... თქვენი სახელი არ ვიცოდი, სასტუმრო ოთახში კი ბევრი ხალხი იყო. იქ თვითონ ვიყავი ყველასთვის უცხო, უხერხულად და დარცხვენლად ვგრძნობდი თავს... ყველა ქალზე საუცხოოდ ქალად

მეჩვენეთ. თქვენს მანერებში ისეთი უბრალოება იგრძნობოდა, რამაც, თუმცა ცოტას ლაპარაკობდით, მაშინვე მაიძულა თქვენში მეგრძნო ადამიანი, რომელშიც არაფერი იყო ვულგარული. მეუბნებით, „თქვენით ვიქნებითო შთაგონებული“, ამას მაშინ ვისურვებდი, ჩემზე დაბლა მდგომ ადამიანად რომ მიმაჩნდეთ, მაგრამ ეს ასე არ არის! არ მინდა თქვათ, რომ თქვენში მხარდამჭერს დაუწყებდნენ, რაც მე უფრო უნდა ვიყო... მაგრამ ის კი უნდა გითხრათ, რომ არა მარტო ჩემი სიყვარული უნდა გახდეთ, არამედ მრჩეველიც — და ჩემი ცენზორიც, თუ ეს აუცილებელი იქნება“.

მის მიღბენკი — ბაირონს: „ნარუშლელი მოგონებები დამრჩა ყოველი ჩვენი შეხვედრიდან, — იმ პირველ დილასაც, როცა ჩვენი შთაბეჭდილებები ასე გასაოცრად დაემთხვა ერთმანეთს. თქვენთან ერთად და მხოლოდ თქვენთან ერთად ვიგრძენი, რომ სახლში ვიყავი. სხვა სიტყვა ვერ მიპოვინა. სხვებივით არც შემშინებია, არც გამიოცებია, იქნებ პირიქითაც, შემეძლო ჩემი აზრები გამეზიარებინა თქვენთვის, იქნებ, თქვენთვისაც... მერე ვახშამი იყო, თქვენ ჩემსა და ლედი მელბურნს შორის იჯექით, მაგრამ მხოლოდ მას ელაპარაკებოდით. შემომესმა, როგორ უთხარი: „არა, მადლობა უფალს, ერთი მეგობარიც არა მყავს ამ სამყაროში“. თქვენ არ იცით, იმ წუთში როგორ დანყვიტეთ გული მეგობარს, რომელიც თქვენს გვერდით იჯდა. ამ მწარე სიტყვებმა გამყინა. როცა სახლში დავბრუნდი, ჩემს ოთახში განმარტოებული ავტირდი და ვლოცულობდი, დედამინაზე, ნუგემისმცემელი ისეთივე მეგობარი გეპოვნათ, როგორსაც ზეციურ მეგობართან იპოვნით“.

ბაირონის გული უნდა შეეძრა ასეთ საამო და გულწრფელ წერილს. იქნებ, ერთი წამით შეუძრა კიდეც, მაგრამ... ნიუსტედიდან ლონდონში გამგზავრების წინ, პარკში ერთ ხეზე, ერთმანეთში მჭიდროდ ჩახლართული ორი სახელის ინიციალები ამოჭრა — თავისი და ოგასტასი.

XXII

ქორწილი

ლაურა¹³⁷ პოეტის ცოლი რომ გამხდარიყო, ის /პოეტი. — მთარგ./ მთელს სიცოცხლეს სონეტების წერას არ შესწირავდა.

137. ლაურა — ფრანჩესკო პეტრარკას /1304-1374/ სატრფო.

ბაირონი

მაშ ასე, ის თავისი გამარჯვებით ამაცობდა, მაგრამ სიჭიმში წასვლა მაინც ვერ გაბედა. მიზეზად ჰანსონი სახელდებოდა, კანონის უნდო კაცი, რომელიც მოითხოვდა წინასწარი საქორწინო კონტრაქტის ყველა ფორმა დაცული ყოფილიყო. თუმცა ბაირონი ვალებში იყო, მაინც ანგარიშიან ქორწინებას ეწინააღმდეგებოდა. ცხადია, სასიამოვნო იქნებოდა მის შემოსავალს, რომელიც არ ჰყოფნიდა, რაღაც მიმატებოდა, თანაც პირობები, მას რომ შესთავაზეს, ფრიად დიდსულოვანი გახლდათ. სერ რაფ მელბენკი ოდესღაც ძალიან მდიდარი კაცი ბრძანდებოდა, მაგრამ მთელი ფული თავის არჩევნებს შეაღია. ის თავის ქალიშვილს ათას ფუნტ რენტას აძლევდა მზითვად, საიდანაც სამასი ლედი ბაირონის წვრილმანი ხარჯებისთვის იყო გათვალისწინებული, შვიდასი კი ლორდ ბაირონისთვის იყო განკუთვნილი და შეეძლო სიცოცხლის ბოლომდე ესარგებლა. მომავალში ანაბელა ლორდ უენტვორტისგან მემკვიდრეობად შვიდ თუ რვა ათას ფუნტს მიიღებდა, რომელიც კანონიერად უნდა გაყოფილიყო მასა და ბაირონს შორის. ბაირონი თავის მხრივ, ნიუსტედის ღირებულებიდან, სამოცი ათასი ფუნტის კაპიტალს სთავაზობდა, საიდანაც წლიური შემოსავალი ორი ათას ფუნტს შეადგენდა.

მოლაპარაკების ამ პროცესმა ბაირონსა და მის მეგობრებზე საკმაოდ უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. ჰანსონისა და ჰობჰაუზის აზრით, მილბენკები ძუნწობდნენ. ლედი მელბურნმა განაცხადა, ეს ჰანსონი აუტანელიაო. ბაირონი ცდილობდა ყველა დაერწმუნებინა, მის მილბენკი არაფერ შუაშიაო. რაც შეეხება მას, ვერავინ იტყვის, ცოლი ფულის გულისთვის მოიყვანაო, რადგან ის მცირე თანხა, რაც ქორწინებით უნდა მიეღო, ძალზე უმნიშვნელო იყო იმ ხარჯების ზრდასთან შედარებით, რაც ოჯახისა და ბავშვების შენახვისთვის იყო საჭირო. არა, იმიტომ დაქორწინდა, რომ ეს იყო „გრძნობა“, იმიტომ რომ „მრჩეველი“ სჭირდებოდა, და კიდეც იმიტომ, რომ ზოგჯერ ეგონა, თავისებურად უყვარდა იგი. მაგრამ გულს ისე არაფერი უმძიმებდა, როგორც სიჭიმში გამგზავრების აუცილებლობა, „ჩემი მოხუცი მამისა და ჩემი მოხუცი დედის“ სანახავად და კლასიკური შეყვარებულის როლის ყველა წესების დაცვით თამაში. „ვისურვებდი, დილით გამეღვიძა და დაქორწინებული აღმოვჩენილიყავი“. იქნებ ეს გაუბედაობა

იყო. მომავლის გაუთვითცნობიერებელი შიში, რომელიც წარსულის მსგავსი არ იქნებოდა. მტანჯაველი შიში იმასთან განშორებისა, რაც უკვე იყო. მაგრამ, ალბათ, უფრო გაუბედაობა.

ბაირონი — ლედი მელბურნს: „როგორც კი შევძლებ სიჰემში წასვლას, წავალ, მაგრამ თავს საშინლად ვგრძნობ, როცა ამ მოგზაურობაზე ვფიქრობ: ცხადია, ეს მხოლოდ გაუბედაობაა და სიძულვილი ახალი ადამიანებისადმი, რისი გადალახვაც ვერასოდეს მოვახერხებ“.

ამასობაში კი ლონდონში მშვენიერი შემოდგომა იდგა. ის ბავშვური სიხარულით ტკბებოდა თავისუფალი ცხოვრების ბოლო კვირებით. ოლბენში, განცალკევებულ მშვენიერ სახლში ცხოვრობდა; თითქმის ყოველ საღამოს ახალგაზრდა ბანიერ დაგლას კინიარდთან, ჰობზაუზის დიდ მეგობართან ვახშმობდა. ტომას მურიც იქ დადიოდა, რომელსაც ფორტეპიანოსთან სვამდნენ და ირლანდიურ სიმღერებს ამღერებდნენ. კინიარდს საუცხოო ბრენდი ჰქონდა, ბაირონი რამდენიმე ჭიქას დალევდა და სანტიმენტალური გრძნობები ეუფლებოდა. მური მღეროდა „დაკარგულ მიჯნურზე“. ბაირონი ოცნებობდა, ოგასტა და მერი ჩავორსი ახსენებოდა. მისთვის მუსიკას ისეთი ძალა ჰქონდა, როგორც ნაცნობ სურნელს, რომელსაც წარსულში გადაჰყავდა და ახლანდელი სრულიად ქრებოდა.

საცოდავი მერი, მასზე სამწუხარო ამბავი მოუვიდა: ჭკუაზე შეიშალაო. შეტევა ჰასტინგსში მოუვიდა თურმე, იმავე სახლში, რომელშიც ბაირონი და ოგასტა ცხოვრობდნენ. ლონდონში ჩამოიყვანეს. ამბობდნენ, ძალიან სერიოზულად არის ავად, ალბათ, საავადმყოფოში დაანვენენო... ცოლი-ოფელია? იმ არსების კიდევ ერთი დრამა, რომელიც მას უყვარდა... არა, მართლაც, ბედნიერება ვერავის მოუტანა... მსახიობი კინი მოდიოდა და ყველა ნაცნობ-მეგობარს აჯავრებდა, მართლაც თავმესაქცევი იყო. ოგასტასაც კარგად გამოაჯავრა... ჯექსონიც მოდიოდა, ჯენტლმენი მოკრივე, კუნთებს ათამაშებდა ამოქარგული კოსტიუმის ქვეშ. ბაირონი მასთან იმ ბავშვივით იქცეოდა, რომელსაც თავის მოწონება სურს. გამოჩენილი მოკრივეების გამონათქვამებს იშველიებდა და მათ სტილს ანალიზებდა... კიდევ ერთი ჭიქა ბრენდი... და ბაირონს თვალეში ცრემლი უდგებოდა. კინიარდი და ჰობზაუზი გიჟებივით იცინოდნენ. გვიან ღამით მურს ისევ ფორტეპიანოსთან სვამდნენ და ისიც მღეროდა სიბრძნის უძლურე-

ბაზე.

დიახ, ბედშავი სიბრძნე უძლური აღმოჩნდა, როგორც ყოველთვის... ღრმა აზრი იდო მურის მიერ ნახევარად ხუმრობით ნამღერ სიტყვებში. და აი, იგი, ჯორჯ გორდონ ბაირონი, ბოროტი ლორდი, მალე შეიკრავს ხელ-ფეხს ამ სიბრძნით... ნეტავ თუ გრძნობდა, რომ სხვა ადამიანი უნდა გამხდარიყო? არა, მაგრამ შიში კი ჩაუსახლდა, რომ ეს ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებოდა.

ბოლოს, ნოემბრის დასაწყისში, სიჰემში ჩასვლა გადაწყვიტა. პატარა ადგილი ზღვის სანაპიროზე; მეთევზეთა რამდენიმე ქოხი; კლდოვანი ნაპირები. მილბენკები ზღვის ახალი ცხოვრობდნენ. როცა ბაირონის ეტლი მილბენკების კარებს მიუახლოვდა, ანაბელა თავის ოთახში იჯდა და კითხულობდა; დაბლა ჩავიდა და სასტუმრო ოთახში ბუხართან მდგარი ბაირონი დაინახა. ის მარტო იყო. ქალმა ხელი გაუნოდა, ბაირონმა ხელი ტუჩებთან მიიტანა და აკოცა. ორივე დუმდა. ბოლოს, ბაირონმა ძალიან ჩუმად თქვა:

„— დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს“.

ქალმა ჩაიჩურჩულა, წავალ და მშობლებს შევატყობინებო, და გავიდა.

სიჰემში ოჯახურმა ცხოვრებამ ბაირონში მაშინვე გამოაღვიძა მასში ძლიერად განვითარებული დამცინავი გრძნობა. ეს სამი ადამიანი ბუნებრივად, გულითადად და ალერსიანად იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ პატარა წრის ბედნიერება და უბრალოება ხშირად სხვებისთვის მიუწვდომელია ხოლმე. ბაირონის იუმორი, სვიფტის იუმორს რომ ჰგავდა უფრო, ვიდრე ვეკფილდელი ვიკარიუსის გულკეთილ იუმორს, სულ სხვანაირი იყო, ვიდრე მილბენკებისა. ბაირონი დასცინოდა რელიგიას, პოლიტიკას, ადამიანთა სისულელებსა და მათ მანკიერებებს. მილბენკი კი გულუბრყვილო ანეკდოტებს იგონებდა. სერ რალფმა როგორღაც მაინც მოახერხა თავისი სიძის კეთილგანწყობილების მოპოვება. ანაბელას მამა მოსაწყენი კაცი იყო, ყვებოდა დაუსრულებელ ისტორიებს, მაგრამ უზადო ჯენტლმენად ეჭირა თავი და კარგად ასრულებდა სიმამრის ტრადიციულ როლს. აი, ლედი მილბენკი კი ბაირონს არასოდეს მოსწონდა. ოჯახურ წრეში რომ მოტრიალდა, აღმოაჩინა, რომ მასთან ცხოვრება აუტანელი იყო, რადგან ფიცხი და დესპოტი ადამიანი ბრძანდებოდა; ვერ იტანდა თავის მულს, ლედი მელბურნს; უყვარდა სხვის საქმეებში ჩარევა; უნდოდა ებატონა ქალიშვილზე და ქმარზე, რომლებიც ხშირად ერთიანდ-

ბოდნენ მის წინააღმდეგ.

მაგრამ თვით ანაბელამაც იმედი გაუცრუა ბაირონს. დაინახა თუ არა, მიხვდა, რომ შეცდა. როცა ქალები მისგან შორს იყვნენ, გამონაგონის საბურველში ახვევდა მათ. როცა მათ აღარ ხვდებოდა, ისინი მშვიდად განისვენებდნენ მის მიძინებულ ღმერთქალთა მუზეუმში — ბაირონის წარმოსახვაში; მაგრამ მათ თუ ცხოვრებაში არაადამიანური როლის თამაში მოუწევდათ, ის ცხოვრება, რომელსაც ბაირონი გამოუყოფდათ, მათთვის მუდამ კრახით მთავრდებოდა. ანაბელასგან, უფალმა იცის რატომ, ელოდა, რომ ის მარტო მომხიბლავი ქალი კი არ იქნებოდა, არამედ ძლიერიც, რომელიც მას აიძულებდა შეეყვარებინა იგი და უნარი ექნებოდა ემართა იგი. არაერთ პოეტს უოცნებია ასეთ მეგობარ ქალზე, რომელშიც შერწყმული იქნებოდა მიჯნურის მომხიბვლელობა მეგობრის სიბრძნესთან. მაგრამ, როცა ქალი შეეყვარებულა, მისთვის შეეყვარებულის ყველა სისუსტეა დამახასიათებელი. აი, ამის გაგება ბაირონმა ვერ შეძლო, განსაკუთრებით კი როცა საქმე ანაბელას შეეხო.

ჩუმი, საშინლად ჩუმი, პატარა ქალი, ქორფა, არც ისე ლამაზი, მუდამ ცნობისმოყვარე თვალით შესცქეროდა მას, რაც ბაირონს საშინელ უხერხულობაში აგდებდა. ანაბელა ცდილობდა მასში დაენახა გენიოსისა და მაღალი ზნეობის ადამიანის სახე. ბაირონი ამას გრძნობდა და ესეც აგდებდა უხერხულ მდგომარეობაში. გარდა ამისა, ეს გამოხედვა მეტისმეტად ღრმააზროვანი იყო; ქალი აანალიზებდა ყველაფერს, რასაც ბაირონი ამბობდა. ბაირონი კი ყოველგვარ სისულელეს ლაპარაკობდა, ყველაფერს, რაც თავში მოუვიდოდა, „ისე, უბრალოდ, თუნდაც იმიტომ, რომ მთქნარება დაეძლია“. მისი გამაღიზიანებელი გამოხდომებისგან, რომლებითაც ლედი ოქსფორდი კარგად ერთობოდა, ხოლო ოგასტა არასდროს უსმენდა, ანაბელა დასკვნებს აკეთებდა. ტონის უმცირესი ცვლილებაც კი მის გამოთვლებში მათემატიკური სიზუსტით აისახებოდა. სიყვარულს განტოლებად აქცევდა. ზოგჯერ მათი ხასიათები უჩვეულოდ ერთხვევოდა ერთმანეთს, ზოგჯერ კი განსხვავდებოდა. ქალი მას ათას მომხიბვლელ თვისებას ანიჭებდა. ზოგჯერ ჩიოდა, ეჭვი მიჰყოლობს; ნიშნობის ჩაშლა უნდოდა; ამას ისიც ემატებოდა, ყოველ სამ დღეში ავად იყო და არავინ იცოდა, რატომ. ბაირონი ცივი გონებით, უსიყვარულოდ აკვირდებოდა და „ფრიად ღირსეულ პიროვნებად“ აღიარებ-

და, ოღონდ მოუსვენარ, მშფოთვარე არსებად მიაჩნდა, რომელსაც მუდმივად უნდა დაეტანჯა საკუთარი თავი და /რასაც ქალებში საერთოდ ვერ იტანდა/ ფანტაზიური იყო. ბაირონი მუდამ ამბობდა: „ქორნინებაში მეგობარს ვეძებ, ამხანაგს და არა სანტიმენტს“. ამ სახლში დილიდან საღამომდე სიყვარულზე ლაპარაკობდნენ და ბაირონს ეგონა, რომ კაროლინა ლემის დრო დაუბრუნდა. რამდენიმე დღე იმასაც ფიქრობდა, რომ ეს ქორნინება არასდროს შედგებოდა.

ოდესღაც თავის გამოცდილ მეგობარ ქალთან ერთად სიცოლით მსჯელობდა, როგორც ისინი ეძახდნენ, „დამამშვიდებელ მეთოდზე“, ერთადერთზე, როგორც ლორდ მელბურნს მიაჩნდა, რომელსაც მუდამ წარმატება აქვს ქალებში, და რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ სიტყვები, ყესტები, არგუმენტები შეეცვალათ ალერსით, ხოლო პასუხები კოცნით. „ჩვენში დარჩეს და, ეს მართლაც თავშესაქცევია; ამ გაგებით ანაბელა ბავშვივით არის, ალერსით ძალიან ადვილია მისი დაყოლიება და კარგ ხასიათზე დაყენება“. ფიცხი გრძნობა უფრო ძლიერად გამოამჟღავნა, ვიდრე მამიდამის წარმოედგინა. ჯერჯერობით ბაირონი ამაზე მხოლოდ მინიშნებებით ალაპარაკდა: „დაკვირვებები შესაძლებლობას მაძლევს ამას მივხვდე. მას ანგარიშის განვეის უნარი არ აქვას, მეც არა მქონდა ამისი უნარი, მსგავსი სიტუაციების გულმოდგინედ შესწავლის ჩვევა რომ არ შემეძინა, უმნიშვნელო მონაცემების საფუძველზე; ცხადია, ჩემს აღმოჩენას მას არ ვუმხელ“.

მაღე სრულიად ცხადი გახდა, რომ „დამამშვიდებელმა მეთოდმა“ ანაბელაზე კარგი ზემოქმედება მოახდინა, რამაც იქამდე მიიყვანა, რომ უფრო მეტად შეეყვარა ბაირონი. საზოგადოება და ლედი მელბურნი შეცდნენ, როცა ანაბელა ცივ ადამიანად მიიჩნიეს, მხოლოდ იმიტომ, რომ უმანკო ქალი იყო. ცივი ქალები კი ის ქალები არიან, რომლებიც სიყვარულს თამაშად აქცევენ. ანაბელა, რომელიც მთელი სიყმანვილე სიყვარულს ელოდა, დარწმუნდა, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიიღო იგი, თავი აღარც შეუკავებია და სულითა და ხორცილთაც დანებდა.

ბაირონის გამგზავრების შემდეგ მისთვის გაგზავნილი წერილი თვინიერებითა და გრძნობებით იყო სავსე:

„ჩემო ძვირფასო, თუ სინანულის გრძნობამ შემიპყრო, თქვენ ამას ვერ გაიგებთ. თუ ეს დაშორება ბოლოა, იმედი მაქვს, იმ შეშფოთებას დააცხრობს, რაც

თქვენში ჩემმა, ზოგჯერ, შენუხებულმა სახემ გამოიწვია და მით უკეთესი... ახლა ბოლომდე დარწმუნებული ხართ რომ მიყვარხართ? რატომ გეპარებოდათ ეჭვი? ეს თქვენი ერთადერთი ცოდვაა. რაც შეეხება ჩემსას, არ ღირს ბევრი ვიფიქრო მათზე. ძალიან მინდა ცოლ-ქმარი ვიყოთ, მაშინ ათასი წვრილმანის გამო, რომლებიც თქვენთვის სულერთია, საკუთარ თავთან აღარ ვიჩხუბებდი. იმედი მაქვს, გაკვეთილს ჩამიტარებთ. მე კი მას ვისწავლი ცონ ამორე¹³⁸. გინდათ გულში ჩამისვით, გულში, რომელიც ჩემთვის თავშესაფრად იქცევა მანამდე, ვიდრე სიკვდილი ერთმანეთს არ დაგვაშორებს?... ნუ გამაგდებთ იქიდან, დასჯილი ვარ, როგორც მემუქრებოდით. მარად შენი“.

და მეორე დღეს:

„ჩემო ბაირონო, ვიდრე ჩვენთან სტუმრობდი, ჩემს თავს არ ვგავდი. მანამდე ნუ განმსჯით, ვიდრე ჩემს ნამდვილ მე-ს არ ნახავთ. ჩემი ნამდვილი მე სულაც არ არის ის სერიოზული, დიდაქტიკური, ნაღვლიანი არსება, როგორც შეიძლებოდა მოგჩვენებოდით. ასეთი მხოლოდ მაშინ ვარ, როცა რაღაც ძალიან მაშფოთებს. ვინც მე მიცნობს, უფრო მეტი მიზეზი აქვს ჩემს უგნურობაზე ლაპარაკისა, ვიდრე ჩემს ჯანსაღ აზრებზე...“.

საცოდავი სიბრძნე, როგორც მური მღეროდა; საცოდავი სიბრძნე, იმის მაგივრად, რომ ვინმე მოაჯადოვოს და ალაგზნოს, მუდამ ცდილობს უგუნურობის ნიღბის აფარებას, რომელიც სულაც არ უხდება. ანაბელა, შეყვარებული უმანკო ქალი ასე აწერდა წერილს: „შენი ცოლი“. პასუხი ოგასტას სახლიდან მოუვიდა ასეთი ხელმოწერით: „თქვენი ერთგული ბაირონი“. ის ანაბელას ეკითხებოდა წერილში, ვიდრე გვიან არ არის, მტკიცედ გადაწყვიტე, რომ არაფერს ინანებო.

„ძალზე ბედნიერი ვიქნები, — უპასუხა ქალმა, — უკან დაბრუნება არ იქნება. მიყვარხარ, მწყურინხარ, სულ უფრო და უფრო მეტად, ჩემო ბაირონო. ჩემი ნდობა დაგიბრუნდათ, და მინდა არასოდეს ჩაქრეს“.

დაე, ასე იყოს. წილი ნაყარია. ანაბელას სიკვდილი სურდა. ბაირონი აღუთქვამდა. ჩრედე ირონ.

განშორებისას ბაირონმა უთხრა, ეს განშორება ხანმოკლე იქნებაო, მაგრამ კვირა გავიდა, მეორეც, ბაირონი კი არ ჩანდა. ლონდონში ცხოვრობდა, კინიარდთან ბრენდის მიირთმევდა. არანაირი საბაბი არ ჰქონდა.

138. სიყვარულით /იტალ./

ამოდ სწერდა ანაბელა, მამა ეპითალამას¹³⁹ თხზავსო, რომ ყველა ნათესავმა საჩუქარი გამოგზავნა, კაროლინამაც კი /„თიმეო ანაოს ეტ დონა ფერენტეს“¹⁴⁰. — უპასუხა ბაირონმა/, რომ საქორწინო ღვეზელი უკვე გამოაცხვეს, რომ ყველაფერი მზად არის ზეიმისთვის, და თუ საქმრო არ გამოჩნდება, მაშინ მისი როლის გაუქმება მოუწევთ, როგორც დანიელი პრინცის როლისა „ჰამლეტში“... ამოდ იჩენდა უჩვეულო გაბედულობას, წერდა, მე თვითონ ჩამოვალ ლონდონში, თუკი შენი ჩამოუსვლელია ასე გაგრძელდებაო. ხუმრობით იყო ნათქვამი, თორემ შიგ სერიოზული მუქარაც იგრძნობოდა... გაგიჟებით უნდოდა მისი ნახვა. მისი წერილები უკვე აღარ იყო ყოვლად ბრძნული სიკეთით აღსავსე, მგზნებარე წერილები. ეგ იყო მხოლოდ, რომ განუწყვეტილად უმეორებდა: „მიყვარხართ...“. „თუ ჩვენთან ყოფნისას, ზოგჯერ გეჩვენათ, რომ მსოფლიოში ყველაზე ჩუმი ქალი ვარ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა არაფერზე შემეძლო ფიქრი...“.

ქორწინება გადადო, იმ მიზეზით, რომ ჰანსონმა ნიუსტედის მყიდველი ვერ იპოვა. აბა, როგორ დაქორწინდებოდა, როცა საკმაო შემოსავალი არ ჰქონდა. მისის მიღბენკმა გააპროტესტა; მისთვის სულერთი იყო, შეეძლოთ მოკრძალებულად ეცხოვრათ, რისთვისაც დიდი კაპიტალი არ დასჭირდებოდათ. დაე, ბაირონი ჩამოვიდეს. მის მშობლებს უკვე ეჩვენებოდათ, რომ საქმრო აღარ ჩქარობდა. სერ რალფი განუწყვეტილად ქალიშვილის ოთახში შედიოდა, და თავისი ეპითალამასთვის რითმებს ეკითხებოდა. „მამაჩემი ამბობს: „ნამი ისწრაფის, ვიდრე იგი არ დაბრუნდება“. დედაჩემი კი ორმაგი მონდომებით შეუდგა კერვას, როცა შაბათ დღეზე მომწერეთ. ჩემო ძვირფასო, თქვენ და ბედნიერება ერთად დამიბრუნდებით...“. „რაც შეეხება ბედნიერებას, — უპასუხა ბაირონმა თავისი სამინელი წინდახედულობით, — უკიდურესი თავდაჯერებულობა იქნებოდა, თუ წინასწარ იქნებოდათ დარწმუნებული უწყვეტ ნეტარებაში, რადგან იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანებზე, არამედ მდგომარეობაზეც...“. ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე, კიდევ ერთხელ სთხოვა, კარ-

139. ანტიკურ პოეზიასა და მუსიკაში თავისუფალი ლექსი, სიმღერა, რომელიც საქორწინო ცერემონიაზე სრულდება.

140. „დანაელების მეშინია, შეწირულების მომტანებისაც“. ვერგილიუსის „ენეიდადან“.

გად იფიქრო. ბოლოს, 23 ნოემბერს: „ძვირფასო ანაბელა, თუ ერთმანეთს შევხვდებით, მხოლოდ იმიტომღა, რომ ვიქორწინოთ... თუ საჭიროა უარის თქმა, მაშინ უკეთესია შორიდან ითქვას უარი“. იქნებ ამ მერყეობაში მტანჯავი სიბრაღულიც იყო და შიში ოგასტას და კარგვისა, რომელიც ერთმანეთთან დაუკავშირებელ, უამრავი ჯვრებით სავსე, ნაზი წერილების გამოგზავნას აგრძელებდა.

ბაირონმა ჰობჰაუზს სთხოვა, ჩემი მონმე იყავი და ჩვენთან ერთად წამოდიო. გამგზავრების წინ, ქორწინების უფლების მისაღებად, ერთად წავიდნენ. კაცს, რომელმაც საბუთი მისცა, ბაირონმა ჰკითხა:

„— მითხარით, სერ, რამდენი პროცენტი მოდის თქვენთან ჯერ დასაქორწინებლად, მერე კი განსაქორწინებლად?“.

შეთანხმდნენ, რომ მოგზაურობას ორ დღეს მოანდომებდნენ, მაგრამ საქმრო ყველა მიზეზით სარგებლობდა დროის გასაწელად. სიქს-მაილ-ბოტომთან გავლისას, ერთი დღე ოგასტასთან გაჩერება გადაწყვიტა. ოგასტასთან მარტო უნდოდა ყოფნა და ჰობჰაუზი ნიუ-მარკეტში გაგზავნა. შობის პირველი დღე დასთან გაატარა და იქიდან გაგზავნა ბოლო წერილი სიქემში. „მამ ასე, ჩემი მოგზაურობის ამ გაჩერებამდე მოვედი და ისეთი გახურებული ვარ, როგორიც შეიძლება იყოს შეყვარებული ადამიანი, როცა თერმომეტრი, უფალმა იცოდეს, რა გრადუსს ქვევით აჩვენებს. ქორწინების უფლება მომაქვს. უცნაური ნაწარმოები კია, მაგრამ იგი უფლებას გვაძლევს სახლში ვიქორწინოთ. გთხოვთ, ასე გავაკეთოთ. დარწმუნებული ვარ, სურდო შეგვეყრება, თუ სადმე სხვაგან მოვიდრეკთ მუხლს... ოგასტა ძალიან კარგად გამოიყურება. გისურვებ მხიარულებას. დღეს შობაა!“.

აქედან ბაირონი და ჰობჰაუზი 26-ში გავიდნენ და სიქემში ოთხი დღე მოუნდნენ ჩასვლას. „საქმრო უფრო და უფრო ნაკლებად ჩქარობს“, — ამბობდა ჰობჰაუზი. მათმა დაგვიანებამ მთელი სახლი შეაშინა. ლედი მილბენკი მღელვარებისგან ავად გახდა და სანოლში ჩანვა. როცა ისინი სახლში შევიდნენ, ანაბელა ატირდა. შემცბარი ჰობჰაუზი თავის გასამართლებელ მიზეზს ეძებდა. თავის გასამართლებლად არანაირი მიზეზი არ არსებობდა, გარდა თანამგზავრის ზოზინისა. ყურადღება სხვა რამეზე რომ გადაეტანა და აუტანელი სიჩუმე დაერღვია, თავისი საჩუქარი გახსნა. ყვითელ ტარსიკონის გადასაკრავიანი ბაირონის ნაწარმოებ-

ბის კრებული აღმოჩნდა. ის ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა საპატარძლოს. „არც ისე ლამაზია, — ფიქრობდა, — საკმაოდ უგემოვნოდ აცვია; კაბა მეტისმეტად გრძელია, თუმცა ფეხები კარგი აქვს“. ქალი უჩვეულოდ დუმდა, მოკრძალებული და გონიერი ჩანდა. შესამჩნევი იყო, რომ ბაირონი უყვარდა; თვალმოუშორებლად, ალტაცებული შესცქეროდა და ლაპარაკის უნარი წართმეოდა. რადგან ლედი მილბენკმა სადილად გამოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ მხოლოდ სერ რალფი ლაპარაკობდა. ჰობჰაუზმა აღმოაჩინა, რომ იგი ცოტა ყბედი კაცი იყო, მაგრამ კეთილი და იუმორის გრძნობაც არ აკლდა. მაგიდასთან კიდევ ორი მღვდელი იჯდა — მისტერ უელისი, სიქემის მრევლის მოძღვარი და ლირსი მამა ტომას ნოელი, კირკბი მელორის სამრევლოდან.

რელიგიურ თემებზე დაინყეს საუბარი. სერ რალფმა რალაც გრძელი ისტორია წამოიწყო დურჰემელ ეპისკოპოსზე, თავისი სნობიზმით რომ ყოფილა ცნობილი. მერე ძალიან დიდხანს ილაპარაკა კენტერბერიელ ეპისკოპოსზე. ჰობჰაუზი და ბაირონი ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე. როცა წამოიშალნენ, ბაირონმა თავის მეგობარს უთხრა: „გამახსედა, ერთხელ სადილობისას, ლედი კაროლინა ლემმა, როგორ ჰკითხა ჯორჯ ლემს: „ჯორჯ, რომელია მეშვიდე მცნება?“ ჯორჯმა უპასუხა: „არა იცმუკო“.

მეორე დღეს, 31 დეკემბერს, ჰობჰაუზი დილით პირველი ადგა და სანაპიროზე გაისეირნა. ზამთრის კარგი, ნათელი დღე იდგა. ის ნალვლიანად გაჰყურებდა ტალღებს. ჰობჰაუზი ამ ქორწინებიდან კარგს არაფერს ელოდა, თუმცა ანაბელა ახლა უფრო სიმპათიური ეჩვენა; მთელი საღამო აკვირდებოდა, ამის შემდეგ ეგონა, რომ ანაბელას შეყვარება ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისდამი კეთილი გრძნობებით განწყობა მაინც შეიძლებოდა. საღამოს მამაკაცებმა საქორწინო ცერემონიის სასაცილო რეპეტიცია ჩაატარეს. ჰობჰაუზი მის მილბენკს განსახიერებდა, უელისი — სერ რალფს, ნოელი საქორწინო წესს აყენებდა. დაახლოებით ღამის თორმეტ საათზე ზღვის სანახავად გამოვიდნენ, მერე ერთმანეთს ახალი წელი მიულოცეს. საღამომ ძალიან მხიარულად ჩაიარა.

1 იანვარს, ბაირონმა და ჰობჰაუზმა სანაპიროზე ერთად ისეირნეს. დღე სევდიანი იყო და დრო უსაშველოდ გაიწელა. საღამოს, სადილის შემდეგ ბაირონმა თქვა:

„— ჰობჰაუზ, ეს ჩემი ბოლო ღამეა, ხვალ

უკვე ანაბელას საკუთრება გავხდები“.

მეორე დილას, 2 იანვარს, გამოვლიძე-ბულმა ბაირონმა ფლექჩერის მიერ მომზადებული საქორწინო ტანსაცმელი დაინახა და ცუდ გუნებაზე დადგა. სასაუზმოდ ჩასულმა ბაირონმა საეკლესიო სამოსელში გამონყოფილი ნოელი და ლედი მილბენკი დაინახა. ლედი მილბენკი ისე ლელავდა, რომ მათთვის ჩაის დასხმა ვერ მოახერხა, რადგან ხელები უცახცახებდა. ერთი წამის მერე ჰობზაუზიც გამოჩნდა თეთრი ხელთათმანებით. დარბაზში მსახური გოგოები იატაკზე ბალიშებს აწყობდნენ. წინ ორი ბალიში ერთმანეთის გვერდით დადეს — საქმროსი და საცოლისა. ბაირონი ბაღში სასაღვრად გავიდა, სიტყვა დატოვა, როცა ყველაფერი მზად იქნება, დამიძახეთო. ბოლოს ანაბელა გამოჩნდა, თეთრი მუსლინის, ძალზე მოკრძალებული, კაბა ეცვა, არც თმაზე ეკეთა რაიმე სამკაული. მას გადია მისის კლერმონტი მოჰყვებოდა. ბაირონის დასაძახებლად კაცი გაუშვეს. ის შემოვიდა და საპატარძლოს გვერდით ჩაიჩოქა. ბალიში მაგარი გამოდგა და შუბლი შეიჭმუნხა, რამაც ყურადღებანიასა და ღვთისმოსავის იერი მიანიჭა. ღირსი მამა ტომას ნოელი ლოცვანს კითხულობდა. ანაბელა მშვიდად იყო, თავი ბაირონისკენ მიებრუნებინა და დაჟინებით შეჰყურებდა.

ბაირონს არც არაფერი დაუნახავს და არც არაფერი გაუგია. თვალწინ თითქოს რალაც ბურუსი ედგა. ახსენდებოდა /უფალმა იცის რატომ/ მერი ჩავორსთან გამოთხოვების სცენა. ხედავდა ენსლში ოთახს, გრძელ ტერასას, შორეულ მდელოსა და მშვენიერ სახეს, რომელიც ახლა შეშლილის თრთოლვით იყო დამახინჯებული. მოგონებებიდან ხმამალაღმა სიტყვებმა გამოიყვანა, რომელიც უნდა გაემორებინა: „და მინიერ სიკეთეს გავინანილებ შენთან“. და ჰობზაუზს გადახედა შეუმჩნეველი ღიმილით. სიჰემის პატარა ეკლესიაში ზარმა ჩამოჰკრა. ბაღში თოფიდან რამდენჯერმე ისროლეს. ღირსი მამა ტომას ნოელი გაჩუმდა. ვილაციის ხმები ბაირონს ულოცავდნენ, ხელს ართმევდნენ — ბაირონი მიხვდა, რომ ცოლიანი იყო უკვე. ახალგაზრდა ლედი ბაირონი ერთი წამით გაქრა, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა; თეთრი ბენვით განყოფილი გრძელი ნაცრისფერი მოსასხამით გამოეცხადათ. სერ რალფს წითელი სიფათი მღელვარებისგან დამახინჯებოდა; ლედი მილბენკს თვალეები ცრემლით ავსებოდა. ჰობზაუზმა თავისი მოვალეობა ბოლომდე შეასრულა და ახალდაქორწინებული ქალი ეტლში ჩას-

ვა.

„— გისურვებთ მრავალი წლის ბედნიერებას, — უთხრა ჰობზაუზმა.

— თუ ბედნიერი არ ვიქნები, — უპასუხა ქალმა, — ჩემი ბრალი იქნება“.

მერე ბაირონი მიუჯდა გვერდით და ჰობზაუზს მაგრად ჩამოართვა ხელი. ლაქიამ კარეტის კარი მიხურა. ბაირონს ეგონა, არ შეეძლო თავისი ერთგული მეგობრის ხელის გაშვება. კარეტის ფანჯრიდან ისევ სტაცა ხელი, ცხენები დაიძრნენ და ისევ მისი ხელი ეჭირა. დასევდიანებული ჰობზაუზი ანაბელას მშობლებთან დარჩა. ლედი მილბენკმა ჰკითხა, ხომ ღირსეულად მეჭირა თავი, მაშინ, როცა სინამდვილეში, თავი იფიგენიას დედა¹⁴¹ მეგონაო.

„— მე კი, — თქვა ჰობზაუზმა, — მომეჩვენა, რომ მეგობარი დავმარხე“.

XXIII

თაფლობის თვე¹⁴²

ახლა ჯერ კიდევ არ შემიძლია განსაზღვრო, რა დონის აქტიორი იყო.

ლედი ბაირონი

ეტლი ელნებიში მიდიოდა, იმ მამულში, სერ რალფმა ახალდაქორწინებულებს რომ დაუთმო თაფლობის თვის გასატარებლად, თან შეყვარებული, შეფიქრიანებული ქალი მიჰყავდა და განერვიულებული, სასონარკვეთილი კაცი. ოჰ, რატომ მოიყვანა ცოლი? ოგასტა რომ გადაერჩინა? ეს მითქმა-მოთქმა რომ დამთავრებულიყო? სიამაყე რომ დაეკმაყოფილებინა? ახლა მთელი ცხოვრება ამ სერიოზულ და უგერგილო, უცნობ ქალს უნდა უყუროს, რომელიც უკვე

141. იფიგენიას დედა — კლიტემნესტრა. იფიგენია დაბადებისთანავე შესწირეს მსხვერპლად ღმერთქალს /არტემიდეს/.

142. ამ თავში მოთხრობილი ამბები, ბუნებრივია, ლედი ბაირონის ჩვენებებს ემყარება. ისინი არ გამოქვეყნებულა, გამონაკლისია ზოგიერთი ნაწყვეტი, რომელიც მის მეინმა გამოსცა. ამაღლელებელი საბუთებია და, როგორც ჩანს, სიმართლეს შეიცავს. იქიდან ბევრი ამონარიდი მომყავს, განსაკუთრებით ის, რაც ბაირონის რწმენას ეხება. ჩვენს წინაშეა ის საშინელი შთაბეჭდილებები, რომელიც თავისი ცხოვრების ამ პერიოდზე შემოინახა ლედი ბაირონმა. ჰობზაუზი, რომელსაც ძნელია დასწამო ლედი ბაირონი უყვარდაო, ირწმუნება, ქალი მუდამ შიშით ლაპარაკობდა ელნებიში სტუმრობაზეო. /ავტორი/.

უთვალთვალებს და კრიტიკულად აფასებს. რაღაც გიჟურმა სიძულვილმა მოუარა. სიმღერა წამოიწყო, ველური სიმღერა, ეს მაშინ ემართებოდა, როცა უბედურად გრძნობდა თავს.

ქალაქი დურგემი გაიარეს. ეკლესიის ზარები რეკდა.

„— ჩვენი ბედნიერებისათვის! უნდა ვიგულისხმოთ. — სარკასტულად შენიშნა ბაირონმა“.

მინდვრები და ტყეები თოვლით იყო დაფარული. ბაირონი ალაპარაკდა; თქვა, ეს ქორწინება ჩემთვის მხოლოდ სამაგიეროს გადახდააო. ახალი მითი მოიგონა და თავით გადაეშვა მასში, რადგან დაბნეული იყო და არ იცოდა, რა ექნა. თანაც მას მუდამ სჭირდებოდა საკუთარ თავში რომანის გმირი დაენახა. ცოლქმრობამ მიაჯაჭვა იგი, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც, ერთადერთ ქალს. დაე, ასე იყოს. დრამა ზუსტად მათ შორის გათამაშდება.

მართალი არ იყო ბაირონი, როცა ამბობდა, შურისძიების გამო ვიქორწინეო. როცა პირველად სთხოვა ხელი, მაშინ სულ სხვა მითი ჰქონდა. უნდოდა ბედნიერება ეპოვა იმაში, რომ ქალს მინდობოდა და მისი მართვის შესაძლებლობა მიეცა. ანაბელას არ შეეძლო ასეთი ქალი ყოფილიყო, ამიტომ ახლა მისთვის მსხვერპლის როლი გამოყო. შურისძიების იდეა, ნელ-ნელა ჯერ კიდევ პირველი უარის თქმის შემდეგ გამოეკვეთა და არცთუ ცუდი სიუჟეტი იყო ბაირონული ვნებებისა. მოსწონდა ალი ფაშაზე ერთი ნაამბობი, რომელსაც და მოსტაცეს, ორმოცდაროი წლის შემდეგ დაიჭირა ის კაცი და დასაჯა. ჩრედე ირონ. ბაირონები არასოდეს არაფერს იფიქრებენ. ასე ფანტაზიორობდა და საკუთარ თავს აღიზიანებდა.

„ოო, თქვენს წარმოსახვაში რა მოტყუებული ხართ! როგორ მოხდა, რომ თქვენ-ნაირმა გონიერმა ქალმა ჩემი ხელახლა აღზრდის უაზრო იდეა შექმნა!.. იყო დრო, როცა ჩემი გადარჩენა შეეგძლოთ, მაგრამ ახლა უკვე გვიანია... თქვენ რომ — ჩემი ცოლი ხართ, საკმარისია იმისთვის, რომ მძულდეთ. როცა პირველად ხელი გთხოვეთ, ყველაფერი თქვენს განკარგულებაში იყო. ახლა დარწმუნდებით, რომ დემონის ცოლი გახდით“. როცა ბაირონმა დაინახა, რომ ქალს მართლა შეეშინდა, ისე ბუნებრივად გადაიხარხარა, ანაბელამ იფიქრა, ხუმრობსო. ქალის სიმამაცე, ავტორიტეტი, რითაც ახლობლები აფასებდნენ, დამორჩილებას იწყებდა. ანაბელა საკუთარ თავს ეკითხებოდა, ბაირონი ნეტავ კიდევ რამდენ ხანს

მომექცევა ასეო. „მანამდე, — უპასუხებდა ჰობზაუზი, მისთვის რჩევა რომ ეკითხა, — ვიდრე ამაზე ყურადღება გექნება გამახვილებული“-ო. მისმა საქმიანობამ, უზრუნველმა ცხოვრებამ, განებივრებული გოგონას წარმატებებმა, საკუთარი თავის სახიფათო თავდაჯერებულობამ ანაბელა როდი შეამზადა იმისთვის, რომ ბაირონისთვის გაეგო და დაემშვიდებინა.

სალამოს ეტლი ელნების მიუახლოვდა. ღამე. თოვლი. სიცარიელე, რომელიც ავბედითად ჩანდა. ანაბელა ეტლიდან იმედგაცრუებულის სახით გადმოვიდა. სადილობისას ბაირონმა უთხრა:

„— ახლა ჩემს განკარგულებაში ხართ და ამას ვაგრძნობინებთ კიდევ.“

ვილიამ ლემზე ალაპარაკდა მერე:

— კაროლინა ლემი წყლის წვეთია, რომელიც განუწყვეტლივ ეცემა მისი ქმრის გულს. ეს კლავს ადამიანს და ქვად აქცევს. — და ნარბშეკრულმა საშინელი თვალით გამოხედა: — თქვენ ნახავთ, რომ თანამეცხედრედ ასეთივე ადამიანი აირჩიეთ“.

მან ამ თვეს „ჩვენი თავლობის თვე“ უწოდა, — და ეს მუხთალი თვე, ჯერ არასოდეს ყოფილა ასე ნათელი და იმავ დროს ასე დამალული ღრუბლებში. ბაირონი ყველაზე საზარელი, ამავე დროს ყველაზე მგზნებარე ქმარი იყო ქმართა შორის. წამის გაელვებაში მისი პირქუში განწყობილება იფანტებოდა დილის ბურუსივით და მაშინ საუბარი უბრალო და მხიარული ხდებოდა; ცოლს აიძულებდა ათასგვარი ბავშვური სისულელები ეთქვა; იპჰინ-ს ეძახდა, მის უმფოთველობას დასცინოდა. ასეთი მცირე შესვენებები უფრო და უფრო ტკბილი ხდებოდა ანაბელასთვის, რადგან დიდი იშვიათობა იყო: „როგორც წყარო უდაბნოში“, — ამბობდა მერე. შენიშნავდა თუ არა, რომ რომელიღაც წინადადება ოდნავ ხმა ანეულად ისმოდა, ეგონა, ქალი ისევ „ქადაგებასა და სანტიმენტში“ ვარდებოდა და მაშინვე უხეშდებოდა. საკუთარი მრისხანებით გალიზიანებული, თავშეკავების უნარმოკლებული, ქალს შეუბრალებელი გულლიობით ყველაფერს ეუბნებოდა. ანაბელა ოცდაორი წლისა იყო და ცხოვრებისა არაფერი გაეგებოდა; რაც ახლა ესმოდა, ის ძლიერ განსხვავდებოდა იმისგან, რაც წარმოედგინა.

მის გვერდით მიუწვდომელი და ამავე დროს გულუბრყვილო არსება იყო; ისეთი ავადმყოფური წარმოდგენებით, ისეთი მორალური და ფიზიკური ეგოიზმით განმსჭვალული, რომ ძნელია დაჯერება. დაუსრულებლად შეეძლო ელაპარაკა თავის ჯანმრთე-

ლობაზე, ჩამოცვენით თმაზე, დაზიანებულ კბილზე. მისი პატივმოყვარეობა უკიდურესად მგრძობიარე იყო ყველაფრისადმი, რაც მის ფიზიკურ ნაკლთან იყო დაკავშირებული. პირველ დღეებში ამ თემებზე ბაირონს მისთვის არაფერი უთქვამს, ქალმა თვითონ წამოუწყო ლაპარაკი, უნდოდა ისიც გაეთავისუფლებინა და საკუთარი თავიც უხერხული მდგომარეობიდან. ერაზმ დარვინის სტატია ჰქონდა წაკითხული, სადაც დარვინი წერდა — შეიძლება ავადმყოფმა შვება იგრძნოს, თუ თავის ავადმყოფობაზე თავისუფლად ილაპარაკებსო. მართლაც, ამ დღიდან მოყოლებული ბაირონი თავის ნაკლზე მუდამ თავშეკავებული დაცინვით ელაპარაკებოდა — „ჩემი პანია ფეხი“. როცა სეირნობდა და ვინმეს ფეხის ხმა შემოესმებოდა, ჩერდებოდა, უმოძრაოდ იდგა ან სირბილით განაგრძობდა გზას, უცნობს რომ არ შეემჩნია მისი კოჭლობა. ვერ იტანდა, როცა უყურებდნენ. აცოფებდა, როცა შეამჩნევდა, რომ ვიღაც აკვირდებოდა.

ანაბელას ზნეობრივ გრძობებს მაშინვე გამოუცხადა ომი. „მხოლოდ პირველი ნაბიჯია ძნელი“, — ეუბნებოდა. ყოველ საღამოს ცდილობდა დაერწმუნებინა, რომ არავითარი ჭეშმარიტება არ არსებობდა არც რელიგიაში და არც მორალში. მსჯელობებს გამომწვევად ამთავრებდა: „ახლა, ეცადე და მომარჯულე“. ქალი შეპასუხებას არც კი ცდილობდა. საკუთარ თავს შთაუწერდა, რომ მიტევება, სიმტკიცე, უდრტივინველობა, სიმამაცე და სიმხნევე უფრო მეტად დაარწმუნებდა მას, რომ ყველა ადამიანი ბოროტი არ არის. ის, რასაც ბაირონი რელიგიას უწოდებდა, მისი ბავშვობის შავბნელი დოქტრინა იყო. მერე, როგორც ხვდებოდა, ეს დოქტრინა მუსულმანურ სამყაროში ორი წლის ყოფნით გაულრმავდა, რამაც მისი ფატალიზმი ჩამოაყალიბა. ასე არ ფიქრობდა შემოქმედზე ანაბელა: „მჯეროდა, რომ ღმერთი ყოველ ცოცხალ ადამიანშია, რომელსაც უფლის ნებით სურს ცხოვრება და არა თავისი“.

მანამ ანაბელა ბაირონის ცოლი გახდებოდა, იგი სკეპტიკოსი ეგონა, ვოლტერიანელი. სინამდვილეში, სულ სხვა აღმოჩნდა. ჯკუა-გონებით კი იყო ვოლტერიანელი, მაგრამ სულის სიღრმემდე კალვინისტი ბრძანდებოდა. არც ერთ ადამიანს არ ჰქონდა ასე გადამეტებულიად ღვთაებრივი ნების შეგრძნება, მაგრამ უფლის სამსჯავრო მის თვალში არანაირი გულმონყალებით არ მსუბუქდებოდა. მთელი მისი რელიგია შიში

იყო, ამის შედეგი კი — აღშფოთება. სწამდა, რომ ერთი სამოთხისთვის იყვნენ განწესებულნი, მეორენი ჯოჯოხეთისთვის, და რომ თვითონ უკანასკნელთ მიეკუთვნებოდა. აქედან მომდინარეობდა ბუნებრივად სამყაროს ტირანის წინააღმდეგ მრისხანება, უიმედო გაშმაგება. ერთხელ ცხარე კამათის შემდეგ, სავარძელში ჩავარდა და ცოლს უთხრა:

„— ყველაზე საშინელია ის, რომ მე მნამს“.

როცა იმ ღმერთზე ფიქრობდა, რომელიც თავისი ქმნილებების ტანჯვით ხარობდა, რომელიც, იქნებ, დასცინოდა კიდევ მათ, აღშფოთება იპყრობდა. „ყველა ბოროტება, — ნალვლიანად იწერდა ანაბელა, — მისი ბავშვობის იმ უბედური რწმენიდან მოდის, რომელიც გზაბნეული შვილის უკან დაბრუნებას უარყოფს“.

ჭეშმარიტად ტრაგიკული წყვილი იყო, რადგან თვით ერთის ღირსების შერწყმას მეორის ნაკლთანაც კი, არ შეეძლო სხვა რამესთან მიეყვანა ისინი, გარდა უბედურებებისა. ანაბელა თავისი მსჯელობებით, ჩვეულებრივ თემებზე თავისი ფიქრებით, ბაირონს ცხოვრების სერიოზული მხარისკენ უბიძგებდა. მაგრამ იძულებული გაეხადა ბაირონი სამყაროს მოწყობაზე ეფიქრა — ეს ნიშნავდა, რომ მისი მრისხანება გამოგენვია. უმიზეზოდ როდი უყვარდა მხიარული და ოდნავ გიჟმაჟი ქალები. ამ უბრალოებაში მისი ხსნა იყო, რისი უნარიც ანაბელას არ ჰქონდა. ანაბელა სულაც არ იყო მოკლებული განსჯის დახვეწილობას და ბაირონის ხასიათის ანალიზსაც მშვენივრად აკეთებდა. „მისი უბედურება, — წერდა ქალი, — ალგზნების წყურვილია, რომელიც მუდამ თან სდევს ფიცხ ტემპერამენტს, როცა მისი სწრაფვის მიზანი მთლად ნათელი არ არის. მსგავს ადამიანს მონოტონური ცხოვრების მოწყენილობა სახიფათო გზაზე აყენებს... სხვების განამებისკენ სწრაფვა, დანაშაულისკენ მიდრეკილება, აზარტული თამაშები — ყველაფერი ეს ერთი სათავიდან მოდის“. ანაბელა ძალიან კარგად კი აზროვნებდა, მაგრამ ვერ შეძლო აქედან საჭირო დასკვნების გაკეთება...

ზოგჯერ, როცა ბაირონი უხსნიდა, რომ ამ ქვეყანაზე სერიოზული არაფერიაო, ხოლო მორალი ეს კლიმატის, ეპოქის საკითხიაო, ანაბელას უნდოდა ამისი დაჯერება. „მახსენდება, — ამბობდა ანაბელა, — როგორ ვცდილობდი, გამეგო, რომ ჩემი მოვალეობა იყო მისი გულისთვის ყველაფერი მიმეტოვებინა, მისი მონა, მსხვერპლი გავემს-

დარიყავი... ქალს მამაკაცი მისი დანა-შაულებიანად უნდა უყვარდეს. სხვანაირი სიყვარული ამ სახელს არ იმსახურებს„. მაგრამ მოუსყიდველი გონება უარს ეუბნებოდა ასეთი სისუსტის უფლებათზე, ანაბელას ლოგიკა მეტისმეტად ძლიერი იყო და გული მის დამარცხებას ვერ შეძლებდა.

ძალზე გაოცდა ანაბელა, როცა მიხვდა, რომ ბაირონი ცრუმორწმუნე იყო. მასში ნათელი გონება და ბავშვური შიში ერთმანეთში იყო შეთავსებული. უამბობდა, ბავშვობაში, აბერდინში, ძალიან მეშინოდა სასაფლაოს მახლობლად ცხოვრებისაო. ყოველგვარი დამთხვევა სასწაული ეგონა. ნიშნების სჯეროდა: შავი კაბის ტარება სახიფათოაო, შემოფრენილი ღამურა უბედურების მომტანიო. ერთ ღამეს, თოვლით დაფარულ ბაღში იყო და დაინახა, ფაფუკი ღრუბლები როგორ მიუახლოვდა მთვარეს: „თუ მთვარეს დაფარავს, — თქვა ბაირონმა, — ჩემთვის ყველაფერი დაკარგულია; თუ გვერდით ჩაუვლის, გადავრჩები“. ღრუბელმა მთვარე დაფარა.

ლედი ბაირონის საქორწინო ბეჭედი /ბეჭედი ქვრივ-რეგენტიისა/ ანაბელასთვის დიდი გამოდგა; მან შავი ძაფი შემოახვია, რომ დამაგრებულიყო თითზე და არ გაძრობოდა. ბაირონმა ეს შეამჩნია და იყვირა: „შავი ძაფი!“ — და მოსთხოვა, მოიხსენიო. რამდენიმე წუთის შემდეგ, ბუხართან მდგარმა ანაბელამ ზურგზე შემოიწყო ხელები, ბეჭედი მოსძვრა და ცეცხლში ჩავარდა. ამან ბაირონი რამდენიმე საათით საგონებელში ჩააგდო. ისეთი უცნაური ცრურწმენები ჰქონდა, რომ ანაბელას საკუთარი თავისთვის ბევრჯერ უკითხავს, ნუთუ სერიოზულია ეს ყველაფერიო? იქნებ, ნახევრად მაინც იყო სერიოზული, რადგან ბაირონს მუდამ უყვარდა მისტიფიკაცია. მაგალითად, ამბობდა, დაცემული ანგელოზი ვარო, თანაც, ეს ქარაგმულად კი არ უნდა გაეგოთ, არამედ სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ანაბელას ეუბნებოდა, ერთი იმ ქალთაგანი ხარ, ბიბლიაში რომ წერენო, რომლებიც ზეციდან გამოძევებულებს უყვარდათო. რასაც კითხულობდა, იმაშიც კი წინასწარმეტყველებას ჭვრეტდა. ზელიუკოც არ დავინწყებია და ბევრი რამ უამბო მასზე ანაბელას. ზელიუკომ იმით დაამთავრა, რომ თავისი შვილი მოკლა. და ბაირონმა დაუმატა:

„— მეც ასევე მომივა და ჩვენს შვილს მოვკლავ“.

სჯეროდა, რომ რალაც დაუმორჩილებელი ძალა ბოროტებისკენ უბიძგებდა. ხშირ-

ად იმეორებდა:

„— ჩემი ბედია აღმოსავლეთში დაბრუნება, დიახ, აღმოსავლეთში უნდა დავბრუნდე, რომ იქ მოვკვდე“.

ჩემი ბედი... მისი მომავალი ვარსკვლავებსა და ნიშნებში წინასწარ იყო უკვე მოხაზული. მკითხავმა მისის ვილიამსმა, უთხრა, ოცდაჩვიდმეტი წლისა მოკვდებო. და მას ეს სჯეროდა. ლედი ბაირონი, განათლებული ქალი იყო და შემოფოთებული გოცებით, არცთუ იშვიათად, უსმენდა ხოლმე თავის ქმარს. იქნებ, გიჟი იყო? ან სიგიჟის კომედიას თამაშობდა? ანაბელას თავგზა ებნეოდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო. ამ შავბნელი იდუმალების პირველი შრის იქით, ანაბელა უკვე ხვდებოდა მეორე, უფრო შავბნელ იდუმალებას. პირველსავე დილას ბაირონმა ოგასტასგან წერილი მიიღო; სიხარულისგან თავგზააბნეულმა ანაბელას ნაუკითხა: — „ძვირფასს, პირველს და საუკეთესოს ადამიანთა შორის...“. რას ფიქრობ ამაზე? — ჰკითხა ანაბელას.

ქორწინებიდან რამდენიმე დღის შემდეგ სარკეში ჩაახედა ანაბელა და უთხრა, ცოტა ერთმანეთს ვგავართო. ქალმა სიცილით უთხრა:

„— ზუსტად და-ძმასავით.“

ბაირონმა ხელი სტაცა და წამოიძახა:

— ეს ვისგან გაიგე?“

ერთხელ, ყოველგვარი განზრახვის გარეშე, იქნებ იმიტომაც, რომ სულს გაუთვითცნობიერებელი მოუსვენრობა უღრღნიდა, ანაბელამ დრაიდენის ტრაგედიაზე ჩამოუგდო სიტყვა, რომლის თემაც ინცესტი იყო, რამაც ბაირონი ისევ გააშმაგა. ეტყობოდა, ეს თემა თავზარს სცემდა და მაინც გამუდმებით ისევ ამ საკითხს უბრუნდებოდა. ცოლი გულუბრყვილოდ ცდილობდა მის გაგებას და თავის სასკოლო მეოდეებს იყენებდა. „მაგრამ ჩემი ლაპარაკი მნიშვნელოვანწილად უშედეგო იყო. ამოცანაში უცნობი უნდა მეპოვა, სადაც საკმაო მონაცემები არ იყო გადაწყვეტილების მისაღებად“. ანაბელას ეგონა, რომ ბაირონი ჯავრის ამოსაყრელად კი არ დაქორწინდა, როგორც თვითონ ეუბნებოდა, არამედ იმისთვის, რომ დაეფარა რალაც საზარელი დანაშაული, რომელსაც ქალი ვერც კი წარმოიდგენდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა ანაბელა, საყვარლები ხომ არა ჰყავსო.

ღამით ანაბელა ხედავდა, როგორ აწამებდა ბაირონს კოშმარები; ძილში ლაპარაკობდა, დგებოდა, ფართო ნაბიჯებით დადიოდა, ვილაცას პისტოლეტს ან ხანჯალს უღერებ-

და; მერე ისევ წვებოდა და კბილებს აკრაჭუნებდა. ქალი მის მხარზე დებდა თავს, რომ დაემშვიდებინა.

— უფრო ნაზი სასთუმალი გჭირდება, ვიდრე ჩემი გულია, — უთხრა ბაირონმა ერთ ღამეს.

ქალმა უპასუხა:

— მე კი იმაზე ვფიქრობ, ვისი გული უფრო ადრე გასკდება, ჩემი თუ თქვენი.

ერთხელ ანაბელამ ფრთხილად ჰკითხა:

— თუ ვინმე შეაცდინეთ, მითხარით. ოგასტამ იცის?

ბოლოს და ბოლოს, ბაირონი გამოუტყდა, „საზარელი საიდუმლო“ იმალება ჩემს ცხოვრებაში.

— მაშინ გიამბობთ, როცა შვილი გეყოლებათ“.

ხშირად ფიქრობდა ანაბელა, მივატოვებ და გავიქცევით, მაგრამ ბაირონი უყვარდა და ეცოდებოდა.

ბაირონი? რას ფიქრობდა ამ ქალზე, რომელიც არც ერთ იმ ქალს არ ჰგავდა, რომლებიც აქამდე ჰყოლია? ზოგჯერ გული უჩუყდებოდა და ეუბნებოდა, კარგი არგუმენტი ხარ უკვდავების დამტკიცების სასარგებლოდ. „თუ რამე მაიძულებს, ვინამო ზეცის, ეს თქვენი სახის გამომეტყველება იქნება. საცოდავო პატარავ, ჩემზე უკეთეს კაცს უნდა გაჰყოლოდით ცოლად“. ანაბელა ეცოდებოდა, მაგრამ მის მიმართ მაინც დაუნდობელი იყო. „ჩაილდ ჰაროლდის“ დროიდან მოყოლებული იგი საკუთარი ცხოვრების აქტიორი გახდა. არასოდეს ასე მიმნდობი მსმენელი არა ჰყოლია, როგორც ეს ახალგაზრდა, შეშინებული და სერიოზული ქალი იყო. გონიერება რომ ჰყოფნოდა და დროზე გაეღიმა, თავის როლს უცბადვე შეცვლიდა. მას ასეთ ნუთებში მშვიდი ეპიკურული ქალი სჭირდებოდა, ლედი ოქსფორდის მსგავსი. ანაბელა მას თავისი სერიოზულობის გამო ჰკარგავდა. ეუბნებოდა კიდეც: „ქალისგან მხოლოდ სიცილს მოვიტხოვ; დანარჩენზე, რაც აქვს, მიმიფურთხებია. ოგასტა შემიძლია ვაიძულო, რაზეც გნებავთ იმაზე, იცინოს. არავისთან ვარ ისე ბედნიერი, როგორც ოგასტასთან“.

როგორ შეეძლო ასეთი უხეში ყოფილიყო? ის, ვინც საკუთარ თავს ყველაზე გულისხმიერ ადამიანად მიიჩნევდა, რომელიც ყველა ქალის წინაშე, ყველაზე ბებერი და მახინჯი ქალების წინაშეც კი, მშვიდდებოდა, და რომელმაც ასეთი ნაზი მზრუნველობით დაინდო სუსტი ლედი ფრენსისი? თვითონ ამას ვერ ხვდებოდა. ის ბაირონი იყო. მათ ხომ შლეგური ღვარძლი ეუფლებოდათ.

„თქვენ არ იცით, რა ურჩხულად შეიძლება მაქციოს ცუდმა ვნებამ“. ის ამ ქალის ტყვედ გრძნობდა თავს. თავის დროზე სთავაზობდა კიდეც, ნიშნობა ჩავშალოთო. მაგრამ ანაბელამ მოისურვა მისი ცოლობა; არაფერს ვნანობო, ამბობდა. ახლა კი მასთან არის, მის ცხოვრებაში, ოღონდ უცხოა. იქნებ შებრალებოდა კიდეც ქალი, მისი სისუსტე რომ ეგრძნო, მაგრამ ანაბელა მეტისმეტად კარგად ფარავდა თავის სისუსტეს. მას არ ჰქონდა არც ოგასტას მოუსვენარი გაუბედაობა, არც ლედი ფრენსისის შიშისანი სინაზე, — მას უშფოთველი სახე ჰქონდა და მრგვალი ვარდისფერი ლოყები. ქალი დასკვნებიდან დასკვნებამდე მიდიოდა, მსჯელობდა, ამტკიცებდა, დაობდა. ჭამისას ნელა იღეჭებოდა, მეთოდურად, ბაირონი კი ერთ ნაშში ანადგურებდა საჭმელს. ანაბელა თავის გრძნობებზე ლაპარაკობდა. „ოღონდ სანტიმენტები არ იყოს!“ — ამბობდა ბაირონი და ხელებს ცისკენ აღაპყრობდა. ქალი ყველაფერს პირდაპირ, სიტყვასიტყვით იგებდა. „ჩემს სიტყვებს ყურადღებას რომ არ აქცევდეთ, — ეუბნებოდა ბაირონი, — ერთმანეთს საუკეთესოდ გავუგებდით“. ბაირონს სიმშვიდე სჭირდებოდა, მარტობა, საშინელება იყო მუდამ ორის ერთად ყოფნა. ის ანაბელას თავისი ოთახიდან გამუდმებით ამ სიტყვებით ისტუმრებდა: „არ მჭირდება“. ან „იმედი მაქვს, მუდამ ერთად არ ვიქნებით, გარწმუნებთ, ეს მე ხელს არ მაძლევს“. ერთხელ ესეც თქვა: „ცოლქმრობის ერთადერთი კარგი მხარეა ის, რომ მეგობრებისგან გათავისუფლებს“.

ექვი აღარ ეპარებოდა, რომ ახლო მომავალში ცოლქმრულ ერთგულებას დაარღვევდა. ერთხელ ლედი მელბურნს ჰკითხა: „შეიძლება ცოლიან კაცს საყვარლები ჰყავდეს?“ ახლა კი მისწერა: „აღტაცებული ვარ სიფრთხილის თქვენეული სტილით მას შემდეგ, რაც დედაკაცის ძალაუფლების ქვეშ ვიმყოფები. მაგრამ მიყვარხართ და შეგინდობთ ეჭვს ჩემს შემდგომ სატრფიალო ავანტიურამდე“. მოხუც ბანოვანს მიაჩნდა, რომ ბაირონმა ამ ოჯახში საკმაო აურზაური გამოიწვია და ახლა უნდოდა ის მშვიდად მოქცეულიყო. „კარგ რჩევებს მოგცემთ, — არიგებდა, — მე თქვენი თეთრი ყვავი ვარ, ერიდეთ შავ ყვავს...“. „ვფიქრობ, ეგ შავი ყვავი X-ია, — უპასუხა ბაირონმა, — მაგრამ მაინც მიყვარს, თუმცა ერთი ვინმე, არსებითად, სიყვარულში ხელს მიშლის, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხნით მაინც“. სიტყვა „არსებითმა“ ლედი მელბურნი გაამხიარულა. „ძალიან მაცინა თქვენმა „არსებითმა“.

როდის იყო ამ სიტყვას ასე ხმარობდნენ!“.

ჯერ გადაწყვიტეს ელნები 20 იანვარს დაეტოვებინათ, რომ 22 იანვარი, მისი სახელობის დღე, სიჰემში გაეტარებინათ. ბოლო წუთებში აღმოჩნდა, რომ 20 რიცხვი პარასკევი იყო და ბაირონმა გამოაცხადა, ამ დღეს არსად არ წავალო, გამგზავრება 21-ში დანიშნეს. ლედი ბაირონმა ჩაიცინა. ბაირონს ეწყინა და აუხსნა, პარასკევი დღე მუსლიმანების საზეიმო დღეა და ჩვევად მექცა ამ დღის აღნიშვნაო. ცუდ ხასიათზე არა ყოფილა, მოგზაურობისას ცოლს ისიც კი უთხრა, ჩვენი საქმე ცუდად არ მიდისო.

„— ვფიქრობ, ახლა კარგად იცით, რა საკითხებს არ უნდა შეეხოთ, — დაუმატა და ანაბელას პირდაპირ სახეში შეაცქერდა“.

ცოლში რაღაც ღირსების დანახვა უკვე დაიწყო. ელნებში გატარებული სამიწილი დღეების განმავლობაში ანაბელა მისთვის მუშაობდა; „ებრაული მელოდიების“ გადანერით იყო გართული, რომელიც ბაირონმა მუსიკოს ნათანის თხოვნით შეთხზა. ზოგჯერ იმაზეც ლაპარაკობდნენ, რაც ნაიკითხეს. ანაბელა სულელი არ იყო. აი, მისი ცოლი რომ არ ყოფილიყო... მაგრამ, აბა, როგორ არ ჩაეთვალა ქალი, ამ აუტანელი ცოლქმრული მონყენილობის პასუხისმგებლად? იმაზე მეტი საძაგლობა რა უნდა იყოს ადამიანისთვის, რომელიც თავისუფალი იყო, და ახლა სიდედრ-სიმამრის ტყვეობაში აღმოჩნდა, მაშინ, როცა თვით საკუთარი მშობლების ტყვეც კი არასოდეს ყოფილა? სიჰემში ჩასული ბაირონი არცთუ უშიშრად შეხვდა თავის სიმამრს სერ რალფს. ვარდისფერლოყებიანი მოხუცი ბარონეტი კეთილი კაცი იყო, მაგრამ ერთი დასანანი ჩვევა ჰქონდა, შეეძლო დაუსრულებლად გაემეორებინა თავისი უკბილო ხუმრობები. მაგალითად, ერთი ასეთი ხუმრობა უყვარდა ძალიან, ხუმრობა შემწვარი ცხვრის ბარკალზე და მოითხოვდა, სუფრაზე, კვირაში რამდენჯერმე მოეტანათ ცხვრის შემწვარი ბარკალი, რათა საშუალება მისცემოდა კიდევ ერთხელ მოეყოლა თავისი ხუმრობა. ერთხელ ბაირონთან მარტო დარჩენილმა, დიურჰემის გადასახადების ამკრეფთა წინაშე ამას წინათ წარმოთქმული სიტყვა წაუკითხა. „ახლა მონოლოგს ვისმენ, რომელსაც ჩემი სიმამრი საუბარს უწოდებს. ერთხელ ვიოლინოზე დაუკრა და ცოტა ამოვისუნთქე“. ზოგჯერ, მოთმინებადაკარგული ბაირონი წამოხტებოდა და გარბოდა, რათა სიმამრს „თავისი ქადაგებები ბოთლებთან დაემთავრებინა, რომელთაც სხვა თუ არაფერი, არ ჩაეძინებათ მაინც“. თავის

ოთახში ადიოდა, ოცნებაში იძირებოდა, მაგრამ მალე ზარის ხმა ისმოდა, რომელიც ჩაის დასალევად იხმობდა, და საჭირო ხდებოდა დაბრუნებოდა ოჯახურ „ნიალს“. „ახლა, — წერდა მურს, — ჩაის დასალევად უნდა წავიდე. დანყველილი ჩაი. მირჩვენია კინიარდის ბრენდი ყოფილიყო...“. უგერგილო — იქნებ ეჭვიანიც — ოგასტა წერილებში ბაირონს დასცინოდა ამ მოშინაურების გამო. სალამოს, იმ სასტუმრო ოთახში, სადაც მისი ჯვრისწერა ჩატარდა, საზიზღრად ამთქნარებდა, რადგან ეს დრო ლონდონში ძალზე სასიამოვნო, სიჰემში კი ძილის მომგვრელი იყო.

სიდედრი და სიმამრი უკვე მოსწყინდა, ანაბელა, პირიქით, მოკავშირედ გაუხდა და თავშესაფრად. ახლა მას უკვე იპ-ს ეძახდა. „თქვენ ჩემი საყვარელი პიპი ხართ, საოცარი გოგონა პიპების ჯიმიდან და მთელ ქვეყანაზე საოცარი ქალი“, — უთხრა ერთ საღამოს, როცა ანაბელამ საწოლში ლიმონათი მოართვა. დროდადრო მაინც ხდებოდა ფრიად უცნაური ინციდენტები. ბურიმეს¹⁴³ თამაშობდნენ, ნაწერი ავსებულ ქაღალდებს ბაირონი ოგასტას უგზავნიდა, ცოტას მაინც გაართობსო. ცოლმა ერთხელ უთხრა:

„— თქვენს ქაღალდს ჯვარს დავუსვამ, ჩემი ქაღალდისგან რომ განასხვავოს.“

ბაირონი გაფითრდა:

— არა, — უთხრა, — ეს არ ქნათ, თორემ ძალიან შეაშინებთ“.

ანაბელამ მთელი ღამე ფიქრში გაატარა, რას უნდა ნიშნავდესო ეს ჯვარი.

პლაჟზე ბაირონი მხიარული და გულწრფელი ამხანაგი იყო. იქ ერთი დიდი კლდე იყო, რომელსაც „ბუმბულის საწოლს“ ეძახდნენ და მათ საყვარელ ადგილად იქცა. ხშირად დასეირნობდნენ იქ. ბაირონი ანაბელას კლდეზე ასასვლელად შეჯიბრში ინვევდა, უსწრებდა, რადგან ძალიან მსუბუქად დარბოდა. იმ წუთებში, როგორც ანაბელა ამბობდა, ბავშვობა უბრუნდებოდა, და მართლაც, ანც, უმანკო ბავშვს ჰგავდა. ზოგჯერ საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკობდა, როგორც ბავშვები ლაპარაკობენ ხოლმე. როცა ნაღვლიან გუნებაზე იყო, ამბობდა: „ბაირონი — ჭივჭავია... დიახ, ჭივჭავია!“ და მწარედ უმატებდა: „საცოდავი ბაირონი — საცოდავი ბაირონი!“ ანაბელას გულს უკლავდა მისი უიმედი ტონი, ამ სიტყვების წარმოთქმისას რომ ისმოდა.

143. ბურიმე ლიტერატურული თამაშია. წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსების შეთხზვა.

სიჭიმში მათი ყოფნის ბოლო დღეებში, ერთხელ ანაბელას უთხრა: „მგონი, მიყვარხართ!“ და ეს შეუძლებელი არც იყო; ანაბელას უკვე ეთვისებოდა და მისთვის საჭირო ხდებოდა. ანაბელამ უკვე იცოდა, რომ იგი ხტუნვა-ხტუნვით დადიოდა, პისტოლეტები სასთუმალთან ელაგა, აკრძალული თემების საქმის კურსში იყო. სიჭიმში კიდეც რამდენიმე თვე რომ ეცხოვრა, იქნებ მისჩვეოდა კიდეც ამ რუტინასაც, ისევე, როგორც ადრე სხვას მიეჩვია.

ბაირონი — მურს: „ისეთ მონოტონურ, ერთ ნერტილში გაყინულ მდგომარეობაში ვარ; ისე ვარ ხილის ჭამით დაკავებული — სეირნობით — ბანქოს აუტანელი თამაშით — ძველი აღმანახებისა და ჟურნალების კითხვის მცდელობებით — პლაჟზე ნიჟარების შეგროვებით — იმის ნახვით თუ როგორ იზრდება გარეული მოცხარი, — რომ დრო არ მრჩება, ვერც ვაზროვნებ, კიდეც რამე რომ მოგწეროთ... ჩემი ცოლი და მე სრული თანხმობით ვცხოვრობთ. სვიფტი ამბობდა, „არც ერთი წინდახედული ადამიანი არ დაქორწინებულაო“, მაგრამ სულელებსთვის, ასე მგონია, ეს ყველაზე ამბროზიული¹⁴⁴ მდგომარეობაა. ისეც ვაგრძელებ ფიქრს, რომ უნდა დანესდეს ცოლქმრული კონტრაქტი, დარწმუნებული ვარ, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ, ჩემსას განვაახლებდი. თუნდაც შემდგომი ვადა ოთხმოცდაცხრამეტი წელი იყოს“.

გადაწყდა, გაზაფხულზე ბაირონები ლონდონში წავიდოდნენ: 9 მარტს ეტლმა ისინი სიჭემიდან წაიყვანა. ბაირონს უნდოდა სიქს-მაილ-ბოტომში, ოგასტასთან მართო თვითონ შეჩერებულიყო, ცოლმა დაიჟინა, მეც დავრჩებო. ოგასტა დიდხანს ყოყმანობდა, მიელო თუ არა ისინი. სახლი პატარა ჰქონდა, ცოტა ადგილი იყო და არც ის იცოდა, პოლკოვნიკი წავიდოდა თუ არა. ბოლოს მაინც მიიწვია. გამოვიდნენ თუ არა სიჭემიდან, ბაირონმა თავის უგუნებობას თავისუფლება მისცა. „როცა მოვდიოდით, დედათქვენმა, რატომ მომანდო თქვენი მფარველობა? ამით რა უნდოდა ეთქვა? განა არ შეგიძლიათ საკუთარ თავზე იზრუნოთ? ამჯერად თქვენთან ერთად წამოსვლა არ მინდოდა“. ანაბელამ უპასუხა, ოგასტას ნახვა მინდაო. „ოგასტა სულელია, — უპასუხა და პირქუში ტონით დაუმატა, — დიახ, ოგასტა — სულელია“. სალამოს ოდნავ ალერსიანი

144. ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთების საჭმელი, რომელიც უკვდავებას, მარადიულ ახალგაზრდობას და სილამაზეს ანიჭებს მათ.

გახდა: „იმიტომ გამომყევით ცოლად, რომ ბედნიერ კაცად გექციეთ — ასე არ არის? მაშ ასე — თქვენ ბედნიერი გამხადეთ“.

ოგასტამ ისინი მშვიდად მიიღო. სიტყვაც არ უთქვამს, არც უკოცნია რძლისთვის. ქალები ზევით ერთად ავიდნენ, იქ კი ანაბელამ პირველმა აკოცა ოგასტას. სადილის შემდეგ, ბაირონმა ბრენდი მოითხოვა, სმა დაიწყო, ცოლს კი ურჩია, დასაძინებლად წადიო. „უთქვენოდაც შეგვიძლია დროს გატარება, ჩემო ლამაზო“, — უთხრა და მერე მიუმატა: „ახლა, როცა ის ჩემთან არის, როგორც ხედავთ, უთქვენოდაც იოლას გავალ, ყველა შემთხვევაში. ხომ გითხარით, სისულელე ჩაიდინეთ, აქ ჩამოსვლა რომ მოისურვეთ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, უარი გეთქვათ“. ანაბელას ეს სცენა უჩვეულოზე უჩვეულოდ მოეჩვენა. გაიფიქრა, ოგასტაზეა შეყვარებული, ოგასტამ კი ხელი ჰკრაო. მეორე დღეს, ოგასტა მათ ისევ ისეთი უჩვეულო სიმშვიდით შეხვდა. „აბა, გუსს, — უთხრა ბაირონმა, — ხომ ხედავთ, რა ზნეობრივი ადამიანი გავხდი, ასე არ არის?“ ოგასტა ოდნავ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა თითქოს და თქვა: „დიახ, უკვე შევამჩნიე რაღაც პროგრესი“.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, ოგასტა ანაბელასადმი კეთილგანწყობილი იყო. ისე ჩანდა, თითქოს ბაირონი უკან დასდევდა, მოსვენებას არ აძლევდა, ოგასტა კი თავის გადარჩენაზე ზრუნავდა, მაგრამ მისი ეშინოდა. ბაირონმა საკუთარ თავს ძალზე გულლია მინიშნების უფლება მისცა: „We must fl y, we must par t¹⁴⁵... ხომ გახსოვთ, გუსს, როდის დაგინერეთ ეს ლექსი?“ ანაბელა ბაირონის სახის ნახმა და ღრმა გამომეტყველებამ გააოცა, რა სახითაც პატარა მედორას უყურებდა. „იცით, რომ ეს ჩემი ქალიშვილია?“ — თქვა და ბავშვი აჩვენა. და რადგან ბავშვი მისი ნათლული იყო, ეს წინადადებაც შეიძლება სრულიად ბუნებრივი ყოფილიყო. ლონდონში ორი მედალიონი დაუკვეთა, ერთში თავისი თმა იდო, მეორეში ოგასტასი. ორივე მედალიონზე ასოები და ჯვრები იყო გამოსახული: ო - ბ - +++ . ერთი მედალიონი ოგასტასს მისცა, ანაბელასკენ თავი გადააქნია და თქვა: „ეჰ, ამაღ რომ იცოდეს, ეს რა არის“. მაგრამ ლედი ბაირონს არ სურდა სცოდნოდა ეს რა იყო. ეგონა, მისი მოვალეობაა გაეძვებინა, რამდენადაც შესაძლებელია, ეს საზარელი ეჭვი. „მიშსა და უსაზღვრო სიბრაულეს“ გრძნობდა. საკუ-

145. „ერთმანეთს უნდა გავექცეთ, დავშორდეთ“... /ინგ./

თარ თავს პირობა მისცა, არასოდეს არაფერში აღმოეჩინა ის, რასაც მსგავსი აზრის დაბადება მოჰყვებოდა¹⁴⁶.

ჯერჯერობით კი, ორივე დიდხანს სეირნობს პარკში და ბაირონზე მეგობრულად ლაპარაკობს. ანაბელა სასონარკვეთილია და ისწრაფის მიენდოს ოგასტას. ოგასტა გაოცებულია იმ მორჩილი სინაზით, როგორითაც რძალი ექცეოდა. „ჩემდამი კეთილი ხართ, — ეუბნებოდა ოგასტა, — იმიტომ, რომ არ მიცნობთ“. ანაბელას რჩევებს აძლევდა, როგორი რეჟიმი უნდა შეექმნა ბაირონისთვის. საკუთარი გონების თვინიერი ბუნებით, რომელიც მას მუდამ აიძულებდა, ყველაზე ტრაგიკული შემთხვევაზე კი თავის დონემდე დაეყვანა, მიაჩნდა, რომ მისი ძმის გაღიზიანება გამონვეული იყო საჭმლის ცუდი მონებებით. ბაირონი მარხულობდა, რომ არ გასუქებულიყო, მერე, დამშეული ზომაზე მეტს ჭამდა. ამის გამო ძალიან იტანჯებოდა და მეტისმეტად

146. თუ საბუთების მიხედვით ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ლედი ბაირონს ამ დროისთვის უკვე გასჩენია ექვი ბაირონისა და მისი დის ურთიერთობების შესახებ. რაც შეეხება ბაირონსა და ოგასტას, მიუხედავად ბაირონის გაუფრთხილებელი მინიშნებისა, ეგონათ, არვითარი ექვი არ შეიძლება დაიბადოს და ამისა სჯეროდათ. 1816 წლის მიმონერაში, ლედი ბაირონსა და მისის ლის შორის, ლედი ბაირონი თავის მულს სწერდა, რომ „ჩვენი ცოლქმრობის პირველი კვირებიდან მოყოლებული, ცოტას დარჩა ამ აზრმა სიგიჟემდე არ მიმიყვანა“-ო. ოგასტამ 1816 წლის 15 ივლისს უპასუხა: „ილუზია, რომელზედაც გელაპარაკეთ, სრულ უცოდინრობაშია. იქამდე ხართ მისული, შეგიძლიათ დაუშვათ, რომ მე ვარ მიზეზი თქვენი ტანჯვისა... ახლა მახსენდება „ზოგიერთი გარემოება“, რაზეც მიმანიშნებთ. ამას შეიძლება კიდევ ბევრი დავუმატოთ, რაც ასევე გაუგებარი იქნება ჩემთვის. ეს ჩემთვის თითქოს საზარელი სიზმარია... არცთუ იშვიათად მეჩვენებოდა, რომ ბრმად უნდა მოგნდობოდით. მაგრამ გარემოებებმა მიკარნახა, რომ ჩემი ვალია, ეს საიდუმლო შევინახო“. ლედი ბაირონის დღიურში ასევე ვკითხულობთ: „ის / ოგასტა/ მეუბნებოდა, რომ ჩემს ეჭვებთან დაკავშირებით არასოდეს არაფერი მოსვლია თავში, 1815 წლის ზაფხულის გარდა, როცა მის ჩამოშორებას აშკარად ვცდილობდი. მაგრამ ბაირონს ხშირად ამჩნევდა, ჩემი თანდასწრებით ისეთ რალაცეებს ამბობდა, რაც ყველა სხვა ქალს თვალს აუხელდა. როცა ქალი თავის შიშს ამჟღავნებდა, ბაირონი მას ამშვიდებდა“. /ავტორი/.

დიდი დოზებით იღებდა მაგნეზიას. მთელი სიავე ამისგანაა, — უხსნიდა ოგასტა. ანაბელა ეუბნებოდა, ბაირონი აუტანელი ქმარი იყო, მაგრამ იმედი ჰქონდა, თავისი სიყვარულით დაიმორჩილებდა. ოგასტა პასუხობდა, შეგიძლია დარწმუნებული იყო, რადგან ჩვევებს ბაირონზე დიდი გავლენა აქვსო.

მიუხედავად მისის ლის წრფელი სიკეთისა, ანაბელასთვის მასთან ყოფნა ნამდვილ კომარად იქცა. ბაირონი, მამრის საშინელი მძვინვარებით შეპყრობილი, იმ სიამოვნებას მოკლებული, რასაც ელოდა, საკუთარ თავზე ბრაზობდა, ცოლზეც, დაზეც, სვამდა, რომ ყველაფერი დაევიწყებინა და უფრო და უფრო უხეში ხდებოდა. ოგასტას აიძულებდა ხმამაღლა ეკითხა ის წერილები, რომელიც ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბაირონისგან მიეღო, სადაც იგი ცინიკურად ლაპარაკობდა თავის გულგრილობაზე ანაბელასადმი და სხვა საყვარლებზეც. მერე ცოლისკენ შებრუნდებოდა და ეუბნებოდა: „ამ დროს დარწმუნებული იყავით, რომ თქვენი სიყვარულით ვკვდებოდი“. სალამოს ანაბელას ადრიანად აგზავნიდა დასაწოლად, თვითონ კი ოგასტასთან ერთი-ორი საათით მარტო რჩებოდა, ლედი ბაირონი ისე უბედურად გრძობდა თავს, რომ ჭამა აღარ შეეძლო და შიმშილით იკლავდა თავს. არცთუ იშვიათად ოთახში იკეტებოდა, მანამდე ტიროდა, ვიდრე გულზე არ მოეშვებოდა. „უაზრობა... უაზრობა...“ — ეუბნებოდა საკუთარ თავს. ერთხელ ოგასტას ქალბატონ ნეკერის ციტატა აჩვენა: „ტანჯვა, რომელიც ჩვენი დანაშაულით არ არის გამონვეული, დავინყებას ეძლევა. მაგრამ სინდისის ქენჯნა გრძობებსა და წელიწადებს მიჰყვება“. ოგასტამ ანაბელას შეხედა, სიტყვა არ უთქვამს, და ანაბელას მოეჩვენა, რომ მათ შორის უსიტყვო თანხმობა დამყარდა.

ოგასტასთან სტუმრობის მიწურულს, ლედი ბაირონისთვის ცხოვრება იმდენად აუტანელი გახდა, რომ ლოცვაში სცადა თავშესაფრის პოვნა. ბიბლიას კითხულობდა, როცა იმ ადგილებს პოულობდა, მის მდგომარეობას რომ შეესაბამებოდა, რალაცნაირ მისტიკურ ექსტაზში ვარდებოდა: ეგონა, ეს ორი დალუპული უნდა გადაერჩინა, დაეცვა... და გადაარჩინს კიდევ. მაგრამ, როგორ უნდა გადაარჩინო ადამიანი, რომელიც გიყვარს, მას კი სძულხარ?

ოგასტასთან სტუმრობის დროს ბაირონი ნაპოლეონის კუნძულ ელბადან დაბრუნების ამბავი გაიგო, რამაც დიდად აღაფრთოვანა. მაშასადამე, მისი ტანმორ-

ჩილი კერძი ისევ აღსდგა და მთელია. „და ახლა, მოკავშირეებს თუ არ გატყეპავს, სულერთია, მაინც ველარ მივწვდებით. თუ უნარი აქვს, მარტომ მთელი საფრანგეთი ხელში მოიგდოს, მაშინ ხომ არაფერია მისთვის ეს დამპყრობლები კარგა მაგრა შეახუროს თავისი საიმპერატორო გვარდიის დახმარებით? შეუძლებელია ამ დიდებულ მსვლელობით თავი დაბრმავებულად და დამარცხებულად არ იგრძნოს“. ლონდონი გაოგნდა და გვარიანად შეშფოთდა. სანაძლეოს სდებდნენ — ვინ გაიმარჯვებდა. ჰობზაუზმა ნაპოლეონს მისცა უპირატესობა. 23-ში ცნობილი გახდა, რომ იმპერატორი პარიზში შევიდა. ოც დღეში მთელი საფრანგეთი გაიარა. სამფეროვანი დროშა დუვრის კლდეების პირდაპირ უკვე ფრიალებდა. ოცი წლის ისტორია ისევ ხელახლა უნდა დაწყებულიყო.

სხვა დრო რომ ყოფილიყო, ბაირონი ამ ამბებზე სიამოვნებით ისაუბრებდა ჰობზაუზთან და კინიარდთან. ახლა „ამ ორი ქალის წრთვან“ ისეთ ცუდ გუნებაზე აყენებდა, რომ სიქს-მაილ-ბოტომში დარჩენა ამჯობინა. მაგრამ ოგასტას მათი დარჩენა არ უნდოდა, ამიტომ 28-ში ბაირონმა ანაბელა წაიყვანა. ანაბელას, როგორც მისი ქმარი ამბობდა, აღმოაჩნდა „მეტყლადლების სიმპტომები“, და იგი უხასიათოდ იყო.

XXIV

პიკადილი 13

ამ ცოლქმრობის ტრაგედია, როგორც სხვა მრავალში, იმაში მდგომარეობდა, რომ თითოეული მეორეში მთელ ჭეშმარიტებას ვერ ხედავდა.

გრიერსონი

მშვენიერი სახლი იქირავეს პიკადილიტერასის¹⁴⁷ 13-ში. ჰყავდათ მსახურები, ჰქონდათ ორი ეტლი. ფული არ ჰყოფნიდათ მხოლოდ. საარენდო გადასახადი შვიდას ფუნტს შეადგენდა, — ეს იყო მთელი მათი შემოსავალი, რომელიც ლედი ბაირონმა მზითვად მოუტანა. ლორდ ბაირონის შემოსავალი ნულის ტოლი იყო, ნიუსტედის ფერმებიდან შემოსული თანხები ვალის პროცენტსაც კი ვერ ფარავდა. როგორც კი ხელგაშლილი ცხოვრება დაიწყო, მაშინვე გამოჩნდნენ სასამართლოს აღმასრულებლები. ჰობზაუზი საფრანგეთში მიემგზავრებოდა, უნ-

დოდა იმპერატორის დაბრუნების შესახებ მასალები შეეკრიბა და ამიტომ მეგობარს შეუარა სანახავად. ძალიან ცუდ ხასიათზე დახვდა ბაირონი. ის არ ნუნუნებდა, მაგრამ ჰობზაუზს კი ურჩია, ცოლი არასოდეს მოიყვანო.

პირველ დღეებში ყველაფერი რიგზე მიდიოდა /„ჩემთან ისეთი კარგი იყო, ასეთი არასოდეს მინახავს“/, მაგრამ ანაბელას უკვე ნაკლებად ჰქონდა მომავლის იმედი. „იმედი, — ამბობდა ბაირონი, — ფერუმარილია, რომელიც შეიძლება სახეზე გამოიყენო მხოლოდ. ჭეშმარიტების უმსუბუქეს მიკარებაზეც კი ქრება, და მაშინ ვხედავთ, ჩამოკიდებულს ვხედავთ, რა უხეივო დედაკაცს ვეხვევით“. და ანაბელაც ასეთი მწარე ფილოსოფიით იკვებებოდა.

იმ დროს ბაირონი თავისი უჩვეულო სილამაზით ყველას აოცებდა. მისმა სახემ მღელვარე სიდიადის ნიშანი აღიბეჭდა. ახლა უკვე შავ ტანსაცმელს ატარებდა და მისი გარეგნობის კეთილშობილური სიმკაცრე მკვეთრად ჩანდა. ანაბელა მისი ყურებით არ იღლებოდა. როცა ჰენდერსონთან ყვავილების შესაძენად მიდიოდა, ბაირონს პოეტ-რადიკალ ლი ჰანტთან „ტოვებდა“ პადინგტონში. ბაირონი პატარა ჰანტებს ხის ცხენზე აქანავებდა და ლი ჰანტთან ლორდ კესტლერის პოლიტიკაზე მსჯელობდა; ტორების პრესასა და ხელისუფლებას ბურზონების დახმარება უნდოდათ. „განა შეიძლება მშვიდად ვიყოთ, როცა მეზობლის სახლი იწვის?“ ბუნებრივია, ბაირონი და მისი მეგობრები ბონაპარტესთან ომის წინააღმდეგი იყვნენ და სამოქალაქო ომში ინგლისის ჩარევას აპროტესტებდნენ. უკან დაბრუნებისას ლედი ბაირონი ქმარს შეუვლიდა და ბაირონს კართან თავის დიდებულ ეტლში ელოდა. ბაირონი კი პარმალის კიბეებზე ჰანტის ბავშვებს ეთამაშებოდა. ბედნიერი ცოლ-ქმრის იდეალური სურათი იქმნებოდა. მოცინარი ახალგაზრდა ქალი, ოდნავ სიმსუქნეშეპარებული ქმარი, რომელიც მეგობარს ემშვიდობება, ფიცხი, მოუთმენელი ცხენები — აბა, რა არ ჰყოფნიდა ამ სანტიმენტალურ სურათს? ისინი პიკადილიში ბრუნდებოდნენ; ბაირონი ახალ პოემაზე სამუშაოდ ჯდებოდა. პოემას „პარიზინა“ ერქვა. ანაბელა, მწერლის უზადო ცოლი, მის ნაწერს ათეთრებდა. არსებობა ყველაზე რესპექტაბელური ნიშნით იყო ფერუმარილით დამშვენებული.

მაგრამ ლედი ბაირონი ნაღვლიანი იყო. სოფლური სილაჟღაჟე დაკარგა. თავს ეულად გრძნობდა. ბაირონის მეგობრები კინ-

147. ლონდონის არისტოკრატიული უბანია.

იარდი, ჰობჰაუზი და ყველა, ვისაც ქალი „პიკადილის ბანდას“ უწოდებდა, მას არ მოსწონდა. კინიარდმა ბაირონს დრუერილანის თეატრში პაი უყიდა, მის მეგობარს რომ გამგეობაში შესვლა შეძლებოდა. ანაბელას კულისების ეს სამყარო არ უყვარდა. იცოდა, რომ ბაირონი მელბურნ-ჰაუზშიც დადიოდა და ესეც აღელებდა. „მამიდა“ სახიფათო მრჩეველი იყო. რა ექნა? მელბურნის საზოგადოების თვალში, ლემები ბაირონების ნათესავები და მეგობრები იყვნენ. კაროლინა და ვილიამი ისევ მტრედებივით შეჰლულუნებდნენ ერთმანეთს. ბაირონი მათთან მიღებული კაცი ბრძანდებოდა და ყველაფერი რიგზე მიდიოდა. ბაირონი ამბობდა, კაროლინა ძალიან მოსაწყენი ქალია, მაგრამ ახლა მიზიდავს, როგორც ყოფილი საყვარელი, რომელთანაც თავისუფლად შეიძლება ლაპარაკიო და ქალის ნდობა სიამოვნება. ლედი ბაირონი ერთხელ თვითონაც მივიდა მელბურნ-ჰოლში, საუბედუროდ, იქ მისის ჩავორს-მასტერსს, მერიენს შეხვდა, რომელიც ნერვული ავადმყოფობისგან გამოჯანმრთელებულიყო. ანაბელამ ოგასტას მისწერა ამ ვიზიტის შესახებ: „არასოდეს მიაბნია თქვენთვის, როგორ შეხვდით მისის მასტერსს კაროლინას სახლში. ბაირონზე ყველაფერი გამოშვებულა. ცხოვრებაში არ მინახავს, ასეთი ავი კატა. ნებისმიერი ქალი მასთან შედარებით უმნიშვნელო იქნება. ოჰ, ნეტავ შემიძლოს ამ საშინელი ქალაქიდან წასვლა; ჭკუიდან ვიშლები... დარწმუნებული ვარ, სოფელში უცბად მოვიკეთებ და მშვენივრად მოვანყობ ცხოვრებას, კარგი განწყობაც დამიბრუნდება“. ისე არაფერი იყო ლედი ბაირონისთვის მტანჯველი, ამ შეყვარებული, ეჭვიანი, უმანკო ადამიანისთვის, როგორც ლონდონში ცხოვრება გახლდათ, სადაც გამუდმებით გრძნობდა, მის ყოველ ნაბიჯს, როგორ უთვალთვალდნენ მეტოქე ქალები, რომლებიც ოდესღაც მის ქმარს უყვარდა; ანაბელას კი ეშინოდა, რაღაცით არ გაეთქვა, რომ მათი ცოლქმრობა წარუმატებელი იყო.

მთავარი მაინც ოგასტა იყო. ათი დღის შემდეგ გამოჩნდა და პიკადილი-ტერასზე მოეწყო. როგორ მოხდა, რომ ანაბელამ მოინწვია? „უიმედო იყო, — ხსნიდა იგი, — იმის მცდელობა, რომ ისინი ერთმანეთისგან შორს ყოფილიყვნენ, — მეორე მხრივ, შესაძლებელი მეგონა მათ შორის უბრალო, უბინო ურთიერთობის შექმნა. საკუთარ თავს ამ ორი არსების მცველად ვგრძნობდი“. ბაირონმა ოგასტა დაინახა და თავისი ცნობილი წარბშეკრული, სიძულვილით სავსე

გამოხედვით შეათვალა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, კვლავ მის მომხიბვლელობას დაემორჩილა. „დიდი სისულელე ჩაიდინეთ, ჩვენთან რომ მოინწვიეთ, — უთხრა ცოლს, — ამას იგრძნობთ კიდევ. ბევრი რამ შეიცვლება თქვენთვის“.

შედეგად ისევ ის დაიწყო, რაც სიქს-მაილ-ბოტომში ხდებოდა. სალამოს ანაბელას ისევ თავის ოთახში აგზავნიდნენ; ცხადია, ქალს არ ეძინა და ყოველი ჩქამის გაგონება ქმრის ნაბიჯების ხმა ეგონა. ფეხის ხმაზე სცნობდა, როგორ ხასიათზე შემოვიდოდა. თუ ნაბიჯები მუქარიანი ენერგიით ახლოვდებოდა, ეს ნიშნავდა, რომ ბაირონი აცოფებულ იყო; ზოგჯერ მისი ფეხის ნაბიჯებთან ერთად ოგასტას ნაბიჯის ხმაც ისმოდა, ისმოდა სიცილიც. ამ სამი ადამიანის ურთიერთობა მართლაც უჩვეულო იყო. ანაბელას P ip-ს ეძახდნენ, ოგასტას — ოოსე, ბაირონი ცოლისთვის Duck /იხვის ჭუჭული/ იყო, დისთვის კი ბები. ბედნიერი წუთებიც გამოერეოდა ხოლმე. ბაირონი ცოლს ეუბნებოდა: „ხუთი წლიდან მაინც რომ მცნობოდი, შეიძლება ბედნიერი ვყოფილიყავი“. კიდევ: „ჩემო საცოდავო პატარავ, მართლაც ბევრი არაფერი გჭირდებათ, კმაყოფილი რომ იყოთ“. მაგრამ ბაირონი ზოგჯერ ისეთი საშინელი ხდებოდა, რომ ანაბელა ოგასტასადმი სიძულვილით ივსებოდა და მისი მოკვლის სურვილი უჩნდებოდა. „ვგიჟდებოდი და ამ ცდუნებისგან, შურისძიების სურვილისგან, თავი რომ მეხსნა, იძულებული გავხდი შურისძიების ადგილზე რომანტიკული მიტევება დამეყენებინა“. როგორც ოდესღაც, ბავშვურ ოცნებებში, თერმოპილეს¹⁴⁸ იცავდა და ჭირიანებს უვლიდა, ანაბელას ახლაც ასევე სურდა ეშველა იმ ქალისთვის, რომელიც მისი უბედურების მიზეზი იყო. ასე იქცა სიძულვილი მხურვალე, უიმედი მეგობრობად. როგორც ყველა შეყვარებულ ქალს, ამასაც იზიდავდა ქმრის წარსული. ოგასტა, ზუსტად ის ადამიანი იყო, „რომელიც ყველაფრის საქმის კურსში იყო“. გარდა ამისა, იგი კიდევ ის იყო, რომელიც ანაბელას იცავდა, როცა ბაირონს მისი იქ ყოფნა აღიზიანებდა.

მიუხედავად ამისა, ივნისის ბოლოს, ლედი ბაირონმა თავის მულს აგრძნობინა, შენი სტუმრობა ჩვენთან ძალზე გაგრძელდაო და მისის ლი სიქს-მაილ-ბოტომში

148. თერმოპილეს გადასასვლელთან მოხდა ბერძნებისა და სპარსელების ბრძოლა (ძვ.წ.480). გადასასვლელს სამასი სპარტელი იცავდა, უთანასწორო ბრძოლაში მთელი რაზმი დაიღუპა.

დაბრუნდა.

1815 წლის მთელი ზაფხული, თითქმის ყოველი დღე, ერთი-ორი საათი მაინც, ბაირონმა ჯონ მარის გამომცემლობაში გაატარა. იქ იმ იშვიათ მწერალს ხვდებოდა, რომელიც მასში პატივისცემასა და აღტაცებას იწვევდა — ეს იყო სერ უოლტერ სკოტი. ორივეს სიამოვნებდა ერთმანეთთან საუბარი. სკოტს ეუბნებოდნენ, ბაირონი უცნაურობებით სავსე ჭაბუკიაო, მაგრამ ეს შთაბეჭდილება მას არ შექმნია. ის ერთი იმ მცირეთაგანი იყო, ვინც შეძლო ბაირონის ხასიათების კეთილშობილების შეფასება. რელიგიასა და პოლიტიკაში სხვადასხვა ბანაკს ეკუთვნოდნენ, მაგრამ სკოტს საეჭვოდ მიაჩნდა, რომ ბაირონს ამ მხრივ მტკიცე მრწამსი ჰქონდა. ისიც უთხრა, რამდენიმე წლის შემდეგ რწმენა კიდევ შეგეცვლებაო. ბაირონმა მიუგო:

„— უნდა ვიფიქრო, ერთი იმათგანი ბრძანდებით, ვინც მიწინასწარმეტყველებს, რომ მეთოდისტი¹⁴⁹ გავხდები.

— არა, არა, — უპასუხა სკოტმა, — არა მგონია ასეთი ბანალური ხასიათის მიმართულება გქონდეთ. დასაშვებია, უფრო კათოლიკურ რწმენას ეზიაროთ და გამოირჩეთ მკაცრი თვითგანდგომით. რელიგიას, რომელიც შეიძლება თქვენ მიენდოთ, წარმოსახვაზე უნდა ჰქონდეს დიდი გავლენა“.

ბაირონმა ფიქრთანად გაიღიმა და უპასუხა: „არა“.

ერთმანეთს საჩუქრები გაუგზავნეს. სკოტმა ოქროთი მოჭედილი მშვენიერი ხანჯალი აჩუქა, ოდესღაც მრისხანე ელფი-ბეის რომ ეკუთვნოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ბაირონისგან ვერცხლის ურნა მიიღო ძვლებით ნახევრად სავსე, ზედ ლექსი ამოატვიფრინა იუვენალიუსისა:¹⁵⁰

„და მხოლოდ ერთმა სიკვდილმა იცის, რა მცირე არის სხეულის წონა ადამიანთა“. სკოტს სხვაზე უკეთ შეეძლო ბაირონის დამშვიდება და აიძულა კიდევ მისდამი უფრო მიმდობი ყოფილიყო. „ხშირად იყო მელანქოლიური, — წერდა სკოტი, — თითქმის პირქუში. როცა ასეთ ხასიათზე მხვდებოდა, ველოდი, თავისით როდის გადაივლიდა მისი პირქუშობა და ვცდილობდი რამე უბრალო და ბუნებრივი მიზეზი მეპოვა, რომ იძულებული გამეხადა ლაპარაკი დაეწყო;

149. ინგლისურ-ამერიკული რელიგიური სექტა, რომელიც მოითხოვდა ანგლიკანური ეკლესიის წესების ზუსტ შესრულებას.

150. დეციმუს იუნიუს იუვენალიუსი — რომაელი სატირიკოსი /დაახ. 60 — დაახ. 127/.

მაშინ უკვე მისი სახიდან ჩრდილები სწრაფად ქრებოდა“.

ლედი ბაირონს ასე რომ სცნობოდა ეს მემბოხე სული, შეიძლება, პიკადილი-ტერასის სახლში ყველაფერი მშვიდად ყოფილიყო; მაგრამ ლედი ბაირონი აბსოლუტისტი იყო და შეყვარებული — და ეს ორი თვისება სიბრძნესთან მისასვლელ გზას უჭრიდა.

1815 წლის ივნისი. ანაბელა ორსულობის მესამე თვეში იყო. ჰობზაუზი საფრანგეთში იმყოფებოდა და არმიიდან ახალ ამბებს ელოდა. ოცში კურიერმა აუწყა მას, ნაპოლეონი ვატერლოოსთან დაამარცხესო. „ოორ ელონ“,¹⁵¹ — თქვა მან. ბაირონმა, კი გაიგო თუ არა, წამოიძახა: „Wel I, Iandamed sorrow for it“¹⁵² ახალგაზრდა ინგლისელი ქალები ბელგიაში იყვნენ, ზოგი ძმას უვლიდა, ზოგი ქმარს, ვინ კიდევ სატრფოს. კაროლინა ლემიც იქ იყო და გული მოსდიოდა ლედი ფრენსის უებსტერის წარმატებებზე. ბაირონი არ ცდებოდა, როცა თქვა, ის ვინც უფრო გაბედულ შეტევაზე გადავა, ამ ახალგაზრდა ქალზე გაიმარჯვებსო. ლედი ფრენსის, წარუმატებელი, უმანკო თავგადასავლის შემდეგ, დიდი წარმატებები ჰქონდა; იმასაც ამბობდნენ, უელინგტონმა¹⁵³ მის გამო დაიგვიანა ბრძოლის ველზეო. რაც შეეხება მარიტო-ს, ცოლს ახლდა და ამ ბრძოლაზე პოემას თხზავდა.

ჰობზაუზი დაბრუნდა; ბაირონთან ერთად ნალვლიანად ადევნებდა თვალს ამ ტრაგედიას, ინგლისელ ადმირალს სწყევლიდნენ, რომელმაც იმპერატორს „გენერალი“ უწოდა. „ყეყეჩი არამზადა!“ — თქვა ბაირონმა. ორივემ სიხარულით შეიტყო, რომ გამგზავრებისას ინგლისელების ჯგუფი ნაპოლეონს მიესალმა. ამჯერად, კატასტროფა გამოუსწორებელი იყო; ევროპა მეტერნიხს¹⁵⁴ ემორჩილებოდა. „რესპუბლიკაზე ყოველგვარი იმედი დაინგრა, მოგვინვეს ძველ სისტემას დავუბრუნდეთ. მეზიზღება პოლიტიკოსები და მკვლევები. ბედნიერება, განგებამ რომ უბოძა ლორდ კესტლერს,¹⁵⁵ ამტკიცებს, რა ნაკლებ მნიშ-

151. „საცოდავი“. /ინგ./.

152. „საშინლად ვნუხვარ ამის გამო“. /ინგ./.

153. ართურ უელზლი უელინგტონი /1769-1852/ — ინგლისის სახელმწიფო მოღვაწე, სარდალი, დიპლომატი.

154. კლემენს ვენცელ ლოთარ მეტერნიხ-ვინებურგი /1773-1859/ — ავსტრიის სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი.

155. რობერტ სტიუარტ კესტლერი, ვიკონტ კესტლერი, მარკიზ ლონდონდერი /1769-1822/ — დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო მოღვაწე.

ვენელობას ანიჭებენ ღმერთები აყვავებას, რადგან ისეთ ადამიანებს, როგორიც ეს ლოთი კაპრალი, ბებერი ბლიუხერია,¹⁵⁶ უფლებას აძლევენ, მასხარად აიგდონ ისინი, ვინც განუსაზღვრელად დიდია მათზე. გამონაკლისი უელინგტონია, ის მაინც ნამდვილი ადამიანია — სციპიონი¹⁵⁷ ჩვენი ჰანიბალისა.“¹⁵⁸

მაგრამ ეს ყველაფერი ღირს კი იმად, კაცმა იფიქროს? „ბოლოს და ბოლოს, ახლა არსებობს კი რამე, რისთვისაც საწოლიდან ადგომა ღირს? ვიძინებთ სამეფოთა ნგრევის ხმაურზე, დილით კი ნანგრევს უკვე ხვეტავენ“. აჰ, ადგეს და წავიდეს, ეს დამპალი დასავლეთი მიატოვოს, საბერძნეთსა და თურქეთში იპოვოს სულიერი სამყარო. ოო, როგორ უყვარს ის საათები, როცა ჰობზაუზთან და ფელტერთან ერთად იმ ლურჯი ცის ქვეშ ცხენს მიაჭენებდა. ეს უფერული ცოლქმრული ცხოვრება აუტანელი ხდებოდა მისთვის. დამოუკიდებლობას მიჩვეული ადამიანი, როგორიც ის იყო, ყოველგვარ იძულებით აღვირს სიგიჟემდე მიჰყავს. კარგად ამოიცნო ანაბელა, შეცდომებშიც კი უცოდველი. წესებისა და პრინციპების არსება, რომელთა დახმარებითაც ქალი, მოვლენებზე მბრძანებლობას იმედოვნებდა. მაგრამ, რაც უფრო მეტად სჯეროდა ამისა, მით უფრო მეტ სიამოვნებას ღებულობდა ბაირონი მისთვის სანინალმდეგოს დამტკიცებაში. „ქორწინება სიყვარულისგან ყალიბდება, როგორც ძმარი ღვინისგან. ეს მუჟე, ნაკლებ სასიამოვნო სასმელი, რომელსაც დრომ ღვთაებრივი სურნელი მოაშორა და სამზარეულოს საცოდავ სალაფავად აქცია... ვისთვის შეიძლება, რომ ცოლქმრული სინაზე საინტერესო იყოს? ცოლქმრულ კოცნაშიც არაფერია ისეთი, რაც გაკიცხვას იმსახურებს. როგორ ფიქრობთ, თუ ლაურა პეტრარკას ცოლი იქნებოდა, მაშინ პეტრარკა მთელი ცხოვრება სონეტების წერას მონადომებდა?“ ცოფი მოერია, როცა მარიმ ქორწინების შემდეგ დაწერილი ორი ლექსის „მორალური სინმინდე“ მიულოცა და თავაზიანი ღიმილით დაუმატა: „ვერ გავბედავდი ჩემი ცოლისთვის მათ ხმამაღალ წაკითხვას,

156. გებჰარდ ლებერეხტ ბლიუხერი /1742-1819/ — პრუსიის გენერალ-ფელდმარშალი.

157. სციპიონი პუბლიუს კორნელიუს აფრიკელი უფროსი /ძვ. წ. 185-129/ — რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.

158. ჰანიბალი /ძვ. წ. 247 ან 246-183/ — კართაგენის მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე.

რომ არ მცოდნოდა ის ნაზი ხელი, რომელმაც ეს ლექსები გადაწერა“.

მის ირგვლივ, თითქოს საგანგებოდ, ყველაფერი ისე ეწყობოდა, რომ ბაირონი გაღიზიანებულიყო. ლედი მილბენკს ძმა მოუკვდა, ლორდი უენტვორთი. ლედი მილბენკმა მემკვიდრეობად ლედი ნოელის სახელი მიიღო და კიდევ, დაახლოებით, რვა ათასი ფუნტი წლიური შემოსავალი. ამ თანხიდან ანაბელას დედის სიკვდილამდე არაფერი ერგებოდა, სერ რალფი ვალებში იყო ყელამდე და ლედი ნოელს ქალიშვილის დახმარება არ შეეძლო. პიკადილი-ტერასზე კი ფინანსურმა მდგომარეობამ საშიში ხასიათი მიიღო. თავისი ავტორის გაჭირვებულ მდგომარეობა რომ იცოდა, მარიმ ბაირონს ერთნახევარი ათასი ფუნტის ქვითარი გაუგზავნა, მაგრამ ბაირონმა უკან დაუბრუნა. სასამართლო აღმასრულებელი სახლიდან არ შორდებოდათ. ამ უცხო ადამიანის მათ სახლში ყოფნა, ბაირონის წარმოსახვაში ნამდვილ დრამად გადაიქცა. მას დრამის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. ანაბელამ ეს კარგად იცოდა და ამბობდა: „სასამართლო აღმასრულებლები მისი ახლანდელი რომანია“.

ყველა ამ უბედურებაში დამნაშავე ანაბელა იყო, რომელმაც მისი სურვილის წინააღმდეგ მოინდომა მის ცხოვრებაში ჩარევა. ბაირონი ეუბნებოდა, ფული არ გვექნებაო. ფული არ ჰყოფნიდათ. კრედიტორები იმუქრებოდნენ ავეჯს, წიგნებს გაგიყიდითო. კიბეზე სასამართლო აღმასრულებლის ფეხის ხმა ისმოდა; ის იყო ახლა ბაირონების სახლის პატრონი. ეს ქალი კი, თავისი შეუარცხმყოფელი სიკეთით, აქ, მის გვერდით იყო. ბაირონმა იცოდა, რომ ანაბელას ცუდად ექცეოდა; სინდისის ქენჯნას გრძნობდა, არცთუ იშვიათად ძალიან მძაფრსაც, მაგრამ თვით ეს სინდისის ქენჯნა კიდევ ერთი მიზეზი იყო იმისთვის, რომ სძულებოდა ცოლი. „მას რომ ეგრძნო, ჩემი ღირსია, — თქვა ერთხელ ანაბელამ, — კეთილი გახდებოდა... მისთვის თითქოს სინდისი ვიყავი“. ანაბელა ხშირად იყო შორსმჭვრეტელი. დიახ, მართლაც, თითქოსდა ბაირონის ცოცხალი სინდისი იყო, მაგრამ ხომ არსებობს შემთხვევები, როცა ამ სინდისს გინდა გაექცე. ბაირონს შურდა მისი, როგორც ოდესღაც შურდა „მეორე ბაირონისა“.

ცოლის დანახვა აღარ უნდოდა. სულიერი სიმშვიდე რომ ეპოვა, კუნძულ ნაქსოსზე უნდა წასულიყო ან ის გაეგზავნა მამამისთან, „როგორც გათამამებული

შვილი, როგორც მართლაც იყო“. მაგრამ, რომ ხედავდა, ანაბელა მის გვერდით როგორ არსებობდა, მასში ეშმაკი სახლდებოდა. ერთი მისი წინაპრის მსგავსად, რომელმაც თქვა: „ჩემს ხელებს ცუდი ინსტინქტი აქვს“-ო, ისიც გაორდებოდა და იმ ბაირონის მაყურებელი ხდებოდა, რომელიც უცნობი იყო და სახიფათო. მრისხანება შთაგონებას ემსგავსება. როგორც კი მრისხანება შეიპყრობს ადამიანს, მეტისმეტად გულწრფელი მონიანალმდეგეც კი მართალი აღარ არის. ბაირონი ტკბებოდა თავისი მრისხანების სანახაობით და თავშეუკავებლად ეძლეოდა ღვარძლს, რომელიც მას თითქმის წმინდა ეგონა. ერთხელ, განრისხებულმა, კედლის საათიც კი დაანარცხა იატაკზე და ბუხრის საჩხრეკით დაამტვრია. ისევე, როგორც ოდესღაც პატივცემული კიტი გორდონი აკეთებდა მის თვალწინ საუსუფელში. ანაბელა ამ დროს ორსულობის მეექვსე თვეში იყო; ის ხედავდა, მის ახლოს როგორ იზრდებოდა მტრული ძალა, რომლის მართვაც მას აღარ შეეძლო.

ოჯახში არეულობის შესახებ არ უნდოდა მშობლებისთვის ეთქვა, რომ არ შეეშვოთ ბინა ისინი, და თავში აზრად მოუვიდა, ოგასტასთვის მოეხმო. შემოდგომაზე ბაირონმა ანდერძი დაწერა და, რაც რამ გააჩნდა, ოგასტას მისცა. ლედი ბაირონმა თავისი შესანიშნავი უანგარობით ოგასტას აუწყა ეს ამბავი: „ძვირფასო ლი, — სწერდა ლედი ბაირონი, — უნდა გაუწყოთ, რომ ისეთი სინაზით ლაპარაკობდა თავის ძვირფას ოსე-ზე, ცოტას დარჩა არ ატირდა. მეც ასევე. ლაპარაკი იმით დაიწყე, რომ ანდერძის შინაარსი მიაძმო, რომელიც ის-ის იყო დაწერა, — და მე რამდენადაც შემიძლია განვსაჯო, ზუსტად ისეთია, როგორც უნდა გაეკეთებინა... ძვირფასო ოგასტა, დამიჯერეთ, მეტისმეტად კარგად გიცნობთ, რომ ამ საკითხზე ვთქვა ის, რაც შეიძლება თქვას ზოგიერთმა პიროვნებამ, ანდა თუნდაც მსგავსი რამ“, /ეს ზოგიერთი პიროვნება, უეჭველია, კაროლინა ლემი იყო, რომლის ვარაუდებიც ბაირონისა და მისი დის ურთიერთობაზე ლონდონში ვრცელდებოდა/. მან იცოდა, რომ ოგასტას, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, კეთილი საქმეების კეთება შეეძლო. ის პიკადილი-ტერსაშიც მიიწვია — აქ დარჩი ბავშვის დაბადებამდე. ორსულობის ბოლო დღეებში ანაბელა მზად იყო ყოველგვარი დახმარება მიეღო. იმ ადამიანთან დარჩენა, რომელიც, როგორც ჩანდა თავს ვეღარ იჭერდა, ძალზე

აშინებდა. იმ ქალის დაძახებასაც არ შეუშინდა, რომელსაც ყველაზე მეტად უფრთხობდა.

როცა ოგასტა ჩავიდა, ბაირონი ისეთ მდგომარეობაში დახვდა, ელდა ეცა. ლედილის შეტევა ჰქონდა, გაფითრებული სახე ჩაყვითლებოდა. უბედური და ავადმყოფი, ნამდვილ სიხარულს სამუშაოშიც ვეღარ პოულობდა, ტკივილის გასაყუჩებლად ლაუდანოუმს ყლაპავდა. სანოლის თავთან გამუდმებით ჰატარა შუშა ედგა. ეს წამალი ხანმოკლე შვებას კი ჰგვირდია, მაგრამ მერე უფრო ძლიერი ტკივილები ეწყებოდა. ქალების სახლში ყოფნის გამო თავი უნდა შეეკავებინა, ამიტომ გამუდმებით გაღიზიანებული, ცუდად გრძნობდა თავს, მოკლებული იყო ყველაფერს, რაც უყვარდა, — სიმშვიდეს, პოეტურ მარტოობას ამ დიდ მდუმარე სახლში, თან ეს კრედიტორებიც განუწყვეტლივ გარშემო უტრიალებდნენ, და თავის წინაპარ გორდონებს ემსგავსებოდა, ველური ცხოველი ხდებოდა. ამჯერად, ოგასტასაც ისეთივე ცუდად ექცეოდა, როგორც ანაბელას. საშინლად ელაპარაკებოდა ქალს მის ქმარსა და შვილებზე. როცა ოგასტა გაბედავდა და სიტყვა „მოვალეობას“ იხმარდა, ბაირონი ეტყოდა: „მოვალეობა უფალ ღმერთს დაუტოვეთ“-ო. მთელი დღე ცოლქმრობის საშინელ ინსტიტუტზე მსჯელობდა; იფიცებოდა, ამ საძულველი ტვირთისგან გავთავისუფლდებო; ორივე ქალს ემუქრებოდა საყვარელს მოვიყვანო.

როცა მარტო რჩებოდნენ, ქალები ნალვლიანად საუბრობდნენ. „აჰ, — ეუბნებოდა ოგასტა ანაბელას, — ვერ წარმოიდგენთ, როგორ ვალმერთებდი“. ანაბელამ ეს იცოდა და ზოგჯერ ნალვლიანი სიმწარით აგრძნობინებდა კიდევ, რაც თანამოსაუბრის მოუსვენრობას იწვევდა. მერე საუბარი ნაკლებ სახიფათო თემებზე გადადიოდა. აბა, ამაზე ლაპარაკი რალა საჭირო იყო? ოგასტა ახლა ერთადერთი არსება იყო, რომელიც მასსა და მის შიშს შორის იდგა. ამ ქალურ გულგაშლილობას, გადაჩურჩულებებს უცბად რომ წყდებოდა, როცა ბაირონი გამოჩნდებოდა, ის წონასწორობიდან გამოჰყავდა. გარდა რძალ-მულისა, სახლში ცხოვრობდა ტიტულის მემკვიდრე ჯორჯ ენსონ ბაირონი, რომელიც ოგასტამ მოიწვია სუსტი არსებების დასაცავად, და კიდევ მისის კლერმონტი, ანაბელას აღმზრდელი. ბაირონი დარწმუნებული იყო, ანაბელა ამ არსებას აქ იმიტომ აჩერებდა, მისთვის რომ ეთვალთვალა. მისი მაგიდის უჯრებიდან

წერილები იკარგებოდა. ხედავდა, ფარულად როგორ უთვალთვალებდნენ, როგორ ამონებდნენ მის ყოველ გამოხედვას. გიჟად ხომ არ მიაჩნდათ?

ანაბელა მართლაც იხრებოდა ამ აზრისკენ. აბა, გიჟი თუ არ იყო, როგორ შეეძლო უდანაშაულო ქალი სძულებოდა? აქ კიდეც, ეს დაშტერებული მზერა. „განა არ შეგიმჩნევიათ, — ეუბნებოდა ანაბელა ოგასტას, — ქვეშ-ქვეშ, თავდახრილი როგორ იყურება... ავადმყოფობის ერთ-ერთი სიმპტომია, რომელიც მეფეს აღმოუჩინეს, როცა ჭკუიდან შეიშალა“. ერთხელ თეატრში, ლოჟაში იჯდა და საკუთარ თავს დაუნყოფა ლაპარაკი. იქნებ, ეს ლაუდანიუმის მოქმედების შედეგია? ნალველი? ანდა შეუგნებელი ბუტბუტი პოეტისა, რომელიც საჭირო ფრაზას ეძებს? ორივე ქალმა და ჯორჯ ბაირონმა ერთმანეთს გადახედეს. რაც უფრო მეტად ამჩნევდა, რომ უთვალთვალებდნენ, მით მეტად ცეცხლდებოდა. ბიძაშვილმა ჯორჯმა ლედი ბაირონს ურჩია, სახლიდან წადიო. „თუ ამას არ გააკეთებთ, — უთხრა მან, — იძულებული ვიქნები მამათქვენი გავაფრთხილო“.

ბავშვი 10 დეკემბერს დაიბადა; გოგონა იყო და არა მემკვიდრე, რომელიც ასე უნდოდა ბაირონს. ჰობზაუზმა ბავშვის სანახავად შეიარა. კორსარი ოჯახის მამის როლში, — თავშესაქცევი სანახაობაა. „ბაირონთან ვიზიტი. ბავშვის სანახავად მივედი, ოგასტადა; ადა — ქალის სახელია, რომელიც ცოლად რომელიღაც მის წინაპარს გაჰყვა მეფე იოანეს ზეობის ხანაში“. პიკადილი-ტერასიდან ჰობზაუზი ჰოლანდ-ჰაუზში წავიდა სადილად და მაგიდასთან მის მეზობლად კაროლინა ლემი აღმოჩნდა; ქალი მშვენიერ ხასიათზე იყო. იმ საღამოს ასეთ საკითხზე მსჯელობდა: „რას ფიქრობენ ადამიანები იმ დროს, როცა ლაპარაკობენ“. სულელი ქალი არ იყო ლედი კაროლინა. ჰობზაუზი ლედი კაროლინას უყურებდა და ფიქრობდა, რა სწრაფად ივინყებენ ადამიანები ყველაფერსო. როგორც ეტყობა, ეს ქალი ბედნიერია; გვერდით დედამთილი უზის და ქმარი, რომელიც ძალიან ნაზად ექცევა, — ამ დროს კი, უბედური ბაირონი, გაავებული, კუთხიდან კუთხეს აწყდება თავის გალიაში, პიკადილი-ტერასზე. უცნაური ხუმრობაა ცხოვრება.

ჰობზაუზის დღიური: „თუ მთელი სამყარო მხოლოდ სიბინძურის ნაწილია, მაშინ ერთადერთი რამ, რაც მაინტერესებს ის არის, რომ მე ვარსებობ ამ ნაწილზე და რაც

შემიძლია, ყველაფერი უნდა გავაკეთო საკუთარი თავისთვის, ჯერჯერობით კი ეს ყველაფერი ასე გავრძელებ“.

28 დეკემბერს ანაბელამ დედისგან წერილი მიიღო, რომელიც ყველას კირკბიში ეპატიჟებოდა, მის ახალ ციხე-დარბაზში. ბაირონს წასვლა არ უნდოდა, მაგრამ რატომ არ უნდა ესარგებლა იმ საშუალებით, რომელიც ამ ტვირთისგან გაათავისუფლებდა? 9 იანვარს ლედი ბაირონის ოთახში თქვა, განზრახული მაქვს, ჩემს სახლში ვიღაც აქტრისა ჩავასახლოო. მერე სამი დღე არ შესულა არც ანაბელასთან და არც ბავშვთან. 6-ში ანაბელამ წერილი მიიღო: „როდის აპირებთ ლონდონის დატოვებას? სასურველია, თქვენი გამგზავრების დღე წინასწარ იყოს ცნობილი და /შედლებისდაგვარად/ არც ისე შორი. ამაზე ჩემი აზრი იცით, ის მდგომარეობაც, რამაც იგი ჩამოაყალიბა, ასევე ჩემი გეგმებიც, უფრო სწორად, მომავალში რაც მაქვს განზრახული. როცა სოფელში იქნებით, უფრო დანვრილებით მოგწერთ. რადგან ლედი ნოელი კირკბიში გინვევთ, შეგიძლიათ ახლავე გაემგზავროთ, ცხადია, თუ სიჰემში წასვლას არ ამჯობინებთ. რადგან ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ჩვენი ახლანდელი მსახურებისგან გათავისუფლება, ამიტომ რაც უფრო სწრაფად მიიღებთ გადაწყვეტილებას, მით უკეთესი იქნება, — თუმცა, თავისთავად იგულისხმება, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, რაც თქვენთვის სასიამოვნო და მოსახერხებელი იქნება. ბავშვს, ცხადია, თქვენ წაიყვანთ“. ანაბელამ მეორე დღესვე უპასუხა: „ვემორჩილები თქვენს სურვილს და უახლოეს დღეს დავასახელებ, როგორც კი მდგომარეობა ლონდონიდან გამგზავრების შესაძლებლობას მომცემს“.

ანაბელას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბაირონი შეიშალა და ამ შემთხვევაში მისდამი ღრმა ზიზღის ფორმა მიიღო, ამიტომ გამგზავრება თავის მოვალეობად მიიჩნია. თავის ექიმ ბელის და ბაირონის ექიმ, მისტერ ლემანს დაეთათბირა. მათ უთხრეს, რომ ავადმყოფობის არსი უახლოეს ხანში გახდება ნათელი და კირკბიში ბაირონის ჩამოსვლა მაშინ იქნება შესაძლებელი, ისიც მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ. ასევე ურჩიეს, ყველაფერს მოერიდო, რასაც მისი გაღიზიანება შეუძლია, მხიარული და ალერსიანი წერილები მოსწერეო.

გამგზავრების წინადადება ბაირონს დამშვიდობების ნება სთხოვა. ანაბელას ხელში პატარა ადა ეჭირა. ბაირონმა ის ცივად მი-

ილო. ბოლო ღამე ანაბელას კარგად ეძინა, მაგრამ დილით მაინც დაქანცული ადგა. ეტლი სახლის შესასვლელთან ელოდა. ანაბელა კიბეზე დაეშვა. ბაირონის ოთახის კარნინ დიდი ფეხსანმენდი ეგო, რომელზეც ბაირონის ნიუფაუნდლენდს ეძინა. ანაბელას მოუნდა თვითონაც იატაკზე დაწოლილიყო და მას დალოდებოდა — ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა და ქალმა ოთახს ჩაუარა.

პირველივე საფოსტო სადგურიდან ბაირონს მოსწერა:

„ჩემო ძვირფასო, გოგონა მშვენივრად გრძნობს თავს და მოგზაურობას ჩინებულად იტანს. იმედი მაქვს, თავს გაუფრთხილდებით, გაიხსენებთ ჩემს თხოვნას და ჩემს სამედიცინო რჩევებს. თავს ნუ დააკლავთ ლექსების წერის საშინელ ხელობას, ნურც ბრენდს მოაკვლევინებთ თავს, ნურც ნურავის და ნურც ნურაფერს, რაც წესითა და კანონით გონივრული არ იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ურჩობა გამოვიჩინე და წერილს გწერთ, მაინც მოგვაქციეთ ყურადღება კირკბიში. სალამი ადასგან და ჩემგან“.

მეორე დღეს კირკბიდან:

„ჩემო ძვირფასო დუცკ, გუშინ სალამოს მშვიდობიანად ჩამოვედით; სასტუმრო ოთახის მაგივრად სამზარეულოში მიგვიღეს; საკმაოდ სასიამოვნო შეცდომაა დამშეული ადამიანებისთვის. მამა აპირებს ამ შემთხვევის გამო სასაცილო მოთხრობა გამოგიგზავნოთ. მას და დედას ძალიან უნდათ მთელი ჩვენი ოჯახი მალე ერთად ნახონ... ბაირონი რომ არ მენატრებოდეს, სოფლის ეს ჰაერი ძალიან მომიხდებოდა. ისს მიანიხ, რომ გადიამ ბავშვს უფრო მეტი უნდა აჭამოს. სუქდება. კიდევ კარგი, მოფერებას ვერ იგებს, რალას არ ეძახიან — „პატარა ანგელოზი“ და კიდევ ბევრ რამეს. მომიკითხეთ ძვირფასი გოგოსე; ასევე თქვენც მოგიკითხათ ყველამ, ვინც აქ არის. მარად თქვენი უსაზღვროდ მოყვარული იპპინ... იპ... იპ“.

XXV

„ვერ კიდევ ერთი წლის წინ, ძვირფასო მეუღლევ ჩემო...“

ექიმები დარწმუნებული იყვნენ, რომ ცოლის გამგზავრებისთანავე ბაირონი დამშვიდდებოდა. ოგასტა და ჯორჯ ბაირონი, რომლებიც ისევე მასთან ცხოვრობდნენ, ხედავდნენ, რომ იგი მაინც ძალიან ალგზნებული იყო. ოგასტა თავის რძალს ყოველდღე

უგზავნიდა ცნობებს:

„ბაირონი გუშინ სალამოს სახლში იყო — ბრენდი არ იყო; წამალს სვამდა. სალამოს არა უშავდა რა, მაგრამ ბოლოს ძნელი ასატანი გახდა. ჯორჯმა ჰკითხა, როდის ნახვალ კირკბიშიო, მან უაზრო სახით უპასუხა: „ნავალ? არა! ამაზე არც კი ვფიქრობ; თუ შესაძლებელი იქნება, თავს ავარიდებ!“ მერე უცნაურ ამბებზე დაიწყო ლაპარაკი — მე დამესხა თავს, როგორც ყოველთვის, ჩემს ქმარსა და შვილებს დაუწყო ლანძღვა — მოკლედ, ყველაფერი ისევე მოხდა, რაც თქვენ იცით და რაც ასჯერ მოგისმენიათ...“.

„ძნელი ასატანი“, — თავის ძმაზე ისე ამბობდა ოგასტა, როგორც საკუთარ შვილზე ლაპარაკობს დედა. ოგასტა მას ისე ექცეოდა, როგორც ბუნების სასწაულს და არა ისე, როგორც ცოცხალ არსებას. იქნებ ამიტომაც უყვარდა ბაირონს იგი.

იმ დროს, როცა მწამებელი და ტირანი ბაირონი პიკადილში თავის სტუმრებზე მბრძანებლობის ფორმებს ეძებდა, კირკბიში მისი ბედი წყდებოდა. როცა ლედი ბაირონი მშობლებთან ჩავიდა, მისი ცნობა შეუძლებელი იყო; მრგვალი ლოყები, რისთვისაც პიპინს /საადრეო ვაშლს/ ეძახდნენ, ჩავარდნოდა და გაფითრებოდა. უძილობა სჭირდა. ფიქრები, შიში, ეჭვი ციებცხელებიანის ფხიზლობის მდგომარეობაში აგდებდა. თუ საკუთარ თავს უცოდველად მიიჩნევდა, მაშინ ბაირონის დანაშაული უნდა ელიარებინა. რა ექნა? რა ეთქვა? მას ბაირონი უყვარდა. მისი გადარჩენა უნდოდა. მოთმინების გამოჩენა მეტისმეტად დოგმატური ჩანდა, არადა, მისი ქცევები, შეხედულებები თავზარს სცემდა. მაგრამ ის გიჟი იყო, ამის გამო შეწყნარებას იმსახურებდა და მისი მკურნალობა იყო საჭირო. აქ უკვე მოვალეობის იდეას შეეჯახა და როგორც კი მოვალეობის აბსტრაქტული გაგება დაემთხვა მოცემულ პრობლემებს, ანაბელამ თავი უკვე მყარ ნიადაგზე იგრძნო.

მშობლები მისი გარეგნობით ისე იყვნენ შეშინებულნი, რომ ანაბელა იძულებული გახდა მათთვის ცოტა რამ მაინც ეთქვა, მაგრამ თავის ეჭვებზე მულის მიმართ კრინტი არ დაუძრავს. სერ რალფი აღმფოთებული იყო. „ვერ წარმოიდგენთ, — სწერდა ანაბელა ოგასტას, — რა მკაცრია მამაჩემი, დედაჩემზე მკაცრია“. მაგრამ, მას შემდეგ, რაც მშობლებს აუხსნა, რომ მისი ქმარი ავად იყო, ბაირონს ყველაფერი მიუტევს და დაჟინებით მოითხოვს სამკურნალოდ მისი კირკბიში ჩასვლა. „ვერ წარმოიდგენთ იმ დიდ მზრუნველობასა და იმ მზურვალე სურ-

ვილს, რომ ამ საცოდავ კაცს ყველაფერი გაუკეთონ, რაც შესაძლებელია. დედაჩემი მშვიდად არის, თუმცა ძალიან დანაღვლიანებულია... მამაც და დედაც მიიჩნევენ, ყოველმხრივ უკეთესი იქნება, თუ ბაირონი ჩამოვა. ამბობენ, კარგად მოვეუვლითო და ახლა, როცა მათთვის უკვე ცნობილია, რაც მოხდა, მისი სევდის მიზეზებზე აღარც არაფერს ჰკითხავენ და არც შეანუხებენ თავიანთი საქციელით... რომ გადაწყვიტოს და ჩამოვიდეს, მასზე ზემოქმედება მხოლოდ მემკვიდრის მეშვეობითაა შესაძლებელი“. ბაირონს არაერთხელ უთქვამს, რომ განზრახული აქვს ცოლთან ურთიერთობა გააგრძელოს მანამდე, ვიდრე ვაჟი არ გაუჩნდება, /თუნდაც იმისთვის, რომ ჯორჯ ენსონისთვის ეწყენინებინა/ და მერე კონტინენტზე წავიდოდა.

ასეთი იყო პირველი დღეები. მაგრამ, იმისდა მიხედვით, რაც ნელ-ნელა მჟღავნებოდა, რა ცხოვრებითაც ცხოვრობდა ანაბელა ბაირონთან, მშობლების აღშფოთება იზრდებოდა. ლედი ნოელი, რომელსაც მუდამ მოქმედება სწყუროდა, ითხოვდა, ლონდონში წავიდეთ, იურისტებთან საკონსულტაციოდო. თვით ანაბელას კი პიკადილიდან მოსულმა ამბებმა თავგზა აუბნია. როგორც ჩანდა, მისი მოსაზრება ავადმყოფობის შესახებ არ მტკიცდებოდა. ექიმი ლემანი წერდა: „რაც შეეხება ჩემი ავადმყოფის გონებრივ მდგომარეობას, უნდა ვთქვა, რომ ვერაფერი ვნახე ისეთი, რაც ნამდვილ შეშლილობაზე მიგვანიშნებს. უკიდურესი გაღიზიანება, ეტყობა, შედეგია ღვიძლისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების არასწორი მუშაობისა, და რომ, არასწორი მკურნალობის შედეგად, შეიძლება შეშლილობაში გადაზრდილიყო, თუმცა, როგორც მგონია, ძნელი არ არის ამ ყველაფერს ბოლო მოეღოს“.

მაშინ, თუ იგი საღ გონებაზეა, მისი ქცევები მისატყვებელი არ არის, და ლედი ბაირონის ღვთისმოსაობა, ისევე, როგორც სიამაყე, ასეთ შემთხვევაში მძიმე, მაგრამ აუცილებელ გამოსავალს კარნახობდა. მისი აზრით, მინიერი ცხოვრება მხოლოდ უკვდავებისთვის მოსამზადებელი ჟამია. ამიტომ სამართლიანად არ მიაჩნდა ეს ცხოვრება მსჯავრდებულთან გაეტარებინა, რომელიც მარადიული ტანჯვისთვის სწირავდა. და განშორების გარდაუვალ გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, რაც სასონაკვეთაში ადებდა.

ლედი ნოელი, პირიქით, ლონდონში იყო და მედიდურობის იმ სასიამოვნო გრძნობას

განიცდიდა, რომელიც სატრფიალო თავგადასავლებისგან გამოთავისუფლებულ მოხუც ქალებს აქვთ, როცა ამისგან ახალგაზრდებსაც ათავისუფლებენ. მან რჩევები სახელგანთქმულ კანონმცოდნე სერ სამუელ რომილისგან მიიღო, გარდა ამისა, ელაპარაკა ახალგაზრდა, ბრწყინვალე ადვოკატ ლესინგტონს: „ეს ადამიანი — სრულყოფილი ჯენტლმენია; არასოდეს მინახავს ასეთი ნათელი და ბრწყინვალე გონება. იგივე აზრი აქვს, როგორც სხვებს, სახელდობრ, მამათქვენმა მეგობრული შეთანხმება უნდა შესთავაზოს. დარწმუნებული ვარ, ლორდი ბაირონი წინააღმდეგი არ იქნება... თუ არადა, ლესინგტონი მიიჩნევს, რომ საქმეს საეკლესიო სასამართლო გაარჩევს და გაყრის ნებას დართავს უხეში და მკაცრი მოპყრობის მიზეზით“. როცა ქალიშვილის გადანყვეტილება შეიტყო, მოინონა.

2 თებერვალს სერ რაღფმა ბაირონს წერილი გაუგზავნა და განქორწინება შესთავაზა. ეს წერილი მისის ლიმ ჩაიგდო ხელში და ისევ უკან გაგზავნა, იმ იმედით, რომ იქნებ ეს საბედისწერო გადაწყვეტილება თავიდან აერიდებინა. მაშინ სერ რაღფი თვითონ ჩავიდა ლონდონში და მეორე წერილი ბაირონს ხელიდან ხელში ჩააბარა. წერილით აუწყებდნენ, რომ მისი ცოლის მშობლები უმართებულოდ მიიჩნევენ ანაბელას ქმართან დაბრუნებას და მოითხოვდნენ პასუხი შეეტყობინებინა თავისი რწმუნებულისთვის. ბაირონი გაოცებული დარჩა და უკიდურესად შეძრწუნდა. მას ანაბელას ორი წერილი ჰქონდა გამგზავრებისას დანერგილი, ისეთი ნაზი წერილები იყო. მამ, რალა მოხდა? ვერ დაიჯერა, რომ ეს გადანყვეტილება ლედი ბაირონმა მიიღო. რატომ მიატოვა ანაბელამ? კი, მისი ქცევების გამო იტანჯებოდა, მაგრამ ხომ აპატიო... ოგასტა? ისე ჩანდა, რომ რძალ-მული ახლა მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. შეიძლება, უცნაურ სიამოვნებასაც გრძნობდა იმ რალაც მინიშნებებში, რომლებიც გულუბრყვილო გაუგებრობად მიაჩნდა, მაგრამ ამის გარდა რა დამამტკიცებელი საბუთების წარდგენა შეეძლო ლედი ბაირონს, — მაგრამ მათ ქორწინებამდე დიდი ხნით ადრე ხომ ყველაფერს ბოლო მოუღო?

უაზრობაა, ამგვარად მიატოვოს ქალმა! როცა ანაბელა მის გვერდით იყო ღიზიანდებოდა, შეეძლო განქორწინებაზე ფიქრით თავი შეექცია, მაგრამ თვით ფაქტმა უკვე შეაძრწუნა. სანტიმენტალური ქამელეონი, ის ახლა მხოლოდ თავიანთ ბედნიერ წუთებს იხსენებდა. ჯერ კიდევ წინააღმდეგ, ლედი

მელბურნთან სტუმრობისას, დითირამებს უმღეროდა ცოლს და მთელ საათს მის შესანიშნავ თვისებებზე ლაპარაკობდა.

ბაირონი — ლედი ბაირონს: „ყველაფერი, რაც შემოიღია ვთქვა, მგონი ამაოა და ეჭვი არ არის ისიც, რაც შემედლო მეთქვა და მაინც, იმედის ნამსხვრევებს ვეჭიდები, ვიდრე სამუდამოდ არ გამქრალა. ნუთუ ჩემთან ბედნიერი არასოდეს ყოფილხართ? განა ეს არასოდეს გითქვამთ? განა ორმხრივად არ გავგიმჟღავნებია სინაზე და სიყვარული, ძალზე თბილი და თანაზიარი? განა ეს თითოეთმის ყოველდღე არ მჟღავნებოდა თითოეთულ ჩვენგანში, ხშირად კი ორივეში?..“.

ეგონა, ანაბელას, ამ მოწოდებით გულს აუჩვილებდა. ფლეტჩერის ცოლი მაშინ ლედი ბაირონს ახლდა და მოწმე შეიქნა ანაბელას სასოწარკვეთისა. ოღონდ ეგ იყო, რომ ანაბელამ ახლა უკვე იცოდა, ბაირონთან ცოლქმრული ცხოვრება შეუძლებელი იყო, მან კი, ბაირონმა, ვერ გაითვალისწინა, მხედველობიდან გამორჩა ერთი არსებითი ელემენტი — ანაბელას რელიგიური სიმტკიცე. არ სჯეროდა, რომ ქალი შეიძლება გულქვა და შეუბრალებელი აღმოჩენილიყო. მაგრამ ასეთი როგორ არ უნდა ყოფილიყო, როცა ღვთაებრივი შთაგონების წყალობით, საკუთარი მსჯელობების უცოდველობის სწამდა — და არა საკუთარი გონების სიძლიერის? „მიმაჩინია, — სწერდა ანაბელა მისის ლის, — რომ ჩემი მოვალეობაა ისე მოვიქცე, როგორც გადავწყვიტე“. ბაირონმა მთელ თავის მომხიბლელობას, სიკეკლუცეს, სიტყვასა თუ ბავშვურობას მისცა გზა: „ჩემო ძვირფასო პიპ, არ შეგიძლიათ ეს ყველაფერი როგორმე მოაგვაროთ? ამ ამბის გამო ავად გავხდი“. მერე, როცა დაინახა ანაბელას ქედუხრელობა, ბაირონს სძლია მისმა შმაგმა ხასიათმა და სულელური ნაბიჯი გადაადგმევინა. ქალს მისგანვე მოწერილი ერთი წერილი გაუგზავნა, სადაც ამბობდა: „მეტისმეტად ბედნიერი ვიქნები — უკან დახევა არ იქნება“. ბაირონმა ამ სიტყვებს ხაზი გაუსვა, არშიაზე კი მიანერა: „ამხდარი წინასწარმეტყველება. თებერვალი, 1816“; ქვევით დანტედან ამოღებული სამი სტრიქონი დაუმატა:

რ ნონ ტუ საი ცომ'ე ფატტა ლა დონნა...
ვვილუპპა პრომესე-გიურამენტი;
*Chetutta spar gonpoi per l'ar iae venti*¹⁵⁹.

159. „ტყუობა, არ იცი, როგორი არის ქალი... აღთქმასა და ფიცში გულუხვია; მაგრამ ქარის ერთი დაქროლა და წამს იფანტება ის ყოველივე“.

ეს ახალი ამბავი ლონდონში სწრაფად გავრცელდა. უამრავმა ექიმმა, ადვოკატმა და მსახურმა იცოდა ამის შესახებ. მერე წამება დაიწყო, ცნობისმოყვარე მეგობრების კითხვები, რჩევები. ცხადია, ეს ყველაფერი მის გადასარჩენად ხდებოდა.

„ძვირფასო ბაირონო, — სწერდა ლედი მელბურნი, — თქვენზე ისეთ ამბებს ყვებიან, რომელიც მთელ ლონდონს უტყუარად მიაჩნია, ამიტომ აუცილებელი მგონია თქვენ ეს იცოდეთ. ამბობენ, რომ თქვენ და ანაბელა დაშორდით. ჩვეულებრივ, როცა ასეთი უაზრო ჭორები დადის, ყველაზე უკეთესია ყურადღება არ მიაქციოს კაცმა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამაზე ყველგან ლაპარაკობენ და ყველას სჯერა, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა; ამიტომ ასე მგონია, ანაბელას დაბრუნება უნდა სთხოვოთ ან თვითონ ნახვიდეთ მასთან“. ლედი კაროლინა იდუმალად ზეიმობდა და „ცოდვილის რჩევებს“ მზრუნველად სთავაზობდა.

შემფოთებული ოგასტა ძმას ურჩევდა, ბედს დაემორჩილეო: „ასე მგონია, — ამბობდა ოგასტა, — თუ ფულადი მხარე მათთვის მისაღები იქნება, მას/ბაირონს/ გაუხარდება კიდევ, თუ საზოგადოებრივ სკანდალს თავს აარიდებს. მას ეს ამბავი ძალიან შეაწუხებს, ძვირფასო მისტერ ჰოჯსონ, არ შეიძლება, არ შეაწუხოს“. ბაირონი ცდილობდა მეგობრები დაემშვიდებინა: „ვფიქრობ და ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ამაზე ახლა, ამ მწარე ისტორიის განვითარების ჟამს ვილაპარაკო, რომ ამქვეყნად არ არსებობს სხვა არსება, უფრო სრულყოფილი, უფრო გონიერი, უფრო კეთილმოსურნე, ალერსიანი და საყვარელი, ვიდრე ლედი ბაირონია. ვიდრე ერთად ვცხოვრობდით, უმცირესი მიზეზიც არა მქონია რამეზე მესაყვედურა“. ბაირონი ირწმუნებოდა, რომ მთელი ამ სიავის მიზეზი მისი ავადმყოფური მდგომარეობა იყო, რომელმაც უკიდურესად გაღიზიანებულ ადამიანად აქცია, ძირითადად კი, ლედი ბაირონის დედას, ლედი ნოელს აბრალებდა, ვძულვარო.

როცა ნათელი გახდა, რომ ვერც ბაირონმა და ვერც მისმა მეგობრებმა ანაბელას მოტეხვა ვერ შეძლეს, სცენაზე მხოლოდ რწმუნებულებილა დარჩნენ. ბაირონის ინტერესებს ჰანსონი იცავდა. ის ამტკიცებდა, მისი კლიენტი აღიარებს, რომ პიკადილიტერასში ცუდად იქცეოდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს უკვე აპატიეს წერილში: „ეარესტ უცკ...“. მისი მოწინააღმდეგე, დოქტორი ლესინგტონი, ერთი პასუხით შემოიფარგლა, რომ ლედი ბაირონისგან მეტად სერიო-

ზული ფაქტები იცოდა, რის გამოც შერიგება შეუძლებელიაო. ჰანსონმა ჰკითხა, ეს ბრალდებები რაში მდგომარეობსო. უპასუხეს, მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოაქვეყნებენ, თუ საქმე სასამართლოს გადაეცემაო. ლესინგტონს, მართლაც ჰქონდა ანაბელას შედგენილი მემორანდუმი, სადაც მეთოდურად, პარაგრაფებით, დანომვრით, ამ მისთვის ყველაზე დიდი ტრაგედიის დროსაც კი „პარალელოგრამების პრინციპსად“ რჩებოდა, გადმოცემული იყო თავისი გადანყვებილების საიდუმლო მიზეზები.

ერთგული და არადიპლომატი ჰობზაუზი ლედი ბაირონზე საშინლად იყო აღმფრთხილებული. მან კარგად იცოდა თავისი მეგობრის ექსცენტრული ჩვევები და იმასაც ხვდებოდა, ეს პრიმიტიულად თავშეუკავებელი არსება რა მდგომარეობაში შეეძლო ჩაეგდო ცოლქმრული ცხოვრების მოწყენილობას, ამიტომ ამ უთანხმოების ნამდვილი მიზეზები ნათელი იყო. ცხადია, ბაირონი, როგორც ხშირად ემართებოდა ხოლმე, უხეში იყო, თავქეიფა და გაღიზიანებული. ლედი ბაირონმა საკუთარი თავი სიძულვილის ობიექტად წარმოიდგინა, თავიც დაირწმუნა ამ სახიფათო აზრის სიმართლეში. „რა დანაშაული აქვს ბაირონს? — მკაცრად სწერდა ჰობზაუზი, — გვიან დგებოდა, მართო სადილობდა და დიდხანს იყო ცუდ ხასიათზე?“ როცა სისხლის აღრევაზე ჭორმა მის ყურამდე მიაღწია, გავრცელებული ხმების გაბათილების მიზნით საბუთიც შეადგინა და ლედი ბაირონს სთხოვა ხელი მოანერეო:

ჰობზაუზის ტექსტი /7 მარტი 1816 წ./:
„ლედი ბაირონი ოფიციალურად აცხადებს, ერთადერთი მიზეზი ან საბაბი, რამაც ლორდ ბაირონთან განქორწინება აიძულა, ის არის, რომ დარწმუნებულია, მათი შემდგომი ცოლქმრული ცხოვრება, შეხედულებებისა და ჩვევების შეუთავსებლობის გამო, სულიერ ბედნიერებას ვერ მოუტანთ... ის ოფიციალურად და კატეგორიულად უარყოფს თავის მხრივ და თავისი ოჯახის მხრიდანაც, რომ არანაირი კავშირი არ აქვს იმ სკანდალებთან და ჭორებთან, რომლებიც ვრცელდება...“.

ლედი ბაირონმა ხელმოწერაზე უარი თქვა. მაშინ ბაირონის მეგობრებმა სხვა ტექსტი შეადგინეს. მას უკვე აღარ სთხოვდნენ დაედასტურებინა, რომ გავრცელებული ხმების არ სჯეროდა. მან მხოლოდ ის დაადასტურა, რომ ეს ჭორები მისგან არ მოდიოდა.

„9 მარტი 1816 წ. — ლედი ბაირონი აცხადებს, რომ არავითარ შემთხვევაში პასუხ-

ისმგებლობას არ იღებს იმ მოარული შეურაცხმყოფელი ხმების შესახებ, რომელიც ლორდი ბაირონის ქცევებზე და ხასიათებზე ვრცელდება საზოგადოებაში. ეს ხმები, დანამდვილებით, მისგან არ მოდის და არც ვრცელდება მისი და მისი ახლობლებისგან. ორივე ბრალდება, რომლებსაც მისტერ უილმოტი მოიხსენიებს, იმ პრეტენზიებში არ შედის, რომლებსაც, თუ განქორწინება მეგობრული შეთანხმებით არ დამთავრდება, აუცილებლად წარუდგენს ლორდ ბაირონს“.

ეს უფრო ნაკლებდამაკმაყოფილებელი იყო, ვიდრე ჰობზაუზის დოკუმენტი, მაგრამ მეტი რა უნდა ექნათ, ამით უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. რჩებოდა მხოლოდ ფულის საკითხები. სამწუხაროდ, მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო იგი ბაირონისთვის, რომელიც იმ დროს უგროშოდ იჯდა. ისე უჭირდა, მარისგან ჩეკიც კი მიიღო. ბოლოს ვეჭილები შეთანხმდნენ. ათასი ფრანკიდან, რომელიც ლედი ბაირონის მზითვი იყო, ქალმა ხუთასი მიიღო, მეორე ნახევარი ბაირონს დარჩა. ლედი ნოელის სიკვდილის შემდეგ, სასამართლოს, ცოლ-ქმარს შორის, ბიძია უენტვორთის მემკვიდრეობის შემოსავლებიც უნდა გაეყო. მაშ ასე, ბაირონმა, გარდა თავისი პირადი შემოსავლებისა, კიდევ ხუთასი ფუნტი მიიღო და დიდი იმედები.

პიკადილი-ტერასის სახლში ისეთი მოწყენილობა იყო, თითქოს ვიღაცა მომკვდარაო. დარბაზებში სასამართლო აღმასრულებლები ირეოდნენ და გაყიდვის წინ, წიგნებს ერთ ადგილზე აგროვებდნენ. 6 აპრილს აუქციონი შედგა. მარიმ წიგნების დიდი ნაწილი იყიდა და თეჯირებიც, რომლებზეც ბაირონს ჯექსონის, ანჟელოსა და კრივის ცნობილი შეჯიბრებების სურათები გაეკრა. ბაირონის ოთახში ყველგან წამლის შუშუბი ელაგა, ღვიძლის ტკივილისთვის რომ დაუნიშნეს. აქა-იქ დავინწყებული ნვრილმანი ანაბელას ახსენებდა. ამ სევდიან ატმოსფეროში ბაირონი თანდათან, ნელ-ნელა დამშვიდდა. ნესტიან, ბურუსიან კლიმატში აღზრდილი ზოგიერთი ადამიანივით ჯანმრთელად მხოლოდ ბურუსში და წვიმაში რომ გრძნობს თავს, ესეც ვერ იტანდა ბედნიერების მზეს. ანაბელა გაქრა. გაქრა, როგორც ედელსტონი, მეტიუზი, მარგარეტ პარკერი, როგორც მისი მ.ე.ჩ., როგორც უცნაური მისის ბაირონი, — ანაბელაც გასხლტა მისი ცხოვრებიდან. მან უკვე შეიძინა ის იდუმალი სიბლი, როგორსაც

ბაირონისთვის წარსულისა და სიკვდილის აჩრდილები ღებულობდნენ. მარტო იყო ამ დიდ სახლში, სალამობით აქეთ-იქით აწყდებოდა, სამუშაო მაგიდას მიუჯდებოდა და სასიამოვნო საათებს იხსენებდა, იხსენებდა ფიქრებისგან მეტისმეტად დამძიმებულ იმ თავს, რომელიც მოსვენებას მის მხრებზე ეძებდა ხშირად; იხსენებდა იმ პატარა გოგონას, რომელსაც, როცა მის გვერდით იყო, „ნამების იარალი“ უწოდა. ახლა კი, როცა აღარ ჰყავდა, ასე ძვირფასი გახდა მისთვის. ფურცელს იღებდა და წერდა, ნაწერს ცრემლით ასველებდა, ისევ ძალ-ღონის დაუძაბავად პოულობდა ცოცხალ და უბრალო რითმებს, რომლებიც მასში მწვავე ტკივილს ინვევდა:

„გემშვიდობები, მორჩა ყოველი,
ან მძვინვარებით გული აღივსო,
გული, მარადყამს ავის მგმობელი,
შენ არ გაგწირავს სამარადისოდ.

რომ შეძლებოდა ემხილა სევდა
ამ მკერდს, რომელზეც გეძინა შვებით,
რომელშიც გული უსიტყვოდ ძვერდა,
რომელსაც სული ათრობდა შენი.

რომ შეძლებოდა თვითონ ეამბნა
ამ მკერდს დაფარულ განცდათა ზღვაზე,
ახლა რა გითხრა — არის გვიანლა,
არ დამწიხლავდი, მწამს, მაშინ ასე.

დღეს შენს საქციელს არ გამოხს არავინ —
მოშურნეთ ცბიერ ღიმილს ენდობი,
ზეიმი იგი არს შემზარავი,
თუ გაიხარებ სხვის უბედობით.

დამძიმდა გული ცოდვებით სავსე,
და თუმც ამქვეყნად ბევრი ვიარე,
ველარსად ვპოვე მაგ მკლავთა მსგავსი,
რომ მიმუშებდა ხვევნით იარებს.

თავს ნუ იტყუებ, მე დამიჯერე,
სხვისას ნუ ისმენ ხოტბას თუ ქებას —
ჩვენ ხომ ჯერ გულიც კი ვერ ვიჯერეთ,
ჟამთა სვლით გრძნობის ცეცხლი
თუ ქრება.

თუმც შენს გულს ფარავს
ღვთიური ძალა,
ჩემიც სცემს ჯერაც —
მაგრამ გახსოვდეს,
მას ერთი ფიქრი აწვალეს მარად,
რომ ვერ შევხვდებით ველარასოდეს.

და ეს სიტყვები ისე იღვრება,
როგორც ცხედართან ცრემლი და
გლოვა,
ორივე ვცოცხლობთ —
თუმცა ქვრივებად
ვიღვიძებთ, როცა აისი მოვა.

და განუგეშებს ეულად მავალს,
რომ ჩვენი პირმო დაინყებს ტიტინს,
ნუთუ ასწავლი, წარმოთქვას „მამა“
და თან გაუძლოს ობლობის ტკივილს!

როს ხელს ჩასჭიდებ მის პანია ხელს,
ბაგეზე იგრძნობ მის წმინდა ამბორს,
გჯეროდეს, ისევ გადარებ ქალღმერთს,
მხურვალე ლოცვას მე შენთვის ვამბობ!

გაივლის დრო და არცთუ მთლად გვიან
დამემგვანება ასული, ვიცი,
გული დაგინყებს ფანცქალს და
ფრთხილს —
და ეს კი ნიშნავს, რომ არ ხარ სხვისი.

შეცდომა, იცი, ბევრი მომსვლია —
სიშმაგის დათვლა არ ძალუძს არვის;
ჩემი იმედი, როგორც თოლია,
დასდევნებია ჩრდილს შენი ანძის.

მტრად, იცი, მყავდა რჩეულთა დასი,
და შენ ერთს გთვლიდი
ერთგულ სამყაროდ —
ბოლომდე მასვი ხომ სიმწრის თასი,
რომ საბოლოოდ სულსაც გამყარო.

მორჩა, დამთავრდა ყოველი უკვე,
სიტყვებს გაუკრთათ უხვი ფერები;
მხოლოდ ფიქრები ვერ დავიოკე,
მათ მოძალებას ველარ ვერევი.

იყავ მშვიდობით, გახსოვდეს ოლონდ,
სიმწარე მარად ჩემი ხვედრია,
მტოვებ გათელილს და სულით ობოლს,
რაზეც სიკვდილი ოდნავ მეტია“.¹⁶⁰

ზოგჯერ ღვარძლი უჩნდებოდა. განსაკუთრებით მისის კლერმონტი სძულდა, რომელზეც არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობდა, რომ ის აქეზებდა ლედი ბაირონს, მიატოვე ქმარიო. მასზე ღვარძლიანი სატირაც დანერა.

საშინელი სატირა იყო; მოხუც

160. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა. ლექსის სათაურია „გემშვიდობები“.

აღმზრდელს გორგონას¹⁶¹ ადარებდა; საშინ-
ლად აღწერა მისი პერგამენტისებური სახე,
გაქვავებული თვალები, ხოლო ყვითელი
სისხლი მის კანქვეშ გაყინულ ჭუჭყად აქცია.
გადააჭარბა? ცხადია, მაგრამ მას საკუთარი
თავის დამორჩილება აღარ შეეძლო. ამ
ჭორების გამო თავს ჩიხში მომწყვდეული
ცხოველივით გრძნობდა. პოლიტიკური
წრეები, „კორსარის“ გამოჩენისთანავე თავს
რომ დაესხნენ, ისევ გამძვინვარდნენ და ხმა
აიმაღლეს. გაუფრთხილებელი იყო
ყოველთვის, და ახლაც ლექსები გამოაქვეყ-
ნა /ვითომ ფრანგულიდან თარგმნილი/, სა-
დაც ნაპოლეონი „თავისუფლების შვილად“
იყო აღიარებული, ხოლო ოდაში საპატიო
ლეგიონის ვარსკვლავზე წერდა: „მამაცთა
ვარსკვლავი, რომლის სხივებიც სულია
დაღუპულ გმირთა“. სამფეროვანი დროშა
შედარებული იყო „იმ ცისარტყელასთან,
რომლის ღვთაებრივი ფერები თავისუ-
ფლების ფერებად იყო არჩეული“. ჟურნალი
„ჩემპიონი“, რომელიც ლორდ ბაირონის
ლექსებს ბეჭდავდა, იუწყებოდა: „ვბეჭდავთ
იმიტომ, რომ ვაჩვენოთ თუ რა ზნეობრივი
თვისებები ახლავს კეთილშობილი ლორდის
პოლიტიკურ მრწამსს...“. ამ კამპანიას მო-
სახლეობის თვალში ინგლისის მტრად გამო-
ჰყავდა. მისი „უმანკო ცოლი, ასე მოკრძალებ-
ული და თავშეკავებული“ მთელი ბრიტანე-
თის სათნოების სიმბოლოდ იყო გამოყვანი-
ლი. თითქოს ყველას უხაროდაო, ის რომ
დამნაშავე აღმოჩნდა. ეს პოეტი, უზნეო,
ლიბერალი, ხეიბარი, ჭეშმარიტი ინგლისე-
ლი არასოდეს ყოფილა. „მეამბოხის როლს
თამაშობს და ოჯახის ყველა წესების
წინააღმდეგ ამხედრდა. მანამდე, ვიდრე მისი
ქცევა ლიტერატურული აფექტის ჩარჩოებ-
ში რჩებოდა, მხოლოდ ყველაზე მკაცრი ად-
ამიანები იყვნენ აღმფოთებულნი. მაგრამ,
როცა სკანდალი ფანტაზიის ზღვარს გასც-
და, პიკადილი-ტერასის ნომერ 13 სახლში,
საქმემ სხვა მიმართულება მიიღო“ — და სა-
შუალო კლასის აზრიც ბაირონის წინააღმ-

161. გორგონა — ბერძნულ მითოლოგიაში
ფრთოსანი ქალ-ურჩხული /სამი იყო/, აქედან
მხოლოდ ერთი — მედუზა — იყო მოკვდავი. მას
თავზე თმის მაგივრად გველები ეხვია. მისი
შეხედვა ყველა სულდგმულს აქვავებდა. მითები
იმასაც იუწყებიან, რომ მედუზას მოჭრილი
თავიდან დადენილი სისხლის წვეთები გველებად
იქცნენ; ამ გველებს კი საჭარის უდაბნო შეუქმ-
ნიათ აფრიკაში. გვიანდელ მითში იგი ულამაზე-
სი ქალია და ზღვის მეფე პოსეიდონის საყვარე-
ლი.

დეგ განეწყო.

როცა ლორდა პალატაში შედიოდა,
ზურგს უკან შეურაცხმყოფელ სიტყვებს აყ-
ოლებდნენ; სხდომებზე მასთან არავინ
ლაპარაკობდა, გარდა ლორდ ჰოლანდისა.
„ტორების“ გაზეთი მას ნერონს, ჰენრი VIII-
ს ადარებდა და თვით ემბაკსაც კი. როჯერ-
სი, მისი სადისტი მოძმე, თავის მოვალეობად
მიიჩნევდა შეეტყობინებინა ყველა სალან-
ძლავი სტატიის გამოქვეყნება. „დარწმუნებ-
ული ვარ, — ეუბნებოდა, როცა გაზეთით
ხელში ბაირონის ოთახში შედიოდა, — ამა-
შიც არის თქვენს წინააღმდეგ შეტევა, ნუ
მიაქცევთ ყურადღებას“. გაშლიდა გაზეთს
და ხმამაღლა კითხულობდა, დროდადრო
ბაირონს გადახედავდა, აინტერესებდა, რა
გავლენას ახდენდა მასზე ეს სტატია. ერთი
წერილი ასე მთავრდებოდა: „რაც შეეხება
ერთ პოეტუკას, ამ უსიამოვნოზე უსიამოვნო
სუბიექტს, მისტერ სამუელ როჯერსს...“.
როჯერსი ნამოხტა, გაზეთი გადააგდო და
თქვა: „ეს ის მამაძალი კროკერი უნდა
იყოს“. და ბაირონს ურჩია, დუელში გამოი-
წვიო.

ლიბერალურმა სალონებმა ბაირონის
დაცვა ვერ გაბედეს. მისი პირადი ცხოვრე-
ბა — ეს იყო მისი კასტისა და მისი დროის
ცხოვრება, მაგრამ მიუტევებელი შეცდომა
დაუშვა და ამისგან თავისი დიდება შექმნა.
ლედი მელბურნი ოდესღაც აფრთხილებდა
მისი ცინიზმის თაობაზე, ახლა ლედის მისი
გადარჩენა უკვე აღარ შეეძლო. ლედი
ჯერსეი, მამაცი მეგობარი, ეცადა დინების
საწინააღმდეგოდ სვლას, მეჯლისი მოაწყო
და ბაირონი და ოგასტა მიიწვია. მაგრამ და-
ძმა გამოჩნდა თუ არა, სასტუმრო ოთახი
მაშინვე დაცარიელდა. საბრალო ლედი
ჯერსეი! ვერც მისი სახის უნაზესი ფერი,
ვერც მარჯნის ყელსაბამი, ვერც მისი თვალ-
თა ციალი, ვერც გონებამახვილობა, ვერც
მისი მშვენიერი ხელები ვერ დაეხმარა იმ
დღეს სიძულვილზე გამარჯვებაში. იმის
გარდა, კიდევ ერთი ქალი მოიძებნა, ვინც
ბაირონთან და ოგასტასთან დალაპარაკება
გაბედა, — ეს იყო ნითელთმიანი, ლამაზი
ელფინსტონი. მამაკაცები შეუბრალებლად
უყურებდნენ, ზოგიერთი იქაურობას გაერ-
იდა ბაირონისთვის ხელი რომ არ ჩამოერთ-
მია. ბაირონი კუთხეში მიდგა, გულხელი
დაიკრიფა და ზიზღით გაჰყურებდა მისდამი
მტრულად განწყობილ ბრბოს, არც ერთი
მათგანის მოძრაობა არ გამოჰარვია. ამ სა-
ლამოდან უფრო მტკიცედ იგრძნო თავი.
„უცნაურია, მაგრამ მღელვარება, როგორც
უნდა იყოს იგი, მუდამ მამაცობას მმატებს,

მყარად მაყენებს ფეხზე, თუმცა ცოტა ხნით, მაგრამ, მაინც“. მისი უბედურების გრანდიოზულობა იმას აძლევდა, რაც სჭირდებოდა: შესაძლებლობას, ეთამაშა დიდი როლი, თუნდაც სატანური. მთელი საზოგადოებისგან იყო გარიყული — ამაში იყო რალაც თავისებური ხიბლი. თავისი შინაგანი სამოთხიდან გაძევებული, თავისი ქვეყნიდანაც განდევნილად მიიჩნეოდა თავს, რაც უფრო მტრული და უხეში იყო, ვიდრე ხმის მიცემა პალატაში. დაე, ასე იყოს. თუ ინგლისს არ სურს, რომ იგი ქვეყანაში დარჩეს, მაშინ ისევე მოგზაურობას ნამოიწყებს.

ყველა ცოცხალი არსებიდან, რომელთანაც იგი ამ გაძევებას უნდა განემორებინა, მხოლოდ ოგასტას დატოვება ენაწებოდა. აღდგომის კვირას, 14 აპრილს, მასთან გამოსამშვიდობებლად მივიდა. ოგასტას მშობიარობის დრო მოახლოვებოდა და ისიც სოფელში აპირებდა წასვლას. ნაღვლიანი საღამო გაატარეს, შეხვედრის ბოლოს ბაირონი პირველად ალაპარაკდა თავისი სინდისის ქენჯნაზე და ატირდა. მისის ლი სიქს-მაილ-ბოტომში გაემგზავრა თუ არა, ბაირონმა ანაბელას მისწერა და თავის დაზე მზრუნველობა მას მიანდო:

„კიდევ რამდენიმე ბოლო სიტყვა... ბევრი არ არის, მაგრამ ისეთია, ყურადღებას მიაქცევთ. პასუხს არ ველი, ამას მნიშვნელობა არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, თქვენ გამიგებთ. ოგასტასგან მოვდივარ, უკანასკნელი არსებაა, რომლის მიტოვებაც მაძულეთ... საითაც უნდა წავიდე — მე კი შორს მივდივარ — ჩვენ ერთმანეთს აღარ შევხვდებით, არც ამქვეყანად და არც იმქვეყანად... თუ რამე მომივა, ნუ დაივინებთ ოგასტას, თუ ისიც გაქრება — მაშინ მისი შვილები...“.

გამგზავრების წინა კვირა ახალი თავგადასავლებით იყო სავსე, რასაც, ცხადია, ქალის ადვილად ხელმისაწვდომობისადმი მისი ზიზღი არ გაუნელებია. ერთი ხანია, ვილაც უცნობი არ ასვენებდა და სასიყვარულო წერილებით უტყვდა. დასაწყისში წერილები გამოგონილი გვარით მოდიოდა. ბაირონის მსახურებმა ორჯერ უარი უთხრეს ვილაც უცნობ ქალს მიღებაზე. მერე უცნობმა ნამდვილი გვარითა და სახელით მოსწერა წერილი — კლერ კლერმონტი. რეკომენდაციას სთხოვდა დრურილეინის თეატრში. ბაირონმა ჯერ კინიარდს გაუგზავნა იგი. ქალი უფრო გაბედული გახდა: „გინდათ დამარწმუნოთ, რომ მხოლოდ ილუზია მაძიულებს ველოლიაო თქვენი სიყვარულის აზრს. მაგრამ, განა ის შეიძლება ილუზია იყოს,

როცა უკვე ერთი წელია, ყოველი წამი თქვენზე ფიქრით არის დაკავებული, როცა მარტო ვრჩები... იმედი არა მაქვს, რომ შემიყვარებთ; ღირსი არა ვარ თქვენი სიყვარულის... ასეთი გეგმა რომ შემოგთვაზოთ წინააღმდეგი ხომ არ იქნებით? ხუთშაბათს, საფოსტო დილიჯანსით, ლონდონიდან ათორმეტ მილზე წავალთ. იქ თავისუფლად ვიქნებით; თქვენზე არავის არაფერი ეცოდინება; მეორე დღით ადრინადა დავბრუნდებით...“. რამდენიმე დღის შემდეგ: „სად შევხვდეთ? როგორ და როდის? ორშაბათს იტალიაში მიდიხართ. მე კი — უფალმა იცოდეს, საით... ძალიან გთხოვთ, ალერსიანად მიპასუხეთ, სარკასტული გადახვევების გარეშე. თუ გართობა გინდათ, შემოდოლა დაგეხმაროთ, მოიქეცით ისე, როგორც გინებოთ. ყველაფერზე თანახმა ვარ; წინააღმდეგობას არაფერში გაგინევთ“. ბაირონი მოწყენილი იყო. გოგონა კი ახალგაზრდა; ხმაც ლამაზი ჰქონდა. ბაირონს ახალი „შეგრძნებები“ სჭირდებოდა, თავდავინებებს რომ მისცემოდა. და მასთან ღამის გატარებას დათანხმდა.

ეს დასასრული იყო. ბარგი გამზადებული ჰქონდა. მგზავრობისთვის დიდებული ეტლი შეიძინა, იმპერატორის ეტლის ასლი. მასთან ერთად მიემგზავრებოდა მოფილოსოფოსო ფლეტჩერი და ჭაბუკი მედიკი პოლიდორი, ედინბურგში რომ სწავლობდა მედიცინას. პოლიდორს საკუთარი თავი მწერლად მიაჩნდა. მარი ხუთას ფუნტს შეპირდა მოგზაურობის დღიურში, და ამანაც მაშინვე იყიდა სქელი რვეული. ბოლო დღეებში პოლიდორი სულ პიკადილიტერასზე იყო ატუზული. იქ იყო ნათანიც, ებრაელი მუსიკოსი, ბაირონმა რომ თავისი „ებრაული მელოდიები“ აჩუქა. ზოგჯერ ლი ჰანტიც შეივლიდა ხოლმე, ჰობჰაუზი კი ყოველდღე დადიოდა. კინიარდმა ნამცხვარი და ორი ბოთლი შამპანური მოუტანა წასალეზად. მერე ჰანსონიც გამოჩნდა, ლედი ბაირონი ვნახეო, უთხრა; ისე გამოიყურება, თითქოს აქ „ყველაფერი დამსხვრეული“ აქვსო, და გულზე აჩვენა. პოლიდორი, ხმაურისანი და გულუბრყვილო, ყველა მომსვლელის საუბარში ერეოდა, ყვებოდა დღიურზე, რომელიც უნდა დაენერა, და კიდევ იმ სამტრაგედიაზე, რომლებიც უკვე დაწერა. ჰობჰაუზს, ამ თავიდან ფეხამდე ინგლისელს, ეს უცხოელი ექიმი არ მოსწონდა. პოლი-დოლი შეარქვა და ბაირონს ეუბნებოდა, თანამგზავრად რომ მიგყავს ინანებო. საუბრები, ვიზიტები, საჩუქრები ოდნავ ალამაზებდა ამ ბოლო დღეებს და ნაღველს ოდნავ უქარვებ-

და. გამგზავრების წინააღმდეგ ბაირონმა ნებაყოფლობით გაყრის აქტს მოაწერა ხელი, არშიაზე კი ოთხხზიანი ლექსი მიანერა:

„ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ძვირფასო მეუღლე ჩემო, სიყვარულზე მეჩურჩულე-ბოდი. ო, რა ტკბილი იყო ეს ფიცი; და აი, ახლა გაირკვა რა ფასიც ჰქონია მას“.

ნათანმა იცოდა ბაირონს როგორ უყვარდა ბისკვიტები, და გაუგზავნა — სააღდგომო ორცხობილააო შეუთვალა, — მაშინ ებრაელთა აღდგომა იწყებოდა. 24 აპრილს, დილით ადრე, გაძევებულმა სახლი დატოვა, ერთი წლის წინ ფიქრობდა აქ ეპოვა თავისი მოხეტიალე ცხოვრების ნავსაყუდელი. ქუჩაში დოყლაპიათა ხროვა მის საიმპერატორო ეტლს გარს ეხვეოდა. ბაირონი სკრიპ დევისთან ერთად ეტლში ჩაჯდა, პოლიდორი და ჰობჰაუზი მეორე ეტლით გაჰყვნენ. საფრანგეთის მთავრობამ, საშიში პოლიტიკური შეხედულებების გამო, ვიზაზე უარი უთხრა, ამიტომ შვეიცარიაში რომ მოხვედრილიყო დუვრის, ოსტანდისა და ბელგიის გავლა მოუწევდათ. გამოვიდნენ თუ არა ლონდონიდან, პოლიდორმა მაშინვე წერა დაიწყო: „ტემზა თავისი დიდებული ტალღებით ქვევით მიექანება, თან მიაქვს უამრავი გემი...“. ჰობჰაუზმა ამოიხსრა და ეტლის კუთხეში მიიკუნჭა.

ფლექჩერმა, რომელიც პიკადილიდან თავის პატრონზე გვიან გამოვიდა და დუვრში დაენია, ამბავი ჩამოუტანა: სასამართლო აღმასრულებლები სახლში შეიჭრნენ და რაც ხელში მოხვდათ, ყველაფერი დაიტაცეს, ხელზე მიჩვეული ციყვის ჩათვლითო. გემი მეორე დღის დილით გადიოდა და ბაირონს დრო რომ გაეყვანა, თანამგზავრებს შესთავაზა ჩერჩილის საფლავი ვნახოთო.

ჩარლზ ჩერჩილი ორმოცდაათი წლის წინ ცნობილი სატირიკოსი იყო, და ბაირონივით ერთ სეზონზე, მცირე ხნით, კომეტასავით გაიელვა; მასაც თავისი „საუცხოო წელი“ ჰქონდა. მოხუცმა მესაფლავემ აჩვენათ მისი საფლავი — პატარა, მიტოვებული, ბალახმორეული ბორცვი, ნაცრისფერი ქვა რომ ედო. გამოჰკითხეს, — არაფერი ვიცი ადამიანზე, რომელიც აქ მარხია: „ჩემამდე დამარხეს, მისთვის სამარე მე არ გამოთხრია“-ო. მესაფლავის ამ ჰამლეტისებურმა ნათქვამმა ბაირონი აღაფრთოვანა და მისთვის საყვარელ ფიქრებში — დიდებაზე და წარმავლობაზე — ჩაიძირა. მეგობრებისა და გაცემული მოხუცის თვალწინ აბალახებულ საფლავზე მოკალათდა.

ინგლისში გატარებული ბოლო საღამო

პოლიდორის ტრაგედიის მოსმენას მიეძღვნა. ჰობჰაუზი და დევისი მთელი გულით ხარხარებდნენ. პოლიდორი ნაწყენი ჩანდა. ბაირონმა სერიოზულად და კეთილმოსურნედ გადაიკითხა ასე თუ ისე წარმატებული ადგილები.

დუვრში ცნობისმოყვარეობა მეტისმეტად დიდი იყო. ბევრმა ქალბატონმა მსახური გოგოს ტანსაცმელი გადაიცვა, შესაძლებლობა რომ ჰქონოდათ, შეუმჩნევლად შეპარულიყვნენ სასტუმროს დერეფნებში. მეორე დღეს, 25 აპრილს, ჰობჰაუზი ძალიან ადრე ადგა, ბაირონი ჯერ არ ჩანდა. ის თავის ოთახში ჩაკეტილიყო და ტომას მურს გამოსათხოვარ ლექსს უწერდა: „აგერ, გემი ზღვის მდუმარებაში, და ნავიც ნაპირთან მელიდება, ძვირფასო მურ; აი, აქედან, სადღეგრძელოს ვსვამ, ვისაც ვუყვარვარ, მათსას; და მტრის ჯინაზე გავიღიმებ. დაე, დამლუპოს ბედისწერამ, ხელს არ შევუშლი“.

მაგრამ აქ უნდა შეჩერებულიყო, რადგან გემის გაცოფებული კაპიტანი უკვე ყვიროდა, აღარ მოვიცდითო. აღუშფოთველი სკროპ დევისიც კი აღელდა. ბოლოს, სანაპიროზე ჰობჰაუზის მკლავზე ჩამოკონწიალებული, ხტუნვა-ხტუნვით მომავალი ბაირონიც გამოჩნდა; დევისს მის ელფინსტონისთვის გადასაცემი პაკეტი გაუნოდა; ვერგილიუსი იყო, ოდესლაც ჰაროუს სკოლაში რომ მიიღო ჯილდოდ, და დაუმატა: „უთხარით, ბედნიერება რომ მქონოდა და ისეთ ქალზე დავქორწინებულიყავი, როგორიც ის არის, ახლა სამშობლოს დატოვება აღარ მომიწევდა“. ხმაურმა და ალიაქოთმა ერთხანს მისი ყურადღება მიიქცია, მაგრამ გემბანზე ასვლისას, უბედური სახე ჰქონდა. ცოტა გვიან, ცხრა საათზე, გემზე ასასვლელი ასნიეს. ჰობჰაუზმა ხის ჯებირის ბოლომდე ირბინა. გემმა ჯებირს რომ ჩაუარა, ჰობჰაუზმა „საყვარელი ბიჭი“ დაინახა: ის გემბანზე იდგა. ბაირონმა კასკეტი¹⁶² მოიხადა და მეგობარს გამოსამშვიდობებლად დაუქნია. „ღმერთმა დაიფაროს, — გაიფიქრა ჰობჰაუზმა, — ეს ვაჟკაცური გონება და კეთილი გული“.

162. საფრანგეთში სამხედრო ფორმის ქუდი.

სისხლისგან დაცლილი გულის
მოგზაურობა

და აი, ისევ,
ტალღებზე ვარ ამხედრებული!
ისევ თამაშობს ჩემს ქვეშ ზვირთები,
როგორც მერანი, პატრონის მცნობი...

გაძევების მნუხარებამ ახალი ჩაილდ ჰაროლდი შვა. ასეთი დარტყმა, ასეთი სირცხვილი, ასეთი სიძულვილის მძლავრობა, ოგასტას განკიცხვა, მთელი ინგლისის მტრული განწყობილება, — ამ დრამაზე მეტისმეტად ბევრს ფიქრობდა; იმდენი იფიქრა, ვიდრე მისი ტვინი ერთ მთლიან „სიგიჟისა და ცეცხლის ქარიშხლად“ არ იქცა. სადმე მყუდრო თავშესაფარში სწყუროდა დამალვა, ოღონდ სულებით დასახლებულ განმარტოებულ ადგილზე, რომ შემოქმედებით მუშაობაში ჩაძირულიყო, „ეცხოვრა და თან ნამდვილი ცხოვრება შეექმნა“. ვინ იყო ჯორჯ გორდონ ბაირონი 1816 წლის იმ აპრილს? — არავინ. მგრძობიარე და ავი, ნაღვლიანი და მხიარული, წინდახედული, როგორც ვოლტერი, და ქარივით შემლილი...

„ვინ ვარ? — არავინ. მაგრამ აღარც შენ ხარ ისეთი, ფარული ფიქრებო ჩემო...“.

ისევ ბაირონად რომ ქცეულიყო, საჭირო იყო კვლავ ჰაროლდად გარდაქმნილიყო: მოგზაურობის თემა დაიწყებს მესამე სიმღერას.

იმ დროს, როცა პოეტური ნაღარის სიღრმეში შავი აზრები ღელავდა, უხილავი მუშა რომ ზელდა, ურევდა და მისთვის ფორმებს ეძებდა, ქედმაღალი და მხიარული ინგლისელი ჯენტლმენი ექიმ პოლი—დოლისთან მოგზაურობის მხიარული თავგადასავლებით ერთობოდა. ეს ახალი ბაირონიც, მოგზაურობის პირველსავე ეტაპზე /ოსტენდში/, როგორც ოდესღაც ვალენსიაში მამამისი, სასტუმროების მოახლე გოგოების გულის მურაზად იქცა. მარის ხუთასი ფუნტით მოხიბლულმა პოლიდორმა ბელგიაშივე დაიწყო თავისი დღიურების წერა: „ანტიკვრპენი. — კაფეში წავედი; ვნახეთ, ყველა როგორ თამაშობდა დომინოს და 28 აპრილის „თაიმსს“ კითხულობდა... ვან დეიკი, ჩემი აზრით, რუბენსს სჯობია. — ბრიუსელი — ერთადერთი ლამაზი ქალები ბრიუსელში ინგლისელები არიან. ქანდაკებებზე

უხამსობაა გამოფენილი; შადრევნებზე ამოქანდაკებული ადამიანთა სტატუეტები გულს ირევენ და წყლის ნაკადებს ანთხევენ; უფრო უარესიც...“. ბაირონმა, რომელსაც მუდამ აღელვებდა წარსულის ღრმა განცდები, არაფრის ხილვა არ ისურვა, გარდა ვატერლოოსი. იქ დაიმსხვრა მისი პატარა სამსხვერპლო. ბრძოლის წინ, ბრიუსელში ზოგიერთ მის მეგობარს ეძინა, ახალგაზრდებსა და მხიარულებს, მეორე დღეს კი სიკვდილი ელოდათ; აქ, უწყინარი ღედი ფრენისი, მოსალოდნელი სისხლის ღვრის დროს, უელინგტონს თვალებს უჭუჭუნებდა. „ზეიმის ხმაური შეიჭრა ღამეში. მერე კი — ქვემეხმა...“.

ვატერლოოში წასასვლელად ეტლი იქირავეს და ქვიშნარს გაუყვინენ, მერე „შეჩვენებულმა ბორბალმა, როგორც ჯერ არს, ტრიალზე საბოლოოდ უარი თქვა“. ექიმის ხელზე დაყრდნობილ ბაირონს კოჭლობით უნდა დაეველო ბრძოლის ველი; ექიმი ძვლებს ეძებდა; ფერმერმა ბაირონს კაზაკური ცხენი მიჰყიდა; ახლა ცხენზე ამხედრებულმა გააგრძელა დათვალიერება; ყვავილებიც ამოზრდილიყო უკვე, მინდორიც მოეხნათ. „ყოველ ნაბიჯზე კერპი და გულისგამანყალბელი ბავშვები რომ არ იდგნენ, ჯარისკაცურ ღილებს რომ გთავაზობენ, ბრძოლის ვერანაირ ნიშანს ვერ შეამჩნევდით“. ჰუმანობის სამლოცველოზე ბაირონმა და პოლიდორმა თავიანთი სახელები ამოჭრეს. ბაირონმა თანამგზავრს ბრძოლა აღუნერა და ფრანგები შეაქო. მერე განზე გავიდა, ფიქრებში ჩაიძირა. აი, ამ ბანალურ გარემოში, ერთ დღეს, ერთი უმშვენიერესი ადამიანური ბედისწერა ჩაესვენა. აქედან, ეტყობა, მოქმედებაც ისევე ამაოა, როგორც დიდება. „დაიპყრობ თუ დაკარგავ ამ სამყაროს — სულერთია, იგი არაფერი ღირს“. ერთადერთი სიბრძნე განმარტოებაა, მდუმარება, სიძულვილია. „მეტისმეტად მხურვალე გულს დასვენება ჯოჯოხეთად ეჩვენება“ — და აი, ბონაპარტი კონტინენტს იპყრობს, ბაირონი „ჩაილდ ჰაროლდს“ წერს, და ადამიანები ისე ღელავენ, აქე—იქით აწყდებიან იმ სიცხიანი ავადმყოფივით, სიგრილეს რომ ეძებს, და ეს სიგრილე არასოდეს მოდის, რადგან სიცხე თვით მასშია... საღამოს ბრძოლის ველი დატოვეს; პოლიდორი დუმდა, ცხენზე ამხედრებული ბაირონი მთელი ხმით მღეროდა თურქი მხედრის სიმღერას.

მათთვის საფრანგეთის საზღვრის კარი დაკეტილია; მაასისა და რეინის ხეობებით შვეიცარიაში გადავიდნენ. ბაირონის

საიმპერატორო ეტლი ღარიბების ყურადღებას იქცევდა. „მონყალება გაიღეთ, ბატონო ბატალიონის მეთაურო“. „ერთი სუ გვიბოძეთ, ჰანოვერის მეფევ!“ ეს ტიტულები ბაირონს ართობდა და სიხარულით აღავსებდა მისი ექიმის გულს. „მისი თანასწორი ვარ. ყველგან ერთნაირი პატივით გვეგებებიან...“.

„ — ბოლოს და ბოლოს, — უთხრა ერთხელ ბაირონს, — ისეთი რა უნდა გააკეთოთ, რის გაკეთებასაც მე ვერ შევძლებ?“

— გინდათ, გითხრათ? — უპასუხა ბაირონმა, — ვფიქრობ, სამი რამ არის, რისი გაკეთებაც მე შემიძლია, თქვენ კი — არა.

უნდო პოლიდორმა სთხოვა, დამისახელო.

— მე შემიძლია, — გააგრძელა ბაირონმა, — გადავცურო, აგე, ის მდინარე; შემიძლია, ოცი ნაბიჯიდან პისტოლეტის ერთი გასროლით სანთელი ჩავაქრო; და კიდევ პოემა დავწერე, რომელიც ერთ დღეში თორმეტი ათასი ცალი გაიყიდა“.

რაც შეეხება ერუდიტ ფლეტჩერს, ასე ეძახდა ჰობზაუზი, ალტაცებული დარჩა, რომ რეინის ხეობა ალბანეთის ზოგიერთ ხეობას აგონებდა, მაგრამ საკვები აქ უკეთესი იყო. ის სუქდებოდა.

მოგზაურები ყველგან იმპერატორის ნაკვალევს ხვდებოდნენ. „ეს ძეგლი ვინ დადგა; ვინ გაიყვანა ეს გზა; ვინ გათხარა ეს არხი?“ — კითხულობდნენ ისინი. „ნაპოლეონმა“, — პასუხობდნენ გლეხები. ბაირონი დიდი მოყვარული იყო დამთხვევების, ალტაცებას ვერ მალავდა, როცა ნაგებობებზე ხედავდა ასოებს: ნ. ბ. — ნოელ ბაირონი.

ციხე — დარბაზებით თავდამშვენებული ფრიალო კლდეები, ვენახებით დამძიმებული ფერდობები... ეს თვალგასახარი რეინული პეიზაჟები ოგასტას აგონებდა. ბაირონის მითიურ სამყაროში ოგასტა ერთგულეა იყო უბედურებაში. ქალს მხურვალე სინაზით სწერდა წერილებს, უძღვნიდა ლექსებს, რომელშიც ეუბნებოდა, შენთან ერთად, ამ ადგილებში მინდა ცხოვრება და ეს ცხოვრება უმშვენიერესი იქნება ამ ქვეყანაზეო: „როს თვალნი შენნი გაანათებენ უმშვენიერეს ნაპირებს რეინისასა...“.

ამ ლექსებს ყვავილებთან ერთად უგზავნიდა, ყვავილებს მისთვის ახმობდა. მაგრამ ოგასტა შორს იყო იმისგან, რაზეც ბაირონი ფიქრობდა.

ბრძოლის ველი გადაიარეს და მორში ჩავიდნენ, სადაც შარლ ბურგუნდიელი დაამარცხეს შვეიცარიელებმა. დახოცილთა ძე-

ლები ჯერ კიდევ მინიდან ამოშვერილები ჩანდა. ბაირონმა, დიდების ფიქრთანმა მესაფლავემ, მარისთვის რამდენიმე ძვალი იყიდა. ბოლოს, 1816 წლის 25 მაისს, ჟენევის ტბის ნაპირებს მიაღწიეს და სემპრონში, დეჟენანის სასტუმროში დაიდეს ბინა. ქალაქდზე, რომელიც მოგზაურებს უნდა შეევსოთ, ბაირონმა გრაფაში ჩაწერა: ასაკი — ასი წლის.

ამავე სასტუმროში, რამდენიმე დღით ადრე, ერთი ახალგაზრდა ქალი გაჩერდა. ის, ინგლისში, ბაირონის ბოლო საყვარელი იყო. ეს ქალი გახლდათ კლერ კლერმონტი. მასთან ერთად იყო დედამისის მეორე ქმრის შვილი მერი გოდვინი, და კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი, მისი „დის“ სატრფო — პერსი ბიში შელი. ბაირონს შელი არასოდეს ენახა, მაგრამ მისი პოემა „დედოფალი მები“ ნაკითხული ჰქონდა და ძალიანაც მოეწონა. კლერმა მამაკაცები ერთმანეთს გააცნო.

პოლიდორის დღიური: „გავიცანი პერსი შელი, „დედოფალ მების“ ავტორი; თავდაჭერილი, მორცხვი, სუსტფილტვებიანი ახალგაზრდა კაცია, ოცდაერთი წლისა, ცოლგაყრილია, ინახავს გოდვინის ორ ქალიშვილს, რომლებიც ცხოვრებაში მის თეორიებს ატარებენ. ერთი მათგანი ლორდ ბაირონის საყვარელია“.

შელი და ბაირონი ძალიან მალე დამეგობრდნენ. ერთსაც და მეორესაც საკუთარი შეხედულებები ჰქონდა, ორივე ლიბერალურ მრწამსს მიჰყვებოდა და ვატერლოო საზიზლარი რეაქციული ეპოქის დასაწყისად მიაჩნდათ; ბევრ რამეში ერთნაირი გემოვნებაც აღმოაჩნდათ, და ეს, იქნებ უფრო, ვიდრე სხვა რამე, ადამიანებს მეტადაც აკავშირებთ. ორივეს წყალთან ახლოს უყვარდა ცხოვრება. შელის უკვე დაექირავებინა ნავი. ყოველ საღამო პოლიდორი, ორი პოეტი და ახალგაზრდა ქალები ტბაზე ნიჩბებს უსვამდნენ. გატანჯული და უბედური ბაირონი ტბის სიმშვიდით ტკბებოდა, სადაც უმშვენიერესი მთები და ნაცრისფერ ბინდბუნდში გამოჩენილი პირველი ვარსკვლავები ირეკლებოდა. ერთ საღამოს ტბაზე ძლიერი ღელვა ატყდა, ის გამოცოცხლდა, „ალბანურ სიმღერას გიმღერებთ, — თქვა მან, — სანტიმენტალურად განენწყეთ და მთელი თქვენი ყურადღება შემომწირეთ“. ველური ხორხისმიერი ყვირილი ამოუშვა. იმედგაცრუებულ ქალებს, აღმოსავლური მელოდიის გაგონებას რომ ელოდნენ, დაცინვით აუხსნა, ალბანელი მთიელების ზუსტი მიბაძვააო ეს. იმავე საღამოს ქალებმა მას ალბე შეარქვეს და ეს ზედმეტი სახელი შერჩა კიდევ ამ პა-

ტარა ნრეში. უფრო ხშირად კი ნავში ჩუმად იჯდა, ტბისკენ იყო გადახრილი და წყალს უყურებდა. უყვარდა ეს გასაოცარი სიმშვიდე, სადაც... „სმენას ოდნავ თუ სწვდება ხოფის ჭრიჭინი და ნიჩბის მოსმის სურვილიც აღარ გიჩნდება; ან ჭრიჭინა შემოგვჭრიჭინებს და... საღამო მშვიდობისა...“.

როცა ნაპირს მიადგებოდნენ, შელი, რომელიც ისე სწრაფად დადიოდა, თავადაც რომ ვერ ამჩნევდა, ორივე ქალთან ერთად, ძალიან შორს აღმოჩნდებოდა ხოლმე. ბაირონი შორიდან გასცქეროდა მათ, კოჭლობით მისდევდა და ლექსის ახალ სტროფებს ბუტბუტებდა.

ორი კვირის შემდეგ, ტბის მეორე ნაპირზე, შელიმ გლეხური სახლი იქირავა, ბაირონმა — კი ცოტა ზევით მშვენიერი ვილა დიოდატისა.¹⁶³ ვილა ძველებური სახლი იყო, გორაკის ფერდობზე მშვენიერ ადგილზე მდგარი, საიდანაც ტბის, ვენახების, ჟენევისა და იურის მთების უმშვენიერესი სანახაობა იშლებოდა. ეს კეთილშობილური და იმავ დროს ბუკოლიკური საცხოვრებელი, დიდი სინიორის პატარა სახლი ბაირონს მოეწონა. მალე მისი ცხოვრება ჩვეული ერთფეროვნებით წარიმართა: გვიანი საუზმე, შელებთან ვიზიტი, ტბაზე გასეირნება, ხუთ საათზე სადილი — ძალზე ხანმოკლე, მარტო ამჯობინებდა სადილობას. მერე თუ ამინდი კარგი იყო, ისევ ნავით სეირნობდა. როცა წვიმდა, შელები მოდიოდნენ ვილაში და ხშირად დილამდე რჩებოდნენ. მთელი სიცოცხლე ემანსოვრება მერის ბაირონის მედიდური და მუსიკალური ხმა და მგზნებარე, მკვეთრი ხმა შელისა. მერის თვალდახუჭულს უყვარდა მათი მოსმენა: ერთი რომ ჩუმდებოდა, მეორე იწყებდა.

ბაირონი შელის ჯერ ქედმაღალი უნდობლობით ექცეოდა. სხვებში მაღალი ზნეობის დანახვა უყვარდა; კლერი არც უყვარდა და არც პატივს სცემდა, მის გამო ცოტა აბუჩადაც იგდებდა შელის. მაგრამ ნიჭს აფასებდა და დახვეწილი შემფასებელიც იყო, მალე შელის ცინცხალი გამჭრიახობით აღფრთოვანებული დარჩა, უფრო მეტად იყო გამჭრიახი, ვიდრე მეტიუზი ან ჰობსაუზი. კითხვებზე, რომლებიც ბაირონს ბავშვობიდანვე ანუხებდა, შელი თავისი გამყივანი ხმით, ახალ და ამომწურავ პასუხებს იძლეოდა.

163. სახლი გამოჩენილ თეოლოგ ჩარლზ დიოდატის შთამომავალს ეკუთვნოდა; ჩარლზ დიოდატი მეგობარი იყო ჯონ მილტონისა, რომელსაც 1639 წელს უცხოვრია კიდეც აქ.

„ვინ შექმნა ეს ბოროტი სამყარო, — კითხულობდა ბაირონი, — ღმერთმა თუ ეშმაკმა?“ იდეალისტი და ათეისტი შელი პასუხობდა, რომ ღმერთიცა და ეშმაკიც ადამიანურ განზრახვათა პროექციის არსია მხოლოდო. ბოროტება მისთვის, როგორც ბაირონისთვის, ადამიანური ბუნების აუცილებელი ელემენტი არ იყო. „სისუფთავეში ყველა საგანი სუფთაა“. იუპიტერი, სიძულვილის შემქმნელი, თავისი არსებობით დავალებულია იმ სიძულვილის ნაშთისგან, რომელიც პრომეთეს გულში სახლობდა. ქრისტიანული ეშმაკი თავისი ბოროტებით იმ ბოროტებისგან არის დავალებული, რომელიც სულის განსაზღვრულ ნყოფას გააჩნია. ბოროტება არსებობდა, მაგრამ ბუნებაში არ იყო, ხელოვნურ საძაგლობად იყო მასში ჩადებული, „პირობითად“, რომელსაც საზოგადოებებზე გაერთიანებული ადამიანები ქმნიან, — რასაც შეიძლება შევხვდეთ ქორწინებაში, სალდათობაში, სასამართლოში, მონარქიაში. შელის თვალში ერთადერთი ბუნებრივი რეალობა სილამაზე იყო, რომელიც ჰარმონიით შეიცნობა, ამ ტბის უმშვენიერეს საღამოებში რომ იყო გაბნეული, ჩიტებში, ვარსკვლავებში, ქალთა სახეებში.

ბაირონი, მეტაფიზიკას არცთუ სწავლობდა, ნახევრად ცდუნებული, ნახევრად დამცინავად უსმენდა ამ პანთეისტურ სიყვარულზე დისკურსს. მერე, როცა მისი რიგი დგებოდა, უფრო ბნელით მოცულ დოქტრინას აყენებდა — „მეთოდისტურს, კალვინისტურს, ავგუსტიანურს“. არა, საქმე არც ისე უბრალოდ იყო, როგორც ეს სურდა და სჯეროდა შელის. ბოროტება არსებობდა და ეს ბოროტება იყო — ცოდვა. ხედავდა, სულში როგორ უმწიფდებოდა კონფლიქტი, მაგრამ მის გადასაწყვეტად გზას ვერ პოულობდა. ბევრ ქალს მოუტანა უბედურება, თუმცა, ზოგიერთი უყვარდა კიდეც, სხვებს პატივს სცემდა. ისიც კარგად იცოდა, რომ ადამიანები რთულებიც არიან და უბედურნიც. მეტისმეტად პატიოსანი შელი არც კაცს იცნობდა, ვინ იყო და არც — ქალს. ბაირონზე ნაკლებ შორსმჭვრეტელი გახლდათ, და იქნებ ნაკლებ მკაცრიც საკუთარი თავისადმი; იგი ცდუნებებს ადვილად ნებდებოდა და ამ ცდუნებებს მაღალ ზნეობას უწოდებდა. ბაირონს მეტისმეტად ზუსტი გონება ჰქონდა და თავისი შეცდომების დოქტრინების ოქროცურვილ ბურუსში გახვევით თავს არ იკლავდა. მან იცოდა, რომ ადამიანი კეთილი არ იყო. შელის იმაში კი ეთანხმებოდა, რომ ხალხთა თავისუფლებისკენ უნდა ისწრაფვოდეს, მაგრამ არ სჯერო-

და, რომ ამისთვის მხოლოდ გაურკვეველი და დიდსულოვანი ფრაზების წარმოთქმა საკმარისი იყო. მას გამირული საქმეები სურდა, მაგრამ გარკვეული საქმეები, — აი, თუნდაც, რომელიმე გარკვეული ხალხისთვის, არსებულის, ხილულის. საზოგადოებისადმი მისი სიძულვილი სულაც არ იყო ისეთი, როგორზედაც შელი ლაპარაკობდა. შელის სძულდა სამყარო, ოღონდ ეს სამყარო მის მიერვე იყო გამოგონილი და ნამდვილ სამყაროზე წარმოდგენა არ ჰქონდა. რეალისტი ბაირონი საზოგადოებისგან გარბოდა, იმ საზოგადოებისგან, რომლის დაპყრობაც ოდესღაც უნდოდა. ის ამბობდა: „მე არ მიყვარს საზოგადოება და არც საზოგადოებას ვუყვარვარ“. ამის გამო ნუხდა. შელისთვის ცხოვრება უბრალო ამოცანა იყო; ეს იყო კეთილი ძალების ბრძოლა, რომლებიც, როგორც თვითონ სჯეროდა, მასშივე ცხოვრობდნენ, — მისთვის უცხო სამყაროსთან ერთად. ბაირონი კი ბევრ ბაირონს იცნობდა და ეს მისთვის შინაგანი კონფლიქტი იყო. კონფლიქტი ბაირონსა და მერი ჩავორსს შორის, ბაირონსა და ლედი მელბურნს შორის, სანტიმენტალურ ადამიანსა და ცინიკოსს შორის, სიამაყესა და სინაზეს შორის, კონფორმისტსა და მემამბოხეს შორის — ერთი მხრივ, ყველაზე დიდსულოვან და მეორე მხრივ, ყველაზე მკაცრ არსებებს შორის. უდრეკი ბედისწერა აიძულებდა ის ჩაედინა, რაზეც მერე ნანობდა და მისი გონების ქმნილება არ იყო. შელივით არ სჯეროდა ადამიანის ყოვლისშემძლეობისა, რომელსაც სამყაროს გარდაქმნა შეუძლია. ის გრძნობდა, რომ მის ირგვლივ ღვთაებრივი და სატანისტური ძალები არსებობენ. ბაირონისთვის შემოქმედი არსებობდა, მაგრამ შექმნილი ბოროტება იყო. კაენს საფუძველი ჰქონდა, იუდეველთა ღმერთზე დაეჩივლა, პრომეთეს იუპიტერი დაენყვლა, ის კი, ჯორჯ გორდონ ბაირონი, თავისი საბედისწერო სისხლის უმანკო მსხვერპლი, მემამბოხეთა დიდი რასის წარმომადგენელი იყო.

ასე ენაცვლებოდა ერთმანეთს ეს ორი ხმა. ბაირონი შელის მაღალ ღირსებებს აღიარებდა, მაგრამ ზოგჯერ ძალიან აღიზიანებდა მისი რეალურ ცხოვრებაში ჩაუხედაობა. შელი მერისთან ჩიოდა, ბაირონის აზროვნება არისტოკრატიულ ხასიათს ატარებს. მაგრამ ისეთი განუყრელი მეგობრები გახდნენ, რომ პოლიდორი, რომელიც შელიზე ეჭვიანობდა, ჩემი ადგილი დაიკავა ბაირონის ცხოვრებაში, ოცნებობდა შელი დუელში გამოენჭია.

ჰობჰაუზი მართალი აღმოჩნდა, როცა ბაირონს ურჩევდა, ამ პოლი—დოლის ნუ

ნაიყვანო. პატარა ექიმი აუტანელი გახდა. ეგონა, უფლება ჰქონდა ყველაზე დახვეწილ კამათშიც კი ჩარეულიყო და, ცხადია, ყველაფერს აფუჭებდა. შენეველ ობივატელებთანაც კი მოუვიდა ჩხუბი, მერე ბაირონს მოუნია მისი საქმის მოგვარება. ბაირონი მისდამი უჩვეულო მოთმინებას იჩენდა — „ჩვილ ბაღლ ექიმ პოლი—დოლის“ ეძახდა. ამბობდა, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი საკუთარი ექიმის მოვლა—ფერებას ვუნდებიო.

დაახლოებით 2 ივნისს, შელი და ბაირონი ტბაზე გავიდნენ სასეირნოდ; ბედმა გაულიმათ და ექიმი პოლი—დოლი დიოდატში დატოვეს, რადგან ფეხი გადაიტყავა. ამ სეირნობისას ქარიშხალმა მოუსწრო პოეტებს, შელიმ ცურვა არ იცოდა, ბაირონმა გაიხადა და შელის შესთავაზა, გადაგარჩენო. შელიმ უარი თქვა, ნავის ფსკერზე დაჯდა და განაცხადა, ჩავიძირები და ხელსაც არ გავანძრევო.

ერთად ეწვივნენ რუსოს სამშობლოს, ერთმანეთით ფრიად კმაყოფილები, თუმცა ცხოვრების რიტმი ძალზე განსხვავებული ჰქონდათ. შელი მზის ამოსვლისთანავე შემოვივლიდა ხოლმე მთების ბილიკებს, ბაირონი შუადღეზე დგებოდა და სიარული არ უყვარდა. მაგრამ ორივეს მოსწონდა იმ წიგნის გადაკითხვა, იმ ბუნებაში, სადაც „ახალი ელოიზა“ დაინერა. ორივე ერთნაირად ააღელვა შილიონის ციხე-დარბაზმა. „არასოდეს მინახავს, — წერდა შელი, — ამაზე საშინელი ძეგლი იმ სასტიკი და არაადამიანური ტირანიისა, რაშიც ერთი ადამიანი მეორის მიმართ სიამოვნებას პოულობს“. ბონივარის¹⁶⁴ საკანში, სადაც ბაირონმა თავისი სახელი ამოჭრა, დაინტერესდნენ ტირანიის ამ მსხვერპლის ამბით, და ბაირონმა ერთ ღამეში დაწერა „შილიონის ტყვე“, შელიმ კი „სულიერი სილამაზის ჰიმნი“ შეთხზა. ამ მოგზაურობის დროს ბაირონმა „ჩაილდ ჰაროლდსაც“ დაუმატა საკმაო რაოდენობის სტროფი. ზოგი რუსოს უძღვნა, ზოგი კლარანსს, „ნაზ კლარანსს, ჭეშმარიტი სიყვარულის საუფლოს“, ზოგიც გიბონის¹⁶⁵ ლოზანას და ვოლტერის ფერნის. ბაირონ-

164. ფრანსუა ბონივარი — შვეიცარიის პოლიტიკური მოღვაწე, ჰუმანისტი /1493-1570/. მონაწილეობდა სავოიის ჰერცოგის კარლ III-ის წინააღმდეგ შენევის მოქალაქეთა ბრძოლაში, რის გამოც დააპატიმრეს /1530/ და შილიონის ციხეში ჩასვეს. 1536 წელს გაათავისუფლეს აჯანყებულმა ბერნელებმა.

165. ედუარდ გიბონი /1737-1794/ — ინგლისელი ისტორიკოს-განმანათლებელი.

მა იმ აკაცის ტოტი მოტეხა, რომლის ქვეშაც მდგარი გიბონი მონბლანს უყურებდა და თავისი წიგნის ბოლო წინადადება დაწერა. შელიმ არ მიბაძა, შეეშინდა, მეორე დიდი სახელისთვის, უფრო მაღალი სახელისთვის — რუსოსთვის შეურაცხყოფა არ მიეყენებინა.

ამ მოგზაურობის დროს შელის გავლენა ბაირონზე ძალიან გაიზარდა. შელი ვოდსვორთს საკითხავად ნანილ-ნანილ აწვდიდა. ბაირონი მუდამ გაუბრბოდა ვოდსვორთის კითხვას, მაგრამ ამ გარემოცვაში, ტბის ამ დამამშვიდებელ და მორჩილ სიჩუმეში, მან შეიყვარა მისი პოეზია, მის თვალწინ ისევ მეორედებოდა პანთეისტური პოეზია, რაიც შელის რელიგია იყო. ამ ორმაგი გავლენით, მის ლექსებში, მაშინ რომ წერდა, ახალი რითმები გაჩნდა. ლექსში „ამაოება ამაოებათა“, რომელიც ბაირონის მთელი პოეზიის საფუძველია, უფრო ნაზი ნოტები შეერია. იქნებ, ცხოვრება მაინც არ იმსახურებს მთლიანად ზიზლს. ამ მშვიდი ტბის პირას, ამ უმშვიდნიერესი მთების შემყურე, თვით ჩაილდ ჰაროლდმა მიიღო ახალი სახე. მარტოობა და ბუნება — იქნებ, ეს არის ბედნიერების საიდუმლო, რასაც აქამდე შეუძლებლად მიიჩნევდა: „ჩემთვის როდი ვცოცხლობ, ნანილი ვარ ირგვლივ ყოველის. მათათა სიდიადე ხომ გრძნობათა ნანილია მხოლოდ...“.

ფორმა ბაირონისებური დარჩა, კონტურებმა გამოკვეთილი მკაფიოობა შეინარჩუნა, მაგრამ აზრები კი ვოდსვორთმა უკარნახა. ამ ცეცხლოვანმა, მკვეთრმა ხმამ ბაირონის გონებაში თავისი კვალი დატოვა, და ზოგჯერ, განსაკუთრებით საღამოობით, როცა ცა და დედამიწა მიყურებოდა, როცა ვარსკვლავების ანარეკლებსა და მათათა უზარმაზარ ჩრდილებს ხედავდა, თითქოს ესმოდა, მის ირგვლივ როგორ ირხეოდნენ კეთილმოსურნე, იდუმალი ძალები. თუმცა ეს შეგრძნება ნუთიერი იყო. „დავივინყო საკუთარი მე და საყოველთაო სილამაზეს შევერიო“, — მაგრამ, განა ეს შესაძლებელია უდიდესი ეგოისტისთვის?

მოგზაურობის დროს შთაბეჭდილებების, პეიზაჟების სწრაფმა ცვლამ აიძულა და წამიერად დაავინყა შინაგანი დრამა. მაგრამ, როგორც კი დიოდატის გამოზომილ სამყაროს უბრუნდებოდა, ისევ თავისი მოჩვენებებით ასახლებდა ამ სამყაროს. ამ დროს კი, ირგვლივ ცხოვრება ისეთი მარტივი იყო. რა იყო ამ ცხოვრებაში? მწვანე კლდეები, მშვიდი ტბა. ის, ისე შორს იყო, ის ოთახი პიკადილიზე, ცარიელი ბოთლებითა

და სასამართლო აღმასრულებლებით შეურაცხყოფილი. ისინი, ვინც ჩვენთან არ არიან, მსგავსია მკვდართა. ისინი — ფერმიხდელი აჩრდილებია; ისევე ვივინყებთ მათ ნაკვთებს, როგორც მიცვალებულთა ნაკვთებს. მაგრამ, მიცვალებულთა მსგავსად, ჩვენთან არმყოფნი, დროდადრო გვინახულებენ ხოლმე, გვეწვევიან და ჩვენს გვერდით შლიან სუდარებს. მერი ენი... ოგასტა... ანაბელა... ბაირონმა ბევრი სიავე ჩაიღინა, მაგრამ თავს დამნაშავედ არ გრძნობდა. მისი ჭაბუკური სული დიდსულოვანი იყო; ადამიანურმა ღვარძლმა შექმნა მისგან ურჩხული. რამდენი სათნოება დაიხარჯა ამოდ! უსამართლობა და ბედისწერის სიმკაცრე ალაშფოთებდა. გაცნობიერებულ თავის ბოდვებში ერთიმეორის მიყოლებით იწვევდა ამ ბედისწერის გაელვებას... ენსლი... „და სერს ხეთა აფერადებული დიადემა ირგვლივ გარს ერტყა...“.

თავისი სიჭაბუკის სიყვარულს უძღვნა დიდი პოემა „სიზმარი“. გასაოცარი ის იყო, რომ ვერა და ვერ შეძლო ასეთი უმნიშვნელო წვრილმანის დავინყებაც კი... მერე დაწერა „სტანსები ოგასტას“:

„როცა ჩამოწვა ირგვლივ წყვდიადი,
როცა დამეხშო თითქოს გონება,
როცა იმედი და განთიადი
იქცა წარსულად და მოგონებად.

იყო სიბნელე, იყო ტკივილი,
ჩემს თანადგომას ელოდა რისხვა,
მტრობის ნაცადი ჟივილ-ხივილი,
შური, ღალატი და ავი სიტყვა.

ბედმა მიმტყუნა, გრძნობა გაფრინდა,
ლახვარი ჩამცეს მე სიძულვილის,
სიცოცხლის ყველა ფერი გაფითრდა,
მხოლოდ ნუგემის იყო წყურვილი.

შენ ერთს გხედავდი —
ცაზე ვარსკვლავად,
ღმერთმა დალოცოს ყველა ნათელი,
მეც მიყვებოდნი ამ სხივს კვალდაკვალ,
ის შენი სულით იყო ნაფერი.

ვით სერაფიმის თვალის ნათება,
ჩემსა და ღამეს შუა იდექი —
შავი ღრუბელი, ვით ანათემა,
დაგვტრიალებდა ერთი იმედით.

რომ დაახშობდა შენს ელვარებას,
თუმცა იბრძოდნენ ცეცხლის ენები,
აღსდექი სუფთა, როგორც ზმანება,

და შენი ძალით სძლიე ბნელეთი.

მარად ჩემს სულში მინდა სახლობდე,
იცი, დამდაღავს მძიმე ბრალდება,
მინდა ვუსმენდე შენს ხმას, ახლობელს,
შენ ერთს ლალატი ვერ დაგბრალდება.

იდექ, ვითარცა ხე მოშრიალე,
გაუტეხელი, ოდნავ მოხრილი,
თვალცრემლიანი მწმენდდი იარებს,
დიდ ქართველში გზაგამოვლილი.

ვიცი, დაგინდობს შენ განსაცდელი,
რაგინდ მიმუხთლოს ბრმა ბედისწერამ,
კეთილს, სიყვარულს ღვთისგან
ვინც ელის,
შენ, უპირველესს, დაგლოცავს ზენა.

დაიმსხვრეს უნდა ყველა კავშირი,
თუ სიყვარულის არ შესწევს ძალა,
სული უდრეკი და თან ფაქიზი,
ეს შენი უნდა ცოცხლობდეს მარად.

შენ შთამაგონე ძალა ულევით,
როცა ცხოვრება მექცა უაზროდ,
როცა ამქვეყნად შენ მეგულები,
სოფელს აღარ ვთვლი უკვე უდაბნოდ.¹⁶⁶

რა დაემართა ოგასტას, იქ შორს, ზღვა-
თა გადაღმა? არ იცოდა. მისი ფანჯრების
ქვეშ ტბის მოვერცხლისფრო ტალღები
ნიუსტედის ტბას აგონებდა. მის ლელქაშე-
ბით დაფარულ ნაპირებზე იყო მასთან ერ-
თად ბედნიერი. გულისშემძვრელი წერილიც
მისწერა: „ნურც გული გეტკინებათ და ნურც
საკუთარ თავს შეიძულებთ. თუ ჩვენ ორი-
დან ერთი უნდა შეიძულოთ, დაე, ეს მე ვიყო
— მაგრამ ამას ნუ გააკეთებთ — ეს მე მო-
მკლავს. ჩვენ უკანასკნელნი ვართ ამ ქვეყ-
ანაზე, რომლებმაც უნდა შეწყვიტონ ერთ-
მანეთის სიყვარული...“. „რა სულელი ვიყავი,
ცოლი რომ მოვიყვანე — არც თქვენ ბრძან-
დებით ჩემზე ჭკვიანი, ჩემო ძვირფასო. შეგ-
ვეძლო ერთად ბედნიერად გვეცხოვრა —
შინაბერა და ბერბიჭა. ვერასოდეს ვიპოვი
ისეთს, თქვენ რომ ხართ — ვერც თქვენ /
როგორ პატივმოყვარეობადაც უნდა
მოგეჩვენოთ/ იპოვით ისეთს, მე რომ ვარ.
ერთად ცხოვრებისთვის ვართ შექმნილი,
ამიტომ ჩვენ — უკიდურეს შემთხვევაში მე,
გარემოებათა გამო, მოწყვეტილი ვარ იმ
ერთადერთ არსებას, რომელსაც ჩემი სიყ-
ვარული შეეძლო მუდმივად და რომელიც

166. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

უსაზღვროდ შემეძლო მყვარებოდა... მონა-
ზონიც რომ იყოთ, მე კი ბერი — მაშინაც კი
შევძლებდით ერთმანეთთან ლაპარაკს
ლოპურის გაღმა-გამოღმა მდგარნი, ახლა კი
ზღვა გვეყოფს და არ შეგვიძლია. მაინც სუ-
ლერთია — ჩემი ხმა და გული მუდამ შენი
იქნება“.

ქალმა არაფერი უპასუხა. თავის ბუნდო-
ვან, მთრთოლვარე წერილებში წერდა, რომ
ხშირად ხვდებოდა ანაბელას, რომ ანაბელა
ძალიან კეთილი იყო მისდამი... ძალიან
კეთილი — ლედი ბაირონი? უჰ! ეს კი გასაო-
ცარი იყო. მისი სიმბოლოების ფიგურების
გალერეაში ანაბელას უღმობელი ცოლის
ადგილი ეკავა, მისი „მორალური კლიტემ-
ნესტრას ადგილი“¹⁶⁷ მაღამ დე სტალმა,
რომელიც ტბის მეორე მხარეს ცხოვრობდა,
და რომელთანაც ბაირონი ხშირად სტუმ-
რობდა, მათი შერიგება მოისურვა; აიძულებ-
და, წერილი მისწერეო; მაგრამ ბაირონმა
იცოდა, რომ ეს ამაო იყო. ანაბელამ დაუმ-
სხვრია გული, გული, რომელზეც ოდესღაც
ამბობდა, მტკიცეაო, როგორც მთიელის
ფეხსაცმლის ლანჩა.

ცხადია, ლედი ბაირონთან დამნაშავე
იყო, მაგრამ ის ხომ მისი ცოლი ბრძანდებო-
და, ის გაჰყვა „სიმწარეშიც და სიკეთეშიც“
ცხოვრების გზაზე, მაგრამ „განგების მიერ
არ იყო მონიშნული“, რომ ანაბელას იგი
დაეპყრო... ოდესმე ბედისწერა მის მაგ-
ივრად შურს იძიებს. ანტიკურ ღვთაებებს
შორისპატივის ისე არავის სცემდა, როგორც
ნემეზიდას, ღმერთთა შურის მაძიებელს.
საიდუმლოდ წინასწარმეტყველებდა კიდევ:
„ღლით ადრე, ღლით გვიან, რაც მან ჩაიდი-
ნა, მისსავე თავზე გადავა, — მაგრამ ეს ჩემ-
გან არ იქნება, რადგან ჩემი მისდამი გრძნო-
ბა — შურისძიება არ გახლავთ, — ამიტომ
გახსოვდეთ, რასაც გეუბნებით, ადრე თუ
გვიან, უბედურად დაამთავრებს თავის ცხ-
ოვრებას“.

ქალბატონ დე სტალთან ვიზიტები იყო
ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი
გარე სამყაროსთან. ძალიან მოსწონდა პატ-
არა ციხე-დარბაზი კოპე, უმშვენიერესი ყავ-
ისფერი სახურავით, პატარა ეზოთი, ორი
პატარა კოშკით, რომანტიკული პარკით,
ჩანჩქერით, ხრამით. ზოგჯერ ბაირონი იქ
ინგლისელ სტუმრებსაც ხვდებოდა, რომ-

167. აგამემნონის ცოლი — ორესტეს, იფიგე-
ნიასა და ელექტრას დედა. მან ეგისტე შეიყვარა
და მისი დახმარებით მოკლა ქმარი. ორესტემ
შური იძია — დედის საყვარელიც მოკლა და ქმ-
რის მკვლეელი დედაც.

ლებიც ისე უყურებდნენ, თითქოს სატანა ყოფილიყო. ვინმე მისის ჰარვეის გულიც კი წაუვიდა, როცა ბაირონი ოთახში შევიდა, რაზეც მადამ დე სტალის ქალიშვილმა, უწყინარმა და მომხიბლავმა გრაფინია დე ბროლიმ, წამოიყვირა: „გაგონილა, სამოცდახუთი წლის ასაკში. მეტისმეტად გაზვიადებული ხომ არ არის?!“ გრაფ დე ბროლს მისი საუბარი „უხამსი ხუმრობებითა და ლიბერალიზმით სავსედ“ მიაჩნდა. მადამ დე სტალი ეუბნებოდა: „რისთვის ებრძვით სამყაროს. უაზრობაა. სამყარო ერთი ადამიანისთვის, ვინც არ უნდა იყოს ის, მეტისმეტად ძლიერია. ახალგაზრდობაში თვითონ ვცადე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა“. და მართლაც, ეტყობოდა, ქალი მართალი იყო. ბაირონმა იმ დანისლულ მწვერვალთან შეტაკება ჩაიფიქრა, რომლებზედაც ბრიტანული პირობითობები წამოსკუპულიყო, მაგრამ ღმერთებთან შერკინება დაუსჯელი არ რჩება, თვითონაც იდუმალად სჯეროდა ამისა, — და აი, ახლა აქ არის, სიძულვილით მიჯაჭვული თავის მარტოდშენილ კლდეს. პრომეთე, უაზროდ რომ განისვენებს გოდვინის ოკეანიდების¹⁶⁸ ქოროში.

მადამ დე სტალმა შეატყობინა, კაროლინა ლემმა წიგნი გამოსცა 10 მაისს, რომლის გმირიც შენა ხარო. რომანს „გლენარვონი“ ერქვა და ეპიგრაფად „კორსარიდან“ ამოღებული სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული: „მან სახელი დაუტოვა თაობებს: ერთი გმირული და ურიცხვი დანაშაულის“.

ბაირონმა ძლივს წაიკითხა რომანი, რადგან ძალიან მოსაწყენი იყო. ლედი კაროლინა მასში თავისი ცხოვრების უკვე ოდნავ გაბუნდოვანებულ ამბებს აღწერდა. გმირი ქალი ძალიან ადრეულ ასაკში ცოლად მიჰყვება ლორდ ევონდელს, რომელიც არაფერ იყო, თუ არა ვილიამ ლემი. „ლორდ ევონდელს ერთი უარყოფითი თვისება ჰქონდა — მეტისმეტად დიდსულოვანი და კეთილი იყო, რისი წყალობითაც, თავის ქარაფშუტა მეგობარს ნებას აძლევდა მასზე ემბრძანებლა და ყველაფერი თავისი გუნებით ეკეთებინა... „თქვენ ჩემთვის კანონი იქნებით, — ეუბნებოდა ცოლს ლორდი ევონდელი, — თქვენ იქნებით ჩემი მიჯნური, ჩემი მბრძა-

168. ოკეანისა და ტეთისის ასულები, ნიმფები, მათი რიცხვია სამასი, ათასი ან უფრო სამი ათასი. პოეტები ზღვის ქალწულებად ხატავდნენ მათ; ხელოვანები კი თევზისბოლოებიან ქალიშვილებად, რომლებიც დელფინებზე ამხედრებულნი სერავდნენ ზღვის ტალღებს.

ნებელი, მე კი თქვენი მონა, ერთგული“. ცხადია, ლედი ევონდელს გული აუცრუვდა ამ მეტისმეტად სუსტ ადამიანზე და გლენარვონი შეიყვარა, რომლის სახეც ბაირონის, კორსარისა და ლარას ნარევი გახლდათ. „ცხოვრება მძულს, — ამბობს გლენარვონი, — მეზიზღება საზოგადოება, სიყვარული, გრძნობები. „Damit! Do it tal kabout it!“¹⁶⁹. მეტისმეტად მკაცრად დახატული ლედი ოქსფორდიც თავის როლს თამაშობდა: „უკვე ახალგაზრდა აღარ იყო. გარკვეული პედანტიზმი მის საუბარს სასიამოვნო ხიბლს ართმევდა“. ლედი კაროლინა ისე შორს წავიდა, რომ ბაირონის წამდვილი წერილი შეიტანა წიგნში, განშორებისას რომ მისწერა პოეტმა, ვითომ გლენარვონის წერილი იყო, ლედი ევონდელისადმი მიწერილი. ბოლოს, გლენარვონს წყალში დაახრჩობს.

კაროლინას ძალიან უნდოდა გაეგო, რას იტყვოდა ბაირონი.

ბაირონმა კი თქვა, რომანისტ ქალს უბრალოდ რომ აღენერა, რაც სინამდვილეში იყო, წიგნი უფრო რომანტიკული და თავშესაქცევი გამოვიდოდაო, „რაც შეეხება მსგავსებას, — დაუმატა, — პორტრეტი არ შეიძლება კარგი გამოსულიყო, რადგან მეტისმეტად ცოტა ხანს ვიდექი მის წინ პოზაში“.

ვინც ჩვენთან არ არიან, მიცვალებულებს ჰგვანანო. მაგრამ ზოგჯერ უფრო დიდხანს ვცხოვრობთ მკვდრებთან, ვიდრე ცოცხლებთან. აბა, ვინ იყო კლერი, ცოცხალი სატროფო, ამ მომთხოვნ აჩრდილებთან შედარებით? ის დიოდატში ყოველ საღამოს მიდიოდა და უთენია, ვენახ-ვენახ უკან ბრუნდებოდა შელის სახლში. ორსულად იყო და გულდამძიმებული. ბაირონისთვის მუშაობდა: „შილიონის ტუსაღისა“ და „ჩაილდ ჰაროლდის“ ახალი სტროფების გადწერაში ეხმარებოდა. ბაირონს უკვე მოსწყენოდა ეს ზნეობადაკარგული ქალი და აღიზიანებდა კიდევ, რაღაც კაპრიზების გამო კისერზე რომ ჩამოეკიდა... მისგან ბავშვს ელის? დაე. აღზრდის. ბავშვი ხომ ბაირონების ნაშიერია, იქნებ, ძვირფასიც გახდეს მისთვის, ადა ხომ წაართვეს. მაგრამ, აი, ბავშვის დედის დანახვა კი აღარ სურდა.

შელის კლერი ნაზი, დაძმური სიყვარულით უყვარდა და ტონი, როგორითაც ბაირონი ქალზე ლაპარაკობდა, აუტანელი ერჩვენებოდა. პოეტით მაინც აღფრთოვანებული იყო, რომლის ბრწყინვალეობა და სიმ-

169. „ემშაკსაც წაულია ისინი! ნულარ მელაპარაკებით მათზე!“ /ინგ./

სუბუქე აოცებდა, მაგრამ ბაირონი-ადამიანი ანუხებდა და აღიზიანებდა. თეორიაში ლიბერალი ბაირონი, ცოტა მნიშვნელობას როდი ანიჭებდა წარმოშობას; მისთვის სულერთი არ იყო, რომ შელი ბარონეტის შვილი იყო და თვითონაც მუდამ აგრძნობინებდა, რომ ის — ლორდი იყო. მის მანერებში, როცა ქალებზე ლაპარაკობდა, იყო რალაც ქედმაღლური გულგრილობა, და ეს შოკში აგდებდა შელის. ბაირონი კი თავის მხრივ, შელის ლოგიკურ მსჯელობებს უღმობლობად მიიჩნევდა. მისი მკვეთრი ხმა ღლიდა მას; ზოგჯერ ეჭვიც უჩნდებოდა და შელის პატიოსნებაში ეჭვიც ეპარებოდა. გველს ეძახდა... „გოეთეს მეფისტოფელი გველია, რომელმაც ევა შეაცდინა, „დეიდაჩემი, სახელგანთქმული გველი“, და მუდამ ვფიქრობდი, რომ შელი სხვა არავინ არის, თუ არა ერთ-ერთი მისი დისწული“.

ჰობზაუზმა და სკროპ დევისმა შეატყობინეს, ჩამოვდივართო. ყველაფერი გამოცოცხლდება და გადახალისდება, როცა დევისის მომხიბვლელ, ენის ბორძიკით ლაპარაკს მოუსმენს, დაივიწყებს ვოდსვორთსა და პანთეისტურ სიყვარულს, იყბედებენ კინიარდის საღამოებზე. 20 აგვისტოს შელეები გაემგზავრნენ და კლერიც წაიყვანეს. რამდენიმე დღის შემდეგ ბაირონმა ოგასტას მისწერა: „ნუ გამიციხხავთ, — რა უნდა მექნა? გაუფრთხილებელი ქალია, ყველაფრის მიუხედავად, რაც შემეძლო გავაკეთე, მაინც მოისურვა და უკან გამომყვა, ანუ, უკეთ რომ ვთქვა, წინ მიძლოდა, — იმიტომ, რომ უკვე აქ დამხვდა; რალა არ გავაკეთე, რომ ამ ამბებისთვის ბოლო მომელო. დამეთანხმებინა, აქედან წასულიყო, ბოლოს და ბოლოს, წავიდა კიდეც. არ მიყვარდა, თანაც, არ შემძლია ყოველი შემხვედრი შევიყვარო, მაგრამ იმ ქალთან სიმტკიცის თამაში ვერ შევძელი, რომელმაც რვაასი მილი გამოიარა, რომ მე ფილოსოფოსობა შემეწყვიტა. ახლა ამ ამბებზე თქვენც იმდენივე იცით, რამდენიც მე, და ეს ისტორია წარსულს ჩაჰბარდა“.

XXVII

ლავა

მეგობრობის დესპანები, სკროპ დევისი და ჰობზაუზი, აგვისტოს ბოლოს ჩავიდნენ. სახლითა და მთებით მოხიბლულები დარჩნენ. ინგლისიდან ათასგვარი ნივთი ჩაუტანეს, განდევნილი რომ ითხოვდა ყოველწერილში: მაგნეზია, ბუნდუიანი ჯოხი თუ

კბილის წითელი ფხვნილი. სიამოვნებით აღნიშნეს, რომ მათი მეგობარი უკეთესად გამოიყურებოდა, სახეზეც ის სიყვითლე აღარ დაჰკრავდა, ინგლისში რომ ჰქონდა. დამშვიდებულიც ჩანდა, მაგრამ მის მანერებში, ძალზე მშვიდშიც კი, ძალდატანება შეიმჩნეოდა; მართლაც, თავს ძალას ატანდა თავისი ვნებების ბნელით მოცული მღელვარება რომ დაეფარა, თუმცა, ისიც ბევრი იყო, თავის შეკავება რომ შეძლო. ლონდონში ყვებოდნენ, ყველაზე დაბალი ფენის გრიზეტებს¹⁷⁰ ხრწნის და თან ოგასტას ახლავს პაჟის ტანსაცმელში გადაცმულიო. ჰობზაუზმა ნახა, რომ დიოდატში ცხოვრება, თავისი უმანკობით, ყველაფერს აღემატებოდა და მისის ლის სასურველი წერილი გაუგზავნა: „თქვენი ძმა ყურადღებას აქცევს დეკორიუმს¹⁷¹ და ისე ცხოვრობს, რომ შეურაცხყოფას არ აყენებს არც უფალ ღმერთს, არც კაცს, არც ქალს... ჯანმრთელობა გაუშუქობესდა, აღარც ბრენდი ჩანს სადმე, არც მაგნეზია, აღარც უძილობა და აღარც ის სოდის წარღვნა; აღარც უხეშობა, აღარც უკუღმართობა, მისი ყვირილიც კი აღარ ისმის: ისეთი ბედნიერი ჩანს, როგორც საერთოდ უნდა ყოფილიყო. ხომ გესმით, რისი თქმა მინდა, — ისეთი ბედნიერია, როგორც უნდა იყოს კეთილშობილი და მგრძობიარე ადამიანი იმ კატასტროფების შემდეგ, რომლის დროსაც ასეთი ბრალდებები, ცრუ თუ ჭეშმარიტი, ააგეს მასზე“.

ცხადია, ჰობზაუზს ქვეყნის დათვალიერება უნდოდა. ტრინიტის სამი მუშკეტერი, პოლიდორის თანხლებით შამონში, მონბლანისკენ გაემართა, ბაირონი შეუჭირვებლად დახტოდა ყინულებზე. მონტავერის სასტუმროში, სტუმართა წიგნში, შელის გვარი აღმოაჩინა. უკან დაბრუნებისას ბაირონმა მეგობრები კოპეში წაიყვანა, სადაც ბედნიერება ჰქონდათ, ენახათ მადამ დე სტალი, ბონშტეტენი და შლეგელი.¹⁷² ჰობზაუზს ის-ის იყო „ადოლფი“ ნაეკითხა და მადამ დე სტალს უთხრა, ზოგიერთი თქვენი გამონათქვამი ვიცანიო: „ციცინათელები

170. თავისი შრომით მცხოვრები ახალგაზრდა ქალი. სატრფო სტუდენტისა, მხატვრის, მსახიობის თუ სხვა.

171. გარეგნული ზრდილობა, გარეგნული პირობები, რაც შეეფერება მდგომარეობას, თანამდებობას.

172. ფრიდრიხ შლეგელი /1772-1829/ — გერმანელი კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, ენათმეცნიერი და პოეტი.

მკვდარ ფოთლებს ანათებენ, თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ აჩვენონ, ირგვლივ ყველაფერი მკვდარია და გადამხმარი“. მადამ დე სტალი ბონშტეტენს მიუბრუნდა და უთხრა: „რა სასიამოვნოა, არა?“ ჰობჰაუზს კოპე ძალიან მოეწონა.

ბაირონმა მეგობრებს „ჩაილდ ჰაროლდის“ მესამე სიმღერა გადასცა მორცხვად. ჰობჰაუზი, რომელსაც შელისთან არ უცხოვრია, ძალიან გაოცდა: „მშვენიერი ადგილებია, მაგრამ არ ვიცი, შევძლებ ესეც ისე შევიყვარო, როგორც პირველი სიმღერები მიყვარს. ამაში არის რაღაც იდუმალება და მეტაფიზიკა“. რაც შეეხება „სტანსები ოგასტას“ ბაირონმა რომ აჩვენა, მტირალა და მოსაწყენიანო — უთხრა, თან უმონყალოდ დასცინა. ჰობჰაუზთან გრძნობებზე ლაპარაკი საკმაოდ ძნელი იყო.

პირველი სკროპ დევისი გაემგზავრა, ბაირონმა დამუშავებული ქვები გაატანა, აქატები, ბროლის გულსაკიდები, დისშვილებისთვისა და თავისი ქალიშვილის, „თავისი საუნჯისთვის“ რომ იყიდა. ეს გახლდათ ყველაზე გამოგონილი სიყვარული მის სხვა სიყვარულთა შორის, — ეს პატარა გოგონა, მხოლოდ ორჯერ თუ ენახა, მაინც თავისებურად უყვარდა. დევისის გამგზავრებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უბედური პოლიდორიც გაუშვეს; ის კეთილშობილებას მოკლებული კაცი როდი იყო, მაგრამ პატივმოყვარეობამ აუტანელ ადამიანად აქცია. ჰობჰაუზმა, რომელსაც წერტილის დასმა შეუბრალებლად შეეძლო, გაიხსენა, რომ მან ეს იწინასწარმეტყველა. დიოდატში ორნი დარჩნენ და ახალი გასეირნებები წამოიწყეს.

მუქი-მწვანე საძოვრები, ნახირის უამრავი ზანზალაკი, მწყემსები, რომლებიც შორიახლო მალლობებზე უმოძრაოდ იდგნენ, და თითქოს ზეცას უფრო მიეკუთვნებოდნენ, ვიდრე დედამიწას, ჩაშავებული თოვლის ბოლო ნარჩენები, რომლის გადნობაც ზაფხულს ვერ მოესწრო, — ეს ყველაფერი ბაირონს თავისი ბავშვობის არდადეგებს აგონებდა შოტლანდიაში. „სიზმარს ჰგავს, — ეუბნებოდა ჰობჰაუზს, — ძალზე ბრწყინვალეა და ძალზე ველური იმისთვის, რომ სინამდვილე იყოს“. მოსწონდა ყინულები, რომლის ტალღისებური ზედაპირი რომელიღაც გაქვავებულ ქარიშხალს აგონებდა, ჩანჩქერებს, რომლის ქაფიანი ფაფარი მზის სინათლეზე გიგანტური თეთრი ცხენის სახეს იღებდა, იქნებ იმ ცხენისასაც, აპოკალიფსური სიკვდილი რომ მოაჭენებდა; მოსწონდა ნაცრისფერი

მძიმე ღრუბელი, უფსკრულების კიდეებზე რომ მიცურავდა, როგორც ჯოჯოხეთური ოკეანის ქაფი. ამ უჩვეულო პეიზაჟების შემყურე მხოლოდ ოგასტაზე ფიქრობდა და მთელი ამ მოგზაურობის განმავლობაში მისთვის დღიურებს წერდა:

„გუშინ, 1816 წლის 17 სექტემბერს/ჰობჰაუზთან ერთად/, მთებში სახეტილოდ წავედი. მოკლე ჩანაწერებს გავაკეთებ ჩემი დის, ოგასტასთვის.“

— *საძოვრებზე ძროხების ზანზალაკების ხმა ისმის, მწყემსების გადაძახილი, უკრავენ სალამურზე, კლდეებზე დავეხეტები, რომლებიც ასე მიუდგომელი ჩანან, — ახლა ყველაფერს ნათლად ვხედავ, ადრე მხოლოდ გაგონილი მქონდა ან ასე წარმომედგინა მწყემსური ცხოვრება... ყველაფერი სუფთაა, რაიმე მინარევის გარეშე — ოლონდ, ველურია და პატრიარქალური... ამ წამს ბუნებით ვივსებ სულს.*

— *ცხრა საათი. დასაძინებლად ვნებები. ჰობჰაუზმა მეზობელ ოთახში შუბლი კარს მიარტყა, და ბუნებრივია, ყველა კარს სწყევლის. დღეს არ დავლილვარ, იმედი მაინც მაქვს, დავიძინებ. ქვევით ქალები ლაყბობენ. ნავიკითხე ფრანგულად ნათარგმნი შილერი. ღამე მშვიდობისა, ძვირფასო ოგასტა.*

— *გრინდენვალდი. ვარსკვლავების ნათება ძალიან ლამაზია, მაგრამ ბილიკია ძალზე უვარგისი. მოკლედ, ამას მნიშვნელობა არ აქვს, მშვიდობიანად ვიარე, ცოტა ქუხილი კი იყო... თითქმის მთლიანად გამხმარი ფიჭვის ტყე გავიარე, უქერქო, შიშველი ხის ტანები, უსიცოცხლო ტოტები. ეს ყველაფერი ერთ ზამთარში განადგურდა, — ამ სანახაობამ მაიძულა საკუთარ თავზე და ჩემს ოჯახზე მეფიქრა.*

— *გზა ბერნიდან ფრიბურგამდე. ძალლი ვიყიდე — ძალიან ლამაზია, ძალიან ავიც, რაც დიდი ღირსებაა მისი პატრონის თვალში და ჩემს თვალშიც. უკუდოა და მუტცი ჰქვია.*

— *ამ გასეირნებისას ბედმა გამიღიმა / ცამეტი დღით/ — როგორც ამინდის მხრივ, ასევე თანამგზავრის არჩევანშიც... მზად ვიყავი, სრული კმაყოფილება მეგრძნო. ბუნება მიყვარს და მუხლს ვიყრი სილამაზის წინაშე. შემეძლია დალილობა ავიტანო, გაჭირვება უფრო მსიამოვნებს, — ვნახე რამდენიმე პეიზაჟი, უმშვენიერესი მსოფლიოში. მაგრამ ამ ყველაფერს შორის მწარე მოგონებები არ მშორდება, ჩემი ამასწინდელი, უაღრესად პირადული იმედგაცრუება; მოგონებები, თან რომ მდევს ცხოვრებაში,*

მღრღნიან მთელი მოგზაურობის განმავლობაში. არც მწყემსების მუსიკას, არც ზვავთა ხმაურს, არც ქარიშხალს, არც მთებს, არც ყინულებს, არც ტყეს, არც ღრუბლებს — ერთი ნამითაც არ შეუმსუბუქებია სიმძიმე, გულზე რომ მანევს და ნებას არ მადლევს გავთავისუფლდე ჩემი უბედური „მე“-სგან.

— საყვედურს არ ვამბობ, ყველაფერს თავისი დრო აქვს. შურისძიების სურვილზეც მაღლა ვდგავარ. დიახ, თანაც არ ვიცი ისეთი მრისხანე შურისძიება, რომელიც საკმარისი იქნება იმისთვის, რაც მე გადავიტანე. მოვა საათი და იმას, რასაც ვგრძნობ, სხვებიც იგრძნობენ... მაგრამ ამაზე კმარა ლაპარაკი. ძვირფასო ოგასტა, გიგზავნით ამ დღიურს, თქვენთვის დავწერე. დავწერე იმაზე, რაც ვნახე და რაც განვიცადე. გიყვარდეთ ისე, როგორც მე მიყვარხართ“.

ავგისტოში, დიოდატში, ლუისი ენვია, „ბერის“ ავტორი. გოეთეს „ფაუსტის“ რამდენიმე ადგილი უთარგმნა. თემა გულზე უნდა მოხვედროდა. კითხვები, რომლებსაც ფაუსტი სამყაროს უსვამს, ეშმაკთან შეთანხმება, მარგარიტას დაკარგვა — განამისი საკუთარი ისტორია არ იყო? მაგრამ ის, ბაირონი რომ ყოფილიყო „ფაუსტის“ შემქმნელი, უფრო ვაჟკაცურს შექმნიდა მას და უფრო პირქუშსაც. რატომ უნდა იკანკალოს სულების ნინაშე? ადამიანს, ნამდვილ ადამიანს მათი არ ეშინია და არ ეშინია სიკვდილის.

ყოველგვარი ქმნილება ბიძგისგან ნამოიშობა, რომელიც კეთილშობილ ნიადაგს ანაყოფიერებს. ბაირონის ნიადაგი მზად იყო: იგი გამოუხატველი გრძნობების, შიშის, სიყვარულის, სურვილების, სინანულის გავარვარებული მასა გახლდათ, — ლავა, რომელიც კიდევ ერთხელ ყველაფრის განადგურებით იმუქრებოდა. უზარმაზარი შთაბეჭდილებიდან, რომელიც „ფაუსტის“ კითხვითა და ალპური პეიზაჟების ხილვით შეიქმნა, ამოიზარდა დიდი დრამატული პოემა: „მანფრედი“. ორი პირველი აქტი თორმეტ დღეში დაწერა, მოგზაურობის დროს. პეიზაჟები ოგასტასთვის, პროზად რომ აღწერდა დღიურებში, ოდნავი ცვლილებებით, ახალი დრამის ფრაგმენტებად იქცა და ნაღვლიან აღსარებებს შეერია. მოგზაურობის ყველა ცოცხალი სცენა — შეხვედრები მონადირეებთან, მწყემსი სალამურზე რომ უკრავდა, — ყველაფერი პოემაში შევიდა.

მანფრედი, ალპებში ფეოდალური ციხე-დარბაზის პატრონი, მაგიური მეცნიერები-

თაა დაკავებული, მდიდარია, სწავლული, მაგრამ გარდასულ დროთა დანაშაულის მოგონებები სულს უწამებს. პირველი სცენა ფაუსტურიია; იგი დედამინის, ოკეანის, მთების, სინათლის სულებს იძახებს. „რა გინდა ჩემგან, შვილო დედამინისა? — ეკითხება დავინწყების სული. — რა? ის, რაც ჩემშია...“. რა არის მასში? ეს კი უნდა გამოიცნოს. სიბრაღული ქალისა, ასტარტასი, რომელიც დაკარგა და რომელთანაც შეერთება ისევ უნდა; სურვილი, შური იძიოს სხვა ქალზე, რომელსაც იგი არ ასახელებს. ამის წინააღმდეგ ბოლო იდუმალი ხმა საზარელ წყევლას წარმოთქვამს — და რადგან ბაირონს საკუთარი თავის დატოვება და საკუთარი „მე“-ს დავინწყება შეუძლია, მინიშნებები ჩვენთვის ნათელია და სიმბოლოებიც გამჭვირვალე. და ჩვენ ვიცით, რომ მანფრედი — ბაირონია, ასტარტა — ოგასტაა, წყევლის ობიექტი — ანაბელა.

„როდესაც ბოლმა შეგიპყრობს, წყვილია მიაპყრობ თვალსა და გაოცდები, თუ ჩემსას ვერსად შენიშნავ კვალსა. უნდა დამალო ყველასგან ტანჯვა-წამება შენი. უკვე წარმოთქვა წყევლის ხმამ თავისი განაჩენი: ქარის ხმა შენთვის იქნება ამიერიდან კვნესა; კაეშნით მოცულ ლამეში შენ მოინატრებ მზესა. მაგრამ როდესაც მზის შუქით გაიფანტება ბნელი, შენ გაგიხდება სიბნელე ისევე სანატრელი. შენი ცბიერი ცრემლები მაქვს მე ვით სანამლაფი. შენი სასტიკი გულიდან სისხლი გავილე შავი. ბაგეზე ღიმი დაგაკალ — გულთა მხილველი გველი. შხამი გაქვს ყველა შხამებზე უმეტეს საშინელი. ფარისევლურის მოქცევით გრძნობებით გამომშრალით, სინაზის გამომჩენელის, მაგრამ ბოროტის თვალთ. მოძმეთა დაუნდობლობით მათთვის მიწვილის შხამით, — წყევას და კრულვას გიგზავნი შენ ყოველივე ამით. გადმოიღვარა შენს თავზე, როგორც შენი ზნის ფასი,

ტანჯვა-წამებით აღსავსე
საბედისწერო თასი.
ვერ მოიქარვებს ტკივილებს
სული მკაცრი და მქისი,
მუდამ სიკვდილის მონატრულს
შიში გექნება მისი.
დანყევლილი ხარ, შეგბორკავს
ჩემი სიტყვების ხუნდი;
სულ იტანჯე და ტანჯვაში
დასჭკნი და დაძაბუნდი!¹⁷³

მანფრედი ჯადოქარს ევედრება გამოიხ-
მოს ასტარტა. იგი აღწერს მას, და იგი —
ოგასტაა.

„მე მგვანდა იგი.
სახის ნახაზი, თმებისა და
თვალების ფერი
და თვით ხმის კილოც —
ამგვარივე იყო იმისი,
მხოლოდ წარმტაცი სილამაზით
დალბილებული.
ჩვენ გვაერთებდა ოცნება და
ფიქრი ერთგვარი,
განმარტოების სიყვარული და
მისწრაფება
მარად იდუმალ ცოდნისადმი ნყურვილი,
რათა
მთელი მსოფლიო
ჩვენს გონებას წინ გადაშლოდა.
გარდა ამისა,
მისთვის კიდევ არ იყო უცხო
ღრმა სიბრალული, მოთმინება,
ღიმილი, ცრემლი, —
რაც მე სრულიად არა მქონდა —
და ეს სინაზე,
რომელსაც მხოლოდ მისდა მიმართ
მე განვიცდიდი.
თუ კი რაიმე ნაკლი იყო მის ბუნებაში,
ეს იყო ჩემიც, ღირსებანი კი —
მისი მხოლოდ.
მე შემეყვარდა და კიდევაც
დავლუპე იგი!“¹⁷⁴

„მე შემეყვარდა და კიდევაც დავლუპე
იგი“, — აი, საიდუმლო მანფრედის სა-
სონარკვეთისა, და თვით ბაირონისაც.
ბაირონი მანფრედის ხმით თავის ტანჯვაზე
ყვირის, მეტისმეტად კარგად რომ იყო და-
ფარული დიოდატის მშვიდი მეპატრონისა
და კოპეს თავაზიანი ფანტაზიორის ნიღაბ-
ქვეშ.

173-174. „მანფრედი“ — თარგმნა კონსტან-
ტინე ჭიჭინაძემ.

ამაოდ იხმობენ ჯოჯოხეთური ძალები
ასტარტას; ის გამოჩნდება, სიტყვას არ ამ-
ბობს, ისეთივე უენოა, როგორც თავის
დროზე ოგასტა იყო ბაირონისთვის. და ისე-
თი, როგორსაც მისი მახსოვრობა ნაკლები
და ნაკლები მკაფიოობით აღადგენდა.

„ო, ასტარტა, უსმინე ჩემს ხმას!
უძვირფასესო, გამიგონე და მიპასუხე!

.....

ჩვენ შეგვიყვარდა ერთმანეთი.

ნუთუ სიცოცხლე
გვექონდა ჩვენ მისთვის მოცემული,

რომ სამუდამოდ,
დაუსრულებელ სატანჯველში

ვყოფილიყავით?
თუმცა იმგვარი სიყვარული,

ვით ჩვენ გვიყვარდა,
შეცოდებაა უდიდესი. მითხარი, რომ შენ

სულყველაფერი მაპატიე, რადგან მივიღე
ტანჯვა-წამება ორთავისი,

და რომ სამოთხე
გერგო შენ, ხოლო მე

სიკვდილი მერგება ბოლოს.

.....

დალუპვის კართან ამართული გთხოვ,
ერთხელ კიდევ

ხმა უტკბილესი გამაგონო,
მითხარი რამე!“¹

.....

ქალი უსიტყვოდ ქრება, და სულები
შიშით უყურებენ მანფრედის სასონარკვე-
თასს. „ეს რომ ერთი ჩვენგანი იყოს, — ამ-
ბობენ სულები, — საზარელი სული იქნებო-
და“.

გადმომსკდარი ლავის ნაკადი დიდებული
გამოდგა. „მანფრედს“ მესამე აქტი აკლდა,
მაგრამ ბაირონმა მაშინ არ მოინდომა მისი
დანერა. ჰობჰაუზთან ერთად დიოდატში
დაბრუნდა და მთების ხიბლიც სწრაფად
გაუქრა.

მანფრედის ნაღველის ერთი ყველაზე
მნიშვნელოვანი მიზეზი ოგასტას მღუმარე-
ბა იყო. ბაირონის ჩივილზე, რატომ უპასუხა
ბანალური, არაფრის მთქმელი წერილებით?
მისი გამაღიზიანებელი არათანამიმდევრო-
ბა, ბაირონის აზრით ასე მიმზიდველი,
ამჯერად რატომ შემობრუნდა უფხო დარი-
გებებით? შეშფოთებული ბაირონი თავისი
დის ბუნდოვანი წინადადებების იქით
სრულიად სხვა გონებას ჭვრეტდა; ამ

175. „მანფრედი“ — თარგმნა კონსტანტინე
ჭიჭინაძემ.

გონებას ის კარგად იცნობდა, ალბათ, მეტისმეტად კარგადაც. მაგრამ აბა, რას წარმოიდგენდა, მისი იქ არყოფნის დროს ამ ორ ქალს შორის რაც მოხდა.

იმ დღეს, როცა ბაირონმა ინგლისი დატოვა, ლედი ბაირონი /რომელიც უკვე რამდენიმე კვირა ლონდონში ცხოვრობდა, რომ თავის იურისტთან და მრჩეველთან /ლესინგტონთან და რომილთან/ ახლოს ყოფილიყო/ სოფელში გაემგზავრა, პატარა ადასთან. ანაბელა ოცდაათხი წლისა იყო და ეგონა, მისთვის ცხოვრება უკვე დამთავრდა. ბაირონისადმი ცუდი გრძნობები ჰქონდა, — მეტისმეტად უყვარდა იგი, ახლა კი სძულდა: მეტისმეტი სიყვარული ხომ სიძულვილს ბადებს. თუმცა, გულის რომელიღაც კუნჭულში უყვარდა ისევ. ოგასტამ გამგზავრების წინ ინახულა და მისმა მიცვალებულისთვის დამახასიათებელმა შემადრწუნებელმა სიმშვიდემ გააოცა.

მორალური პრობლემები, რომლებიც ამ შეურაცხყოფილი კაზუისტის კირკიტა გონებას აშფოთებდა, ქმრის გამგზავრების შემდეგაც არ იყო გადანყვებილი. როგორ მოქცეოდა ოგასტას? მეგობრულად? ეს ნიშნავდა, უარყო ბაირონის წინააღმდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ბრალდება, იმ შემთხვევისთვის, თუ როდესმე მოუწევდა მასთან ბრძოლა, ქალიშვილის აღზრდის საკითხში. მტრულად მოქცეოდა, როგორც ეს იურისტს სურდა? მაგრამ ეს ხომ ყველა ქორის დადასტურებას ნიშნავდა, ლემი რომ ავრცელებდა და კიდევ სხვებიც; გარდა ამისა, ეს ნიშნავდა — მისის ლისთვის შეუძლებელი გაეხადა ლონდონში ცხოვრებაც. ოგასტა ბაირონს დევნილობაში რომ გაჰყოლოდა, ყველას დასანახად გამოეფინა, რომ იყო ეტ სორორ ეტ ცონჯურ;¹⁷⁶ გამარჯვებული ლედი ბაირონი, მდგომარეობის ბატონი გახდებოდა. მაგრამ მსხვერპლის რომანტიკული მოთხოვნილება ყოვლისშემძლე იყო მასში! მას არ სურდა მულის დალუპვა. ის მიიჩნევდა, რომ მისი ქრისტიანული მოვალეობა ოგასტას სულის გადარჩენა გახლდათ და თუ შესაძლებელი იქნება /თუმცა ეს უკვე აღარ სჯეროდა/, ბაირონის სულისაც. ეს ორმაგი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწეოდა, თუ დამნაშავენი ერთმანეთს ვერ ნახავდნენ. მათი თავისუფლების პატივისცემა ნიშნავდა მათი ქცევის თანამზრახველობას.

176. დაცა და ცოლიც.

მოვალეობა აიძულებდა, — ისევე, როგორც ეჭვი და წყენა, — ამგვარი მზაკვრული გზებით ცოდვილის დევნას. მაგრამ მოვალეობის ნიღბის ქვეშ, ცხადია, ამ მეტისმეტად ფაქიზი ქალის გონებას შეეპარა უფრო შემაშფოთებელი გრძნობა და უფრო ბუნებრივიც — ცოდნის სურვილი. მხოლოდ რწმენა კლავს ეჭვს. მაგრამ ანაბელას არანაირი რწმენა არ ჰქონდა იმ საშინელი შემთხვევის თაობაზე, რომელიც ჭეშმარიტი მიზეზი იყო მისი უბედურებისა. ის ინცესტის აჩრდილს ხედავდა, რომელიც ქორწინების დღიდან მის სახლში დაეხეტებოდა, მაგრამ რისთვის უნდა მიეკუთვნებინა რაც მან შენიშნა? ეს ვნება ძველი იყო, უკვე ჩამქრალი და დამცხრალი? თუ პირიქით და ეს საზარელი სიყვარული მათი ქორწინების შემდეგაც გრძელდებოდა? მან ეს არ იცოდა და უნდოდა რომ სცოდნოდა. ოგასტას მის ფიქრებში იმდენად დიდი ადგილი ეჭირა, რომ შეიძლება გაოცდეს კიდევ კაცი, თავადაც ხომ გვახასიათებს შეუპოვარი მოუსვენრობა, სინაზემდე რომ დადის, იმ საყვარელი ადამიანისადმი, რომელიც საიდუმლოს ფლობს, თუნდაც საშინელს, რისი ცოდნაც ჩვენცა გვწყურია.

ამ შფოთისა და ლელვის მდგომარეობაში მყოფ ლედი ბაირონს ბედმა გაუღიმა და მესაიდუმლე იპოვა. ოგასტას ახლო მეგობარმა მისის ჯორჯ ვილერსმა ლედი ბაირონს სთხოვა, მულს მალალი საზოგადოების ქორების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა. ანაბელამ სტუმრად იწვია და სიმართლე მოუთხრო. მისის ვილერსი, ზნეკეთილი ბანოვანი, განცვიფრებული დარჩა და უკიდურესადაც დაინტერესდა. ოგასტა განშორებაზე, ქორებზე ისეთი უმანკო შეურაცხყოფილი ტონით ლაპარაკობდა, რომ მისის ვილერსს გაუჭირდა ლედი ბაირონის დაჯერება. როცა მის სიმართლეში დარწმუნდა, აღშფოთდა. „შეიძლებოდა ოგასტას პატიება, — ამბობდა იგი, — რომ ენამებოდეს, ნანობდეს, მაგრამ დამნაშავეს ის ქედმაღლური სიმსუბუქე სრულიად მიუტყევებელი იყო“. ამასვე გრძნობდა ლედი ბაირონიც. ისევე როგორც ბევრს, მოსწონს ნაქცეული მეგობრის დახმარება მხოლოდ იმიტომ, რომ მან არ გაბედოს ბედნიერებაზე და დოვლათზე ოცნება, ასევე, ეს ორი ქალი მზად იყო ცოდვილის დასახმარებლად, ოღონდ იმ პირობით, ოგასტა თავისი სურვილით თუ დაიმცირებდა და დაიმდაბლებდა თავს. ბაირონიც ცოდვილი იყო, მაგრამ

მან ის მაინც იცოდა, რა იყო ცოდვა. ოგასტას კი ემჩნეოდა, ამაზე არც არასოდეს ეფიქრა. „მუდამ ვამჩნევდი, — წერდა ანაბელა, — ამ გასაოცარ განსხვავებას მათ შორის: ბაირონის გრძობები, თუმცა მის ქცევებთან თანხმობაში ვერ მოდიოდა, მაინც მორალურ საკითხებში გაცილებით ფაქიზი და წესიერი იყო, ვიდრე ოგასტასი. ის თითქოს თავის დანაშაულს მნიშვნელოვნად არ მიიჩნევდა“.

მისის ვილერსი ლედი ბაირონს ეთანხმებოდა, რომ აუცილებელი იყო ოგასტას მიყვანა სიამაყიდან მონანიებად. მისის ლი, ეტყობოდა, სრულიად ბუნებრივად მიიჩნევდა, რომ მასსა და რძალს შორის საზოგადოების დასანახად მეგობრული ურთიერთობები შეენარჩუნებინა. ამიტომ აუცილებელი იყო ოგასტასთვის ეგრძობინებინათ, რომ იგი ახლა კანონგარეშე იდგა.

ლედი ბაირონი — მისის ლის: „*თქვენს მშობიარობამდე არ მსურდა ამეღელვებინეთ, მაგრამ ახლა ვიცი, რომ გამოკეთდით, ამიტომ აღარ შემძლია შემდეგშიც დავფარო თქვენგან ის, რაც დაკავშირებულია თქვენი ქცევების ზოგიერთ წვრილმანთან, თუმცა /როგორც უნდა დარწმუნებული ვიყო მასში/ მერჩივნა მდუმარებით დამეფარა, მაგრამ აუცილებლობის წინაშე დავდექი და ჩემს მოვალეობად მივიჩნევ თქვენთან ურთიერთობა შევზღუდო...“.*

ორი უპატიოსნესი ქალი გულისშემძვრელი შემფოთებით ელოდა, როგორ უპასუხებდა ამ მუქარას მათი დაცემული დაი. „გფიქრობ, პირველად შიში შეიპყრობს, მერე სიამაყე...“. მაგრამ ოგასტამ ძალიან თავმდაბლად უპასუხა: „ჩემი შვილების კეთილდღეობისთვის იძულებული ვარ, თქვენგან თანაგრძობით შემოთავაზებული ურთიერთობის შეზღუდვა მივიღო; როგორც ჩანს, ეს არის ის, რაც თქვენ შეგიძლიათ შესთავაზოთ იმას, ვინც, თქვენი სიტყვებით, აღარ არის ღირსი თქვენი პატივისცემისა და სიყვარულისა. მოვა დრო და თქვენი აზრი შეიცვლება“.

ახლა აუცილებელი იყო, ბოლომდე მისულყო ეს ზნეობრივი მკურნალობა, მისგან დანაშაულის აღიარების მიღწევა, მერე კი ბაირონის ნახვაზე უნდა ეთქვა უარი. მათ შორის მიმონერა გაგრძელდა და ის, ვინც უფრო სუსტი იყო, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ, მაინც მივიდა ნახევრად აღიარებამდე. გამოტყდა, რომ დანაშაულებრივი ურთიერთობა ბაირონის ქორწინებამდე არსებობდა, მაგრამ იფიცებოდა და გულწრფელიც ჩანდა, რომ ქორწინების

შემდეგ მტკიცედ იდგა.¹⁷⁷ ამის შემდეგ დაკითხვამ უფრო ზუსტი ფორმები მიიღო. როცა ორი, ურთიერთთანხმობით, დიდხანს მდუმარედ გვერდს უვლის სერიოზულ, მტანჯველ საკითხს, დაბოლოს, როცა გადაწყვეტენ გახსნან ეს ზნეობრივი ჩირქოვანი მუნუკი, ისინი არცთუ იშვიათად პოულობენ პირქუშ, მაგრამ მწვავე სიამოვნებასა და გულის გამანვრილებელ ბედნიერებას იმაში, რომ ორივემ დანვრილებით შეისწავლა ის საკითხი, რომელიც, როგორც ერთისთვის, ისე მეორესთვის, ასე დიდი ხნის ფიქრის საგანი იყო. ანაბელა ოგასტას უხსნიდა, როგორ მოეჩვენა ყველაფერი საეჭვოდ /სიქს-მაილ-ბოტომში ჩასვლის პირველივე დღეს/; ოგასტა კი დაუზარებლად არჩევდა საკუთარ შეცდომებს და დარწმუნებული იყო ანაბელას სიბრძავეში.

ზოგჯერ ცოდვილი მონანიებას ისევ იწყებდა. მისის ვილერსი 1816 წლის 18 ივლისს, მასთან მისვლის მეორე დღესვე, ლედი ბაირონს სწერდა, რომ „ოგასტა მხოლოდ ტიულსა და აბრეშუმზე მელაპარაკებოდა; მას ჯანსაღი და მშვენიერი შესახედაობა აქვს, რომ იგი, ეტყობა, სრულიად გულცივია და სულში არანაირ სიძიმეს არ გრძნობს“. საბედნიეროდ, რამდენიმე ხნის შემდეგ, დათრგუნული და შეცბუნებული ნახეს. მაგრამ საქმე ჯერ დამთავრებული არ იყო.

საშიშროება იმაში მდგომარეობდა, რომ ბაირონს ისევ შეეძლო მასზე გავლენის მოხდენა. მას უნდოდა ერთმანეთს შვიიცარიაში ან იტალიაში შეხვედროდნენ; შეიძლებოდა ქალი ცდუნებას აჰყოლოდა, მით უმეტეს, რომ პოლკოვნიკი ლი ისევ ვალებში იყო ჩაფლული და შეიძლება, ცოლის გამგზავრებაზე თანხმობაც ეთქვა. ოგასტაც მზად იყო ყოველგვარი სიგიჟის ჩასადენად, როცა ძმა ეუბნებოდა უბედური ვარო. ამაოდ ელაპარაკებოდა ანაბელა იმ საშინელ ტანჯვაზე, სინდისის ქენჯნა რომ

177. ლედი ბაირონი — მისის ლის: „რადგან არასოდეს ისწრაფით და არც ისწრაფოდით მოგეტყუებინეთ იმაში, რაც წარსულ ფაქტებს ეხება და რაზეც ჩემი რწმენა ურყევია, მზად ვარ დავიჯერო, როცა ამბობთ, რომ შეგნებულად არასოდეს მოგიყენებიათ ჩემთვის ტკივილი...“.

ლედი ბაირონი — მისის ვილერსი: „მივიღე პასუხი — იგი ისეთია, როგორც უნდა იყოს, — ეს ყველაფერია, რისი იმედიც უნდა მქონდეს. სრულიად დარწმუნებული ვარ ოგასტას უდანაშაულობაში იმ პერიოდში, როცა საქმე უშუალოდ მე მეხებოდა“ /ავტორის შენიშვნა/.

ინვევდა ბაირონში, რომლის მოწმეც თვითონ იყო. „თავად არასოდეს მინახავს ის, — ეუბნებოდა ოგასტა, — რასაც თქვენ აღმინერთ, თუ როგორ იტანჯებოდა... რომ ვიცოდე, იქნებ დავხმარებოდი ჭეშმარიტი ბედნიერების მოპოვებაში! მაგრამ მე არ ვიცი...“. ზოგჯერ ლედი ბაირონი თავის მულს სიამოვნებით მიაკრავდა დაფას წარწერით: “მოუნანიებელი ერეტიკოსი”.

1816 წლის აგვისტოს ბოლოს, ანაბელა ლონდონში ჩავიდა ოგასტას სანახავად. ამ ბოლო დაკითხვისთვის რომ მომზადებულიყო, თავისი ჩვეულების მიხედვით, საკითხები პარაგრაფებად ჩამოწერა: „რა უფრო გტანჯავთ: თქვენი ცოდვა თუ მისი შედეგები? თქვენი დანაშაული ღმერთის სანინააღმდეგოა თუ ახლობლებისა? ნათლად გრძნობთ, რომ ყოველგვარი აზრი, ასეთ ცოდვასთან დაკავშირებული, თავისთავად ცოდვაა და რომ გული შეიძლება დამნაშავე იყოს მაშინაც კი, როცა ქცევები უდანაშაულოა?“

სექტემბრის პირველ დღეებში ქალები ერთმანეთს ყოველდღე ნახულობდნენ.¹⁷⁸ ამ დაუსრულებელი საუბრების დროს, ოგასტა, ბოლოს და ბოლოს, ამ ძლიერი ქალის ხელში აღმოჩნდა და ანაბელას მიანდო თავისი სულის მართვა; ალუთქვა, ბაირონის წერილებსაც გაჩვენებდა და მეც ცივად მივწერო. ლედი ბაირონი არ მოითხოვდა, რომ ძმასთან მიმონერა შეენყვიტა: “მიმონერის შეწყვეტას არ გირჩევთ, მაგრამ, გთხოვთ, გამუდმებით იმაზე იფიქროთ, როგორ გამოასწოროთ მისი გრძნობები და არა იმაზე, როგორ დაუმშვიდოთ ან დაუკმაყოფილოთ ისინი. თავი აარიდეთ ყოველ წინადადებას და ყოველ მინიშნებას, რამაც შეიძლება ცუდ აზრებამდე მიიყვანოს... ნება მომეცით, გითხრათ, უფროთხილდით, მისი აზრების სიმსუბუქეს და, აქედან მომდინარე, ოდნავ ახირებულ ტონს, რაც მას ასე უყვარს, მაგრამ უყვარს იმ უღირსი მიზეზის გამო, რომ იგი ხელს უშლის სერიოზულად იფიქროს”. შეუცნობელი მოხერხებულობა ქალისა — ოგასტას

178. ლედი ბაირონის ჩანაწერი: „ოგასტამ ჩემთან აღიარა ადრინდელი ურთიერთობები — თან მტკიცედ უარყოფდა, რომ ეს ურთიერთობები ჩვენი ქორწინების შემდეგ აღარ გაგრძელებულა... გამოტყდა, რომ ლექსი /I სპეაკ ნოტ, იტრაცე ნოტ, ი ბრეატჰე ნოტ/ მისდამია მიძღვნილი.

მისის ვილერსი — ლედი ბაირონს: “ამ ლექსის შესახებ ოგასტას მკაცრად ველაპარაკე“ /ავტორი/.

ართმევდა იმას, რაც მთელი მისი ხიბლი იყო.

ჟენევაში ცივი და წვიმიანი ამინდები იწყებოდა. ბაირონს შვეიცარიიდან უნდოდა წასვლა. ტბის მეორე ნაპირიდან, სეშერონიდან, ინგლისელი ტურისტები საზღვაო დურბინებით მის აივანს უთვალთვალბდნენ იმ იმედით, რომ იქ ქალის ქვედა კაბას დაინახავდნენ. როგორც ყველა დევნილი, ისიც მგრძნობიარე იყო და ხვდებოდა, ამ განმარტოებაშიც სიძულვილით დასდევდნენ უკან, იმ სიძულვილით, რითაც გამოაცხადეს. უნდოდა მთები გადაელახა და ადრიატიკის სანაპიროებისკენ დაშვებულიყო, ისე, როგორც „ქანცგანყვეტილი ირემი განწირული გადაეშვება ხოლმე წყალში“.

ოქტომბრის დასაწყისში დიოდატი დატოვა და ჰობჰაუზთან ერთად, სიმპლონის გავლით, მილანისკენ გაემართა. დიდებული ფლეტჩერიც მათთან იყო და ჰობჰაუზი აღფრთოვანებული იყო მისი ხელოვნებით — ინგლისური ყოფის ყოველდღიურობაში გადაეყვანა ყველაფერი, რაც რამ შეხვდებოდა. ერთმა ჩანჩქერმა ფლეტჩერს „პატივცემული მისტერ ბეხერის პარიკი გაახსენა“. ექვსი ცხენი ეწეოდა ბაირონის ეტლს სიმპლონის სიმაღლეებისკენ. გაიარეს ნაძვის ტყეების, ქვათა სამყაროსა და მარადიული ყინულების ზონა. მწვერვალზე ადგილი ვერ იპოვეს თავიანთი გვარების მისანერად, ქალაქის ნაგლეჯზე დაწერეს და გულდაგულ დამალეს ქვის ქვეშ, მერე მარადიული ყინულებიდან ქვევით დაეშვნენ და დომოდოსოლის მთიან ხეობაში ჩავიდნენ, რომლის ფერდობები ვენახებით იყო დაფარული, ფერდობების წვერებზე კი თეთრი სამრეკლოები აღმართულიყო.

ფლეტჩერმა ბრძანება მიიღო — კარაბინები, ხანჯლები და პისტოლეტები მოემზადებინა. ინგლისელებს აფრთხილებდნენ, სახიფათო ქვეყანააო. ნაპოლეონის დამხობის შემდეგ საცოდავი იტალია უცხო ქვეყნების გამგებლობაში მოხვდა. წმინდა კავშირმა,¹⁷⁹ „დინასტიათა საზოგადოებამ“, ლომბარდიისგან ავსტრიული სამეფო შექმნა, რომელსაც უფალი ღმერთის — ლეიტენანტ მეტერნიხის პოლიციის დახმარებით მართავდა. ყველგან ჯაშუშები დაძრწოდნენ, ოჯახებშიც კი დაბეზლება მეფობდა. ლიბერალები და პატრიოტები საი-

179. ევროპის მონარქთა გაერთიანება რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. პირველად კავშირში შედიოდნენ რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მონარქები.

დუმლო ორგანიზაციებს აარსებდნენ. მილანში ბაირონი ლიბერალების წრეს დაუკავშირდა. რეკომენდაცია ჰქონდა მადამ დე სტალისა მონსენიორ ლუდოვიკო დე ბრემთან, იტალიის ექსმეფის კარის მღვდელთან. მისი მეშვეობით გაიცნო მარკიზი დე ბრემი /რომელიც ოდესღაც შინაგან საქმეთა მინისტრი იყო ეჟენ ბოარნესი 1802./, იტალიის ყველაზე ცნობილი ცოცხალი პოეტი მონტი და მწერალი სილვიო პელიკო. ქვეყანა მოეწონა. გლეხის გოგოებს მშვენიერი შავი თვალები ჰქონდათ. სიმამაცე და სიყვარული ეწერა ყოველი მათგანის სახეს.

ალაფრთოვანა ამბროსის ბიბლიოთეკამ, სადაც ლუკრეცია ბორჯას „რელიკვიები“ აჩვენეს, მისი თმის კულული, გრძელი და მშვენიერი, და მისი წერილი, „ისეთი კარგი, ისეთი მოსიყვარულე, რომ უბედურად უნდა იგრძნო თავი, ადრე რომ არ დაიბადე, სხვა თუ არაფერი, დაინახავდი მაინც მას“. „აბა მიხვდით, გოგონათ, — წერდა ოგასტას, — ზოგჯერ როგორ აწერდა ხელს? აი ასე +, ჯვრით, — რომელსაც მისი სახელი უნდა შეეცვალა... განა საინტერესო არ არის? ვფიქრობ, იცით, რომ იგი ლამაზი იყო და თანადი ცხოვრების წესით ფრიად ცნობილი, კარდინალი ბემბო უყვარდა /კიდევ ის ამბები მამიკოსთან, პაპ ალექსანდრესა და ძმასთან ჩეზარე ბორჯასთან — ზოგს ეს სჯერა, ზოგს — არა/. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ფერარის ჰერცოგინია გახდა და მშვენიერი ცოლიც იყო და დედაც, — ძალიან, ძალიან სამაგალითო“.

თეატრ „სკალაში“ დე ბრემების ლოჟაში ჰობზაუზი და ბაირონი ერთ ფრანგს გაეცნენ, ბატონ დე ბეილს,¹⁸¹ საიმპერატორო საცავების ყოფილ ინტენდანტს, რომელმაც მათ გასაოცარი ამბები უამბო, ისიც უთხრა, ნაპოლეონის პირადი მდივანი ვიყავი და იმპერატორს რუსეთიდან უკან დახვევის დროსაც ვემსახურებოდიო. „ნაპოლეონს მაშინ სრულიად აებნა თავგზა, — თქვა ბეილმა, — თავის ბრძანებებს ხელი ასე მოაწერა „პომპეუსი“. როცა ვუთხარი: „თქვენო უდიდებულესობავ, შეცდომა მოგივიდათ“. მან საშინელი სახით შემომხედა და ჩაიბუზღუნა: „აჰ, დიახ“. ერთხელ ბეილი

180. ეჟენ ბოარნე /1781-1824/ — ნაპოლეონის გერი, ლიბტენბერგის ჰერცოგი, ფრანგი გენერალი, იტალიის ვიცე-მეფე /1805-1814/.

181. ანრი მარი ბეილი /ფსევდონიმი სტენდალი /1783-1842/ — ფრანგი მწერალი.

იმასაც შეესწრო, როცა ოთხმოცდაოთხი გენერალი გამოცხადდა მთავარ ბანაკში, ნაპოლეონმა როგორ წამოიძახა: „აი, მთელი ჩემი დივიზია!.. მთელი ჩემი ბრიგადა!..“ როცა იმპერატორი გაემგზავრა, ბეილი მიურატთან მიავლინეს; მიურატი საწოლზე იჯდა თურმე და მწარედ ტიროდა. მერე ტალიერანზეც ალაპარაკდა. თქვა, სასამართლოზე რომ მოხვედრილიყო, აუცილებლად გაასამართლებდნენო; ისიც თქვა, ნაპოლეონი მკაცრი სულაც არ იყო, მეტისმეტად რბილი კაციც კი იყო. ისიც აუნყა მათ, ქალბატონი ნეი ახლა მილანშია და თავისი ქმრის საფლავზე ასეთი წარწერის გაკეთება მოისურვაო: „ოცდათხუთმეტი წელი დიდებისა და ერთი დღე ცდომილებისა“. გასაოცარი კაცი იყო ეს ბატონი დე ბეილი, — ყველგან პირადად ესწრებოდა ყველაზე დაუჯერებელ ამბებს. „ყველა საფუძველი მაქვს, — წერდა ჰობზაუზი, რომელიც მონდომებით იწერდა მის მონათხრობ ამბებს, — ბეილი ისეთ ადამიანად მივიჩნიო, რომელიც ნდობის ღირსია, მაგრამ ლაპარაკის მანერა აქვს ღვარძლიანი და მატერიალისტის შთაბეჭდილებას ახდენს, რაც სინამდვილეში არის კიდევ“.

მილანში ბაირონსა და ჰობზაუზს ისევ გამოუჩნდათ ის უბედური პოლი-დოლი; ვილაც ოფიცერს წაეჩხუბა და ბაირონს მოუწინა საქმეში ჩარევა მის გადასარჩენად. პატარა ექიმი ახლა უკვე უელსის პრინცესას მედიკის თანამდებობის კანდიდატი ბრძანდებოდა. „საცოდავი ქალი, — თქვა ჰობზაუზმა, როცა სარეკომენდაციო წერილს აძლევდა, — ჭკუანაკლული უნდა იყო, ასეთი ექიმი რომ აიყვანო“. ლუი დე ბრემი ჰობზაუზზე /მგზნებარე ქსენოფობი/ უფრო სამართლიანი იყო და საცოდავ ექიმზე უკეთესი აზრისა გახლდათ. „იშვიათად შეხვდები, — წერდა მადამ დე სტალს, — ასეთ პატრიოსანს, უბრალო და წრფელ ადამიანს, როგორიც პოლიდორია“.

ლუი დე ბრემმა მადამ დე სტალს ბაირონზეც გაუზიარა თავისი აზრები; ეს მით უფრო საინტერესოა, რადგან იგი სერ უოლტერ სკოტის აზრებსაც დაემთხვა:

„ლორდი ბაირონი თავაზიანობის განსახიერებაა. შემთხვევა მიეცა, თავისი კეთილი გული პოლიდორისთვის ეჩვენებინა და მან ეს ძალიან უბრალოდ და ზრდილობიანად გააკეთა. აბა, როგორ გითხრათ? ვფიქრობ, არსებობენ გულიანი ადამიანები, შეიძლება სოციალურად დაბალნი, მაგრამ მაღალი ჰუმანურობით დაჯილდოებულნი. ლორდი ბაირონი მრავალი თვისების მა-

ვენეცია — გულთა ჯადოქარი

ტარებელია, რომლებიც ბუნებრივია და მისი თანამემამულეები და ახლობლები ვერ ამჩნევენ, ძირითადად იმიტომ, რომ მას აკლია ის თვისება, რაც ჩვეულებრივ მიღებულია და მოითხოვენ ხოლმე... მივახვედრეთ, რომ ჩვენ საერთოდ არ გვეხება ესა თუ ის, მასზე გავრცელებული აზრი და რომ ჩვენი აზრი მთლიანად მასზე იქნებოდა დამოკიდებული. მისი ნაწარმოებები ჩვენს მეგობრებს, ვინც ინგლისური იცის, ძალიან მოსწონთ, პირდაპირ ვერ ვეუბნებით, მაგრამ ღრმა აღფრთოვანებას ვაგრძნობინებთ; ეს ჩვენს მეგობრულ ურთიერთობებს ხელს უწყობს, მას კი შესაძლებლობას აძლევს, მტკიცედ იგრძნოს იმ საზოგადოებაში თავი, რომელშიც შევიყვანე. „იმ ადამიანის ჯილდო, ვისაც დაბნეული სულების ნუგეშისცემა შეუძლია, მხოლოდ იმაშია, რომ მას ამ სულების გაგების უნარი აქვს“.

იტალიელმა მეგობრებმა ბაირონს მილანის ყველა ღირსშესანიშნავი ადგილი აჩვენეს. მოისმინა სიმონეტის ექო და ნახა მთვარის შუქით განათებული ტაძრები. ბატონმა დე ბელიმა აღნიშნა კიდეც ის გასაოცარი შთაბეჭდილება, ბაირონზე რომ მოახდინა დანიელ კრესპის სურათმა.¹⁸² სურათზე, ეკლესიის შუაში, კუბოში მწოლიარე ბერი იყო გამოსახული, რომელიც სულის მოსახსენიებელი მსახურების დროს სუდარას უეცრად იშორებს, კუბოდან დგება და ამბობს: „წმინდა სასამართლოსგან დაწყველილი ვარ!“ ბაირონი ამ სურათს ვერ მოაშორეს, გულის სიღრმემდე შეძრული იყო. მისი თანამგზავრები, გენიოსის პატივისცემის ნიშნად შეუმჩნევლად გავიდნენ, ცხენებზე შესხდნენ და ქუჩაში ელოდნენ ბაირონს.

4 ნოემბერს ჰობზაუზი და ბაირონი ვენეციაში გაემგზავრნენ. ბრეშა, ვერონა /სადაც ბაირონს ჯულიეტას გახსენებაზე გული აუჩუყდა/, ვიჩენცა გაიარეს, და ერთ ღამეს, გონდოლის რბილ სავარძელში ჩათვლემილს უეცრად განათებული ვენეციის შუა გულში გამოეღვიძა. ნიჩბების დაცემის ექომ მიახვედრა, რომ ხიდის ქვეშ მიცურავდნენ, — გონდოლიერმა იყვირა: „რიალტო!“ რამდენიმე წუთიც და სასტუმრო „დიდ ბრიტანეთს“ მიადგნენ დიდ არხზე. დიდებული კიბეებით მოოქროვილი ოთახებისკენ წაიყვანეს, რომელთა კედლებზეც მოხატული აბრეშუმი იყო გაკრული.

182. ალბათ, იტალიელი ფერმწერი ჯუზეპე მარია კრესპი იგულისხმება /1665-1747/.

სადაც მუდამ უნდა გაითვალისწინო ნილი მოუხელთებელი ფანტაზიისა და სარეცელი, რაიც ყველაფერზე მბრძანებლობს. ალენი

ბაირონი — მარის: „ვენეცია იმაზე მეტად მომეწონა, ვიდრე ველოდი; ლოდინით კი ბევრს ველოდი. იგი ერთი იმ ქალაქთაგანია, რომელსაც მაშინაც კი ვიცნობდი, ვიდრე ვნახავდი, და აღმოსავლეთის შემდეგ, ეს სამყაროს ის ადგილია, რომელზეც ყველაზე მეტად ვოცნებობდი. მომწონს მისი ფიქრიანი მხიარულება, მისი გონდოლებისა და არხების მდუმარება. ქალაქის აშკარა დაცემაც კი ვერ მიფარავს აღტაცებას; მოკლედ, მენანება მისი გამქრალი კოსტიუმების თავისებურება, თუმცა ჯერ კიდევ არის შემორჩენილი; მალე კარნავალი იქნება“. ტომას მურს: „მინდა ვენეციაში გავატარო მთელი ზამთარი... ქალაქმა იმედი არ გამიცრუა... ისე დიდხანს ვიცხოვრე ნანგრევებში, რომ არ შეიძლება გაპარტახება არ შევიყვარო“.

ვენეციური დიალექტი მოსწონდა, ისევე როგორც ჟანგმინისფერი ტონები ვენეციური სასახლეებისა, ისევე როგორც სახელების ჟღერადობა და სასახლეთა ვარდისფერი მარმარილო, ისევე როგორც ღამით გონდოლების პირქუში სილამაზე. ეგონა, ყოველ ქუჩასა თუ ქუჩაბანდში შექსპირის პერსონაჟთა აჩრდილებს ხედავდა — ვაჭარს, მავრს, დეზდემონას... თავს ხეიბრად აღარ გრძნობდა, იქ, სადაც სიარული გონდოლების ნელ სრიალს შეეცვალა.

ვენეციის რესპუბლიკა აღარ არსებობდა. წმინდა მარკოზის ტაძრის ფრთიანი ლომები აღარც დოჟებს უდგენენ მცველებად და აღარც ათთა საბჭოს. როგორც მილანში, აქაც ავსტრიელთა მმართველობა იყო, აქაც მეტერნიხი განაგებდა ყველაფერს. მაგრამ ქალაქი მხიარული და ავხორცი რჩებოდა. წმინდა მარკოზის მოედანზე მდებარე კაფე სავსე იყო ხალხით. ვენეციაში რვა თეატრი იყო /მეტი, ვიდრე ლონდონში; მეტი, ვიდრე პარიზში/. იტალიის საზოგადოება ცონვერსაზიონი-ებში იყო გაერთიანებული და ყველაზე ბრწყინვალედ გრაფინია ალბრიცის სალონი ითვლებოდა, რომელსაც იტალიელები „იტალიელ ბარონესა დე სტალს“ ეძახდნენ. გრაფინიამ იზრუნა, რომ დაუყოვნებლივ მიეყვანათ მასთან „ინგლისის

პირველი პოეტი“. რამდენიმე კაცი იჯდა პატარა სასტუმრო ოთახში და წყალს სვამდა. ჰობჰაუსს ეს ცონვერსაზიონი საცოდავ მსგავსებად ეჩვენა კოპეს სალონისა, ოლონდ, აი, სალონის დიასახლისი კი ძალზე მომხიბლავი ჩანდა.

4 დეკემბერს მეგობრები ერთმანეთს დაშორდნენ. ჰობჰაუსი რომში გაემგზავრა, ბაირონი ვენეციაში დარჩა, და მაშინვე სენიორ სეგატის სახლში „თავშესაფარიც ჰპოვა და მიჯნურიც“. სეგატი ერთი ფართლეულით მოვაჭრე კაცი იყო, ფრეცერიაზე/წმინდა მარკოზის ტაძრის მეზობელი ერთი გრძელი და ვიწრო ქუჩაა/ ფარდულიც ჰქონდა, ფირნიშზე ეწერა „ჩორნო“¹⁸³ მალე მისმა ქარგლებმა ამ სიტყვას „ინგლესე“¹⁸⁴ მიუმატეს. სეგატს ვაჭრობა ცუდად მიუღოდა, სამაგიეროდ, ცოლი ჰყავდა ახალგაზრდა და ლამაზი. გარდა ამისა, ქალი კარგადაც მღეროდა, მისი ხმის გამო ცოლ-ქმარი სეგატებისთვის ვენეციის არისტოკრატის ყველა სახლის კარი ღია იყო. მარიანა სეგეტიმ შეძლო და ბაირონი დააჯერა, ჩემი პირველი მიჯნური ხარო. ვენეციაში ის ხარბ და ადვილად ხელმისაწვდომ ქალად მიაჩნდათ, მაგრამ ბაირონი მოხიბლული იყო მისით: „აქ დაბინავების პირველსავე დღეს ქალბატონი სეგატი შემიყვარდა და ახლაც მიყვარს, რადგან ლამაზია, სასიამოვნო და ვენეციურად ლაპარაკობს, რაც ძალიან მართობს; კიდევ იმიტომ, რომ ძალიან მიაპიტია და შემეძლია, როცა მომესურვება მაშინ ვნახო და სიყვარული გავიზიაროთ, რაიც ჩემს ტემპერამენტს კარგად მიესადაგება“.

მოკლედ, ბაირონს იგი თავისებურად უყვარდა, ნახევრად სანტიმენტალურად, ნახევრად აგდებულად, როგორც ერთგული ძალღი უყვართ ხოლმე, ცხენი ან ტომას მურის სიმღერა ეყვარებოდა. მხიარული ქალი იყო და ბაირონს მოსწონდა ეს; ჩუმი იყო, თუკი ბაირონი ნაღვლობდა, — ხელზე მიჩვეული მშვენიერი ცხოველი გახლდათ. ალპები, „მანფრედზე“ მუშაობა, იტალიის ამბები, იმ შინაგან შფოთვის უმშვიდებდა, დიოდატში ყოფნისას მასში ოდნავი ჩახედვისაც რომ ეშინოდა. აღარ იტანჯებოდა, ყოველ შემთხვევაში, საკუთარი ტანჯვით სიამოვნებას მაინც აღარ იღებდა. ამ უცხოელი ქალის ლაყობა „თავისი მშვენიერი საცოდავი ლათინურით“ აღგზნების მიყურებაში ეხმარებოდა. ფიზიკური დალილობისთვის, რაიც ვნებათა შემოტევისგან თავ-

დაცვის საუკეთესო საშუალებაა, ავსტრიული ფორტის კომენდანტს ოთხი ცხენი გამოართვა და ყოველდღე ლიდოში მიჰქროდა, მინის ვიწრო ზოლზე და ადრიატიკის ტალღები მისი ცხენის ფეხებთან ღელავდა.

მისი გონდოლა ყოველდღე ჩერდებოდა სომხურ მონასტერთან. ბერებს დაუმეგობრდა და მათ პატარა კუნძულზე, იუდას ხეებით, კვიპაროსებითა და ფორთოხლის ხეებით რომ იყო დაფარული, მისვლა უყვარდა. აყვავებულ სავანეს გაივლიდა, ოთახში შევიდოდა, სადაც უამრავი ხატი ეკიდა და მამა პასკალ აშარს ინგლისურ-სომხური გრამატიკის შედგენაში ეხმარებოდა. მამა აშარის ზეთისხილისფერი სახით და გრძელი წვერის ცქერით ტკებებოდა. სოლომონის ტაძრის მთავარ ქურუმს ამსგავსებდა იგი მამა აშარს. სომხური ძნელი ენა იყო მისთვის, მაგრამ ამ სიძნელეში იყო მიმზიდველობა. „ასე მგონია, აუცილებელია, ვაიძულო ტვინი, რათა დაამარცხოვრომელიმე რთული ამოცანა, — ეს კი ყველაზე ძნელია, რაც აქ შემხვედრია“.

როცა ეკითხებოდნენ, ვენეციაში რამდენ ხანს დარჩებო, პასუხობდა: „ვფიქრობ, სიყვარული და სომხური ალფაბეტი მთელ ზამთარს მეყოფა“-ო. სიამოვნებით საუბრობდა ბერებთან. მათი განდევილობა შურდა, მათი მყუდრო თავშესაფარი და მათი სულიერი სიმშვიდე. მამა აშარი სომხეთზე უყვებოდა, უმტკიცებდა, ბიბლიური ყველა ავტორიტეტის თანახმად, იქ არისო მინიერი სამოთხე. უფალმა იცის, სად ეძებდა მას ბაირონი. იქნებ ვენეციაში იპოვა? ზოგჯერ სჯეროდა, რომ აქ იპოვა. გონდოლებით სეირნობა, ცხენის ჭენება, სომხური ენის გაკვეთილები, მარიანასთან ნეტარყურობა საპატიო მანძილზე აკავებდა მის უდიდეს მტერს — მოწყენილობას. ვენეციელები მას უკვე ისე უყურებდნენ, როგორც თავიანთი ქალაქის ბუნებრივ სამკაულს. „ღვთაებრივი კომედიისა“ და ათენელი ნიკოლო ჟიროს წყალობით საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა იტალიურად: „ენა ბევრი ვიცი, და უცხოთათვის, მე აღარა ვარ უცხო ქვეყნელი“-ო, ნერდა.

როგორც ოდესღაც საბერძნეთში, ახლაც, ისევე მოწყვეტილი თავის ქვეყანას, მოსწყდა ყოველგვარ ინგლისურსაც. ინგლისელებისგან მოშორებულს, ზოგჯერ სულის სიღრმეში, ინგლისური ავტორიტეტიც ავიწყდებოდა. „რომ შემეძლოს ასეთად დავრჩე, როგორიც აქ, ახლა ვარ, არა მართო ბედნიერი ვიქნებოდი, დაკმაყოფილებულიც, ეს კი, მგონი, ძნელია და იშვიათად ხდე-

183. რქა /იტალ/.

184. „ინგლისური“ /იტალ/.

ბა. მაქვს წიგნები, საკმაო კომფორტი, მშვენიერი ქვეყანა, ენა, რომელიც სხვაზე მეტად მომწონს, ბევრი გასართობი, იმდენი ნაცნობი, რამდენსაც მოვისურვებ, და ლამაზი ქალი, რომელიც თავს არ მამბებებს. ცხოვრებას ცოტა რამ თუ შერჩა, რამაც შეიძლება ცნობისმოყვარეობა აღმიძრას, ცოტა რამეს თუ შემომთავაზებს ისეთს, რაც არ მინახავს ან მონაწილეობა არ მიმიღია, — ჩემი მხრიდან, დიდი სისულელე იქნებოდა იღბალს ვებრძოლო იმის გამო, რომ არ მოისურვა და არ გამომეცა თან; თუმცა ამაში დამნაშავე ნაწილობრივ მეც ვიყავი. თუ ახლანდელი გაგრძელება, წარსულს დავემშვიდობები და შეგიძლიათ, მიცვალებულად ჩამთვალოთ, რადგან საკუთარი ნებით არასოდეს დაფუბრუნდები თქვენს მეტისმეტად ვიწრო კუნძულს“.

კარნავალის დროც დადგა, საუკეთესო ხანა ვენეციისა, ჟამი მასკარადებისა, სერენადებისა, მოულოდნელი გამოსვლებისა, იდუმალელებისა, ჟამი საყვარელი მიჯნურებისა და არა ქმრებისა, დრო, როცა ქალები მომავალი მარხვის დაწყებამდე მარაგს იკეთებენ. ბაირონი საკმაოდ კარგად იცნობდა ამ შავთვალა ვენეციელ ქალებს. თითოეულს, სულ მცირე, ერთი ამოროსო¹⁸⁵ მაინც ჰყავდა: ისინი, ვისაც მართლა ერთი სატროფო ჰყავდა, პატიოსან ქალად მიიჩნევდნენ და კარნავალის დროს იმ ერთსაც სხვითი სცვლიდნენ. მხოლოდ მარიანა იყო თავისი ლამაზი ინლისელით კმაყოფილი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე დიდხანს შეენარჩუნებინა იგი.

ფერადოვანი კოსტიუმები, თურქები, ებრაელები, ბერძნები, რომაელები შავ გონდოლებს ჟრიაშულით აცოცხლებდნენ. ამ ცხოვრების ცეკვის რიტმებს მისცა თავი ბაირონმაც. ტომას მურისადმი მიწერილ მის წერილს ვენეციური გიტარასავით მღეროდნენ:

„ნეტავ ახლა რას აკეთებ,
ეჰეი, ტომას მურ?
ნეტავ ახლა რას აკეთებ,
ეჰეი, ტომას მურ?
ოხრავ სადმე თუ ქალს ეტრფი,
ლექსებს წერ თუ სახელს ელტვი,
ართობ ვინმეს თუ თავს ესხმი,
რომელს, ტომას მურ?“

მაგრამ კარნავალი მოდის,

ეჰეი, ტომას მურ!
კარნავალი კარს მომდგარა,
ეჰეი, ტომას მურ!
ნიღბებით და ფანფარებით,
ზარებით და გამალებით,
გიტარებით, დაფდაფებით,
ეჰეი, ტომას მურ!“¹⁸⁶

ბნელ კუთხეებში დილამდე ისმოდა სიმღერებისა და კოცნის ხმა. მარიანა და ბაირონი მთელი ღამე ერთად სეირნობდნენ, ამ დროს კი ვენეციელ ვაჭარს „ინგლისური რქის“ ფირნიშის ქვეშ მშვიდად ეძინა. უმშვენიერესი დღეები იყო, მერე ღამის ცხოვრებამ ბაირონი დაღალა. ჯანმრთელობაც ნელ-ნელა გაუუარესდა. იქნებ, ამ ჩამკვდარი წყლისგან ციებაც შეეყარა? მალარიის შეტევა, იმის მსგავსი, პატარაობაში რომ დაემართა და, ცოტას დარჩა, არ გადაიყოლა? ან იქნებ, ეს უკვე სიბერეა? უკვე ოცდაცხრა წელი შეუსრულდა. „დამწამ უკვე ქარქაში გაცვითა“, — ამბობდა და მარიანას წარმტაც, ოღონდ დალლილ ლექსებს სწერდა.

მარხვა საწოლში გაატარა, ძალიან ცუდად იყო და ციებიანის ბოდვებში ემჩნეოდა, რომ გარდასული სახეები ისევ საშიშ ძალებს იკრებდნენ. რა მოუვიდა ოგასტას? ვერაფრით მიმხვდარიყო ქალის ამ ახალ მომნაწიბელ ჟარგონს:

„მგონი, თქვენი ყველა წერილი მივიღე, ჩვეულებრივად სავსე უბედურობებითა და იდუმალეებით; მაგრამ თანაგრძნობის გამოცხადება არ შემიძლია, რადგან, სიცოცხლეს გეფიცებით, ვერაფრით ვიგებ, რისგან იტანჯებით: სულიერი ტკივილებით თუ დამსხვრეული გულის გამო, — თქვენ იყავით ავად თუ ბავშვები; რას ეხება თქვენი იდუმალი და მელანქოლიური სიფრთხილე — კაროლინა ლემთან რომანს თუ მისის კლერმონტის მოწმეობას ან ლედი ბაირონის დიდსულოვნებას ან სხვა სიცრუეს... რამაც შეიძლება გული გატკინოთ, ვფიქრობ, უკვე დიდი ხანია წარსულში დარჩა; რაც შემეხება მე, გთხოვთ, ჩემს თავთან დამტოვოთ“.

ცოტა მოგვიანებით:

„ისევ გიმეორებთ, უკეთესი იქნება პირდაპირ ამიხსნათ მთელი ეს თქვენი იდუმალეები, ვიდრე მინიშნებების ამ სულელური მანერით გააგრძელოთ წერა. რისი თქმა გნებავთ. სხვამ რა უნდა გაიგოს ისეთი, რაც ჩვენ უკეთესად არ ვიცით და რისი

186. „ტომას მურს“. თარგმნა ინესა მერაბიშვილმა.

185. საყვარელი.

დამალვა გასურთ ჩემთვის? მე რაც შემეხება, უკან არასოდეს დამიხვევია, — თქვენს გამო ბევრი რამ დავთმე, რადგან ვფიქრობდი, რომ თქვენი სახელის გატეხას ეცდებოდნენ, თუმცა არაფერი ესაქმებათ იმასთან, რაც იყო იმ ჯოჯოხეთურ ურჩხულზე ჩემს ქორწინებამდე, რომლის სიკვდილსაც როდესმე ვნახავ“. ეს წერილი ლედი ბაირონს გადაეგზავნა ოგასტას ასეთი კომენტარით: „ასეთ ნაღვლიან წერილში არ მინახავს ამდენი სიავე, სიძულვილი და გულის ტკივილი ყველაფრის მიმართ. ისლა რჩება, რომ ეს წერილი დაინვას. საერთოდ კი, ჩემთვის ნათელია, რომ ის საკუთარი თავით უკმაყოფილოა. საცოდავი ბიჭი“.

ამ ქალს ბოროტებისა და სიავის არაფერი ეცხო; მას შეეძლო ჯოჯოხეთის ტანჯვაც კი ბავშვური ტიტინით მოეყოლა.

ავადმყოფობის დროს ბაირონმა „მანფრედის“ მესამე აქტი დაასრულა; ცოტა შეკუმშული კი გამოუვიდა /ბაირონს, გოეთესავით, არ შეეძლო ზებუნებრივის დიდი მასის მანევრირება/, მაგრამ თავისი ფილოსოფიით საინტერესო. მანფრედი — სიკვდილის წინაშე. მეზობელი მონასტრის აბატი ცდილობს საკუთარ თავთან შეარიგოს იგი, — იქნებ ეს სცენა გამოძახილი იყო ბაირონის საუბრებისა სომეხ ბერებთან. კათოლიკე ღვთისმსახური ცოდვილს მონანიებასა და მიტევებას სთავაზობს. „— სასჯელზე არ ვლაპარაკობ, შვილო ჩემო /შურისგება მხოლოდ მე მეკუთვნის, ამბობს შემოქმედი/, — მაგრამ ეკლესია შესაძლებლობას მაძლევს, ყველაზე დიდი იმედისაკენ მიმავალი გზა შევუმსუბუქო ცოდვილს“. — მეტი სმეტიად გვიანია, — პასუხობს მანფრედი, — ვერავინ შეძლებს დემონის გაძევებას, როცა იგი — ცოდვილის სულშია. ვერავინ შეძლებს ცოდვების მიტევებას იმ ადამიანისთვის, რომლის შიგნითაც ჯოჯოხეთია“. არა, ღმერთთან კი არა, საკუთარ თავთან არ შეუძლია მანფრედს შერიგება:

„დიახ, მამაო, მეც ვზიდავდი
ოცნებას გულით;
მაღალ მიზნებით სიჭაბუკე
დავტვირთე ჩემი:
მსურდა, ხალხისთვის ვყოფილიყავ
განმანათლებლად,
ცად ავსულიყავ — მაგრამ რისთვის?
ეს მე არ ვიცი...
... ამგვარი არის ეს ქვეყანა.
მგლების ხროვაში

არ მსურს გარევა,
თუმც შევძლებდი ხელმძღვანელობას.

ლომი მარტოა უდაბნოში,
მეც მარტოდა ვარ“

ბოლო სცენაში ჯოჯოხეთიდან წარმოგზავნილი სულები მანფრედის დაჭერასა და წაყვანას ლამობენ. ის აძევებს მათ:

„დასჯა არ ძალუძს დამნაშავეს
დამნაშავისა!
ქვესკნელს შთაინთქი,
ჯოჯოხეთის პირქუშო სულო!
ვიცი, რომ შენ ვერასოდეს
ვერ დამიმონებ,
ვგრძნობ, სულო, შენს უძლურობას.
რაც ჩავიდინე,
ჩადენილია. შენ ვერ შესძლებ,
რომ გაამწვავო
ტანჯვა ჩემს გულში დაფარული:
უკვდავი სული
თავის თავს თვითვე ასამართლებს,
როგორც კეთილის,
ისე ბოროტი ზრახვისათვის,
დროსა და ადგილს
არ ემონება და საკუთარს არსებაშივე
ბედნიერების ან წამების
წყაროს ატარებს;
მოკვდავ გარსისგან განტვირთული,
არ საჭიროებს
ქვეყნიერების გარდამავალ ფერთა
ცვლას იგი,
მაგრამ სავსეა სიხარულით
ან მწუხარებით,
რომელსაც მისი განალვიძებს
მეხსიერება.
შენგან არა ვარ შეცდენილი და
არც შეგეძლო
ჩემი ცდუნება ან მოხიბვლა, —
მე შენი მსხვერპლი
არა ვყოფილვარ აქამდისინ და
არც ვიქნები.
მე თვით დავლუბე ჩემი თავი.
ამ ცოდვისათვის
თავის დასჯასაც მოვახერხებ
შესაფერისად;
განიფანტენით,
ნაშიერნო ჯოჯოხეთისაგ!
ვემორჩილები მე სიკვდილსა და
არა თქვენა!“¹⁸⁷

ამგვარად, შელთ გატაცებული ბაირონი პირველად ეცადა მეტაფიზიკური მსჯელობებით ცოდვის დაუმარცხებელი შეგ-

187. „მანფრედი“. თარგმნა კონსტანტინე ჭინაძემ.

რძნების შერიგებას სკეპტიკურ ფილოსოფიასთან, რომელიც ჯოჯოხეთისა და სასჯელის ორთოდოქსული იდეების მიღების უფლებას არ იძლეოდა. მან ჭეშმარიტად გასაოცარი, ბაირონისებური გადაწყვეტილება იპოვა, საკუთარი თავი ცენტრად და არსად აქცია ამ სისტემისა. ბაირონი თავად იყო მაცდუნებელი ბაირონისა. და ბაირონმა თავად დასაჯა ბაირონი ბაირონში. ბაირონი, თვითონვე დამლუპველი ბაირონისა, თვითვე იქნება იმქვეყნიური სასჯელი ბაირონისა. ჯოჯოხეთი არსებობს, მაგრამ ეს არ იყო მეი გრეის ბავშვური ჯოჯოხეთი. ჯოჯოხეთი არსებობს, მაგრამ იგი ჩვენს შიგნით არის, და ცოცხლები თვითვე იძირებიან მასში.

„მოხუცო! არა ყოფილა
სიკვდილი ძნელი...“¹⁸⁷

ეს არის მანფრედის ბოლო წინადადება აბატისადმი, და ეს არის, როგორც ბაირონი ოგასტას წერდა, „მთელი მორალი პოემისა“. ყველა ადამიანს როდი ეშინია სიკვდილისა. ზოგს იმიტომ ეშინია მისი, რომ სიცოცხლე უყვარს, სხვებს იმიტომ, რომ მომავალი ცხოვრებისა ეშინია. მაგრამ ადამიანური არსებობა მკაცრი ბრძოლაა, და არსებობენ მგრძობიარე ადამიანები, რომლებიც გამოუვალ შინაგან კონფლიქტებს გრძნობენ, მათთვის სიკვდილი — თითქოს დამშვიდების საშუალებაა. ბაირონი ამ ადამიანებს ეკუთვნოდა. მეტისმეტად ვაჟკაციური იყო იმისთვის, რომ სიცოცხლეს გაქცეოდა, მაგრამ მეტისმეტად დაილა იმისთვის, რომ სიკვდილისა შინებოდა; ამ უცნაური კარნავალის ორომტრიალშიც არ დავინწყებია ეს მისთვის აკვიატებული აზრები. და როგორც ოდესღაც ნიუსტედის ნაცრისფერ კედლებში, სიკვდილის როკვა ფრაზეზად იფრქვეოდა მის ვენეციურ თავშესაფარშიც.

დიდი ძალისხმევა დასჭირდა ამ მესამე აქტის დასაწერად. პირველი ვარიანტი, ყველა მის მეგობარს სუსტი ეჩვენა. გადააკეთა. ბოლოს, 1817 წლის ივნისში, დრამა დაიბეჭდა ინგლისში. ეს საკმაოდ სახიფათო იყო ოგასტასთვის, რადგან მანფრედის სიყვარული ასტარტასადმი საზოგადოების ფრიად გამჭვირვალე ბრალდება იყო. „არანაირი აღიარება არ შეიძლება ასე სრული იყოს. — წერდა მისის ვილერსი, — ისე

187. „მანფრედი“. თარგმნა კონსტანტინე ჭიჭინაძემ.

გამჭვირვალეა, რომ მის მეგობრებს მისი უარყოფა ვერ გაუბედიათ... ნახეთ ჟურნალი „The Day and New Times“ 23 ივნისისა? მასში დიდი კრიტიკული წერილია „მანფრედზე“, არცთუ ცუდად დანერილი. ჩემი აზრით, სავსეა მინიშნებებით ოგასტასზე, თანაც სრულიად ნათლად“. რაც შეეხება ოგასტასს, საბოლოოდ იყო მოთვინიერებული და ანაბელას სწერდა, ეკითხებოდა, რა უნდა ვთქვა „მანფრედზე“ თუ რამეს მკითხავენო. „მანფრედზე“ ვერ ილაპარაკებთ ისე, — უპასუხა ანაბელამ, თუ არ გამოხატავთ თქვენს უკმაყოფილებას“.

გაზაფხულზე, როცა ბაირონმა უკეთ იგრძნო თავი, ექიმებმა კლიმატის შეცვლა ურჩიეს, ციებისგან საბოლოოდ რომ განკურნებულიყო. ჰობსაუზი, რომელიც აგერ უკვე ხუთი თვეა რომში იყო და არქეოლოგიურ საქმიანობას მისდევდა, იქით ეძახდა მეგობარს, ჩამოდიო. ბაირონი ყოყმანობდა. შეიძლება გულუბრყვილობაც იყო, მაგრამ მარიანას მიტოვების აზრი ნამდვილ „კაროლინასებურად“ აქცევდა. ქალი ავადმყოფობის დროს კარგად უვლიდა. ბაირონი მისი ერთგული არა ყოფილა, მაგრამ შეთვისებით კი ძალიან შეეთვისა. როგორც კი ვინმე შეუყვარდებოდა, მაშინვე უაზრო იმედი უჩნდებოდა, მშვენიერი სული ვიპოვეო. მარიანა სეგატიც კი, ვენეციელი ვაჭრის ლმობიერი ცოლი, „მშვენიერი იდეალის“ ხორცშესხმა გახდა.

მეორე მხრივ კი, რომში მოგზაურობა შესაძლებლობას აძლევდა დაენერა „ჩაილდ ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერა და გადაწყვიტა მედიკოსების რჩევისთვის ეგდო ყური. ფერარა გაიარა, სადაც „მოთქმა ტასოსი“¹⁸⁸ დაენერა და არიოსტოს საფლავი ინახულა. ფლორენციაში, „ყრმათა მუსერის“ ფერწერულ ტილოზე, ერთი ქალი ლედი პონსონბის მიაშვავსა. ფლეტჩერივით, მასაც ყველგან ინგლისური სახეები ელანდებოდა. რომის გზაზე ტრაზიმენის ტბის მახლობლად გაიარა. ბავშვობაში მღვდელი პატერსონი მკვდრებით მოფენილ მიწაზე უყვებოდა, ნაკადულზე, რომელშიც კართაგენელებისა და რომაელების სისხლი დიოდა. გლეხებმა აჩვენეს ეს ნაკადული, რომელსაც შერჩა სახელი სანგვინეტო.¹⁸⁹ ტბა ვერცხლის ფურცელს ჰგავდა. კარგად დამუშავებული მიწდვრები და ხეთა რიგები იდიალურ პეიზაჟს

188. ტორკვატო ტასო /1544-1595/ — იტალიელი პოეტი.

189. სისხლიანი.

ქმნიდა.

რომშიც, როგორც ყველგან, ორ ცხოვრებას ეწეოდა: ცხოვრებას ბაირონისას და ცხოვრებას ჩაილდ ჰაროლდისას. ბაირონი, ბაირონის პლანში, ბევრს დადიოდა ცხენით, „მანფრედის“ დაწყველილ მესამე აქტს ასწორებდა, რომელიც მარის სინკლიტმა¹⁹⁰ კერპად უარყო, და მურს სწერდა:

„რომზე არაფერს გეტყვით. აღუწერელია და აქ მეგზური ყველა წიგნზე უკეთესია. გუშინ ლორდ ლანსდოუნთან ვისადილე... თითქმის მთელი დღე ცხენით დავდიოდი... რაც შეეხება კოლიზეუმს, პანთეონს, წმინდა პეტრეს ტაძარს, ვატიკანს, პალატინს და სხვა და სხვა — როგორც ზემოთ გწერდით, ამოაო გზამკვლევი... ბელვედერის¹⁹¹ აპოლონი ლეიფ ადელეიდა ფორბს ჰგავს, — ასეთი მსგავსება არასოდეს მინახავს. ვნახე ცოცხალი პაპი და ერთიც მკედარი კარდინალი — ორივეს მშვენიერი შესახედაობა ჰქონდა... აი, ჰობზაუზიც მოვიდა, ცხენები შემოსასვლელთან დგანან, მაშ ასე — წავედი“.

მოქანდაკე ტორვალდსენს, გრაფინია ალბრიციმ რომ გაუგზავნა და რომლის წინაშეც ბაირონი პოზიორობდა, ბედნიერება ჰქონდა ენახა მისი გარდასვლა ბაირონიდან ჩაილდ ჰაროლდში. ბაირონი მოქანდაკის სახელოსნოში ჯდებოდა და ისეთ სახეს იღებდა, რომელიც საერთოდ არ ჰგავდა იმას, რაც მისთვის ბუნებრივი იყო.

„— მოხერხებულად ხომ არ დაბრძანდებით? — ჰკითხა ტორვალდსენმა, — ასეთი პოზის მიღება არა გჭირდებათ. — ჩემი ჩვეულებრივი პოზაა, — უპასუხა ბაირონმა. — ოჰო! — თქვა ტორვალდსენმა. და ბაირონი ისეთი გამოაქანდაკა, როგორც მას სურდა ყოფილიყო.

როცა ბიუსტი დაამთავრა, ბაირონმა თქვა:

— არ მგავს. მე უფრო უბედური სახე მაქვს“.

რომი საუკეთესო ადგილი იყო „ჩაილდ ჰაროლდზე“ ფიქრებისთვის. არსად იყო ამდენი ბაირონული თემა: სიდიადე და დაცემა, ნანგრევები და სილამაზე, ღვთაებრივი ბანალურობა ხვდებოდა ყოველ გზაჯვარედინზე... ცეცილიუს მეტელიუსისას

190. ძველ საბერძნეთში უმაღლეს თანამდებობის პირთა კრება.

191. ბელვედერის აპოლონი — ბელვედერი ზოგიერთი სასახლის სახელწოდებაა, მაგ. ვატიკანის ერთ-ერთ სასახლესაც ჰქვია, იქვე ინახება აპოლონის განთქმული ქანდაკება და ჰქვია „აპოლონ ბელვედერელი“.

საფლავთან ფიქრები. ვინ იყო ეს ზვიადი ქალი, ამ ციხე-სიმაგრეში დასვენებული? უმანკო და ლამაზი იყო? ერთი იმთავანი ვისაც თავისი მბრძანებელი უყვარდა, თუ სხვისას ამჯობინებდა? ახალგაზრდა მოკვდა, ლოყაზე უკანასკნელ ბავშვურად ვარდისფერ სხივშემერჩენილი, თუ სიბერეში მიცვალა, გრძელ ნაწნავებში ვერცხლისფერ ჭალარაშერეული? იმდენი რამ ჰქონდა პირადული სიკვდილთან დაკავშირებით, რომ გული აუჩვილდა ამ უცნობი მიცვალებულის მიმართ. პალატინზე ოცნებები. ლამის ჩიტები ქვათა შორის ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ქვები კი ერთ დროს იმპერატორთა სასახლე იყო... მუდმივი მორალი კაცობრიობის მთელი ისტორიისა: თავისუფლება დიდებას ბადებს, დიდება — სიმდიდრეს, ტირანიას, აბრუნებს ბარბაროსებს და ციკლი ხელახლა იწყება... რიტორიკა? ცხადია. მაგრამ რიტორები აუცილებელია. კოლიზეუმში, მთვარიან ღამეს, როცა ვარსკვლავები ველური ყვავილებით გარშემოხვეულ თაღებქვეშ ცახცახებენ, მაგიურ წრეში დიდი მიცვალებულები დაეხეტებიან და იმათ სტუმრობენ, ვინაც ტანჯვა მიაყენა, თავისი „მორალური კლიტემნესტრას“ წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც გაძევებით შეურაცხყო, თავის საყვარელ ღმერთს ნემეზიდას მოუხმო და შურისძიების აღმნიშვნელ დროსაც.

„ჩაილდ ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერა არ დაუწერია, მასალა მოგროვებული ჰქონდა და წასვლა შეეძლო. ჰობზაუზს ნეაპოლში შეჩერება უნდოდა და მის წაყვანასაც ფიქრობდა, მაგრამ მარიანასთან განშორებული ბაირონი თავს უბედურად გრძნობდა. წერილი მისწერა, ჩემს შესახვედრად წამოდიო და ვენეციაში მასთან ერთად დაბრუნდა.

სიცხე იყო და ბაირონს ისევ ციებისა შეეშინდა. ვენეციის ახლოს, ბრენტაზე, ვილა „ლა მირა“ იქირავა. ფართლეულით ვაჭარს კარგად გადაუხადა და მარიანაც თან წაიყვანა. ვილა ძველისძველი მონასტერი ყოფილა. ეკლესია დიდი ხნის წინ გამქარალა.

მეზობლები ხელს არ უშლიდნენ. პირდაპირ ბებერი მექსიკელი მარკიზი ცხოვრობდა ოთხმოცდაათი წლისა. გვერდით — ფრანგი, რომელმაც ვოლტერი იცოდა. მდინარე ბრენტაში ყველაზე მშვენივრად ირეკლებოდა მზის ჩასვლა. ნეაპოლიდან დაბრუნებული ჰობზაუზი ბაირონთან ჩადის და ორივე მუშაობს. „უცნაურია ცხოვრება, — ჩაინერა ჰობზაუზმა, — ძალიან მშვიდია

და კომფორტული... ბაირონი კარგად დამხვდა, მხიარულია და ბედნიერი, დღითიდღე უკეთაა. დღეს საღამოს ბაირონი თავის ოჯახურ საქმეებზე მელაპარაკა. თავის ცოლზე უკვე აღარ ფიქრობს — ეს უკვე მტკიცედ აქვს გადანყვეტილი“. ბაირონი „ჩაილდ ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერას წერდა; ჰობჰაუზს, ერუდიტ და პედანტ კაცს, „მოსწყინდა თავისი მეცნიერული ტოპოგრაფია“ და ჩაილდ ჰაროლდის ისტორიულ შენიშვნებს აკეთებდა. არცთუ იშვიათად ლაგუნას გადავივლიდნენ ხოლმე და ცხენით ლიდოში ჩადიოდნენ. ჰობჰაუზი ამ გასეირნების შეუდარებელი მომხიბვლელობით ტკბებოდა: „ბაირონთან ერთად ლიდოზე ვართ. უმშვენიერესი დღეა. მახსენდება, რა სიხარულით მივაჭენებდით ცხენებს. მსუბუქი ბრიზი. ბაირონმა მითხრა, ლედი ბაირონი ფიქრობდა, რომ არ გიყვარდა... საცოდავი, წინააღმდეგობით სავსე არსება“. ასე გაიარა ხუთმა ნეტარმა თვემ.

2 იანვარი, მისი ქორწინების წლისთავი / ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ თარიღს/. „ჩაილდ ჰაროლდის“ მეოთხე სიმღერა ჯონ ჰობჰაუზს უძღვნა, ესკვირს: „მეგობარს, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, რომელთან ერთადაც შორეულ მხარეებში ვიხეტიალე, რომელიც ავადმყოფობისას მივლიდა და მტკიცედ იდგა უბედურებების დროს...“. ოლონდ, „ჩაილდ ჰაროლდის“ ბოლო სიმღერამ დიდი ვერაფერი მოიგო იმით, რომ ჯონ კემ ჰობჰაუზის უშუალო ხელმძღვანელობით დაინერა. მესამე, შელის მიერ შთაგონებული, უფრო პოეტური იყო. თუმცა სიღრმე არც ამას აკლდა: ვენეციის დიდებული აღწერა, გულის შემძვრელი მოგონებები ინგლისზე, ღრმა და მელანქოლიური სტროფები სიყვარულის სუბიექტურობაზე.

ის, რაც სიყვარულზე ზუსტი იყო, პატივმოყვარეობასაც, ამართლებდა. ადამიანის სურვილი საგნების ბუნებრივ მსვლელობას არ ემთხვევა. სრულყოფილებაზე ვოცნებობთ, როცა ცოდვის წარუშლელ ლაქას ვატარებთ. დიდ საქმეებზე ვოცნებობთ მაშინ, როცა წვრილმანი საძაგლობების მსხვერპლი ვხდებით. ვაი რომ, ბაირონმა თავად გამოსცადა წვრილმანმა ვერაგობამ როგორ გაუფუჭა ცხოვრება, რომელიც სურდა მშვენიერი ყოფილიყო.

აბა, რა უნდა მოეხერხებინა ადამიანთა ასეთი უბადრუკი ქმედებებისთვის? არაფერი, თუ სულის სიძლიერით არ იმბრძანებლებ ამ უფერულობაზე და არ მოძებნი ბუნებაში იმ ბედნიერებას, რაც საზოგადოე-

ბაში შეუძლებელია. სიმღერა ზღვის აღწერით დაასრულა — ერთადერთი ერთგული მეგობრისა.

მაშ ასე, „ჩაილდ ჰაროლდი“ დაამთავრა. მაგრამ ეს ერთადერთი სამუშაო არ იყო მისი ამ ხუთ თვეში. ვენეციაში ლორდი კინიარდი ჩავიდა და ბაირონს ჰუკამ ფრირის ახალი პოემა ჩაუტანა, მსუბუქი სატირა, იტალიელი პოეტების მიბაძვა. ბაირონს პოემა მოეწონა და თვითონაც დაიწყო იმავე მანერით ვენეციური ზღაპრის წერა, რომელსაც „ბეპო“ დაარქვა. ეს ტონი მის ახალ მდგომარეობას ესადაგებოდა; კარგი განწყობილების ტონი, ცინიზმი საკუთარი ლექსების სადმიც კი.

მოგვიანებით ახალგაზრდა ფრანგი ალფრედ დე მიუსე აითვისებს ამ ბაირონისეულ სტილს, ისე როგორც თავის დროზე ბაირონმა აითვისა იგი იტალიელებისგან.

ქალბატონ სეგატის სიყვარული „ლა მირაში“ ყოფნის ბოლომდეც კი ვერ გაგრძელდა, და ეს მარიანას ბრალი იყო. ხარბი აღმოჩნდა — მიჯნურის ნაჩუქარი ბრილიანტები გაყიდა. ბაირონმა ბრილიანტები გამოისყიდა და მეორედ აჩუქა. ქმარი სეგატი, დროდადრო ღირსების შეტევები რომ ემართებოდა, ამ ზამთარს მეტისმეტად ძვირი დაუჯდა. ბოლოს, ეს სატრფიალო კავშირი შავბნელ ცოლქმრულს რომ უფრო დამსგავსებოდა, მარიანამ ეჭვიანობა დაიწყო.

ბაირონი უკვე გაურბოდა. ერთხელ ჰობჰაუზთან ერთად ბრენტას ნაპირებზე ცხენით რომ სეირნობდა, გლეხებს შორის ორი მომხიბლავი გოგონა შეამჩნია. ბაირონმა ერთს, მარგარიტა კონს უთხრა, შევხვდეთო. გოგონამ უპასუხა, მზად ვარ შეგიყვარო, ქმარი მყავს და ყველა ქმრიანი ქალი ამას აკეთებს, მაგრამ ჩემი ქმარი (მეფუნთუშე) ძალიან მრისხანე კაციაო. ბაირონმა თავის მეფუნთუშე ქალს „ფორნარინა“¹⁹² შეარქვა მაშინვე და ოქროს ძალის გამოყენებით ნაიყვანა კიდევ; ოცდაორი წლისა იყო მარგარიტა; არც წერა იცოდა, არც კითხვა; არასოდეს შეხვედრია ბაირონი ამაზე პრიმიტიულ ქალს; და ეს მოეწონა, ძალიან მოეწონა.

ჭორიკანა დედაკაცებმა მარიანას მიუტანეს ამბავი — გვიან ღამით, სოფელში, ბაირონის ცხენის ჭიხვინი ისმოდაო. შემფოთებულმა სულთან-ხანუმმა მეტოქე იპოვა, შეხვდა, წყევლა და შეაჩვენა. მარგარიტამ თეთრი თავსაფარი მოიშორა და უპა-

192. რაფაელის სატრფოს სახელი, რომლის მამაც მეფუნთუშე იყო.

სუხა: „შენ მისი ცოლი არა ხარ, არც მე ვარ მისი ცოლი. შენ მისი დონა ხარ, მეც მისი დონა ვარ. შენი ქმარი რქიანია, ჩემიც ასეთივეა. მაშ, რა უფლებით მსაყვედურობ?“ ამ დიდებული მონოლოგის მერე წავიდა და ქალბატონი სეგატი შეფიქრებულნი დატოვა. როცა მარიანა ბაირონთან ჩივილს მოჰყვა, ბაირონი მიხვდა, რომ გამარჯვება მარიანას მხარეზე არ იყო.

1818 წლის იანვარში ჰობჰაუზი ინგლისში უნდა გამგზავრებულიყო. ნასვლის წინ მეგობრებმა ზემოთ გამართეს ისეთი, XVIII საუკუნის ვენეციის რომ შეეფერებოდა და ლიდოზე გასეირნებისთვის ორი მომღერალიც იწვიეს. ერთი გონდოლის ცხვირზე დაჯდა, მეორე კიჩოზე და ტასოს ლექსებით ამღერდნენ, როგორც ძველი დროის გონდოლიერები. ძილის წინ ჰობჰაუზმა, რომელსაც ნაღველი ერეოდა ხოლმე, როცა ამ უცნაურსა და მომხიბლავ ადამიანს შორდებოდა, თავის დღიურში ჩაიწერა: „ბაირონთან გავატარე საღამო, რომელმაც თავისი „ჩაილდ ჰაროლდი“ დაამთავრა. შუადღამეზე ჩემს ძვირფას მეგობარს გამოვეთხოვე — მართლაც ძვირფასია ჩემთვის. ვიდრე დავშორდებოდი მითხრა, ოდესღაც ადამიანი ვიყავი და ძლიერი გრძნობები მქონდა, და ახლა ეს ყველაფერი დასამარებულიაო. ამ წინადადების პირველი ნაწილისა მჯერა. უფალი ფარავდეს“.

წავიდა ჰობჰაუზი და გაქრა მოწმეც. სახიფათოა თავისუფლება ბაირონისთვის; ის, რაც ამას მოჰყვება, ყველაზე თავანყვეტილი დრო იქნება მისი ცხოვრებისა, ხოლო მიზეზები ზნეობრივი უნესობისა ფრიად ნათელია.

1. უცხოური საზოგადოების გავლენის შესუსტება, რომელთა აზრსაც ბაირონისთვის მაინც არ ჰქონდა მნიშვნელობა. ამ მსუბუქი ზნის ქვეყანაში, იმ ერთადერთი ადამიანური ურდოსგან მოშორებულს, რომლის პასუხისმგებელ ნევრადაც გრძნობდა თავს, — ის კვლავ მართოხელა ცხოველი ხდება, რომელიც არაფერზე ფიქრობს, გარდა საკუთარი სურვილების დაკმაყოფილებისა. მისი ბოლო მეგობარი ინგლისელი კონსული ჰოპნერი იყო, გონებამახვილი, პატარა კაცი, მომხიბლავი შვეიცარიელი ქალის ქმარი. მაგრამ ჰოპნერები, რომელთაც თავი ბაირონთან მეგობრობით მოსწონდათ, სიმართლის თქმას ვერ უბედავდნენ. ამიტომ ვერ შესძლეს ჰობჰაუზის მაგივრობა.

2. მარიანას მბრძანებლობის დასასრუ-

ლი. ის ისევ სეგატებთან ცხოვრობდა ფრეცერიაზე, მაგრამ მისი გატაცება მარგარიტა კონით იზრდებოდა. ტომას მურს სწერდა: „უზარმაზარ შავთვალეზიანი ვენეციელი გოგო... ტანი იუნონასი აქვს — დიდი, ძლიერი, როგორც პითია; შავთვანი, ხუჭუჭა — იმ ქალთა რიგს მიეკუთვნება, რომელთაგანაც ყველაფრის შექმნა შეიძლება. დარწმუნებული ვარ, ხელში რომ ხანჯალი ჩავუდო, იქ ჩაარჭობს, სადაც ვეცხვი — იმასაც გეცხვი, მეც გამირჭობს, თუ შეურაცხყოფას მივაყენებ. მომწონს ცხოველების ეს სახესხვაობა. დარწმუნებული ვარ, რომ მედია მირჩევნია, ვიდრე სხვა ჯურის ქალები“. ეგონა, ცხოველის ეს სახესხვაობა მოსწონდა, მაგრამ, არც მისი ერთგული ყოფილა. მშობარა, ნაზი, „ჯეირანის თვალება“ ქალი უფრო იზიდავდა და აბედნიერებდა.

3. მისი ინგლისური შემოსავლების დაუჯერებელი მსყიდველობითი ძალა ვენეციური ცოდვის ბაზარზე. თავისი პოემებიც ეყოფოდა საცხოვრებლად, სიმღერაში ათას გირვანქას ღებულობდა, გარდა ამისა, ანაბელასგან წლიური შემოსავალი ხუთასი ფუნტი ჰქონდა, ნიუსტედი ის იყო მიჰყიდა უზარმაზარ თანხად, ოთხმოცდათოთხმეტი ათას ხუთას ფუნტად თავის ჰაროულელ ამხანაგს მაიორ უილდმენს / „ჩემს მარჯვნივ ლონგია, მარცხნივ ტომ უილდმენი“/. პატივცემულ დეუგთან / მისი ბანკირი და დაგლას კინიარდის მეგობარი / ბაირონი კრედიტიანი მენაბრე გახლდათ.

კეტრინ გორდონისგან მემკვიდრეობით გამოყოლილი კურიოზული თვისება მაშინვე იჩინდა თავს, როგორც კი ფული გაუჩნდებოდა ხოლმე: ძუნწი ხდებოდა, სიმდაბლის გარეშე, იმავე დროს გულუხვ ადამიანადაც რჩებოდა. ეს დედამისის მანერის სიძუნწე გახლდათ: დედამისის შექძლო ქმრისთვის, მერე შვილისთვის ყველაფერი მიეცა, რაც გააჩნდა და ამავე დროს რამდენიმე ფუნტის დახარჯვა ენანა. ამაში დედას ჰგავდა. მუდამ უყვარდა, იქნებ მემკვიდრეობითაც იყო, ჩვენთვის უკვე ცნობილი ასკეტური კვების რეჟიმის დაცვა. სიამოვნებას ანიჭებდა, როცა კვება რამდენიმე ეკიუ უჯდებოდა, როცა სახლის ხარჯებს ამცირებდა და ფლეტჩერს ანგარიშებს უმოწმებდა. უყვარდა ეკონომიით ოქროს ცეხინებით როცა ივსებოდა ყულაბა.

სიყვარულში არ ვაჭრობდა. მისთვის უკვე ცნობილი იყო ვენეციის რესურსები. თითქმის უკვე მიატოვა გრაფინია ალბრისის ლიტერატურული სალონი. დადიოდა გრაფინია ბენცონისთანაც, სადაც უფრო

თავისუფალი საზოგადოება იკრიბებოდა, მაგრამ ქალს ძირითადად უბრალო ხალხში ეძებდა. „აქ დიდებული ქალები გამოჰყავთ. მიყვარს მათი დიალექტი და მანერები. ძალზე გულშემძვრელი მიამიტობა აქვთ, ხოლო ქალაქის რომანტიკულობა — მძლავრი სატყუარაა. კარგ სისხლს ახლა ყოველთვის როდი შეხვდები არისტოკრატ ქალბატონებში, ის ფაციოლის ე.ი. თავსაბურის ქვეშ უნდა ეძიო“. იმ მკვრივი ქალებით ტკბებოდა, „რომლებიც გლადიატორების გასაჩენად გამოდგებიან“, — ამბობდა ბაირონი. ძალიან ბევრ ქალს ხვდებოდა და ჩუმად მიჰყავდა „კაზინოში“, რადგან ეს შეხვედრები მარგარიტა კონისთვის უნდა დაეფარა, რომელიც, ალბათ, თუ გაიგებდა, მეტოქეებს დააგონჯებდა. ვენეციელები ყვებოდნენ, „კაზინოში“ ცხრა მუზას ინახავსო, ცხადია, ეს ლეგენდა იყო. ისევე, როგორც დანტეზე, გაძევებული რავენაში რომ გაივლიდა, გამვლელები ერთმანეთს მის წვერს აჩვენებდნენ, ნახეთ ერთი, მისი წვერი ჯოჯოხეთის ცეცხლით არის შეტრუსულიო.

1818 წლის აპრილში ლედი მელბურნის სიკვდილის ამბავი შეიტყო. „წავიდა ის დრო, როცა მიცვალებულის დატირება შემეძლო, — მაინც განვიცადე ლედი მელბურნის სიკვდილი, ყველაზე კარგი, ყველაზე სასიამოვნო ქალისა, მისნაირი არც მინახავს, — არც ახალგაზრდა და არც მოხუცი. მაგრამ საშინელებები უკვე ყელში ამომივიდა, და მსგავსი მოვლენები მხოლოდ ერთგვარ გაოგნებას თუ ინვეს ჩემში, ცუდს, ცხადია, ვიდრე ტკივილს... კიდევ ერთი კავშირით ნაკლები გახდა ჩემსა და ინგლისს შორის“.

მეორე სიკვდილი, რამაც ძალიან გააოცა და ბედისწერის რწმენა განუმტკიცა, იყო სერ სამუელ რომილის, ლედი ბაირონის იურიდიული მრჩევლის სიკვდილი, რომელიც განქორწინების ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ბაირონიმა შურისძიების ქაღალმერთს გადასცა ყველა, ვინც ამ ისტორიაში მის წინააღმდეგ გამოდიოდა. ლედი ბაირონს მისწერა:

„სერ რომილმა ყელი გამოიჭრა, დაკარგა ცოლი... სამი წლის წინ იმ საქმის ადვოკატი ბრძანდებოდა, რომელმაც ცოლი წამართვა... ამ ადამიანს, აზრადაც არ მოსდიოდა, როცა კანონის საფუძველზე გულს მიფლეთდა, რომ ოცდათექვსმეტი თვეც არ გაივლიდა და ოჯახური უბედურება მინაში ჩადებდა... ამოდ როდი მოვუხმობდი რომში, საზარელ ნანგრევებს შორის მჯდარი,

ნემეზიდას“. ნემეზიდამ მხოლოდ სერ სამუელი განგმირა. ლედი ბაირონს კი სევდიანი მოგზაურობა ჰქონდა.

ლედი ბაირონის დღიური: „სულ ახლახან ნამოვედი ნიუსტედიდან, სახლში შევედი თუ არა... ძველი დროები დავინახე, მას, თავისი სახელობის დღეს, ჩვევად ჰქონდა დროების გადმოფენა ციხე-დარბაზის კედლებზე. ოთახები, რომლებშიც ცხოვრობდა, არ შეცვლილა. აქ დაბრუნება შეეძლო. მიტოვება არ ემჩნევა. ქალი, რომელიც ემსახურებოდა, ნანობდა, რომ მამული გაიყიდა: „ქორწინების მერე აქ უნდა ეცხოვრა. მისი ცოლი ერთხელაც არ ჩამოსულა. ახლა კი საეჭვოა, ის საცოდავი ჩამოვიდეს“. მოაჯირები და საფეხურები, რომლებზეც ის იჯდა... ბილიკები, რომლებზეც სეირნობდა... მისი ოთახი, საიდანაც გამოსვლა ვერ შევძელი და უნებურად ისევ შევბრუნდი...“.

ინგლისიდან დროდადრო შელის წერილებსაც იღებდა. ბავშვი, რომელსაც კლერი ატარებდა, 1817 წლის 12 იანვარს დაიბადა. მერიმ მამას აუწყა ეს ამბავი საკუთარ ქორწინებასთან ერთად. შელიმაც მონერა, ბაირონის გადანყვებილების მოლოდინში, მერის და კლერს გოგონასთვის ალბა დაურქმევიათ. „ძალიან ლამაზია, — თუმცა სუსტი აგებულებისაა, ჯანმრთელობა კარგი აქვს. ისეთი ჭკვიანთვალეა, რომ ასეთ პატარა ბავშვში არასოდეს მინახავს. შავთმიანია, თვალები მუქი ცისფერი აქვს და უმშვენიერესი ფორმის ტუჩები“. შელი მიეჩვია იმათი სიგიჟეების ტვირთი ეტარებინა, ვინც უყვარდა. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ მოთხოვა, ლორდ ბაირონს, როგორც მან აღუთქვა, ეზრუნა თავისი შვილის აღზრდაზე.

ბაირონი მუდამ დაინტერესებული იყო საკუთარი გვარ-ჯიშით და ყოველთვის ოცნებობდა აღეზარდა შვილი. მაგრამ წერილები, რომლებსაც კინიარდს წერდა ამ საკითხებზე, მუდამ საკმაოდ პირქუშ კონტრასტს ქმნიდა იმ ჰაეროვან აღერსთან, როგორიც შელიმ გარს შემოავლო ალბას აკვანს. „შელიმ მომწერა /მარლოუდან/ ჩემს გოგონაზე, რომელიც, როგორც ჩანს, ძალზე ლამაზია; შელის აინტერესებს და მეკითხება, გამოგიგზავნო თუ არაო... გაისარჯეთ და აქ ჩამომიყვანეთ ან ინგლისში მომიწყეთ სადმე. ჩემად ვაღიარებ და აღვზრდი, სახელად ბირონს დავარქმევ /კანონიერისგან რომ გამოირჩეს/ და ალეგრად მოვნათლავ, ეს ვენეციური სახელია“. 1818 წლის მარტში ჰობზაუზთან გაგზავნილ წერილში, სადაც კითხულობდა მალე გამოიგზავნით თუ არა

ნიუსტედის გაყიდვის აქტებს ხელმოსანერადო, წერდა: „კლერკს შეუძლია ქალაქლებიც ჩამომიტანოს და შვილიც ჩამომიყვანოს. სთხოვეთ, გეთაყვა. შელი მას გულმოდგინედ შეახვევს კბილის წითელ ფხვნილთან, მაგნეზიასთან, კბილის ჯაგრისებთან და რამდენიმე კარგ წიგნთან ერთად“.

როცა შელი მილანში ჩავიდა, შვეიცარიელმა გადიამ მამას პატარა ალევრა ჩაუყვანა. ბაირონმა ნახა, რომ გოგონა მართლაც ძალიან ლამაზი და ჭკვიანი იყო, მერე ძალიანაც ამაყობდა, როცა ხედავდა ვენეციელი ბანოვანების საყვარელი ბავშვი რომ გახდა. „ყველაზე საუცხოო ის არის, რომ ლედი ბაირონს უფრო ჰგავს, ვიდრე დედამისს, — იმდენად, რომ ჩვენი პატივცემული ფლეტჩერი გაოცებული დარჩა; მეც მიკვირს. საოცარია, არა? ასე მგონია, თავის დას, ადასაც ჰგავს. მას ძალიან ცისფერი თვალები აქვს, მნითური თმა და ჯოჯოხეთური ხასიათი — ეს უკვე მამიკოსგან გამოჰყვა“. ძალიან ბედნიერი იყო ბაირონების ჯიშის გოგონას ნახვით, თუმცა უკანონოსი, მაგრამ მაინც ბაირონისა.

XXIX

პალაცო მოჩენიგო

პროფესიონალი დონ ჟუანი ისეთივე საბედისწერო სახით ამსხვრევს თავის სულს, როგორც ასკეტი, რომლის გამოსახულებაც თვითონვე არის.

ოლდოს ჰაქსლი

„მონყალეო ბატონო! დიდი მწუხარებით გაუწყებთ, ჩემი ძვირფასი პატრონის, ჩემი ლორდის გარდაცვალებას, რომელიც დღეს დილით, დაახლოებით ათ საათზე, ხანგრძლივი ციებ-ცხელების შემდეგ მიიცვალა, რაც დარდის, ზღვაში ბანაობის, ქალებისა და ვარვარა მზის ქვეშ ცხენით სეირნობის შედეგია, მიუხედავად ჩემი არაერთგზის გაფრთხილებებისა...“.

ასეთი იყო ნახევრად კომიკური, ნახევრად ტრაგიკული წერილი, რომელიც 1818 წლის ივნისის ბოლოს ბაირონმა ჰობჰაუსს გაუგზავნა და ფლეტჩერის სახელი მიაწერა.

მაგრამ მხოლოდ სანახევროდ ხუმრობდა ბაირონი. მარიანა სეგატთან განშორების შემდეგ ფრეცერიაზე მდებარე სახლიც მიატოვა და დიდ არხზე მოჩენიგოს სამიდან ერთი სასახლე იქირავა, წელიწადში ოთხი ათას რვაას ფრანკად. ახლა თავისი სახლი ჰქონდა, როგორც ნამდვილ ვენეციელს.

თეთრი და ცისფერი სპირალებით /მოჩენიგოების ფერები/ დამშვენებული მისი გონდოლა იქვე ბოძზე იყო მიბმული. შესასვლელთან, რომელსაც დიდი არხის მწვანე ტალღები ეხეთქებოდა, სტუმრებს უზარმაზარულვაშიანი გიგანტი გონდოლიერი ტიტა ხვდებოდა, რომელიც კარგ მენიჩებებს ისევე ადვილად შოულობდა, როგორც ხელმისაწვდომ ქალებს. გისოსებს იქიდან ძაღლების ყეფა ისმოდა, მაიმუნთა ყვირილი, ჩიტების ჭიკჭიკი, და ამ ხმაურს მძლავრი ხმა ფარავდა მარგარიტა კონისა და ალევრას ბავშვური ტიტინი, რომელიც ფორნარინასთან ამ სასახლის მბრძანებლობას იყოფდა.

პირველად მარგარიტა კონი ნუთიერად თუ გამოჩნდებოდა, მერე და მერე ნელ-ნელა განიმტკიცა მდგომარეობა. ერთხელ, საღამოს, მოჩენიგოს სასახლის კიბეზე მჯდარი ნახა იგი ბაირონმა. ქალმა ქმართან დაბრუნებაზე უარი თქვა. უდარდელი ფატალისტი ბაირონი, სიავის შეტევების შემდეგ, მზად იყო ხოლმე თავის გვერდით მოეთმინა არსება, რომელიც ეხვეწებოდა, ნება დამართე მიყვარდეო. მარგარიტამ ვენეციურ დიალექტზე რაღაც ანიკდოტი უთხრა, გააცინა და დარჩა.

ეს სისუსტე ბაირონმა ძალიან მალე ინანა. ფორნარინა სხვა ქალებს სცემდა, ხელში იგდებდა ბაირონის წერილებს, კითხვა ისწავლა, რომ გაეგო, რა ეწერა შიგ, აშინებდა ფლეტჩერსა და ტიტას. მთელი სახლი უჩიოდა. ბაირონი მიმტევებელი კაცი იყო. ქალი აწარმოებდა ანგარიშებს, მეურნეობის ხარჯებიც გაანახევრა, და, რაც მთავარია, ბაირონი უყვარდა — დიდი და იშვიათი სიკეთეა. ის მძაფრი სიხარული, რომელსაც დაბრუნებულ სატრფოსთან შეხვედრისას ამჟღავნებდა, ბაირონს ძუ ვეფხვს აგონებდა, თავის ლეკვებს რომ ხვდება ხოლმე, და მას თავისი ძუ ვეფხვის სანინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. პირიქით. ზუსტად ეს ცხოველური, პრიმიტიული ხასიათი, განსხვავებული პალაცო მოჩენიგოში მისი უწესრიგო და თავაშვებული არსებობისგან, საშუალებას აძლევდა ასეთი არსებობისა არ შერცხვენოდა. როცა გრძნობით ცხოვრობდა, თავადაც იტანჯებოდა და სხვასაც აიძულებდა ტანჯვას, სიამოვნება ნაკლებ სახიფათო ეჩვენებოდა.

გაძვეების შემდეგ მისი ცხოვრებისეული ფილოსოფია შეიცვალა. „მანფრედი“ იყო საზოგადოების მიერ დამარცხებული მემამბოხის ბოლო აფეთქება, ინდივიდუალობის ბოლო კვილი. ახლა სძულდა „კორსარიცა“

და „ლარაც“; ვერ მიმხვდარიყო, მკითხველი ამ გადაჭარბებულსა და ყალბ ხასიათებს როგორ იტანდა. რამდენიმე თვე მისი საყვარელი საკითხავი ვოლტერი იყო. მასში საკუთარ პესიმიზმს პოულობდა, ოღონდ კომიკური თვალსაზრისით. კანდიდს შეეძლო ჩაიღო ჰაროლდი გამხდარიყო, ვოლტერი რომ არ ყოფილიყო კანდიდის მბრძანებელი, ვოლტერს მსჯავრი რომ არ დაედო ვოლტერისთვის. ადამიანის ბედი ტრაგიკული ჩანს, თუ გონება ერთადერთ არსებასთან იგივედება — ოტელო, ჰამლეტი, კონრადი, — იზიარებს მის ტანჯვასა და მრისხანებას. ის კომიკურად წარმოგვიდგება, თუ დამკვირვებელი ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს დაუფრებელ ეგზალტაციას ცალკეული ადამიანისას და ყველასთვის ერთნაირ ვნებათა მექანიზმს. ბაირონმა, რომელიც თავის მიმონერაში იუმორისტიკის გენია იყო, აქამდე ვერ გაბედა თავისი გონების ეს თვისება ლექსებში გაემჟღავნებინა. „დონ ჟუანი“, რომელზეც უკვე ერთი წელია მუშაობდა, ბოლოს და ბოლოს, ნახა შესაძლებლობა, ვოლტერისა და ეკლეზიასტეს ეს ნარევი თავისუფლად გადმოეფრქვია, რაიც მისი აზროვნების ჩვეულებრივი ფორმა იყო.

„დონ ჟუანი“ უნდა ყოფილიყო თანამედროვე ეპოპეა. აქამდე ბაირონს არასოდეს ჰქონია ასეთი ნათელი გონება, უფრო ზუსტი და მამაცური ფორმა. ტონი „ბეპოდან“ აიღო; ეს გახლდათ პოეზია, რომელშიც საკუთარ თავს დასცინოდა, რომელშიც მწარე და ძლიერი ფილოსოფია იფარებოდა, მსუბუქ მხიარულებასა და ოდნავ ახირებული რითმების ქვეშ. ის საკუთარი მგრძობიარობის თავშეუკავებელ ალტკინებებს დიდხანს ემორჩილებოდა. სიმშვიდესთან ერთად მსჯელობების ძალაც თავის უფლებებში აღსდგა. ყვირილმა და მოთქმა-ჩივილმა გაირა. ცხადია, ბაირონი უფრო რთული იყო და მგრძობიარე, ვიდრე ვოლტერი. მისი თეორიული ფილოსოფია, როგორც ვოლტერისა, დეისტური რაციონალიზმი იყო, მაგრამ ვოლტერს არც კალვინისტური ბავშვობის მოგონებები ანუხებდა, არც მგრძობიარე ტემპერამენტთა შორის კონფლიქტი და, ბუნებრივია, არც რელიგიურ სულებთან კონფლიქტი. მისი აზრების წრე ნათელი და ვიწრო იყო. ბაირონში უნაპირო უხილავი უფსკრულები — შავბნელი და ურჩხულებით დასახლებული — ერტყა სინათლის მატარებელ ზონას. ვოლტერი სრულიად კმაყოფილი იყო საკუთარი თავით, როცა გამოუვიდოდა და „საიდუმლოებას ათიოდე ქეშ-

მარიტებით გასრესდა“. — ბაირონი, რომელმაც ცოდვას გემო გაუსინჯა, საიდუმლოების გრძნობას ინახავდა. მაგრამ საიდუმლომ ადგილი იცვალა და ეს აღარ იყო იმდენად ჯორჯ გორდონ ბაირონის ბედისწერის საიდუმლო, რამდენადაც საიდუმლო კაცობრიობის ბედისწერისა, ამიტომაც იგი უნივერსალური და საკაცობრიო გახდა.

პირველი სიმღერა იყო მხოლოდ ავტობიოგრაფიული, ოღონდ უწინდელი ნაღველი აკლდა. პირველსავე ლექსებში ჩნდება ანაბელა.

დონ ჟუანის დედა ჰგავს მას: „მათემატიკა იყო მისი საყვარელი მეცნიერება... სიტყვა-ამოცანა, აზრი-თეორემა...“.

მალე პოემა უფრო ფართო გახდა და უფრო ნათელიც. რა საჭიროა სამყაროზე აღმფოთება? უნდა იცხოვრო, მოკვდე, ინეტარყუჩო, გადასახადები გადაიხადო. ეს ყველაფერი — თავშესაქცევია, სახიფათო, ნაღვლიანი, აუშორებელი.

ბაირონის ეს ახალი სიბრძნე რალაცით შექსპირისეულ სიბრძნეს ჰგავს. შექსპირიც მერე მიხვდა, რომ ადამიანური სურვილი — სიყვარული, პატივმოყვარეობა — მხოლოდ და მხოლოდ ილუზიაა. პროსპერომ „ქარიშხლიდან“ იცის, რომ ცხოვრება სიზმარია. ბაირონი, თუმცა ყოველგვარი ილუზიისგან თავს განკურნებულად მიიჩნევდა, მაინც ეგონა, რომ ახალგაზრდული ილუზია მშვენიერიც არის და აუცილებელიც, „ამ ქვეყანაზე ყველაფერზე ძვირფასი ხარ, შენ, პირველო და მხურვალე ტრფობავ...“.

აქ კი დონ ჟუანი უფრო სანტიმენტალური იყო, ვიდრე კანდიდი. ახალი ბაირონი მოქცეული რომანტიკოსი გახლდათ, მაგრამ მოუნანიებელი ფანტაზიორი.

ჰოპნერებმა შელის მისწერეს, ბაირონმა ვენეციიდან ნასვლა გადაწყვიტა, თუ კლერი ჩამოვა, ალეგრას ნახვას შეძლებსო. ალეგრა მოჩენიგოს სასახლეში აღარ იყო. ჰოპნერებმა ბაირონს აგრძობინეს, ასეთ გარემოში ბავშვის გაჩერება უხერხულია და, ისიც დაუმატეს, მასზე ზრუნვას ჩვენ ვითავებთო. შელი ჩამოვიდა, თან კლერი ჩამოიყვანა; ვიდრე კლერი შვილთან იყო, შელი ბაირონთან ნავიდა. მან თავისი გონდოლით ლიდოზე წაიყვანა, სადაც ცხენები ელოდა. შელიმ „იულიანასა და მადალოში“ აღწერა კიდევ ბაირონთან საუბარი. ლაპარაკობდნენ ღმერთზე, სურვილის თავისუფლებაზე, ბედისწერაზე. ცხადია, ბაირონი ფატალიზმის, ადამიანის უმწეობის თვალსაზრისზე იდგა.

ეს მათი მუდმივი კამათის საგანი იყო.

შელი მიიჩნევადა, ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული, მანვე უნდა შექმნას თავისი ცხოვრება; ბაირონი ეუბნებოდა, ბოროტება თავისთავად არსებული რეალობაა, რომელზეც ყოველგვარი ადამიანური ძალისხმევა იმსხვერვაო. კალვინიზმი რადიკალიზმის წინააღმდეგ გამოდის.

ვენეციაში მეორე მოგზაურობის დროს შელიმ ბაირონთან ფორნარინა ნახა. მისი აზრი შეუვალი იყო. შელის ბაირონივით არ შეეძლო დამტკბარიყო ლამაზი ცხოველებით, მეტისმეტად დიდ პატივს სცემდა სიყვარულს, რომ ამ სანახაობისთვის გაეძლო — როგორ ეშვება ქალი მარტივ ავზორცობამდე. ცხადია, მერი შელი ამ საკითხს უფრო მკაცრად უდგებოდა. ჯერ კიდევ თენვეის ტბის პირას რომ ცხოვრობდნენ, მას თავზარს სცემდა ბაირონის მანერები ქალებთან მიმართებაში. შავი კულულებით გარშემორტყმულ სახეზე, ზიზლიანი ღიმილი უკრთოდა მუდამ. არაფერია უფრო გამოუცნობი და ბუნდოვანი, ვიდრე ზნეკეთილი ქალის გრძობა დონ ჟუანისადმი. იქნებ ცოლ-ქმარი შელების თავის ქნევაში, როცა მოჩენიგოს სასახლიდან გამოვიდნენ, იყო კიდევ ის მოუხელთებელი თანაგრძობა, ალბათ, გაურკვეველი შურიც, მეამბოხეები რომ იწვევენ ხოლმე.

მაგრამ ფაქტებმა ისინი სწრაფად მოაბრუნა საკუთარი სიმათლის აღიარებისკენ. ყველანაირი ეპიკურეიზმის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანში გულისხმობს უნარს, ყოველგვარი სულიერი აღვირის გარეშე, იყოს ზომიერი სიამოვნებებში. შემოდგომით ბაირონი ისევ ჩანვა, სამიში ავადმყოფობა შეეყარა. ექიმების ბრძანებით, თავისი ლამაზმანი გააგდო, თუმცა დიდ გაჭირვებაში კი ჩავარდა. ქალმა ჯერ ჯიბის დანით თავი დაიჭრა, როგორც ოდესღაც კაროლინა ლემმა, მერე არხში გადავარდა, საიდანაც გონდოლიერებმა ამოიყვანეს. როგორც იქნა, მარტო დარჩა ბაირონი და უკვე შეეძლო მკურნალობა.

ჰანსონს, რომელიც დეკემბერში ჩაუვიდა თავის კლიენტს და ნიუსტედის აქტები ჩაუტანა ხელმოსანერად, ბაირონი ისევ ავადმყოფი დახვდა. განცვიფრებული კუნძულები ვეჭილები, ჰანსონი და მისი ვაჟი, საბუთებით, კბილის ჯაგრისებრითა და კბილის წითელი ფხვნილით დატვირთული გონდოლით ვარდისფერ სასახლებს შორის მიცურავდნენ. მოჩენიგოს სასახლეში მივიდნენ; ძალების, ჩიტების, მელიების, მგლების გალიებს შორის გზა გაიკვლიეს და მარმარილოს კიბით ბაირონის აპარტამენტ-

ებში აიყვანეს.

„ — ჭეღელ, ჰანსონ, — უთხრა ბაირონმა, — არ მეგონა, თუ ასე შორს წამოხვიდოდი“.

თვალზე ცრემლი მოადგა ბაირონს. „გასაოცარი მგრძნობიარობა პოეტისა,“ — აღნიშნა ახალგაზრდა ჰანსონმა. ბაირონი ფრჩხილებს იკვნეტდა, — ასეთი ჩვევა ჰქონდა, ბავშვობიდან შემორჩენილი, — უამრავი კითხვა დააყარა ჩამოსულებს, ლონდონზე, მეგობრებზე.

მისი საქმეები კარგად მიდიოდა. სააბატო ოთხმოცი ათას გინეად /თორმეტი მილიონი ფრანკი/ გაიყიდა. აქედან მევახშეებისთვის თორმეტი ათასი უნდა მიეცათ. სამოცდაექვსი ათასი ლედი ბაირონის წილი იყო /საკუთრების უფლება ჰქონდა, მაგრამ შემოსავლებიდან სარგებლობის უფლება არა/, ჰანსონმა კიდევ თორმეტი ათასის ანგარიშები ჩამოიტანა. თავისუფალი ნაღდი ფული აღარ რჩებოდა, მაგრამ ლედი ბაირონის საკუთრებიდან პროცენტები, წელიწადში, ბაირონს სამი ათას სამას ფუნტ შემოსავალს აძლევდა /დაახლოებით ოთხასი ათასი ფრანკი/. თუ პოემებიდან მიღებულ შემოსავალსაც მივუმატებთ /1816 წლიდან დაწყებული მარისგან შვიდი ათას ფუნტზე მეტი მიიღო/, ის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი კაცი იყო იტალიაში. ჰანსონს უთხრა, ძალიან მიხარიაო, „რადგან ფული — სიძლიერე და სიამოვნება არის, და მე იგი ძალიან მიყვარს“.

მის ბრინჯაოსფერ კულულებს თეთრი შეერია. სახე გაფითრებული, შესიებული, გაყვითლებული ჰქონდა; ხელები კი სიმსუქნისგან ნაკეცებით დაჯირჯვლებული.

XXX

CAVALIERE SERVANT ¹⁹³

ადამიანები იმაზე ხშირად არიან ბედნიერნი, ვიდრე მათ სურთ.

ალენი

კიდევ ერთხელ გააძევა გაზაფხულმა ვენეციური ციებ-ცხელება. დიდი არხის მსუბუქი ტალღები ხიმინჯებს ელამუნებოდა, რომლებზეც თეთრი და ლურჯი სპირალები ფრიალებდა. ფლექჩერი სუქდებოდა. მეურნეობას ორი ახალი ბულდოგი მიემატა. ცეცხლგამძლე კარადაში ცეხინების რაოდენობა იზრდებოდა. სანტიმენტალის-

193. თავისი ქალბატონის მსახური რაინდი.

ტის გული კი უკვე დაფრინავდა და დასაჯდომ ადგილს ეძებდა. ერთმა პატარა ვენეციელმა ქალმა მოხიბლა პოეტი; ბაირონი არხში გადახტა და ცდილობდა ქალის ფანჯარაში გადაძრომას. ქალის ფრიად წარჩინებულმა ოჯახმა ბაირონს პატრი და პოლიციელი მიუგზავნა, — ერთსაც და მეორესაც ყავა შესთავაზა ლორდმა, და ყველაფერი მოგვარდა. ამ ახალგაზრდა ქალმა მოსთხოვა, შენს მათემატიკოსს გამოვლიო.

„ — გნებავთ, — ჰკითხა ბაირონმა, — მოგწამლო?“

ქალმა არ უპასუხა. ბაირონი მზიანი მინის ვნებით უკვე დამტკბარი იყო და ამიტომაც დაუბრუნდა საზოგადოებას ახალი ნანადირევის მოსაძებნად.

კონვერსასიონზე, ბენცონისთან, გრაფინია გვიჩიოლი გააცნეს, ძალიან ახალგაზრდა, ტიცვიანისებური, ქერათმიანი; უმშვენიერესი კბილები ჰქონია გრაფინიას და უამრავი კულუღი, ოღონდ ფეხმოკლე ყოფილა ოდნავ და გასაოცარი ბიუსტის პატრონი. ერთი წლის წინ სამოცი წლის სენიორს გაჰყოლია ცოლად. ბაირონს გაახსენდა, ადრეც შეხვედროდა ამ ქალს, ოღონდ მაშინ მისი ქორწინებიდან სამი დღე იყო გასული. გრაფინიას არც გამოუხატავს, რომ ბაირონი შეამჩნია; ადათი მოითხოვდა, ახალგაზრდა გათხოვილ ქალს ერთი წელი უნდა ეფიქრა, ვიდრე ჩიჩისბეის¹⁹⁴ აირჩევდა. მეორედ შეხვედრისას ქალი უკვე დამარცხებული იყო. „იმ საღამოს საშინლად დაღლილი ვიყავი, — წერდა გრაფინია გვიჩიოლი, — რადგან ვენეცია გვიან იძინებს. საღამოზე მხოლოდ გრაფ გვიჩიოლის სურვილით წავედი, უხალისოდ... კეთილშობილურმა მანერებმა, ხმის ჟღერადობამ, კიდევ ათასმა ხიბლმა ლორდ ბაირონისგან ისეთი არსება შექმნა, რომელიც ყველაზე აღმატებულია, ვისაც მე ვიცნობ და ჩემზე უადრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა“. გრაფინია ბენცონის სალონიდან გამოსვლისას, ბაირონმა ტერეზა გვიჩიოლის ხელში ჩუმად წერილი ჩაუდო; პაემანი დაუნიშნა; ქალი მივიდა და ამის შემდეგ, ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ტერეზა თავისუფალ ქალად მიიჩნევდა თავს. ამ ქვეყანაში ცოლქმრობის დაუნერეული კანონები ნათელი და ზუსტი იყო: ქალწული თექვსმეტ წლამდე მონასტერში იყო ჩაკეტილი, მერე მდიდარ ქმარს მოუძებნიდ-

194. იტალიაში /XVI-XVIII სს/ დიდგვაროვანი, მდიდარი, გათხოვილი ქალის მუდმივი თანამგზავრი მამაკაცი.

ნენ; რაც უფრო ბებერი იყო ქმარი, მით მეტი იყო ფასი. გოგონა ზოგჯერ საქმროს მონასტრის მისაღებშიც ხვდებოდა; მერე უბედნიერეს ქალად გრძნობდა თავს, სხეულის ფასად თავისუფლებას რომ იპოვიდა. სიყვარულზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, არც ამ მხრიდან და არც იმ მხრიდან. გრაფი გვიჩიოლი სამოცი წლის კაცი გახლდათ, როცა ტერეზაზე დაქორწინდა, ტერეზა კი თექვსმეტისა. პირველი დღიდანვე ცალკე ოთახებში ცხოვრობდნენ; ცოლი ქმარს „ბატონო“ ასე მიმართავდა. გრაფი ძალზე სასიამოვნო მოხუცი იყო, თუმცა, ხმები დადიოდა, პირველი ცოლი მონამლო, კარდინალი მანცონიც იმან მოკლაო. თვითონ ფრიად განათლებული გახლდათ, პოეტ ალფიერის მეგობარიც იყო, ინტრიგანიც და რომანიში ყველაზე მდიდარი მესაკუთრეც. მაგრამ განათლებული მოხუცისთვისაც კი ძნელია ახალგაზრდა ქალისთვის სასიამოვნო იყოს... „სიყვარული აქ, — ამბობდა ბაირონი, — ის ცივი, შეზღუდული გრძნობა როდია, როგორც ჩრდილოეთში. აქ ეს ცხოვრების სერიოზული საქმიანობაა, მოთხოვნილებაა, აუცილებლობაა. ვილაცამ ზუსტი განსაზღვრება მისცა იტალიელ ქალს: არსება, რომელსაც უყვარს. ისინი სიყვარულისგან იხოცებიან, განსაკუთრებით რომელი ქალები“. ახალგაზრდა გრაფინიამ ერთგულების თავისი ვადა დაამთავრა. ქმარი, რომლის ნდობაც უკვე დამსახურებული ჰქონდა, ნაკლები სიმკაცრით უყურებდა, — და უკვე დრო ედგა, საყვარელი გაეჩინა.

ეს თავგადასავალი ბევრი რამით ჰგავდა კაროლინა ლემთან თავგადასავალს. გვიჩიოლები უფრო მხიარული ხალხი იყო, ვიდრე მელბურნები. სილამაზით ტერეზა სჯობდა ინგლისელ ქალს, მაგრამ მისნაირ მგზნებარე გრძნობებს იჩენდა და მისნაირივე სიძულვილიც ჰქონდა საზოგადოებრივი აზრისადმი. კარგად აღზრდილი ქალი იყო, ლაპარაკობდა იტალიურად და ფრანგულად, ბევრს კითხულობდა, მხატვრული კითხვაც შეეძლო ლექსებისა, იცოდა ლათინი ავტორების ციტატები და ხატვაც ეხერხებოდა. თუმც ეს ყველაფერი ოდნავ ბავშვური იყო, მაგრამ ძალზე სასიამოვნო. დასაწყისში პლატონური სინაზის გამოჩენის ნებას იძლეოდა თურმე, მაგრამ მეტის მიღების იმედს არ უკარგავდა; გარანტიები სჭირდებოდა მხოლოდ.

თავისი საზოგადოების სატრფიალო კანონების ერთგული, ნუთიერ გატაცებას როდი ეძებდა, ერთგული ჩიჩისბეი სჭირდებ-

ბოდა. ახალგაზრდა ქალისთვის ეს სერიოზული საკითხი იყო. ვინმეს ცოლად გაყოლა დაუფიქრებლად შეიძლებოდა, მაგრამ საყვარლის არჩევა — სახუმარო არ იყო. ქმარს უნდოდა მისი რავენაში, ბოლონიაში წაყვანა; იქ მამულები ჰქონდა. გაჰყვება ბაირონი? ჩიჩისბეი უნდა გაჰყვეს. დონ ჟუანი დიდი გაჭირვების წინაშე აღმოჩნდა.

ბაირონი — ჰობჰაუზს: „იმედი მაქვს, მონყალო ბატონო, იმედი, — მაგრამ ჩემი წაყვანა უნდა რავენაში, მერე ბოლონიაში. ეს კიდევ არაფერი, თუ საქმე კარგად დამთავრდება. თუ მხოლოდ იმედი შემრჩება, — თუ, ბოლოს და ბოლოს, ხელიდან დამისხლტება და ფიასკოს განვიცდი, — მაშინ წმინდა მარკოზის მოედანზე ველარ გამოვჩნდები. ამ შემთხვევაში ფული უძღვრია, რადგან გრაფი ზლაპრულად მდიდარია. ქალი ლამაზია, მაგრამ უტაქტო, ხმამაღლა იძლევა პასუხს, მაშინ, როცა უნდა იჩურჩულოს; მოხუც მანდილოსნებთან ასაკზე ლაპარაკობს, მაშინ, როცა ამ მოხუცებს სურთ ახალგაზრდა ქალებად მიიჩნევდნენ; ზუსტად დღეს საღამოს თავზარი დასცა ბენცონისთან შეკრებილ თავაზიან საზოგადოებას, როცა მე მომმართა — „ჩემო ბაირონი“-ო, ამ დროს კი, დანარჩენი ლამაზმანები თვალგაფართოებულნი მდუმარედ შემოგვეყურებდნენ და თავიანთ პატივცემულ კავალრებს შთაბრძნობებებს ჩურჩულით უზიარებდნენ... მისი ერთი წინასწარი პირობა ასეთია — არასოდეს ნავიდე იტალიიდან. ნასვლას არც ვაპირებ, მაგრამ პროფესიონალ ჩიჩისბეიდ გადაქცევაც არ მსურს“.

რავენაში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, ქალი მისი საყვარელი გახდა. გრაფინია ისე ამაცობდა ამით, რომ ყველა კონვერსასიონზე გამოაცხადა, რამაც ბენცონისა და ალბრიცის სალონების მრავალი საღამო აღვზნებული გახადა და გრაფი გვიჩიოლი, ეს თავდაჭერილი კაცი, ოდნავ შეაშფოთა. საბედნიეროდ, წყვილს ვენეცია მთელი ზაფხულით უნდა მიეტოვებინა; გრაფმა ცოლი წაიყვანა, და დარჩა ბაირონი კიდევ ერთხელ შეყვარებული, განაზებული, ჩაფიქრებული, ცინიკური და აღფრთოვანებულიც ასეთი რომ ნახა საკუთარი თავი.

როგორც კი გრაფინია გვიჩიოლი რავენაში ჩავიდა, მუცელი მოეშალა. მგზავრობისას ყოველდღე წერდა წერილებს ბაირონს; ეთაყვანებოდა და ახლა, როცა ავად გახდა, ეხვეწებოდა — ჩამოდიო. ბაირონი ყოყმანობდა, ეჭვიც ღრღნიდა, საკუთარ თავს ეკითხებოდა, ნეტავ, ვისი იყო ის ბავშვიო. მისი? არა, ცხადია, გრაფის. შეიძლება. ქალი

აღუთქვამდა, თუ ჩამოხვალ, ჩემს სახლში იცხოვრებო. მიუხედავად იმისა, რომ ქალთა საკითხებში და მათ სიგიჟეებში დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაინც საგონებელში ჩააგდო ასეთმა გამბედაობამ. „რქები დაადგა პაპის მოხელეს, მისსავე საკუთარ სახლში, თანაც მაშინ, როცა იცი, რომ ამ მოხელემ, კანდიდივით, იმ ქვეყნად გაისტუმრა ორი ადამიანი და აქედან ერთი მღვდელმსახური. ეს ცოტა არ იყოს, ჩემი უდანაშაულობისთვის მეტისმეტად ბევრია, მით უმეტეს, რომ ამისთვის სხვა ადგილებიც ბევრია და არცთუ ცუდი. ეს მომხიბლავი ქალი ივინყებს, რომ შეიძლება კაცს დაუსტვინო და საითაც გნებავთ იქით გაიქცევა, ოღონდ მანამდე, სანამ... ის ან ვენეციაში უნდა ყოფილიყო ნაკლებ დიდსულოვანი ან რავენაში უნდა იყოს ნაკლებ მომთხოვნი“.

მაგრამ ბაირონმა კარგად ქალების სურვილების დაცინვა იცოდა მხოლოდ, გაცხილებით უარესად იცოდა მათთვის წინააღმდეგობის განწევა, — ასე რომ, ის უკვე რავენის გზას ადგა. სიცხე იყო. გზებზე მტვერი იდო. „მე რომ კაცთაშორის ყველაზე ერთგული არ ვიყო, პადუური მტვრის ყლაპვის მაგივრად ახლა ლიდოზე ვიქნებოდი საცურაოდ“. დიახ, მაგრამ ყველაზე ერთგული არ იყო, მიდიოდა და თავისთვის ბუზღუნებდა, ნახევრად გულმოსული, ნახევრად კმაყოფილი, თან ბოლონიელ ქალებს უთვალთვალებდა, კარდინალ-ლეგატის ნითელი წინდების მზერითაც დატკბა, მაგრამ ყველაზე მეტად ფერარაში, დე ლა ჩერტოზის სასაფლაოზე ნანახმა ორმა ეპიტაფიამ აღაფრთოვანა.

რავენა უნდა მოსწონებოდა, პატარა, იდუმალი ქალაქი, რომელიც თავის ვინრო და გრილ ქუჩებში ბარბაროსული იმპერიის ნაშთებს ინახავდა. ქალაქი, სადაც ფრანჩესკა ცხოვრობდა, სადაც გაძევებული დანტე ცხოვრობდა. სასტუმროდან რამდენიმე ნაბიჯზე შეუხედავ გუმბათს შეეფარებინა პოეტის ნეშტი. ცხენით სეირნობისთვის — უზარმაზარი ფიჭვის ტყე ზღვამდე გადაჭიმულიყო, ოდესღაც ზღვით დაფარული, და რომის ფლოტიც ღუზას აქ უშვებდა. ცნობილი ტყე იყო რავენისა, და ბაირონი ტყისა და ზღვის მარტოულ მდუმარებას შეეფარდა, სადაც მხოლოდ ჭრიჭინების ხმა ისმოდა.

მისმა ჩასვლამ ქალაქი ააღელვა. გრაფი მაშინვე სასტუმროში ეახლა, თავაზიანად სახლში მიიპატიჟა, ჩემი ცოლი ინახულე, იქნებ თქვენმა უგანათლებულესობამ ცოტა გაართოს, რადგან ავად არის და როგორც ეტყობა, სერიოზულადაცო. გვიჩიოლების სასახლე, დიდი ნაცრისფერი შენობა, რამ-

დენიმი ასეული მეტრით იყო დაშორებული სასტუმროდან. ბაირონი მივიდა და გულიც აუჩუყდა. ქალში ისე არაფერი იზიდავდა, როგორც სისუსტე. ტერეზა ინვა, ახველებდა და სისხლს აყოლებდა ნახველს. მის სასთუმალთან მოენყო და ძალზე მზრუნველ მომვლელადაც იქცა; მაგრამ ოდნავ ღელავდა კიდევ, ყოველ წამს ელოდა, გრაფის რომელიმე მსახური როდის გაუყრიდა ხანჯალს ყელში. მერე რა! სიკვდილი ხომ როდესმე მაინც მოვა. ის კი, არც ისე ცუდი იქნება, — მოკვდე ტერეზასთვის. მონად იქცა და ბედნიერი იყო. როცა ვენეციაში მიდიოდა, ჰობსაუზმა უწინასწარმეტყველა, კიდევ ერთხელ მოხვდებო ქალის ძალაუფლების ქვეშ; ისედაც მიდრეკილი იყო და წინასწარმეტყველების სჯეროდა — და აი, აღუსრულდა კიდევ.

ერთის ემინოდა მხოლოდ, — ტერეზა არ მომკვდარიყო. „ყველას, ადამიანსა თუ საგანს, ასე ემართება, ვის მიმართაც ნამდვილ სიყვარულს ვგრძნობ... ვერ გავუფრთხილდი ძალს, რომელსაც ვუყვარდი და რომელიც მიყვარდა...“. „თუ ჩემს ახლანდელ მიცა-ს¹⁹⁵ რამე მოუვა, მაშინ ჩემს ვნებათა სამყაროში ყველაფერი დამთავრდება — ეს ჩემი ბოლო სიყვარულია. რაც შეეხება გარყვნილებას, მძულს, მეზიზღება, რაც სრულიად ბუნებრივია ისეთი ადამიანისთვის, რომელიც ისე ცხოვრობდა, როგორც მე ვცხოვრობდი. ამ ბინიერებიდან ერთი რამ მაინც მივიღე, ის, რომ ახლა მიყვარს, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით. ეს იქნება ჩემი ბოლო რომანი“.

ვენეციიდან მეგობარი გამოიძახა, პროფესორი აგლიეტი, ქალბატონ გვიჩიოლის გასასინჯად. აგლიეტიმ მკურნალობა გაუგრძელა, და ეს მკურნალობა ბაირონის ვიზიტები გახლდათ. „აუნერელმა ბედნიერებამ, რასაც ეს ვიზიტები მანიჭებდა, ისეთი დიდებული ზემოქმედება მოახდინა ჩემს ჯანმრთელობაზე“, — ამბობდა გრაფინია გვიჩიოლი... რომ შეძლო და ისევ გახდა მისი სატრფო; ეს ყველაფერი იქვე, სასახლეში ხდებოდა. მოახლე გოგო, ახალგაზრდა ზანგი და ტერეზას მეგობარი ქალი ხელს უწყობდნენ ამ სიყვარულს. სახიფათო მოურიდებლობა იყო, რადგან ერთხელაც გრაფი, კარი ჩაკეტილი რომ დახვდა, ძალზე გაოცდა.

მაგრამ გრაფი გვიჩიოლი გამოუცნობი კაცი ბრძანდებოდა. ამ ინციდენტის მიუხედავად ბაირონთან მაინც საგანგებო ვიზიტებით დადიოდა, ექვსცხენშებში დიდ-

ბული ეტლით დაჰყავდა სასეირნოდ; რავენის მცხოვრებლები კი ამ მეგობრობაზე ირონიითა და ზიზღით ლაპარაკობდნენ. გრაფი ყველაზე მდიდარი მემამულე კი გახლდათ რომანიაში, მაგრამ ყველაზე პოპულარული არ იყო.

მაგრამ, განა გრაფზე ლაპარაკი ღირდა? ბაირონს თავისი ცხენები ჩამოუყვანეს და ისიც ყოველდღე ტყეში დადიოდა სასეირნოდ. მიჯნურს როცა უნდოდა, მაშინ ხვდებოდა. ყოველი დღით ცხოვრობდა და სიამოვნებდა ეს ცხოვრება, მომავალზე ფიქრი არ სურდა. როცა ქალბატონი გვიჩიოლი უკეთ შეიქნა, ბრძანა პონი შემიკაზმეთო და მასთან ერთად წავიდა სასეირნოდ; შლაპა დაიხურა იტალიელი პულჩინელოსავით¹⁹⁶ და ამორძალის ცისფერი კოსტიუმი ჩაიცვა. ქალი გულუბრყვილო და ღვთისმოსავი იყო. ბაირონს ასწავლიდა, გაეჩერდეთ და ვილოცოთო, როცა ძველი ბაზილიკების ზარები ვე, არია-ს საათის დადგომას იუნყებოდნენ.

მოსწონდა, მისი სატრფო კათოლიკე რომ იყო და მორწმუნე. უოლტერ სკოტი მართალი ბრძანდებოდა, როცა რალაც საერთოს ხედავდა ბაირონის სულიერ მოთხოვნილებებსა და რომის ეკლესიის ბრწყინვალე წესჩვევებს შორის; თავის ქალიშვილ ალეგრას კათოლიკური რწმენით ზრდიდა. როცა ტერეზა უმოძრაოდ და მდუმარედ უსმენდა გალობას, ისიც, რელიგიური ექსტაზით შეპყრობილი, ყურს უგდებდა მის ირგვლივ მოჭრიჭინეჭრინებს. ქალბატონი გვიჩიოლი ფერარაში დაწერილ „ტასოს მოთქმას“ იცნობდა და ბაირონს მოსთხოვა რავენელ გაძევებულისთვისაც ეძღვნა პოემა. ამ მორჩილმა მიჯნურმა „დანტეს წინასწარმეტყველება“ დაწერა; დაამთავრა თუ არა, შეყვარებულთან ერთად ფლორენციელის საფლავზე წავიდა საპილიგრიმოდ. გრაფინია გვიჩიოლი შავებში გამოენყო, ბაირონმა თავისი მოქარგული მუნდირი ჩაიცვა. ეკვდერში შევიდნენ; ბაირონმა თავისი ნიგნი საფლავზე დადო, გულხელდაკრეფილი იდგა და საფლავს დაჰყურებდა მანამდე, ვიდრე მისი მეგობარი ლოცულობდა. უფრო და უფრო მეტად ეთვისებოდა თავის მიჯნურს. ეს საპატიო გამარჯვება გახლდათ, ტერეზა დაბადებით გრაფინია გამბა ბრძანდებოდა, ლამაზი, უგონოდ შეყვარებული, ჭკვიანი — ყოველ შემთხვევაში, ბაირონს ასე ეგონა — და მონასტრიდან ახლად გამოსული გოგონას კვალობაზე საკმაოდ განათლებულიც. იქნებ ტერეზასთვის

196. იტალიური ნიღბების კომედიის პერსონაჟი. ხუმარა.

195. მეგობარი ქალი./იტალ./

მკაცრი შეფასება მიეცა, უცხოელი რომ არ ყოფილიყო, მაგრამ აქ თავშესაქცევი ეგზოტიზმიც თავის როლს თამაშობდა, უცხო ენაზე წარმოთქმულ უკბილო ხუმრობასაც კი სასიამოვნოს რომ ხდის. ისე კი, ქალმა ძლივს იცოდა ინგლისური ენა; მისი ლექსებიდან ერთ სიტყვასაც ვერ იგებდა. მაგრამ მისთვის ის პოეტი იყო, სიყვარულისთვის შექმნილი ადამიანი. ქალმა მისგან გმირული სახე შექმნა და ეს სახე უყვარდა. არ უნდოდა მასში ცინიკოსი დაენახა, — უნდოდა ის მისი რაინდი ყოფილიყო, ნაზი, არამინიერი, — ერთი სიტყვით ისეთი, როგორც ქალს სურს იყოს მისი მიჯნური. ბაირონმა ტერეზას კი დაუთმო, მაგრამ მაინც ეშინოდა სასაცილო არ გამოეჩნდეთ, თუმცა სიამოვნებდა, რადგან გრაფინია გვიჩიოლი იმ ბაირონს აგონებდა, ჰაროუელ თუ ნიუსტედელ ბაირონს, თვითონვე რომ მოსწონდა. და მზად იყო ყველა სიგიჟის ჩასადენად. „თუ ჩემს მეუღლეს შეხვდებით, — ნერდა ოგასტას, — უთხარით, რომ კიდევ მინდა დაქორწინება, და რადგან მასაც ალბათ ეს სურს, ხომ არ შეიძლება რომელიმე შოტლანდიური კანონით ამის გაკეთება ისე, რომ მის შეუბღალავ პატიოსნებას შეურაცხყოფა არ მიადგეს“. მაგრამ ტერეზას აზრით, ქმრის მოტყუება მოვალეობა იყო, ხოლო მისი მოტოვება — დანაშაული.

ბოლოს და ბოლოს, გვიჩიოლები ბოლონიაში გაემგზავრნენ, რადგან გრაფს თავისი სამფლობელო უნდა შემოეფლო. სრულიად მოშინაურებული ბაირონი მეორე დღესვე უკან გაჰყვა მათ, და ბოლონიაშიც იგივე ცხოვრება გაგრძელდა. სასახლეში აპარტამენტები იქირავა და ალეგრა გამოიხმო ვენეციიდან. პატარა ართობდა მას, სასაცილოდ ლაპარაკობდა იტალიურად და ასე ეგებებოდა მამას: „*B on di papa*“.¹⁹⁷ ოგასტას ჰგავდა, ნამდვილი ნაშიერი იყო ბაირონებისა; ასო „რ“-ს წარმოთქმა არ შეეძლო, იმანჭებოდა ბაირონივით, ნიკაპზე ღრმულიც ჰქონდა, თითქმის მუდამ წინ წამოწეული წარბებიც, ძალიან თეთრი კანი, ძალიან ნაზი ხმა, მუსიკის გასაოცარი სიყვარული და მტკიცე ნებისყოფა ყველაფერში. ძალზე თავშესაქცევი იყო იმის ყურება, თუ მის გვერდით როგორ იზრდებოდა ამ ახირებული, უცნაური ჯიშის ახალი რტო. ბაირონი თამაშობდა მასთან, ცხენით დადიოდა, ბაღში სეირნობდა — მენამულისფრად სიმნიფეში შესული მტევნების ჩარდახქვეშ, შადრევანთან ჯდებოდა, მე-

ბაღესთან საუბრობდა, მერე კამპო-სანტოში მიდიოდა მესაფლავესთან სალაყოდ, რომელსაც მთელ ბოლონიაში ყველაზე ლამაზი გოგო ჰყავდა.

„თავს ვიქცევ ამ თხუთმეტიოდე წლის ლამაზი, უმანკო სახისა და იმ თავის ქალებს შორის კონტრასტის ცქერით, რომლებითაც მესაფლავემ რამდენიმე ნიში აავსო. იქ არის ერთი თავის ქალა, 1766 წლით დათარიღებული /როგორც გადმოცემა გვაუწყებს/, ოდესღაც ყველაზე მომხიბლავი, ყველაზე კეთილშობილი და ყველაზე მედიდური სახე ყოფილა მთელს ბოლონიაში. როცა ამ თავის ქალასა და ამ გოგოს ვუყურებ, ვფიქრობ, რას წარმოადგენდა ეს თავის ქალა, და რად იქცევა მერე ეს გოგო, — არა, არ მინდა, ჩემო ძვირფასო მარი, შოკში ჩაგაგდოთ, არ გეტყვით იმას, რაც თავში მომდის. განა სულერთი არ არის, რაც მოგვივა ჩვენ, წვერიან მამაკაცებს, მაგრამ სასიამოვნო როდია იმაზე ფიქრი, რომ ქალი უფრო დღემოკლეა, ვიდრე ლამაზი ხე“.

მელანქოლიური აზრებია, მაგრამ თვითონაც ხომ მელანქოლიური იყო... რავენა, მერე ბოლონია... უკვე ღლიდა ჩიჩისბეის ხელობა. დროს კი „ბინიერად და სასიამოვნოდ“ ატარებდა, როგორც თვითონ ამბობდა, მაგრამ სიცარიელის შეგრძნება უძლიერდებოდა. ეს ქალბატონი გვიჩიოლის ბრალი არ გახლდათ. ქალი ახალგაზრდა იყო, თავაზიანი, ერთგული, მაგრამ თვითონ მწარედ გრძნობდა, რომ ადამიანმა თავისი ცხოვრება ქალის ფეხებთან გართხმულმა არ უნდა ფლანგოს... ოცდათერთმეტი წელი — რა გააკეთა? სიყვარული? „ღონ ჟუანის“ მესამე სიმღერა? „საუბედუროდ, მუდამ უსაქმური ვიყავი, პერსპექტივაში სწრაფი დაცემა მელის...“. მოქმედება... მოქმედება... მოქმედება... მაგრამ, როგორ იმოქმედოს? ინგლისში საარჩევნო რეფორმით დაკავდეს? არა, იმ ქვეყანაში, საიდანაც გამოაძევეს, არაფერი ესაქმება. კიდევ ერთხელ უნდოდა იქ ჩასვლა და მერე სამხრეთ ამერიკაში გამგზავრება სამუდამოდ დასასახლებლად. გაზეთიდან ვენესუელის მთავრობის განცხადებაც ამოჭრა, უცხოელებს, ვინც მათთან დასახლდებოდა, შეღავათებს რომ სთავაზობდა. ბოლივარი, თავისი ხალხის გამათავისუფლებელი, ერთ-ერთი მისი გმირი იყო.

„გარწმუნებთ, ეს ძალიან სერიოზულია და ამაზე დიდი ხანია ვფიქრობ, ჩემი დღიურის ნაწყვეტებიდანაც, რომელსაც გიგზავნით, შეიტყობთ ამას... ჩემს უკანონო შვილთან, ალეგრასთან ერთად წავალ... ჩემს კარავს სამუდამოდ იქ დავდგამ. იტალია ჯერ არ მომწყენია, მაგრამ აქ ან ჩიჩისბეი

197. „დღე მშვიდობისა, მამა“. /იტალ./

უნდა იყო ან დუეტების მომღერალი ან ოპერის მცოდნე — ან არაფერი. ამ ხელოვნებებში რალაც წარმატებას კი მივალნიე, მაგრამ უნდა ვალიარო, რომ რალაც ერთგვარ ლპობას ვგრძნობ. უკეთესია მოუხერხებელი პლანტატორი იყოს კაცი, გამოუცდელი კოლონისტი — უკეთესია, მონადირე იყო ან რაც გნებავთ, ოღონდ ქალის მარაო არ მატარებინა... ქალები მიყვარს — ღმერთია მოწმე, — მაგრამ, რაც უფრო მეტად მიმონებს ეს სისტემა, აქ რომ დაანესეს, მით უფრო საზიზღრად მეჩვენება, განსაკუთრებით თურქეთის შემდეგ, — აქ პოლიგამია.¹⁹⁸ ყველა უპირატესობას ქალს ანიჭებს. ინტრიგების მოყვარული ვიყავი, ქმარიც, სარკვეც ქალებისა, — ახლა ჩიჩისბეი ვარ — ყველა წმინდანს გეფიცებით! — უცნაურზე უცნაური შეგრძნებაა... არა, სამშობლო უნდა მოვძებნო, ჰომო¹⁹⁹ და — თუ შესაძლებელია — თავისუფალი სამშობლო. ჯერ ოცდათორმეტისაც არა ვარ. კიდევ შემიძლია წესიერი მოქალაქე ვავხდე, მქონდეს სახლი, შევქმნა ოჯახი, შეიძლება უკეთესიც, ვიდრე პირველი იყო. მაგრამ ევროპაში თავისუფლება არ არის — ეს სიმართლეა, — იგი უვარგისი ნაწილია პლანეტისა“.

ჰობსაუზმა, რომელსაც ეს გეგმა მარიმ აცნობა, სერიოზულად არ მიიღო: „ჩვენი პოეტი მეტისმეტად კეთილია პლანტატორის კვლობაზე... ეს ყველაზე დამთხვეული ჩანაფიქრია-ო, ასე უთხარი... იქ ხომ არც კბილის ჯაგრისი ექნება და არც უარტერლყ ღვიფენს. იქ ექნება ყველაფერი, რასაც ვერ იტანს, და არაფერი, რაც უყვარს“. ჰობსაუზს ბაირონი უყვარდა და ისე ექცეოდა, როგორც ბავშვს.

თავი რომ გაერთო და თუნდაც მოჩვენებითი მოქმედების სახე შეექმნა, ბაირონი შოციეცა ღომანტიცა-ს, თავისუფლების მოყვარულ იტალიელთა პატარა წრეს დაუკავშირდა და მისმა ბოლონიაში გამოჩენამ პაპის სამფლობელოების ხელისუფლების ჯაშუშთა შემფოთება გამოიწვია. უამრავი პატაკი გაიგზავნა რომის პოლიციის მთავარ დირექტორთან ბოლონიის პოლიციის დირექტორისა. იქვე იყო აღნიშნული უცნაური მეგობრობა გრაფ გვიჩიოლისა და ლორდ ბაირონის, „ცნობილი ლიტერატორისა, რომლსაც ლიბერალური შეხედულებები და უზარმაზარი სიმდიდრე განსაკუთრებით საშიშს ხდის“. „არასოდეს

გამოდის სახლიდან და განუწყვეტლივ წერს“, — წინდახედულად აღნიშნავდა აგენტი, მერე კი უმატებდა: „თუ გგონიათ, რომ მხოლოდ იმით არის დაკავებული რქები დაადგას გვიჩიოლის, ცდებით, მეხორცია და წნედაცემული უკიდურესად, მაგრამ პოლიტიკაში მერყევი არ იქნება“. ლონდონიდან პრინცი ესტარგაზი მეტერნისს სწერდა: „ლორდმა კესტლერმა მთხოვა გაგაფრთხილოთ, ძვირფასო თავადო, რომ აუცილებლად მიაჩნია, მხედველობიდან არ გამოგეპაროთ ლორდ ბაირონის ქცევები და მიმოწერა. მან /ლორდი კ./ მიიღო ახალი ცნობა კარბონარების²⁰⁰ შეთქმულების შესახებ, მილანის მიდამოში რომ ემზადებია“. წმინდა კავშირი მტკიცე კავშირი იყო.

ავვისტოს ბოლოს გვიჩიოლებმა იგი ალევრასთან ერთად მარტო დატოვეს; მარტოდ დარჩენილმა უფრო მწარედ იგრძნო თავისი ცხოვრების სიცარიელე. ნაღვლიანად ისეირნა ბაღში, მაგიდაზე მიტოვებული მაღამ დე სტალის „კორინა“ იპოვა და ბოლო გვერდზე მიანერა:

„ჩემო ძვირფასო ტერეზა, თქვენს ბაღში ნავიკითხე ეს წიგნი — თქვენ აქ არ იყავით, სულ ჩემო. აქ რომ ყოფილიყავით, ალბათ, ნაკითხვას ვერ შევძლებდი. ეს ერთ-ერთი თქვენი საყვარელი წიგნია, ხოლო ავტორი ერთ-ერთი ჩემი მეგობარი გახლავთ; თქვენ ამ ინგლისურ წინადადებებს ვერ გაიგებთ და სხვებიც ვერ გაიგებენ, — ამიტომაც არ ვნერ იტალიურად. თქვენ იმ ადამიანის ხელწერას იცნობთ, რომელსაც გატაცებით უყვარხართ, და მიხვდებით, რომ თქვენს წიგნზე დახრილს, მხოლოდ სიყვარულზე შეეძლო ფიქრი. ამ სიტყვაში, რომელიც ყველა ენაზე განსაკუთრებით ლამაზია, მაგრამ უფრო ლამაზია თქვენს ენაზე — მორ მიო, — ჩაქსოვილია მთელი ჩემი ცხოვრება ან და მარადის. ვგრძნობ, ვარსებობ, და მეშინია, რომ მუდამ უნდა ვიარსებო, რათა აღვასრულო ის, რასაც თქვენ მოისურვებთ. ჩემი ბედი თქვენს ხელშია, ქალი ხართ, ჩვიდმეტი წლის ქალი და ორი წლის წინ დატოვეთ მონასტერი. მთელი გულით ვისურვებდი იქ დარჩენილიყავით ან, უკიდურეს შემთხვევაში, არ შეგხვედროდით ქორწინების შემდეგ... მაგრამ ახლა გვიანია. მიყვარხართ, თქვენც გიყვარვართ — ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობთ და ისე იქცევით, თითქოს გიყვარვართ, რაიც, ყველა შემთხვევაში, დიდი ნუგეშია. ზოგჯერ გამიხსენეთ, როცა ალპები და

198. ქორწინების ფორმა, როცა თითოეულს შეუძლია ერთდროულად რამდენიმე მეუღლე ჰყავდეს.

199. სახლი.

200. ფარული რევოლუციური ორგანიზაციის წევრები. ორგანიზაცია იტალიაში XIX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა და იტალიის გათავისუფლება-გაერთიანებისთვის იბრძოდა.

ოკეანე ერთმანეთს დაგვაშორებს — ეს კი არასოდეს მოხდება, თუ თქვენ არ მოისურვებთ“.

ქალი მხოლოდ სამი დღით წავიდა, — და ეს საკმარისი აღმოჩნდა ბაირონისთვის, რომ ტერეზასთან მიმართებაში კაროლინასებრ მოქცეულიყო. როცა გვიჩიოლებს ცოლქმრული წყვილი ბოლონიაში დაბრუნდა, გრაფმა შეიტყო, რომ ისევ რავენაში უხმობდნენ. გრაფინიამ განუცხადა, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემი ვენეციაში ყოფნა აუცილებელია და თუ თქვენ ვერ შეძლებთ გამოყოლას, მაშინ ლორდი ბაირონი სიამოვნებით დათანხმდება ჩემს თანამგზავრობასო. გრაფი გვიჩიოლი დათანხმდა და მიჯნურები ბოლონიიდან 1819 წლის 15 სექტემბერს გაემგზავრნენ. ბედნიერებით სავსე მოგზაურობა გახლდათ. როცა ვენეციაში ჩავიდნენ, ექიმებმა გრაფინიას სოფელში გამგზავრება ურჩიეს ისევ. ლორდი ბაირონი ისევ ჰქონდა ვილა ლა მირაში, თავაზიანად დაუთმო გრაფინია გვიჩიოლის და თვითონაც მზადყოფნა გამოთქვა იქ ეცხოვრა.

როგორც მარიანა სეგატის დროს, ვენეციის ღრმა და ჩამუქებულ წყლებში, ახლაც ისევე, მთელ მსოფლიოში უმშვენიერესად, ირეკლებოდა მზის ჩასვლა. საღამოები გრძელი გახდა. ახალი ამბები, უცხო ენის შესწავლა, გამუდმებული შიში, ვინმე თავზე არ წამოსდგომოდათ, რავენაში მთელ დროს ავსებდა. მარტოობა განვადებით მიღებულ ყოველგვარ ფანტაზიას მალე ფიტავს და ჩვიდმეტი წლის ქალიც მალე ამოწურავს ყველაფერს, რაც იცის. “ეს კურენ მურის სიტყვებს მაგონებს, — წერდა ბაირონი, — გავიგე, ლამაზი ქალი შეგირთავთ ცოლად. მართლა კარგია? — უმშვენიერესი ქმნილებაა! — მითხარით, გეთაყვა, ჰმ... საღამოობოთ დროს როგორ ატარებთ?” საშინელი კითხვაა, მაგრამ პასუხი შეიძლება მარტივიც იყოს, როცა საქმე ცოლს კი არა, საყვარელს ეხება. ცხადია, საღამოები უფრო გრძელი იყო, ვიდრე ღამეები. ახლა ძალზე ზნეკეთილი ადამიანი ვარ და მხოლოდ ერთი მკაცრი ადიულტერით ვიფარგლები. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს არის ყველაფერი, რაც ჩემმა სათნოებით აღვსილმა მეუღლემ დამიტოვა”. ადიულტერიც, ისევე როგორც ოდესლაც ცოლქმრობა, არცთუ იშვიათად აიძულებდა მთქნარებას.

საბედნიეროდ, მასთან ტომას მური ჩავიდა, რომელიც ლორდ ჯონ რასელთან ერთად მოგზაურობდა და მ ოქტომბერს „ლა მირას“ ეწვია. ბაირონი აბაზანას იღებდა. მურს ფლეტჩერი შეხვდა. ბოლოს თავისი

სიჭაბუკის მეგობრის ნახვით უზომოდ გახარებული ბაირონიც გამოჩნდა. პოეტი ძალიან ალერსიანი იყო, მხიარული, მაგრამ ისეთი მობერებული ჩანდა, მურს თავზარი დაეცა; ის ზემთაგონება დაეკარგა, რითაც ადრე იყო გამორჩეული; ბაკები მოეშვა, რადგან ტერეზას ეთქვა, თავი მუსიკოსისა გაქვსო; კისერზე ჩამოშვებული გრძელი თმა უცხოელის იერს აძლევდა. ისევ ლამაზი იყო, მაგრამ მის სახეს იგივე ევოლუცია განეცადა, როგორც მის პოეზიას, — ახლა უფრო მეტი იუმორი ჰქონდა და დონ ჟუანის მოხერხებულობა, ვიდრე მანფრედისა და ჩაილდ ჰაროლდის პირქუში რომანტიზმი. ტომას მურს მოჩნეიგოს სასახლეში ცხოვრება შესთავაზა და უთხრა, ახლავე გაგაცილებო ვენეციაში, ოღონდ ჯერ გრაფინია გვიჩიოლი წარუდგინა; მურს ჭკვიან და სასიამოვნო ქალად ეჩვენა გრაფინია. დიდებულ ტანსაცმელში გამონყობილმა, უზარმაზარულვაშა გონდოლიერმა ტიტამ ისინი ეტლში მიიწვია, ფუზინაში კი ორივე მეგობარი ლაგუნაზე გადაიყვანა.

ვენეციის გამოჩენისას მური აღელდა, ბაირონი კი მურის ჩამოსვლით იყო აღელვებული. ლონდონური ცხოვრება გაიხსენეს, მხიარულიც და სასაცილოც: ბედნიერი საღამოები კინიარდთან, ბრენდი, ირლანდიური სიმღერები. ბაირონი იმ ბავშვივით იქცეოდა, რომელმაც ამხანაგი იპოვა. ბოლოს პალაცო მოჩენიგოშიც მივიდნენ. ცოტა გაიარეს და ბაირონმა იყვირა: „ფრთხილად, ძაღლი!“ მერე ისევ: „ფრთხილად, მაიმუნი!“ მერე კარს, რომელსაც გაღება არ უნდოდა, ფეხი დაარტყა და ისე გაალო, და მურს უთხრა; „აი, ჩემი ოთახი, ახლა შენია“. მურის ვენეციაში ყოფნისას ყოველ დღეს მასთან ატარებდა და მხოლოდ საღამოთი ბრუნდებოდა „ლა მირაში“, თავისი ამიცა-ს საზოგადოებაში. ვენეციელები მურს ვევედრებოდნენ, ბაირონს სერიოზულად მოლაპარაკებოდა, რადგან მათ ადათ-ნესებს შეურაცხყოფდა, საყვარელთან ერთად რომ ცხოვრობდა ერთ სახლში. გრაფინია ბენცონიმ უთხრა: „უნდა დატუქსოთ თქვენი მეგობარი. ამ უბედურ ისტორიამდე, ისე კარგად იქცეოდა“.

მურის ჩამოსვლისთანავე ბაირონისთვის ნამდვილი არდადეგები დაიწყო. ბოლო საღამოს, „ლა მირადან“ სადილობის დროს დაბრუნდნენ, ბაირონმა ბედნიერი მოწაფის სახით მურს აუწყა, ეს ღამე გრაფინიამ მაჩუქა და არა მარტო ოპერაში წამოვალ, ერთადაც ვივანხმებთ, როგორც ძველ დროსო. „ფენიჩეს“²⁰¹ შემდეგ წმინდა მარკოზის

201. საოპერო თეატრი ვენეციაში.

მოედანზე პუნშის დასალევად წავიდნენ, იქ მანამდე დარჩნენ, ვიდრე კოშკზე ბრინჯაოს კერპებმა თავისი ჩაქუჩებით ღამის ორი საათი არ დაჰკრეს. მერე ვენეციაში მთვარის შუქზე ისეირნეს დიდხანს. უმშვენიერესი ღამე ყოფილა. სასახლეთა ქალაქი თავის წყლებზე ყვინთავდა უბრწყინვალეს ღამის სიმშვიდეში. მური ღრმად გულშეძრული იყო. ბაირონმა მხიარული ტონით საუბარი შეწყვიტა და მშვიდი, ჩუმი ნალველით ალაპარაკდა.

მეორე დღეს მური „ლა მირაში“ ჩავიდა მეგობართან დასამშვიდობებლად. ბაირონმა თეთრი ტყავის პატარა ჩანთა მისცა:

„— აი, — უთხრა, — ამაში მარი ძვირს გადაიხდიდა, თქვენ კი, ასე მგონია, ექვს პენსსაც არ გაიმეტებთ.

— რა არის? — ჰკითხა მურმა.

— ჩემი ცხოვრება და თავგადასავლები, — მიუგო ბაირონმა, — ჩემს სიცოცხლეში არ უნდა გამოქვეყნდეს, მაგრამ თქვენ გჩუქნით. რაც გინდათ, ის უყავით.

მურმა მხურვალე მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ჩემი პატარა ტომისთვის საუკეთესო მემკვიდრეობაა, რითაც XIX საუკუნის დასასრულის ადამიანებს გააოცებს...“.

როცა გამგზავრების დრო დადგა, ბაირონმა ცხენი მოითხოვა და მური კარგად დიდ მანძილზე გააცილა.

ოჯახში საქმეები საკმაოდ ცუდად მიდიოდა. გრაფი გვიჩიოლი, შეიძლება ეჭვიანობდა კიდეც, მაგრამ აქამდე მაინც იტანდა ცოლის ქცევებს. მაგრამ 1819 წლის ნოემბერში ხელში ჩაუვარდა გრაფ გამბას, ტერეზას მამის ნერილი, რომელშიც ქალიშვილს ურჩევდა, ფრთხილად იყავიო. გრაფი გვიჩიოლი ვენეციაში ჩავიდა, ცოლი დიდებულ მდგომარეობაში და ისეთი სიძულვილით დახვდა, რომ საკმაოდ უხეში ჩხუბი მოუვიდათ. ამჯერად, გრაფმა ტერეზას არჩევანი შესთავაზა — ან ქმარი, ან საყვარელი, ორივე ერთად არაო. ქალმა საყვარელი აირჩია და ბაირონს გაქცევა შესთავაზა. „ალბათ, მეც ასეთ გადანყვევტილებას მივიღებდი, — ამბობდა ბაირონი, — ოცი წლისა რომ ვყოფილიყავი და არა ოცდათერთმეტის, რადგან ის მიყვარდა; მაგრამ ვიცოდი, მსგავსი ავანტიურა მისთვის გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა, მთელი ოჯახი — განსაკუთრებით მისი დები და მამა — საშინლად განანყენდებოდნენ, მისი დების რეპუტაციასაც დიდი ზიანი მიადგებოდა. დიდი გაჭირვებით დავიყოლიე, რავენაში, ქმართან დაბრუნებაზე, რომელმაც ალუთქვა — ყველაფერს დაივიწყებდა, თუ მე მიმატოვებდა“. თვალცრემლიანი გრაფი გვიჩიო-

ლი თავად ეახლა ბაირონს.

„— თუ ცოლს მიატოვებთ, — უთხრა ბაირონმა, — ცხადია, ჩემთან წამოვიყვან, ეს ჩემი მოვალეობაა და სურვილიც, თუ საქმე აქამდე მივა. მაგრამ თუ თქვენ, როგორც ბრძანებთ, მასთან წამდვილად აპირებთ ცხოვრებას და ძველებურად გეყვარებთ, მაშინ მე არათუ ახალ უსიამოვნებებს არ მივაყენებ თქვენს ოჯახს, არამედ საერთოდ წავალ ალპებიდან“.

ტერეზას მწუხარება აღელვებდა: „გთხოვთ, გევედრებით, დამშვიდდეთ, — ნერდა ქალს, — დამიჯერეთ, სიცოცხლის ბოლომდე მეყვარებით... მივემგზავრები, რომ გადაგარჩინოთ; ვტოვებ ქვეყანას, რომელიც უშენოდ აუტანელი გახდა!“ გადანყვიტა, იტალიაში აღარ დარჩენილიყო. ჯერ ინგლისში წავიდოდა, მერე /ვინ იცის/ იქნებ, საფრანგეთში ან ამერიკაში, შეერთებულ შტატებში, ვენესუელაში. ოგასტას ნახავს, ეცდება გაიგოს, რა დაემართა ამ მიუხვდომელ ქალს.

ბაირონი — ოგასტას: „ძვირფასო, სიყვარულო ჩემო, უყურადღებოდ მოვიქეცი, ნერილს არ გნერდით, მაგრამ რა მექნა? სამი წლის განშორებამ და გარემოს, ჩვევების სრულმა ცვლილებამ, ისე ბევრი რამ შეცვალა, საერთო აღარაფერი დაგვრჩა, ერთგულებისა და ნათესაობის გარდა. არასოდეს შემინყვევტია და არც შევწყვეტ, ერთი წამითაც კი, იმ უსაზღვრო ერთგულების გრძნობას, რომელიც მუდამ მაკავშირებს თქვენთან და სრულიად მიკარგავს უნარს განვიცადო წამდვილი სიყვარული სხვა არსებისადმი, ვინც უნდა იყოს იგი თქვენს გარდა. ჩემო საყვარელო, ბევრ რამეში ვართ დამნაშავე, — მაგრამ არაფერს ვნანობ, გარდა იმ დაწყვეტილი ქორწინებისა და იმ თქვენი უარისა ისე გყვარებოდით, როგორც ადრე გიყვარდით. ბოლომდე არც დავინყებთა შემოძლია, არც პატიება თქვენი შესანიშნავი მცდელობისა სათნოებად გარდაქმნა რომ მოინდომეთ... გული მისკდება, როგორც კი ჩვენი ხანგრძლივი განშორება მახსენდება; დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკმარისი სასჯელია ჩვენი ცოდვებისთვის. დანტე თავის „ჯოჯოხეთში“ უფრო ადამიანურია, რადგან თავის უბედურ შეყვარებულებს ერთად ტოვებს /ფრანჩესკა და რიმინი და პაოლო, რომლებიც ისე ცუდად როდი იქცეოდნენ, როგორც ჩვენ მოვიქეცი, თუმცა საკმაოდ ცოდვილნი იყვნენ/, და თუ ისინი იტანჯებიან, ორნი მაინც არიან... როცა მომწერთ, თქვენზე მიაშბეთ, მითხარით, რომ გიყვარვართ. რალაცეებზე და ვილაც ადამიანებზე ნუ დამელაპარაკებთ, ისინი საერთოდ არ მაინტერესებს, ინ-

გლისი ხომ ჩემთვის ის ქვეყანაა, სადაც თქვენ ცხოვრობთ, მის ირგვლივ კი მხოლოდ ზღვაა, ერთმანეთისგან რომ გვაშორებს. ამბობენ, განშორება სუსტ გრძნობებს ჰკლავს, ძლიერს კი — უფრო ზრდისო, — ვაი, რომ ის გრძნობა, თქვენთან რომ მაკავშირებს, ყველა გრძნობისა და ერთგულების ნაკრები...“²⁰²

ტერეზას გამგზავრებიდან ორი კვირის განმავლობაში ფიქრობდა ამ ქვეყნის დატოვებას. მურის ჩამოსვლამ სამშობლოსა და მეგობრებისადმი ნატურის ნაღველი აუშალა. არსებობის ყველა წვრილმანი სამშობლოში დაბრუნების სურვილს უღვიძებდა. უაიტთან კბილებზე უნდა ემკურნალა, ჯაგრისები უნდა ეყიდა, სოდა, მაგნეზია, — ყველაფერი, რასაც ამოდ ითხოვდა ყოველ წერილში და რასაც რატომღაც არ უგზავნიდნენ. მერე ყველაფერი ამ გამგზავრების წინააღმდეგ აენყო. ციებ-ცხელების ახალი შეტევა დაეწყო, მერე ალერგას დაემართა ციებ-ცხელება, მერე ძიძას, გონდოლიერსა და მსახურ ქალს. მოჩენიგოს სასახლეში დაბორილობდა დაღვრემილი, მარტოხელა და ავადმყოფი ბავშვის მომვლელად ქცეული. ხან გამგზავრება გაზაფხულამდე გადადო, ხან საერთოდ უარს ამბობდა. ინგლისიდანაც მაინცაღმანინც დიდ იმედებს არ აძლევდნენ. ოგასტამ არ იცოდა, რა ექნა. ლედი ბაირონმა უბრძანა, ძმას არ შეხვდეთ. ოგასტამ იცოდა, დაბრუნდებოდა ბაირონი და გამბედაობა არ ეყოფოდა ძმა არ ენახა, მაგრამ უნდოდა ცდუნებას გაქცეოდა. „მემინია, — ნერდა მარის, — რომ ჩამოსვლის გადანყვეტილება ამჯერად ოფიქრებულის აქვს და სერიოზულია“. და რამდენიმე ძახილის ნიშანი, ერთიმეორეს მიყოლებით დასმული, მის მოუსვენრობას ხაზს უსვამდა. რავენადან კი, პირიქით, ტერეზა უხმობდა.

უფალმა იცის, როგორ, მაგრამ ქალმა ყველაფერი მოაწესრიგა. ის ისევ ავად იყო, ვერ გამოძჯობინდებოდა თუ ბაირონი მის გვერდით არ იქნებოდა. მამამისი ელაპარაკა მის ქმარს, ქმარი დათანხმდა. ტერეზა ელოდა თავის ბაირონს. მაგრამ მოახლოვ-

202. ამ წერილის სინამდვილე არასოდეს ყოფილა სადავო. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა იმან გამოიწვია, თუ ვისდამი იყო მიმართული. ამტკიცებდნენ, თითქოს იგი ოგასტასთვის არ მიუწერია. ასე მგონია, ამ აზრის დაცვა შეუძლებელია, რადგან წინადადება „პრეციოუს პიეცე ოფ რეფორმატიონ“ გამეორებულია და კომენტირებული ლედი ბაირონის წერილში, რომელიც მისის ლის მისწერა 1819 წლის 27 ივნისს /ავტ./.

და დღე, რომელიც ინგლისში გასამგზავრებლად ჰქონდა დანიშნული. მოჩენიგოს სასახლის წინ დიდი არხის მწვანე ტალღები ბარგით დატვირთულ გონდოლას ატორტმანებდა. ბაირონი მზად იყო, მან უკვე ხელთათმანიც ჩაიცვა; ალერგაც გონდოლაში იჯდა, მხოლოდ მას ელოდნენ და მის იარაღს. ამ დროს უეცრად თქვა, თუ საათი იმაზე ადრე დაჰკრავდა, ვიდრე მის იარაღს გონდოლაში ჩადებდნენ, აღარ წავიდოდა. დაჰკრა საათმა, და ის დარჩა. გვიჩოლის მისწერა:

“სიყვარულმა გაიმარჯვა. საკუთარ თავში იმ ძალის პოვნა ვერ შევძელი, რომელიც იმ ქვეყანას, სადაც შენ ცხოვრობ, ისე მიმატოვებინებდა, რომ ერთხელ კიდევ არ მენახე... მსოფლიოს მოქალაქე ვარ — ყველა ქვეყანა ჩემთვის ერთნაირია. იმის შემდეგ, რაც ერთმანეთი შევიცანით, ჩემთვის მუდამ იყავი ჩემი ერთადერთი ფიქრი. მეგონა, შენთვის და შენი ოჯახის სიმშვიდისთვისაც ყველაზე უკეთესი ჩემი გამგზავრება იქნებოდა... მაგრამ შენ გადანყვიტი, რომ რავენაში უნდა დავბრუნდე. მოვდივარ — გავაკეთებ ყველაფერს — და ვიქნები ყველაფერი, რასაც მოისურვებ. მეტის თქმა არ შემიძლია!”

XXXI

არსენალი გვიჩოლის სასახლეში

და შენ, იტალიავ, საბედისწერო სილამაზის მშვენიერების მცველო...

ბედნიერი იყო, რადგან ისევ ნახა თავისი რავენა, ვინრო ქუჩები, საიდუმლოებებით მოცული სასახლეები, კრამიტისსახურავიანი ბაზილიკები, სოფლები თავისი გაუთავებელი შარაგზებით „და ღვთაებრივი ტყე, ხშირი და ცოცხალი“. ქუჩებში თოვლი იდო. ტერეზა გვიჩოლი მიამიტური სიხარულით დახვდა. იმ ავადმყოფ ბავშვს ჰგავდა, მკაცრი მშობლები, მისი გამოჯანმრთლება რომ დააჩქარონ, საყვარელი ამხანაგის ნახვის უფლებას აძლევდნენ... გრაფი თავშეკავებული იყო, მაგრამ მტრული განწყობილება არ ჰქონდა. გამბას ოჯახი, რომელიც აქამდე ვითომ ამ ურთიერთობას ჰკიცხავდა, ახლა ბაირონს, როგორც ახლობელს ისე ექცეოდა. გრაფმა პიეტრო გამბამ, ტერეზას ძმამ, მხურვალე და მხიარულმა ჭაბუკმა, ბაირონს მეგობრული გრძნობები გადაუშალა. ჩიჩისბეი მიიღეს, როგორც სიძე.

ბაირონი „ალბერგო იმპერიალში“ გაჩერდა, რომელსაც იმპერატორულსა არაფერი

ეცხო, გარდა სახელწოდებისა. რამდენ ხანს დარჩება აქ, ერთი დღე, ერთი კვირა, ერთი წელი? — არ იცის. ბედისწერა მისი ცხოვრების განაწესს განაგებდა. იმიტომ ჩავიდა, რომ ქალმა უხბმო. უკან წავიდოდა, თუ ამას მოისურვებდნენ. მის სიყვარულში აღარც პირველი დღეების აღტკინება იყო და აღარც განხეთქილების წვრილმანი შარიანობა. ქალბატონი გვიჩიოლის ფანტაზიის მდორე და ალერსიანი ტალღების დინებას მიჰყვებოდა, საჭის გარეშე.

ალეგრა ც მასთან იყო ძიძასთან ერთად, უამრავი სათამაშოთი გარშემორტყმული, ჰოპნერებმა რომ აჩუქეს. ძალზე მოუხერხებელი იყო ბავშვით სასტუმროში ცხოვრება და ბაირონმაც ბინის დაქირავება ამჯობინა. გრაფმა გვიჩიოლიმ რომ გაიგო, ბაირონი ბინას ეძებსო, თავისი სასახლის ცარიელ სართულზე ცხოვრება შესთავაზა. გასაოცარი წინადადებაა, მაგრამ მოხერხებული. ბაირონმა ვენეციიდან თავისი ავეჯი გამოიწერა და კიდევ ერთხელ ჩასახლდა იმ ქვეყნებში, სადაც მისი სატრფო ცხოვრობდა. სიმართლე რომ ითქვას, ამ ქმრის გაგება მიინცადამაინც ადვილი არ იყო.

რაც შეეხება გრაფინიას, ის ძალიან ამაყობდა თავისი მიჯნური ინგლისელით. მისთვის იმაზე დიდი სიამოვნება არ არსებობდა, ვიდრე მისი წარდგენა ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა. პირველსავე კვირას აიძულა, ამოქარგული მუნდირი ჩაცვა, დაშნა შემოერთყა და მარკიზ კავალისთან, თავის ბიძასთან მეჯლისზე წაიყვანა. ძალიან უნდოდა თავის პოეტთან ხელგაყრილი შესულიყო მეჯლისზე. ბაირონს ლედი ჯერსეისთან გამართული საღამო გაახსენდა, „აფეთქების“ შეეშინდა, მაგრამ მარკიზი პაპის ვიცე-ლეგატი და „კიდევ სხვა ბევრი რამის ვიცე“, ძალიან თავაზიანად შეხვდა. ბაირონი აღაფრთოვანა რავენელი ქალების სილამაზემ, ჭკუამ, ბრილიანტებმა, მაგრამ სკანდალისა მაინც ეშინოდა. ეს ყველაფერი ძალზე უცნაური იყო, მაგრამ ძალზე სასიამოვნოც. ჯანდაბაში წასულა ინგლისური მორალი. როგორც მას ეგონა, ის ამ ქვეყნის ზნე-ჩვეულებების გაგებას იწყებდა. საერთოდ კი, მეთათე მცნება ასე იწყება: „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყუასისა შენისა“. ერთი რამელა რჩებოდა სასურველი, მაგრამ ამაო გამოდგა ეს სურვილიც, ქალი ეჭვიანი აღმოჩნდა, როკაპივით, ერთგულებას თხოულობდა მიჯნურისგან, როგორც ღირსების ვალს.

„აქ ადამიანის ხასიათზე იმის მიხედვით როდი მსჯელობენ, ქალები და კაცები, მეუღლეები როგორ ექცევიან ერთმანეთს, არამედ იმის მიხედვით, ეს ქალი თუ ის კაცი

როგორ ექცევა სატრფოს ან საყვარელს“. ჩიჩისბეი ქმარს დიდი პატივისცემით უნდა მოქცეოდა; უცხოელების პირველი შთაბეჭდილება ის გახლდათ, რომ ისინი ნათესავები იყვნენ. საშობროება ის იყო, რომ რელაზიონე²⁰³ ან ამიციზია,²⁰⁴ რომელიც ხუთიდან თხუთმეტ წლამდე გრძელდება, არცთუ იშვიათად ქვრივობამდე მიდის და ჩვეულებრივ სპოსალიზიო²⁰⁵-თი მთავრდება. მამაკაცებს ქალთა სამკაულის საცოდავი როლი ერგოთ. რომანტიზმი ზეიმობს, მაგრამ რის ფასად? ზოგჯერ მკაცრი იუმორითაც დასცინოდა ბაირონი საკუთარ თავს: „შალის დაკეცვის ხელოვნებაში სერიოზულად ვვარჯიშობ, დიდ წარმატებასაც მივალწევდი, უკუღმა პირს ზემოთ რომ არ ვაქცევდე“. ძალზე სავალალო დასასრულია იმ ადამიანისთვის, რომელიც თავის დროზე დიდებაზე და გმირულ საქმეებზე ოცნებობდა. საკუთარ თავსაც შეიზიზღებდა იმ ხვედრის გამო, რაიც გვიჩიოლების სასახლეში ბედად ერგო, თუ არა იტალიელების პოლიტიკა, რომელმაც სულზე მოუსწრო და ბედნიერი შემთხვევა მიეცა ხიფათის განცდისა.

უკვე რამდენიმე თვე იყო, რაც იტალიურ პოლიტიკურ მოძრაობას შეუერთდა. მზად იყო იტალიის თავისუფლებისათვის თავიც გაენირა, ძირითადად იმიტომ, რომ იტალია უყვარდა და თავისუფლება, ნაწილობრივ იმიტომაც, რომ სიცოცხლე უყვარდა. ბოლონიაში შოციეტა ლომანტიცა-ას წრეში ირიცხებოდა. ახლა უკვე ნამდვილი კარბონარი იყო და რადგან დიდი ინგლისელი დიდებულის პრესტიჟი საქმეს კარგად ეხმარებოდა, იტალიელებზეც უკეთ იყო პოლიციისგან დაცული, რავენული ჯგუფის კარბონართა მეთაურიც გახდა, რომელსაც მერიცანი ერქვა.

იმ 1820 წელს, წმინდა კავშირის მუშტით დარეტიანებული ევროპა, ნელა მოდიოდა გონს. ესპანეთმა, რევოლუციის შემდეგ, როგორც იქნა, კონსტიტუცია მიიღო, რისთვისაც მხოლოდ „მოთმინების ექვსი წელი და ახსნა-განმარტების ერთი დღე დასჭირდა“. ამ მაგალითმა პაპის, ნეაპოლის მეფისა და მეტერნიხის ქვეშევრდომები გაამხნევა. ნეაპოლში ასიოდე ჯარისკაცის ყვირილმა „გაუმარჯოს მეფესა და კონსტიტუციას!“-ო, ისე შეაშინა მეფე, რომ 1820 წლის 6 ივლისს ბრძანებას მოაწერა ხელი და კონსტიტუციური მმართველობა შემოიღო.

203. ნაცნობობა /იტალ./.

204. მეგობრობა /იტალ./.

205. ქორწინება /იტალ./.

რავენას შენობების კედლები წარწერებით დაიფარა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას და სიკვდილი პაპს!“ რავენას კარდინალი თავისი ძონეულის ქვეშ კანკალებდა. კარაბინერები ბაირონის მსახურების ლივრებით აღშფოთებული იყვნენ, რადგან ზედ ეპოლეტები ეკეთათ. ბაირონმა ასეთი პასუხი გასცათ, ჩემი ოჯახის მსახურები ამ ტანსაცმელს 1066 წლიდან ატარებენო და თავის ხალხს უბრძანა, თუ თავს ვინმე დაგესხათ, ესროლეთო. რავენას ქუჩებში ბავშვები ყვიროდნენ, „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ პინეტაში ჩასული ბაირონი თავის ამერიცანი-ს შეხვდა, ისინი მწყობრი ნაბიჯით დადიოდნენ და მღეროდნენ: „ჩვენ ყველანი თავისუფლების ჯარისკაცები ვართ“. „მომესალმნენ, როცა გვერდით ჩავუარე. მეც ვუპასუხე და გზა განვაგრძე. ეს იმის მაჩვენებელია თუ რა განწყობილება იტალიაში“. — წერილებში ყველა თავის მეგობარს ხმლებსა და თოფისწამლის გამოგზავნას ევედრებოდა. გვიჩიოლის სასახლეში არსენალი მოეწყო — ას ორმოცდაათი თოფი ჰქონდა. ეს ყველაფერი მის ძალზე დიდ გამბედაობაზე მეტყველებს, თანაც ანონიმურ წერილებში ურჩევდნენ უარი ეთქვა სეირნობებზე და უონ გოვერნო-ს²⁰⁶ პოლიციას არ მინდობოდა.

გრაფი გვიჩიოლი მდიდარი კაცი იყო, მაგრამ არცთუ უვნები. სიფრთხილის გამო ყოველგვარ მთავრობას სცემდა პატივს. და აი, იგი უკვე ამჩნევს, რომ მისი ცოლის სატრფო ცუდად არის აღზრდილი. სად გაგონილა, ჩიჩისბეის სანოლ ოთახში რიგებად ეწყოს იარაღი და ღირსეულ სახლს არცხვენდესო? მან ხომ თავისი სასახლის მთელი სართული მიაქირავა ამ უცხოელს და თავის ცოლთან სიარულის ნება დართო; ძალიან უმადურ კაცად მიაჩნდა ბაირონი. სახლში მხოლოდ შეთქმულებს ხედავდნენ. ყუთები სავსე იყო მგზნებარე პროკლამაციებით. მთავრობამ „ჩაილდ ჰაროლდის“ თარგმანი დააპატიმრა; ყველგან ისე კითხულობდნენ დანტესადმი მიძღვნილ ბაირონის პოემის ციტატებს, როგორც რევოლუციურ ჰიმნს. ავსტრიის პოლიციის საიდუმლო პატაკებში რომის პოლიციის მმართველი გვიჩიოლიზე წერს, რომ „*comsciuo per uno die piu feroci perturbatori del l apuili icatranquil l itaestr et antel exito conil detto l or d B yr on*“.²⁰⁷ შტრეტამენტე ლეგატო იუმორს მოკლებული

206. კეთილი მთავრობა /იტალ./.

207. „ცნობილია, როგორც საზოგადოებრივი წესრიგის ყველაზე საშინელი დამრღვევი და მჭიდროდ არის დაკავშირებული ხსენებულ ლორდ ბაირონთან“. /იტალ./.

კაცი როდი იყო. კიდევ ერთხელ უბრძანა გრაფმა თავის ცოლს — ჩვენ ორს შორის ერთი აირჩიეო. ქალი აღშფოთდა. აირჩიოს? ცოლებს როდის აქეთ აიძულებენ არჩევას? ბაირონი ტერეზას ევედრებოდა, ფრთხილად იყავი, გრაფმა შეიძლება განქორწინება მოითხოვოს, ხოლო ქმარგანაშეები ქალის ცხოვრების პირობები რომანიაში გაუსაძლისი არისო. საეკლესიო ხელისუფლება ქალს ნებას არ აძლევდა ქმრის გარეშე ეცხოვრა საყვარელთან. მაგრამ დონ უჟანის მომხიბლავი მორალური მსჯელობები ამოიყო. კერპი ტერეზა თავისას ამბობდა: „ცხადია, მასთან დარჩენა მსურს, თუ ჩემთან ყოფნაში ხელს არ შეგიშლით. როგორც გენებოთ, მაგრამ გაუგონარი ამბავია პირდაპირ, რომ მე, ერთადერთი ქალი ვიყო მთელს რომანიაში, რომელიც ვერ გაბედავს და თავის ამიცო-ს ვერ იყოლიებს“.

მთელი რავენა მიჯნურთა მხარეზე იყო: გამბები, იმიტომ რომ გვიჩიოლის ვერ იტანდნენ. ხალხი, განსაკუთრებით ქალები, იმიტომ, რომ როგორც ბაირონი ამბობდა, „ისინი მუდამ დამნაშავეთა მხარეზე არიან“, და კიდევ იმიტომ, რომ მას რავენას ღარიბები თავყვანს სცემდნენ. ამ მხარის ღარიბებს ეხმარებოდა, ფულს აძლევდა მოხუც ქალებს, ეკლესიებს, მონასტრებს, და თუ სადმე ორლანი გაფუჭდებოდა, შეკეთების საფასურს ის იხდიდა, თუ სადმე კომპის აღდგენა იყო საჭირო, თვითონვე სთავაზობდა ქალაქს მის აღდგენას. გარდა ამისა, ყველამ იცოდა, რომ იგი თავისუფალი იტალიის მხარეზე იყო. ხმა ერისა გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა.

კურობული ის იყო, რომ განქორწინება გამბებმა მოითხოვეს, ოჯახის მძიმე შეუარცხყოფის გამო და არა გრაფმა. გვიჩიოლი, პირიქით, წინააღმდეგი იყო, რადგან ქვრივების ნაწილში მოხვედრა არ სურდა. საქმე პაპის სასამართლოში გადავიდა და არცთუ პატარა ხმაური გამოიწვია. ბოლო ორასი წლის განმავლობაში მსგავსი ამბავი რავენაში არ მომხდარა. ადვოკატები უარს ამბობდნენ გვიჩიოლის სასარგებლოდ მუშაობაზე და აცხადებდნენ ან სულელია ან თალლითიო; სულელია, თუ ცხრამეტი თვე დასჭირდა იმის გასაგებად, რაც ყველასთვის იყო ცნობილი; თალლითია — თუ იგი ამას ითმენდაო. ბოლოს და ბოლოს, პაპმა ივლისის თვეში განქორწინება დაამტკიცა. გრაფინიას მამის სახლში უნდა ეცხოვრა, გრაფ გამბასთან, და ბაირონს მისი ნახვა დიდი შეზღუდვით შეეძლო. ბაირონმა პენსიის დანიშვნა შესთავაზა, მაგრამ სასამართლომ დაადგინა, გრაფი გვიჩიოლი ვალდებულია ცოლის შენახვაზე იზრუნოსო,

ტერეზას კი, ეს სულაც არ აინტერესებდა.

ოდესლაც ბაირონი ბრიტანული პირობითობების პირქუშ ქალღმერთს სწყევლიდა და აგინებდა, ახლა პაპის სასამართლოს იტალიური პირობითობის მსხვერპლი გახდა. გრაფინია გვიჩიოლი კარგი გვარიშვილი იყო, ბაირონის გამო /რადგან ასეთი რამე მამაკაცის გარეშე არ ხდება/ დაკარგა ქმარი; მოვალეობის გრძნობის გულისთვის, ბაირონი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, ცოლად მოეყვანა ტერეზა, თუ მდგომარეობა საშუალებას მისცემდა, — ზუსტად ისევე, როგორც ოდესლაც თავი მოვალედ ჩათვალა თავისი ბედი კაროლინა ლემთან დაეკავშირებინა.

ბაირონი — ოგასტას: „ეს /როგორც აფიშებზე აწერია/ ჩემი ბოლო წარმოდგენაა... ხომ გესმით, როცა ქალი საყვარლის გულისთვის ქმარს ეყრება, ეს უკანასკნელი, ღირსების გამო /ან, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ჩემს შემთხვევაშია, მიდრეკილების გამო/, ვალდებულია დარჩენილი ცხოვრება მასთან გაატაროს, თუ, ცხადია, ქალი პატიოსნად მოიქცევა. ამგვარად, როგორც ხედავთ, იმით ვამთავრებ, რითაც მამარჩვენა დაიწყო, და, ალბათ, ცხოვრებაში ველარც მნახავთ...“

ეს ურთიერთობა სამი წელია გრძელდება... შემოიღია ვთქვა, რომ ისევე გიჟურად მიყვარს, როგორც დასაწყისში მიყვარდა, და სამი წლის ურთიერთობის შემდეგ, ისე არც ერთ ქალს არ შევთვსებია, როგორც მას. /გამონაკლისი ის ერთია და იცით ვინც არის?, და უმცირესი სურვილიც არა მაქვს და არც მიზეზი განხეთქილებისა... თუ ლედი ბაირონი მოისურვებს, სიამოვნებას მოგვანიჭებს და მოკვდება, ასევე გრაფინია გვიჩიოლის ქმარიც /კათოლიკეებს ხომ, განქორწინებულებსაც კი, ხელახლა ქორწინების უფლება არ აქვთ/, ალბათ, დავქორწინდებით — თუმც მე არ ვისურვებდი, — რადგან ცოლქმრობა — ერთმანეთის სიძულვილის საშუალებაა. მომავალი ლედი ბაირონი სამი მიზეზით უნდა მოგეწონოთ: 1/ ნამდვილი ლედი ბაირონის დიდი დამცველია და გამუდმებით მეუბნება, რომ დარწმუნებულია იმაში, მე საზიზღრად ვექცეოდი; 2/ ძალიან კარგი წარმოდგენა აქვს თქვენზე; ძლივს გადავაფიქრებინე, რომ თქვენთვის არ მოეწონა თერთმეტგვერდიანი წერილი /ძალიან უყვარს წერილებს წერა/; 3/ „ღონ ყუანი“ წაიკითხა ფრანგულ თარგმანში, პირობა ჩამომართვა, აღარ გამეგრძელებინა და განაცხადა, საძაგლობაა... მასში ბევრი რამ არის ჩვენნაირი. მინდა გითხრათ, რომ სასაცილოს შემჩნევა შეუძლია, როგორც მამიდა სოფის, როგორც თქვენ და

როგორც ყველა ბაირონს“.

იქნებ, ბაირონის ეს გასაოცარი ერთგულება ამ ურთიერთობაში მართლაც იმ „ბაირონისებური თვისებითაც“ აიხსნება, რომელიც მან ტერეზაში აღმოაჩინა მოულოდნელად.

განქორწინების ბრძანება ქალბატონი გვიჩიოლის მამის სახლში ცხოვრებას მოითხოვდა. 16 ივლისს, ტერეზა, რავენას ახლოს, გრაფ გამბას ვილაში გადასახლდა. იქნებ, კარდინალები ფიქრობდნენ კიდევ, რომ მიჯნურებს ასე დააშორებდნენ, მაგრამ გამბებს, მამასაც და შვილსაც, ბაირონი უყვარდათ, მის პოლიტიკურ მრწამსს იზიარებდნენ და მის სიყვარულს მფარველობდნენ. ქალაქგარე სახლში ლებულობდნენ, იქ ცხენით ჩადიოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში, თანაც თვეში არა ერთხელ. შემოდგომით, როცა ტერეზა რავენაში დაბრუნდა, ბაირონი გამბებთან ყოველ საღამო დადიოდა. ტერეზა გასაოცრად ერთგული იყო მისი. „ჩემს სიყვარულში დარწმუნებული ვარ, — წერდა ქალი, — უფრო მეტად, ვიდრე იმაში, რომ ხვალ მზის სხივს ვიხილავ... ერთი ცოდვა მქონდა და ერთივე დარჩება“.

საერთო მდგომარეობა უსიამოვნო არ იყო. პაემნების საიდუმლოება და სიძნელე, კონსპირაციისა და სიყვარულის ნაზავი, დალილობას ნებას არ აძლევდა მათ ურთიერთობაში შეჭრილიყო. 1821 წლის ცივი და გრძელი ზამთარი ბაირონმა მარტომ გაატარა გვიჩიოლების სასახლეში. გზები თოვლით იყო დაფარული, ცხენები საჯინბოში ცმუკავდნენ. ის სახლში იჯდა, კითხულობდა და ცეცხლს უყურებდა. აბა, წიგნებში რა უნდა ამოეკითხა? „ვის შეუძლია ისეთი რამ თქვას, რაც სოლომონმა დიდი ხნის წინათ, ჩვენამდე არ თქვა...“. ისევე დღიურების წერა დაიწყო, და ეს ჩანაწერები უმშვენიერესი გამოსდიოდა, ვიდრე ის, 1813 წლის ჩანაწერები იყო. საბერძნეთის მზესავით, ბაირონის გონება ისე ცოცხლად ასხივოსნებდა საგნებსა და გრძნობებს, რომ მათი კონტურები უღმობელი სიცხადით იკვეთებოდა. მათ ისე აღწერდა, როგორც ხედავდა და საკუთარ ამბებთანაც სიცრუეს არ უშვებდა, ასევე სხვებთანაც, მოვლენებსა და ადამიანებს ბუნებრივ სახეს აძლევდა. თავისი ყოფის ყოველ წუთს აუცილებლობის უცნაური გრძნობით აღწუსხავდა, აღნიშნავდა ყველაფერს, რაც მას ეხებოდა.

„დაახლოებით ექვს საათზე ვისადილე. ორ კატას, შევარდენსა და ყორანს ვაჭამე. ვკითხულობდი მიტფორდის „საბერძნეთის ისტორიას“, ქსენოფონტის „ათი ათასის უკან დახევას“. მერე, აქამდე, რვას ექვსი

ნუთი აკლია, ვნერე“.

მისი დღიური მომაჯადოებელი შექსპირული საოცრებებით არის სავსე, რადგან ბაირონი ელიზაბეთისდროინდელი ხუმარასავით, ლირიკული სტროფებიდან მოულოდნელად ხუმრობაზე გადადიოდა, მსოფლიო რესპუბლიკიდან — თავისი ყორნის ჯანმრთელობაზე.

„მთელი დილა სახლში ვიჯექი — ცეცხლს ვუყურებდი. საკუთარ თავს ვეკითხებოდი, როდის მოვიდოდა ფოსტა... ნახევარ საათში ხუთი წერილი დავწერე. ეტლის ხმა მესმის; პალტო და პისტოლეტები მოვითხოვე, როგორც ყოველთვის, აუცილებელი ატრიბუტებია. ქუჩაში ცივა — ეტლი ღიაა, მაცხოვრებლები კი ველურები — პოლიტიკით აღვზნებულები. მშვენიერი რასაა, მოკლედ, საუცხოო მასალაა, რისგანაც კარგი ერი დადგება. საათი რეკავს, მივდივარ ჩემი სიყვარულის გასაცხადებლად. საკმაოდ სახიფათოა, მაგრამ სასიამოვნო. არ დამავიწყდეს ახალი შირმის დადგმა, მართალია, საკმაოდ ძველია, მაგრამ მცირე შეკეთების შემდეგ კარგი გახდება. დათბობა გრძელდება. იმედი მაქვს, ხვალ ცხენით ნასვლას შევძლებ...“

თორმეტის ცხრა ნუთი. დავბრუნდი გრაფინია გვიჩიოლისგან, ქალიშვილობის გვარი გამბა. ვილაპარაკეთ იტალიაზე, პატრიოტიზმზე, ალფიერზე, ქალბატონ ალბანიზე და სხვა უცნაურ რამეებზე. ცხრა საათზე მისი ძმა მოვიდა, გრაფი პიეტრო; ათზე მამამისი, გრაფი რუჯიერო. ვილაპარაკეთ ომზე, ხმლით ფარიკაობაზე უნგრეთსა და შოტლანდიაში. გადანყვიტეს, ამბობება 7 თუ 8 მარტს დაიწყება. თარიღი ნდობას იწვევს; ადრე, 1820 წლის ოქტომბერში, არ ჰქონდათ გადანყვიტელი ამბოხების დაწყება...

დავბრუნდი. ისევ „ათი ათასი“ ვიკითხე. მივდივარ დასაძინებლად. 1821 წლის 6 იანვარი. ნისლი — დათბობა — წვიმა — ტალახი. ცხენით სიარული შეუძლებელია...

რვაზე ნავედი ჩვეულებრივი ვიზიტებით. ცოტა მუსიკასაც მოვუსმინე — მიყვარს მუსიკა...

ვფიქრობდი ძველ ბერძენ ქალთა მდგომარეობაზე — საკმაოდ ხელსაყრელი ყოფილა. ახლა მათი მდგომარეობა — რაინდული და ფეოდალური ეპოქების ბარბაროსობის ნაშთი — ხელოვნური და არაბუნებრივია: სახლს უნდა მოუარონ, კარგად უნდა გამოკვებო და ჩააცვა, — მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩარევის უფლება არ უნდა მისცე. რელიგიურად უნდა აღიზარდონ — არ უნდა იკითხოონ პოეზია და პოლიტიკა — მხოლოდ სულის საცხოვრებელ და სამზარეულო წიგნებს უნდა გაეცნონ. მუსი-

კა — ხატვა — ცეკვები — ცოტა მეზალეობაცა და მინათმოქმედება, დროდადრო. ეპირიაში ვნახე, როგორ კირწყლავდნენ გზას, თან კარგადაც. რატომაც არა, სულერთი არ არის მოთიბავ თუ მოწველი!

სახლში დავბრუნდი, ისევ მიტფორდი ვიკითხე, ძაღლს ვეთამაშე, ვაჭამე... დღეს საღამოს, თეატრში, როცა ბოლო სცენაში ცხენზე ამხედრებული პრინცი გამოჩნდა, მაყურებელი ახარხარდა და მისგან კონსტიტუცია მოითხოვა. ესეც ისევეა, როგორც მკვლელობა, ხალხის განწყობის მაჩვენებელია. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. საყოველთაო რესპუბლიკა უნდა არსებობდეს — ვფიქრობ, ასეც იქნება.

ყორანი ცალი ფეხით კოჭლობს — ვერ გავიგე, რა მოუვიდა, რომელიმე იდიოტმა თუ დააბიჯა ფეხი. შევარდენი ძალიან ცოცხლად არის — კატები დასუქდნენ და ხმაურობენ — რაც აცივდა, მაიმუნები აღარ მინახავს, არ სიამოვნებთ, როცა აქ ამოჰყავთ. ცხენები კმაყოფილები უნდა იყვნენ; როგორც კი ამინდი საშუალებას მომცემს, ცხენით გავისეირნებ. საშინელი დროა — იტალიური ზამთარი სახუმარო საქმე არ არის, დანარჩენი დრო კი მომხიბლავია“.

თითქმის იგივე ტონი გახლდათ ლონდონური დღიურისა, „კორსარის“ დროს რომ წერდა. თითქმის, მაგრამ არა მთლიანად. ლავის ნაკადი გაცივდა. შინაგანი ბრძოლა უკვე ისეთი ცხარე აღარ იყო. ბაირონი ოდნავ დამშვიდდა. ცხოვრების უაზრობას უკვე შეურიგდა, მოწყენილობასაც კი. მღელვარება ისევ იტაცებდა, მაგრამ უკვე არა სასიყვარულო; ტემპერამენტი ცოტა გაუწელდა, თმა გაუჭალარავდა.

„მთელი ცხოვრება, ცოტად თუ ბევრად, რად ვიყავი მოწყენილი? ახლა რატომ აღარ არის იგი ისე ძლიერი, როგორც მაშინ, როცა ოცი წლის ვიყავი, თუ მახსოვრობა არა მღალატობს? არ ვიცი, მგონი, ეს ჩემს ბუნებაშია. თავშეკავება და ვარჯიში, რასაც დროდადრო მივმართავ, არაფერს ცვლის. ბობოქარი ვნებები დამეხმარა; როცა მათი უშუალო გავლენის ქვეშ ვიყავი — უცნაური, — ამაღლებული განწყობილება მეუფლებოდა, და აღარ ვიყავი გულდამძიმებული. ცურვაც კარგია ჩემი განწყობილებისთვის, — საერთოდ კი, გუნება-განწყობილება რიგიანი ვერა მაქვს და დღითი დღე პირქუში ვხდები. თუმცა, ასე მგონია, არც ისე მოწყენილი ვარ, როგორც ცხრამეტი წლისა ვიყავი. ამის დამამტკიცებელი ის არის, რომ მაშინ თამაში იყო ჩემთვის აუცილებელი, სმა ანდა სხვა რამის კეთება, რის გარეშეც თავს უბედურად ვგრძნობდი. ახლა

შემიძლია მშვიდად ვიტანჯო...

მაგრამ ვგრძნობ, როგორ იზრდება ჩემ-
ში სიზანტე და ზიზლი, უფრო მძლავრი, ვი-
დრე გულგრილობაა“.

უკვე აღარაფერი შთააგონებდა ცხოველ
გრძნობებს. მეტისმეტად ინგლისელი გახლ-
დათ იმისთვის, რომ სერიოზულად მიელო
თავისი იტალიური ცხოვრება; ინგლისი კი
სხვა არაფერი იყო, გარდა შორეული სიზმ-
რისა. ზოგჯერ ხმა, სუნი, კითხვა გარდასულ
ჟამს უღვიძებდა. კოულის ლექსმა — „ახალ-
სა და გამჭვირვალე, შუშისებრ ტალღე-
ბქვეშ“ — ერთი გაელვებით, ის უცნაური
მოხაზულობის ხე გაახსენა, კემბრიჯში,
მდინარის ფსკერზე რომ ნახა, როცა ლონგ-
თან ერთად ყვინთავდა. „ოო, ქუჩაში არღა-
ნი უკრავს — ვალსია. წერა უნდა შევწყვი-
ტო და მოვუსმინო. ვალსს უკრავს, ათი
ათასჯერ რომ მომისმენია ლონდონურ მე-
ჯლისებზე 1812, 1815 წლებში. უცნაური
რამაა ვალსი...“. აჩრდილები სხლტებიან.
კაროლინა ლემი ვალსში... გაახსენდა, იმ
წელს ოლმეკებთან მეჯლისზე, ქალი დონ
ჟუანის ტანსაცმელში გამოწყობილი, ეშმაკ-
თა ამაღლის თანხლებით მივიდა. მისთვის
დრამა მასკარადით დამთავრდა. რაც შეეხ-
ება ლედი ბაირონს, ბაირონი განრისხებუ-
ლა, როცა გაუგია, რომ ანაბელა საქველმო-
ქმედო მეჯლისის პატრონესად დაესახ-
ელებინათ. მეჯლისის პატრონესა, იმ დროს,
როცა მისი ქმარი, გაძევებული, უცხო ხალხ-
ისთვის სწირავდა სიცოცხლეს. რამდენიმე
საათს ძალზე მძიმე მდგომარეობაში იყო
ამის გამგონე ბაირონი. მას რომ ის დღიური
ენახა, იმ დროს ანაბელა რომ წერდა, ამოი-
კითხავდა:

„დილით ადრე გამოვედი, პიკადილიზე
ჩემი ძველი სახლისთვის რომ შემეხედა.
ქუჩიდან ის ოთახი დავინახე, სადაც ხშირად
ვიყავით ერთად; ასე მეგონა, თითქოს მასში
დიდხანს ვიცხოვრე იმ მეგობართან ერთად,
რომელიც დიდი ხნის წინ გარდაიცვალა
ჩემთვის. ჩრდილიც აღარ დარჩა ჩემი უწინ-
დელი წამებისა. მხოლოდ სამარისებური სი-
ჩუმეა“.

ზოგჯერ ბაირონსაც ეჩვენებოდა, რომ
მათი წერილები — მკვდრების დიალოგი
იყო. და მაინც, ოგასტას, ისევ და ისევ, მას
აზარებდა: „როგორიც არის, როგორიც იყო,
მასზე ჩივილის მიზეზი არასოდეს გქონია.
პირიქით. თქვენ არ იცით, როგორა ხართ
დავალებული მისგან. მისი და ჩემი ცხოვრე-
ბა, თქვენი და ჩემი ცხოვრება — სრულიად
განსხვავებული იყო. როცა ერთი დამთავრ-
და, მეორე დაიწყო. ახლა კი ორივე შეწყდა“.

მეგობრები შორს იყვნენ. ჰობჰაუზი თავ-
გამოდებული რადიკალური პოლიტიკის
გამო ციხეში მოხვდა. ფლეტჩერმა ეს ამბავი
რომელიღაც იტალიურ გაზეთში აღმოაჩინა.
ბაირონმა გაიცინა. მან ჰობჰაუზის
დატყვევებაზე კომიკური ლექსი დაწერა,
რაზეც ჰობჰაუზი გაბრაზდა. სკროპ დევის-
საც თამაში წაეგო და კონტინენტზე გაქცე-
ვას აპირებდა. განა ლონდონის წარმოდგე-
ნა შეიძლება დევისის ენაბორძიკის გარეშე?
„ბრიუმელი კალემია, სკროპი — ბრიუმეში,
ბონაპარტი — წმინდა ელენეზე — თქვენ —
თქვენს ახალ საცხოვრებელში /ციხეში/, მე
კი რავენაში! რამდენი დიდი ადამიანია! მს-
გავსი არაფერი მომხდარა მის შემდეგ,
რაც...“.

1821 წლის 22 იანვარს ოცდაცამეტი წელი
შეუსრულდა.

„ხვალ ჩემი დაბადების დღეა, ე.ი. დღეს
შუალამისას, იდ ესტ თორმეტი წუთის შემ-
დეგ, ზუსტად ოცდაცამეტი წლისა გავხდე-
ბი!!! გულდამძიმებული ვარ, რომ ასე დიდხ-
ანს ვიცოცხლე და ასე ცოტა რამ გავაკეთე...“

ახლა პირველის სამი წუთია, „ციხე-დარ-
ბაზის საათმა შუალამისა ჩამოჰკრა უკვე“ —
მე უკვე ოცდაცამეტი წელი შემისრულდა.

ჰეუ, ფუგაცეს, ოსტჰუმე, ოსტჰუმე, ლა-
ბუნტურ ანნი...²⁰⁸ ვწუხვარ, არა იმაზე, რაც
გავაკეთე, არამედ იმაზე, რისი გაკეთებაც
შემეძლო და ვერ გავაკეთე:

„ცხოვრების შავხელ, ჭუჭყიან გზაზე,
ოცდაცამეტი წელი ვიარე. რა დამრჩა მის-
გან, რა? ოცდაცამეტი და არაფერი“.

მეორე დღეს გარდასულ წელს ეპიტაფია
უძღვნა.

იმ დღეებში რავენაში ბევრს მუშაობდა.
ქალბატონმა გვიჩიოლიმ „დონ ჟუანის“ მეხ-
უთე სიმღერა შეანწყვეტინა: „დავეთანხმე
ქალბატონი გვიჩიოლის დაჟინებულ თხოვ-
ნას, არ გამეგრძელებინა პოემა. მან ნაწარ-
მოები ფრანგულ თარგმანში წაიკითხა და
თქვა, საძაგელი ნაწარმოებიაო. სრულიად
ბუნებრივია, იტალიური ზნეობრიობის
თვალსაზრისითაც კი, რადგან მთელი მსოფ-
ლიოს ქალები თავიანთი ფრანკმასონურო-
ბის ერთგულნი არიან, რომელიც გრძნობა-
თა ილუზიისგან შედგება, ეს კი ერთადერ-
თი სფეროა მათი მბრძანებლობისა /ყვე-
ლაფერი ეს რაინდებისა და გოთების წყალო-
ბითაა, ბერძნები ამას უკეთ იგებდნენ/.
ყოველგვარი ნაწარმოები, რომელიც ვნება-
თა კომედიას გამოხატავს და სანტიმენტს
დასცინის, ბუნებრივია, ყველა სექტისგან

208. „ვაი, რომ პოსტუმეი, პოსტუმეი სწრა-
ფად მიჰქრიან წლები...“ (ჰორაციუსის ოდა).

ანდრე მორუა. დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა

აკრძალულია. არასოდეს მინახავს ქალი, რომელიც რუსოს თაყვანს არ სცემდეს და არ სძულდეს ჟილ ბლაზი და გრამონი იმავე მიზეზით. და რადგან ახლა დამჯერი ვარ, დავუთმე“.

გრაფინა გვიჩიოლი ტრადიციული რომანტიკის ფრიად მტკიცე დამცველი გახლდათ; სიყვარულის რელიგიაში, მთელ მსოფლიოზე რომ ბატონობს, ვერ იტანდა ვერანაირ ერესს. როცა ერთხელ ბაირონმა უთხრა, ტრაგედიისთვის სიყვარული საკმარისად მაღალი თემა არ არისო, უამრავი მაგალითი მოუყვანა საპირისპიროს დასამტკიცებლად. ბაირონი კამათისას არასოდეს ბრწყინავდა, მით უმეტეს ქალთან კამათისას; მაშინვე დაუთმო და სარდანაპალი მიჯნურად აქცია.

რადგან „დონ ჟუანზე“ უარის თქმა მოუწია; ტრაგედიების შექმნა დაიწყო; თემები ზოგი ვენეციის ისტორიიდან აიღო, ზოგი უძველესი ისტორიებიდან და ბიბლიიდან; ტრაგედიების წერის აზრი მაშინ გაუჩნდა, როცა ალფიერის ნაწარმოებებს გაეცნო. მისი ანტირომანტიკული იდეალი, ბუნებრივია, ინგლისური ტრაგედიის გადარჩენის იდეამდე მიდიოდა, ერთიანობის²⁰⁹ დაბრუნების მეშვეობით.

მაგრამ მისთვის ყოველგვარი სიუჟეტი, ისტორიულიც, და ტრაგედია, კლასიკურიც კი, მუდამ თვითგათავისუფლების საბაზი იყო. „ტიბერიუსის“ დაწერას თუ ფიქრობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი გრძნობა გამოეფლანა. „ოთხი ტრაგედიის სიუჟეტზე ვფიქრობ, რომლებიც უნდა დავწერო: „სარდანაპალი“ უკვე დაწყებულია; „კაენი“ მეტაფიზიკური სიუჟეტზეა, „მანფრედის“ სტილში, მაგრამ ხუთ აქტად, შეიძლება ქოროც მივუმატო; „ფრანჩესკა და რიმინი“ ხუთ აქტად; დარწმუნებული არა ვარ, იქნებ, „ტიბერიუსიც“ დავიწყო. მგონი, შევძლებ და მასში ავსახავ ჩემი თავისუფლების დაკარგვით გამოწვეულ ტრაგედიის რაღაც ელემენტებს...“.

„სარდანაპალში“ მან პრო დომო²¹⁰ დასაცავი სიტყვა შეთხზა. სარდანაპალი იმავე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ბაირონი ცხოვრობდა მოჩენიგოს სასახლეში და მეგობრების საყვედურებს სიამოვნებისადმი მიძღვნილი საქები სიტყვებით პასუხობდა:

„რამდენიც გასურდეს მკიცხე, მლანძლე, რაც გინდა, ის თქვი, ასე და ასე ცხოვრობდა-თქო,

209. კლასიკური ტრაგედიის მოთხოვნილებაა დროის, ადგილისა და მოქმედების ერთიანობა.

210. საკუთარი თავის დასაცავი.

მაგრამ იყურე იმ ლექსის გამო, რაშიც სხარტად არის ნათქვამი ადამიანური არსებობის

მთელი სიმართლე და ისტორია. ყური მიგდე, აი, ის ლექსიც: „სარდანაპალმა, ხელმწიფემ, ძემ ანასინდრაქსის, ერთ დღეს ააგო ტარსუსი და არხიალუსი, ჭამდა, ღრეობდა და უყვარდა; სხვა რამ თქმად არ ღირს...“.

... ან კიდევ ასე:

„აქ ორმოცდაათათასამდე მოსისხლე მტერი შეუბრალებლად ამოჟლიტა სარდანაპალმა, აი, მათი საფლავები, მისი ნადავლი...“, დამპყრობელთათვის დამითმია ამგვარი საქმე, მე ისიც მყოფნის, ქვეშევრდომთ რომ შევუმსუბუქე ადამიანურ უბედობის ძძიმე უღელი, რათა იცხოვრონ უკვენესელად სიკვდილის დღემდე“.²¹¹

ყველაზე მამხილებელი „კაენი“ გამოუვიდა. ბავშვობიდანვე აწამებდა და თან სდევდა პირველგანირულის თემა, — ადამიანისა, რომელიც უფალმა დასაჯა დანაშაულის შექმნამდე. „კაენი“ იყო ცდა, დრამის ფორმით გამოეხატა თავისი აღმფრთვება ღვთაებრივ ქმნილებაში ბოროტების არსებობის წინააღმდეგ. პირველ სცენაში ადამი და მისი შვილები არიან გამოყვანილი დაცემის შემდეგ, ყველა იელოვას ეთაყვანება, მხოლოდ კაენი რჩება მდუმარედ. კაენმა უფალს არ აპატია. რა ცოდვა მიუძღვის ადამს? — კითხულობს იგი.

„...ხე ნაყოფისა დარგული იყო, და იგი მას რად აუკრძალეს?

ხოლო თუ იყო აკრძალული, შუა ედემში ყველაზე უფრო მშვენიერად რისთვის ჰყვარდა

მამაჩემის წინ? ისინი კი ყველა კითხვაზე მხოლოდ ერთ პასუხს იძლევიან:

„ეს ნება იყო მისი, და იგი არს კეთილი“.

მე ვით დავრწმუნდე? ვიცი, ის ყოვლად ძლიერია,

მაგრამ აქედან

211. „სარდანაპალი“. თარგმნა მოსე ქარჩავამ.

არ შეიძლება დავასკვნათ,
რომ ის კეთილია.
მსჯელობა ჩემი აქ
ნაყოფთა მიხედვით ხდება:
ნაყოფი იგი, რომლითაც მე უნდა ვიკვებ-
ბო
სხვისი ცოდვების გულისათვის — მწარ-
ეა მეტად.

ლუციფერიც გამოჩნდება და საკუთარ
თავს ღმერთის თანასწორად აცხადებს.
კაენს სთავაზობს ნამდვილ სამყაროს
გაჩვენებ, სადაც პირობითობები არ არსე-
ბობსო. კაენს დის, ადას დატოვება ვერ
გადაუნყვეტია, რომელიც ამავე დროს მისი
ცოლიც არის.

„ლუციფერი
გიყვარს? უფრო ძლიერად,
ვიდრე დედ-მამა?

ადა
უფრო ძლიერ! და ესეც ნუთუ
ცოდვაა კიდევ?

ლუციფერი
ჯერჯერობით არა, მაგრამ შემდეგში,
შენის შვილებისთვის იქნება ცოდვა.

ადა
როგორ? ჩემს ასულს თავისი ძმა ენოქი,
არ ეყვარება?

ლუციფერი
ეყვარება, მაგრამ სხვაგვარად
და არა ისე, შენ რომ გიყვარს კაენი.

ადა
ღმერთო!
ნუთუ იმათ ერთმანეთი არ ეყვარებათ
და არც სიცოცხლეს აჩუქებენ
სხვა ქმნილებებსა,
რომ მათ თავის მხრით სიყვარული
შეეძლოთ? განა
ამ ჩემს ძუძუს არ ვანოვებდი
ორივეს ერთად?..

ლუციფერი
მე აქ ცოდვაზე ვლაპარაკობ,
მაგრამ ეს ცოდვა
ჩემგან არ არის მოტანილი,
არ ჩაგეთვლებათ
თქვენ იგი ცოდვად, თუმც ცოდვად იგი
მოეჩვენებათ მათ, ვინც
თქვენს შემდეგ მოვლენ.

ადა
როგორ იქნება ცოდვა იგი,
რაც თავისთავად
არ არის ცოდვა? თუ — კეთილი და
ბოროტება
შემთხვევითია? მაშ, მონები
ვყოფილვართ ჩვენა“.

აბელის შემდეგ ანგელოზი გამოჩნდება,
რომ კაენი დაგმოს, რომელიც სასჯელს კი
იტანს, მაგრამ დანაშაულს არ აღიარებს.

„...ვარ ისეთი, როგორიცა ვარ.
არ მოვვლენივარ ამ ქვეყანას
მე ჩემის ნებით,
არ გავჩენილვარ თავისთავად...“²¹²

ეს გოდება ბაირონის გოდებაა, ალბეჟდ-
ილი, როგორც თვითონ ფიქრობდა, კაენის
ბექტით და განწირული დედამინაზე მარა-
დიულ მსჯავრდებულად მოხეტილად.
ამანაც მოკლა თავისი უმცროსი ძმა, პირვე-
ლი ბაირონი. იყო ამისთვის პასუხისმგებე-
ლი? იგი ის იყო, რაც იყო, თვითონ არ მოვ-
ლენია ამ ქვეყანას თავისი ნებით, სხვანაირ-
ად მოქმედება მას არ შეეძლო, და იგი უსა-
მართლო ღმერთს შეჰლაღადებს: „რატომ
მომექეცი ასე?“

უოლტერ სკოტმა, რომელსაც „კაენი“
უძღვნა, მამაცურად მიიღო მიძღვნა, მაგრამ
ღმერთის გამართლება სცადა: „საიდუმ-
ლოების უდიდესი გასაღები, შეიძლება, ჩვე-
ნი შესაძლებლობების არასრულფასოვნება-
შია. ვხედავთ, ვგრძნობთ იმ ნაწილობრივ
ბოროტებას, რომელიც გულს გვიმძიმებს,
მაგრამ ძალზე ცოტა ვიცით სამყაროს საერ-
თო სისტემაზე, რომ მივხვდეთ, ამ ბოროტე-
ბის არსებობას როგორი სახით შეეთავსება
ყოვლის მწყალობელი შემოქმედი“.

მეტისმეტად მკაცრად გააკრიტიკეს
„კაენი“, განსაკუთრებით ორთოდოქსული
რელიგიის თვალსაზრისით; ცხადია, ეს არ
იყო ათეისტის ნაწარმოები, და ბაირონიც
დაულაღვი დაჟინებით გვახსენებს ამას,
მაგრამ ეს ერეტიკოსის თხზულება გახლ-
დათ. სამღვდელოება ამ კალვინისტური
პრომეთეს წინააღმდეგ ქადაგებდა. სკან-
დალმაც კი ვერ მოუტანა ამ ნაწარმოებს
წარმატება. ტრაგედიებმა ბაირონის ინგ-
ლისელ მკითხველს გული გაუცრუა /ისინი
უფრო რომანტიკულები იყვნენ, ვიდრე
ბაირონი/, და მას გული ეტკინა. „ხედავთ,
რას ნიშნავს ლორთა წინაშე მარგალიტის
დაგება? ვიდრე გაზვიადებულ უაზრობებს

212. „კაენი“. თარგმნა კონსტანტინე ჭიჭი-
ნაძემ.

ვნერდი, მკითხველის გემოვნებას რომ რყვნიდა, ტაშს მიკრავდნენ და ბანს მადლევდნენ, ახლა, როცა ბოლო სამ-ოთხ ნელში შევექმენი ნაწარმოებები, რომელთა მოკვდინებაც არ შეიძლება, მთელი ჯოგი ღრიალებს და იღრინება, უკან ჭაობისკენ მიიწევს გულმოდგინედ. ბოლოს და ბოლოს, დავისაჯე იმის გამო, რომ მათ ვაფუჭებდი, იმიტომ, რომ არც ერთ სულიერს იმდენი არ გაუკეთებია, რამდენიც მე, ჩემს პირველ ნაწარმოებებში, რათა გამეგრცელებინა ეს სტილი, გადაჭარბებული და ყალბი“.

ინგლისმა პოეტს ზურგი აქცია. ახლა ის მოქმედების კაცად რჩებოდა. აჰ, რომ შეეძლოს უჩვენოს ჰობსაუზს, რომელიც ასე კმაყოფილი იყო საკუთარი თავით იმიტომ, რომ კანინგის წინააღმდეგ დაწერილი ხელმოწერილი პამფლეტისთვის ციხეში მოხვდა რომ ის, ბაირონი არ შეიძლება დაკმაყოფილებულიყო მსგავსი სიმამაცის იმიტაციით. იტალიის რევოლუცია, სადაც დიდი როლის თამაში შეუძლია, — აი, რაზე ამყარებდა ახლა იმედებს.

მთელი ზამთარი, პიეტრო გამბასთან და ამერიცანი-ის „ძმებთან“ ერთად, კონსპირაციულად მოქმედებდა და არა მარტო საკუთარ თავს სწირავდა, არამედ ფულსაც. საჭირო იყო იარაღის გადამალვა, საიდუმლო თათბირების მოწყობა. გვიჩიოლებს სასახლე შესთავაზა მათ ამისთვის. „საკმაოდ კარგი პოზიციაა, ვინრო ქუჩები, მიგნიდან დაცულია, საიმედო კედლები აქვს“. ფული იყო საჭირო? ის იძლეოდა. იცოდა, სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, მაგრამ მიაჩნდა, რომ ეს ამაღ ღირდა. „აბა, დაფიქრდით, თავისუფალი იტალია. იმპერატორ ავგუსტის მერე მსგავსი არაფერი მომხდარა... აბა, რას ნიშნავს „მე“, თუ თუნდაც ერთი ნაპერწკალი ღირესული წარსულის, შეძლებს მთელი ბრწყინვალეობით გადაეცეს მომავალს“.

დამახასიათებელი თვისება: ენთუზიაზმი და ფიზიკური სიმამაცე შეუერთდა მის წინდახედულებასა და ჯანსაღი აზრის ურყეობას. თუ არ გაერთიანდებოდნენ, ეჭვი ეპარებოდა იტალიელთა წარმატებაში. მე-თორევი მოქმედებისკენ მოუწოდებდა დაუღალავად. სწორედ წარმოედგინა სტრატეგიული გეგმა ადგილობრივი პირობების გამოყენებით: „ცალ-ცალკე გამოსვლები შევთავაზე, ცალკეულ ჯგუფებად და სხვადასხვა ადგილებში /მაგრამ ერთდროულად/, ყურადღება რომ გაფანტოდათ ჯარის ნაწილებს, რომლებიც მიუხედავად მცირერიცხოვნებისა, დისციპლინის წყალობით, მაინც გაიმარჯვებდნენ ბრბოზე, რომელთაც ნამდვილი წვრთვნა არ გაუვლიათ.“.

მოვლენებმა მისი წინათგრძობის სიმართლე აჩვენა. მარტის დასაწყისში ნეაპოლელები ავსტრიის ჯარმა გაანადგურა. კონსტიტუციაზე ფიცდადებულმა მეფემ, უარი თქვა მასზე. ყველა პატარა, ცალკეული ამბოხება ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურეს. რავენელებმაც სხვებივით თავიანთ პროექტზე უარი თქვეს, და როგორც ხდება ხოლმე, რევოლუცია, რომელმაც გამარჯვება ვერ მოიპოვა, სასტიკად ჩაახშეს. პაპის პოლიცია პროსკრიფციებს ადგენდა. ბაირონზე ხელის ხლება ვერ გაბედეს, მაგრამ გული რომ სტკენოდა, 1821 წლის ივლისში იტალიიდან გამბას ოჯახი გაუძევეს.

ქალბატონი გვიჩიოლი მზად იყო გადასახლებაში წასასვლელად, მაგრამ სატრფოს დაკარგვა არ უნდოდა. სად ნაჰყვებოდა? ქალმა შევიცარია შესთავაზა. მაგრამ შევიცარიაში მეტისმეტად ბევრი ინგლისელი ცხოვრობდა, რომლებიც მზად იყვნენ თავიანთი ჭოგრიტები ბაირონისკენ მიემართათ. ვიდრე ის ყოყმანობდა, შელის წერილი მიიღო, აუნყებდა, ჩამოვიფარო. მას ალეგრას ბედი ანუხებდა და ამ საკითხზე უნდოდა ბაირონთან მოლაპარაკება. კონსპირაციის პირობებში ბაირონი თავს უხიფათოდ როდი გრძნობდა, თან შვილიც იქ ჰყავდა და არსენალიც იქვე ჰქონდა. მას დიდი ხანია გადანყვებილი ჰქონდა, რომ ალეგრა კათოლიკე იქნებოდა და ცოლადაც იტალიელს გაჰყვებოდა. ცხადია, ქალბატონ გვიჩიოლის რჩევით, რომელიც მონასტერში იყო აღზრდილი, ბაირონმა ალეგრა, რავენას მახლობლად, ბანიაკავალოს მონასტერში მიაბარა.

კლერი საკუთარ თავს აღარ ჰგავდა. მავედრებელ წერილს წერდა, ალეგრა შელის მიეცი, თუ შენთან არ გსურს იცხოვროსო. მაგრამ კლერი, ანაბელასავით, ქალთა იმ ჯიშს ეკუთვნოდა, რომელიც ბაირონის მრისხანებას ინვევდა. მასში უსირცხვილობა, რასაც კაროლინა ლემსაც საყვედურობდა, ლედი ბაირონის „ქადაგებებთან და სანტიმენტებთან“ იყო შეერთებული. ეს კი ვერ ეპატიებინა მისთვის, როგორც იმ ორს ვერ აპატიო ის ღვარძლი, მასში რომ აღვიძებდნენ. ძალიან სძულდა, არ შეეძლო მისთვის ბაირონების ნაშიერის აღზრდა მიენდო. „კლერი ალეგრას შესახებ ძალიან თავხედურ წერილებს მიგზავნის, — აი, რას იგებს ადამიანი, რომელმაც თავის უკანონო შვილებზე ზრუნვა გადანყვიტა! რომ არ შემცოდებოდა, ეს უბედური გოგონა, უკვე თითქმის მზადაც ვიყავი იმ უღმერთო ქალისთვის, დედამისისთვის გამეგზავნა, რაც ძალიან ცუდი იქნებოდა. თუ კლერს ჰგონია შეიძლება ბავშვის ზნეობრივ აღზრდაში ჩაერთოს, ცდება. ეს არასოდეს მოხდება... თუ

შესაძლებლობა მიეცემა, ეს პატარა, ქრისტიანი და ქმრიანი ქალი იქნება“.

ეს ტექსტი მშვენივრად აჩვენებს იმ შეუცნობელ მორალს, მისი სულის სიღრმეში რომ სახლობდა.

შელი, 6 აგვისტოს ჩავიდა. ვენეციის შემდეგ ბაირონზე აღარაფერი იცოდა და ძალიან გაოცებული დარჩა, როცა მისი მორალური და ფიზიკური სიჯანსაღე იხილა: „სრულიად აღუდგენია ჯანმრთელობა, ცხოვრებითაც იმ ცხოვრების საპირისპიროდ ცხოვრობს, რომელიც ვენეციაში ჰქონდა. გრაფინია გვიჩიოლისთან მუდმივი ურთიერთობის გარდა, რომელიც ახლა ფლორენციაშია, სხვა ურთიერთობები აღარ აქვს. ფლექჩერი ისევ თან ახლავს, თითქოს აწრდილიაო, დააცემინებს და ხელახლა აღსდგება თავისი პატრონის მატერიალურ სუბსტანციასთან ერთად. მან ისევ აღიდგინა წონასწორობა და მის ნაადრევად გაჭალარავებულ თმას თითქოს ახალი ქერაკულულა მოსავალი ამოდის. ლორდმა ბაირონმა უზარმაზარ წარმატებას მიაღწია ყველა თვალსაზრისით, გენიოსობაში, ხასიათში, ზნეობაში, ბედნიერებაში. გვიჩიოლებთან ურთიერთობამ ბევრი სიკეთე მოუტანა. ცუდი გატაცებები ჰქონდა, მაგრამ ახლა მათზე თითქოს გაიმარჯვა და ისეთი ხდება, როგორც უნდა ყოფილიყო: მაღალი ზნეობის ადამიანი. ინტერესი, რომელსაც იგი იტალიის პოლიტიკისადმი ავლენს და მასში მონაწილეობა, — ის საკითხებია, რაზეც წერა არ შემოიძლია, მაგრამ გაგაოცებთ და სიამოვნებას მოგანიჭებთ... ნამიკითხა „დონ ჟუანის“ გამოუქვეყნებელი სიმღერები, გასაოცარი სილამაზით არის გამორჩეული. ის არა მარტო მაღალია, არამედ განუზომლად აღმატებულია ყველა თანამედროვე პოეტზე. ყოველ სიტყვას უკვდავების ბეჭედი აზის“.

ეს წერილი ჭეშმარიტი ცდა იყო შელისა, რათა მერი იძულებულჰყო, უკეთ იფიქროს ბაირონზე. შენევისა და ვენეციის დროს შელები ძალიან მკაცრები იყვნენ. „ქალთა უაზრო ჯილაგის“ გავლენისგან რამდენიმე დღით გათავისუფლებული შელი უფრო სამართლიანი ხდება. ის თავს ბაირონის მეგობრად არ გრძნობდა. მეგობრობა გონების დიდ თავისუფლებას გულისხმობს. ისეთი უანგარო ადამიანისთვისაც კი, როგორც შელი იყო, ბაირონის დიდება, მისი გაუმართლებელი მივინყებულობის ფონზე, დაბრკოლება გახლდათ. ერთმანეთისადმი ცუდი გრძნობა დაეხეტებოდა მათ შორის. შელიმ ეს გრძნობა ჩამოიცილა, დასძლია, მაგრამ თავის შევიწროებულ მდგომარეობას ამოდებრძოდა. ბაირონი აღიარებდა, რომ შელი ერთი ყველაზე შესანიშნავი ად-

ამიანი იყო მის ნაცნობებს შორის, საუკეთესო მოსამართლე პოეზიაში და ყველაზე დიდსულოვანიც. ბაირონისთვის შელის მასთან ყოფნა ნათელი ნაპერწკალი იყო. ის, ვინც შელის სიახლოვით ოდესმე გამთბარა, მთელი ცხოვრება მოინატრებს მის სითბოს. ამავე დროს შელი საყვედურიც იყო. მხურვალე, ენერგიული, იცოდა, რაც უნდოდა; ისიც იცოდა, რა იყო ცუდი და რა კარგი. ბაირონი მისით ტკბებოდა, შურდა და ზოგჯერ მალულად უთვალთვალებდა, იქნებ რაიმე ნაკლი ეპოვა მასში. ნეტავ, რას ფიქრობდა „როშფუკო“ /ჰობჰაუზი/ ამ პატიოსან ათეისტზე? თუ შელიც პირმოთნე იყო, მაშინ... მაგრამ ბაირონისებური ანალიზის თვალისმომჭრელ სინათლეზეც კი, შელი უვნებელი რჩებოდა.

შელი ჩამოვიდა და ბაირონის ცხოვრება ისევ ისე წავიდა, როგორც მიდიოდა: დილის ძილი, შუადღის შემდეგ საუზმე, ცხენით ტყეში სიარული, საღამოს კითხვა, ღამის საუბრები. შელი უზარმაზარ სასახლეში ცნობისმოყვარეობით დაეხეტებოდა, საპარადო კიბეზე ხუთი ფარშევანგი დადიოდა, სამი ციცარი, მონმე გახდა მაიმუნების, კატების, ყორანისა და შევარდენის ჩხუბებისა. ბაირონთან საუბრისას შელიმ საერთო მეგობარი ლი ჰანტი გაიხსენა, ისიც უთხრა, ინგლისში ძალიან მძიმე ცხოვრება აქვს და იტალიაში მინდა ჩამოვიდესო. რა უნდა გაეკეთებინა აქ? ბაირონს აზრად მოუვიდა: ერთხანს მარისთან ურთიერთობა გაუუარესდა, ამიტომ მურთან უნდოდა ჟურნალის დაარსება, თავისი ნაწარმოებების საბეჭდად. მურმა უარი უთხრა. ახლა რატომ არ უნდა შესთავაზოს ჰანტს შელისთან და ბაირონთან ერთად ლიბერალური ჟურნალის დაარსება? ბაირონთან თანამშრომლობა ჰანტისთვის საგანძური იყო. შელიმ თავის მასპინძელს გადაფიქრების დრო აღარ მისცა და სასწრაფოდ ჰანტს აცნობა, ჩქარა ჩამოდო.

ბაირონმა შელის სთხოვა ქალბატონ გვიჩიოლის მისწერე /შელი ტერეზას არ იცნობდა/, სთხოვე შვეიცარიაზე უარი თქვი და რეზიდენციად პიზა აირჩიეო. გრაფინია გვიჩიოლი დათანხმდა და თავისი წერილი გულის შემძვრელი, მისი შემფოთების მამხილებელი წინადადებით დაამთავრა: „სენიორ, თქვენი სიკეთე შთამაგონებს და გაგიმხელთ ჩემს შეუკავებელ სურვილს. გთხოვთ, გააკეთოთ ეს ჩემთვის. ონ პარტიტე და ლავენა სენზა ყლორდ“. მილორდის გარეშე რავენანად ნუ ნაბრძანდებითო... ქალმა იცოდა, რა სახიფათოც იყო ბაირონის მარტო დატოვება. მაგრამ ის, ვინც უფრო ნაკლებად ენდობოდა ბაირონს, თვით ბაირონი გახლდათ. საკუთარ თავს

ანდრე მორუა. დონ ჟუანი ანუ ცხოვრება ბაირონისა

კარგად იცნობდა, საკუთარი სისუსტეების ეშინოდა და ხვდებოდა, თუ რავენაში შელისა და გვიჩიოლის გარეშე დარჩებოდა, ისევ რალაც გადამეტებულ ამბებში გაეხვეოდა. დიდხანს მოითხოვდა დაჟინებით, რომ შელი მისგან არ წასულიყო. მაგრამ შელი ალევრას სანახავად იყო ჩამოსული და მონასტერში მის მოსანახულებლად წავიდა, მერე დაბრუნდა პიზაში.

გრაფინია გვიჩიოლი და გამბა მალე მას მიჰყვანენ; მოინონეს მერის მიერ ბაირონისთვის ნაქირავები ლანფრანკის სასახლე. ბაირონმა მათ სამი თვე მაინც ალოდინა. ის, როგორც თავისი ნიშნობის დროს, „უფრო და უფრო, ნაკლებად ჩქარობდა“. ბედი არ სწყალობდა: როგორც კი ვინმეს ან რამეს შეიყვარებდა: ქვეყანას, ქალაქს, სახლს, ქალს, მაშინვე რალაც აშორებდა მათთან. რავენა შეიყვარა, ხალხი პატივს სცემდა, სამღვდელოება მას მფარველობდა, რადგან პროცესიების დროს თავის ხალიჩებსა და ფარდაგებს ფეხქვეშ უგებდა მათ; სიამოვნებით მუშაობდა და კარგადაც გრძნობდა თავს. გამგზავრებას კვირიდან კვირამდე სდებდა. გრაფინია გვიჩიოლიმ მერი შელი მოხიბლა. მერის ეცოდებოდა ტერეზა. „გრაფინია გვიჩიოლი, — ნერდა შელი, — ძალიან ლამაზი, სანტიმენტალური და მიაშიტი იტალიელია, რომელმაც ბაირონის სიყვარულს უზარმაზარი ქონება შესწირა, რასაც, რამდენადაც ჩემს მეგობარს ვიცნობ, მასაც, და ადამიანურ ბუნებასაც, არაერთხელ ინანებს თავის გაუფრთხილებლობას“

ამ დროს კი, ბაირონი გვიჩიოლების სასახლეში მისტერიაზე, „ცა და დედამინა“, მუშაობდა, რომლის სიუჟეტიც ბიბლიური ლეგენდა გახლდათ და ცემულ ანგელოზებზე, რომლებსაც ადამიანების ქალიშვილები უყვარდათ. დაცემული ანგელოზები, „კაენივით“, მისი დიდი ხნის ჩანაფიქრი იყო. პიზაში ავეჯიც კი გაგზავნილი ჰქონდა, მარტო მაგიდა და ლეიბი შეერჩინა აქ. მტვერსა და ხმაურში სულთა ქოროს თხზავდა და მთავარანგელოზის სიმღერას. ბოლოს 29 ოქტომბერს დათმო, დატოვა გვიჩიოლების სასახლე და მასთან გაემგზავრა, ვინც ოდესღაც ამ სასახლის დიასახლისი იყო.

გზაზე, რავენადან პიზამდე, თავის ბავშვობის მეგობარს ლორდ კლერს შეხვდა, რამაც ძალიან ააღელვა. „ამ შეხვედრამ წამსვე გააქრო ის წლები, რომლებმაც დღევანდელ დღესა და ჰაროუს შორის ჩაიქროლა. ეს ახ-

ალი გრძნობა იყო ჩემთვის, აუხსნელი. კუბოდან ამოსვლის მსგავსი... კლერიც ძალიან აღელდა — უფრო მეტადაც, ვიდრე მე, რადგან თითის ნვერებითაც კი ვიგრძენი მისი გულის ცემა, საკუთარი კი მსგავსი შეგრძნების საშუალებას არ მაძლევდა. ხუთი წუთიც არ გაგვიტარებია ერთად ამ დიდ გზაზე, მაგრამ ძნელია ჩემი ცხოვრებიდან საათი გავიხსენო, რომელიც ამ ხუთ წუთს გადასწონის“.

ჭეშმარიტებაა, რომ ცხოვრება ზმანებათა მატერიისგან არის შექმნილი. სახეები, რომლებიც დღეებს ავსებენ, მიცურავენ, გვინერგავენ ეჭვს, სიყვარულს, მრისხანებას, მერე ფერმკრთალდებიან; თითქოს აღიგავნენო პირისაგან მიწისა, ქრებიან. ისევ ჩნდებიან, მოულოდნელად ცოცხალი, ორ საფოსტო კარეტას შორის, უცნობ დიდ გზაზე, მტვერსა და თაკარა მზისქვეშ.

ასევე გზაზე შეხვდა როჯერსაც. ერთად იხეტიალეს მუზეუმებში. ბაირონს მუზეუმები არ უყვარდა. აღიზიანებდა მუზეუმის დამთვალეიერებელ-ინგლისელების ცნობის-მოყვარეობა. ბოლონიაზე გავლისას როჯერსი ჩერტოზას სასაფლაოზე მიიყვანა, სადაც მესაფლავე ცხოვრობდა, რომელსაც ლამაზი გოგო ჰყავდა. „ამ ადამიანს, — ნერდა ბაირონი ჰობჰაუსს, — ძალიან უნდოდა როჯერსი დაეტოვებინა თავის ქალებს კოლექციისთვის“.

გამგზავრებამდე შელიმ კიდევ ერთხელ მიწერა ბაირონს, ალევრა ჩამოიყვანეო, რადგან გოგონა ახლა უკვე მარტო რჩებოდა ბანიაკავალოს მონასტერში. მაგრამ ბაირონი მარტო ჩავიდა. თუმცა, არცთუ მარტო, რადგან გალიით, ეტლის ქვეშ რომ ეკიდა, ბატების მთელი გუნდი ჩაიყვანა. ინგლისს კი დასცინოდა, მაგრამ თავისი ქვეყნის უცნაური წესების მიმდევარი იყო. უყვარდა, როცა წმინდა პარასკევს ჯვარგამოსახული პატარა პურები ჰქონდა და შემწვარი ბატი წმინდა მიხეილის დღეს. ამ მიზნით ბატიც იყიდა, ძალიან რომ არ გასუქებულყო, ზეიმამდე მთელი თვე თვითონვე კვებავდა, მაგრამ ისე მიეჩვია, როცა დღესასწაულის დღე დადგა, მის დაკვლაზე უარი თქვა. მერე მისთვის ოჯახური სიამოვნების მოკლება აღარ ისურვა და ასე მოგზაურობდა ხოლმე ოთხი ბატის საზოგადოებაში. ასევე იყო შოპენჰაუერიც, ადამიანები სძულდა, მაგრამ ფრანკფურტის ბაზრობაზე ნალვლიანი ორანგუტანგი რომ ნახა, გული აუჩრყდა.

თარგმნა ლევიო კახაბერიძე

დასასრული შემდეგ ნომერში



2014

თ

მ

ს

ნ

ჟ

ბ

ს

ს

4

ISSN 1512-2433



9 771512 243001

ფასი 3 ლარი